

အုပါန်တော်လွှဲမှု အကြောင်း

**Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University**

**Faculty of Humanities**

**STUDIES IN THE HUMANITIES**

**Annual**

**V**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ჰუმანიტარული კვლევები

### წელიწდეული

V



UDC(უაკ)050.8(479.22)

ჰ-952

**მთავარი რედაქტორი:** ზაზა სხირტლაძე

**ტომის რედაქტორი:** ნანი გელოვანი

**სარედაქციო საბჭო:** ზაზა ალექსიძე, ვინფრიდ ბოედერი (გერმანია),  
თინათინ ბოლქვაძე, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), დარეჯან  
გარდავაძე, იოსტ გიპერტი (გერმანია), რისმაგ გორდეზიანი, დარეჯან  
თვალთვაძე, ენტონი ისტმონდი (დიდი ბრიტანეთი), მარიამ ლორთქი-  
ფანიძე, ჰიროტაკე მაედა (იაპონია), დამანა მელიქიშვილი, ირმა რა-  
ტიანი, მანანა რუსეიშვილი, აპოლონ სილაგაძე, ნანა ტონია, ბერნარ  
უტიე (საფრანგეთი), აკაკი ყულიჯანაშვილი, მზექალა შანიძე, კარლ  
შმიდტი (დიდი ბრიტანეთი), ნინო ჩიქოვანი, ელგუჯა ხინთიბიძე, ქეთე-  
ვან ხუციშვილი, გოჩა ჯაფარიძე.

**სარედაქციო კოლეგია:** ნანი გელოვანი, ირინა გველესიანი, ელენე  
გოგიაშვილი, თამარ გოგუაძე

**Editor-in-Chief:** Zaza Skhirtladze

**Editor of the Volume:** Nani Gelovani

**EDITORIAL COUNCIL:** Zaza Aleksidze, Vinfried Boeder (Germany),  
Tinatin Bolkvadze, David Braund (Great Britain), Nino Chikovani,  
Antony Eastmond (Great Britain), Darejan Gardavadze, Jost Gippert  
(Germany), Rismag Gordeziani, Gocha Japaridze, Elguja Khintibidze,  
Ketevan Khutishvili, Akaki Kulijanashvili, Mariam Lortkipanidze,  
Hirotake Maeda (Japan), Damana Melikishvili, Irma Ratiani, Manana  
Ruseishvili, Mzekala Shanidze, Carl Schmidt (Great Britain), Apolon  
Silagadze, Nana Tonia, Darejan Tvaltvadze, Bernard Outtier (France).

**EDITORIAL BOARD:** Nani Gelovani, Elene Gogiashvili, Tamar Go-  
guadze, Irina Gvelesiani

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ISSN 1987-894X

## შინაარსი

### ფილოსოფია

#### ლელა ალექსიძე

მე და სხვა პლეთონის სიქველეთა თეორიის კონტექსტში 11

### ფილოლოგია

#### რუსუდან ასათიანი

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები 41

#### კახა გაბუნია

ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების სწავლების სპეციფიკა არაქართულენოვანი შემსწავლელებისთვის 65

#### ელენე გოგიაშვილი

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღნერის მასალათა კრებულში“ (1881-1900) 79

#### შორენა თავბერიძე

მისალმების ჩვეულება  
(ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით) 94

#### მარიამ გოდუაძე

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართების საკითხისათვის 108

#### ნესტან სულავა

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის პრობლემა 124

### ისტორია

#### ზაზა ალექსიძე

ლუვრი – ახტალა 143

#### ვასილ კაჭარავა

როლანდ რეიგანის იდეოლოგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე 162

## **აღმოსავლეთმცოდნეობა**

### **გორჩა ჯაფარიძე**

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი (1468-1496)  
და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში 185

### **გორჩა ჯაფარიძე, ნანი გელოვანი**

მუჟამად ბეი კატამიში 208

### **თინათინ ქაროსანიძე**

„ახალი“ ტალღის ტერორისტები: ულიდერო ჯიპადი 217

### **დარეჯან გარდავაძე**

წარსული – აწმყოსა და მომავლის ნაწილი. ზღვარზე მყოფი ხმა  
(თავფიც ალ-ჰაქიმის რომანის „ჩიტი აღმოსავლეთიდან“ მიხედვით) 233

### **გიორგი ლობჟანიძე**

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“  
ერთი პიპერბოლის გააზრებისათვის 267

### **ნინო სურმავა**

ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე: ლიტერატურული  
პარალელები (აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის თემა) 276

### **პუბლიკაცია**

#### **ელდარ ბუბულაშვილი**

რამდენიმე დოკუმენტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების  
დამყარების შესახებ (1921-1922 წე.) 291

### **რეცენზიები**

#### **ნინო დოლიძე**

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“  
და მისი ქართული თარგმანი 317

#### **მზია სურგულაძე**

მამუკა წურწუმია  
საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტომი I 333

### **ქრონიკა – 2014**

339

## **Contents**

### **Philosophy**

#### **Lela Alexidze**

Self and Other in the Context of Pletho's Theory of Virtues	11
---	----

### **Philology**

#### **Rusudan Asatiani**

The Morphological Structure of Laz Verb and the Functional Analysis of Verbal Vowel Prefixes	41
---	----

#### **Kakha Gabunia**

Specifics of teaching verbal constructions to Non-Georgian-speaking Students	65
---	----

#### **Elene Gogiashvili**

The Folklore Sources on the Georgian and North-Caucasian Relationships in the "Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus" (1881-1900)	79
---	----

#### **Shorena Tavberidze**

The tradition of greeting (According to the Georgian folklore)	94
---	----

#### **Mariam Goduadze**

Towards the Issue of a Relation between Universal Pattern of Psych verbs and the Georgian verba sentiendi	108
--	-----

#### **Nestan Sulava**

The Symbols in Hagiography and Problem of Genres in " David and Taritchani's Reading"	124
--	-----

### **History**

#### **Zaza Alexidze**

Louvre – Akhtala	143
------------------	-----

#### **Vasil Kacharava**

The Ideological Attack of Ronald Reagan on Soviet Union	162
---	-----

## Orientalistics

### Gotcha Djaparidze

Mamluk Sultan of Egypt Ka'it Bay (1468 - 1496)  
And Georgian Monastic Community in Jerusalem 185

### Gotcha Djaparidze, Nani Gelovani

Muhammad Bey Katamish 208

### Tinatin Karosanidze

New Wave Terrorists: Leaderless Jihad 217

### Darejan Gardavadze

The Past – Part of the Present and Future. The Voice on the Verge  
(Based on the novel by Tawfiq Al-Hakim "A Bird from the East") 233

### Giorgi Lobjanidze

About the concept of the hyperbole of *Masnavi-I Ma'navi*  
by Jalal al-Din Rumi 267

### Nino Surmava

Ameen Rihani and Grigol Robakidze: Literary Parallels  
(Issue of the Synthesis of the East and West) 276

## Publication

### Eldar Bubulashvili

Several document on the establishment of  
Soviet Rule in Georgia (1921-1922) 291

## Reviews

### Nino Dolidze

Novel by Naguib Mahfouz "Children of Gebelawi"  
and its Georgian translation 317

### Mzia Surguladze

Mamuka Tsurtssumia  
Issues of Georgia's Military History. Volume I 333

### Main Events – 2014

339

ფილოსოფია



## ლელა ალექსიძე

### მე და სხვა პლეთონის სიქველეთა თეორიის კონტექსტში

ბიზანტიული ფილოსოფონის გეორგიოს გემისტოს პლეთონი (XIV-XV სს.) საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა პლატონიკოსთა შორის (და ამით ის ნამდვილად რენესანსის წინამორბედია), რომელსაც, გარკვეული ისტორიული ვითარების გამო, აუცილებლად მიაჩნდა, რომ არა მარტო „მჭვრეტელი“ (თეორეტიკოსი), არამედ პრაქტიკოსიც უნდა ყოფილიყო, ან, როგორც მინიმუმ, სრულყოფილად უნდა მოემზადა ნიადაგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვაგვარი სამოქალაქო აქტივობისა და რეფორმებისთვის სახელმწიფო დონეზე.<sup>1</sup> ამავე დროს, პლეთონი ნამდვილი პლატონიკოსი იყო იმ გაგებით, რომ მისთვის მჭვრეტელობითი – „თეორიული“ ცხოვრება განსაკუთრებით ღირებული იყო. ამ ორი მომენტის – თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის აუცილებლობა (რაც, პლეთონის შემთხვევაში, ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული: ბიზანტია დაცემის პირას იყო, პლეთონისთვის კი ეს, უპირველეს ყოვლისა, ანტიკური – ელინური მემკვიდრეობის განადგურების საფრთხეს ნიშნავდა) განსაზღვრავდა იმას, რომ პლეთონის ფილოსოფიაში ადამიანის მიერ თვით-ობის – მისი ნამდვილი მე-ს და თავისუფლების – ძიება განსაკუთრებით მჭიდროდ (მეტად, ვიდრე გვიანანტიკურ, შუა საუკუნეებისა და, გარკვეულწილად, იტალიური რენესანსის პლატონიკოსებთან) გადაჯაჭვულია სხვის, სხვაობის გაგებასა და მასთან კავშირთან (ვგულისხმობთ სხვა-ობას როგორც მე-ს შიგნით, ასევე გარემოცვასა და საზოგადოებაში).

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ მე-სა და სხვის დიალექტიკა პლეთონის სიქველეთა თეორიის კონტექსტში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თეორიისა და პრაქტიკის საკითხის მიმართებისთვის პლეთონის ფილოსოფიაში იხ. ალექსიძე 2012ა, 337-348.

<sup>2</sup> ამით ვაგრძელებთ მე-სა და სხვის დიალექტიკის თემას, რომელსაც „ჰუმანიტარული კვლევების ნელინდეულში“ ჩემი სხვა სტატიებიც მიეძღვნა: ალექსიძე 2011ბ, 11-22; ალექსიძე 2012გ, 11-30. პლეთონის სიქველეთა თეორიას, გაცილებით უფრო მოკლედ, ვიდრე წინამდებარე სტატიაში, შევეხე შემდეგ ნაშრომებში: ალექსიძე 2011ა, 21-29; ალექსიძე 2012ა, 337-338.

## სიქველეები ზოგადად

პლატონიდან მოყოლებული, არისტოტელეს, სტოას, პლოტინისა და პორფირიოსის გზით სიქველეთა („სათნოებათა“) კლასიფიკაცია ქრისტიანულ ფილოსოფიაშიც შევიდა და მსჯელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად იქცა. სიქველეთა საფეხურები, სიქველეებში წვრთნა გვიანანტიკურობიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე იმის საშუალება იყო, რომ ადამიანი შეძლებისდაგვარად განთავისუფლებულიყო მიწიერობისგან და თავისი ნამდვილი მე ყოფილიყო – მაქსიმალურად გონებასა და ერთზე ანუ ღმერთზე ორიენტირებული სული. სიქველეთა საკითხში, პლატონისა და არისტოტელესგან განსხვავებით, გვიანდელ პლატონიზმს ნაკლებად აინტერესებდა სამოქალაქო და საზოგადოებრივი ასპექტები; აქ მხოლოდ ზედაპირულად თუ შეეხებოდნენ ე.წ. „სამოქალაქო“ სიქველეებს, რომელიც ადამიანის საზოგადოებასთან მიმართებას განსაზღვრავდნენ. საზოგადოება თითქოს ის გარე სამყარო იყო, რომელიც მე-ს მაქსიმალურად „შედეგიანად“ უნდა ჩამოეშორებინა.

ამ თვალსაზრისით პლეთონთან რადიკალური (ოღონდ თავისებური) შემობრუნება მოხდა პლატონისკენ.<sup>3</sup>

წინამორბედი პლატონიკოსებისგან განსხვავებით, პლეთონისთვის სიქველეები მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ როგორც მეთოდი, რომელსაც ადამიანი ინდივიდუალურ სულიერ თვითკმარობამდე და პიროვნულ, გონისეულ სრულყოფამდე მიჰყავს, არამედ, ასევე, როგორც გზა, რომელსაც შეუძლია მთელი ერი მიიყვანოს პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ, აგრარულ რეფორმებამდე, დამოუკიდებლობამდე და

<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ პლეთონის ფილოსოფია თავისი ხასიათით ნეოპლატონურია. იხ. Webb 1989, 214-219 (“his ontology has a distinctly Neoplatonic flavor”, იქვე, 216). ჩვენ ამ შეხედულებას ვიზიარებთ, თუმცა შევეცდებით, ვაჩვენოთ, რომ პლოტინის ფილოსოფია, ყოველ შემთხვევაში, სიქველეთა საფეხურების საკითხში, საქმაოდ „აცდენილი“ იყო ანტიკური ნეოპლატონიზმის ტრადიციულ ხაზს. პლეთონის სიქველეთა თეორიის მეტ-ნაკლებად არა-ნეოპლატონურ ხასიათს მიეკდვნა ჩემი მოხსენება (“Pletho on the Grades of Virtue: Back to Plato via Neoplatonism?”) საერთაშორისო ნეოპლატონური საზოგადოების XI კონფერენციაზე კარდიფში (ივნისი, 2013). გათვალისწინებულია მოხსენების ინგლისური ტექსტის გამოქვეყნება ბერლინში.

თავისუფლებამდე.<sup>4</sup> მეტიც: ამ ყველაფერს პლეთონისთვის არა მხოლოდ ეთიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ეს ონტოლოგიურად და კოსმოლოგიურადაც მნიშვნელოვანი იყო. რატომ? იმიტომ რომ პლეთონი ინდივიდუალურ თვითსრულყოფას და პოლიტიკური რეზორმების განხორციელებას ღვთაებრივი განგებით განპირობებული გეგმის ნაწილად მიიჩნევდა, გეგმისა, რომელიც, პლეთონის აზრით, მარადიულად იმართებოდა ღვთაებრივი გონების მიერ.<sup>5</sup> პლეთონი დარწმუნებული იყო, ერთი მხრივ, რომ ღვთაებრივი განგება მთელ სამყაროს მართავს და უნივერსუმი მარადიულად წინასწარ განსაზღვრულია, მეორე მხრივ კი მას ადამიანის თავისუფლების სწამდა.<sup>6</sup> ონტოლოგიური, კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური სინამდვილის ეს ორი ასპექტი (ეთიკისა და პოლიტიკის ჩათვლით), პლეთონის აზრით, ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ჰარმონიაშია ერთმანეთთან. პლეთონს მიაჩნდა, რომ თავისუფლება პიროვნებისგან მოითხოვს სრულ სულიერ და

<sup>4</sup> პლეთონის პოლიტიკური ფილოსოფიის მოკლე მიმოხილვისთვის იხ. Peritore 1977, 168-191; Webb 1989, 214-219.

<sup>5</sup> განგებისა და ბედის შესახებ პლეთონის ფილოსოფიაში იხ. Bargeliotes 1975, 137-149. არსებითად, პლეთონის თეორიას განგებისა და ბედის შესახებ ბევრი საერთო აქვს პროკლეს, აგრეთვე სტოლების შესხედულებებთან ამავე საკითხზე. და მაინც, სწორედ პლეთონმა, და არა ნეოპლატონიკოსებმა ან სტოკოსებმა, შეიმუშავა თეორია უნივერსალური ონტოლოგიური მიზეზობრიობის შესახებ არა მარტო მეტაფიზიკურ-ფიზიკურ ჭრილში (რაც მათაც გააკეთეს), არამედ ადამიანთა ეთიკის (ურთიერთობების დონეზე) და ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული ასპექტების კონტექსტშიც. მეტიც: პლეთონისთვის მნიშვნელოვანი იყო ინდივიდისა და ერის ეთიკისა და პოლიტიკის არა მხოლოდ აწმყო მდგომარეობა, არამედ მათი მომავალი ბედი და რეფორმებიც. განგების პროკლესეული თეორიისთვის იხ. Beierwaltes 1977, 88-111; Beierwaltes 1985, 226-253. მიზეზობრიობისა და განგების შესახებ პროკლესა და პლეთონის თეორიათა მსგავსება-განსხვავებებისთვის იხ. Bargeliotes 1975, 140-141; Gersh 2014, 216-225. განგების თემისათვის ნეოპლატონიზმში (პლოტინი, პროკლე, პეტრინი) იხ. Aলে-ক্সিড 2008, 186-224.

<sup>6</sup> პლეთონის ბრწყინვალე სპეციალისტის, მაზეს თანახმად, პლეთონი „ცდილობდა, ერთდროულად გადაერჩინა დეტერმინიზმი და ადამიანის თავისუფლება“ (Masai 1956, 240).

## ლელა ალექსიძე

პრაქტიკულ აქტივობას, რომელიც ეყრდნობა ღვთაებრივი განგებისა და უნივერსალური მიზეზშედეგობრიობის სწორ გაგებას. შესაბამისად, პლე-თონის აზრით, ადამიანი თავისუფალია და თან არ არის თავისუფალი.<sup>7</sup> თავისუფლება, პლეთონის რწმენით, უნივერსალური მიზეზშედეგო-ბრიობის, უფრო სწორად, ღვთაებრივი განგების საიდუმლოს წვდომის შესაბამისია.<sup>8</sup> ამ თვალსაზრისითაც, პლეთონი ცდილობდა, რელიგია ფი-ლოსოფიურ საფუძველზე დაემყარებინა. მას სჯეროდა, რომ ფილოსო-ფიური ძიება საღმრთო იერარქიის სწორად გაგებას შეუწყობდა ხელს; ის ხომ აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის და ბუნების გაგებისთვის, რაც, თავის მხრივ, იმის საფუძველია, რომ ადამიანისთვის საუკეთესო ცხოვრების წესი განისაზღვროს.<sup>9</sup> თავის ნაშრომში „კანონები“ პლეთონი შეგნებულად უსვამდა ხაზს იმას, რომ დარგების კომბინაციაა საჭირო: ეთიკა და ფიზიკა თეოლოგიას მოითხოვდა.<sup>10</sup> ამდენად, სიქველეები ის ღირებულებები იყო, რომელთა დაუფლება, მათში წვრთნა და სრულყო-ფა არა მხოლოდ ეთიკის სფეროში, არამედ პოლიტიკაში, კოსმოლოგიასა და თეოლოგიაშიც წარმატების – ჰარმონიული მთლიანობის, ადამიანის ამაღლების საფუძველი იყო.

## ოთხი კარდინალური სიქველე

### რა არის სიქველე (*ajreth*) პლეთონისთვის?

სიქველე, პლეთონის აზრით, არის მდგომარეობა, რომლის შესაბა-მისადაც ვართ კარგები.<sup>11</sup> ადამიანს სჭირდება სიქველეები იმიტომ,

<sup>7</sup> εἰ euqerou- de; eihai te; pw- kai; mh; eihai. Pletho, *de legibus* (PG 160: 963 D). პლეთონისთვის თავისუფლება ბედნიერებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის მონა არ ხარ (Masai 1956, 242). განგებისა და თავისუფლების პლეთონისეულ გაგებასთან დაკავშირებით კელური აღნიშნავს, რომ პლეთონისთვის „აუცილებლობის ცოდნა ყველაზე ჭეშმარიტი თავი-სუფლებაა“ (Keller 1957, 363). პლეთონის თანახმად, ღმერთი აუცილე-ბლობაა, და მასში მონობა (doul eia) არ არის (Masai 1956, 241). ამ-დენად, საუკეთესო შემთხვევა ისაა, როცა ადამიანი სწორედაც რომ აუცილებლობას (ajtagkh) ექვემდებარება და არა მონობას (doul eia) (Masai 1956, 240).

<sup>8</sup> Gersh 2014, 223-224.

<sup>9</sup> Webb 1989, 216.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ΗArethvestin eki~ kaqt h̄i aqaoi; ejsmen. Pléthon 1987 (A 1), 1, 1.

რომ ის არც სრულყოფილია და არც კარგი. მას ყოველთვის რაღაც აკლია. სიქველე ის საშუალებაა, რომლის მეშვეობით შეგვიძლია სიკარგის გარკვეულ საფეხურს მივაღწიოთ და ღმერთის მსგავსნი გავხდეთ, იმდენად, რამდენადაც ეს საერთოდ ადამიანებს შეგვიძლია. ღმერთი ჭეშმარიტად კეთილია / კარგია; შესაბამისად, მას სიქველეები არ სჭირდება – ის თვითკმარია.<sup>12</sup> როგორ შეიძლება ადამიანმა ღმერთთან მსგავსებას მიაღწიოს? პლეთონის აზრით, ღმერთთან მსგავსება მხოლოდ გონისმიერი მოქმედებით მიიღწევა.<sup>13</sup> აյ ვლინდება პლეთონის ფილოსოფიის პლატონური და, მეტიც, საკუთრივ ნეოპლატონური ხასიათი, თუმცა სიქველის თეორიაში პლეთონისა და ნეოპლატონურ გაგებებს შორის გარკვეული განსხვავებებიც შეინიშნება. ძირითადი, რაც ცხადს ხდის ამ განსხვავებას, ის არის, რომ პლეთონის აზრით, სიქველეებში სრულყოფის შედეგად, ადამიანი უნდა დარჩეს ადამიანად; ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ღმერთთან მსგავსება უფრო იმას გულისხმობს, რომ ადამიანმა უნდა მიაღწიოს მის საუკეთესო მდგომარეობას, ვიდრე იმას, რომ მან ეს მდგომარეობა გადალახოს და ღვთაებრივ არსად გახდომა სცადოს. გარდა ამისა, პლეთონისთვის, ისევე როგორც ნაწილობრივ მაინც, პლატონის გაგებით, ფილოსოფონი, გარკვეულწილად, რეფორმატორიც უნდა იყოს. შესაბამისად, ფილოსოფიის პრაქტიკული ასპექტები, როგორც ვთქვით, პლეთონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.<sup>14</sup> პლეთონის თანახმად, ადამიანმა არ უნდა უგულებელყოს ის ფაქტი, რომ ის სხეულისა და სულისგან შედგება და იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური არსებაა, რომელიც სხვა ადამიანების გვერდით ცხოვრობს. ღმერთთან მსგავსება პლეთონისთვის, ისევე როგორც ყველა პლატონიკოსისთვის, ადამიანის სიქველის საფუძველი იყო, მაგრამ ეს მისთვის სხეულისგან

<sup>12</sup> *O men ouh qeo~ tw/ojnti ajhepideh!, telewtautor te wjn kai; wl ojbn te mal ista aujtarkhi!* Pléthon 1987 (A 2), 1, 19 - 2, 1. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ ფლობს სიქველეებს. ის, ასე ვთქვათ, თავად არის პირველადი სიქველე – სიკეთე, ანუ უმაღლესი პარადიგმა (მოდელი) ჩვენი სიქველეებისთვის. პლეთონის ფილოსოფიის შესახებ მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ მისთვის უმაღლესი ღმერთი არის ზევსი, რომელიც არის პირველი მიზეზი (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის საკუთარი თავის მიზეზია, რომელიც არაფერი გარეგანით არ არის განპირობებული) და რომელზეც ყველაფერია დამოკიდებული.

<sup>13</sup> Taylor 1920, 96.

<sup>14</sup> Masai 1956, 243.

## ლელა ალექსიძე

მოწყვეტას არ ნიშნავდა. მაზეს თქმით, „პლეთონი თავს არიდებს იმ შედეგებამდე მისვლას, რომლისკენაც მიბაძვის პრინციპს მივყავართ“.<sup>15</sup> მას მიაჩნია, რომ „ლმერთი მხოლოდ სიკეთეს ქმნის და მისი სამყარო მხოლოდ საუკეთესო შეიძლება იყოს. შესაბამისად, პლეთონის თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხეული კარგია და სულთან მისი კავშირი რეალურად ცუდი ვერ იქნება“.<sup>16</sup>

შესაბამისად, ორი ბუნების – მოკვდავისა და უკვდავის ნაზავი პლეთონისთვის პოზიტიური ფაქტი იყო.<sup>17</sup> პლეთონს სწამდა, რომ ეს ნაზავი ღვთაებრივი განგების შედეგია და ის საყოველთაო ჰარმონიას ემსახურება.<sup>18</sup> სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ, პლეთონის აზრით, ადამიანი არათუ არ უნდა ეცადოს, გაექცეს იმ პოზიციას, რომელიც განგებამ არგუნა, არამედ, მეტიც, სიქველეებში სრულყოფის მეშვეობით უნდა შეეცადოს, საკუთარი მე-ს საუკეთესო მდგომარეობას მიაღწიოს, რაც განსაზღვრავს მის მიმართებას როგორც საკუთარ თავთან, ასევე სხვებთან (ადამიანებთან და გარემოსთან). პლეთონის თანახმად, გონისმიერი აქტივობა მთავარი მახასიათებელია ადამიანის როგორც ადამიანის და ლმერთთან მისი მსგავსებისა, თუმცა სიქველის სხვა საფეხურებიც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის თვითსრულყოფისთვის. პლეთონისთვის სიქველეთა მთელ კომპლექსს მიზნად აქვს ინდივიდის არა მხოლოდ გონის და სულისმიერი სრულყოფა, როგორც ეს, ძირითადად, ნეოპლატონიზმში იყო, არამედ ადამიანის – როგორც ერთიანი არსების,

<sup>15</sup> რომელი პრინციპის შედეგების თავიდან არიდებაზე საუბრობს მაზე? იგულისხმება პლატონური პრინციპი – ის, რომ ადამიანი შეძლების-დაგვარად ლმერთის მსგავსი უნდა იყოს, ეს კი, პლატონის თქმით, აქე-დან გაქცევაა („თუეტეტი“ 176ab). მაზეს აზრით, ამ პრინციპის ლოგიკას თუ გავყვებით, ის არ უნდა გამორიცხავდეს თვითმკვლელობას, თუმცა პლატონი ამას უარყოფდა. რაც შეეხება პლეთონს, ის საერთოდ თავს არიდებდა სხეულის უარყოფითად – პლატონისეულად განსაზღვრებას (Masai 1956, 243).

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> შეიძლება თუ არა პლეთონის მიერ სულისა და სხეულის ურთიერთ-მიმართების ამგვარ გაგებაში ქრისტიანული ტრადიციის კვალი დავინახოთ? ვფიქრობ, ასეა, თუმცა ამ დასკვნას პლეთონი, ალბათ, აღფრთოვანებით არ შეხვდებოდა.

<sup>18</sup> Masai 1956, 246.

სხეულისა და სულისგან შედგენილის – სრულქმნა, აგრეთვე სრულყოფა ადამიანისა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური არსებისა. სწორედ ამით განსხვავდება სიქველეთა პლეთონის თეორია ნეოპლატონურისგან. რაც შეეხება სიქველეთა საკუთრივ პოლიტიკურ კონტექსტს, ის ნეოპლატონიკოსებს არ აინტერესებდათ.

პლატონის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციაზე დაყრდნობით, პლეთონი ოთხ ძირითად სიქველეს გამოყოფს. ესენია: თავშეკავებულობა / ზომიერება, ვაჟკაცობა / სიმამაცე,<sup>19</sup> სამართლიანობა, გონივრულობა. თითოეული მათგანი სამ ქვესახეობად იყოფა, რაც ასევე პლატონის ჩვეულება იყო. საბოლოოდ გვაქვს 12 სიქველე, რომლებიც ადამიანის დანიშნულებას მოიცავენ. ამგვარი კლასიფიკაციის შემდეგ პლეთონი თავის ნაშრომში „სიქველეთა შესახებ“ ხელახლა აღაღებს სიქველეებს, ამჯერად უკვე ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში მათი მოქმედების შესაბამისად. შედეგად ვიღებთ ზეალმავალ გზას: ყველაზე აუცილებელი და ელემენტარული სიქველიდან უიშვიათესამდე და უმაღლესამდე აღმასვლას.<sup>20</sup>

სიქველეთა განხილვისას პლეთონი, ძირითადად, ეყრდნობა სიქველეთა დაყოფას სულის რაციონალური და ირაციონალური საწყისების მიხედვით. ნამდვილი მე არის გონება. ირაციონალური ნაწილებია სურვილები, რომლებიც ნებელობითია, და შიშები, რომლებიც უნებლიერა. სიქველეებს სახელები სხვადასხვა მიმართების მიხედვით ეწოდება. ადამიანის სიქველე ნებელობით, მისივე რაციონალურ საწყისთან მიმართებაში არის „თავშეკავებულობა“ / „ზომიერება“, უნებლიერ გრძნობების მიმართ – „ვაჟკაცობა“ / „სიმამაცე“, სხვა ადამიანის მიმართ – „სამართლიანობა“, ადამიანის რაციონალური საწყისის მიმართ – „გონივრულობა“. საინტერესოა, რომ ზომიერება და ვაჟკაცობა პლეთონთან, ისევე როგორც სტოელებთან, უფრო სუბიექტურ კონტექსტში განისაზღვრება,

<sup>19</sup> ქართულ ენაზე შეიძლება ამ ორი სიქველიდან თითოეული შესაბამისი ორ-ორი შესატყვევისით (ან ერთ-ერთით) ვთარგმნოთ.

<sup>20</sup> სიქველეთა საკითხის და, საერთოდ, პლეთონის ეთიკური თეორიის კარგი მიმოხილვისთვის იხ. Taylor 1920, 84-100, აქ განსაკუთრებით 85-86. პლეთონის სიქველეთა შესახებ ტექსტისა და გამოკვლევისთვის იხ. ტამბრუნ-კრასკერის აკადემიური გამოცემა: Pléthon 1987, აქ განსაკუთრებით XXXVI-XXXIX. რეფორმებისა და სიქველეების ურთიერთმიმართებისთვის იხ. აგრეთვე Tambrun 2005, 101-117.

## ლელა ალექსიძე

ვიდრე ეს პლატონთან ან არისტოტელესთან იყო. მაგალითად: ვაჟუაცობას საქმე აქვს არა იმ საგნებთან თუ მოვლენებთან, რომლებიც შიშს ან სიმტკიცეს გამოიწვევენ, არამედ იმ გრძნობებთან, რომლებიც სულში ამ საგნებით არის გამოწვეული.<sup>21</sup>

ზოგადად კი, პლეთონის აზრით, პლატონური ადამიანის იდეა უნდა იყოს ემპირიული ადამიანისთვის ქცევის ნორმა, იმისათვის, რომ აღარ იყოს უფსკრული ადამიანსა და ღმერთს შორის.<sup>22</sup> თუმცა, ადამიანის მიერ მოვალეობათა შესრულება პლეთონისთვის გაცილებით უფრო მეტად გულისხმობდა სხეულებრივი საწყისისა და გარემოს ჩართვას, ვიდრე ეს უსხეულო იდეის მიხედვით წარმართული ცხოვრებისთვის შეიძლება წარმოვიდგინოთ. აქვე დავუმატოთ, რომ სიქველეებში წვრთნა, პლეთონის თანახმად, თანდათან ხდება. ეს ეხმიანება მისეულ რეფორმათა პროექტს, რომლის განხორციელება, პლეთონის აზრით, *tabula rasa*-დან იწყება.<sup>23</sup>

მოკლედ განვიხილოთ ოთხი კარდინალური სიქველე აღმავალი მიმდევრობით.

1. **თავშეკავებულობა / ზომიერება (swfrosunh):** პლეთონის თანახმად, ეს არის ადამიანის სიქველე ნებელობით აფექტებთან მიმართებაში. ის ეხება ადამიანის ირაციონალურ მხარეს და მის მისწრაფებებს.<sup>24</sup> ამ სიქველით ხდება სურვილების გაკონტროლება.<sup>25</sup> მისი სამოქალაქო კონტექსტი იმას გულისხმობს, რომ ადამიანები კრაიოლდებოდნენ იმით, რაც მკაცრად აუცილებელია (პლეთონის „შემზღვდავი“ რეფორმები, რომლებიც სახელმწიფოს ავტარკია-ავტონომიას ისახავდა მიზნად, მაღალ ფენებს და მონასტრებს ზღუდავდა, აგრეთვე ბიუროკრატიულ აპარატს). ამდენად, თავშეკავებულობა ყველა მოქალაქის სიქველე უნდა იყოს.<sup>26</sup>

2. **ვაჟუაცობა / სიმამაცე (ajhdreia):** სიქველის ეს სახეობა უნებლივ გრძნობებთან და აფექტებთან არის მიმართებაში.<sup>27</sup> პლეთონისთვის ეს სიქველე იმ თვისებას განსაზღვრავს, რომელიც ადამიანს აქვს, როცა

<sup>21</sup> Taylor 1920, 86.

<sup>22</sup> იხ. ტამბრუნ-ერასკერის გამოკვლევა: Pléthon 1987, XXXVII.

<sup>23</sup> Peritore 1977, 179; ალექსიძე 2012ა, 341-345.

<sup>24</sup> Pléthon 1987 (A 1), 1, 14-16.

<sup>25</sup> Taylor 1920, 94.

<sup>26</sup> იხ. ტამბრუნ-ერასკერის გამოკვლევა: Pléthon 1987, XXXVII.

<sup>27</sup> Pléthon 1987 (A 1), 1, 14.

ის მისთვის განკუთვნილ როლს ასრულებს ცხოვრებაში როგორც მშობელი, მეგობარი, მეზობელი, მოქალაქე, აგრეთვე, საზოგადოდ, როგორც ღვთაებრივად წარმართული სამყაროს წევრი. ამ სიქველის ფუნქციაა, შეაკავოს ადამიანის, როგორც კომპოზიტის, ცხოველური ასპექტი (ანუ ადამიანური ბუნების ირაციონალური ელემენტები, როგორიცაა შიშები და სურვილები) და ისინი ღვთაებრივ ელემენტებს დაუქვემდებაროს.<sup>28</sup> ამ სიქველითვე კონტროლდება შიშები.<sup>29</sup> პლეთონის აზრით, იუდაიზმა და ქრისტიანობამ ბევრი თვალსაზრისით შეუწყო ხელი ხსენებული სიქველის მოშლას. თუ ღმერთს თავისუფლად შეუძლია ჩარევა ბუნებრივ წესრიგში, ადამიანს ეკარგება ვაჟვაცობა. ასეთ შემთხვევაში ის აღარ მისდევს ბუნებრივ წესრიგს, რომელიც გონიერებას ემყარება, და საკუთარი თავის რწმენას კარგავს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლეთონს, ნეოპლატონიკოსთა მსგავსად – და პეტრინის მსგავსადაც – ღრმად სჯეროდა საღმრთო განგების ძალისა, რომელიც გონიერებას ეფუძნებოდა). ასეთ შემთხვევაში ადამიანი მიენდობა უცხო ძალას, რომელზეც მისი ხსნაა დამოკიდებული. ის კარგავს ავტონომიას, დამოკიდებული ხდება შემოქმედსა და მხსნელზე; ქვეყნის უსაფრთხოება კი იმას მოითხოვს, რომ ღმერთის არსებობასთან ერთად, ისიც გვნამდეს, რომ ის აბსოლუტურად რაციონალური წესით მოქმედებს. ვაჟვაცობის დაკარგვის სხვა მიზეზი, პლეთონის აზრით, არისტოტელეს ავეროისტული ინტერპრეტაცია იყო, რომელიც უარყოფდა ინდივიდუალური სულის უკვდავებას, ეს კი სიკვდილის შიშს ამართლებდა. ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო პლეთონს აუცილებლად მიაჩნდა სულის უკვდავების ანტიკური თეზის აღდგენა, რომელსაც პლატონიც იზიარებდა.<sup>30</sup>

სიქველეთა ზემოთ აღნიშნული ორი სახეობა ადამიანის სულის ქვენა ნაწილს განეკუთვნება.<sup>31</sup> ისინი გვეხმარებიან, შევინარჩუნოთ იმის ღირებულება, რაც ჩვენში კარგია, იმის წინააღმდეგ, რაც ცუდია.<sup>32</sup>

3. სამართლიანობა (*dikaiosunή*): ეს სიქველე სხვა ადამიანებთან მიმართებას განსაზღვრავს და იმას ეხება, რაც ადამიანისთვის გარე-

<sup>28</sup> Taylor 1920, 89.

<sup>29</sup> οქვე.

<sup>30</sup> იხ. ტამბორუნ-კრასკერის გამოკვლევა, Pléthon 1987, XXXVI-XXXVII.

<sup>31</sup> Taylor 1920, 94.

<sup>32</sup> Pléthon 1987 (A 1), 1, 15 -16.

## ლელა ალექსიძე

განია.<sup>33</sup> მისი ფუნქცია, სხვათა და სხვათა შორის, ასახა პლეთონის საზოგადოების კლასებად დაყოფისა და ამ კლასების მოქმედების პრინციპშიც: თითოეულ კლასს თავისი ადგილი აქვს. სამართლიანობის სიქველე პლეთონთან განიხილება სოციალური (სამხედრო, მიწის, დაბეგვრის) რეფორმების პერსპექტივაშიც.<sup>34</sup>

4. გონივრულობა (*Fronhsı-*) საკუთრივ ადამიანის როგორც ადამიანის – მისი რაციონალური ნაწილის სიქველეა. ის ახასიათებს ადამიანს თავისთავად, ანუ მას საკუთარ თავთან, და არა სხვებთან მიმართებაში.<sup>35</sup> ქრისტიანობის შეცდომა, პლეთონის აზრით, ის არის, რომ ის რწმენას წინ აყენებს გონივრებაზე. თუ საღმრთო სინამდვილის ცოდნა რაციონალურობისგან შორს არის, მაშინ მეტაფიზიკის პრინციპები გამიჯნულია პოლიტიკისგან და პოლიტიკის საფუძვლებიც არამყარია. პლეთონის აზრით, მეტაფიზიკა და თეოლოგია რაციონალური უნდა იყოს და ყველა სხვა ცოდნის საფუძველს ქმნიდეს. ესაა გონივრულობა.<sup>36</sup>

პლეთონი სიქველებს ჯერ აღმავალი, შემდეგ კი დაღმავალი მიმდევრობით ახასიათებს.<sup>37</sup>

## ოთხი კარდინალური სიქველის ქვესახეობები

ოთხი კარდინალური სიქველე პლეთონთან, როგორც ვთქვით, თორმეტ ქვესახეობად იყოფა (თითოეული სიქველე სამ კომპონენტს შეიცავს). საბოლოო ჯამში, ვიღებთ 12 სიქველეს, რომლებიც ადამიანის მოვალეობას წარმოადგენს და მოიცავს.<sup>38</sup> პლეთონის ამ თეორიას სიქველეებზე, მათ სახელებსა და თავისებურებებს წყაროდ პლატონის დიალოგები, აგრეთვე არისტოტელესა და სტოელთა სიქველეთა თეორიები აქვს.<sup>39</sup> მოკლედ შევეხოთ თითოეული სიქველის სამად დაყოფას. ჩვენ მხოლოდ ვახსენებთ ამ ქვესახეობებს, დეტალების განხილვის გარეშე.

<sup>33</sup> Pléthon 1987 (A 1), 1, 12 -13.

<sup>34</sup> იხ. ტამბრუნ-კრასკერის გამოკვლევა, Pléthon 1987, XXXVIII.

<sup>35</sup> Pléthon 1987 (A 1), 1, 10 -11.

<sup>36</sup> იხ. ტამბრუნ-კრასკერის გამოკვლევა, Pléthon 1987, XXXVIII.

<sup>37</sup> Pléthon 1987 (A 2), 4, 4-5.

<sup>38</sup> Taylor 1920, 86.

<sup>39</sup> ამ 12 სიქველის აღწერისთვის, წყაროთა ანალიზით, იხ. ტამბრუნ-კრასკერის გამოკვლევა: Pléthon 1987, 64-82; აგრეთვე Taylor 1920, 85-100.

1. თავშეკავებულობა / ზომიერება (*swfrosunh*) არის თვითკმარობა ცხოვრების აუცილებლობასთან მიმართებაში.<sup>40</sup> ამ სიქველის სამი ნაწილი სურვილის სამი სახის გაკონტროლებას ემსახურება. ესენია: სიამოვნება, ფული და პატივი. ეს სამი ნაწილი (ზეაღმავალი მიმდევრობით) ასეთია: (ა) ნესრიგი (*kosmioth-*), რომელიც ნიშნავს თვითკონტროლს სიამოვნებისკენ ლტოლვაში; (ბ) თავისუფლება (*eij euquerioth-*), რომელიც გულისხმობს თვითკონტროლს ფულის ხარჯვაში; (გ) ზომიერება (*metrioth-*), რაც არის თვითკონტროლი, რომელიც დიდებისკენ ლტოლვას აკავებს.<sup>41</sup>

2. ვაჟკაცობა / სიმამაცე (*ajndreia*) იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისეული მძლავრი მღელვარებები ჩვენზე გავლენას არ ახდენს.<sup>42</sup> ამ სიქველის სამი ნაწილი უნებლიერ აფექტების (ზემოქმედებების) კონტროლს ემსახურება. ეს ნაწილებია: (ა) ლმობიერება (*prabith-*), რომელიც ნიშნავს დიდი ადამიანის ამტანობას ბოროტი მტრული დამოკიდებულების პირისპირ; ის გონების მდგომარეობას ახასიათებს.<sup>43</sup> (ბ) კეთილშობილება (*gennaioth-*), რომელიც ნიშნავს ტანჯვის ატანის უნარს, რაც აუცილებელია სასურველი მიზნის მისაღწევად. (გ) დიდსულოვნება (*eujucia*), რაც ისეთი ადამიანის სიქველეა, რომელიც, როგორც ტეილორი განმარტავს, სოკრატეს მსგავსად, დარწმუნებულია, რომ მას ვერაფერი გარეშე ზიანს ვერ მიაყენებს და მისთვის სახიფათო მხოლოდ ის სიმდაბლე იქნება, რომელმაც სულში მცდარი შეხედულებების გზით შეიძლება შემოაღწიოს. ასეთი ადამიანი იწამებს, რომ ბედის დარტყმებს გარკვეული მიზანი და მისთვისვე კეთილი დანიშნულება აქვს.<sup>44</sup>

<sup>40</sup> *aujtarkeia* *twn pro- ton biōn aīhagkaiw̄n*. Pléthon 1987 (A 3), 4, 7 -8. მაზეს თანხმად, ნეოპლატონიკოსები ამ სიქველეს ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, როგორც ქრისტიანები. ელინური ინტელექტუალიზმი ყოველთვის იმისკენ უბიძგებდა ნეოპლატონიკოსებს, რომ უპირატესობა თეორიული ცოდნისთვის მიენიჭებინათ, შედარებით იმასთან, რასაც თავშეკავებულობაში / ზომიერებაში ვარჯიში შეიძლება ვუწოდოთ. განმნენდი სიქველეები მათთვის მიზანი კი არ ყოფილა, არამედ უფრო საშუალება იყო, რომლითაც სული სინამდვილის უფრო მაღალ დონეზე უნდა ასულიყო (Masai 1956, 246-247).

<sup>41</sup> Pléthon 1987 (A 3), 4, 7 - 11; Taylor 1920, 87.

<sup>42</sup> *Andreiā de; epeirejst̄in aīpar̄eia upo; twn kata; biōn biaiwn paqhmatw̄n*. Pléthon 1987 (A 3), 4, 12 - 13.

<sup>43</sup> Taylor 1920, 93.

<sup>44</sup> Pléthon 1987 (A 3), 4, 12 - 23; Taylor 1920, 90.

3. სამართლიანობა (*dikaiosunh*) იმას ეხება, რაც ადამიანისთვის გარეგანია: სამართლიანობის სამი ნაწილი მიმართებაშია ღმერთთან, საზოგადოებასთან და ინდივიდუალურ ადამიანთან.<sup>45</sup> მისი ქვესახეობებია: (ა) სიკარე / ლირებულება (*crhstoth-*) აქტიური სიქელეა, რომელიც საქმეში ვლინდება. ის აღნიშნავს იმას, რომ ადამიანს საქმე აქვს ინდივიდუალურ ადამიანთან.<sup>46</sup> პლეთონს სწამდა, რომ ადამიანმა თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარი თავისთვის და არ ჰქონდეს იმის იმედი, რომ ლოცვით შეიძლება ღმერთზე გავლენა მოახდინოს. თეორიულად, ეს შეხედულებაც ემყარებოდა ღვთაებრივი განგების და უნივერსალური მიზეზობრიობის პლეთონისეულ რწმენას. ამ თეორიის პრაქტიკული შედეგი უნდა იყოს ადამიანის აქტივობა, და არა მისი ასკეტობა ან პასიურობა. როგორც უკვე ვთქვით, პლეთონის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინდივიდებისთვის და საერთოდ ერისთვის, რომ სწორად გაგებულიყო სამყაროსა და ისტორიაში მმართველი ღვთაებრივი განგებისა და მიზეზშედეგობრიობის პრინციპების შინაარსი, იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ამ ცოდნის შესაბამისად წარმართვა. (ბ) მოქალაქეობა (*politeia*) არის სამართლიანობა, რომელიც ეხება პიროვნების საზოგადოებასთან ურთიერთობას.<sup>47</sup> (გ) ღვთისმოსაობა (*theioith-*) არის სწორი პოზიცია და აქტიურობა ღმერთთან მიმართებაში. ის გვეხმარება იმაში, რომ, ერთი მხრივ, თავი ავარიდოთ ათეიზმს, ხოლო მეორე მხრივ, ცრურწმენას, რომლის თანახმად ღმერთზე შეიძლება მართლაც გავლენა მოვახდინოთ ლოცვით და თაყვანისცემით.<sup>48</sup> ტეილორი დაწვრილებით განიხილავს პლეთონთან ლოცვის მნიშვნელობას.<sup>49</sup> მისი აზრით, „პლეთონი უარყოფდა ღვთაებრივი გამოცხადების მოძღვრებას. ის ამტკიცებდა, რომ დეტერმინიზმი შეუთავსებელია ლოცვის შედეგიანობის რწმენასთან, იმ სახით, როგორც ეს ეკლესიას მიაჩნდა. შესაბამისად, პლეთონმა განავითარა ეთიკის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო პლატონურია, იმ შემთხვევაშიც, როცა ის თითქოს ქრისტიანულად გამოიყურება“.<sup>50</sup>

<sup>45</sup> Taylor 1920, 94.

<sup>46</sup> ოქვე.

<sup>47</sup> ოქვე.

<sup>48</sup> Pléthon 1987 (B 12), 12, 24 - 13, 9.

<sup>49</sup> Taylor 1920, 95.

<sup>50</sup> Taylor 1921, 87-88.

4. დაბოლოს, გონივრულობის (*fronthsis*-) სამი ნაწილი, აღმავალი მიმდევრობით, რომელიც ახასიათებს ადამიანური საქმეებიდან ბუნებაზე, ბუნებიდან კი სალმრთო საქმეებზე გადასვლას, შემდეგია: (ა) კეთილგონიერება (*euphoui ia*); ეს არის პრაქტიკული სიქველის გონის-მიერი მახასიათებელი.<sup>51</sup> (ბ) საბუნებისმეტყველო ცოდნა (*fusikh*), რაც ბუნების ცოდნას – „ფიზიკას“ გულისხმობს. პლეთონის აზრით, ის დიდად უწყობს ხელს ადამიანის ბედნიერებას, რადგან ადამიანის ბუნების უმაღლესი ნაწილის აქტივობას მოითხოვს და მას სამყაროს ნაწილად აქცევს.<sup>52</sup> (გ) ღმერთის თაყვანისცემა (*qeosebeia*). ეს არის ყველაფრის სინოპტიკური ხედვა.<sup>53</sup> ადამიანის მიზანია, ბუნებრივ მოვლენათა მიზეზებისა და კანონების გაგება, აგრეთვე იმაში გარკვევა, რატომ არის რაღაც ადამიანებისთვის კარგი ან ცუდი. როდესაც ადამიანი მიაღწევს საბოლოო, გამაერთიანებელ ხედვას, რომლის მეშვეობითაც საყოველ-თაო მიზანი – სიკეთე (*aihqapon*) გაცხადდება, მაშინ ის აღწევს ღმერთის ხედვას, მისი თაყვანისცემის (*qeosebeia*) მდგომარეობას, რაც ადამიანური ბედნიერების მწვერვალია.<sup>54</sup>

პლეთონის სიქველეთა თეორიის მოკლე შეჯამება.

შედარება პორფირიოსთან და პეტრინთან

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ, პლეთონის აზრით, ოთხი კარდინალური სიქველის ყველა დონეზე, აგრეთვე ამ სიქველეთა „შიდა“ საფეხურების ყველა თორმეტ დონეზე, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის პრაქტიკული აქტივობა. აქ „პრაქტიკულობაში“ ვგულისხმობ პოლიტიკურ აქტივობას (ადამიანის საზოგადოების წევრად გაგებას) და მის აქტივობას, როგორც სულისა და სხეულისგან შედგენილი არსების. მართლაც, პლეთონის თანახმად, ადამიანი უნდა შეეცადოს, იყოს ღმერთის მსგავსი ყველა

<sup>51</sup> Taylor 1920, 99.

<sup>52</sup> ვფიქრობ, აქ სტოელთა გავლენაც იგრძნობა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ანტიკური ნეოპლატონიზმის უკანასკნელი წარმომადგენლების გამოცდილება, კერძოდ, სიმპლიკიოსის მიერ „ფიზიკის“ შესწავლის ჩართვა ადამიანის სულიერი ამაღლების საფეხურებში. იხ. Hoffmann 2014, 329-333.

<sup>53</sup> აქ კი, აღბათ, უკვე პლატონის „სახელმწიფოს“ VII წიგნში მოცემული დიალექტიკის გაგების კვალი ჩანს.

<sup>54</sup> Taylor 1920, 98.

## ლელა ალექსიძე

იმ უნარისა და შესაძლებლობის გამოყენებით, რომელიც მას, როგორც ადამიანს, გააჩნია.<sup>55</sup> მეტიც: სიქველის უმაღლესი საფეხურის მისაღწევად ადამიანმა საკუთარი თავი კოსმოსის ნაწილად უნდა გააცნობიეროს. ამ მეტ-ნაკლებად პრაქტიკული ნაბიჯების გარეშე შეუძლებელია უმაღლესი, წმინდა ინტელექტუალური დონის მიღწევა.

რაც შეეხება ჩვენს თემას – მე-ს (ან: თვით-ობის) და სხვის ურთიერთმიმართებას, ამ თვალსაზრისით პლეთონის სიქველეთა თეორია ასე შეიძლება დავახასიათოთ: პლეთონის თანახმად, სიქველეთა მიზანი არის არა ყოველგვარი სხვა-ობისგან განთავისუფლება იმისთვის, რომ მივაღწიოთ ნამდვილ თვით-ობას, ანუ ნამდვილ მე-ს, არამედ მიზანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ის არის, რომ მოხდეს „ასიმილირება“ – სხვებთან და სხვასთან „დამეგობრება“, სხვა-ობის გათავისება. თუ ამ პოზიციას ნეოპლატონურ თეორიებს შევადარებთ, განსხვავება თვალში საცემი გახდება: ნეოპლატონიკოსებისთვის სიქველის უმაღლესი წერტილი სხვა-ობის გადალახვას გულისხმობდა და მოითხოვდა ჩვენს თავში ერთიანობის მაქსიმალურად მიღწევას.<sup>56</sup> ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პლეთონის სიქველეთა თეორიის შედარება პორფირიონისის სიქველეთა თეორიასთან.<sup>57</sup> მოკლედ რომ შევადაროთ პორფირიონისეული სიქველეთა თეორია პლეთონისას, შეიძლება დავასკვნათ: ნეოპლატონიკოსებისთვის, როგორებიც იყვნენ პლოტინი და პორფირიონი (მაგრამ, აგრეთვე, გვიანდელი ნეოპლატონიზმისთვის, პატრისტიკისთვის, აგრეთვე შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიისთვის, როგორც ბიზანტიურისთვის, ასევე ლათინურისთვის), სიქველეებს (მათ შორის ე.წ. „პოლიტიკურ“ – სამოქალაქო სიქველეებსაც კი) არ ჰქონია კონკრეტული პოლიტიკური მნიშვნელობა. სიქველეები ემსახურებოდა ინდივიდუალური მე-ს ტრანსფორმაციას, თვით-ობის ამაღლებას – რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო – გონების „ღვთაებრივ“ დონემდე. პორფირიონის მიზანი იყო, ესწავლა

<sup>55</sup> Masai 1956, 247.

<sup>56</sup> ალექსიძე 2012დ, 12-23.

<sup>57</sup> პორფირიონის სიქველეთა თეორიისთვის იხ. Porphyrius, *Sententia* 32; Porphyrius 1975, 22-35; Porphyre 2005, 334-344; 628-642; Brisson 2004, 271-286; 809-815; პორფირიონი 2013, 84-102; ალექსიძე 2012ბ, 170-178. სიქველეთა საკითხში პლეთონისა და პორფირიონის უფრო ვრცლად შედარებისთვის იხ. ალექსიძე 2011ა, 21-29.

და ესწავლებინა, როგორ მივაღწიოთ თვითკონცენტრაციას, რაც ნიშნავდა ინტელექტუალურ ფიქსირებას „ერთზე ჩვენში“.<sup>58</sup> ეს მოითხოვდა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ თავისუფლებას სიმრავლისგან, სხვაობისგან და სხეულებრივი გავლენებისგან. პლეთონთან საქმე სხვაგვარად იყო. მასთან ადამიანი არის სულისა და სხეულის კომპოზიტი.<sup>59</sup> პლეთონისთვის ადამიანის პირადი თვით-ობა, მისი მე ნაციონალური იდენტობის ნაწილიც უნდა ყოფილიყო, ხოლო სიქველეთა მიზანი მხოლოდ ადამიანის გარდაქმნა კი არ იყო, არამედ მთელი ერის. თავის მხრივ, ნაციონალური ერთიანობის განხორციელება ამ რთული ორგანიზმის სხვადასხვა ასპექტის ჰარმონიაში მოყვანას მოითხოვდა. ამასთან ერთად, პიროვნული მთლიანობა-ერთიანობისთვის საჭირო იყო სხეულებრივი და სულიერი ელემენტების ურთიერთშეწყობა და ჰარმონია, და არა, ასე ვთქვათ, სხეულის „ნიველირება“. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ პლეთონი განიხილავდა სიმრავლეს და სხვაობას ერთიანობაში (არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ პიროვნულ დონეზეც) უფრო პოზიტიურად, ვიდრე პორფირიოსი ან სხვა ნეოპლატონიკოსები. როგორც აღვნიშნეთ, პლეთონის გაგებით, სიქველეების მიზანი იყო ადამიანის – როგორც ადამიანის (და არა ღმერთის) – ბედნიერება, იმდენად, რამდენადაც ეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში შეიძლება მიღწეულიყო.<sup>60</sup>

თვით-ობისა და სხვის დიალექტიკის თვალსაზრისით, საინტერესოა პლეთონის სიქველეთა თეორიისა და პეტრინის ფილოსოფიის შედარებაც.<sup>61</sup>

მართალია, პეტრინს ექსპლიციტურად არ უმსჯელია ოთხი კარინალური სიქველის და ზოგადად სიქველეების შესახებ, მაგრამ

<sup>58</sup> ალექსიძე 2011გ, 33-37.

<sup>59</sup> მაზეს თანახმად, პლეთონი რენესანსის ადამიანი იყო, მგრძნობიარე სულისა და სხეულის ყოველგვარი სიამოვნებისადმი (Masai 1956, 274).

<sup>60</sup> *Omw- men ge pant; tropw/feukteon men kakian, ejpi thdeuteon de:ajrethn, iha dh; ajnti; ajl iwerwn, eujdaimone te kai; makarioi ejn te tw/ paronti biw/ kata; dunamin genoimeqa, kai; ejpeidan tel euthiswmen thn toi~ nun bebiwmenoi~ prepousan te kai; almoit tousan apol abonte~ cwranc, pol u; ejti dh; mail on eulprakaimen.* Pléthon 1987 (B 14), 14, 11 - 15.

<sup>61</sup> პეტრინისა და პლეთონის იდეათა ურთიერთმიმართების ზოგადი ტენდენციების შესახებ იხ. ალექსიძე 2009ა, 19-30.

## ლელა ალექსიძე

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რა იყო მისთვის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ მიგველნია შინაგანი ერთიანობისა და ჭეშმარიტი ფილოსოფოსის მდგომარეობისთვის. პეტრიწის თანახმად, მთავარი იყო სხეულებრივი ცხოვრების უკან მოტოვება, ყოველგვარი გარეშე ზემოქმედებების-გან თავისუფლება და გონისმიერი ცხოვრებით ცხოვრება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ასეთი ცხოვრების ნიმუშად პეტრიწი პროკლეს ცხოვრებას მიიჩნევდა.<sup>62</sup> პეტრიწის აზრით, მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ შინაგან ერთიანობას, ვინც სხეულებრივი ინტერე-სებისგან და გარეშე ზემოქმედებებისგან თავისუფალია. გარდა ამისა, საჭიროა დისციპლინებში წვრთნა, ისეთებში, როგორიცაა მათემატიკა, გეომეტრია, ფიზიკა და მუსიკა. ბოლოს საჭიროა წმინდა მჭვრეტელო-ბითი ცოდნისა და ტრანსცენდენტური ერთის ხედვის დონის მიღწევა (რამდენადაც ეს საერთოდ ადამიანისთვის არის შესაძლებელი), დისკურ-სიული აზროვნების (*dianoiia*) დონიდან გონითი ცოდნის (*nohisi-*) დონე-ზე გადასვლა. ამ პროცესში სულმა უნდა გაითავისოს შემეცნების საგანი, ისე, რომ შემმეცნებელსა და შესამეცნებელს შორის განსხვავება გაქრეს, მოხდეს გადასვლა პასიური გონიდიდან აქტიურზე. სხვა ნეოპლატონიკოს-თა მსგავსად, ადამიანის არსებისა და მისი არსებობის სხეულებრივი და „პოლიტიკური“ (სოციალური) ასპექტები, ისევე როგორც სულის უფრო „ქვედა“ (გონებასთან შედარებით) ნაწილები პეტრიწისთვის ისეთი მნიშ-ვნელოვანი არ ყოფილა, როგორც ეს პლეთონისთვის იყო. შესაბამისად, ვფიქრობ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის თვითსრულყოფისა და სიქველეების პეტრიწისეული გაგება უფრო ნეოპლატონური ხასიათის იყო, ვიდრე პლეთონის შემთხვევაში, ვინაიდან პლეთონის ფილოსოფიაში ზოგადად და, კონკრეტულად, მისეულ სიქველეთა თეორიაში, როგორც ვთქვით, ადამიანი როგორც ადამიანი (რაც სულისა და სხეულის კომბი-ნაციას ნიშნავდა) და როგორც საზოგადოებრივი („პოლიტიკური“) არ-სება გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა გვიანანტიკური და შუა საუკუნეების პლატონიკოსების თეორიებში.

<sup>62</sup> იხ. პეტრიწი II, 1937, 7. სიქველეთა თეორიის არაპირდაპირი გზით ასახვისათვის პეტრიწის ფილოსოფიაში იხ. ალექსიძე 2014, 22-30; Alexidze 2014b, 182-183. აქვე უნდა გავითვალისწინოთ იმანე სინელის „კლემაქსის“ თარგმანი, თუ ის მართლაც პეტრიწისაა.

## დასკვნა

ნეოპლატონიკოსებზე გაცილებით უფრო მეტად, პლეთონი, როგორც ვთქვით, ხაზს უსვამდა ადამიანში, როგორც კომპოზიტში, ორი სუბსტანციის ერთობას. მისი აზრით, ადამიანი ამქვეყნიურად სხეულითაც სრულყოფილია და ის უნდა დარჩეს იმ ადგილზე, სადაც არის ამ ცხოვრებაში. ამქვეყნად ადამიანი მოქალაქე უნდა იყოს, მერე კი სულს შეეძლება გაიხაროს უფრო „კომფორტული“ ცხოვრებით.<sup>63</sup> ვფიქრობ, გარკვეული გაგებით, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ პლეთონის სიქველეთა თეორია არა მხოლოდ დეტალებში, არამედ არსებისეულადაც განსხვავდებოდა არა მარტო ნეოპლატონიკოსების, არამედ, გარკვეულწილად, თავად პლატონის თეორიისგანაც. საქმე ისევ ისაა, რომ პლეთონს ინდივიდუალობა – ადამიანი, მისი მე წარმოედგინა, როგორც სულისა და სხეულის ერთობა, მაშინ როდესაც პლატონისა და ნეოპლატონიკოსებისთვის ადამიანის ნამდვილი მე, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, მისი სული იყო. პლეთონი არ აღიქვამდა სხეულს ადამიანის თვით-ობის უარყოფით ელემენტად, ის დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანის კონკრეტულ სოციალურ აქტივობას, რაშიც ადამიანი, მისი აზრით, ყველა თავისი შესაძლებლობით, როგორც სულიერით, ასევე სხეულებრივით, უნდა ყოფილიყო ჩართული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩვენ, პლატონიკოსთა მსგავსად, განვიხილავთ ადამიანის სულს როგორც მის მე-სა და თვით-ობას, ხოლო სხეულს – როგორც სხვა-ს, მაშინ, ვფიქრობ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პლეთონისთვის ადამიანის სხვაობა თავისთვის და, აგრეთვე, ადამიანის მიმართება სხვა ადამიანებთან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნეოპლატონიკოსებისთვის და, შეიძლება ითქვას, დიდწილად თავად პლატონისთვისაც კი.<sup>64</sup> ამიტომ, ვფიქრობ, ამ კუთხით თუ შევხედავთ პლეთონის ფილოსოფიას და, კერძოდ, სიქველეთა შესახებ მის თეორიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის შეიცავდა არა მხოლოდ ანტიკური პლატონიზმის თავისებურებებს, არამედ, ნებით თუ უნებლიერ, ადამიანის, როგორც სულისა და სხეულის ერთობის, ქრისტიანულ გაგებას. ამავე დროს, ეს იყო ერთგვარი „შესავალი“ და მომზადება ადამიანის, როგორც

<sup>63</sup> იხ. ტამბრუნ-კრასკერის გამოკვლევა, Pléthon 1987, XXXIX.

<sup>64</sup> ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ პლატონის „სახელმწიფოსა“ და „კანონების“ პროექტებს. ეს მისი მოღვაწეობის ის სფეროა, რომელსაც, თავისებურად, თავისი დროის კონტექსტში, პლეთონი ავითარებდა.

## ლელა ალექსიძე

სულისა და სხეულის ჰარმონიული ერთობისა და *vita activa*-ს პოზიტიური – რენესანსული გაგებისთვის.

პლეთონის შემდეგ და მისი ძალისხმევის შედეგადაც, დასავლეთ ევროპამ პლატონი გაიცნო და მარსილიო ფიჩინომაც ფლორენციაში პლატონური აკადემია დაარსა. ოლონდ ეს აკადემია უფრო სხვა – არა პლეთონისეული გზით წავიდა; ის უფრო მჭვრეტელობით-ორფიკულ-პითაგორულ-ნეოპლატონურად – ასე ვთქვათ „ფედონურად“ იყო ორი-ენტირებული. სიქველეთა საკითხშიც ფიჩინო გაცილებით უფრო „ნეო-პლატონიკოსი“ აღმოჩნდა, ვიდრე პლეთონი. ის ასხვავებდა სიქველეთა ორ ძირითად სახეობას: თეორიულსა და ზნეობრივს. ზნეობრივი სიქველის მიზანი იყო სულის გამიჯნვა სხეულისგან, ხოლო მჭვრეტელობითი სიქველის მიზანი იყო უსხეულო, უნივერსალური და სხეულებისგან მოცილებული არსების და მიზეზების წვდომა.<sup>65</sup> ფიჩინოსთან შედარებით, სიქველეთა პლეთონისეული გაგება ბევრად უფრო მეტად ითვალისწინებდა სხეულსა და საზოგადოებას. სიქველემ, პლეთონის თანახმად, უნდა შეინარჩუნოს ადამიანი როგორც მთელი, იმისთვის, რომ მან სამყაროში და საზოგადოებაში თავისი როლი შეასრულოს.<sup>66</sup>

ჩვენი თემის თვალსაზრისითაც პლეთონმა პლატონიზმის ხანგრძლივ ისტორიაში თავისებური ნაბიჯი გადადგა: მის ფილოსოფიაში ნამდვილი მე, გვიანანტიკური პლატონური ტრადიციისგან განსხვავებით, პლოტინური პრინციპებით „მოაცილე ყველაფერი“<sup>67</sup> და „გაქცევა მარტოსი მარტოსთან“<sup>68</sup> ველარ განისაზღვრებოდა და ვერ შემოიფარგლებოდა: საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანის გარემოში შემოიჭრა და ადამიანისაც, ამ ცხოვრებისა და საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებისა და მოპოვებისთვის, მეტიც – საკუთარი მე-ს ნამდვილად მოპოვებისთვის ამ მე-ს საზღვრებს გასვლა უწევდა და ეს გასვლა პოზიტიურად აღიქმებოდა.

<sup>65</sup> ალექსიძე 2012ბ, 346-348.

<sup>66</sup> იხ. ტამბრუნ-კრასკერის გამოკვლევა, Pléthon 1987, XLV.

<sup>67</sup> *ajfel e panta*. Plotinus, Enn. V 3, 17, 38.

<sup>68</sup> *fugh; monou pro~ monon*. Plotinus, Enn. VI 9, 11, 49-51; შდრ. აგრეთვე Plotinus, Enn. IV 7, 10, 27-11, 9: *Skopei dh; ajfel wn, mal l on de; ol ajfel wn eauton ijdew kai;pisteusei ajanato- eihai* („მოაცილე [საგანს ზედმეტი] და დააკვირდი. მეტიც: მოაცილე [ზედმეტი] და შეხედე საკუთარ თავს. მაშინ ირნმუნებს [ადამიანი], რომ უკვდავია“). იხ. ალექსიძე 2009ბ, 125, 127-129.

## ბიბლიოგრაფია

### References

- ალექსიძე 2008:** ალექსიძე ლ. 2008, იოანე პეტრინი და ანტიური ფი-ლოსოფია. თბილისი
- ალექსიძე 2009ა:** ალექსიძე ლ. 2009, ანტიურობა XIV-XV საუკუნეების ბიზანტიურ ჰუმანიზმი: რამდენიმე პარალელი პეტრინის ფილო-სოფიასთან, ბიზანტინოლოგია საქართველოში 2. რედ. ნ. მახა-რაძე, მ. გიორგაძე, ტ. I, თბილისი, 19-30
- ალექსიძე 2009ბ:** ნეოპლატონური ფილოსოფია: პლოტინი და იამბლი-ქოსი, ბერძნული ტექსტი, თარგმანი და განმარტებები, თბილისი
- ალექსიძე 2011ა:** ალექსიძე ლ. 2011, სიქველის საფეხურები თავი-სუფლებისკენ აღმავალ გზაზე: ნეოპლატონური პარადიგმები ბიზანტიურ ფილოსოფიაში, ბიზანტინოლოგია საქართველოში 3. რედ. ნ. მახარაძე, ნ. სულავა, თბილისი, 21-29
- ალექსიძე 2011ბ:** ალექსიძე ლ. 2011, „მე“, „სხვა“ და მათ შორის მიმარ-თება პოლ რიკიორის ფილოსოფიაში, ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, 2, 11-26
- ალექსიძე 2011გ:** ალექსიძე ლ. 2011, „საკუთარი თავი“ და „სხვა“: გზა ინტელიგიბილურისკენ ადრეულ ნეოპლატონიზმში: პორფირიო-სი, მე-40 სენტენცია, პლოტინი VI, 5, ფილოსოფიურ-თეოლო-გიური მიმომხილველი, 1, თბილისი, 33-51
- ალექსიძე 2012ა:** ალექსიძე ლ. 2012, პლატონიკოსის არჩევანი თეორიულ და პრაქტიკულ ცხოვრებას შორის: გეორგიოს გემისტოს პლე-თონის გამოცდილება, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთსა შორის. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, მიძღვნილი ზაზა ალექსიძისადმი, რედ. დ. ჩიტუნაშვილი, თბილისი, 337-348
- ალექსიძე 2012ბ:** ალექსიძე ლ. 2012, პორფირიოსი, 32-ე სენტენცია. თარგმანი ძეველი ბერძნულიდან და კომენტარი ლ. ალექსიძის. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, 1, 2011. თბილისი, 170-178
- ალექსიძე 2012გ:** ალექსიძე ლ. 2012, მე და სხვა: იოანე პეტრინი ნეო-პლატონური ტრადიციის კონტექსტში, ჰუმანიტარული კვლევე-ბი, წელიწდეული, 3, 11-30
- ალექსიძე 2012დ:** ალექსიძე ლ. 2012, ერთიანობა ჩვენში და ჩვენი ერ-თობა მარადიულ არსთან. პორფირიოსის მე-40 სენტენცია და

## ლელა ალექსიძე

მისი წყარო პლოტინთან, შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური წერილები, ეძღვნება ლერი მჯედლიშვილის 75 წლის იუბილეს, რედ. თ. ირემაძე, თ. ცხადაძე, გ. ხეოშვილი, თბილისი, 12-23, 266-267

**პეტრინი II, 1937:** იოანე პეტრინის შრომები, ტ. II, 1937, განმარტებად პროკლესთვეს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვეს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხეჩიშვილმა, ტფილისი

**პორფირიოსი 2013:** პორფირიოსი 2013, ამოსავალი პრინციპები გონითი სინამდვილისთვის – „სენტენციები“, ბერძნული ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა, შესავალი, განმარტებები და ინდექსი დაურთო ლ. ალექსიძემ, თბილისი

**Alexidze 2014a:** Alexidze L. 2014, Ioane Petritsi, in: S. Gersh (ed.), *Interpreting Proclus. From Antiquity to the Renaissance*, Cambridge, 229-244

**Alexidze 2014b:** Alexidze L. 2014, ‘One in the Beings’ and ‘One within Us’: The Basis of the Union with the One in Ioane Petritsi’s Interpretation of Proclus *Elements of Theology*, in: T. Nutsubidze, C.B. Horn, B. Lourié (eds.), *Georgian Christian Thought and Its Cultural Context. Memorial Volume for the 125<sup>th</sup> Anniversary of Shalva Nutsubidze*, Leiden, Boston, 175-193

**Bargeliotes 1975:** Bargeliotes L. 1975, Fate or Heimarmene according to Pletho, in: *Diotima* 3, 137-149

**Beierwaltes 1977:** Beierwaltes W. 1977, Pronoia und Freiheit in der Philosophie des Proklos, in: *Freiburger Zeitschrift für Philosophie und Theologie*, 24, Freiburg - Schweiz, 88-111

**Beierwaltes 1985:** Beierwaltes W. 1985, *Denken des Einen: Studien zur neuplatonischen Philosophie und ihrer Wirkungsgeschichte*, Frankfurt am Main

**Brisson 2004:** Brisson L. 2004: La doctrine des degrés de vertus chez les Néo-Platoniciens. Une analyse de la Sentence 32 de Porphyre, de ses antécédents et de ses conséquences, in: L. Brisson, J.-F. Pradeau (eds.), *Études platonicienne*, I, Paris, 271-286

**Gersh 2014:** Gersh S. 2014: George Gemistos Plethon, in: S. Gersh (ed.), *Interpreting Proclus. From Antiquity to the Renaissance*. Cambridge, 216-225

- Hoffmann 2014:** Hoffmann Ph. 2014: Science théologique et foi selon le commentaire de Simplicius au *De Caelo d'Aristote*, in: E. Coda, C. Martini Bonadeo (eds.), *De l'antiquité tardive au moyen âge. Études de logique aristotélicienne et de philosophie grecque, syriaque, arabe et latine offertes à Henri Hugonnard-Roche*, Paris, 277-363
- Keller 1957:** Keller A. 1957, Two Byzantine Scholars and Their Reception in Italy, in: *Journal of the Warburg and Courtaud Institutes*, vol. 20, No. 3/4 (Jul. - Dec.), 363-370
- Masai 1956:** Masai F. 1956, *Pléthon et le Platonisme de Mistra*, Paris
- Peritore 1977:** Peritore N. P. 1977, The Political Thought of Gemistos Plethon: A Renaissance Byzantine Reformer, in: *Polity*, vol. 10, No. 2 (Winter), 168-191
- Pletho, De virtutibus (PG 160):** Georgius cognomento Gemistus sive Pletho, *de virtutibus*, in: J. P. Migne (ed.), *Patrologiae cursus completus*. Series graeca, T. 160, Paris 1866, col. 865-882
- Pletho, De legibus (PG 160):** Georgius cognomento Gemistus sive Pletho, *de legibus*, in: J. P. Migne (ed.), *Patrologiae cursus completus*. Series graeca, T. 160, Paris 1866, col. 957-974
- Pléthon 1987:** Georges Gémiste Pléthon 1987, *Traité des vertus*. Édition critique avec introduction, traduction et commentaire par B. Tambrun-Krasker, Athens, Leiden, New-York, København, Köln
- Plotin 1960:** Plotin 1960, *Schriften*, Band Va. R. Beutler, W. Theiler (eds.), Darmstadt
- Porphyrius 1997:** Porphyrius 1975, *Sententiae ad intelligibilia ducentes*, edidit E. Lamberz. Leipzig
- Porphyre 2005:** Porphyre 2005, *Sentences*. T. I, II. Études d'introduction, texte grec et traduction française, commentaire, avec une traduction anglaise de J. Dillon. Travaux édités sous la responsabilité de L. Brisson, Paris
- Tambrun 2005:** Tambrun B. 2005, Georges Gémiste Pléthon: les vertus entre théologie et politique, in: W. Blum, W. Seitter (eds.), *Georgios Gemistos Plethon (1355-1452) Reformpolitiker, Philosoph, Verehrer der alten Götter*, Zürich, 101-117
- Taylor 1920:** Taylor J.W. 1920, Gemistus Pletho as a Moral Philosopher, in: *Transactions and Proceedings of the American Philological Association*, vol. 51, 84-100

**Taylor 1921:** Taylor J.W. 1920, *Georgius Gemistus Pletho's Criticism of Plato and Aristotle*, Menasha

**Webb 1989:** Webb R. 1989, The Nomoi of Gemistos Plethon in the Light of Plato's Laws, in: *Journal of the Warburg and Courtauld Institutes*, vol. 52, 214-219

Lela Alexidze

### ***Self and Other in the Context of Pletho's Theory of Virtues***

The aim of this paper is to analyze the dialectic of *self* and *other* in the context of Georgios Gemistos Pletho's theory of virtues. For this purpose, we discuss also the relation between Pletho's theories of the grades of virtue on the one hand, and his Neoplatonic predecessors on the other. The questions we shall try to answer, are as follows: How important was, in Pletho's theory of virtue, the role of *other* in attaining the true *self*? Can we say that Pletho's Platonism, as far as this aspect of his theory of virtues is concerned, is a Neoplatonic one?<sup>69</sup>

It is well known that the late antique and medieval Platonists made the choice between the contemplative and active ways of life in favour of the first one. Neither the practical -'political' activity nor the grades of virtue in the social context were as important for them as the 'theoretical' – contemplative, intellectual activity and the spiritual self-sufficiency of an individual. It was Pletho, who clearly inspired the tendency of 'rehabilitation' of *vita activa* later continued by the Italian Renaissance philosophers. Pletho's intention was a restoration of Plato's authentic, original theory, which included the philosophy not only of the contemplative but also of the practical life and reforms, and lacked the asceticism of late antique and medieval Platonism.

Pletho's political theory and his theory of virtues are inter-related, as for Pletho, the virtues were important not only as a method leading to the individual spiritual self-sufficiency and personal intellectual perfection but also

---

<sup>69</sup> The present article is a modified version of my paper presented at the 11<sup>th</sup> annual Conference of ISNS in Cardiff (June 2013): "Pletho on the Grades of Virtue: Back to Plato via Neoplatinism?"

as a way which could bring the whole nation to the realization of political, social, religious, agricultural, military reforms, independence and freedom. Moreover, all this not only had ethical and political meaning for Pletho, but was also ontologically and cosmologically significant, because Pletho considered individual self-perfection and the realization of political reforms as a fulfillment of a part of the divine providential plan, which is, as he believed, eternally governed by the divine reason. Pletho was sure, on the one hand, that the universal providential plan governs the world and that the world is eternally predetermined, while on the other hand, he believed in human liberty. In Pletho's opinion, these two aspects of ontological, cosmological and anthropological reality (including ethics and politics) do not contradict each other, but are in harmony. Then the liberty requires from a person, as Pletho claimed, the full spiritual and practical activity based on the proper understanding of the divine providential plan and the universal causal determination. Therefore, man in Pletho's opinion, is free and not free at the same time, though it is a necessity, not slavery, to which he is submitted.

#### *Four cardinal virtues and their subdivisions*

Virtue for Pletho is the state/disposition according to which we are good. A man needs virtues, because he is neither perfect nor good and always lacks something. According to Pletho, virtue is a means by which we can attain a certain level of goodness and become like God as much as it is possible for us, human beings. God is genuinely good; consequently, He does not need virtues, because he is self-sufficient. For the man on the contrary, it is impossible not to be in need of something. In Pletho's opinion, similarity to God can be accomplished only by intellectual activity. This proves Platonic and even Neoplatonic character of his philosophy, though there also are certain differences between Pletho's theory and Neoplatonic understanding of virtues.

The main characteristic of Pletho's theory of virtue, which proves the difference between him and Neoplatonism, lies in the fact that for Pletho man should remain man, and his likeness to God could only mean that he is man in his best condition rather than transcend this condition and become the divine being. For Pletho, similar to Plato, the philosopher is in the service of the reformer. Therefore, the practical aspects of philosophy are very important for Pletho. He was sure that a man should not neglect the fact that he is composed

of body and soul, and that he is a social, political being who lives and must live together with other people. The likeness to God was for Pletho as for all Platonists, the basis of human virtue, but it did not mean for him the detachment from the body. Therefore, the mixture of two natures, of mortal and immortal, was a positive fact for Pletho. He believed that it was the result of divine providence, made for the sake of universal harmony. That was the reason, why man, in Pletho's opinion, should not only not try to run away from the position he got by destiny, but more than that, he should, by means of self-perfection in the virtues, achieve the best condition of his selfhood, in regard to himself as well as in regard to others (people and milieu). In Pletho's theory, intellectual activity is, as we said the main characteristic of man as man and of his likeness to God, though the other levels of virtue are very important for his self-perfection, as well. Then the whole complex of the virtues has for Pletho as a goal not only the intellectual (spiritual) perfection of an individual, as it was in Neoplatonism, but his perfection as of a unique being, composed from body and soul, and as of political being as well. Hence, the difference from the Neoplatonic theories is evident. Especially the political context of virtues was not interesting for the ancient Neoplatonic philosophers in any way.

Pletho's theory is based on four cardinal virtues of Plato's *Republic*. First, Pletho describes them in the descending order. The first virtue concerns the upper part of man's soul. (1) Wisdom (*fronhsia*) is the virtue of man as man, that is, of his rational part. It characterizes man in himself, in relation to himself and not to others. (2) Justice (*dikaiosunh*) is concerned with what is external to man and is a virtue in relation to other men. (3) Courage (*ajndreia*) is the virtue in relation to the involuntary feelings and affections. It means to be unaffected by the violent affections of life. For Pletho, courage is the quality by which a man stands at his appointed post in life as parent, friend, neighbour, citizen, and member of the divinely ruled universe. It is concerned with holding the animal part (that means, the irrational elements of human nature, like fears and desires) of the composite being, man, in subjection to the divine element. By courage, fears are controlled. (4) Temperance/moderation (*sw-frosunh*) is man's virtue in relation to the voluntary affections, which concern the irrational part of himself and his desires. By temperance/moderation, the desires are controlled. It means self-sufficiency against the necessities of life.

The last two cardinal virtues concern the lower parts of man's soul. They help to maintain the value of what is good in us against what is bad. Afterwards, Pletho also summarizes the four cardinal virtues in ascending order, starting from the lowest virtue and ending with the highest one.

Each cardinal virtue is divided into three parts. As a result, we have 12 virtues, which represent the duties of man. The three parts of *temperance/moderation* serve to control three kinds of desire: pleasure, money, and honour. These parts (in ascending order) are: (a) orderliness/propriety (*kosmioth-*), which is self-control against the desire for pleasure; (b) freedom/liberality (*eļeuqerioth-*), which means self-control in the spending of money, (c) moderation (*metrioth-*), which is self-control in regard to the pursuit of fame.

The three parts of *courage* serve the control of involuntary affections. These parts are: (a) mildness/gentleness (*prabth-*), which is the forbearance of a great man in the face of malicious hostility; it refers to an attitude of mind; (b) nobility (*gennaioth-*), which is the endurance of suffering necessary for the attainment of a desired end, and (c) high spirit (*euyucia*), which is the virtue of man, who is confident that nothing can harm him except baseness entering his soul by way of false opinion. Such a man will believe that the blows of fortune have a purpose and are meant for his good.

The three parts of *justice* refer to God, society, and to individual men. (a) Goodness (*crhstoth-*) is an active virtue, being shown in deed. It means one's dealing with individual men. (b) Citizenship (*politeia*) is the justice in one's relations with society. (c) Piety (*obsioth-*) is one's right attitude and activity in relation to God. It helps to avoid atheism, on the one hand, and, on the other, the superstition, which means the belief that God can be really influenced by prayer and worship.

The three parts of *wisdom*, according as it amounts to knowledge of human affairs, of nature and of God, are: (a) prudence/good council (*eupouliə*); (b) *fusikhę* which is the knowledge of physics. It contributes greatly to man's happiness, since it demands the activity of the highest part of his nature and makes him part of the universe; (c) Worship of God (*qeosebeia*). This is regarded as the synoptic view of all things. Man's task is to understand the causes and laws of natural phenomena and the reason why things are good or evil for men. When he has reached a final, unifying view by which the purpose, the goodness (*aigaqon*) of all is plain, he has attained the view of God, the state of *qeosebeia*, and that is the height of human happiness.

Therefore, it is evident that in Pletho's opinion, for all levels of the four cardinal virtues as well as for all twelve levels 'inside' these virtues the practical aspects of human activity are important. I mean by the word 'practical' the political activity of man (man as a member of a society) and his activity of a

being composed of the soul and body. Therefore, in Pletho's opinion, a man should make efforts to be like God with all the possibilities he has as a human being. Moreover, for attaining the highest level of virtue, man should be able to recognise himself as a part of the cosmos. For this purpose, a knowledge of physics is required. Without these more or less practical steps, the highest, purely intellectual level could not be attained.

*Pletho vs. Porphyry and Petritsi: difference between their theories of virtue*

For Neoplatonists, as Plotinus and Porphyry (but also for late Neo-Platonism, patristics, and Medieval Christian philosophy, either Byzantine or Latin), virtues (even the so-called 'political' ones) had no concrete political significance. The virtues served the transformation of the individual self, the 'elevation' of the *self* as far as possible up to the 'divine' level of the Intellect. On the basis of Plotinus' text (*Enn. 1, 2*), though with certain modifications, Porphyry discusses in the *Sent.* 32 grades of virtue and their types. He makes clear the difference between the four levels of human inner self-perfection, which represent a way leading a human being to the maximally achievable perfect wisdom and identity with the Intellect, as well as freedom from the external and accidental circumstances and characteristics. At the same time, this is the way to the inner and true *self* of this person and, thus, to his freedom. Porphyry's aim was to learn and to teach how to achieve self-concentration, which was the intellectual concentration on the 'one within us' and required maximally possible freedom from the plurality, otherness and corporeal influences. It was otherwise in Pletho. For Pletho, man was a composite of the soul and body. In his theory, the personal *self* of a man had to be a part of the national identity, and the aim of the virtues was to transform not only man but also the whole nation. The unity of the nation required the harmonisation of the different aspects of this complex organism. In addition, the unity of a person required the harmonisation of the corporeal and spiritual elements rather than the 'abolition' of the corporeal ones. Therefore, Pletho considered the plurality in the unity and the otherness (not only on the national level, but also on the personal one) more positively than Porphyry or other Neoplatonists. The virtues in Pletho's interpretation were aimed at the happiness of man as a man (not god) as far as it could be attainable in this life.

It is interesting to compare Petritsi with Pletho, because, though they belonged to the different epochs, these two philosophers, as no one else in

the Byzantine and Georgian Christian world in the Middle Ages, clearly expressed their sympathies for Platonic philosophy, although in Pletho's case it was Plato, in Petritsi's case it was first and foremost Proclus. As for the theory of virtues, Petritsi did not explicitly discuss the four cardinal virtues and generally the virtues, though we can say what was important in his opinion for achieving unity in ourselves and becoming a true philosopher. The main goal for a man, according to Petritsi, is to leave behind his corporeal life and all kinds of affections and to live an intellectual life as much as it is possible. In Petritsi's opinion, only those people, who by means of self-concentration can free themselves from corporeal interests and affections, will be able to achieve inner unity. They must go upwards, learning disciplines, such as mathematic, geometry, physics, and music, and reach the level of pure contemplative knowledge and the vision of the transcendent One (as far as this is possible for man), transiting from the level of discursive reasoning to the level of intellectual knowledge, and from the passive intellect to the active one. The corporeal and 'political' (social) aspects of the human being and existence as well as the 'lower' parts of the soul were not as important for Petritsi as they were for Pletho. Therefore, Petritsi's understanding of human perfection and virtues was more of a Neoplatonic character than that of Pletho.

### *Conclusion*

Thus, we can say that in Pletho's philosophy generally and in his theory of virtues in particular, man as man (composite of soul and body) and as social ('political') being plays a much more important role than in the theories of late antique or medieval Platonists. One more characteristic of Pletho's theory of virtues in the context of the relationship between *self* and *other* is that, according to Pletho, the aim of virtues is not to make one free from all kinds of otherness in order to become a true self, but rather to 'assimilate', become a 'friend' with others, while in the Neoplatonic theories, the highest point of virtue is aimed at the transcending of otherness and plurality, and the attainment of unity within one's *self* as far as is possible for a human being. Moreover, in a certain sense, we can also say that Pletho's theory of virtues is not only in details but also substantially quite different from Plato's theory, too. Then Pletho understands individuality as a composite of soul and body, while for Plato and Neoplatonists the true *self* of man is, first and foremost, his soul. Pletho

does not regard body as a negative element of human *self*, and pays much attention to the concrete social and political activity of man in which he should be involved with all his capacities, spiritual as well as corporeal ones. In other words, if we consider, like Platonists, man's soul as his *self* and body as *other*, then we can say that for Pletho man's otherness in himself and man's relation to other men, too, is much more important than it is for Neoplatonists and, in a certain sense, even for Plato. Therefore, considering Pletho's philosophy and in particular his theory of virtues from this point of view, we can say that his theory implies not only features of ancient Platonism but, also, willingly or unwillingly, Christian understanding of man as unity of soul and body, and previews typical for Italian Renaissance positive understanding of human soul-body relationship and of *vita activa*.

**ଓইଲ୍ଲମ୍ବନ୍ଦିଗା**



## რუსუდან ასათიანი

### ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

#### 1. ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა

ლაზური ზმნის საკმაოდ რთული მორფოლოგიური სტრუქტურა ძირითადად აგლუტინაციურ პრინციპს ემყარება – სხვადასხვა კატეგორიის გამომხატველი პრეფიქს-სუფიქსები ძირთან ერთად ქმნიან მორფემათა საკმაოდ გრძელ ჯაჭვს:

- (1) მტკიცებითი ნაწილაკი
- (2) ზმნისნინი
- (3) პირისა და რიცხვის მორფემა
- (4) ხმოვანპრეფიქსი
- (5) ძირი
- (6) სუფიქსური დერივატი
- (7) თემის ნიშანი
- (8) უნკვეტლის მორფემა
- (9) მწკრივის ნიშანი
- (10) პირისსუფიქსური მორფემა
- (12) პირობითობის მაჩვენებელი

მორფემათა ეს ჯაჭვი კიდევ უფრო „გრძელდება“ მეშველი ზმნით (თურმეობითისა და მომავალი დროის რთულ ფორმებში) და, ასევე, ტექსტის მარგანიზებელი დისკურსული ნაწილაკებით, როგორებიცაა კითხვითი ნაწილაკი (სუფიქსური მაჩვენებელი-ი), სხვათა სიტყვის ნაწილაკები (-ა/-ა, -შო, -მა) და მაკავშირებელი ნაწილაკები,<sup>1</sup> რომლებიც, როგორც წესი, ზმნურ ფორმას ასრულებენ. რამდენადაც ამ ნაწილაკების ფუნქცია არის ტექსტის ორგანიზება და არა ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების მარკირება, ისინი ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ამსახველ მოდელში ასახული არ არიან. ერთადერთი გამონაკლისია მტკიცებითი

---

<sup>1</sup> იხ. ასათიანი 2011.

## რუსუდან ასათიანი

ნაწილაკი, რომელიც უარყოფით და აკრძალვით ნაწილაკებთან ერთად იწყებს ზმნურ ფორმას. მტკიცებით ნაწილაკს შესაძლებელია წინადადების საინფორმაციო სტრუქტურაში დამარწმუნებელი ფოკუსის (ე.ნ. Verum Focus) სტატუსი მიენიჭოს და დისკურსულ მარკერად კვალიფიცირდეს, თუმცა, ზოგჯერ (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზმნას ზმნისწინი არ დაეთვის) ის სრულ ასპექტსაც ანარმოებს; ამასთანავე, -ქა-ქო მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფებით მოქმედების ორიენტაციისაც განასხვავებს: -ქა(აქეთ) და -ქო(იქით). ამდენად, ზმნური ფორმის ამსახველ მორფოლოგიურ მოდელში ის წარმოდგენილია.

ლაზურში (და მეგრულშიც), ქართულისაგან განსხვავდებით, (6) პოზიციაში ძირითადად კაუზატივის მანარმოებელი ცირკუმფიქსების (>-ინ<, >-აფ<) სუფიქსური ელემენტები დასტურდება, ხოლო ე.ნ. სუფიქსური -დ ვნებითის ფორმები მარგინალურია და იშვიათად გვხვდება (ჩიქობავა 1936, Tuite 2014).

ქართულისაგან განსხვავებით, ლაზურში (ასევე, მეგრულში) გამოიყოფა პირობითობის მაჩვენებელი -კონ სუფიქსი, რომელსაც მოდელში ცალკე პოზიცია (12) აქვს და მხოლოდ მარტივ ზმნურ ფორმებთან ჩნდება.

სხვა პოზიციებში წარმოდგენილი მორფემების ფუნქციები ძირითადად ქართულის მსგავსია, თუმცა მორფემათა შესატყვისობების დადგენა ზოგ შემთხვევაში რთულდება და ალომორფთა განაწილებისა თუ ფუნქციურ-სემანტიკური ხასიათის თავისებურებების გარკვევა ფაქიზანალიზმის მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზურში ზმნის სტრუქტურული ფორმულა მკაცრად დალაგებულ 12 მორფემას აერთიანებს, რეალურად დადასტურებული მორფემების მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 10-ს:

ნიმუშები:

ქო - დო - მ - ო - სკულედ - ინ - ამ - ტ - უ - კონ  
ტკ. - ზმნ. - IO.1 - კაუზ.1 - ცხოვრება - კაუზ.1 - თ.ნ. - უწყვ. - S.3.SG - პირ.

„მართლაც, თუ მაცხოვრებდა“.

ქო - დო - მ - ო - რგ - აფ - აფ - ტ - უ - კონ  
მტკ. - ზმნ. - IO.1 - კაუზ.1 - რგვა - კაუზ.1 - თ.ნ. - უწყვ. - S.3.SG - პირ.

„მართლაც თუ დამარგვევინებდა“.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

ამდენად, ლაზურში მოქმედებს მორფემათა განაწილების იმპლიკაციური, გარკვეული შეზღუდვის წესები:

1. უწყვეტლის მორფემა (8) მოითხოვს თემის ნიშანს (7);
2. მრავლობითობის სუფიქსი -თ (11) გამორიცხავს სუბიექტის თანხმოვნით დაბოლოებულ მაჩვენებელს (10);
3. სუბიექტური მესამე პირის ხმოვანი სუფიქსი (10) გამორიცხავს დროისა და კილოს ხმოვანი სუფიქსების გამოჩენას (9);
4. პირობითობის მორფემა დასტურდება მხოლოდ მარტივ, უმეშველზმნო ფორმებში.

## 2. ხმოვანპრეფიქსები და მათი ფუნქცია


ყველა ქართველურ ენაში, მათ შორის ლაზურშიც, ზმნის ძირთან უახლოეს პრეფიქსულ პოზიციაში ფიქსირდება ხმოვანი მორფემები. ლაზურში ასეთი ხმოვანპრეფიქსებია: -ა-, -ი-, -ო-, -უ-, რომლებიც გამოხატავენ ზმნის სხვადასხვაგვარ დერივაციულ კატეგორიებს: ქცევა, გვარი, პოტენციალისი, რეფლექსივი, კაუზაცია, კონტაქტი.<sup>2</sup>

ფაქიზი ფორმალური ანალიზის საფუძველზე იკვეთება ხმოვანპრეფიქსების საერთო, ზოგადი ფუნქცია: ზმნასთან მორფოსინტაქსურად დაკავშირებული სახელების (*resp.* არგუმენტების – ან აგნესის (*Ag*) ან ადრესატის (*Ad*)<sup>3</sup>) რაოდენობის (*resp.* ზმნის ვალენტობის) ცვლის (ან გაზრდის ან შემცირების) გამოხატვა:<sup>4</sup>

<sup>2</sup> იხ., მაგალითად, ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015.

<sup>3</sup> პაციონსი (P) ზმნის სემანტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული როლია; მისი დაკარგვა-გაჩენა ინვევს ზმნური სემანტიკისა და სტრუქტურის რადიკალურ ცვლას და, ამდენად, ზმნის ვალენტობის გაზრდა-შემცირების დერიგაციულ მოდელებში ის არ მონაწილეობს. რაც შეეხება *Ad*-ს, ამ როლით პირობითად აღნიშნულია ყველა სახის, *Ag* და *P*-სგან განსხვავებული მესამე არგუმენტული როლი, რომელიც სემანტიკურად შეიძლება იყოს ბენეფაქტივი, ექსპერიენცერი, ადრესატი, მოქმედების სამიზნე და სხვ.

<sup>4</sup> საერთო-ქართველურში ამ ხმოვანპრეფიქსების ფუნქციების შესახებ იხ. ასათიანი 1987.



იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა როლის მქონე სახელი იკარგება ან ჩნდება ზმნის ვალენტობით განსაზღვრულ არგუმენტულ სტრუქტურაში, განსხვავდება ქცევის (=ჩნდება ან იკარგება ადრესატი), კაუზაციისა (=ჩნდება აგენსი-ინიციატორი) და გვარის (=იკარგება აგენსი) გრამატიკული კატეგორიები.

### 3. გვარი

ფუნქციონალურ მიმართებათა თეორიის თანახმად, გვარი არის ზმნის ფუნქციონალური კატეგორია, რომელიც ასახავს სემანტიკური როლების (Ag, Ad, P) სუბიექტ-ობიექტად კვალიფიკაციების ძირითად შესაძლებლობებს: თუ აგენსი რეალიზებულია სუბიექტად (Ag→S) და პაციენსი – პირდაპირ ობიექტად (P→DO), ზმნას მიიჩნევენ აქტიური (=მოქმედებითი) გვარისად; ხოლო თუ პაციენსია რეალიზებული სუბიექტად (P→S) და აგენსი ვეღარ ამყარებს ზმნასთან ფორმალურ კავშირს, არ მონაწილეობს ზმნის ვალენტურ მიმართებებში და იქცევა თანდებულიან ფრაზად (ე.ი. ზმნის ვალენტობა მცირდება), ზმნას მიიჩნევენ პასიური (resp. ვნებითი) გვარისად. ასეთი თვალსაზრისით, გვარს, ფაქტობრივად, მხოლოდ ორროლიანი ან სამროლიანი ზმნების (Ag, P, (Ad)) განსხვავებული ფუნქციონალური რეალიზაციების მიხედვით განარჩევენ და, როგორც წესი, პასივს აქტივის კონვერსიულ ფორმად მიიჩნევენ:

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

- თუ  $\text{Ag} \rightarrow S$  და  $P \rightarrow DO$ , მაშინ ზმნა აქტიურია; ხოლო
- თუ  $P \rightarrow S$  და  $\text{Ag} \rightarrow PP// \rightarrow \emptyset$ ,<sup>5</sup> მაშინ ზმნა პასიურია (აქტიურის კონვერსიული)

მაგრამ  $\text{Ag}$  (განსხვავებით სუბიექტისგან) არ არის ყველა ზმნის სე-მანტიკური სტრუქტურის მახასიათებელი აუცილებელი სემანტიკური როლი (მაგალითად, არააქტიური სემანტიკის ზმნებთან: დგას, გდია, წევს, და სხვ. – ის არც ივარაუდება) და, ამდენად, სემანტიკურად (და არა ფუნქციურად) განსხვავებული აქტიური-პასიური შინაარსის მქონე ზმნების დაპირისპირებისათვის მისი დასუსტება/გაუჩინარება შეიძლება არც იყოს მიჩნეული აუცილებელ განმასხვავებელ ნიშნად. ასეთი მიდგომით, შეიძლება აქტივ-პასივის უფრო ზოგადი (ერთოლიანი ზმნების მომცველიც), სემანტიკური და არა მხოლოდ ფუნქციური, გამიჯვნა და სუბიექტის ფუნქციაში სამი როლის შესაძლო რეალზაციების მიხედვით ზმნური ტიპების განსხვავება:

- თუ  $\text{Ag} \rightarrow S$ , მაშინ ზმნა აქტიურია;
- თუ  $P \rightarrow S$ , მაშინ ზმნა პასიურია;
- თუ  $\text{Ad-Exp} \rightarrow S$ , მაშინ ზმნა აფექტურია.<sup>6</sup>

ქართველურ ენათა ზმნური ფორმების ანალიზი ამ მეორე მიდგომის მიხედვით უფრო მარტივი და ადეკვატური ჩანს, რამდენადაც ე.წ. აქტიურ მორფოსინტაქსურ მოდელებს არა მხოლოდ ორ- ან სამროლიანი – აქტიური, გარდამავალი (ანუ, ე.წ. მოქმედებითი გვარის) – ზმნები მისდევენ, არამედ ერთ- ან ორროლიანი – გარდაუვალი აქტიურ-დინამიკურ-ატელიკური შინაარსის ზმნებიც (მაგ.: ცხოვრობს, მუშაობს, ფიქრობს, სახლობს, გორავს და სხვ.); ხოლო პასიურ მორფოსინტაქსურ მოდელებს იცავენ არა მხოლოდ ერთ- ან ორროლიანი აგენსგაუჩინარებული ზმნები, არა-მედ გარდაუვალი არააქტიურ-დინამიკურ-ტელიკური შინაარსის ზმნებიც (მაგ.: დგება, შრება, თვრება, თეთრდება, კვდება და სხვ.).<sup>7</sup>

ამ მორფოსინტაქსური ნიშნების მიხედვით გამოიყოფა ზმნური

<sup>5</sup> რამდენადაც, აგენსი შეიძლება საერთოდ გაუჩინარდეს და აღარ მოიაზრებოდეს „დასუსტებულ“, თანდებულიან ფრაზადაც კი.

<sup>6</sup> აფექტური ზმნები თავისებურ მორფოსინტაქსურ მოდელებს ქმნიან და, ამის გამო, ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში მათ ინვერსიულ ზმნებს უწოდებენ.

<sup>7</sup> ქართულში ამ მოდელების ფუნქციონალური კვალიფიკაციის შესახებ იხ. ასათიანი 2009.

კლასების 4 ტიპი (შდრ. შანიძე 1973, მცირე განსხვავებით, Harris 1991,<sup>8</sup> Holisky 1991):

- I კლასის ზმნები – გარდამავალი, დინამიკური, ტელიკური (resp. მოქმედებითი გვარის ზმნები);
- II კლასის ზმნები – გარდაუვალი, დინამიკური, ტელიკური (resp. დინამიკური ვნებითები);
- III კლასის ზმნები – გარდაუვალი, დინამიკური, ატელიკური (resp. საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები);
- IV კლასის ზმნები – გარდაუვალი, სტატიკური,<sup>9</sup> აპრიორულად ატელიკური (resp. საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები) და აფექტური ზმნები.<sup>10</sup>

ამ კლასთა ზმნები განსხვავდებიან არა მხოლოდ სინტაქსური მიმართებებით, არამედ ზმნური მორფოლოგითაც – II და, ნაწილობრივ, IV კლასის ზმნების განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურა მიჩნეულია მარკირებულ, ე.წ. ვნებითი გვარის გამომხატველ ფორმად და ლაზურში მისი მორფოლოგიური მახასიათებლებია შემდეგი სტრუქტურული ნიშნები:

- აწმყოში<sup>11</sup> ვნებითი გვარის ერთპირიან ზმნებს ახასიათებთ ან -უ დაბოლოება, ან ი-ხმოვანპრეფიქსი -ე (იშვიათად, -უ) დაბოლო-

<sup>8</sup> ჰარისი სინტაქსურ ნიშნებს (კერძოდ, ზმნის არგუმენტთა ბრუნვათა ყალბებს) ანიჭებს უპირატესობას და მედიოპასიურ და სტატიკურ ზმნებსაც კლასის ზმნებად მიჩნევს.

<sup>9</sup> III და IV კლასის ზმნებთან აწმყოში (ართაშენულის ზოგიერთ თქმაში) ჩნდება ახალი, აქტივ-პასივისაგან განსხვავებული, მოდელი მეშველზმნიანი ნარმოებით (კარტოზია 2005).

<sup>10</sup> აფექტური (ე.წ. ინვერსიული) ზმნები სინტაქსურად სპეციფიკურ, არაკანონიკურ სტრუქტურებს ქმნიან სუბიექტ-ობიექტის ბრუნვებისა და ზმნაში ნარმოდგენილი პირის ნიშნების შებრუნებული ფუნქციებით, ხოლო ზმნური მორფოლოგით ან აქტიურ, ან ჰასიურ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას.

<sup>11</sup> ამრისატსა და მისგან ნაწარმოებ დროებში სუფიქსური მაჩვენებლები არ არის ნარმოდგენილი და, ამდენად, აქტივ-პასივის განსასხვავებლად მხოლოდ სინტაქსური ნიშნებიდა რჩება, რამდენადაც ხმოვანპრეფიქსები პოლიფუნქციურია და ცალსახად ვნებითობის მაჩვენებლად მათი კვალიფიკაცია არაადეკვატური ჩანს.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

- ებასთან ერთად.<sup>12</sup> ამათგან, **-უ** დაბოლოება გვხვდება უმეტესად უთემისნიშნი ზმნურ ფორმებში, **-უ** კი თემისნიშნიანებში;<sup>13</sup>
- ორპირიან ვნებითებს ერთპირიანებისგან განასხვავებს **ა-** ხმოვანპრეფიქსი;
  - ერთპირიანებს I და II პირის მხოლობით რიცხვში, ხმოვანფუძიანი ზმნური ფორმების შემდეგ, დაერთვის **-რ** სუფიქსი (აქტიურების მსგავსად).

მაგალითები: **ი-გიბ-ე-ნ** (დუღდება, შეიძლება დუღდეს), **ი-ჭარ-ე-ნ** (იწერება, შეიძლება დაიწეროს), **ი-ჭკომ-ე-ნ** (იჭმევა), **ა-ჭკომ-ე-ნ/ა-ჭკომ-აფ-უ-ნ** (ეჭმევა), **პ-ტუ-ბ-უ-რ** (ვთბები), **ბ-ლურ-უ-რ** (ვკვდები), **ა-ჭარ-ე-ნ** (ეწერება, შეიძლება დაეწეროს), **ი-ქო-აფ-უ-ნ** (ბრუნდება), **ა-ნტალ-აფ-უ-ნ** (ერევა, გაერევა) და ა.შ.

ვნებითის ფორმები ლაზურში, განსაკუთრებით <ა- ე> წარმოებისა, უფრო ხშირად პოტენციალისის გამოსახატავად გამოიყენება. მეგრულში ვნებითისა და პოტენციალისის კატეგორიები ფორმალურად გამიჯნულია, სხვა ქართველურ ენებში კი პოტენციალისის სემანტიკა ძლიერად (ისე, როგორც მეგრულსა თუ ლაზურში) გამოკვეთილი არაა და შესაბამის გრამატიკულ კატეგორიაზე ქართულსა და სვანურში არც მსჯელობენ. ლაზურში პოტენციალისის ფუნქციით გამოიყენებულ ვნებითი გვარის ფორმებში შეიმჩნევა ზმნურ ფორმათა ინვერსიულ ფორმებად გადმოცემის ტენდენცია.<sup>14</sup>

ვნებითი გვარის ფორმათა ეს სემანტიკური თავისებურება (ანუ, პოტენციალისის გამოხატვა) შეიძლება ლაზური ერგატიული კონსტრუქციის სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებული სპეციფიკით აიხსნას:

საზოგადოდ, ერგატიულ კონსტრუქციის ქართველურ ენებში განსაზღვრავს ორი შეზღუდვა:

- (1) ზმნა უნდა იყოს გარდამავალი ან გარდაუვალ-დინამიკურ-ატელიური (ე.ი. ერგატიული კონსტრუქცია, სემანტიკური ნიშნებისაც სახით, ლაზურში არის რამდენიმე ნიმუში **დ-სუფიქსიანი ვნებითისაც** (მაგ.: **გო-მ-ო-ჭკუნ-დ-უ-ნ** (დამავიწყდება-ინვერსიული), **მო-ლორ-დ-უ** (მოტყუვდა) და სხვ. (ჩიქობავა 1936), მაგრამ ეს მოდელი პროდუქტიული არაა.

<sup>12</sup> ნაშთის სახით, ლაზურში არის რამდენიმე ნიმუში **დ-სუფიქსიანი ვნებითისაც** (მაგ.: **გო-მ-ო-ჭკუნ-დ-უ-ნ** (დამავიწყდება-ინვერსიული), **მო-ლორ-დ-უ** (მოტყუვდა) და სხვ. (ჩიქობავა 1936), მაგრამ ეს მოდელი პროდუქტიული არაა.

<sup>13</sup> გვხვდება პარალელური ფორმებიც (კარტოზია 2005).

<sup>14</sup> ასეთი ინვერსიული ფორმების ნიმუშებისათვის იხ. კარტოზია 2005.

- ბის მიხედვით, გაფართოებულია და არა მხოლოდ გარდამავალ ზმნების გადმოსაცემად გამოიყენება, არამედ გარკვეული სე-მანტიკის მქონე გარდაუგალი ზმნების ფორმალურ წარმოდგე-ნებსაც ემსახურება – ე.ი. საქმე გვაქვს ე.წ. „გაფართოებულ“ ერგატიულ კონსტრუქციასთან);
- (2) ზმნა უნდა იყოს დრო-კილოთა II სერიის ფორმებში (ე.ი. გვაქვს ე.წ. „გახლეჩილი“ ერგატივი<sup>15</sup>).
- ქართველურ ენებში ეს ნიშნები განსხვავებულად ფუნქციონირებენ:
- ქართულსა და სვანურში ორივე ნიშანია ღირებული;
  - მეგრულში – მხოლოდ მეორე;
  - ლაზურში კი მხოლოდ პირველი.

ამდენად, ლაზურში არა გვაქვს „გახლეჩილ“-ერგატიული კონსტრუქცია. აქ მხოლოდ ზმნის სემანტიკური ნიშნები, დრო-კილოთა შეზღუდვების გარეშე, განსაზღვრავენ ერგატიულ კონსტრუქციას და, ამდენად, საქმე გვაქვს თანმიმდევრულად ერგატიულ (resp. „ტიპიურ“ ერგატიულ), თუმცა სემანტიკურად „გაფართოებულ“, კონსტრუქციასთან, რამდენადაც ამ მოდელს მისდევენ III კლასის არაგარდამავალი ზმნებიც.

ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის ეს თავისებურება თავისთვად განაპირობებს პასიური კონსტრუქციების სიჭარბეს: „ტიპიურ ერგატიულ“ ენებში პასიური კონსტრუქციები, როგორც წესი, არ დასტურდება. ეს კანონზომიერება იხსნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებული ერთ-ერთი თეორიული მიდგომის საფუძველზე, რომლის თანახმადაც აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს შორის არსებული ფუნქციონალური სხვაობა შედეგია წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების სხვა-დასხვაგვარობის.

საზოგადოდ, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურაში ინფორმაციულად დაწინაურებული სახელი კვალიფიცირებულია მთავარ ფუნქციონალურ კატეგორიად – **სუბიექტად**. ეს არის შეტყობინების ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოდის გარკვეული ინფორმაცია და რომელიც, ბუნებრივია, „დაწინაურებულია“ საინფორმაციო ნაკადში. მაგალითად, ნომინატიურ ენებში აქტიური კონსტრუქციები გამოხატავენ აგენსის დაწინაურებას (resp. Ag=S). თუმცა შესაძლებელია პაციენსიც დაწინაურდეს

<sup>15</sup> ე.წ. „გახლეჩილ“ ერგატივის შესახებ იხ. Dixon 1994.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

და იქცეს გამონათქვამის სუბიექტად; ანუ ინფორმაცია გადალაგდეს ისე, რომ გამონათქვამი გვაწვდიდეს გარკვეულ ინფორმაციას სწორედ რომ მოქმედების ობიექტის, პაციენსის შესახებ და ცენტრალურ, მთავარ ელემენტად აქტუალიზდეს არა აგენსი, არამედ პაციენსი. ფორმა-ლურად პაციენსის ამგვარი დაწინაურება გამოიხატება მისთვის ნომინატიური ფორმის მინიჭებით. მაგრამ ერგატიულ ენებში პაციენსი ყოველ-თვის ნომინატივშია, ე.ი. ინფორმაცია ისეა სტრუქტურირებული, რომ ის უკვე არის ინფორმაციის ცენტრალური, არამარკირებული ერთეული და მისი შემდგომი ფუნქციონალური დაწინაურება ჭარბია. ამიტომაც ერგატიული ენები, როგორც წესი, არ განარჩევენ ფუნქციონალურად და ფორმალურად დაპირისპირებულ აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს.

სწორედ ამგვარი საფუძველი იქმნება ლაზურში და თუ, მაგალითად, ქართულში პასიური კონსტრუქციების არსებობა ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით სრულიად მისაღებია | სერიის ფორმებისთვის, სადაც არსებითად ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს, ლაზურში ის ყველა სერიისთვის ჭარბია. ლაზური, როგორც ჩანს, ასეთი სიჭარბის დასაძლევად და ამ საერთო-ქართველური კონსტრუქციების თავის სისტემაში არაწინააღმდეგობრივად მოსაქცევად, ახდენს პასიური კონსტრუქციების სემანტიკურ რეინტერპრეტაციას და მათ „პოტენციალისის“ გამომხატველ მორფოსინტაქსურ მოდელად აქცევს – „პოტენციალისის“ უფრო სემანტიკაზე ორიენტირებული კატეგორიაა და ფუნქციონალურ ცვლილებებს არ გულისხმობს.

#### 4. ქცევა

ქართველურ ენებში გამოიყოფა სპეციფიკური გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს სუბიექტსა და ობიექტებს შორის არსებულ მიმართებებს მოქმედების ორიენტაციის (resp. კუთვნილება-დანიშნულების) მიხედვით:

- თუ (1) სუბიექტის მოქმედება ორიენტირებულია ირიბი ობიექტისკენ და/ან (2) მოქმედების ობიექტი განკუთვნილია ან დაწინულია ირიბი ობიექტისათვის, ზმნურ ფორმაში ჩნდება ხმოვანპრეფიქსები. (1) შემთხვევაში, თუ ზმნა ვნებითი გვარისაა, ლაზურში ჩნდება ხმოვანპრეფიქსი: **ა-**, ხოლო სხვა შემთხვევებში – ხმოვანპრეფიქსები: **უ-** (როდესაც ირიბი ობიექტი მესამე პირისაა) და **ი-** (როდესაც ირიბი ობიექტი პირველი ან

მეორე პირისაა); ამდენად, ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში შემოდის ირიბობიექტური პირი და, რამდენადაც ვალენტობის ამგვარი ზრდა ფორმალურადაც ასახულია ზმნის მორფოლო-გიურ სტრუქტურაში, შესაძლებელია გამოიყოს ე.წ. **სასხვისო ქცევის** შესაბამისი კატეგორია;

- თუ (1) სუბიექტის მოქმედება ორიენტირებულია სუბიექტისკენვე (resp. რეფლექსივი) და/ან (2) მოქმედების ობიექტი განკუთვნილია ან დანიშნულია სუბიექტისთვის<sup>16</sup> (ე.ი. სუბიექტისა და სტრუქტურული ირიბი ობიექტის რეფერენტი ერთია, რაც კორეფერენციის ძალით იწვევს ზმნის არგუმენტული სტრუქტურიდან ირიბი ობიექტის გაქრობას და ვალენტობის კლებას), ლაზურის ზმნურ ფორმაში ჩნდება -ი- პრეფიქსი; ამდენად, შესაძლებელია გამოიყოს ე.წ. **სათავისო ქცევის** ფორმა;
- თუ სუბიექტის ამგვარი ორიენტირებულობა კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში არ აისახება და, შესაბამისად, არც ზმნის ვალენტობის რაიმე ცვლასთან გვაქვს საქმეს, ზმნის ფორმაც უცვლელი რჩება (არ ჩნდება რაიმე ხმოვანპრეფიქსი); თუმცა წინა შემთხვევებთან შეპირისპირების საფუძველზე მაინც შესაძლებელია გამოიყოს ე.წ. **ნეიტრალური ქცევა** (resp. საარგისო ქცევა – შანიძის ტერმინოლოგიით).

ამდენად, ქცევის კატეგორიის მიხედვით, განსხვავდება სათავისო, სასხვისო და ნეიტრალური ქცევის ფორმები. ამათგან ნეიტრალური ქცევა ლაზურში უნიშნოა, ხოლო სათავისო გამოიხატება **ი-** მორფემით,

---

<sup>16</sup> სათავისო ქცევის ეს (2)-შემთხვევა ლაზურში ძალიან შეზღუდულია და სარფელებისათვის მიუღებელიც კი (ჩიქობავა 1936); ე.ი. ლაზები სათავისო ქცევის ფორმებს, ძირითადად, რეფლექსივის მნიშვნელობით იყენებენ. შესაძლებელია, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ რეფლექსური ნაცვალსახელი ლაზურში არ არსებობს. თუმცა შესაძლებელია ფორმიდან-შინაარსისკენ მიმართული ახსნაც – რეფლექსური ნაცვალსახელების არარსებობის გამო, სათავისო ქცევის ფორმა ლაზურში უპირატესად რეფლექსივის მნიშვნელობას გამოხატავს. ამ შემთხვევაშიც, ვნებითის პოტენციალისად ინტერპრეტაციის მსგავსად, ლაზურში საერთო-ქართველური ფორმები სემანტიკურად რეინტერპრეტირებულია და, ფუნქციონალურად გაფართოებული (რეფლექსივი→სათავისო ქცევა) მიმართებების ფორმალიზაციის ნაცვლად, უპირატესობა კვლავ მარტივსემანტიკურ ინტერპრეტაციას ეძლევა.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები სასხვისო კი **უ-, ო-, ა-** მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფული ეტაპით.

### ქცევის ნიმუშები

ნეიტრალ.. S, (IO), (DO)  S→IO (=S)>Ø (S, DO→ IO(=S)>Ø)	სათავისო S→IO (=S)>Ø (S, DO→ IO(=S)>Ø)	სასხვისო			
		გარდამავალი S, DO→IO		გარდაუვალი S→IO	
		I =I/II	I =III	აქტიური	ვნებითი
<b>დო-პ-ჭკირი</b> (გავჭერი)	<b>დო-ვ-ი-ჭკირი</b> (გავიჭერი)	<b>დო-გ-ი-ჭკირი</b> (დაგიჭერი)	<b>დო-ვ-უ-ჭკირი</b> (დავუჭერი)	<b>ვ-უ-ბირ</b> (ვუმღერ)	<b>მ-ა-გიბენ</b> (მიდულდება)
<b>ბლაფს</b> (პარსავს)	<b>ი-ბლაფს</b> (იპარსავს)	<b>მ-ი-ბლაფს</b> (მიპარსავს)	<b>უ-ბლაფს</b> (უპარსავს)	<b>დო-ვ-ი-ყური</b> (დავუყვირე)	<b>მ-ა-ყვილენ</b> (მეკვლება)
<b>ბონუმს</b> (ბანს)	<b>ი-ბონუმს</b> (იბანს)	<b>მ-ი-ბონუმს</b> (მიბანს)	<b>უ-ბონუმს</b> (უბანს)	<b>მ-ი-კანკალ-ს</b> (მიკანკალება)	<b>მ-ა-მბინენ</b> (მეკვრება)

## 5. კაუზაცია

ზმნის ვალენტობის გაზრდისას, თუ ჩნდება აგენსი, რომელიც მოქმედების ინიციატორის, „მაიძულებელი“<sup>17</sup> პირის როლშია, იცვლება ზმნასთან ფორმალურ მიმართებებში მყოფ არგუმენტთა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ მათი ფუნქციონალური კვალიფიკაციაც. ლაზურში (და სხვა ქართველურ ენებშიც) ამ ცვლილებას თან სდევს ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლაც: ჩნდება ხმოვანპრეფიქსი **ო-** და ზმნის ძირი, როგორც წესი, გართულებულია ან სპეციალური სუფიქსური მაჩვენებლით **-ინ**, ან ე.ნ. სერიის/თემისინიშნისეული **-აფ-** სუფიქსით, რომელიც ვეღარ კვალიფიცირდება თემის ნიშნად, რამდენადაც ის ზმნურ ფუძეს ერწყმის და დრო-კილოთა ყველა ფორმაში გადაჰყვება; ამასთანავე, მას, თავის მხრივ, დრო-კილოთა პირველი სერიის (ანმყოსა და მის-

<sup>17</sup> „იძულება“, ფართო გაგებით, „ნების დართვასაც“ შეიძლება გულისხმობების და ამ მნიშვნელობით კაუზატიური ფორმების გამოყენება ლაზურში საკმაოდ ხშირია (Holisky 1991).

## რუსუდან ასათიანი

გან ნაწარმოებ დრო-კილოთა) ფორმებში ერთვის ფორმალურად იგივე -აფ- მაჩვენებელი,<sup>18</sup> რომელიც, სერიების ფორმათა განმასხვავებელი ზოგადი წესის მიხედვით, მეორე სერიის ფორმებში ჩამოსცილდება. ამ-დენად, კაუზატივის მანარმოებლად შეიძლება გამოიყოს ცირკუმფიქსები ო-ინდა ო-აფ.<sup>19</sup> რაც შეეხება არგუმენტული სტრუქტურის ცვლას, აქ ორი შესაძლებლობა:

- გარდამავალი ზმნა ტრანსფორმირდება სამპირიანად: აგენს-ინი-ციატორი რეალიზდება სუბიექტად, ამოსავალი ზმნის სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად, ირიბობიექტური პირი (თუ ასეთი არის; ე.ი. ზმნა ამოსავალშივე სამპირიანია) კარგავს არგუმენტულ ძალას და იქცევა გარემოებად,<sup>20</sup> პირდაპირი ობიექტის კვალი-ფიკაცია კი უცვლელი რჩება;
- გარდაუვალი ზმნა ტრანსფორმირდება ორპირიანად: აგენს-ინი-ციატორი რეალიზდება სუბიექტად, ამოსავალი ზმნის სუბიექტი იქცევა პირდაპირ ობიექტად, ირიბობიექტური პირი (თუ ასეთი არის; ე.ი. ზმნა ამოსავალშივე ორპირიანია) კარგავს არგუმენ-ტულ ძალას და იქცევა გარემოებად.

## კაუზატიური ფორმების ნიმუშები

	ანტყო	აორისტი
გარდამავალი ორპირიანი: Ag <sub>In</sub> →S, S→IO, DO=DO (ნერს:ანერინებს)	ჭარ-უფ-ს→ო-ჭარ-აფ-აფ/ამ-ს	ო-ჭარ-აფ-უ
გარდამავალი სამპირიანი: Ag <sub>In</sub> →S, S→IO, DO=DO, IO→ADV (ჰპანს მას : აბანინებს მისდა)	ბონ-უმ-ს→ო-ბონ-აფ-აფ/ამ-ს	დო-(ო)-ბონ-აფ-უ

<sup>18</sup> ხოფურში დადასტურებული -აფ-ის ნაცვლად, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში გვხვდება ამ-.

<sup>19</sup> კაუზატივის ფუძის მანარმოებელ ამ ალომორფთა განაწილება შემდგომ კვლევას მოითხოვს.

<sup>20</sup> ირიბი ობიექტი წარმოდგენილია მიმართულებით-დაშორებით ბრუნვაში და ზმნასთან მართვა-შეთანხმების მოდელებში აღარ მონაწილეობს.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები

გარდაუვალი ერთპირიანი: $\text{Ag}_{\text{In}} \rightarrow S, S \rightarrow \text{IO}$ (კვდება : აკვდინება)	$\text{ლურ-უ-ნ} \rightarrow \text{ო-ლურ-ინ-აფ/ამ-ს}$	$\text{ო-ლურ-ინ-უ}$
გარდაუვალი ორპირიანი: $\text{Ag}_{\text{In}} \rightarrow S, S \rightarrow \text{IO}, \text{IO} \rightarrow \text{ADV}$ (უმღერის : ამღერებს მისდა)	$\text{უ-ბირ-ს} \rightarrow \text{ო-ბირ-აფ-აფ/ამ-ს}$	$\text{ო-ბირ-აფ-უ}$

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიების გამოხატვის პარალელურად ხმოვანპრეფიქსები სხვადასხვაგვარ შინაარსებსაც გამოხატავენ – თითქმის ყველა ხმოვანპრეფიქსი პოლიფუნქციურია და დამატებით სხვა მიზნებითაც გამოიყენება; მაგ.: **უ-** ჩნდება III სერიის ძველ ფორმებში, ასევე, არაკუთვნილება/დანიშნულებითი მიმართების გამომხატველი ირბი თბიექტის შემოსაყვანად ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში, **ო-** ჩნდება ზოგიერთ კონკრეტული შინაარსის ზმნურ ფორმაში იმგვარად, რომ მისი კვალიფიკაცია გართულებულია (არც ქცევისას ჰგავს და არც გვარისას) და სხვა.<sup>21</sup>

## 6. დასკვნები

ხმოვანპრეფიქსების წარმოდგენილი ინტერპრეტაცია ვალენტობის-მცვლელ აფიქსებად უფრო ეფექტური ჩანს, რამდენადაც პრეფიქსთა პოლიფუნქციურობა აიხსნება არგუმენტთა ‘მატება-კლების’ ერთიანი დინამიკური პროცესით, რომელიც საფუძვლად უდევს განსხვავებული ფუნქციური თუ სემანტიკური კატეგორიების ფორმირებას:

- **ო-** გეხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც ან აგენს-ინიციატორი, ან აგენს-ავტორი შემოდის და ემატება ზმნის არგუმენტებს (resp. კაუზატივისა და კაუზატივთან გათანაბრებული ფული ფორმები);
- **უ-/ი-** გეხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც არა-აგენსური არგუმენტი შემოდის და ემატება ზმნის არგუმენტულ სტრუქტურას. ეს შეიძლება იყოს ბენეფიციალ-პოსესორი (resp. სასხვისო ქცევის ფორმები) ან, ასევე, ადრესატი, რომელიც კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებებს არ გულისხმობს;

<sup>21</sup> ხმოვანპრეფიქსთა ამგვარი, „დამატებითი“ ფუნქციებისათვის ლაზურ-ში იხ. Holisky 1991, ხოლო ქართულში – დამენია 1982.

- მ- გვხვდება ვალენტობის კლების შემთხვევაში, როდესაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში აღარ მონაწილეობს ან აგენტი (resp. ერთპირიანი ვნებითი, ხშირად პოტენციალისის მნიშვნელობით), ან ბენეფიაქტივი (resp. სათავისო ქცევის ფორმები, ძირითადად, რეფლექსივის შინაარსით; და, ასევე, ‘იგინება’ ტიპის დეპონენსები);
- ა- გვხვდება ვალენტობის უფრო კომპლექსური ცვლილებების შედეგად, როდესაც ერთდროულად გაუჩინარებულია აგენტი და დამატებულია ბენეფიაქტივი (resp. ორპირიანი ვნებითები, ძირითადად, პოტენციალისის შინაარსით).

### ბიბლიოგრაფია

#### References

- ასათიანი 1987:** ასათიანი რ. 1987, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნე“, ელს, თბილისი
- ასათიანი 2009:** ასათიანი რ. 2009, ნინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ქართულში ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-კოგნიტიური ინტერპრეტაცია, გ. კარტოზიასადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი
- ასათიანი 2011:** ასათიანი რ. 2011, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, თბილისი
- დამენია 1982:** დამენია მ. 1982, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბილისი
- კარტოზია 2005:** კარტოზია გ. 2005, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი
- ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015:** ქირია ჭ., ეზუგბაია ალ., მემიშიში ო., ჩუხუა მ. 2015, ლაზურ-მეგრულიგრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი
- შანიძე 1973:** შანიძე აკ. 1973, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი
- ჩიქობავა 1936:** ჩიქობავა არნ. 1936, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი
- Dixon 1994:** Dixon R. M. W. 1994, *Ergativity*. Cambridge

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპერეფიქსთა ფუნქციები

**Harris 1991:** Harris, A. C., 1991, Megrelian, in: *The Indigenous Languages of the Caucasus. vol. I, The Kartvelian Languages*, ed. by A.C. Harris. Delmar & New York

**Holisky 1991:** Holisky Dee A. 1991, Laz, in: *The Indigenous Languages of the Caucasus, vol. 1, The Kartvelian Languages*, ed. by A.C. Harris, Delmar, New York

**Tuite 2014:** Tuite K. 2014, The Kartvelian Suffixal Intransitive, *Advances in Kartvelian Morphology and Syntax*, ed. by Nino Amiridze, Tamar Khizanishvili-Resek and Manana Topadze. Universitäts Verlag Brockmeyer

### Rusudan Asatiani

### The Morphological Structure of Laz Verb and the Functional Analysis of Verbal Vowel Prefixes

#### 1. The Structural Formula of Laz Verb Form

Verb forms in Laz represent various grammatical categories. The principle of agglutination along with inflection builds a string of morphemes, and the verb morphology mirrors the system of very complex and complicated verb categories. Structurally a Laz verb may incorporate the following elements:

- (1) AFFIRMATIVE PARTICLE (*ko-*)
- (2) PREVERB(S)
- (3) S/O AGREEMENT PREFIX (*-v-/ -m-/ -g-*)
- (4) CHARACTERISTIC VOWEL (*-a-/ -i-/ -u-/ -o-*)
- (5) ROOT
- (6) CAUSATIVE MARKER
- (7) SERIES SUFFIX (*-um-(-am-/ -om-/ -im-)/ -up-(-ap-/ -op-/ -ip-)/ -e-/ -u-/ -umer- (-umel-)/ -on-(-an-/ -in-)/ -olem-/ -em-(-ep-)/ -Ø-*)
- (8) IMPERFECT MARKER (*-t'-*)
- (9) TENSE/MOOD VOWEL (*-i-/ -a-/ at'*)
- (10) S.3 AGREEMENT SUFFIX (*-n-/ -s-/ -u-/ -nan-/ -an-/ -n-/ -es-*)
- (11) PLURAL SUFFIX (*-t-/ -an-/ -es-*)
- (12) CONDITIONAL (*-k'on*)

The string might be “lengthened” by the auxiliary verb forms representing the future tense (in Khopa dialect of Laz) and/or the modality of “evidentiality”.<sup>22</sup>

Although the maximum positions for a theoretically possible string of morphemes in the structural formula for one verb root are 12 (4 – for prefixes; 7 – for suffixes; and a root itself), the verb forms can represent no more than 10 morphemes. Hence, some implicational and/or restrictive rules take place:

1. Imperfect Marker (8) implies existence of Series Marker (7);
2. Plural Suffix (11) phonetically excludes the appearance of S.3 suffixes (10);
3. The conditional suffix (*-k'on*) appears only with simple verb forms and never with complex verb forms derived by auxiliary verb.

All other combinations of morphemes are possible and a concrete verb form is defined via various verb categories. Combinations of several categories might be represented by one morpheme and vice versa – combinations of several morphemes might represent one category.

Example:

*ko – do – m – o – sk'uled – in – am – t' – u – k'on*  
AFF – PR – IO.1 – CAUS.1 – live – CAUS.1 – SM – IMP – S.3.SG – COND  
“Indeed if s/he would give me a livelihood.”

*ko – do – m – o – rg – ap – ap – t' – u – k'on*  
AFF – PR – IO.1 – CAUS.1 – plant – CAUS.1 – SM – IMP – S.3.SG – COND  
“Indeed if s/he would have me to plant sth.”

## 2. Verbal Vowel Prefixes

There are four verbal vowel prefixes in Laz: *-a-*, *-i-*, *-o-*, *-u-* (see position-(4) in the above given structural formula of the Laz verb form). The vowels are poly-functional and represent various semantics – causative, contact, reflexive, passive, potential, deponent, subjective version (resp. middle), and objective version.<sup>23</sup> Inasmuch as the vowels occupy the one and the same position in the structural formula of Laz verb form and never appear simultaneously, it is supposed that they might have one, common, more general function.

---

<sup>22</sup> See, Asatiani 2011.


<sup>23</sup> See e.g. Kiria, Ezugbaia, Memishishi, Chukhua 2015.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპერეფიქსთა ფუნქციები

Based on a semantic and functional analysis of vowel prefixes the following generalization could be suggested:

*The main function of verbal vowel prefixes is a formalization of conceptual changes raised as a result of either increase or decrease of the verb valency implying either appearance or disappearance of semantic roles (either Ag or Ad<sup>24</sup>) in the arguments structure of a verb.*

Various possibilities of verb valency variations in Laz can be summarized by the following scheme:



With regard concretely which and what a semantic role disappears or appears in the defined by verb valency arguments structure, categories of voice (= disappears an Agent), version (= either appears or disappears an Addressee-Benefactive) and causation (= appears an Agent) have to be distinguished.

---

<sup>24</sup> Ad here used in broadened sense and conventionally denotes distinguished from Ag and P arguments: Benefactive, Addressee, Experiencer, Goal, and etc. What about the Patient, it is a role closely connected with the verb semantics; its appearance or disappearance leads to radical changes of verb semantics; hence, in derivational models reflecting either increase or decrease of verbs valency a Patient doesn't take any part.

### 3. Voice

Voice is a functional verb category that reflects essential ways of the functional qualifications of semantic roles (Ag, Ad, P): If an Agent is realized as a Subject ( $Ag \rightarrow S$ ) and a Patient – as a Direct Object ( $P \rightarrow DO$ ), the verb is considered to be an active one; while, if a Patient is promoted to a Subject position ( $P \rightarrow S$ ) and an Agent demoted to a prepositional phrase (resp. PP) or sometimes completely disappears (that is, it does not take part in the argument structure of a verb and is not defined by the verb valency anymore), a verb is considered to be a passive one. According to such functional approach the active-passive semantics is actually distinguished just for bi- or tri-valent verbs that are characterised by having the semantic role of P (and sometimes additionally Ad; such a case is excluded in the Kartvelian languages); and as a rule the passive voice is regarded to be the conversive form of the active one.

- (i) If  $Ag \rightarrow S$  and  $P \rightarrow DO$ , the verb is active;
- (ii) If  $P \rightarrow S$  and  $Ag \rightarrow PP // \rightarrow \emptyset$ <sup>25</sup>, the verb is passive (resp. conversive of a corresponding active one).

However, Ag is not an obligatory semantic role characteristic for all kinds of verbs (in contrast, the Subject is an obligatory function that must be realized with any kind of predication); e.g., with the verbs of passive semantics: *S/he is standing*, *S/he is lying*, *S/he is getting up*, and etc. – an Ag is not even supposed. Therefore, for active-passive semantic opposition its weakening and /or disappearing might not be taken as an essential distinguishing feature either. Through such an approach an explicit distinction between an active-passive opposition seems possible if some semantic (and not only functional) differences are taken into account as well. We can generalize the definition of active-passive opposition by comprising into the analysis mono-personal verbs as well and including into functional qualifications the semantic role of an Ad (=Experiencer) as well:

- (i) If  $Ag \rightarrow S$ , a verb is active;
- (ii) If  $P \rightarrow S$ , a verb is passive;
- (iii) If  $Ad \rightarrow S$ , a verb is affective.

Analysis of the verb forms of Kartvelian languages seems simpler and more adequate through the second approach, since so called Active

---

<sup>25</sup> As far as the agent may disappear and wouldn't be considered as even a “weakened” prepositional phrase.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპერეფიქსთა ფუნქციები

Morphosyntactic Model with the Ergative Subject is followed not only by bi- or tri-personal active, transitive (resp. active voice) verbs but also by mono or bi-personal intransitive, active – semantically dynamic and atelic verbs (e.g.: *S/he lives*, *S/he works*, *S/he resides*, *S/he rolls*, and etc.); and Passive Morphosyntactic Model is supported not only by mono- or bi-personal agent-disappeared verbs but also by intransitive, inactive, yet, semantically dynamic and telic verbs (e.g.: *S/h gets up*, *S/he dries*, *S/he gets drunk*, *S/he whitens*, and etc.).<sup>26</sup>

On the basis of those morphosyntactic markers, four types of verb classes have been distinguished (see Shanidze 1973, with slight difference Harris 1991, Holisky 1991):

I-class verbs – transitive, dynamic, telic (resp. active verbs);<sup>27</sup>

II-class verbs – intransitive, dynamic, telic (resp. passive verbs);

III-class verbs – intransitive, active-dynamic, atelic (resp. medio-active verbs);

IV-class verbs – intransitive, static,<sup>28</sup> a prior atelic (resp. medio-passive verbs) and affective verbs.<sup>29</sup>

The verb classes differ not only by syntactic relations but also by the verb morphology. II- and partially IV-class verbs' different morphological structure is considered to be the marked one expressing so called Passive Voice; and in Laz its morphological peculiarities are the following:

(i) In the present passive forms<sup>30</sup> of mono-personal verbs have either end-

---

<sup>26</sup> See Asatiani 2013.

<sup>27</sup> I- and III-class verb show the Ergative Subject, while II- and III-class non-affective verbs have the Nominative Subject. Thus, for the Kartvelian languages it seems more efficient to speak about the opposition: 'Broadened Active'~'Broadened Passive'.

<sup>28</sup> In the present tense forms of III- and IV-class verbs (in some speeches of Artashen) appears a New (different from the Active or Passive) Model with an auxiliary verb conjugation (Kartozia 2005).

<sup>29</sup> Affective (or inversive) verbs create specific non-canonical syntactic constructions (with Dative Subject and Inverted person markers), yet, from the viewpoint of morphology they follow either active or passive formal models of representation.

<sup>30</sup> Laz passive forms, particularly derived by >*a- -e*< circumfix, mostly are used to express potential forms (in Megrelian the forms of passive and

ing *-u* or the vowel prefix *-i-* together with the ending *-e* (rarely *-u*). Out of them *-e* ending is mostly met in the verb forms without any series marker (see position (7) in above given structural formula of Laz verb forms) and *-u* in ones showing some series marker;<sup>31</sup>

- (ii) Bi-personal passive is distinguished by a vowel prefix *-a-*;
- (iii) Mono-personal, I/II person singular forms take a suffix *-r* (alike the active ones) after vowel-final form in Present.

Examples:

- i-č'ar-e-n* (It's being written, It might be written)
- i-č'k'om-e-n* (It could be eaten, It is eatable),
- a-č'k'om-e-n/a-č'k'om-ap-u-n* (He may eat it, It is eatable for him)
- p'-t'u-b-u-r* (I'm getting warm), *b-vur-u-r* (I'm dying, I'm getting to die)
- a-č'ar-e-n* (It is being written to him, It might be written to him)
- i-kt-ap-u-n* (S/he's coming back)
- a-nt'al-ap-u-n* (It's getting mixed together), and etc.

#### 4. Version

In Kartvelian languages a specific grammatical category is distinguished showing a subject-object relationship regarding the orientation of an action:

- (i) If a subject's action is oriented towards an indirect object and/or a direct object action is intended for an indirect object, the pre-root vowel-prefixes appear in a verb form. In such cases, if a verb is passive, in Laz appears the vowel-prefix *a-*, and in other cases the vowel-prefixes: *u-* (when the indirect object is the third person) and *i-* (when the indirect object is either the first or second person); Thus, an interpolation of an indirect object in the argument structure of a verb is formally marked; inasmuch as such an increase of a verb-valency formally is depicted in the verb morphological structure, it is possible to mark out the grammatical category of so called **Objective Version**;

---

potentials are different; yet, in other Kartvelian languages the semantics of potentials is not as strongly differentiating as it is in Megrelian or Laz). Passive verb forms used in the function of potentials show the inversion of person markers and the subject case (Kartozia, 2005).

<sup>31</sup> Some parallel forms are documented as well (Kartozia 2005).

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპერეფიქსთა ფუნქციები

- (ii) If a subject's action is oriented towards the subject itself (resp. reflexive) or a direct object of an action is designated to a subject<sup>32</sup> (that is, the referent of a subject and a indirect object are one and the same and this identity leads to disappearance of an indirect object and decrease of verb valency), in the Laz verb form appears *i-* prefix; hence, it is possible to point out the grammatical category of so called **Subjective Version**;
- (iii) If such kinds of S/O relations are not reflected in an argument structure of a verb and, respectively, no changes of a verb valency takes place and the verb form remains unchanged – no vowel-prefixes are observed; yet, through the oppositions with above given (i) and/or (ii) cases, it is possible to mark out a forms of so called **Neutral Version**.

Thus, there are three different forms of Version: subjective, objective and neutral versions. The neutral version in Laz has no marker, the subjective version is expressed through the morpheme *i-* and the objective version – by the morphologically defined allomorphs: *u-*, *i-*, *a-*.

Table. 1. *Examples of version*

Neutral version S,(IO),(DO)	Subjective version S→IO(=S)>Ø S,DO → IO(=S)>Ø	Objective version			
		Transitive verbs S, DO→IO		Intransitive verb S→IO	
		IO=I/II	IO=III	Active	Passive
<i>do-p'-č'k'iri</i> (I have cut sth.)	<i>do-v-i-č'k'iri</i> (I have cut my sth.)	<i>do-g-i-č'k'iri</i> (I've cut you sth.)	<i>do-v-u-č'k'iri</i> (I've cut his/her sth.)	<i>v-u-bir</i> (I am singing for you)	<i>m-a-giben</i> (It is boiling for me)

<sup>32</sup> This case of subjective version in Laz is quite limited and unacceptable, especially for Sarphi sub-dialect of Laz (Chikobava 1936); that is, Laz speakers use the form of subjective version mostly for the grammaticalization of reflexives.

<i>bγaps</i> (S/he shaves sb./sth.)	<i>i-bγaps</i> (He shaves himself)	<i>m-i-bγaps</i> (S/he shaves sth. for me// my sth.)	<i>u-bγaps</i> (S/he shaves sth. for him// his sth.)	<i>do-v-i-q'uri</i> (I shout to sb.)	<i>m-a-q'vilen</i> (It is slaughtering) for me)
<i>bonums</i> (S/he washes sb.)	<i>i-bonums</i> (S/he washes him/herself)	<i>m-i-bonums</i> (S/he washes my sth./sth. for me)	<i>u-bonums</i> (S/he washes his/her sth. for sb.)	<i>m-i-k'ank'al-s</i> (My sth. shakes//It shakes for me)	<i>m-a-mbinen</i> (It is binding for me)

## 5. Causatives

If in the course of increasing of verb-valency an agent appears to bear the role of an initiator, “forcer”<sup>33</sup> of an action, not only the number of verb arguments increases but also changes the functional qualification of the arguments structure.

In Laz (similar to other Kartvelian languages) similar change is followed by the structural, morphological changes of a verb form: the vowel-prefix *o-* appears and a verb root becomes complicated either by the suffix *-in* or by a so called series marker *-ap* that further can't be qualified as a series marker anymore, because it merges with a verb root and remains in all tense forms; at the same time in the present tense forms this *-ap* is followed by a formally similar *-ap* marker<sup>34</sup> which according to a common rule must be removed to the second series forms. Hence, the circumfixes *>o- -in<* and *>o- -ap<* can be suggested as causative markers. As for the changes of the verb arguments structure, there are two options:

<sup>33</sup> “Causation” in its wide sense may mean “giving permission” as well; usage of causative forms in this sense in Laz is quite frequent (Holisky 1991).

<sup>34</sup> The *-ap* series marker is documented in Khopa; in other dialects of Laz it is substituted by *-am*.

ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ლაზურში და ხმოვანპერეფიქსთა ფუნქციები

- (i) A transitive verb transforms into a tri-personal one: An Agent-Initiator is actualized as a subject; the former subject (=an actual Actor) transforms into an indirect object; an indirect object (if any, viz. the verb is initially tri-personal) loses its functional status of the argument and becomes a complement or adverb<sup>35</sup>; the direct object's qualification remains unchanged;
- (ii) An intransitive verb transforms into a bi-personal transitive verb: An Agent-Initiator is actualized as a subject; the former subject (=an actual Actor or Patient) becomes a direct object and the indirect object (if any, viz. the verb is initially bi-personal) loses its functional status of the argument and becomes a complement or adverb.

Table 2. *Examples of causative forms*

Functional changes	Present	Aorist
bi-personal transitive verb: $Ag_{init} \rightarrow S, S_t \rightarrow IO, DO=DO$	$\check{c}'ar-up-s \rightarrow$ $o-\check{c}'ar-ap-ap/am-s$ (S/he writes → S/he makes sb. write)	$o-\check{c}'ar-ap-u$
tri-personal transitive verb: $Ag_{init} \rightarrow S, S_t \rightarrow IO, DO=DO, IO_t \rightarrow ADV$	$bon-um-s \rightarrow$ $o-bon-ap-ap/am-s$ (S/he washes sth. to sb. → S/he makes sb. wash sth. for him/her)	$do-(o)-bon-ap-u$
mono-personal intransitive verb: $Ag_{init} \rightarrow S, S_t \rightarrow IO$	$\gammaur-u-n \rightarrow$ $o-\gammaur-in-ap/am-s$ (S/he dies → S/he kills sb.)	$o-\gamma\gammaur-in-u$
bi-personal intransitive verb: $Ag_{init} \rightarrow S, S_t \rightarrow IO, IO_t \rightarrow ADV$	$u-bir-s \rightarrow$ $o-bir-ap-ap/am-s$ (S/he sings for sb. → S/he makes sb. sing for sb.)	$o-bir-ap-u$

---

<sup>35</sup> The former indirect object is given in Allative or Ablative cases and doesn't govern verb agreement models anymore.

## 6. Conclusions

Nearly all the vowel-prefixes are poly-functional and are used for various additional purposes as well; e.g.: *u-* appears in evidential forms, also to introduce an indirect object not expressing an objective version; *i-* appears in some verbs with concrete semantics representing neither voice nor version forms; etc. (Holisky 1991). Such poly-functionality gives an additional argument for above given generalized interpretation of vowel-prefixes as the valency changing markers. The reanalysis seems more adequate as far as it makes possible to generalize all specific cases and offers a comprehensive analysis of the semantics and functions of pre-root vowel-prefixes:

- (i) *o-* marks out the increase of verb valency when Agent or Initiator of an action appears in the verb arguments structure (resp. causatives and equal to causative forms);
- (ii) *u-/i-* marks out the increase of verb valency to introduce an Addressee-Possessor-Benefactive into the verb arguments structure (resp. objective version) or to add a pure Addressee that doesn't mean possession at all;
- (iii) *i-* marks out a decrease of verb valency when in the verb arguments structure disappears either an Agent (resp. mono-personal passives often expressing the semantics of potentials) or Addressee-Possessor-Benefactive (resp. subjective version mostly expressing the semantics of reflexive);
- (iv) *a-* marks out the more complicated case – simultaneously, Agent's disappearance and Addressee's appearance mostly (but not always) showing Possessive-Benefactive relations (resp. bi-personal passives usually expressing the meaning of potentials).

## კახა გაბუნია

### ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების სწავლების სპეციფიკა არაქართულენოვანი შემსწავლელებისთვის

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ენის სწავლების პროცესში ენის ლინგვისტური კომპეტენციის დაუფლებაა. ენის ლინგვისტური კომპეტენცია მოიცავს ლექსიკისა, ფონეტიკისა და გრამატიკის ცოდნას, შესაბამის ჩვევებსა და უნარებს.<sup>1</sup> ლინგვისტური კომპეტენციის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი ცნებები:

- ლექსიკური კომპეტენცია;
- გრამატიკული კომპეტენცია;
- სემანტიკური კომპეტენცია;
- ფონოლოგიური კომპეტენცია;
- ორთოგრაფიული კომპეტენცია;
- ორთოეპიური კომპეტენცია.<sup>2</sup>

საზოგადოდ, ყველა ენა გამოირჩევა რთული ორგანიზაციით და, რაც მთავარია, ეს სირთულე შესაძლოა სხვადასხვა „უბანზე“ (მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისატიკა...) გამოვლინდეს; შესაბამისად, უაღრესად რთულია, ამა თუ იმ ენას მოარგო სტანდარტი, რომელიც სხვა (იგულისხმება, ძირითადად, ინგლისური) ენის ბაზაზეა შექმნილი. არაერთხელ ყოფილა მცდელობა, შექმნილიყო ლინგვისტურ კომპეტენციათა ერთიანი სტანდარტი, თუმცა, ამ მცდელობამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს: ენის სწავლებისთვის გამოიყენებოდა ლინგვისტური აღწერის მეთოდი, რომელიც მკვდარი ენების მოდელის მიხედვით ყალიბდებოდა, მაგრამ ისიც უარყოფილ იქნა პროფესიონალ ლინგვისტთა მიერ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ერთი ტიპის ენებისთვის შემუშავებული, თუნდაც „იდეალური“, მოდელი არ გამოდგება სხვა ტიპის ენებისთვის.<sup>3</sup> ენობრივი უნივერსალების ბოლოდროინდელმა მიღწევებმაც ჯერჯერობით ვერ მოი-

<sup>1</sup> თრიმი და სხვ. რედ. 2008, 23.

<sup>2</sup> იქვე, 174.

<sup>3</sup> ქართულის, როგორც უცხო ენის..., 2014, 120.

ტანა ის სასურველი შედეგები, რომლებისაც ძალუბთ, დაქმარონ ენის შემსწავლელებს ლინგვისტიკური სირთულეების დაძლევაში<sup>4</sup>...

ლექსიკის სწავლება ცალკე თემაა და ენათა სწავლების საერთაშორისო პრაქტიკაში ამ მხრივ მეტ-ნაკლებად უნივერსალური მიღვომა შემუშავდა; ენობრივი უნივერსალიების კვლევამ საკმაოდ კარგი შედეგები მოგვცა სემანტიკური კომპეტენციების განვითარების მიმართულებითაც. თუმცა, განსაკუთრებით სპეციფიკურია (და, შესაბამისად, განსხვავებულიც) ყოველი კონკრეტული ენისათვის ფონოლოგიური და გრამატიკული კომპეტენციების სწავლება-დაუფლება; რაც შეეხება ორთოეპიულ / ორთოგრაფიულ კომპეტენციებს – ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდებიან ფონოლოგიური და გრამატიკული კომპეტენციების განვითარებას და, ფაქტობრივად, მათს ქვესახეობას წარმოადგენენ...

ცნებაში „გრამატიკული კომპეტენცია“ იგულისხმება ენის გრამატიკული საშუალებების ცოდნისა და გამოყენების უნარი.

ენის გრამატიკა უნდა განვიხილოთ, როგორც წესების ერთიანობა, რომელიც ლექსიკური ერთეულების ერთობლიობას გარკვეული შინაარსის მქონე წინადადებად აქცევს.

ენის გრამატიკული წყობის აღწერა გულისხმობს შემდეგ ცნებათა კონკრეტიზაციას:

- გრამატიკული ელემენტები, მაგ.: მორფემები, ძირეული მორფემები და აფიქსები...
- გრამატიკული კატეგორიები, მაგ.: რიცხვი, ბრუნვა, სქესი; კონკრეტული / აბსტრაქტული; გარდამავალი / გარდაუვალი; მოქმედებითი / ვნებითი გვარი; წარსული / ანტყო / მომავალი დრო; სრული / უსრული ასპექტი...
- გრამატიკული სტრუქტურები, მაგ.: რთული და შედგენილი სიტყვები, შესიტყვებები (ზმნური, სახელური და ა. შ.), წინადადება, მარტივი წინადადება, რთული წინადადება (რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი, მთავარი და დაქვემდებარებული წინადადებები)...
- გრამატიკული პროცესები, მაგ.: ნომინალიზაცია, აფიქსაცია, სუპლეტივიზმი, გრადაცია, ტრანსპოზიცია, ტრანსფორმაცია...
- წინადადების წევრთა დამოკიდებულების სახეები: მართვა, შეთანხმება, მირთვა.<sup>5</sup>

<sup>4</sup> თრიმი და სხვ. 2008, 173-174.

<sup>5</sup> იქვე, 177.

როგორც ზემოთ ითქვა, გრამატიკის სწავლება ენის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ენის შემსწავლელს, თვით მასწავლებელსაც ხშირად ექმნება პრობლემები ამ თვალსაზრისით: მაგალითად, მასწავლებლისთვის დიდი პრობლემაა, თუ რა დოზით უნდა მიაწოდოს ენის შემსწავლელს გრამატიკული მასალა ენის სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე; ასევე, გასათვალისწინებელია, თუ რა ფორმით აწვდის გრამატიკულ წესებს: აუცილებელია, რომ მასწავლებელმა რაც შეიძლება მარტივად მიაწოდოს შემსწავლელს ესა თუ ის წესი და გაააზრებინოს მას კონკრეტული საკითხი... აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ენის შემსწავლელთა დიდი ნაწილისთვის გრამატიკა მოსაწყენი, რთული და უინტერესო სფეროა და სწავლის მოტივაცია, როგორც წესი, საკმაოდ დაბალია.....

მართალია, ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები გვაძლევს თითოეული დონისთვის შესასწავლი აუცილებელი გრამატიკული საკითხების ჩამონათვალს, მაგრამ თუ რა მოცულობითა (დოზირებით) და რა ფორმით უნდა მოხდეს ამა თუ იმ კონკრეტულ ეტაპზე შემსწავლელისთვის მიწოდება – ეს სახელმძღვანელოს ავტორის კომპეტენციაა; რამდენად შედეგიანი იქნება სახელმძღვანელოში განთავსებული გრამატიკული მასალის სწავლება, სამ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული:

- 1. ენის სისტემურობა** – ე.წ. „გრამატიკული პროგრესის“ გააზრება, რომელსაც თავად ენის სისტემა განსაზღვრავს. მაგალითად, რომელი ბრუნვებია ქართულ ენაში სხვებთან შედარებით მნიშვნელოვანი; რამდენად მიზანშეწონილია ენის შემსწავლელისათვის გრამატიკის სახელმძღვანელოებში<sup>6</sup> მოცემული ბრუნვათა ტრადიციული რიგის დაცვა? ანდა, რომელი ზმური ფორმა უნდა შევასწავლოთ თავდაპირველად ენის შემსწავლელს დროის კატეგორიის თვალსაზრისით (აწმყო, მყოფადი თუ წყვეტილი) და რომელი – შემდგომ საფეხურზე? რომელ საფეხურზე უნდა მიეწოდოს ქართული ენის შემსწავლელს ზმნის პოლიპერსონალიზმის შესახებ ინფორმაცია და, შესაბამისად, ობიექტური ულვლილების პარადიგმა? და ა.შ.
- 2. დიდაქტიკური ფაქტორი**, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა არის უფრო იოლად ასათვისებელი ენის შემსწავლელისთვის და რა –

<sup>6</sup> შანიძე 1942, 43; აგრეთვე სრულად ამ საკითხზე: გაბუნია 2008, 9-13.

შედარებით რთული; რისი დაძლევა შეუძლია შემსწავლელს მოცემულ ეტაპზე. მაგალითად, სახელობითი და მიცემითი ბრუნვები უფრო მარტივი ასათვისებელია, ვიდრე ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, რომელთა ნიშნებიც ფუძის დაბოლოებაზეა დამოკიდებული (უკვეცელი თუ კვეცადი ხმოვანფუძიანი სახელები); მიზანშეუწონელია აგრეთვე ინვერსიული ფორმების სწავლება საწყის ეტაპზე იმ მიზეზის გამო, რომ ინვერსია უაღრესად რთული გრამატიკული მოვლენაა<sup>7</sup> და მისი გააზრება მოზარდისთვის საკმაოდ რთულია.

3. **პრაგმატული კრიტერიუმი**, რომელიც ითვალისწინებს შემსწავლელის მიერ მოცემულ ეტაპზე ენის გამოყენებისთვის რაციონალური თვალსაზრისით ყველაზე აუცილებელ თემატურ ერთეულებს. მაგალითად, ენის შესწავლის პირველ ეტაპზე სახელობითი და მიცემითი ბრუნვების შემდეგ ნათესაობითი ბრუნვის სწავლება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია (კუთვნილების სემანტიკის გადმოცემასთან დაკავშირებით), ვიდრე, ვთქვათ, მოქმედებითი და, მით უმეტეს – მოთხრობითი ბრუნვებისა; ასევე, ლოგიკურია, რომ პირველ ეტაპზე შემსწავლელისთვის უფრო იოლი იქნება ახლანდელი დროის არსის გააზრება და ანტყოს ფორმების ათვისება, ხოლო შემდეგ – მყოფადისა (და არა ნარსული დროის წყვეტილის მნერივის ფორმებისა), რადგან ამ ორი დროის (აწმყოსა და მყოფადის) ფორმებს ანალოგიური სინტაქსური კონსტრუქციები ახასიათებს და წარმოებაც გაცილებით იოლია<sup>8</sup>.

წინამდებარე სტატიის მიზანი, რასაკვირველია, არ გახლავთ ქართული ენის გრამატიკის სწავლების პროგრესის სრული მიმოხილვა, თუმცა გვსურს, შევეხოთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის, სწავლებისას იჩენს თავს. კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის, სწავლების პროცესში შემსწავლელთათვის განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემას **ზმნური კონსტრუქციების მრავალფეროვნება** წარმოადგენს.

ქართული ზმნა წინადადების ხერხემალია – ქართულ ზმნაშია, პრატიკულად, „ჩადებული“ მთელი წინადადება; ქართული ზმნა მრავალპი-

<sup>7</sup> მელიქიშვილი 1978, 81-93.

<sup>8</sup> ქართულის, როგორც უცხო ენის..., 2014, 47.

რიანია (პოლიპერსონალურია) და, ბუნებრივია, ესოდენ განსხვავებული სისტემა რთულად აღსაქმელია იმ ენის მატარებლებისთვის, რომელთა ენობრივ სამყაროში საერთოდ არ არსებობს მრავალპირიანობის გაგება, როგორ ასეთი (არასუბიექტური პირის აფიქსით ასახვის შესაძლებლობა ზმნურ ფორმაში). სწორედ პოლიპერსონალზმისა და ამ ფენომენთან მჭიდროდ დაკავშირებული გრამატიკული საკითხების მთელი წესია არაქართულენოვანთათვის ურთულესი უბანი – მათ შორის ე.წ. ერგა-ტივის ათვისების საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, გარდამავალი ზმნის ლაბილური (ცვალებადი) სინტაქსური კონსტრუქციის პრობლემას უკავ-შირდება. კერძოდ, ქართული ენის შემსწავლელისთვის, რომელიც მშო-ბლიური ენის სტაბილურ (მდგრად) სინტაქსურ კონსტრუქციებს ფლობს, უჩვეულოა გარდამავალ ორპირიან (და სამპირიან) ზმნასთან შეწყობილი აქტანტების ბრუნვაში ცვალებადობა სერიების (დრო-კილოთა ნაკვთე-ბის) მიხედვით:

<b>მხატვარ-ი</b>	<b>ნახატ-ს</b>	<b>ხატავს</b>	(I სერია)
<b>მხატვარ-მა</b>	<b>ნახატ-ი</b>	<b>დახატა</b>	(II სერია)
<b>მხატვარ-ს</b>	<b>ნახატ-ი</b>	<b>დაუხატავს</b>	(III სერია)

ამ პარადიგმაში სირთულეს ქმნის არა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვა (სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის მონაცვლეობა სერიების მიხედვით), არამედ ობიექტის ბრუნვაცვალებაც (მიცემითი – სახელო-ბითი – სახელობითი)... თუ ამას დავუმატებთ ორპირიანი გარდაუგალი ზმნების სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციებს (სუბიექტი სახელო-ბითშია სამსავე სერიაში, ბრუნვაუცვლელია ირიბი ობიექტიც: პირდაპირ-ისგან განსხვავებით, სამსავე სერიაში მიცემით ბრუნვაშია!) – გასაგები ხდება, თუ რაოდენ რთულია ქართული ენის შემსწავლელისთვის სინ-ტაქსურ კონსტრუქციათა, პირველ რიგში, გააზრებისა და, შემდგომ – ათვისება-გათავისების პროცესი.

სწავლების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ენის შემსწავლელისთვის იოლად დასაძლევი საკითხების წინ წამონევა (გრამატიკული პროგრესის განმსაზღვრელი დიდაქტიკური კრიტერიუმი): როცა ზმნაზეა საუბარი, აუცილებელია მას სწავლება დავაწყები-ნოთ ისეთი კონსტრუქციებით, როგორებიც ბუნებრივია მისთვის; ასეთი კონსტრუქცია კი ქართულში აპსოლუტურ ზმნებს აქვთ.

არნ. ჩიქობავას აზრით, „პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, ზმნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობისად: აბსოლუტური სახეობისად და რელატიური სახეობისად. ზმნა, რომელსაც მხოლოდ ერთი პირის

ფორმა აქვს, იქნება აბსოლუტური სახეობისა... ზმნა, რომელსაც ორი პირის ფორმა აქვს, იქნება რელატიური...“.<sup>9</sup>

აბსოლუტური გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა ნომინატიური კონსტრუქციის მქონეა; სახელობითბრუნვიანი კონსტრუქციები სრულიად ბუნებრივი და იოლად აღსაქმელია არაქართულენოვანთათვის, რადგან მათს მშობლიურ ენებშიც ანალოგიური კონსტრუქციებია:

**ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) არის**

**ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) იყო**

**ის (კაც-ი, ბიჭ-ი, მგელ-ი) ყოფილა**

ანალოგიური, სტაბილური ნომინატიური კონსტრუქციის მქონეა ზმნები: დგას, ზის, მიდის, იწერება, იბერება, დნება, გდია და მრავალი სხვა... აღსანიშნავია, რომ აბსოლუტური სახეობის ზმნები სრულიად განსხვავებული აგებულებისა და წარმოებისაა: მაგალითად, ყველაზე გავრცელებული და სიხშირული თვალსაზრისით ყველაზე „გამოყენებადი“ ზმნა არის ერთ-ერთი ურთულესია: აწმყო – არის; მყოფადი – იქნება, წყვეტილი – იყო. – ყველგან განსხვავებული ძირია წარმოდგენილი. ასევე, რთული წარმოების ზმნებია დგას, ზის, მიდის (პირველსა და მეორე პირში ეს ზმნები მეშვეოლზმნიანია: ვდგა-ვარ, ზი-ხარ, მივდი-ვარ...).

განსხვავებულ გრამატიკულ სირთულეს ქმნიან ინერება, იბერება (ინიანი ვნებითები) შენდება (დონნიანი ვნებითები), დნება (ე.წ. უნიშნო ვნებითები), გდია (სტატიკური ვნებითი)...

ცხადია, კომუნიკაციური მიდგომა გამორიცხავს ამ კატეგორიათა თეორიულ დასწავლას და შემსწავლელისთვის სრულიად უსარგებლო გრამატიკული ტერმინების დახვავებას; თუმცა, სასურველია, თითოეული ქვეჯგუფის არსებით სემასიოლოგიურ და სტრუქტურულ თავისებურებზე გამახვილდეს ყურადღება და შემსწავლელმა თავადვე აღმოაჩინოს ფორმისა და შინაარსის ლოგიკური ურთიერთკავშირი (მაგალითად, ინიანი და უნიშნო ვნებითის ფორმებისთვის ეფექტურია შედარება-შეპირისპირება შესაბამის გარდამავალ ზმნებთან – ხატავს – იხატება; ბერავს – იბერება... მაგრამ – ა-შენებს – შენდება; ა-დნობს – დნება).

მიუხედავად წარმოების მეტ-ზაკლები სირთულისა და სემანტიკური ქვეჯგუფების მრავალფეროვნებისა, ერთპირიანი ზმნის კონსტრუქციების პირველ რიგში სწავლება გამართლებული და ეფექტურია.

<sup>9</sup> ჩიქობავა 1968, 159.

კონსტრუქციათა სწავლების მეორე საფეხურზე რეკომენდებულია ე.წ. დატიური კონსტრუქციის მქონე ერთპირიანი ზმნების (ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით – ერთპირიანი ინვერსიული ზმნების) სწავლება.<sup>10</sup> ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ბრუნვა (სახელობითის ნაცვლად გვაქვს მიცემითი: **სძინავს, ღვიძავს, სცხელა, სცივა, ეშინია** და ა.შ.). ამ ტიპის ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია და სწავლება-დამახსოვრების თვალსაზრისით ნაკლებად პრობლემური.

პრაქტიკულად, ერთპირიანი ზმნების კონსტრუქციები აწმყოსა და პირველი სერიის სხვა მწკრივებში ამ 2 ბრუნვით ამონიურება; სახელობით ბრუნვაშია დასმული | სერიის ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნების სუბიექტიც (**იღვიძებს, ისვენებს, სწავლობს, თამაშობს, მგზავრობს, მუშაობს...**), თუმცა, მათი კონსტრუქცია ლაბილურია და განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს სხვა სერიებში (II სერიაში – მოთხოვითი, III სერიაში – მიცემითი)... შესაბამისად, საწყის ეტაპზე, ვფიქრობთ, საჭიროა ამ ტიპის ზმნათა პირველი სერიის ფორმათა გააქტიურება და წარსულის ფორმათა მხოლოდ უწყვეტლის ფორმებით ამონიურვა (აწმყო: სწავლობს ის; მომავალი: ისწავლის ის; წარსული: სწავლობდა ის...).

**სტაბილურობის** კრიტიკუმის მიხედვით გრამატიკის სწავლების პროგრესია მომდევნო ეტაპზე **რელატიური გარდაუცალი** ზმნების სწავლებას გულისხმობს; თავისთავად, ორპირიანი ზმნების გააზრება არაქართულენოვან შემსწავლელებს არ უჭირთ – მათს მშობლიურ ენებშიც არსებობს აქტანტთა – მოქმედი (სუბიექტი) – სამოქმედოს (ობიექტი) დიქტოტომია. მით უფრო, იოლად აღსაქმელია ეს საკითხი, როდესაც ვთავაზობთ შემსწავლელს სტაბილურ ზმნურ კონსტრუქციას: **სახელობითი + მიცემითი (ნომინატიურ-დატიური კონსტრუქცია).** ამ კონსტრუქციის მქონე ზმნათა რაოდენობა ქართულში საკმაოდ დიდია და, წარმოების მრავალფეროვნების მიუხედავად, აუცილებელია მათი ამ ეტაპზევე გააქტიურება და სწავლება:

<b>ეხმარება</b>	<b>დაეხმარება</b>	<b>დაეხმარა</b>	<b>დახმარებია</b>	- ის მას
<b>ეფერება</b>	<b>მოეფერება</b>	<b>მოეფერა</b>	<b>მოჰფერებია</b>	- ის მას
<b>ემშვიდობება</b>	<b>დაემშვიდობება</b>	<b>დაემშვიდობა</b>	<b>დამშვიდობებია</b>	- ის მას
<b>ხვდება</b>	<b>შეხვდება</b>	<b>შეხვდა</b>	<b>შეხვედრია</b>	- ის მას

<sup>10</sup> მელიქიშვილი 1978, 81-93.

სტაბილური კონსტრუქცია ახასიათებს ორპირიან ინვერსიულ ზმნა-თა რიგს, რომლებიც, ასევე, სრულიად განსხვავებული წარმოებისა და სტრუქტურის მქონეა, მაგრამ გამოირჩევა სინტაქსური კონსტრუქციის მდგრადობით (აქტანტთა „მდგრადი“ ბრუნვებით): **ჰყავს – მას ის; აქვს – მას ის; ენატრება – მას ის, უხდება – მას ის...** დასახელებულ ზმნათა სინტაქსური კონსტრუქცია დატიურ-ნომინატიურია (**მიცემითი + სახელობითი**).

ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის, სწავლებისას ერთ-ერთ ურთულეს საკითხად, როგორც ზემოთ ითქვა, ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას მიიჩნევენ. სირთულე სწორედ კონსტრუქციის ლაბილურ ხასიათშია: ერგატივი მხოლოდ დრო-კილოთა განსაზღვრულ ჯგუფებში გვხდება (II სერია). საზოგადოდ, მოთხოვობითი ბრუნვის არსისა და ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებათა ანალიზი სწავლების ადრეულ ეტაპზე უნდა გამოირიცხოს, თუმცა, თავად მოთხოვობითი ბრუნვის შემოტანა, მაგალითად, „ვიცი“ ზმნის წარმოების სწავლებასთან ერთად დასაშვები და მისაღებია:<sup>11</sup> „ვიცი“ ერთადერთი ზმნაა (არქაულ „უწყის“ ფორმასთან ერთად), რომელიც ანტიკური და პირველი სერიის სხვა ნაკვთებში მოთხოვობით ბრუნვიან სუბიექტს შეიწყობს. სხვა შემთხვევაში მოთხოვობით ბრუნვიანი კონსტრუქციები მხოლოდ მეორე სერიის გარდამავალი ზმნის კონტექსტში განიხილება.

მეორე სერიაში ერგატიული კონსტრუქცია აუცილებლად გულისხმობს პირველ სერიაში ნომინატიური კონსტრუქციის, ხოლო მესამე სერიაში – დატიური კონსტრუქციის პოვნიერებას. ეს გახლავთ ქართული ენისათვის დამახასიათებელი **ლაბილური** ზმნური კონსტრუქციები ორპირიანი და სამპირიანი გარდამავალი ზმნებისთვის. სწორედ პირველი სერიის, შემსწავლელისთვის უკვე კარგად ნაცნობი ნომინატიურ-დატიური კონსტრუქციის (ზიარი სინტაქსური კონსტრუქცია გარდამავალი და გარდაუვალი ორპირიანი ზმნებისათვის პირველი სერიის ზმნებთან) გახსენებითა და შემდგომი გააქტიურებით უნდა დავიწყოთ ლაბილური კონსტრუქციების სწავლება; აუცილებელია, შემსწავლელმა გაიაზროს და გააცნობიეროს 2 განსხვავებული პარადიგმა:

<b>ემალება ის მას</b>	<b>– მალავს ის მას</b>
<b>უშენდება ის მას</b>	<b>– აშენებს ის მას</b>
<b>ენგრევა ის მას</b>	<b>– ანგრევს ის მას</b>

<sup>11</sup> შარაშენიძე 2011, 52.

სხვაობის გასააზრებლად მოცემულ ფორმათა სერიების მიხედვით ცვლაზე კეთდება აქცენტი: **ემალება/დაემალა/დამალვია – ის მას (სტაპი-ლური ნომინატიურ-დატიური კონსტრუქცია) – მალავს ის მას (ნომინატიურ-დატიური კონსტრუქცია) / დამალა მან ის (ერგატიულ-ნომინატიური კონსტრუქცია) / დაუმალავს მას ის (დატიურ-ნომინატიური – ასევე ნაც-ნობი კონსტრუქცია შემსწავლელისათვის ორპირიან ინვერსიულ ზმნებთან).**

შემდგომი, კიდევ უფრო გართულებული ეტაპია სამპირიან გარდამავალ ზმნათა კონსტრუქციების სწავლება; აქ რამდენიმე სირთულე იჩენს თავს:

ა. გარდა იმისა, რომ უკვე შესწავლილი ორპირიანი ლაპილური კონსტრუქციის მქონე ზმნების ფორმულის გამეორება უწევს, ენის შემსწავლელი დამატებით მესამე (ირიბობიერტური) პირის კონსტრუქციაში მოქცევის წესებს ეუფლება;

ბ. რთული გასარკვევია არაქართულენოვანი შემსწავლელისათვის სხვაობა პირდაპირობიერტურ და ირიბობიერტურ პირებს (აქტანტებს) შორის – ანუ, თუნდაც უკვე კარგად ათვისებული ფორმულის მიხედვით, რომელი სახელი რომელ პრუნვაში ჩასვას („**მისწერა მან კაცი წერილი**“ თუ „**მისწერა მან კაცი წერილი**“...); ეს პრობლემა არ დგება პირველი სერიის მწკრივებთან (აქ პირდაპირი და ირიბი ობიექტიც მიცემითშია), მაგრამ აუცილებლად იჩენს თავს მეორე და მესამე სერიაში.

გ. გასათვალისწინებელია ობიექტის „**კარგვის**“ მექანიზმის გააზრება (მესამე სერიაში ირიბობიერტური პირი თანდებულიანი ფორმით გველინება: **უშენებს ის მეგობარს სახლს – აუშენა მან მეგობარს სახლი – აუშენებია მას მეგობრისთვის სახლი**)...

სამპირიანი გარდამავალი ზმნის 3 სრულიად განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციის სქემატურად დასწავლისა და ამ კონსტრუქციებში ინტენსიური, ლამის ავტომატიზმადე, ვარჯიშის გარეშე ეფექტის მიღწევა შეუძლებელია და გადაცდომების რისკი ძალიან მაღალია.

სამპირიანი გარდამავალი ზმნის კონსტრუქციების სქემატური ჩანაწერი:

- I. ანმყო / მყოფადი / უწყვეტელი – -ი -ს -ს (ის მას მას) **უშენებს / აუშენებს / აუშენებდა კაც-ი სახლ-ს მეგობარ-ს**
- II. წყვეტილი – -მა -ი -ს (მან ის მას) **აუშენა კაც-მა სახლ-ი მეგობარ-ს**
- III. თურმეობითი – -ს -ი -ისთვის (მას ის მისთვის) **აუშენებია კაც-ს სახლ-ი მეგობრ-ისთვის**

## კახა გაბუნია

სამპირიან ზმნათა ერთი, უაღრესად მცირე, ჯგუფი ლაბილურ კონ-სტრუქციას გვიჩვენებს დრო-კილოთა სამსავე სერიაში (ეკითხება ის მას მას; შეეკითხა ის მას მას; შეჰქითხვია ის მას მას...). ამ ტიპის ზმნების სასრული რაოდენობა გვაქვს ქართულში და როგორც გამონაკლისები, ისე უნდა დაისწავლონ შემსწავლელებმა, არ უნდა გააიგივონ ზემოთ ხსენებულ ფორმებთან...

ვფიქრობთ, მხოლოდ ბოლო ეტაპზე – თეორიულად დასაშვები ყველა სინტაქსური კონსტრუქციის დაუფლება-გათავისების შემდგომ, შესაძლებელია ისეთი „გამონაკლისების“ განხილვა და დასწავლა, როგორებიცაა ერთპირიანი ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნების სპეციფიკური ქცევა (სასურველია, ერთპირიან სტაბილურ – ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებთან შედარება-შეპირისპირების გზით):

- I. აწმყო / მყოფადი / უწყვეტელი – -ი (ის) -ი (ის)  
**იმალება / დაიმალება / იმალებოდა ბიჭ-ი ჭიდაობს ბიჭ-ი**
- II. წყვეტილი – -ი (ის) -მა (მან)  
**დაიმალა ბიჭ-ი იჭიდავა ბიჭ-მა**
- III. თურმეობითი – -ი (ის) -ს (მას)  
**დამალულა ბიჭ-ი უჭიდავია ბიჭ-ს**

დაბოლოს: ენის შემსწავლელებისთვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდება ინდეფინიტური კონსტრუქციის შესახებ, რომელიც თავს იჩენს პირველი და მეორე პირების „შეხვედრისას“ ორპირიან ზმნებში და სრულიად განსხვავებულ სურათს ქმნის: **მეძებ შენ მე; გეძებ მე შენ, გვეძებთ თქვენ ჩვენ; გეძებთ მე თქვენ** და ა. შ. კონსტრუქციებზე ვარჯიში (პირის ნაცვალ-სახელთა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების, აგრეთვე პირთა კომბინაციების მონაცვლეობით) აუცილებელია შემსწავლელების მხრიდან ქართული ზმნის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი სინტაქსური კონსტრუქციების გააზრება-დაუფლებისათვის.

## ბიბლიოგრაფია

### References

- გაბუნია 2008:** გაბუნია კ. 2008, პრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, თბილისი
- გიგინეიშვილი 1970:** გიგინეიშვილი ივ. რედ., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, წიგნი 1, თბილისი

- გოგოლაშვილი 2010:** გოგოლაშვილი გ. 2010, ქართული ზმნა, თბილისი დავითიანი, 1973: დავითიანი ა. 1973, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი თრიმი და სხვ. რედ. 2008: თრიმი ჯ. და სხვ. რედ. 2008, ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება, თბილისი
- კვაჭაძე 2010:** კვაჭაძე ლ. 2010, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი
- კიზირია 1982:** კიზირია ა. 1982, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი
- მელიქიშვილი 2001:** მელიქიშვილი დ. 2001, „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, ქელს, №4, თბილისი
- სუხიშვილი 1976:** სუხიშვილი მ. 1976, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი
- ქართულის, როგორც უცხო ენის..., 2014:** ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ელექტრონული ვერსია; [http://www.geofl.ge/#!/page\\_metodic](http://www.geofl.ge/#!/page_metodic).
- შანიძე 1942:** შანიძე ა. 2011, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი
- შარაშენიძე 2011:** შარაშენიძე ნ. 2011, მიდამო, თბილისი
- ჩიქობავა 1968:** ჩიქობავა არნ. 1968, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი
- Тенъер 1988:** Тенъер Л. 1988, *Основы структурного синтаксиса*, Москва

**Kakha Gabunia**

**Specifics of teaching verbal constructions to  
Non-Georgian-speaking Students**

One of the main problems of language teaching process is the acquisition of the linguistic competence of the language. The linguistic competence of a language includes the knowledge of vocabulary, phonetics and grammar, appropriate habits and skills.

Generally, each language has a complex organization, which makes it very difficult to fit a single, universal standard to a specific language. In this

respect teaching and learning of phonetic and grammatical competences is especially specific for every language.

The term “**grammatical competence**” means the knowledge and use of grammatical knowledge of a language.

The grammar of a language must be considered as a union of rules that turn a combination of lexical units into a meaningful sentence.

Grammar teaching is an important component of language teaching: deciding the amount of grammatical material on different language teaching levels is a big problem for teachers; besides, the form of delivering the rules should also be considered: it is important to deliver the rules in simplest possible way and make the learner comprehend them.

The grammatical material teaching depends mainly on 3 factors:

1. *Systematism of a language* – comprehension of the so called “grammatical progression”, which is determined by the language system itself.
2. *Didactical factor* takes into account what is easier for the language learners to assimilate and what is relatively difficult; what the learner is able to accomplish on a given level.
3. *Pragmatic criteria* takes into account all the necessary thematic units that the learner needs to use language on given level.

The goal of this article is not the complete review of *grammar teaching progression* for Georgian language, as it deals with one of the main issues that rises when teaching Georgian as second/foreign language. Specifically, the **diversity of verbal constructions** is an especially serious problem in the process of teaching Georgian as second/foreign language.

In the teaching process one must, first of all, put forward the issues that are easier for learner to master (Didactical criteria for grammatical progression): when being taught about verbs, the learner should start learning with constructions that are natural for their native language; in Georgian the **absolute** verbs have such constructions – absolute intransitive monopersonal verbs have normative construction; constructions of Nominative case are absolutely natural and easily comprehensible for non-Georgian speakers, as they have analogous constructions in their native languages: *Is (kac-i, qal-i, mgel-i) aris - he/she/it (man, woman, wolf) is;* *Is (kac-i, qal-i, mgel-i) iko - he/she/it (man, woman, wolf) was;* *Is (kac-i, qal-i, mgel-i) kofila - he/she/it (man, woman, wolf) has been etc.*

Despite the relative difficulty of production and diversity of semantic subgroups, it is justified and effective to teach monopersonal verb construction first.

On second step of construction teaching it is recommended to teach monopersonal verbs with the so called „dative construction”. In this case only grammatical case is changed (instead of Nominative we have Dative: *sdzinavs*, *scxela*, *sciva*, *eshinia* etc.). The numbers of such verbs is limited and less problematic in respect of learning and remembering.

In respect of *Stability* criteria the grammatical progression on next level means teaching *relative intransitive* verbs; comprehension of polipersonal (2 persons) verbs in and of itself is not difficult for non-Georgian-speaking learners – their native languages also have the dichotomy of აქნატთა – subject and object. It is especially easy to comprehend when we offer the earners stable verbal constructions: *Nominative + Dative (Nominative-Dative Construction)*: *gbəvərjəba/დაგებმარება/დაებმარა/დახმარებია* – *ის, მას...* *he helps/will help/helped/has helped him*.

Stable construction is characteristic for polipersonal inversive verb row, which has completely different production and structure, but has a stable construction (“stable” declension of actants): *hkavs – mas is; aqvs – mas is; enatreba – mas is; ukhdeba – mas is...* The syntactic construction of these verbs is Dative-Nominative (**Dative + Nominative**).

Georgian language is characterized with labile verbal constructions for polipersonal (2 persons) and polipersonal (3 persons) transitive verbs. We must start teaching labile constructions after recalling and activating the well-known Nominative-Dative construction. The learner must comprehend and realize 2 different paradigms:

<i>emaleba is mas</i>	–	<i>malavs is mas</i>
<i>He hides from him</i>	–	<i>He hides him</i>

The next, more difficult stage is teaching of polipersonal (3 persons) transitive verbal constructions; it is impossible to have any effect without schematically learning 3 completely different syntactic constructions of polipersonal (3 persons) transitive verbs and exercising with them intensively, to the point of automation.

Schematic record of polipersonal (3 persons) transitive verb:

I. present / future / past continuous - -i -s -s (is mas mas)  
*ushenebs / aushenebs / aushenebda kac-i saxl-s megobar-s*

II. past indefinite - -ma -i -s (man is mas)  
*aushena kac-ma saxl-i megobar-s*

III. past perfect - -s -i -istvis (mas is misTvis)  
*aushenebia kac-s saxl-i megobr-istvis.*

## ელენე გოგიაშვილი

**ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური  
ურთიერთობების შესახებ „კავკასიის ტომთა და ადგილთა  
აღწერის მასალათა კრებულში“**

**(1881-1900)**

მეცნიერებისთვის პოლიტიკური საზღვრები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო მუშაობა ყოველთვის რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს. სახელმწიფო, იქნება ის მეცნიერების ხელშემწყობი თუ პირიქით, დამთრგუნველი, იქნება ის დამკვეთი თუ არა, მეცნიერებას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. მე-19 საუკუნეში დასავლეთ ევროპაში მეცნიერებას სახელმწიფოს გაძლიერებას ემსახურებოდა. აღმოსავლეთ ევროპაში მეცნიერება ჰაბსბურგების, ოსმალეთისა და ცარიზმის იმპერიალურ კონტექსტში განვითარდა. კავკასიაში, როგორც იმპერიაში შემავალ რეგიონში, მეცნიერებას განსაკუთრებული პირობები შეუქმნა იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელმა მულტიეთნიკურობამ, ენობრივმა მრავალფეროვნებამ, ცენტრისა და პერიფერიების პოლარულმა ურთიერთმიმართებამ.

პროექტი „ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები: მე-19-20 საუკუნეების წყაროები და თანამედროვე ნარატივები“,<sup>1</sup> რომლის ნაწილსაც შეადგენს წინამდებარე სტატია, მიზნად ისახავს, საერთაშორისო სამეცნიერო წრესა და ფართო საზოგადოებას გააცნოს ქართული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული ურთიერთობები ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ინტენსიური კულტურული კავშირების გათვალისწინებით.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც 1881-1900 წლებში დაიბეჭდა პერიოდულ გამო-

<sup>1</sup> პროექტი ხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (FR/532/2-154/13).

## ელენე გოგიაშვილი

ცემაში „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებული“ [„Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“].

1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველომ თბილისში დაიწყო „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულის“ [CMOMPK] გამოცემა რუსულ ენაზე. მასში იბეჭდებოდა რუსი, ევროპელი და ქართველი ავტორების მასალები და ნარკევები კავკასიის ხალხთა კულტურის სხვადასხვა სფეროში: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ენა, ლიტერატურა, ზეპირსიტყვიერება.

კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს ამ გამოცემამ 1929 წლამდე იარსება და დიდი სამსახური გაუნია კავკასიის კულტურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხების შეკრებასა და პუბლიკაციას. კრებულის გამოცემის მიზანი იყო კავკასიის ხალხთა ყოველმხრივი შესწავლა და გაცნობა, რასაც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სარჩეული ჰქონდა. რუსეთის იმპერიაში ახლად შემოერთებული ხალხების შემომტკიცება წარმატებით ვერ განხორციელდებოდა მათი წეს-ჩვეულებებისა და მენტალიტის ცოდნის გარეშე.

CMOMPK-ის იდეოლოგიური საფუძველი, ისევე როგორც მისი წინამორბედი პერიოდული გამოცემებისა, იმპერიალისტური იყო.<sup>2</sup>

<sup>2</sup> მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა კავკასიის ხალხთა სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და ტოპოგრაფიული აღწერა, რომლის შედეგები თთხ ტომად დაიბეჭდა პეტერბურგში (*Обозрение российских владений за Кавказом в статическом, этнографическом, топографическом и финансовом отношенииях*, Санкт-Петербург, 1836). 1840-50-იან წლებში თბილისში რუსულენოვანი პერიოდული გამოცემების გამოშვება დაიწყო. „Кавказ“ (1846-1918) და „Закавказский вестник“ (1837-1855) კავკასიური ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას სპორადულად აქვეყნდნენ. ამას მოჰყვა არაერთი პერიოდული კრებული, რომლებშიც ინტენსიურად იბეჭდებოდა ნარკევები კავკასიის ხალხთა შესახებ. თ. ჯაგოდნიშვილის გამოკვლევით, რომლის ნაშრომში „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“ მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მე-19 საუკუნის II ნახევრის საქართველოში გამოცემული რუსულენოვანი სამეცნიერო პერიოდული მიმოხილვას, აშკარაა, რომ ამ პერიოდის რუსული ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნარკევები კავკასიის შესახებ საკრიტიკიულია. რუსი ავტორები, რომლებიც ძირითადად სამხედრო პირები იყვნენ, იმპერიალისტურ მიდგომასთან ერთად, მასალის უცოდინარობა-საც ამჟღავნებენ.

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

იმპერიალისტური მიზნები, კონკრეტული დირექტივები და გეგმები დაუფარავად არის გამოქვეყნებული როგორც რუს ავტორთა წერილებში, ისე ოფიციალურ საპროგრამო მითითებებში.<sup>3</sup> ადმინისტრაცია საფრთხეს ხედავდა იმპერიის პერიფერიებში მომუშავე სახელმწიფო მოხელეების ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში – ისინი არ უნდა „გათქვეფილიყვნებ“ იმ ხალხში, ვისი დამოძღვრაც თვითონ ევალებოდათ:

„ეს კრებული დიდ დახმარებას გაუწევს დამწყებ მასწავლებლებს, რომლებიც პროვინციაში მუშაობენ, მოწყვეტილი არიან კულტურულ ცენტრებს, საკუთარ თავზე არ მუშაობენ და წლების განმავლობაში ერთი და იგივე მასალის გამეორების გამო ტრაფარეტული და შეზღუდული აზროვნებისანი ხდებიან. ისინი თანდათან ითქვითებიან იმ ხალხში, რომელსაც, პირიქით, თვითონ უნდა ხელმძღვანელობდნენ და მოძღვრავდნენ. ასეთი მასწავლებლები კი მერმე აღარც საზოგადოებისთვის და აღარც მოსწავლეთათვის აღარ ვარგანან. ამიტომ სასურველია, მასწავლებლების ყურადღება მივაქციოთ იქითაც, რომ მათ შეისწავლონ ის კუთხე, ის მხარე, სადაც მუშაობენ. ეს მათ საშუალებას მისცემს კვლავ განავითარონ საღი აზროვნება, აკვირდებოდნენ გარემოს, დაუახლოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და იმუშაონ საკუთარ თავზეც. თვით მასწავლებლების მიერ და მასწავლებლების ხელმძღვანელობით ზოგი მოსწავლისგან კარგად ჩაწერილი მასალები, ტექსტები და ცალკეული კუთხეების აღწერილობები დიდ სამსახურს გაუწევს მთლიანად კავკასიის გაცნობა-შესწავლის საქმეს“.<sup>4</sup>

<sup>3</sup> 1868 წელს კავკასიის მთიანეთის სამმართველომ სპეციალური სამეცნიერო პერიოდული კრებული „Сборник сведений о кавказских горцах“ დაარსა, რომელიც 1881 წლამდე გამოდიოდა. პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში ნათლად იყო გამოვლენილი ცარისტული რეჟიმის პოლიტიკური ინტერესები მეცნიერებაში: „[კავკასიელთა] ყოფის შესწავლის მიზანი იმაშია, რომ გავიაზროთ, ვისთან გვაქვს საქმე; გამოვნახოთ გზები და საშუალებანი, რომ შეძლებისდაგვარად მოხერხებულად, ადვილად და სწრაფად დავეხმაროთ ამ ხალხებს სიბნელისა და უმეცრებისათვის თავის დაღწევაში და ევროპელი ხალხების სინათლესა და თავისუფლებას ვაზიაროთ“ (ჯაგოდნიშვილი 2004, 427). ამ იდეოლოგიური პრინციპით მუშაობა არსებითი მახასიათებელია მე-19 საუკუნის ყველა რუსულენოვანი პერიოდული გამოცემისთვის, რომელიც კავკასიის შესწავლას ეხება.

<sup>4</sup> არჯევანიძე 1971, 15.

## ელენე გოგიაშვილი

СМОМПК 1881–1915 წლებში თბილისში 44 ტომად გამოვიდა. ყოველ ტომში ორგვარი ხასიათის მასალა იბეჭდებოდა: 1) საისტორიო და არქეოლოგიის მასალები თ. უორდანიას, მ. ჯანაშვილის, ექ. თაყაიშვილის, ი.ბ. ტატიევის, ე.გ. ვეიდენბაუმის და სხვების რედაქტორობით და 2) ზეპირ-სიტყვიერება, რომელსაც უმეტესად ქართველი და ჩრდილოკავკასიელი შემკრებლები ჰყავდა. მასალას სათანადო წინასიტყვაობაც ერთვოდა, რომელთა ავტორები ძირითადად თვითონ რედაქტორები იყვნენ.

СМОМПК-ის სარედაქციო კოლეგია დიალექტოლოგიური მასალების სარედაქციოდ ქართული ენისა და დიალექტების მცოდნებს იწვევდნენ. ქართული და ქართველური ენების მასალების შესწავლასა და გამოცემაში მათ ეხმარებოდნენ ივ. ნიუარაძე (სვანური ტექსტებისთვის), ი. გამყრელიძე (რაჭული ტექსტებისთვის), მოსე ჯანაშვილი (ქართული ტექსტებისთვის) და სხვები.

მიუხედავად ძლიერი იდეოლოგიური ტენდენციებისა, СМОМПК-ში გამოქვეყნებული მასალები და გამოკვლევები მეტად ლირებულია როგორც ტექსტების ფიქსაციის, ისე სამცნოერო თვალსაზრით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების საკითხები, კერძოდ, ფოლკლორული ტექსტები, რომლებიც ქართველების, აფხაზების, ყაბარდოელების, ლეკებისა და ოსების ურთიერთდამოკიდებულებას ასახავენ.

## ყაბარდოელები ქართულ საგმირო სიმღერებსა და თქმულებებში

ქართველ მთიელთა ურთიერთობა ყაბარდოელებთან სვანური სიმღერების ტექსტებშია ასახული. დ. მარგიანის მიერ ჩანსრილ მასალაში რამდენიმე სიმღერას ვხვდებით, რომლებიც შინაარსობრივად ისტორიულ თქმულებებს წარმოადგენენ.<sup>5</sup> სქოლიოში დ. მარგიანი აღნიშნავს: სვანებს თითქმის არ მოეპოვებათ სატრფიალო სიმღერები, სამაგიეროდ უხვი ნიმუშები აქვთ საგმირო პოეზიისა. ასეთი სიმღერების თქმატიკაა სვანების ბრძოლა აფხაზებთან, ყაბარდოელებთან და ყარაჩაელებთან საძოვრების გამო. სვანების გადმოცემით, ჩრდილო კავკასიის მთიელები გვიან მოვიდნენ ამ ადგილებში, ამოწყვიტეს ადგილობრივი ქრისტიანები, თვითონ დასახლდნენ და მერე სვანების შევიწროებაც დაიწყეს. მუსე წყლები სვა-

<sup>5</sup> СМОМПК 1890, №10, განყ. III, 1-11.

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

ნებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მთიელები, განსაკუთრებით ჩეგემის აული-დან, ხშირად სარგებლობდნენ. წყლისთვის და საძოვრისთვის მთიელები თხებსა და ცვერებს აძლევდნენ სვანებს. თუ არ გადაიხდიდნენ ამ გადა-სახადს, სვანები მათ ჯოგებს ესხმოდნენ თავს და მწყემსები ტყვეებად მიჰყავდათ. „მე თვითონ ვარ მომსწრე ჯერ კიდევ 1873 წელს, – წერს დ. მარგიანი, – როგორც მოიტაცეს სვანებმა ასეულობით საქონელი და სამი მწყემსი დაატყვევეს. მთიელები გზაში წამოენივნენ და სროლა აუ-ტეხეს. სამი სვანი მოკლეს, ამდენივე დაჭრეს. სვანებმა რამდენიმე კაცი დაჭრეს და ორი მოკლეს, რომელთაც საქონელი ეკუთვნოდათ. ამგვარი შეტაკებები ხშირად ხდებოდა“.<sup>6</sup>

სიმღერა „შერგლაი, თავბე და გიუ“ სამი ძმის ამბავს გადმოსცემს, რომლებმაც სანალიროდ წასულებმა ყაბარდოელთა ლაშქარი შენიშნეს. ყაბარდოელებმაც შეამჩნიეს სვანები და შეტევა დაიწყეს. ძმებმა მულა-სის სოფელ უაბეშს მიაღწიეს და შორიდან დაიძახეს. ხალხი საშველად გა-მოვიდა, მაგრამ არ იცოდნენ, მტერი რომელი მხრიდან მოდიოდა. მაშინ მოედანზე უსინათლო მოხუცი სვანი გამოიყვანეს, სახელად ბიმურზა. მან მიწას ყური დაადო და ლაშქრის ადგილსამყოფელი გაიგო. სვანები და ყა-ბარდოელები ერთმანეთს ტვიპერის მთაზე შეხვდნენ. სვანების ბელადმა დოდა ჩეხანმა ყაბარდოელთა ბელადს ტუნჯეკიანს გულში მოარტყა ისა-რი. მეთაურის მოკვლის შემდგომ ჯარი უკუიქცა. სვანები დაედევნენ და ისე ამოწყვიტეს, მათი სისხლით მყინვარი შეიღება. ნადავლის უმეტესი ნაწილი სვანებმა შერგლას, თავბეს და გიუს მისცეს ვაჟკაცობისთვის.<sup>7</sup>

სიმღერაში „ბაქსანლუკ გილუვხანოვი“ გადმოცემულია ყაბარდოს სოფელში მცხოვრებ ბაქსანლუკის, იმავე მურზაბეგის შესახებ. მისი სვანებსაც კი ეშინოდათ, – აღნიშნავს მთხოობელი. ერთხელ მან ჯარი შეკრიბა და სვანებზე სალაშქროდ წამოვიდა. ლამით, როცა საზღვარზე დაბანაკდა, სიზმარი ნახა, თითქოს სვანების ძალები ჯიჯგნიდნენ. მურ-ზაბეგი შეშინდა და უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ლაშქარი აღარ გაჰყვა და საუზმის შემდეგ თოფის სროლაში ვარჯიში დაიწყეს. სვანმა მესაზღვრეებმა გაიგეს მათი ხმა. თაზი იოსელიანმა სოფელს შეატყობინა და სვანთა შეიარაღებული ჯარი ცანერის მყინვართან შეხვდა ყაბარ-

<sup>6</sup> СМОМПК 1890, №10, განკ. III, 3.

<sup>7</sup> იქვე, 3-4.

## ელენე გოგიაშვილი

დოელებს. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. სვანებმა უპირატესობა მოიპოვეს და ყაბარდოელები ამოხოცეს, გარდა მურზაბეგისა, რომელიც მყინვარის ნაპრალში ჩავარდა და სვანებმა ვერაფერი დააკლეს. იმავე ღამეს მურზაბეგი ნარალიდან გამოვიდა და მშვიდად დაბრუნდა სახლში. არც ამ ამბის შემდეგ შეუწყვეტია სვანებზე თავდასხმები. მურზაბეგს ყოველთვის თან ჰქონდა თავისი თოფი, ხანჯალი, ხმალი, პისტოლეტი, ცული, ჩაქური და რკინისთავიანი ჯოხი.<sup>8</sup>

ბორის ხორავას ჩანაწერი „ერამ-ხუტი და ჯვარელების წმიდათაწმი-და“ ვრცლად გადმოსცემს თქმულებას ყაბარდოელ ერამ-ხუტიზე, რომე-ლიც აფხაზებზე თავდასხმის დროს ჯვარელებმა მოკლეს და კვირიკეს ხატს შესწირეს. მისი თავი ხატის წინ დაკიდეს, მისი იარაღი კი ჯვარის ეკლესიაში ინახება.

საინტერესოა ცნობა, რომ ერამ-ხუტის სახელი ზედსართავად იქცა და სამეგრელოსა და აფხაზებში უდიდესი ვაჟკაცობისა და გმირობის ეპითეტად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ერამ-ხუტი საშიში თავდასხმელია და გადმოცემაში დაწვრილებით არის აღწერილი მისი მრისხანება, შურისძიების გრძნობა, ბრძოლის ხერხები და სტრატეგია, მისი სახელი არ არის ნეგატიური შინაარსით დატვირთული და, პირიქით, სიმამაცის სინონიმად არის ქცეული.<sup>9</sup>

## ოსები ქართულ საგმირო სიმღერებში

ნ. მინდელის მიერ ჩანერილ რაჭულ სასიმღერო ტექსტების წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ რაჭველებს ბევრი ბრძოლა ჰქონდათ გამოვლილი სვანებთან, ოსებთან, ლეებთან და თურქებთან.<sup>10</sup>

პირველ სიმღერაში აღწერილია ლების მტრებისგან გათავისუფლების ამბავი, მათ შორის ოსებისგანაც:

„გამყრელიძესა აქებენ, / რომელს იესე ჰქვიანო:  
რუსული ხმალი გასტეხა, / სისხლი ყუასა სცხიანო.  
უკან დაწევა შეიქნა, / გადაირბინეს ველ-მთანი,  
ოსებო! შემოგვიცადეთ / ვინცა ხარ კინკილუანი.

<sup>8</sup> СМОМПК 1890, №10, განყ. III, 5-6.

<sup>9</sup> СМОМПК 1894, №18, განყ. III, 49-58.

<sup>10</sup> СМОМПК 1894, №19, განყ. II, 124-140.

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

გიჯობდა ჯალხეთიშვილო, / არ მოხტომოდე ლებსაო,  
ლებურ ბიჭებსა სწუნობდით! / მოდი, დახედე მკვდრებსაო:  
სამარე ველარ უშოვნეს, / ლორის ნათხარში ჰყრიანო.

მეოთხე სიმღერა რაჭველებისა და ოსების შეტაკების ამსახველია, რომელშიც ქალის ბრძოლაში ჩარევამ ეფექტური შედეგი გამოიღო და მტერი უკუიქცა:

„ამ გრიგოლყამ და ბეჭმიამ ერთმანეთს მისცეს ხელია.

გაგნიძეს ციხეს მივადგეთ, შიგას ჩაუჭრათ კარია.

გაგნიძის კარგი ბიჭები მეციხუანის თავია.

მათში რომ ქალი ერია, სულ შეგვიშინა ჯარია.

იმან რომ ქვა გადმოაგდო, ორსა მოსწყვიტა თავია.

ოსები მალე გაიქცნენ, გადაიარეს მთანია.

უატი უკან მისძახოდათ: – ოსებო, შემოგვიცადეთ,

კარგსა გიპირობთ ოჩხარსა,

თუ პატარას შემოგვიცდით, ერთს არ გაგიშვებთ ცოცხალსა.

მათ სოფელში რომ ჩავიდნენ: ილოცეს მაცხოვარია?

ნინ მგებავი მოეგებათ: – რა უქენთ ნაშვარია?

– ჩვენ ნაშვარი ვინ მოგვცა, ბევრი იქ დაგვრჩა მკვდარია“.

მეხუთე სიმღერა რაჭველების ბრძოლას გადმოსცემს ოსებთან და დვალებთან, რომელიც რაჭველების გამარჯვებით დამთავრდა:

„უღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი,

სულა დვალეთი – ფაიქომელი.

ომი შეიქნა ქალაქის თავსა,

განთენიასა, მზის ამოსვლასა,

მზის ამოსვლასა – ცისკრისა უამსა.

ფარვა ფარისა, ქნევა რხმალისა,

ქნევა რხმალისა (ხანჯლისა), ძერა შუბისა.

შუბის ნალენი ზეცას ცვიოდა,

რხმალი ორპირი სისხლში სცურევდა;

მუზარადები გორსა გორევდა.

ჯაფარ გაიქცა, სვეტი ოქროსი,

დვალი მოსდევდა: – ჯაფარ რა იქნა?

ჯაფარ, ვერ ნახვალ შინა მშვიდობით,

ცოლს ვერ მიუტან ლაშქრულს ანბავსა,

ლაშქრულ ანბავსა, წითელ კაბასა“.  
გერგილ იძახის გაღმა ყანასა:  
„ჩვენი რა იქნენ მოციქულები?“  
– უკან მოდიან, მოაქვთ მათ მკვდრები:  
თავი გოდრითა, ტანი ლაშტითა,  
წვრილი წელები ხელ-კალათითა“.

### ეტიმოლოგიური გადმოცემები

ეტიმოლოგიური გადმოცემა მძინარე წყაროს – ხუსაგ-დონის შესახებ ჩანსრილია ჩრდილო ოსეთის სოფელ ზარომაგის სკოლის მასწავლებლის, როსტომ სიკოევის, მიერ. მას გადმოცემული აქვს მამისონის ულელტეხილის გადაღმა მდებარე ოსების ერთი სოფლის, ქალაქას, ისტორია. ამ სოფლის ახლოს ყოფილა წყარო ხუსაგ-დონი ანუ მძინარე წყარო. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ღმერთი ამ წყაროს მეშვეობით ცდის კაცის ერთგულებას და კუთვნილს მიუზღავს. ახლომახლო მცხოვრებლები სალოცავად ჩადიან ამ წყაროზე. რაჭიდანაც გადმოდიან ამ წყაროსთან საღლოცავად, – აღნიშნავს ავტორი.<sup>11</sup>

ამგვარი მონინებული დამოკიდებულება სალოცავებისადმი ასახულია СМОМПК-ში გამოქვეყნებულ გადმოცემებში აფხაზების სამეგრელოში და გურიაში თავდასხმების შესახებ. დ. კერესელიძის ცნობით, მე-19 საუკუნის დასაწყისში ლანჩხუთს აფხაზები დაეცნენ, მოიტაცეს ხატი და თავის ილორის ეკლესიაში გადაიტანეს. ლანჩხუთელები ახლა ყოველწლიურად მიდიან ილორის ეკლესიაში და ხარს სწირავენ.<sup>12</sup>

ისტორიული თქმულებები ლეკების თავდასხმების შესახებ გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ჩანსრილ ზეპირ-სიტყვიერ მასალაში. თამარ ჯლანტიაშვილის მიერ გორში ჩანსრილ გადმოცემაში მოთხოვნილია, თუ როგორ დაეცნენ ლეკები თავს რკონისს, გაძარცვეს ეკლესია და ხალხი დაატყვევეს. ჯვრების ოქრო-ვერცხლი და-ადნეს და გაიყვეს. ღვთისმშობლის ხატი ლეკების მეთაურმა შინ წაიღო. მას შემდეგ მის ეზოში ბალახი გახმა და ავადმყოფობა გაჩნდა. მან ხატის დაწვა გადაწყვიტა, მაგრამ ხატმა ქალის ხმით დაიყვირა, ჰაერში ავარდა

<sup>11</sup> СМОМПК 1882, №2, განყ. II, 161-164.

<sup>12</sup> СМОМПК 1897, №22, განყ. II, 220.

ფოლებული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

და ხარის რქაზე დაჯდა. შეშინებულმა ხალხმა ხატი ხარს რქაზე მიაბა და გაუშვა. ხარი რკონისში მივიდა. ხატი შეფრინდა ეკლესიაში. იმ ადგილას წმინდა გიორგის ეკლესიაც ააშენეს, ხოლო იმ ცაცხვს, რომელზეც პირველად დაფრინდა ხატი, წმინდა ხედ მიიჩნევდნენ.

ეს გადმოცემა ეტიოლოგიურია და უარობრივად „დაარსების მითო-სისკენ“ იხრება. თქმულების მეორე ნაწილში მთხრობელის დამოკიდებულება ლეკების მიმართ იცვლება და ისინი არა მტრის ხატად, არამედ რამდენიმე გვარის წინაპრებად არიან წარმოდგენილი:

ბრძოლის შემდეგ სამი ლეკის ბიჭი იქვე დარჩა და მათგან წარმოიშვნენ გორგაშვილები, ლელაშვილები და პაიჭაშვილები. ლელაშვილთა-გან თითო მოდგმაში ერთი ქალი მონაზონი უნდა გამხდარიყო რკონი-სის ეკლესიაში. ერთი მონაზონი რომ მოკვდებოდა, წაიღებდნენ მის შავ თავსაფარს და რომელი ლელაშვილიანთ გოგონაც ხელს მოკიდებდა, იმას წამოიყვანდნენ მონაზვნად.<sup>13</sup>

ეტიმოლოგიურია კახური თქმულება ფატმასურაზე. გადმოცემაში მოთხრობილია ყვარლის მახლობლად მდინარე დურუჯის ადიდების და სოფლის წალეკვის ამბავი. სოფელ ყვარლის მასწავლებლის, ე. ზედგე-ნიძის, ჩანაწერის მიხედვით, ყვარელს ლეკები დაესხნენ თავს. სწორედ მაშინ წყალი იყო ადიდებული და ქალები მოშორებით იყვნენ წყლის მო-სატანად. იქ ჩასაფრებულმა ლეკებმა ქალები მოიტაცეს. მანამდე კი დაი-ძახეს „ქალების წყალი“, ლეკურად – ფატმასურა.<sup>14</sup>

ლეკების გურიაში თავდასხმა გადმოცემულია დ. კერესელიძის ჩანაწერებში.<sup>15</sup> ლანჩხუთის დაწყებითი სკოლის ზედამხედველი დ. კე-რესელიძე გადმოსცემს ისტორიულ თქმულებას, რომელიც ისტორიულ-ეტიმოლოგიურია და ლეკების თავდასხმა შემდგომ ეკლესიის აშენების წინაპირობა ხდება: XVII საუკუნეში ლეკები შემოესივნენ ლანჩხუთს. და-ანგრიეს წმინდა გიორგის ეკლესია და იმ ადგილას თავისი სალოცავი ააგეს. ნანგრევებთან იდგა დიდი მუხა. მუხის ქვეშ მდგომ გლეხებს წრი-პინი მოესმათ. ბერი ცინცაძე ხეზე ავიდა და ხის წვერზე დაკიდებული წმ. გიორგის ხატი დაინახა. ხალხმა ამ მუხის ადგილას ეკლესია ააშენა და წმ. გიორგის ხატიც იქ დაასვენა.

<sup>13</sup> СМОМПК 1898, №24, განყ. II. 247-250.

<sup>14</sup> СМОМПК 1897, №17, განყ. I, 73.

<sup>15</sup> СМОМПК 1897, №22, განყ. II, 220.

## ელენე გოგიაშვილი

ფოლკლორული მასალის კვლევისას ჩნდება რამდენიმე კითხვა, თუ როგორი იყო სამეცნიერო მუშაობის პრაქტიკა იმპერიალიზმის პირობებში: როგორ მოქმედებდნენ მეცნიერები და ფოლკლორული მასალის შემკრებლები იმპერიალურ სივრცეში? რა როლს ასრულებდნენ საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ცალკეული რეგიონები და ქვეყნები თავიანთი კულტურული თავისებურებებით?

რუსული იმპერიალიზმის მოქმედების კურსი, რომელიც XIX საუკუნეში საქართველოსადმი პროტექტორულ დამოკიდებულებასა და მუსლიმ ხალხებთან ომში გამოვლინდა, ფოლკლორული მასალის გამოქვეყნებასაც აკონტროლებს. ცარისტული იმპერია არა მარტო ტერიტორიულ გაფართოებას და დაპყრობილ ხალხებზე პოლიტიკური სუვერენიტეტის გაძლიერებას ცდილობს, ის ასევე ჩართულია პერიოდული სამეცნიერო გამოცემების საქმიანობასა და ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების დამუშავებაში. კავკასიის მთიელთა ურთიერთავდასხმების ამსახველი ხალხური სიმღერები და გადმოცემები მტრის სტერეოტიპების შექმნისა და არეულობის გამოწვევისთვის კარგი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ფოლკლორული მასალების შემკრებლები თვითონ ქართველი და კავკასიელი მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ ფოლკლორული მასალის სრული იდეოლოგიზაცია შეუძლებელია:

1881-1900 წლებში СМОМПК-ში გამოქვეყნებული ქართული ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშები ცხადყოფს, რომ ქართველებისა და ჩრდილო-კავკასიელთა ურთიერთდამოკიდებულება ხალხურ ცნობიერებაში ამბივალენტურად აისახა და ეს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების შემკრებლებმა ზუსტად წარმოადგინეს. ყაბარდოელები, ლეკები, ოსები და აფხაზები თავდამსხმელებად არიან წარმოდგენილი, მაგრამ, ამავე დროს, მათთან ურთიერთობა მეგობრულ სახეს იღებს სიწმინდეებისადმი თაყვანისცემაში.

СМОМПК-ის მასალების მიხედვით, ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობები ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა უანრში განსხვავებულად არის ასახული. საგმირო პოეზიასა და სიმღერებში<sup>16</sup> გადმო-

<sup>16</sup> ქართულ ფოლკლორში საგმირო ლექსების სიუჟეტები, თემები და სახები ძირითადად ორ ჯგუფად არის დაყოფილი: 1) გმირების ბრძოლა საქართველოში მოთარეშე უცხო ტომების წინააღმდეგ და 2) შინაური შუღლის სხვადასხვა კუთხის ან თემის წარმომადგენელთა შორის (სიხარულიძე 1968, 97).

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

ცემულია მათი შეტაკებების ამბები, ეტიმოლოგიურ გადმოცემებში კი მშვიდობიანი თანაცხოვრების სურათი. ეს ერთი მხრივ ფოლკლორული ჟანრების სპეციფიკით აიხსნება: საგმირო თემატიკა a priori გულისხ-მობს კონფლიქტის ასახვას. ეტიმოლოგიური თქმულება კი ემოციურ, ხშირ შემთხვევაში რელიგიურ განწყობას აძლიერებს მსმენელში. მეორე მხრივ, იმავე საგმირო სიმღერებსა და თქმულებებში თვალში მოსახვე-დრია მტრის გაუკაცობის ხაზგასმა. ამის დამადასტურებელია არა მარტო მხატვრული ტექსტები, არამედ ყოველდღიურ ლექსიკაში შემორჩენილი სიტყვებიც. ყაბარდოელი ერამ-ხუტის სახელი სამეგრელოსა და აფხა-ზეთში სიმამაცის სინონიმად იქცა მიუხედავად იმისა, რომ სასტიკი და მრისხანე ყაჩალი იყო.

ცარისტული იდეოლოგიური მიზნების შესაბამისად, ბუნებრივია, რომ CMOMPK-ში დაბეჭდილ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასა-ლაში ჭარბობს კავკასიის ხალხების ურთიერთავდასხმების ამსახვე-ლი ტექსტები, მაგრამ სწორედ ეს ტექსტები შეიცავენ ინფორმაციას, რომელიც ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებს სხვა ასპექტით წარმოაჩენს. ცნობები კავკასიელთა საერთო სულიერი ლირებულებების შესახებ CMOMPK-ის ფურცლებზე, მართალია, მეტად მცირეა, მაგრამ თუნდაც მცირე მასალა შეიძლება ბევრად მნიშვნელოვანი იყოს.

## ბიბლიოგრაფია

### References

**არჯვეანიძე 1971:** არჯვეანიძე ე. 1971, ანოტირებული ბიბლიოგრა-  
ფია “CMOMPK”-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სი-  
ტყვიერების მასალისა, თბილისი

**სიხარულიძე 1968:** სიხარულიძე ქს. 1968, საგმირო ლექსები. ქართუ-  
ლი ხალხური პოეტური შემოქმედება, II, 82-134

**ჯაგოდნიშვილი 2004:** ჯაგოდნიშვილი თ. 2004, ქართული ფოლკლორ-  
ისტიკის ისტორია, თბილისი

**CMOMPK 1881-1900:** Сборник материалов для описания местностей  
и племен Кавказа 1881-1900, Тифлис

Elene Gogiashvili

**The Folklore Sources on the Georgian and North-Caucasian Relationships in the “Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus”  
(1881-1900)**

Science is often considered to be an international practice in the first place. The state, however, provides an important framework for scientific research. The state shapes scientific practice in many ways, be it as a patron or oppressor, be it as an employer, or simply as the geographic area under study. In Western Europe during the 19th century, science often operated in the context of emerging national states. In Eastern and East-Central Europe science operated in the imperial framework of the Habsburg, Ottoman and Czarist Empires. The imperial characteristics of the state, such as multi-nationality, linguistic diversity, and a pronounced polarity between centers and peripheries, created specific conditions for the sciences in Caucasus.

Folk creations of all peoples residing in the Caucasus are scientifically processed in the folklore studies but only a couple of authors address the Georgian-North Caucasian folklore parallels sporadically. Issues of Caucasian studies are thoroughly studied from linguistic and historic viewpoint but the issues of interrelation of folklore creations of Georgians and their closest neighbours has not been left beyond attention of folklorists.

Study of the Georgian-North Caucasian folklore relations will reveal the nature of communication culture of the Caucasian people, intensity of contacts, historically established traditions and values. This region, outstanding for ethnic and religious diversity, was the area of migrations of the peoples of various origins. Their relations with the indigenous residents had various forms. Intensive contacts were replaced by isolation and reclusion, separation of the lowland and highland regions and their development in different directions. This was reflected the contacts and folkloric works of these peoples. Next to mythological motifs of one clearly identified genesis we can see a typological resemblance predetermined by historic neighborhood. These issues have not been raised by folklorists and accordingly, have never been studied.

This paper is a part of the project “Georgian-Caucasian Folklore Relations: 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> Century Sources and Modern Narratives”(sponsored by Shota Rustaveli National Science Foundation, FR/532/2-154/13). The objective

of the project is to familiarize the international scientific community and wide society with folklore relations of Georgian and North Caucasian peoples. Neighborhood of these people, historic-geographic environment and intensive cultural links played a significant role in formation of these relations. The project will throw light on influences made by neighboring people on each other's creative works and how their historic relations were reflected in folklore.

Novelty of the project lies in the fact that no similar research has ever been carried out. Issues of Caucasian studies are well studied from linguistic and historic point of view but strangely enough, the issues of interrelation of oral folklore of Georgians and their closest neighbors have somehow been neglected by the folklorists.

Research of Georgian-Caucasian folklore relations is closely connected with political-ideological issues, as the authors of folklore-ethnographic descriptions of Caucasian people were militaries in the service of the Russian Empire from the second half of the 19<sup>th</sup> century. Data collected by Russian authors, provide rich material about the countries included in the Russian Empire for study of separate historical, ethnographic, folklore, literary and culturological issues, as well as from the viewpoint of research of imperialism in general. Important part of the folklore studies of the 19<sup>th</sup> century are the works of Georgian and Russian historians, linguists, ethnographers, literary critics, public opinion researchers, as well as foreign travelers, where folkloric material is used, as folkloric studies as a field of science, is based on these sciences. In 1840-1850-ies, interests to folklore deepened and were mainly demonstrated in practical collection works and description and characterization of a vivid folk narrative tradition. All this was done for the purpose of familiarization as it was published in the Russian periodicals and folkloric-ethnographic material was published by Russian authors along with others.

The paper deals with Georgian and North-Caucasian folklore published in the "Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus" [Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа]. The Board of Caucasian Academic District began to issue a periodical collection "Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus" from 1881. It existed until 1929 and 44 volumes were published in total. Throughout its existence this collection largely contributed to accumulation and publication of issues of the Caucasian culture, ethnography,

archaeology, language, literature and folklore. People of various social and educations levels provided materials for the collection: teachers of gymnasiums and schools, students of high grades of theological academies and gymnasiums, clergymen, travelers etc. Therefore, materials are of unequal value, but even the material published in such form is important for us. The purpose of publication of the collection was to thoroughly study and become familiarized with the Caucasian peoples, which had political-state background. Knowledge of customs and mentality of newly joined peoples had a great importance for the Russian Czarism for their assimilation. Therefore, vast material is accumulated in this edition, which has not been studied yet.

Materials regarding culture, history, archeology, ethnography, language, literature of Caucasian peoples, mainly Georgians as well as researches of Russian, European and Georgian authors were printed in the collection. Each volume of the Collection comprised published historic and archaeological materials, and folkloric sources.

The folk narratives describing relations between Georgians, Abkhazians, Kabardinians, Laks and Ossetians could be categorized as 1. herioc songs, and 2. etiological tales. Each group could be sort out in following way:

- 1) Kabardinians in the Georgian heroic songs and tales;
- 2) Ossetians in the Georgian heroic songs and tales;
- 3) Laks in the Georgian etiological tales;
- 4) Ossetians in the Georgian etiological tales;
- 5) Kabardinians in the Georgian etiological tales.

The goal of this paper is to demonstrate folk narratives in imperial context. With this goal of mind, the following questions must be answered: To which extent did scholars and their organizations operate in an imperial space? What was the role of particular regions and countries with their cultural peculiarities, such as Georgian and North-Caucasian lands in the Czarist Empire?

Georgian folkloric texts, published in "Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus" in 1881-1900-ies, confirms that the interaction between Georgian and North-Caucasian peoples were expressed ambivalently in folks perception and the collectors of folklore materials fixed it accurate. The folkloric image of Kabardinians, Laks, Ossetians and Abkhazians is portrayed as attacker but they are friendly in case they respect religious idols.

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ

Georgian-North-Caucasian relations are differently demonstrated in Georgian folklore, published in “Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus”. The heroic poems and songs tell us about fights and battles, but in the etiological tales there are reported the peaceful interactions between the Caucasian peoples.

According to the ideological interests of Czarism, folkloric and ethnographical data in “Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus” are full of texts describing the conflicts, but even these texts contain information that shows the different aspects of Georgian-North-Caucasian relations. The notes about the common sacral values of Caucasians are very small, but even the small marks can be very important.

**შორენა თავბერიძე**  
**მისალმების ჩვეულება**  
**(ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით)**

ქართველებს მისალმება წინაპრებისაგან დადგენილ სავალდებულო წეს-ად მიაჩნდათ. „წესია ქვეყანაზედა“<sup>1</sup> – ასე განმარტავს მთქმელი ერთ ხალხურ ლექსში ქართველი ვაუკაცის საქციელს – მტრისთვის სალმის თქმას. მისალმების ჩვეულების თანახმად, შემხვედრთ უნდა გაეთვალისწინებინათ ერთმანეთის ასაკი, სქესი, ხელობა და სოციალური მდგომარეობა, სტუმრობენ თუ მასპინძლობენ, მტრობენ თუ მოყვრობენ, ჭირს იზიარებენ თუ ლხინს ულოცავენ ერთურთს და ამის შესაბამისად მისალმებოდნენ ან არ მისალმებოდნენ ერთმანეთს.

ქართველთა მისალმების ჩვეულებაზე თავისებურ გავლენას უცხო-ტომელთა ადათ-წესებიც ახდენდა. ამ გავლენის შედეგად დამკვიდრებული უცხოურენოვანი სიტყვები ზეპირსიტყვიერებაშიც აისახებოდა. მაგალითად, აჭარული ზღაპარი აშიყ ყერიბიზე მოგვითხრობს: მივიღა აშიყ ყერიბი ერთ საჩაიეში, მიესალმა: „ – სალამ ალეიქუმ – ალეიქუმ სალამ! – უპასუხა უმფროსმა“<sup>2</sup> „არსენას ლექსში“ კი გვხვდება რუსული მისალმება-მოკითხვა: „დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდოშ საითკენა?“<sup>3</sup>. თუმცა ამპარტავნობისა თუ სხვა მსგავს მიზეზთა გამო უცხო სიტყვებით მისალმება ხალხს დასაცინად გაუხდია, რასაც ანეკდოტიც მოწმობს:

„სოფლის ორლობეში ერთმანეთს ხვდებიან „ნაქალაქარი“ გოგია და ქართლელი უპრეტენზიო გოგო მაყვალა.

- გამარჯობა, გოგია!
- ზდრასტი!
- იი, მეხი კი ჩამოვათხლიშე მაგ შენ ძირნაყარ რუსულსა!“<sup>4</sup>

<sup>1</sup> ხორგუაშვილი 1989, 75.

<sup>2</sup> სიხარულიძე 2005, 49.

<sup>3</sup> ბერულავა 1965ა, 215.

<sup>4</sup> ბარბაქაძე 1992, 32.

მიმართ პატივისცემის, კეთილგანწყობის გამოხატვას აღნიშნავს ზმნა (მიესალმება), რომლის ძირია არაბული სიტყვა სალამ (მშვიდობა). ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ზეპირსიტყვიერებაშიც. მაგალითად:

„ნაკუდავ, შენსა მომკლავსა  
ლეკმა ლეკს მისცა სალამი“;<sup>5</sup>

„ადგნენ, ნავიდნენ ხევსურნი, ერთმანეთს არ უცდისაო...  
ჭეხით მოართვეს სალამი ერეკლეს, მეფის შვილსაო“.<sup>6</sup>

„სალამი მისცეს. სალამი აიღეს“,<sup>7</sup> – ამბობს მთქმელი ერთ ზღაპარში, როდესაც სასტუმროს მეპატრონისა და სტუმრების შეხვედრას აღწერს.

ქართველებში მისალმების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, მშვიდობა უსურვო შემხვედრს (ალბათ ამან შეუწყო ხელი ქართულ ენა-ში სიტყვა სალმის დამკვიდრებას); მეტიც, ხევსურულ კილოში სიტყვები „მშვიდობას ეტყვის“ ნიშნავს: მიესალმება, გამარჯობას ეტყვის.<sup>8</sup> „მოგვიხვედ მშვიდობითაო“, – ასე ესალმებიან ზურაბ ერისთავს ერთ ხევსურულ ლექსში.<sup>9</sup> „– თეთრო მანგურ, მშვიდობით მომიხვე“, – მიმართავს მონადირეს ლვთაება დალი.<sup>10</sup> „მღვდლის ზღაპარი“ მოგვითხრობს: ერთმა ბიჭმა „დილით ჩამოიარა, მღვდელს მიესალმა: – დილა მშვიდობისა, მა-მაო!“<sup>11</sup>. ტარიელიანის ერთ-ერთ ვარიანტში ტარიელის შვილი დევს დაუ-ძახებს: ბიძიეთ გაუმარჯოსო. დევი უპასუხებს: მშვიდობა შენაო.<sup>12</sup> ეს უკანასკნელი მაგალითი იმითაც არის საგულისხმო, რომ გამარჯობის პა-სუხად, ჩვეულებრივ, გამარჯვებას უსურვებენ: „გამარჯობას“ „გაგიმარ-ჯოს“ უნდაო! – ამბობს ქართული ანდაზა<sup>13</sup> (რომელიც მხოლოდ გამარ-ჯობის ტოლ-სწორ პასუხს არ გვამცნობს).

სიტყვების – გამარჯობა, გაგიმარჯოს – შესახებ ოლივერ უორდროპი წერდა: ეს მისალმებები ისეთივე მრავლის მთქმელია, როგორც ფოლიან-

<sup>5</sup> სიხარულიძე 1974, 179.

<sup>6</sup> მაკალათია 1935, 42.

<sup>7</sup> ჩიქოვანი 1956, 72.

<sup>8</sup> ჭინჭარაული 2005, 631.

<sup>9</sup> შანიძე 1931, 8.

<sup>10</sup> შანიძე, თოფურია, გუჯეჯიანი 1939, 297.

<sup>11</sup> ღლონტი 1975, 254.

<sup>12</sup> ვირსალაძე 1958, 331.

<sup>13</sup> ბერულავა 1965ა, 46.

## შორენა თავბერიძე

ტების ათობით ტომიო.<sup>14</sup> ხალხური ლეგენდა სიტყვა გამარჯობას თამარ მეფის სახელს უკავშირებს. ბრძოლის შემდეგ ხელმწიფემ ქართველებს გამარჯვება მიულოცა: – თქვენს მარჯვენას გაუმარჯოსო. – გაუმარჯოს! – უპასუხა ლაშქარმა. „ამის შემდეგა წესათ გახდა ეგა. ქართველები ეხლა როცა სადმე ერთმანეთს შავხვდებით, თავ დაუკრამთ და ვეტყვით: „შენ მარჯვენას გაუმარჯოსო“. – ასე გაჩთა ჩვენი გამარჯობა“, – ამბობს სახალხო მთქმელი.<sup>15</sup>

თითქმის ყველა ქართული მისალმება დალოცვის ტიპისაა (გარდა ნახვამდისა<sup>16</sup>),<sup>17</sup> რასაც სიტყვა გამარჯობის ხალხური ეტიმოლოგიაც ადასტურებს: გამარჯობა მარჯვენის დალოცვაა. ზეპირსიტყვიერებაში, გამარჯობის გარდა, დალოცვა-მისალმების სხვა ფორმებიც გვხვდება. მაგალითად, ერთ სვანურ ლექსში შეხვედრისას მუსავთი ნავერიანი და ძმები, სოზარი და ციოუყი, ასე ესალმებიან ერთმანეთს:

„– თქვენი მგზავრობა დამილოცავს!  
– ჩვენი შემხვდომი დაგვილოცავს!“<sup>18</sup>

ნადირის დევნაში მთის წვერზე შემორჩენილი მონადირე მეთქი გან-  
თიადისას სხვა მონადირეს რომ დაინახავს:

„– კაი მგზავრობა მონადირეს! –  
მეთქიმ მიაძახა ლაკვრაშის წვერიდან.  
– სულ კაი მეთქის გექნების! –  
მონადირემ დაბლიდან მიუგო“.<sup>19</sup>

იმის გათვალისწინებით, ვინ იყო შემხვედრი, რა ხელობისა, სად მიდ-  
იოდა, რას საქმიანობდა, შესაბამისი დალოცვა-მისალმება ითქმოდა.<sup>20</sup> მაგა-

<sup>14</sup> უორდროპი 2001, 101.

<sup>15</sup> ღლონგტი 1948, 7-8.

<sup>16</sup> გამონაკლისია ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის პერიოდში ერთ-  
მანეთისთვის თქმული მისალმებაც. თ. სახოკია ამ ჩვეულების შესახებ  
წერდა: „შემხვდურთ „ქრისტე აღდგას“ ვეუბნებით გამარჯვების მაგიერ,  
ისინი „ჭეშმარიტად აღდგათი“-თი გვიპასუხებენ“ (სახოკია 1955, 55).

<sup>17</sup> ომიაძე 2007, 50.

<sup>18</sup> შანიძე, თოფურია, გუჯეჯიანი 1939, 135.

<sup>19</sup> იქვე, 307.

<sup>20</sup> მსგავსი მისალმებები სხვა ხალხებსაც ჰქონდათ. მაგალითად, ნახირით  
მიმავალ მწყემსს აფხაზები ესალმებიან სიტყვებით: კეთილად გამწყემ-

ლითად, ხანისწყლის ხეობაში მებადურს „გამარჯობის“ ნაცვლად ეტყვიან: ხსილამცახარ (ხსნილი იყო თევზის ჭერაში), ხოლო ყველა მონადირეს – სილამც იარე;<sup>21</sup> გამარჯობის ნაცვლად ბარაქას ეუბნებოდნენ ქართლ-კახეთში კალოზე მომუშავეს; „კაი ხვავიო“ უსურვებდნენ გურიაში სიმინდის ამღებს, ხოლო „ჯვარი გინერიაო“ ეტყოდნენ არყის გამოხდისას, შალის თელისას, ძროხის წველისას, ბოსტანში მუშაობისას.<sup>22</sup> დამონწმებული ეთ-ნოგრაფიული მასალა მით უფრო საგულისახმოა, რომ ზღაპრებში ყანაში მომუშავესაც, მეცხვარესაც და მონადირესაც მისალმებისას გამარჯობას ეუბნებიან. მაგალითად: ერთ მღვდელს გზად მუშები შეხვდებიან, რომლებიც ყანას ხნავენ. – გამარჯობა თქვენი! – დუუძახა ღვდელმა იგინს. – გაგიმარჯოსო! – უთხრეს ამ ხალხმა“.<sup>23</sup> თავისი სიზმრის მძებნელი კაცი გზაში მეცხვარეს შეხვდება: „– გამარჯობა შენიო! – მეცხვარეს უთხრა. – გაგიმარჯოსო! – მეცხვარემ უთხრა“.<sup>24</sup> ერთ ტრიალ მინდორზე შავლაი მონადირეს შეხვდება: „– გამარჯობა! – გაგიმარჯოსო! – საიდან მოდიხარ, ვინა ხარო? – შავითხეს ერთი მეორეს“.<sup>25</sup>

საქართველოს ზოგ კუთხეში გვხვდება მუშაკაცისა და მონადირი-სათვის გამარჯობის თქმის ჩვეულება, თუმცა, როგორც წესი, გამარჯობას სათანადო სიტყვებსაც მოაყოლებენ და შემხვედრს საქმეში ხელის მომართვას უსურვებენ. მაგალითად: გურიაში მონადირეს გამარჯვებას-თან ერთად ეტყოდნენ: ივანე მახარობელი<sup>26</sup> შეგენიოსო,<sup>27</sup> როდესაც სვანი იქ მივიდოდა, სადაც არაყს ხდიდნენ, მისალმების წინ აუცილებლად იტყოდა: არაყი წვიმსო;<sup>28</sup> თუშეთში ცხვარში მისული გარეშე კაცი, რო-

სინოს შენი ნახირის. თუ ნახირს მთაში მიერეკებიან, ამ დროს მისასალ-მებელი სიტყვებია: უენებლად (უკლებლივ) აგარეკინოს ნახირი მთაშიონ. სხვა მისალმებები ამ შემთხვევებში უზრდელობად, სირცხვილად მიაჩნდათ (ემხვარი 1945, 139).

<sup>21</sup> გაჩეჩილაძე 1948, 187-188.

<sup>22</sup> წულაძე 1971, 100-101.

<sup>23</sup> ღლონტი 1948, 151.

<sup>24</sup> იქვე, 110.

<sup>25</sup> იქვე, 15.

<sup>26</sup> ივანე მახარობელს მონადირის შემწე-მფარველად მიიჩნევდნენ.

<sup>27</sup> წულაძე 2009, 46.

<sup>28</sup> ბარდაველიძე 1939, 66.

## შორენა თავბერიძე

მელიც ჩვეულებრივ დროს მხოლოდ „გამარჯობას“ ამბობს, თუ წველის ან პარსვის დროს მივა, ჯერ ეტყვის: „ბარაქა თქვენ საქმესაო“ და მერე ამბობს „გამარჯობას“. <sup>29</sup>

დროთა განმავლობაში გამარჯობა ფართოდ გავრცელებულ, ზოგად მისალმებად იქცა, <sup>30</sup> რომელიც იმავე მნიშვნელობის სხვა სიტყვებს ჩაენაცვლა. შესაძლოა ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველდღიურ ყოფაში დამონმებული დალოცვა-მისალმების ფორმები ქართულ ზღაპრებში არ გვხვდება.

სალამი დასწრებაზე უნდა იყოსო, – ნათქვამია ერთ ანდაზაში; <sup>31</sup> კარგი ადამიანი სალამს აქეთ დაასწრებსო, – ამბობენ სვანები. <sup>32</sup> ხევსურებს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ, კერძოდ, თუ გამვლელი ხევსურს პირველი მიესალმებოდა, იგი იფიქრებდა, ჩემი შეეშინდა და გამარჯვება მითხოოს. <sup>33</sup> ალნიშნული შეხედულება საგულისხმოა მეგრულ ზღაპართან მიმართებით, რომელშიც გმირების, ხრისტაგანისა და ბელთაგანის, პირველი შეხედრის აღწერისას მთქმელი საგანგებოდ შენიშნავს, სალამს პირველი არცერთი გმირი არ ამბობსო; იქნებ ამით მეზღაპრე მსმენელს ამცნობს: არც ერთ გმირს არ სურს, მეორის უპირატესობა აღიაროს და პირველი მიესალმოსო – ხრისტაგან-გმირმა და ბელთაგან-გმირმა შორიდანვე იცნეს ერთმანეთი. „მივიდნენ ახლოს, მაგრამ პირველად („უნინ“) გამარჯვება არც ამან უთხრა და არც იმან. გაუარეს [გვერდი] ერთმანეთს. დაბრუნდა ხრისტაგანი და დაუძახა: – გამარჯობა, ძმაო, ბელთაგან-გმირო! მობრუნდა ბელთაგანი და უთხრა: – გაგიმარჯოს, ძმაო, ღმერთმა, ხრისტაგან-გმირსო“. <sup>34</sup>

ზღაპრებში გზად მიმავალი გმირები პირველები ესალმებიან შემხვედრ მეცხვარეს, მონადირეს, მუშაკაცებსა თუ სხვადასხვა ცხო-

<sup>29</sup> ბოჭორიძე 1993, 336.

<sup>30</sup> გამარჯობის ეტიმოლოგია და მისი გამოყენების თავისებურებანი (გამარჯობას მამაკაცს ეუბნებოდნენ, ხოლო ქალისთვის გამარჯობის თქმა სირცხვილი იყო; ჭირისუფალთან სამძიმარზე მისულს გამარჯობას არ ეტყოდნენ და ა.შ.) ცალკე კვლევის საგანია და აქ სიტყვას ვეღარ გავაგრძელებ.

<sup>31</sup> ჩხენკელი 2009, 100.

<sup>32</sup> დავითიანი 1973, 188.

<sup>33</sup> მაკალათია 1935, 104.

<sup>34</sup> დანელია, ცანავა 1991, 67.

ველს. საფიქრებელია, რომ, მისალმების ჩვეულების თანახმად, გამვლელს, თუნდაც მდიდარსა და წარჩინებულს, პირველს ეკუთვნოდა მუშაკაცისათვის სალმის თქმა, რაზედაც ერთ ზღაპარში ნახსენები სიტყვა „ისევ“ უნდა მიუთითებდეს: გზად მიმავალმა მდიდარმა სოვდაგარმა დაინახა, რომ ერთი გლეხკაცი ხნავდა. სოვდაგარმა „სალამი არ მისცა. ისევ გუთინისდედა მიესალმა“.<sup>35</sup>

ხალხის შეხედულებით, სალამი ყველას ეთქმოდა, მტერსაც კი. სალამი მტერსაც არ დაეკავებაო, – ამბობს ქართველი.<sup>36</sup> მტრისათვის სალმის თქმა წინაპართა ჩვეულების დაცვად მიიჩნეოდა და არა ქედის მოხრად მტრის წინაშე შიშისა თუ უღონობის გამო, რასაც ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი ერთი შემთხვევაც მონაბეჭდის: ერთხელ ჯაფარ-ყულისანს, ბახტიართა<sup>37</sup> ბატონს, ჯარითა და ამალით ფერეიდანში, ქართველთა სოფლებში, გაუვლია. ერთ ქართველს დაუნახავს ჯაფარ-ყული-ხანი და „დიდის პატივითა და მონიწებით სალამი მიუცია, მაგრამ ერთიორით ფეხი რომ წინ წაუდგავთ, მიუყვია პირი იმავე ქართველს და ახლა სამინელი ლანძღვა მიუყოლებია. ჯაფარ-ყული-ხანსაც შეეყინებინა ცხენი და ეკითხნა იმ ქართველი კაცისათვის: – მითხარი, თუ ღმერთი გნამს, რას ჰერიშნავდა ან ის, ისეთი შენი მონიწებით სალამი და ან ეგ, უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებაო? – პირველი იმას ჰერიშნავდა, რომ როდესაც შენსაებ დიდი პირი გამოივლის ჩვენს მინა-წყალზედ, ყველა ჩვენგანი მოვალეა ღირსეული პატივი სცეს – დიდ-პატარაობის გარჩევა და უცხო კაცის დახვედრა კარგა იციან ქართველობამაო. და მეორეც იმასა ჰერიშნავდა, რომ შენ მაგ პატივისცემით თავს არ წახვიდე, თვალები არ აგებას და არ გეგონოს: რომ შენი გვეშინიან და პატივს იმიტომა გცემთ – ქართველებს არავისი არ ეშინიანთ“.<sup>38</sup>

სიტყვიერ მისალმებას ხშირად ახლდა განსაზღვრული მოძრაობები, უესტები (ფეხზე წამოდგომა, ხელის ჩამორთმევა, კოცნა, ქუდის მოხდა, თავის დაკვრა, მუხლის მოყრა), რომლებიც ასევე გამოხატავდა შემხვედრთა შორის დამოკიდებულებას. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, მეგრელი მასპინძელი, არსებული წესისამებრ, ზოგ სტუმარს ლო-

<sup>35</sup> ღლონტი 1975, 282.

<sup>36</sup> ბერულავა 1965ბ, 265.

<sup>37</sup> ირანული მოდგმის მომთაბარე ტომი.

<sup>38</sup> ალნიაშვილი 1896, 216-217.

## შორენა თავბერიძე

ყაზე ეამბორებოდა, ზოგს ორჯერ მუხლმოდრეკით ესალმებოდა; დიდი ხნის უნახავი მეგრელები შეხვედრისას ჩამოქვეითდებოდნენ და ერთმანეთს მუხლმოდრეკით ესალმებოდნენ.<sup>39</sup> ქართველ წარჩინებულთა მისალმების ჩვეულების თანახმად, როდესაც წარჩინებულები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მოვალენი იყვნენ ჩამოქვეითებულიყვნენ და კოცნით მისალმებოდნენ ერთმანეთს.<sup>40</sup>

მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიღებული ყოფილა შეხვედრისას კოცნა, იგი საყოველთაოდ გავრცელებული არ ყოფილა. თუ სვანები მომსვლელს სამჯერ კოცნით ხვდებოდნენ,<sup>41</sup> თუშები კოცნას სირცხვილად მიიჩნევდნენ და სტუმარს ხელის ჩამორთმევით ესალმებოდნენ.<sup>42</sup>

ხალხურ ლექსში თავისებური პოეტური სახეა სიკვდილის შეხვედრა ვაჟკაცთან... პირზე კოცნით:

„ჩამაუჩინდა სიკვდილი გორგალას წვერის პირსაო.

„სად მიხოლ, ჩემო მამუკავ?“ მაუკოცნიდა პირსაო“.<sup>43</sup>

მეგრული ზღაპრის გმირები პირველი შეხვედრისთანავე ერთმანეთს გადაკოცნიან და ხელის ჩამორთმევით ესალმებიან.<sup>44</sup> მისალმებისას ხელის ჩამორთმევის ჩვეულება ხალხურ ლექსებშიც გვხვდება. მაგალითად:

„გამარჯობა, ბესო,

გეახელი დღესო.

შენი გაცნობა მინდოდა,

ჩამოგართმევ ხელსო“.<sup>45</sup>

„გასწი, გაფრინდი, მერცხალო, გადაიარე მთანია...

მიბრუნდი ჩემსა სატრფოსთან და ჩამოართვი ხელია“.<sup>46</sup>

<sup>39</sup> ლამბერტი 2011, 129.

<sup>40</sup> სართანია 2002, 156.

<sup>41</sup> არაყვებული 1950, 11.

<sup>42</sup> მაკალათია 1983, 104-105.

<sup>43</sup> შანიძე 1931, 105.

<sup>44</sup> დანელია, ცანავა 1991, 67.

<sup>45</sup> ხორგუაშვილი 1989, 261.

<sup>46</sup> მაკალათია 1937, 33.

კახეთში მოგზაურობის აღნერისას ოლივერ უორდროპი წერდა: გზაში ბევრი თავაზიანი მამაკაცი გვხვდებოდა; ისინი ფაფახებს იხდიდნენ და თავის ნატიფი დაკვრით გვესალმებოდნენ.<sup>47</sup> სალხური ლექსის თანახმად, ერეკლე მეფესთან მისულმა მაია წყნეთელმა:

„ხირიმი შეატრიალა,  
დაბლა დაუკრა თავია“.<sup>48</sup>

როდესაც მუხათგვერდში მოქეიფე არსენა ოქელაშვილს გიორგი კუჭატნელი გაუვლის წინ, „გამარჯვებას ეტყვის ერთსა: – „გამარჯობა“, – „გაგიმარჯოს“.<sup>49</sup> მისალმების ჩვეულება თითქოს არ დარღვეულა – არც ერთმა გაიარა უსალმოდ და არც მეორემ დატოვა სალამი უპასუხოდ. მაგრამ რატომძაც ამ მისალმებას ერთგვარ შენიშვნად მოჰყვება სიტყვები: „სალმად მარტო ეს იყვესა“. იქნებ ცალკეულ შემთხვევებში შეხვედრისას მარტო გამარჯობის თქმას ქართველები საკმარისად არ მიიჩნევდნენ; იქნებ არსენასა და კუჭატნელის „ცარიელი“ სალამი – არც ფეხზე წამოდგომა, არც ჩამოქვეითება, არც ქუდის მოხდა, არც ხელის ჩამორთმევა – მსმენელისათვის ერთგვარი მინიშნებაა მათ შორის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე.

საზოგადოდ, სალმის უთქმელობა, გულზვიადობის, მტრობის, წყრომა-განრისხებისა<sup>50</sup> და არაკეთილგანწყობის ნიშნად მიიჩნეოდა. სალმის უთქმელობა შეურაცხყოფადაც ითვლებოდა და იშვიათად დარჩებოდა დაუსჯელი.

მეცხვარეს, რომელიც გზად ჩავლილ ოსებთან შებრძოლებას გადაწყვეტს და ამიტომაც მათ სალამზე არ უპასუხებს, სახალხო მთქმელი ასეთ სიტყვებს ათქმევინებს:

„არც გამარჯობა ვუთხარი,  
არც შუბლი გავუშალეო...  
სამი მოვკალ, ორი დავჭერ,  
თავიც ხომ ვინაცვალეო“.<sup>51</sup>

<sup>47</sup> უორდროპი 2001, 101.

<sup>48</sup> ბერულავა 1965ა, 197.

<sup>49</sup> იქვე, 222.

<sup>50</sup> ხევსურეთში აკრძალული იყო სხვის სოფელში ცხენით გავლა. თუ მგზავრი სოფელში ცხენზე ამხედრებული გაივლიდა, პატივსაცემი და უფროსი კაციც რომ ყოფილიყო, გამარჯობას მაინც არ ეტყოდნენ (ოჩიაური 1980, 43).

<sup>51</sup> უმიკაშვილი 1937, 58.

არ ესალმება ზურაბ არაგვის ერისთავს ერთი ურჯულო ბელადი. „სალამ რათ მივცემ ზურაბსა, რა ჩემი ბატონი არი?“ – ქედმალლურად კითხულობს იგი.<sup>52</sup>

აფციაურის განრისხების მიზეზი, ხალხური ლექსის თანახმად, სალამზე სალმის უთქმელობაა. შემხვედრ მგზავრებს აფციაური ესალმება:

„სიცილით, წვერის რხევითა.  
ყური არ უგდეს მგზავრებმა,  
გასცდნენ დიდგულად მღერითა.  
გაჯავრდა აფციაური,  
გული აევსო სევდითა“<sup>53</sup>

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში სალმის უთქმელობას თავისებური მხატვრული ფუნქცია აქვს.

სალმის ართქმა ის მხატვრული ხერხია, რომლითაც მეზღაპრე გმირის გასაჭირზე მიანიშნებს – რომ არა დიდი საფიქრალი და სადარდებელი, კაცი გზად შემხვედრ უცხო კაცს სალამს როგორ დაუძვირებსო. ერთი ზღაპარი მოგვითხრობს: სოლომონ ბრძენბა ერთ კაცს დაავალა, აეხსნა, რატომ იყო უცნაურად გამართული გუთანი და წისქვილი. თუ ვერ ამიხსნი, სიკვდილით დაგსჯიო, დაემუქრა მეფე. „წავიდა ეს კაცი. მიდის დაღონებული. ვინც კი ხვდება გზაში, ხმას არავის არა სცემს, სალამს არ აძლევს“.<sup>54</sup> სხვა ზღაპარის გმირი მივა ერთ ადგილზე, სადაც მენახირებს საქონელი ჰყავთ, და მენახირებს მიესალმება, მაგრამ მენახირები ხმა არ გასცემენ; მეორედაც რომ უთხრა გამარჯვობა, მენახირებმა უთხრეს: – რა დროს გამარჯვებაა, ეს ორი წელია, ეს კამეჩები ასე ჭიდაობენ და ვერას გზით ვერ ვაშველებთო.<sup>55</sup> ერთ სატრფიალო ლექსში ვაჟი ქალს ეფიცება: „მე რომ შენი ქმარი ვიყო, ყეინს არ მივცემ სალამსა“.<sup>56</sup> ლამაზი ცოლის პატრონობით გაამაყებული ვაჟი თვით ყეინსაც არ მიიჩნევს თავის სწორად; ამადაც უძვირებს სალამს.

სალმის უთქმელობას ზოგჯერ შესაძლოა ის რწმენა-წარმოდგენები ედოს საფუძვლად, რომლებიც უშუალოდ მისალმებას არ უკავშირდება

<sup>52</sup> უმიკაშვილი 1937, 88.

<sup>53</sup> კოტეტიშვილი 1961, 218.

<sup>54</sup> ძიძიგური 1959, 120.

<sup>55</sup> ვირსალაძე 1949, 252.

<sup>56</sup> ვირსალაძე 1978, 57.

(თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა მისალმებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები – გურიაში ერთ-ერთი ბრძნა იყო პირდაუბანელი სალმის მიცემა<sup>57</sup>). თუშეთში ჰყვებიან ამბავს მონადირე ბეროზე, რომელიც ერთ ქალს მგლისაგან იხსნის. ქალი ქაჯი აღმოჩნდება. იგი მონადირეს თავის დედ-მამასთან წაიყვანს, რომ მისი გადარჩენისათვის დაასაჩუქრონ და გზაში საგანგებოდ გააფრთხილებს: სოფელში მისვლისას ყველა გამარჯობას გეტყვის, მაგრამ შენ ხმა არ ამოიღო, ხმა არავის გასცეო. სოფელში ბეროს ყველა ესალმება, მონადირე კი პასუხს არავის სცემს, რის გამოც საყვედურობენ: „კაც არ ხარი, გამარჯობას რაგვერ არ გვეობნებ?“<sup>58</sup> საფიქრებელია, რომ მონადირე ქაჯებს ერთადერთი მიზეზის გამო არ ესალმება – არ დაარღვიოს უმძრახობის აკრძალვა. ეშმა-ქაჯი რომ შეგხვდება და ლაპარაკს დაგინყებს, ხმა არ უნდა გასცე, თორემ თუ საუბარში ჩაგიყოლია, მისი ხარ, „დაგიტომებს“ და თან წაგიყვანსო, – სჯეროდათ თუშებს.<sup>59</sup>

მისალმების ჩვეულება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან – განსხვავდება სიტყვები, განსხვავდება უესტები. მიუხედავად ამისა, მისალმების მიზანი ყველგან ერთია – პატივისცემისა და კეთილგანწყობის გამოხატვა. სალმის მიცემა თანაბარიაო,<sup>60</sup> ამბობს ქართველი. თუმცა კაცს შეხედე და ქუდიც ისე მოუხადეო,<sup>61</sup> ესეც ქართველის სიტყვებია. ხალხს სალმის თქმა მტრისთვისაც და მოყვასისთვისაც სავალდებულოდ მიაჩნდა, სალამზე სალმის უთქმელობა კი – ისეთივე საძრახის საქციელად, როგორც სალმის ართქმა; თუმცა მისალმების დროს პატივისცემის გამოხატვისას იგი წინდახედულობისა და გონიერების გამოჩენას მოითხოვდა.

## ბიბლიოგრაფია

### References

**არაყიშვილი 1950:** არაყიშვილი დ. 1950, სვანური ხალხური სიმღერები, თბილისი

<sup>57</sup> წულაძე 1971, 111.

<sup>58</sup> მაკალათია 1937, 126.

<sup>59</sup> ცოცანიძე 1990, 82.

<sup>60</sup> დავითიანი 1973, 15.

<sup>61</sup> ბერულავა 1965ბ, 105.

## შორენა თავბერიძე

- აღნიაშვილი 1896:** აღნიაშვილი ლ. 1896, სპარსეთი და იქაური ქართველები (მგ ზავრის წერილები), ტფილისი
- ბარბაქაძე 1992:** ბარბაქაძე ბ. და ბარბაქაძე გ. 1992, მოდი ერთად ვიცინოთ, ქართული, უცხოური და პოლიტიკური იუმორი, შემდგენლები: ბახვა და გიორგი ბარბაქაძეები, თბილისი
- ბარდაველიძე 1939:** ბარდაველიძე ვ. 1939, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფილისი
- ბერულავა 1965ა:** ბერულავა და სხვ. რედ., ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად 1965, სარედ. კოლეგია: ხ. ბერულავა, ე. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, ა. ღლონტი, მ. ჩიქოვანი, ტ. 4: ქართული ხალხური პოეზია, ტომი შეადგინა, წინასიტყვა. და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძე, თბილისი
- ბერულავა 1965ბ:** ბერულავა და სხვ. რედ., ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად 1965, სარედ. კოლეგია: ხ. ბერულავა, ე. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, ა. ღლონტი, მ. ჩიქოვანი, ტ. 5, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები. ტომის შემდგ.: ალ. ლეჟავა, ა. ცანავა და ჯ. ბარდაველიძე, თბილისი
- ბოჭორიძე 1993:** ბოჭორიძე გ. 1993, თუშეთი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, თბილისი
- გაჩეჩილაძე 1948:** გაჩეჩილაძე პ. 1948, მებაღურთა მისალმების ფორმულები ხანის-წყლის ხეობაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 29გ, 187–191
- დავითიანი 1973:** დავითიანი ა. 1973, სვანური ანდაზები, თბილისი
- დანელია, ცანავა 1991:** ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ) 1991, ტ. II, ზღაპრები და მცირე უანრები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბილისი
- ემხვარი 1945:** ემხვარი ბ. 1945, აფხაზთა ზრდილობის საკითხისათვის, მნათობი, 9, 134–142
- ვირსალაძე 1949:** რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები 1949, ელენე ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილით და შენიშვნებით, თბილისი
- ვირსალაძე 1958:** ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი 1958, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა, თბილისი
- ვირსალაძე 1978:** ვირსალაძე ე. და სხვ. რედ., ქართული ხალხური პოეზია 1978, ტ. 6, სატრაფიალო ლექსები, თბილისი

- კოტეტიშვილი 1961:** კოტეტიშვილი ვ. 1961, ხალხური პოეზია, თბილისი  
**ლამბერტი 2011:** ლამბერტი ა. 2011, სამეგრელოს აღწერა, თბილისი  
**მაკალათია 1935:** მაკალათია ს. 1935, ხევსურეთი, ტფილისი  
**მაკალათია 1937:** მაკალათია ს. 1937, თუშური ლექსები, ტფილისი  
**მაკალათია 1983:** მაკალათია ს. 1983, თუშეთი, თბილისი  
**ოჩიაური 1980:** ოჩიაური ა. 1980, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბილისი
- სართანია 2002:** სართანია დ. 2002, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბილისი
- სახოკია 1955:** სახოკია თ. 1955, როგორ ვიზრდებოდით ძველად (მოგონებანი), თბილისი
- სიხარულიძე 1974:** სიხარულიძე ქს. და სხვ. რედ., ქართული ხალხური პოეზია 1974, ტ. 2, ნაკვ. 1, საგმირო ლექსები, თბილისი
- სიხარულიძე 2005:** სხალთის ხეობის ფოლკლორული მასალები 2005, შემდგენელი გიორგი სიხარულიძე, თბილისი
- უმიკაშვილი 1937:** უმიკაშვილი პ. 1937, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ლექსები, ანდაზები და გამოცანები, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა, ტფილისი
- უორდოპი 2001:** უორდოპი ო. 2001, საქართველოს სამეცნ, მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინის და სიმღერის ქვეყანაში, თბილისი
- ლლონტი 1948:** ლლონტი ალ. 1948, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, შესავალი, ტექსტები, შენიშვნები, თბილისი
- ლლონტი 1975:** ლლონტი ალ. 1975, ქართული ზღაპრები, შეადგინა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. ლლონტმა, თბილისი
- შანიძე 1931:** შანიძე ა. 1931, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი
- შანიძე, თოფურია, გუჯეჯიანი 1939:** სვანური პოეზია 1939, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი
- ჩიქოვანი 1956:** ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. III, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, კომენტარებითა და ლექსიკონით, თბილისი
- ჩხერკელი 2009:** ჩხერკელი ჰ. ჩხერკელი ვ. ჩხერკელი ფ. 2009, ქართული ანდაზები (პრძნული გამონათქვამები), თბილისი
- ცოცანიძე 1990:** ცოცანიძე გ. 1990, გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსი თუშეთის ახლო წარსულიდან), თბილისი

**ძიძიგური 1959:** ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძიძიგურის რედა-  
ქციით, წინასიტყვაობითა და ლექსიკონით, თბილისი

**წულაძე 1971:** წულაძე ა. 1971, ეთნოგრაფიული გურია, თბილისი

**ჭინჭარაული 2005:** ჭინჭარაული ა. 2005, ხევსურული ლექსიკონი,  
თბილისი

**ხორგუაშვილი 1989:** ხორგუაშვილი გ. 1989, ნამცვრევი, ხალხური პოე-  
ზია ჩანერილი ქართლში, შემკრებ-შემდგენელი გიორგი ხორგუა-  
შვილი, თბილისი

**Shorena Tavberidze**

**The tradition of greeting  
(According to the Georgian folklore)**

For any Georgian the tradition of greeting is an obligatory rule which has been transferred since ancient times. "It's a rule all round the world" – is the phrase that is used by the people to explain a Georgian knight's behaviour when he greets his enemy. According to the tradition of greeting those who met each other should have taken into consideration age, gender, trade and social position; in addition they should have taken into account whether they were guests or hosts, friends or enemies, they were expressing sympathy or congratulating on some occasion and according to all these they might either greet or not greet each other.

The Georgian tradition of greeting has been influenced by the traditions of other nationalities too. As a result of this influence in Georgian folklore we can see foreign words used for greeting, such as "salamaleikum", "aleikum-salam", "zdrasti". Although either because of the arrogance or some other reasons greeting using foreign words has been the object of ridicule, which can be proved by some folk jokes.

According to a folk legend the Georgian greeting word "gamarjoba" is connected to the glorious king Tamar and Georgians' triumph in a battle. By the end of the battle the king congratulated the warriors on the victory and blessed their right hands. This phrase became a widespread and common greeting. In many cases "gamarjoba" has substituted other words having similar meaning. Generally speaking all the words in Georgian used for greeting has the meaning of blessing. In folklore we can meet various forms of the greetings, such as blessing of travelling, blessing of trade, etc.

The Georgians thought that one should greet everyone even the enemy, as it was considered to be a tradition of ancestors and by no means the way of subordination for fear or weakness.

In Georgian fairy tales folk heroes walking along the road should greet first a passerby – a shepherd, a workman, various animals, etc. Maybe according to the tradition set up among the people a passerby even if he was rich and noble should have greeted first. At the same time the Georgians believed that a good man greeted first. However, there existed a different opinion too – if a passerby greeted first he was considered to be a coward. In one Georgian fairy tale two heroes who are equally strong do not greet each other maybe in order not to acknowledge each other's privilege by doing so.

In general, refusing to greet was the sign of arrogance, enmity, wroth, bad will and insulting and was seldom unpunished. Not greeting is a specific fictional method in Georgian folklore. By means of it a fairy teller makes hint on the problems of the folk hero. If it were not for a big problem any person walking along the road should have greeted a stranger passing by.

Not greeting others sometimes can be the basis of some superstitions which are not connected with greeting at all. In one fairy tale a hunter does not greet evil spirits in order not to break a taboo. The Georgians believed that if a person spoke to evil spirits he would never be able to free himself from them. Although it should be mentioned that there also existed restrictions connected with greeting. One of them was greeting until washing one's face.

Greeting expressed with words was often followed by certain gestures such as rising on one's feet, shaking hands, kissing, taking off the hat, kneeling, nodding, which also expressed the relationship between the two people who greeted each other. In Georgian folklore we often come across the images of the death and a hero kissing each other when encountered or the lover asking a swallow to meet and shake hands with her sweetheart.

The tradition of greeting, to a lesser extent, differs in different parts of Georgia. Different are the words and the gestures. However, the aim of greeting is only one – to express respect and good will. Georgian people considered that it was obligatory to greet a friend as well as an enemy. The refusal to return a greeting was as a shameful as refusal to greet; although, the Georgians requested to be cautious and sensible in expressing respect while greeting.

## მარიამ გოდუაძე

### ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართების საკითხისათვის<sup>1</sup>

ემოციისა და, ზოგადად, ფსიქიკური ტერმინების საგანი თანამედროვე ანთროპოლინგვისტური კვლევის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამგვარ ტერმინთა შესწავლა მიზნად ისახავს მათი სემანტიკური სტრუქტურების უნივერსალიებისა და კულტურათაშორისი და კულტურათაშიგა სხვადა-სხვაობრიობის დონის განსაზღვრას. ენათმეცნიერებაში აღნიშნულ ტერ-მინთა გამოყენების მსგავსება-განსხვავებათა დასადგენად ცხოველი ინ-ტერესი 70-იანი წლებიდან შეინიშნება,<sup>2</sup> თუმცა დახვენილ სტატისტიკურ მეთოდთა ნაკლებობა აფერხებდა კვლევებს ინდივიდთა შორის სისტემა-ტური შედარებისა და, შესაბამისად – განზოგადების<sup>3</sup> თვალსაზრისით. შეიძლება ბევრი არაერთგვაროვანი ნაშრომის დასახელება, რომელიც ამ თემატიკას მიეძღვნა. უკანასკნელ წლებში აღქმისა და ემოციის ზმნების – საერთაშორისო ტერმინოლოგით, *verba-sentiendi-s* – შესწავლის საკითხიც განსაკუთრებით აქტუალურია საზღვარგარეთ<sup>4</sup> ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე სემანტიკური უნივერსალიების დადგენის თვალსაზრისით, ენებში სემანტიკურ სტრუქტურათა საზიაროობის დონის შესწავლის მიზნით, უნივერსალურ შაბლონებსა და ფარდობით არათანაზომიერებას (*relative incommensurability*) შორის მიმართებათა გამოსავლენად, ასევე კვლევის უზუსტესი

<sup>1</sup> ნაშრომი წაეკითხულ იქნა ლექსიკოგრაფიის || საერთაშორისო სიმპოზიუმზე ბათუმში, 2012 წლის მაისში.

<sup>2</sup> Wallace and Carson 1973.

<sup>3</sup> Moore, Romney, Hsia, Rusch 1999, 530.

<sup>4</sup> იხ. შემდევი ელ. რესურსი: [http://www.google.ge/#hl=ka&source=hp&q=verba+sentiendi&btnG=Google+%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&gbv=2&bav=on.2,or.r\\_gc.r\\_pw.,cf.osb&fp=ed24d28c0b56dabe&biw=1024&bih=578](http://www.google.ge/#hl=ka&source=hp&q=verba+sentiendi&btnG=Google+%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&gbv=2&bav=on.2,or.r_gc.r_pw.,cf.osb&fp=ed24d28c0b56dabe&biw=1024&bih=578)

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

მეთოდების შექმნისათვის.<sup>5</sup> პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, განიხილავენ სხვადასხვა ენობრივ მასალას, რომელიც ექვემდებარება ტიპოლოგიურ, ფსიქოლინგვისტურ, შედარება-შეპირისპირებით და ექსპერიმენტულ ანალიზს. გრძნობა-აღქმის ზმნების მნიშვნელობების სემანტიკური სტრუქტურების დადგენის მცდელობისას კი ლინგვისტიკაში თავს იჩენს „აღქმის“ მნიშვნელობის გაგების სირთულის საკითხიც,<sup>6</sup> რაც ნაწილობრივ დაიძლევა სემანტიკური ანალიზისა და სემანტიკური რეპრეზენტაციულობის მეთოდთა მეშვეობით.<sup>7</sup>

გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები, ენის უძველეს შრეს განეკუთვნება. ამ სემანტიკის ზმნები მრავალ ენაში საგულისხმო ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნის. ინდოევროპულ ენებში აღნიშნული ზმნები ფორმობრივად გარდამავალ ზმნებთანაა გათანაბრებული, მაგრამ გარდამავალ ზმნათაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევიან. მიუთითებენ, რომ ენები, სადაც განსხვავება პროცესების ხასიათში (**მოქმედება თუ აღქმა**) თანმიმდევრულად იქნება ასახული შესაბამის კონსტრუქციაში, არ არსებობს, თუმცა, ის ენა, სადაც ასეთი განსხვავება განსაკუთრებული ფორმით, უცილობელი სიზუსტით არის დიფერენცირებული შესაბამის ზმნურ ფორმებში, ქართულია.<sup>8</sup> ასევე მიუთითებენ verba sentiendi et dicendi-ს თავისებურ ქცევაზე. ამ ორ მოვლენას, გარდა იმისა, რომ ცნობიერი ფსიქიკის ამსახველ ტერმინებს წარმოადგენენ,<sup>9</sup> აერთიანებს ლექსიკური კლასი, რომელსაც ორივე მათგანი განეკუთვნება. ეს კლასი თანამედროვე ენათმეცნიერებაში უფრო ეკონომიური ტერმინით, „ფსიქიკურით“ არის სახელდებული.<sup>10</sup> ქართულ ენათმეცნიერებაში კი აღნიშნული ზმნები ძირითადად აფექტურ, გრძნობა-აღქმის ზმნებად მოიხსენიება. ქართული აფექტური ზმნების ძირითად, ინდოევ-

<sup>5</sup> Moore, Romney, Hsia, Rusch 1999, 529; ასევე იხ. ბიბლიოგრაფიული დანართი.

<sup>6</sup> Wierzbicka 1980.

<sup>7</sup> Вежбицка 1986.

<sup>8</sup> Финк 1950,122.

<sup>9</sup> ფსიქიკის განვითარების ელემენტარული, პერცეპტული და ინტელექტუალური აქტივობის დონეებზე გამოიყოფა ცნობიერი ფსიქიკის მოვლენები: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, მოტივაცია, შეგრძნება, სურვილი, ემოცია.

<sup>10</sup> Belletti and Rizzi 1988; Martin 1998; Klein, Kutscher 2002; Thompson 2009; Chung, Taegoo 1998; Nichols 1975 და სხვ.

## მარიამ გოდუაძე

როპულ ენათაგან განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია რეალური სუბი-ექტის გამოხატულების ორი მკვეთრად გამოხატული რიგი: **მ-ანისა** და **ვ-ინისა**, რაც, ინდოევროპულ ენათა მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურებში ნარმოდგენილ ფორმობრივ-სისტემურ კონსტრუქციათაგან განსხვავებით, გაცილებით რთულ სურათს იძლევა. გამოყოფილია **სურვილის**, **რწმენის**, **ხსოვნის**, **შიში-რიდის**, **სიცილ-ტირილის**, **ფიქრი-ეჭვის**, **დანანება-შეცოდების**, **მოწონება-სიყვარულის**, **სიძულვილის**, **ძილ-ღვიძილის**, **ფიზიოლოგიური რეაქციებისა** და **სხვ.** ამ ზმნათა სემანტიკური ქვეჯგუფების შემქმნელი ბინარული წყვილებიც.<sup>11</sup>

ვინი-ს რიგი (დინამიკური)	მანი-ს რიგი (სტატიკური)		
ვინდომებ	I will desire	მინდა	I want sb/sth
ვისურვებ	I will wish for sth	მსურს	I wish for/I desire sth
ვინებებ	I will desire for sth	მნებავს	I wish for sth
მოვიწადინებ	I will feel an urge to do sth	მწადია	I wish sth
მოვიხასიათებ	I will fancy sth	მეხასიათება	I feel inclined/ I am in the right mood to do sth
ვინამებ	I will be convinced of sth	მრნამს	I believe
ვიჯერებ	I will believe in sb/sth	მჯერა	I believe
ვიხსომებ	I make a mental note of sth	მახსოვს	I remember sb/sth
ვიხსენებ	I call sb/sth to mind	მახსენდება	It comes to my mind
მოვიგონებ	I will remember sb/sth	მაგონდება	It is recalled by me
ვშინდები	I get frightened	მეშინა	I fear sb/sth
ვერიდები	I shun sb/sth	მერიდება	I shy
ვიცინი	I laugh	მეცინება	I feel like laughing

<sup>11</sup> გოდუაძე 2009.

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

ვტირი	I cry/ I weep over sth	მეტირება	I feel like weeping/I am on verge of tears
ვილიმი	I smile	მელიმება	A smile comes over me
ვგონებ	I think	მგონია	It seems to me
ვეჭვობ	I have doubts about sth	მეეჭვება	Is is doubted by me I am pensive about sb/sth
ვფიქრობ	I think	მეფიქრება	I am worried about sb/sth
ვიძულებ	I come to hate to sb/sth	მძულს	I hate
ვიჯავრებ	I take a dislike to sb/sth	მეჯავრება	I am hateful/repulsive/enxiety to sb
ვიძინებ	I go to sleep	მძინავს	I am asleep
ვიღვიძებ	I wake up/ I come back to life(fig.)	მღვიძავს	I am awake
ვახველებ	I cough	მახველებს	I have a cough
ვკანკალებ	I shiver	მაკანკალებს	It makes me tremble
ვასლოკინებ	I hiccup	მასლოკინებს	I hiccup
ვიყვარებ	I fall in love with sb/sth	მიყვარს	I love sb
ვიწონებ (თავს)	I am pleased with sb	მომწონს	I like
ვიწონებ (საგანს)	I take a liking to	მომწონს	I like sb/sth
ვნანობ	I regret/rue	მენანება	I am sorry for them
ვიბრალებ	I am sorry for sb	მებრალება	I feel sorry for sb
ვიბრალებ (დანაშაულს)	I blame sth on o.s.		
ვიბრალებ (პროფესორობას)	I clame to be a professor		
ვიცოდებ... და სხვა.	I pity sb	მეცოდება	I feel sorry for sb/sth

აღნიშნულ ორ რიგს, გარდა მორფოლოგიური ნიშნებისა, ის სინტაქსური სპეციფიკაც განარჩევს, რომ მანის რიგი სუბიექტის დატიურ კონსტრუქციას გულისხმობს, ხოლო ვინის რიგი – ნომინატიურ/ერგატიულს. ამგვარი ბინარული სისტემის არსებობა მკვეთრად განასხვავებს ქართულს რუსულისაგან, რომელშიც ამ სემანტიკური ჯგუფის ზმნები ძირითადად ერთ რიგს ქმნის, ან მხოლოდ ნომინატიურს (я голоден...), ან მხოლოდ დატიურს (мне жарко, холодно, тепло, хорошо, дурно, угодно, приятно, грустно, тревожно...), ან: мне нравится, хочется, кажется, думается, думается, приснилось, приходится...). ბინარული სისტემა კი რუსულში გამონაკლისურ ხასიათს ატარებს. შდრ.: ხочу – хочется, думаю – думается. რაც შეეხება ინგლისურს, აქ სახელს ორად ორი ბრუნვა აქვს, ხოლო ზმნის I და II პირის ფორმები ორსავე რიცხვში საერთოა, პირის ნიშნის დართვით მათგან განსხვავებულია მხოლოდ III პირის მხოლობითის ფორმა (შდრ.: I / we / you **love** და: he/ she **loves**), ნამყოში კი სამივე პირის ფორმა თანხვდებილია, ანუ გაუდიფერენცირებელია (I / we / you / he/ she; we / you / they **loved**); ხოლო დატივი, ანუ ობიექტური ბრუნვა, როგორც ცალკე ფორმა, ინგლისურს საერთოდ არ გააჩნია: იგი მხოლოდ პირის ნაცვალსახელებს მოეპოვება და, ამდენად, დატიურ კონსტრუქციაზე მხოლოდ ნაცვალსახელებთან მიმართებით შეიძლება მსჯელობა, ისიც საანალიზო სემანტიკური ველის ზმნებიდან – მხოლოდ რამდენიმე ზმნასთან დაკავშირებით (მაგ.: It **seems to me** (მგონია, მეჩვენება), It **touched me** (გული ამიჩუყა), It **remains me** (მახსენებს მე)...<sup>12</sup>

ინდოევროპულ ენებში აღნიშნული ზმნები ფორმობრივად გარდამავალ ზმნებთანაა გათანაბრებული, მაგრამ გარდამავალ ზმნათაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოიჩინევიან. ინგლისურში ამ სემანტიკის ზმნები ვერ აწარმოებენ პროგრესულ ასპექტს.<sup>13</sup> ასევე განსხვავებულ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან გერმანულში<sup>14</sup>. სპეციფიკურ სურათს გვიჩვენებს ეს ზმნები მთის კავკასიურ ენებში.<sup>15</sup> გრძნობა-აღქმის ზმნათა თავისებურებებს რეალური პროცესების ანარეკლად მოიაზრე-

<sup>12</sup> გრძნობა-აღქმის ზმნათა ტიპოლოგიური თავისებურებების შესახებ იხ. ნიკოლსი 1975.

<sup>13</sup> Лайонз 1978, 334.

<sup>14</sup> Бенвенист 1972, 145.

<sup>15</sup> ლოლაძე 2003, 74.

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

ბენ. ფინკი მიუთითებს, რომ ნერვების ცენტრისეტულად (სენსორულად) და ცენტრიფუგულად (მოტორულად) დაყოფის შესაბამისად ენოპრივად ასასახ პროცესებში უნდა განირჩეს აღქმისა და მოქმედების პროცესები.<sup>16</sup> ასეთი დიფერენციაცია ქართულში სისტემურ ხასიათს ატარებს. იგი გამოხატულია განსხვავებული კონსტრუქციებით, პირის ნიშანთა განაწილებით, გრამატიკული დროის წარმოების თავისებურებით და სხვ. ამ ზმნებში განმცდელი, შემფასებელი პირი მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა, ხოლო განცდის, შეფასების საგანი (ფართო გაგებით) – სახელობითი ბრუნვით.<sup>17</sup> შესაბამისად, ზმნაში პირველი ე.ნ. მანის რიგის (ობიექტის) ნიშნებითაა წარმოდგენილი, მეორე – ე.ნ. ვინის რიგის (სუბიექტის) ნიშნებით. პირის ნიშანთა ამგვარი გადანაწილება ქართველოლოგიაში ინვერსიის სახელითაა ცნობილი.<sup>18</sup>

ზოგადი განსაზღვრით, ფსიქიკური ზმნები უმეტესად ადამიანის მენტალურ მდგომარეობას,<sup>19</sup> აღქმას, ემოციებსა და შემეცნებით პროცესებს გამოხატავების<sup>20</sup>. აღნიშნულ ზმნათა ლექსიკური კლასი სხვადასხვა ენასა და ენათა ოჯახებში უცვლელად მეორდება, თუმცა არაერთგვა-როვანია მათ მიერ გამოწვეული მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები, რომელთა თავისებურებების აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი “displacement” (ადგილის შენაცვლება), რაც გულისხმობს განსახილველი კლასის განსხვავებულ ქცევას, კერძოდ, გადახვევას ძირითადი სქემისაგან და ისეთი ზედაპირული მოდელების არსებობას, როგორიცაა სუბიექტის სელექციის უქონლობა, პირდაპირი ობიექტის სელექციის უქონლობა და ზმნების სხვა პირობებისთვის მოულოდნელი ფორმების, კერძოდ, რეფლექსიური, პასიური, გარდაუვალი, მედიოპასიური, დეპო-

<sup>16</sup> Финк 1950, 122.

<sup>17</sup> ლოლაძე 2003, 74.

<sup>18</sup> 1920 წელს 6. მარმა უყვარს ტიპის ზმნები ინვერსიული ტიპის ქვეჯგუფს მიაკუთვნა. ეს ტერმინიც სწორედ ინვერსიული ზმნებისთვის შემოიღო. ამ ტიპის ზმნათა თავისებურება შენიშნული აქვთ და არაინვერსიულად მიაჩნიათ: უ. ვანდრიესს, ა. დირს, ჰ. ფოგტს, ბ. რუდენკოს, ა. შანიძეს, ლ. კვაჭაძეს..., ხოლო ინვერსიულად მიაჩნიათ: ი. ყიფშიძეს, ს. ხუნდაძეს, მ. ჯანაშვილს, თ. უორდანიას, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, დ. მელიქიშვილს, ბ. ჯორბენაძეს, შ. აფრიდონიძეს...

<sup>19</sup> Arad 1998, 1-22.

<sup>20</sup> ნიკოლსი 1975, 90-108.

ნენსური და სხვ. ფორმების გაჩენა. შესაბამისად, იკვეთება სუბიექტ-ობიექტის შენაცვლებისა და გვარის შენაცვლების დონეები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ლექსიკური კლასის გაფართოებას. შენიშნულია, რომ ნომინატიური კონსტრუქციის ენებში მოდალური ზმნების აგენტური არ-გუმენტაცია და მათ მიერ სახელის მკაცრად მართვის უნარი იძლევა მათი ფსიქიკურ ზმნებად მიჩნევის საფუძველს.<sup>21</sup>

საგულისხმოა, რომ ერგატიული კონსტრუქციის ქართულსა და მის მონათესავე ზანურ-სვანურ ენებში ინვერსიული ზმნების წრე, გარდა „გრძნობა-ალექტანი“ ზმნებისა, მოიცავს აგრეთვე „ყოლა-ქონის“ ალმნი-შვნელ ზმნებსაც, თუმცა ქართულ ენათმეცნიერებაში ეს ზმნები გამოყოფილია ცალკე კლასად, რადგან, ერთი შეხედვით, ემოციის გამომხატველ ზმნებთან არაფერი აკავშირებთ. უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიაში ცალკეა გამოყოფილი ფლობის, დამოკიდებულების, დამორჩილების გრძნობები და ისინი სხვადასხვა ფსიქიკურ ემოციათა გამომწვევ გრძნობათა კერძო ჯგუფს ქმნიან.<sup>22</sup> სლავური წარმოშობის ზმნების კვლევისას კი ჯოანა ნიკოლსი ფლობის, მართვისა და ხელმძღვანელობის ზმნებს ფსიქიკურ ზმნათა ნუსხაში ათავსებს.<sup>23</sup>

ადსანიშნავია, რომ ქართული ენის „ქონა-ყოლის“ სემანტიკური კლასისათვის ესოდენ ნიშანდობლივი დატიური კონსტრუქცია დამახასიათებელი იყო ძველი ინდოევროპული ენებისთვისაც. მაგ.: ლათინური *est mihi liber* (there is to me a book), I have a book<sup>24</sup> ზუსტი შესატყვისია ქართული „მე მაქვს წიგნი“-სა. დატიური კონსტრუქციისაა ახლაბერძული: „**Εχω το βιβλίο-**ც, თუმცა დღესდღეობით ბევრი ინდოევროპული ენა ქართულისაგან სრულიად განმასხვავებელ სურათს გვაჩვენებს. აქ სუბიექტი მუდამ სახელობითშია, ე. ი. ნომინატიური კონსტრუქციისაა. გერმანიკულ, რომანულ თუ სლავური ქვეოჯახების ენებში have, haben, avere, იმეთ ზმნები სუბიექტს (ანუ მფლობელის, მქონეს, მეყოლის აღმნიშვნელს) სახელობითში ითავსებს: **I have, he/she has, we/ you / they have...**

<sup>21</sup> ჯ. ნიკოლსი განხილავს სხვადასხვა სლავური ენის, მათ შორის, რუსულის მოდალური ზმნების მაგალითებს: მне надо, мне можно, мне нужно... იხ.: ნიკოლსი 1975, 93-96.

<sup>22</sup> McDougall 1928, 200-205; უზნაძე 1998, 132-135.

<sup>23</sup> ნიკოლსი 1975, 93-98.

<sup>24</sup> The Oxford English Dictionary, vol. V, 125.

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

**Ich habe, wir haben... Я имею, ты имеешь, он/она имеет...** (შდრ.: მე მაქვს.....მას აქვს, მათ აქვთ). თუმცა შენიშნულია, რომ რუსულს აქვს სხვა საშუალებაც – ზმნის გამოტოვებით (ელიფსისი), რომლის საკომპენსაციოდ სუბიექტი ირჩევს წინდებულიან გენიტივს: *у него/нее, у меня (\*есть) кто-то /что-то...* და, რომ გამოტოვებულია არა „ქონა-ყოლის“ ზმნა (иметь), არამედ „ყოფნის“ აღმნიშვნელი ზმნა (быть), რომელიც აღდგება მყოფადსა და ნამყოში. ამის კლასიკური მაგალითად კი ცნობილი რუსული შაირი: **У попа была собака** სახელდება. არ არის გამოყენებული საკუთრივ ქონა-ყოლის ზმნა – ალბათ იმიტომ, რომ სათანადო სემანტიკის სათანადო, უკუქცევითი ფორმა იმеется ჯერ არ არსებობდა: საერთოდ, უკუქცევითი ზმნები რუსულში უფრო გვიანდელი, ზმნური პარადიგმების მომდევნო ეტაპის წარმონაქმნია.<sup>25</sup> საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ინგლისურში *have* ზმნა გამოიყენება შიშილის დაკმაყოფილების, ასევე სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გამომხატველ ფრაზებში (მაგ.: **I have tea, I have dinner, I have breakfast, I have shower, I have a smoke...**). საგულისხმოა, რომ გერმანულშიც: **Ich habe Hunger** (მე მშია) სიტყვასიტყვით ნიშნავს ‘**მე მაქვს შიშილს**’.

ამ სემანტიკური წრის ზმნები ქართულში (და არა მარტო ქართულში (შდრ. აგრ. ძველ ქართულში – **მივის**), არამედ სხვა ქართველურ ენებშიც – ზანურსა (მეგრ. **მილუ, მი უნს**) და სვანურში (**მულუა, მა ა; მირი, ჯირი, ხორი**) სხვა მხრივაც სპეციფიკურია: ისინი იმითაც განსხვავდებიან ინდოევროპული ენების სათანადო სემანტიკის მქონე ზმნებისაგან, რომ ობიექტს განასხვავებენ სულიერობა-უსულობის მიხედვით: ოპოზიციური წყვილი **ჰყავს – აქვს** უცხოა ამ ევროპული ენებისათვის.<sup>26</sup> მეტიც: ამავე ზმნებთან შესამებული ნებისმიერი ზმნისწინი ამ ზმნებს ახალ მნიშვნელობას სძენს. პრევერბიან **აქვს, ჰყავს** ზმნებს გაუჩნდა მობილობის, კერძოდ, „ტარების“, ვინმეს მიერ ვისიმე ან რისამე გადაადგილების სემანტიკა, რომელმაც მეტი აქტიურობა შემატა ზმნებს (ტერმინი **აქტიურობა** გამოყენებულია არა მხოლოდ წმინდა სემანტიკური მობილობის, არამედ გრამატიკული გვარის აქცენტირებით) და რომელსაც მეტი სიცხადე შეაქვს სუბიექტ-ობიექტს შორის მანამდე არსებულ დაბინდულ ურთიერთობაში (იგულისხმება ტერმინები: **RS /MO** ან **RO /MS**). საგულისხმოა,

<sup>25</sup> აფრიდონიძე 2008, 84-90.

<sup>26</sup> იქვე, 86.

რომ მიღებული „ტარების“ ზმნები მხოლოდ აწმყოს წრის, ე.ი. უსრული ასპექტის ან სტატიკურობისათვის შესაფერის ფორმებში ინარჩუნებს „ქონების“ აღმნიშვნელ ფუძეებს იმავე სინტაქსური კონსტრუქციით. მყოფადისა და II-III სერიათა ფორმებში კი, ე.ი. სული ასპექტისათვის შესაფერის ფორმებში – მათ სუპლეტური წარმოების აქტიურ ზმნათა ფუძეები ენაცვლება: -ტანა, -ლება ფუძეები სათანადო ზმნისწინებთან შეხამებაში (წაილებს, წაილო, წაულია; მოიტანს, მოუტანია),<sup>27</sup> ‘ყოლის’ ზმნები კი ფუძეს არ იცვლიან და ისინი ყველა მიმართულების ზმნისწინსაც ირთავენ (ჩაიყოლა, ამოიყოლა, გამოიყოლა, გადაიყოლა (მდრ. დარდმა გადაიყოლა), გადმოიყოლა, მოიყოლა, წაიყოლა, აიყოლია (მოასურვა), დაიყოლია (დაითანხმა). ზმნისწინთა დართვა კი ზოგ მათგანს სხვა ფსიქური შეფერილობის სემანტიკურ ბუდეში (სურვილის, დამორჩილების, თანხმობის) მოუჩენს ადგილს.

მიუთითებენ, რომ ევროპულ ენებში და მათ შორის რუსულშიც აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად იხმარება სპეციალური ფუძეები, რომელთაც ნაირგვარი მიმართულების საჩვენებლად სათანადო პრევერბები ერთვის. ამასთან: а) რუსულში სულიერთა და უსულოთა გამიჯვნით, ბ) სხვა ენებში – მათ გაუმიჯნავად, სუპლეტურად (მაგ., რუს.: веду – приведу, уведу; ვожу – привожу, увожу; შდრ. ინგლ.: take, bring).<sup>28</sup>

მაგრამ ჩვენთვის მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ის არის, რომ ქართულში „ქონა-ყოლის“ ზმნები ისევე ირგებენ გრძნობა-ალქმის ზმნათა მანისა და ვინის, ასევე დინამიკურობა/სტატიკურობის სტრუქტურულ შაბლონებს, როგორც ყველა სხვა ამავე რიგის ე.წ. ინვერსიული ზმნა. ხოლო თუ მსჯელობაში „ნდომის“, ასევე „კარგისა“ და „ცუდის“ სემანტიკურ პრიმიტივებს<sup>29</sup> ჩავრთავთ და ერის ფრომის ცნობილ ნაშრომში – Haben oder Sein<sup>30</sup> განვითარებულ მსჯელობასაც გავითვალისწინებთ, ალბათ, ეჭვს არ გამოიწვევს, ადამიანური არსებობისთვის სხეულის ნაწილთა თუ ყოფიერი მოთხოვნილებებით შეპირობებული საგნების ქონისა და ფლობის, ასევე საყვარელი და საჭირო ადამიანების ყოლის მნიშვნელოვნება. ესენი ხომ ადამიანის ემოციონალური სისტემის შემაპირობებელი

<sup>27</sup> აფრიდონიძე 2008, 88.

<sup>28</sup> იქვე, 88.

<sup>29</sup> Wierzbicka 1992, 539-581.

<sup>30</sup> Фромм 2000.

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

ობიექტური ფაქტორებია (სხვათა შორის, ინგლისურში ფლობის მნიშვნელობის დომინანტურობაზე შეიძლება მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ ენამ სწორედ ეს ზმნა შეარჩია პერსექტული დროების საწარმოებლად: I have made, I have done და უამრავი სხვა. ხოლო რაც შეეხება პერფექტულ, III სურიის ფორმებს ქართულში, უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი ფსიქიკური სემანტიკის მატარებელია. მაგ., ზმნებში: აშენებულა, დახატულა, თქმულა, გადამხტარა, ჰყვარებია, უგრძნია... სემანტიკური რეპრეზენტაციის მეთოდით გამოდის, რომ 'მე არ გამიგია, აქამდე არ მსმენია, არ მინახავს, მაგრამ ახლა ვხვდები, ვხედავ, ვიგებ ან მესმის, რომ თურმე აშენებულია, დახატულია, თქმულია, გადამხტარია, შეყვარებულია, მგრძნობელია...'. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ იდიომებში to have ზმნა მენტალობის, იძულების, თხოვნა-სურვილის, მოყყუების სემანტიკას ითავსებს. მაგ.: GHe has no French; He has your idea; He has one's hair cut; Please, have the boy bring my books; You have been had). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საგულისხმოა, რომ ფსიქოფილოსოფიის სინთეზური ცოდნა ასე მარტივად ასახა ენამ და ზემოთ აღნიშნული „ქონა-ყოლის“ ზმნები ქართულ ენაში აფექტური ზმნების მორფოსინტაქსურ ყალიბში განათავსა. ამიტომ საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს ამ ზმნათა ფსიქიკური ზმნების „ფლობის“ ქვეჯგუფში გაერთიანება. მით უფრო, თუკი ექსპლიციტური თუ იმპლიციტური სემანტიკური კომპონენტების არსებობა, ამ შემთხვევაში „ნდომის“ არსებობა, შემდეგ ფორმებში – **хотеть, желать, жаждать** (შდრ.) **жажда мести**, ან ‘unslaked thirst of housing’), **достигать, искать** (იმპლიკიციური); **требовать, ждать, избегать, лишать** ფსიქიკური ზმნების კლასების გაფართოების საფუძვლად მიიჩნევა [ნიკოლსი, 1976] და სინტაქსურად ზმნები: **владеть, управлять, руководить** მართავენ ინსტრუმენტალისს, ლიტერატურში კი იმავე ზმნების საკმაოდ შეზღუდული ქვეჯგუფი მოითხოვს დატივს.<sup>31</sup> ასევეა ლატვიურშიც.<sup>32</sup> სხვათა შორის, ფლობის სემანტიკურ ჯგუფს ქართულში აღბათ უნდა მივაკუთხნოთ ფლობის სემანტიკური მარკერით აღჭურვილი მოთხოვნილების ზმნები, როგორიცაა: სტატიკური **მეკუთვნის, მჭირდება, მესაჭიროება...** ისინიც, როგორც სხვა გრძნობა-აღქმის ზმნები, სუბიე-

<sup>31</sup> სახოკია 2005, 217.

<sup>32</sup> man negribas 'მას არ უნდა', viņam gribas mājās 'მას შინ უნდა' Krievu-Latviešu Vārdnīka , 558.

ქტის გამოხატვის ორივე – მანისა და ვინის რიგს – აწარმოებენ (ზეკუთვნის/ვიკუთვნებ, მჭირდება/ვიჭირვებ, მესაჭიროება/ვსაჭიროებ). რაც შეეხება ‘ნდომის’ სემანტიკურ პრიმიტივს, იმპერატიულობის მოდალობის ზმნად ქართულში სწორედ „უნდა“ გვაქვს (‘უნდა გავაკეთო’...), განსხვავებით ინგლისურისაგან, სადაც ამ ტიპის მოდალურ must-ს „ფლობის“ have-იანი ფორმა have to (I have to do someth.) ენაცვლება. ინგლისურში ასევე საინტერესოა have ზმნასთან დაკავშირებული მენტალობის სემანტიკის ლექსიკური კომბინატორია: had rather, had better; ასევე: the haves and have nots; დერივანტები: haven, have-on და სხვ.

რაკი ძალაუფლების, მართვის განწყობის გამომხატველი ზმნები საკმაოდ აშკარად წარმოადგენენ შენაცვლებად ჯგუფს ინდოევროპულში და ახალი ფორმალური ყალიბების ძირითად წყაროდ მოიაზრება ემოციური ზმნების ირიბი დამატების სახესხვაობები ინდოევროპული ენებისათვის, ასევე გვარის შენაცვლებაც, პყრობს<sup>33</sup>/ეპყრობა, ჩემობს/ეჩემება, მეფობს/ემეფება, ბატონობს/ებატონება, უფროსობს /ეუფროსება, ბატონობს /ებატონება, პატრონობს/ეპატრონება, მეთაურობს /ემეთაურება, ბუტაობს /ებუტება, პაექრობს /ეპაექრება, თავხედობს /ეთავხედება, საყვედურობს /ესაყვედურება, ბოდიშობს /ებოდიშება, კინკლაობს /ეკინკლავება, დიდგულობს /ედიდგულება, ურჩობს /ეურჩება, ომობს /ეომება, ამხანაგობს/ეამხანაგება, მეგობრობს /ემეგობრება, ნათესაობს/ენათესავება<sup>34</sup>... ზმნათა ბინარული მოდელი ამ ზმნათა უნივერსალურ ყალიბს მიკუთვნების საფუძველს იძლევა.

ქართულ ენაში ფსიქიკურ ზმნათა ლექსიკური კლასის გაფართოების სხვა საფუძველს უნდა ქმნიდეს: 1. დატიურობის ე- მარკერი პოტენციალისის<sup>35</sup> (ეცხოვრება, ედგომება, ეჯდომება, მიესვლება, ეთამაშება...), მიჩნევის (ედიდება, ეცოტავება, ეპატარავება) და გუნების (ეცეკვება, ეცინება, ემღერება..., ასევე უნებლიობის (შემოეჭამა, შემოეხარჯა,

<sup>33</sup> დამანა მელიქიშვილის დახასიათებით, მე-2 რიგის მსგავსი სემანტიკის ზმნათა უმრავლესობა სახელთაგან არის ნაწარმოები -ობ თემატური სუფიქსის დართვით. მათი შესატყვისი აქტივები ძირითადად ა-ლ-ებ სტრუქტურის ზმნებია (მელიქიშვილი 2001).

<sup>34</sup> ამ ტიპის ზმნათათვის დი ენ პოლისკის შემოაქვს ტერმინი „ცელქობელასი“. იხ. პოლისკი 2000, 53-62.

<sup>35</sup> ჩიქობავა 1956.

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

შემოელახა, შემოელანძლა...) ვნებითებში;<sup>36</sup> 2. კაუზალობის (აკითხებს, აძულებინებს, მიაჩნევინებს), ლოკატიურობის და დესტინაცია-პოსესიურობის (მომასრისა, მომაკრა, შემატოვა, წამაჩეუბა, ასევე: მიმაჭყლიტა, ჩამარტყა, ჩამაფეთა, ამაგლიჯა, ამანინჯა, ამაპუტა.....) ა- მარკერი,<sup>37</sup> რომელიც მაღეფაქტივისა და ბენეფაქტივის არსებობაზე გვითითებს.

### ბიბლიოგრაფია

#### References

- აბესაძე 1978:** აბესაძე ნ. 1978, გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში, თსუ შრომები, 200, თბილისი
- აფრიდონიძე 2008:** აფრიდონიძე შ. 2008, ინვერსიული ზმნების სპეციფიკა ქართულში (ინდოევროპულ ენათა სათანადო ზმნებთან მიმართებით), ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი
- აფრიდონიძე 1985:** აფრიდონიძე შ. 1985, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 262, №9
- დამენია 1982: დამენია მ. 1982,** ქართული ზმნური მორფების სტრუქტურული მოდელები, თბილისი
- ლოლაძე 2003:** ლოლაძე ნ. 2003, გრძნობა-ალქმის ზმნები ქართულში, კრებ. ბესარიონ ჯორბენაძეს, თბილისი
- ლოლაძე 1988:** ლოლაძე ნ. 1988, გრძნობა-ალქმის ზმნები ქართულში, თსუ შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, XVI, თბილისი
- ლოლაძე 1996:** ლოლაძე ნ. 1996, ზმნის გვარის სამწევრა სისტემის სტრუქტურული მოდელები ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი
- ლოლაძე 1999:** ლოლაძე ნ. 1999, ზმნისწინიან ფორმათა მოტივაციის ზოგიერთი საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბილისი

<sup>36</sup> აკაკი შანიძისეული სახელდებით. შანიძე 1984; შანიძე 1973.

<sup>37</sup> მელიქიშვილი 2001, 33.

- ლოლაძე 1995:** ლოლაძე ნ. 1995, მდგომარეობის ზმნათა ჩამოყალიბებისთვის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბილისი
- მელიქიშვილი 1995:** მელიქიშვილი დ. 1995, ქართული ზმნის სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბილისი
- მელიქიშვილი 1998ა:** მელიქიშვილი დ. 1998, ზმნურ მორფემათა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე ქართული ენის სინქრონულ გრამატიკულ სისტემაში, ფილ. ფაკ. სამეცნ. სესია, არნ. ჩიქობავას 100 ნოდის საიუბილეოდ. მოხს. მასალები, თბილისი
- მელიქიშვილი 1998ბ:** მელიქიშვილი დ. 1998, ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონული ასპექტით, არნ. ჩიქობავა, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი
- მელიქიშვილი 2001:** მელიქიშვილი დ. 2001, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულ ენაში დიათეზებისა და გვარების თეორიის კონტექსტში, კრებ. ვარლამ თოფურია 100, თბილისი
- ნიკოლაი 1978:** ნიკოლაი ნ. 1978, ზმნის სემანტიკა და ნინადადების კონსტრუქცია, თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგიერთი აჭტუალური საკითხი, თბილისი
- სახოვა 2005:** სახოვა მ. 2005, ბალტურ-ქართველური მორფოლოგიურ-მორფოსინტაქსური პარალელები, ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბილისი
- შანიძე 1984:** შანიძე ა. 1984, უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი, კრებ. ქართული ენა, თბილისი
- შანიძე 1973:** შანიძე ა. 1973, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი
- ჩიქობავა 1968:** ჩიქობავა არნ. 1968, მარტივი ნინადადების პრობლემა ქართულში, I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში. მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის, II გამოცემა, თბილისი
- ჰოლისკი 2000:** ჰოლისკი დ. 2000, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბილისი
- ჯორჯენაძე 1975:** ჯორჯენაძე ბ. 1975, ზმნის გვარის ფორმათა ნარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი
- Moore, Romney, Hsia, Rusch 1999:** Moore C.C., Romney A. K., Hsia, T-L., Rusch G.D. 1999, The Universality of the Semantic Structure of Emotion Terms: Methods for the Study of Inter- and Intra-Cultural Variability, *American Anthropologist*, vol. 101, No. 3, September, New York

ფსიქიკურ ზმნათა უნივერსალური მოდელისადმი ქართული ზმნების მიმართება

- Ullman 1977:** Ullman S. 1977, Semantics. An introduction to the Science of Meaning, A Blackwell Paperback, Oxford
- Wallace and Carson 1973:** Wallace A. F.C. and Carson M. T. 1973, Sharing and Diversity in Emotional Terminology, 1, Ethos
- Wierzbicka 1980:** Wierzbicka A. 1980, Lingua Mentalis, Sidney
- Арутинова 1976:** Арутинова Н. Д. 1976, Предложение и его смысл, Москва
- Вежбицка 1986:** Вежбицка А. 1986, Восприятие: семантика абстрактного словаря, Новое в зарубежной лингвистике, XVIII, Москва
- Лайонз 1978:** Лайонз Дж. 1978, Введение в теоретическую лингвистику, Москва
- Финк 1950:** Финк Ф. 1950, О якобы пассивном характере переходного глагола, Эргативная конструкция предложения, Москва
- Фромм 2000:** Фромм Э. 2000, Иметь или быть (Haben oder Sein), Перевод Н. Войскунской, И. Каменкович, Е. Комаровой, Е. Рудневой, В. Сидоровой, Е. Фединой и М. Хорькова, Москва
- Якубова 1988:** Якубова В. Г. 1988, Развитие семантики глаголов чувств, Русский язык в национальной школе, 4, Москва
- Krievu-Latviešu Vārdnīka (Rīga, 1988).**
- The Oxford English Dictionary 1933:** The Oxford English Dictionary 1933, Founded mainly on the materials collected by the Philological Society, vol. V, Oxford.

### Mariam Goduadze

#### Towards the Issue of a Relation between Universal Pattern of Psych verbs and the Georgian verba sentiendi

The article discusses Georgian inversive verbs belonging to the semantic fields of feelings, emotions and perception. The subject of emotion and emotion verbs an inseparable part of modern anthrop linguistics research. The study of such terms aims at defining the universality of the semantic structure and the level of inter and intra-cultural variability. Lively interest concerning determination of similarities-differences in the usage of the terms in linguistics has been intensively manifested since the 70s. However, the lack of the refined

statistic methods hindered the research in terms of systematic comparison among individuals and accordingly, in terms of generalization. A lot of different papers can be named covering the subject matter. For the last few years, the question of studying *verba sentiedni et dicendi* has become particularly relevant abroad in terms of determining semantic universals at the crossing point of anthropology, linguistics and psychology, with the aim of studying the level of commonality of semantic structures in languages, determining relations between universal patterns and relative incommensurability as well as creating the most precise research methods. According to the practical importance foreign scientists review materials of different languages which are the case of typological, psychological, comparative-contrastive and experimental analysis.

“Psych verbs” is an economic name assigned to verbs denoting mental states, emotions, feelings and perception. Such verbs have a participant which experiences a mental state, and which is commonly referred to as an Experiencer. They exist in many languages and language families unchangingly but morphological and syntactic processes which they are causing are not of an identical nature. In order to mark their idiosyncrasy, the term “displacement” is used [Nichols, 1975] which means differing behavior of the discussed class, particularly turning off from basic scheme and existing different superficial models such as the lack of Subject selection, lack of Indirect Object selection and giving reflective, passive, intransitive, medial-passive forms.

The construction, that is responsible for such verbs (and not only for the forms of the 3<sup>rd</sup> Series of transitive verbs), means objective verbal markers for semantic subject in dative case (i.e. agent in monopersonal verbs), and subjective markers for semantic object in nominative (i.e. patient in two-personal verbs). Many languages of the world exhibit constructions with the dative core argument: *Mihi est liber* (Latin); *Mir geffalen diese Bücher* (German); *Mne nrauitsja kniga* (Russian); *Atsus la* (Modern Hebrew); *Bana para lazlm* (Turkish); *Tal on* (Estonian); *Me gusta la cerveza* (Spanish); *Use gussa aayaa* (Hindi); and others. These constructions differ from the canonical ones of the same languages. As a rule, they are characteristic for the predicates with specific semantics: (a) Possession/Existence; (b) Psychological state; (c) Physiological state; (d) Visual/auditory perception; (e) Modal state (may/must). The main and common feature for the subjects of these predicates (res. affective verbs) is that they do not act according to their “free will” and do not “control” their

own action – feelings, emotions, perceptions. So, the S of affective verbs is far from the prototypical subjects, which control their actions and act according to their free will. In the majority of languages such deviation from the prototype is represented by the marked, non-canonical linguistic structures. In these structures S instead of the canonical form (nominative – for Nom./Acc. languages, or ergative – for Erg./Abs. languages) stands in marked Dative (or any other oblique – gen., acc., inst.) case. It should be noted that the cross-linguistic similarities, as well as differences, cannot be applied to all kinds of psych verbs. Even though strategies of marking are different, one universal tendency can be identified: Constructions with psych verbs (verbs of emotion, feelings, perception and possession at all) build an opposition with canonical constructions. They are constructed as the non-canonical, marked ones, where Subject stands in marked (mostly Dative) case. As possessing is one of the basic human feeling and all this type of verbs in Georgian are semantically and morphologically determined as psych, it is suggested that all these kind of verbs would be assigned to the category of ‘psych verbs.

## ნესტან სულავა

### ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ უანრობრივი რაობის პრობლემა

ქართულ ჰაგიოგრაფიაში შემონახულია ორი თხზულება, რომელთა მთავარი პერსონაჟები ბავშვები არიან, წამებული ბავშვები. ესენია „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“ და „საკითხავი დავითისა და ტირიჭანისა“. ჩემი განხილვის საგანი ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების საფუძველზე „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ უანრობრივი რაობის განსაზღვრაა, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძის მიერ ბავშვების სოციალური მიზანდასახულობით მოკვლას წამების საფუძვლად დამაჯერებელ საბუთად არ მიიჩნევდნენ, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილმა ხსენებული საკითხის შესახებ დასვა კითხვები, რომელთაც პასუხი არ გასცემია. ამავე დროს, თხზულების პერსონაჟის, თევდოსის, ქრისტიანობაზე მოქცევის საკითხს, როგორც ამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულობის საფუძველს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ყოველივე ეს მისი სახისმეტყველებითად განხილვის შედეგად შეიძლება გაირკვეს, „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“ კი ამ თვალთახედვით არ შესწავლილა.

ნინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ, ყოველი სხვადასხვა ეპოქის მკითხველი ნებისმიერ თხზულებას ახლებურად, თავისი ეპოქის ლიტერატურული პრინციპებისა და მოთხოვნების კვალობაზე კითხულობს, რაც თხზულებას წინა პერიოდის ლიტერატურული ტრადიციებისაგან განსხვავებულად, სულ სხვა ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოებად აღგვაქმევინებს. მართალია, ჰაგიოგრაფია მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის მდგრადობით, სახისმეტყველებითი პრინციპების ერთიანობითა და ფორმალური ეკვივალენტების დაცვით გამოირჩევა, მაგრამ მისი განხილვაც შეიძლება ახალი ეპოქის ლიტერატურული გემოვნების, ოღონდ უანრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების, მსოფლებელველობრივი, იდეური და კომპოზიციურ-სტილური შრეების გათვალისწინებით. ამიტომ „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ შესახებ ადრე გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება გადახედვასა და ხელახლა შესწავლას მოითხოვს.

უნინარეს ყოვლისა, მსჯელობა თხზულების სახელწოდების შესახებ უნდა დავიწყოთ. ხელნაწერის მითითებით იგი საკითხავია: „წმიდათა

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიქანის საკითხავი“

ორთა ძმათა დავითისი და ტირიქანისი საკითხავი“. სალვათისმეტყველო ლიტერატურაში საკითხავის სახელით, ძირითადად, ქადაგებები, ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებები იხსენიება, ხოლო ჰომილის უმთავრესი დანიშნულება მრევლის წინაშე ამა თუ იმ წმინდანის ან სალვათო-სალვათისმშობლო დღესასწაულების მნიშვნელობის შესახებ ზეპირი საუბარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თხზულება თავდაპირველად მრევლის წინაშე ზეპირად წარმოსათქმელი ქადაგება უნდა ყოფილიყო და ნერილობით თხზულება ზეპირად წარმოთქმიდან ცოტა მოგვიანებით უნდა შექმნილიყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თხზულებაში აღნერილი ბავშვების მოკვლა ბიძის მიერ თვით „დავითისა და ტირიქანის საკითხავში“ წამებადაა აღქმული. დავიმოწმოთ ტექსტი: „ამათი ესე სიჩრიოდა წამებად, ღირს ყვენ ესენი მათ მათ-თანა გურგუნსა, მათ თანა განკურნებასა ვწერულთასა“.<sup>1</sup> „მსხუერპლი იგი წამებისა მათისად“.<sup>2</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ თხზულება წამებათა რიგისაა, მარტიროლოგიურია, ოღონდ სახელწოდებაში ეს არ ასახულა, რადგან ესაა თხზულება, რომელშიც ბავშვები წამების ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაცაა წარმოდგენილი და თხზულების ავტორი ერთ-ერთი პერსონაჟის ქრისტეს რჯულზე მოქცევასაც სახისმეტყველებითად აღიქვამს და ასახავს. ეს იმას შეიძლება მიანიშნებდეს, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე უნდა დაწერილიყო.

ჰაგიოგრაფიაში პერსონაჟთა ჩამომავლობა//წარმომავლობა საგანგებოდ აღინიშნება, რათა მკითხველს//მსმენელს სრული წარმოდგენა შეუქმნას მათ შესახებ და აჩვენოს, თუ რა ტრადიციებს ატარებდა ოჯახი, რა ღირებულებებზე იზრდებოდნენ ამ ოჯახის წევრები, როგორი სულიერი ცხოვრებით მყოფობდნენ და, ბოლოს, როგორ აფასებდა მათ მსოფლმხედველობრივ მრნამსს ავტორი. „დავითისა და ტირიქანის საკითხავი“ მთავარი პერსონაჟი არიან ყრმები//ნინველები დავითი და ტირიქანი, რომელთა მშობლები დიდგვაროვანი ფეოდალები იყვნენ. მამა, ვარდანი, სომეხი მთავარი იყო. ბავშვების დედაც, თაგინე, აგრეთვე, წარჩინებულ დიდგვაროვანთა წრეს განეკუთვნებოდა, ორივენი იყვნენ „ნათესავთაგან სამეუფოთა“. ვარდანს ერისთავობა ქვეყნის მართვას ავალებდა. ისინი ცხოვრობდნენ „ხევსა ბასიანისასა, დაბასა, რომელსა ჰრქისან ონკომ“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> აბულაძე 1963/1964, 190.

<sup>2</sup> იქვე, 190.

<sup>3</sup> იქვე, 186.

## ნესტან სულავა

ორივენი ქრისტიანები იყვნენ და შვილებსაც „მართალსა სარწმუნოება-სა ზედა“ ზრდიდნენ. თხზულებაში ნათქვამია, რომ ვარდანი და თაგინე „ცხოვნდებოდეს ღმრთისმსახურებით ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა“.<sup>4</sup> ღმრთისმსახურების ხსენება იმას მიუთითებს, რომ ისინი ღიტურგიის მონაწილენი არიან. ღმრთისმსახურება მათი ცხოვრების სტილსა და ღვთისადმი დამოკიდებულებას წარმოაჩენს, ხოლო „ყოვლად ღირსებით“ ცხოვრება იმას მოწმობს, რომ მათ ღვთის რწმენა, სამყაროს არსი, თავიანთი ცხოვრების აზრი და მისია სწორად, ქრისტიანული მრწამსის შეგნებითა და ჭეშმარიტი რწმენით აქვთ გააზრებული. ამის შედეგია ის, რომ უფროს ვაჟს სახელად დავითი უწოდეს, რის ახსნაც დავით წინასწარმეტყველის ჰიპოდიგმური სახის გააზრების კვალობაზეა შესაძლებელი. თხზულებაში ამ სახელით იმთავითვე, წინასწარმეტყველის სახელის სახელდებითვე, მოინიშნა, რომ ყრმა დავითი ღვთის რჩეულია. მეორე ძმას, უმცროსს, სომხური სახელი, ტირიჭანი, უწოდეს. ესეც სავსებით მიზანდასახულად და სიმბოლურადაა გასააზრებელი, რადგან მშობლებმა სამშობლოს ინტერესების შესაბამისად შეურჩიეს სახელი.

ვარდანმა და თაგინემ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა მშობლებმა, ბავშვებს შესაფერისი, „სარწმუნოვებასა ზედა მართალსა“ აღზრდა მისცეს, რაც იმას მოწმობს, რომ მათ მშობლის ვალი მართებულად, ფსალმუნური და ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრების კვალობაზე აქვთ გააზრებული, შეგნებული: „დედაღ შვილთა ზედა სახარულევანი“ (ფსალმ. 112:9); „და მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისათა“ (გალ. 6:4). თავის მხრივ, ბავშვებიც მორჩილნი უნდა იყვნენ კეთილად აღმზრდელი მშობლებისა: „შვილნი მორჩილ იყვნით მამა-დედათა თქუენთა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალ“ (გალ. 6:1). ეს თვალსაზრისი ისევ აპოსტოლური მოძღვრებითაა მოტივირებული: „ვითარცა-იგი გამოგრჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რაითა ვიყვნეთ ჩუენ წმიდა და უბინო წინაშე მისსა სიყუარულით“ (ეფეს. 1:4). ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ ბავშვები ღვთისმოშიშ, კეთილმსახურ მორწმუნე ოჯახში იზრდებოდნენ, რასაც მათი აღზრდილობა მოწმობს. მართლმადიდებელი მშობლების მოვალეობა შვილების ზნეობრივი აღზრდა და მათ სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვაა, რაც მათი მომავლის საწინდა-

<sup>4</sup> აბულაძე 1963, 186.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“

რია. ყრმების, დავითისა და ტირიჭანის, ცნობიერებაში მხოლოდ სიკეთე, რწმენა, ღვთის სიყვარული და იმედი მკვიდრობდა. ყრმათა ცხოვრების აღმწერს უთუოდ ახსოვს მათეს სახარების ის ადგილი, რომელშიც გადმოცემულია ბავშვების მაცხოვართან მიყვანის ფაქტი, მათ კი უფალთან არ უშვებენ. ბავშვების სულიერ მომავალზე მზრუნველი იესო ამბობს: „აცადეთ ყრმებსა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვითართად არს სასუფეველი ცათაძ“ (მათე, 19:14). სახარებაში ნახსენებ ბავშვებს მაცხოვართან ახლოს ყოფნა ახარებთ და მარადიული არსებობის იმედით ავსებთ. განსახილველ თხზულებაში მაცხოვართან ახლოს ყოფნისა და ღვთისმსახურების სურვილით გამსჭვალული დავითისა და ტირიჭანის ბავშვობას ევანგელური მოძღვრება და ბიბლიური წიგნებისათვის დამახასიათებელი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა წარმართავს.

დავითი და ტირიჭანი მცირენლოვანნი იყვნენ, როდესაც მათი მამა, ვარდან „მთავარი იგი ერისთავი“ გარდაიცვალა. თავისთავად ცხადია, ბავშვებისათვის ობლობა მძიმე უნდა ყოფილიყო, თუმცა, კეთილმსახური, ღვთისმსახური და მზრუნველი დედა ჰყავდათ, რის გამოც ანონიმი ავტორი თავისი ნეტარად იხსენიებს და ღმრთის ღირსად მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად თავინე თავის სიქვრივეზე არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რაშიც სიმბოლური აზრი იკითხება, იგი მარტოა თავის შვილებთან ერთად და ღმერთმა მათი სულიერ-ზნეობრივი აღზრდა მას დააკისრა. მისი ზრახვაც ხომ შვილების ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე აღზრდა, ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცება და ზნეობრივი სახის მინიჭებაა. ყოველივე ეს დედისა და შვილების სულიერ ცხოვრებაზე ორიენტირებას მოწმობს. დედის ამ მზრუნველობასა და შვილების ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბების სურვილს მისივე ძმის, თხზულებაში მტარვალად წარმოდგენილი პერსონაჟის, წარმართი თევდოსის პირადი ზრახვები აღუდგა წინ, რადგან მასში წუთისოფლური ინტერესები მძლავრობდა. ღვთისნიერი თავინე და წარმართი თევდოსი ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. ერთ ოჯახში ორი ერთმანეთს დაპირისპირებული თვისებების მქონე ადამიანი აღიზარდა, რომელთაგან ერთი, ღმერთს, სულიერებას მინდობილი, ცხოვრების ჭეშმარიტ გზას დაადგა, ხოლო მეორემ, მატერიალურ ინტერესებზე ორიენტირებულმა, მტარვალის, მკვლელის გზა აირჩია. ყველაფერი სცადა თავინემ ღვთისაგან ბოძებული შვილების სიცოცხლის დასაცავად, მაგრამ ვერ შეძლო.

## ნესტან სულავა

თხზულების ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ზეს-თასოფელი; ისინი ურთიერთსაპირისპირო, კატაფატიკურ-აპოფატიკური სალვთისმეტყველო საზრისით დატვირთული სიმბოლური სახელებით მოიხსენია. ჰაგიოგრაფი წერს, რომ ბავშვებს „საწუთოო ესე განხრნნა-დი“ დააკლდათ, მაგრამ „ნარუვალითა მით სრულ იქმნენ“.<sup>5</sup> დროის კონ-ტრასტულობა, მარადიულობისა და წუთისოფლის დაპირისპირებულო-ბა სივრცის სალვთისმეტყველო თვალთახედვით გააზრებასაც განსაზ-ლვრაცს, რადგან ძმების სივრცული არეალი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. ისინი მარადიულობასა და ქრისტიანულ სივრცეზე ორი-ენტირებული იყვნენ, ხოლო მათი მკვლელი ბიძა მხოლოდ საწუთოულ დროსივრცეზე, ამქვეყნიურ ღირებულებებზე ზრუნავდა.

თხზულების სახისმეტყველება ჰაგიოგრაფიულია, თუმცა, მისგან განსხვავებულ გამომსახველობით საშუალებებსა და სახისმეტყველებით პრინციპებსაც ემყარება, რადგან ბავშვების წამების მოტივი მხოლოდ სარწმუნოებრივ-ჰაგიოგრაფიული არაა, არამედ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს თუ გავითვალისწინებთ, სოციალურიცაა. საგულისხმო ისაა, რომ ჰაგიოგრაფიაში, ჩვეულებრივ, უარყოფით პერსონაჟსაც მხოლოდ უარყოფითი თვისებები აქვს, ისევე, როგორც დადებით პერსონაჟს არ შეიძლება უარყოფითი თვისება აღმოაჩნდეს, ავტორი მას მხოლოდ დადებითი თვისებებით წარმოაჩენს. შესაბამის ლიტერატურაში ხასი-ათი და პორტრეტი არ შეინიშნება. „დავითისა და ტირიქანის საკითხავის“ უარყოფითი პერსონაჟი უანრისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან განსხვავებული სახისმეტყველებითაა ნაჩვენები და მკითხველი//მსმენელი მისი პიროვნების გარდასახვის, ცვლილებების მოწმე ხდება. პიროვნების ამგვარი ცვლილება ავტორის პოზიციას უფრო გამოხატავს და არ ვიცით, სინამდვილეში მოქმედება როგორ შეიძლებოდა წარმართულიყო, რადგან უარყოფითი პერსონაჟის სისასტიკე და ეგოიზმი ნაკლებად აჩენს იმის ვარაუდს, რომ მისი ბუნება ასე მკვეთრად შეიძლება შეიცვალოს.

ვარდანის გარდაცვალების შემდეგ თაგინეს წარმართმა ძმამ, თევდოსიმ, თავისი სიძის მამულები მიიტაცა: „მიიტაცა სახელმწიფო იგი ვარდანისი, დისიძისა თვისისად და დაიპყრა სამკვიდრებელიცა მათი“.<sup>6</sup> მას ეშინოდა, რომ მისი მცირენლოვანი დისწულები მომავალში მის მიერ მი-

<sup>5</sup> აბულაძე 1963, 186.

<sup>6</sup> იქვე, 186.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიქანის საკითხავი“

ტაცებულ მამულებს შეეცილებოდნენ, მათ დაბრუნებას განიზრახავდნენ და მისთვის სამაგიეროს მიზღვას შეეცდებოდნენ; სწორედ მათგან განსაცდელის თავიდან არიდების მიზნით გაბოროტებულმა და მატერიალურის მოხვეჭით გონებადაბნელებულმა ბიძამ ბავშვების მოკვლა განიზრახა. თავდაპირველად თევდოსიმ ჯერ საკუთარ დას, თაგინეს, და ცოტათი წამოზრდილ მცირენლოვან დისტულებს რჯულის გამოცვლა მოსთხოვა, ხოლო პირველი უარის მიღების შემდეგ ბავშვებს დედისაგან მალულადაც შესთავაზა ქრისტეს უარყოფა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. როგორც კი თაგინემ შვილების მომავალი სულიერი ცხოვრებისა და სიცოცხლის გამო საშიშროება იგრძნო, თადარიგი დაიჭირა და შვილებთან ერთად ოჯახიდან წალებული მცირე საუნჯით ტაოს მხარეს მიამურა, სადაც ნათესავი, მთავარი ვაჟგენ, ეგულებოდა. დედა და შვილები ერთხანს მყუდროდ ცხოვრობდნენ იმ მცირეოდენი საფასით, რომელიც სამშობლოდან წაიყოლეს. ყრმები მწყემსები გამხდარან, – მათ ცხვარი ჰყავდათ, – რასაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ადამიანთა სულიერ მწყემსებად მოიაზრებიან. ჰაგიოგრაფს მათი მწყემსობით მათივე ბიძის გარდასახვის იმედის გაღვივება სურს; ამ ეპიზოდის შემოტანით თხზულება ბიბლიურ-ევანგელიურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სახისმეტყველებით ხასიათს იძენს, რადგან ავტორი ბავშვების მწყემსობით იაკობის მიერ იოსების „დელეთა მათ ქებრონისათა“ წარგზავნის ბიბლიური მონათხოვის ჰიპოდიგმის სახეს სძენს დავითისა და ტირიქანის მწყემსობის ფაქტს. მათ საპირისპიროდ, თევდოსის თანმხლები, რომლებიც ბავშვების სათვალთვალოდ გაგზავნა, იწოდებიან როგორც „მძლავრნი იგი მზირად ვითარცა ლომნი“ და მეტაფორულად უარყოფითი თვისებებით აღჭურვილ ადამიანებად წარმოიდგინებიან. საგულისხმოა ყრმათა „პურობა“, რომელსაც კომპოზიციური თვალსაზრისით მტარვალი ბიძის მზაკვრული მოსვლა მოსდევს. ეს „პურობა“ საიდუმლო სერობის პარადიგმად ისახება, რადგან ბავშვები ზესთასოფლად ამაღლებისათვის ემზადებიან, იგი ბიძისგან ბავშვების მოკვლის ეპიზოდს უძღვის წინ.

„დავით და ტირიქანის საკითხავის“ ავტორი ყმაწვილთა შინაგან ბუნებას ხატოვნად წარმოაჩენს. თევდოსიმ ბავშვების ადგილსამყოფელი შეიტყო და თავისი მზაკვრული განზრახვის აღსრულებას შეეცადა. უბედურებაც სწორედ ამ დროს დატრიალდა. მან გაგზავნა მხლებლები, რომლებიც ბავშვებს მიუჩინა „მზირად, ვითარცა ლომნი“. ცხვრების მწყემსვისას ყრმებმა მზირების ხმა გაიგონეს, უფროსმა ძმამ დავითმა ბიძა შეიცნო და მისკენ გახარებული გაიქცა; მიუხედავად იმისა, რომ

## ნესტან სულავა

ბავშვებმა იცოდნენ, თუ როგორ დევნიდა იგი მათ, იცოდნენ მათდა-  
მი ბიძის დამოკიდებულება, ავი განზრახვა, რომ იგი მტრულად იყო  
მათ მიმართ განწყობილი და სწორედ მას გამოექცნენ სომხეთიდან,  
მაინც გაუხარდათ ბიძის ნახვა, მასთან შეხვედრა და მისკენ გაიქცნენ.  
თხზულების ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ბავშვებს  
სიკვდილის შიში არ ჰქონდათ, ღვთის სიყვარულით მიდიოდნენ მისკენ.  
ისინი ბავშვები არიან და, ცხადია, ბიძის სივერაგე ვერ განსაზღვრეს,  
ვერ მიხვდნენ, რა მოელოდათ, რაც ბავშვების მიმნდობ ბუნებას, სიკე-  
თეს, ღვთისნიერებას მოწმობს; ხოლო ბიძამ სიყვარულით მიახლებულ  
დავითს, რომელიც „შევარდა ჭილთა დედის-ძმისა თვისისათა“, ვერავუ-  
ლად „ალიქუა იგი მკლავთა თჯსთა ზედა და ამბოვრებისა წილ მიაგე-  
ბა მახვლი, ჰსცა და მოკლა იგი“. დავითის მოკვლის ეპიზოდი და მისი  
გადასვლა ზესთასოფელში საღვთისმეტყველო სიმბოლიკითაა აღსავსე.  
ავტორმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ დავითმა „პოვა გზად ზეცისად და  
მოიგო იგი გურგუნი მოწამებისად“.<sup>7</sup> დავითს ხელთ სამწყემსო არგანი  
ეჭირა, როდესაც ბიძამ მას მახვილით განუგმირა გული, ხოლო დავითს  
ეს არგანი ხელიდან გაუვარდა და მინაზე დავარდა. ორასი წლის შემდეგ  
იგი კაკლის (ტექსტში მითითებულია „ნიგუზისად“) დიდ ხედ გადაიქცა,  
რომლის ტოტები მორწმუნებს ევლოგიად მიჰქონდათ. დავითის არგნის  
განედლება და დიდ ხედ ქცევა ბიბლიური აარონის კვერთხის განედლების  
პარადიგმულ სახედ გვევლინება (რიცხვ. 17:1-10).

ტირიჭანმა დაინახა, როგორ მოუკლა ბიძამ ძმა, რის შემდეგაც  
სასწრაფოდ გაიქცა და თავის გადარჩენას შეეცადა. მან მიაღწია იმ სო-  
ფლამდე, „რომელსა ჰრქუან დივრი, რომელსა უკმობენ კაცნი დევობით“;  
მაგრამ ვერც ის გადაურჩა ბიძის სისასტიკეს, მდევრები სწორედ ამ  
სოფელში დაენივნენ და ძმის სიკვდილით თავზარდაცემული ტირიჭანიც  
მოკლეს, რაც სახისმეტყველებითად არის აღწერილი: „დაწყლული მწარ-  
ითა წყლულებითა და სული მისი აღძრულ წარსვლად დამბადებელისა  
თვისისა“.<sup>8</sup> დივრის მთავარს კი ეგონა, რომ საჭურვლიანი და მახვილიანი  
კაცები მას დევნიდნენ და ხალხს უხმო. საბრძოლველად გამზადებულმა  
საზარელი სურათი იხილა: ეს იყო ტირიჭანის „სისხლი იგი უბრალო  
დათხეული“, რამაც ადგილობრივ დედათა შორის დიდი გლოვა გამოი-

<sup>7</sup> აბულაძე 1963, 188.

<sup>8</sup> იქვე, 188.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“

წვია. ავტორმა ტირიჭანის გლოვა ჰაგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით წარმოსახა, როდესაც აღნიშნა, თუ როგორ გოდებდნენ „დედანიცა იგი მის ადგილისანი და იყო ტირილი დიდი ყრმისა მის ზედა“<sup>9</sup>. თხზულების ავტორმა, სავსებით სამართლიანად, უდანაშაულო ძმების სიკვდილი, რა საფუძველზე და რა მიზნითაც არ უნდა მომხდარიყო, ყრმათა წამებად ალიქვა და ჰაგიოგრაფიული უანრის თხზულებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით შეამკო. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თხზულების მარტიროლოგიური ხასიათი, რადგან „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ყრმები ქრისტიანობის გამო არ მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ თავისი მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად დახოცა, პირადი ინტერესების განხორციელებისათვის მისმა სასტიკმა და დაუნდობელმა დამოკიდებულებამ შეინირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილებელი. ამიტომ, ი. ჯავახიშვილისავე მოსაზრებით, ყრმათა შესახებ დაწერილი ორი თხზულების (იგულისხმება მოწამე ბავშვების შესახებ შექმნილი თხზულებები: „წმ. ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება“ და „საკითხავი დავითისა და ტირიჭანისა“) შინაარსობრივი სიახლოვეც მოწამეთა ყრმობის კვალობაზე არ დასტურდება.<sup>10</sup> მიუხედავად ამ მოსაზრებისა, თხზულების უანრული რაობისა და სპეციფიკის განსასაზღვრად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თხზულებაშივე დაცულ იმ მონაცემებს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ ბიძის მიერ ბავშვების მოკვლა წამებადაა აღქმული, რისთვისაც დავიმოწმეთ თხზულების ტექსტი: „ამათი ესე სიჩრიოსა წამებაო“.<sup>11</sup> „მსხუერპლი იგი წამებისა მათისაო“.<sup>12</sup> ცხადია, ეს იმას მიუთითებს, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიულია და მარტიროლოგიურ თხზულებათა რიგისაა.

გარდა თევდოსის მიერ თავისი დისწულების, ძმების, დახოცვისა და თვით ავტორის მიერ ნაწარმოების წამებად მიჩნევისა, „წმიდათა ორთა

<sup>9</sup> აბულაძე 1963, 188.

<sup>10</sup> ჯავახიშვილი 1998, 300-301.

<sup>11</sup> აბულაძე 1963/1964, 190.

<sup>12</sup> იქვე, 190.

## ნესტან სულავა

ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი“ რომ პაგიოგრაფიულია, ამას თხზულებაში თევდოსის სულიერი გარდასახვაც მოწმობს; ყოველივე ზემოთქმულს პაგიოგრაფი სახისმეტყველებითად წარმოაჩენს და ბიბლიურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ ხატ-სახეობრივ სისტემას იყენებს. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია თევდოსის ჰიპოდიგმად პავლე მოციქულის მიჩნევა, რასაც საფუძვლად აპოსტოლური მონათხრობი უდევს. თუმცა, უთუოდ უნდა ითქვას, რომ ხსენებულ კონტექსტში ეს შედარება-სიმბოლო მოულოდნელობის ელფერსაც ატარებს. „იგუემა სიბრძმითა მით მსგავსად ნეტარისა მის პავლესა. ვითარცა შევარდა იგი სწავლასა მას საღმრთოსა, და მუნქუესვე აღვრი იგი მოწყალებისა მისი-სად აღუდვა პირსა მისასა, რაითამცა მოიქცა ველური იგი განვრდომილი გონებად მისი და შემძლებელ იყომცა განცდად თავისა თჯისა, რაო-იგი უქმნიეს, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ „არა უჯეროდ ვქმენით, რამეთუ მოვსწყვდენი დის წულნი ჩემნი. რამეთუ ამით სახითცა ემსგავსა პავლეს, და მანცა დისწული თჯი მოკლა სტეფანე პირველ-მოწამე“.<sup>13</sup> თხზულებაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც თევდოსი მონანულად წარმოჩნდება, სინდისი ქენჯნის, თუმცა, მის სინანულს დამაჯერებლობა აკლია, მეითხველის//მსმენელის უფრო მეტად დარწმუნებაა საჭირო; ეს შიში უფროა, შიში არა ღვთის წინაშე, არამედ ხალხის რისხვის წინაშე. ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაუჯერებელია „მგეცებრი და ველური“ თვისებებით გამორჩეული თევდოსის ამგვარი სწრაფი მოქცევა, მისი შინაგანი სამყაროს, მისი ბუნების ასე სწრაფი ცვლა.<sup>14</sup>

მთავრისა და ხალხის რისხვისა და გმინვის ხმა თაგინესაც მისწვდა, რომელმაც თავისი უბედურების მიზეზი შეიტყო და თავისი შვილების მკვლელ ღვიძლ ძმას გოდებით მიადგა. თხზულებაში აღნერილი ბიძის მიერ დისწულების მოკვლის ეპიზოდი ღრმა ფსიქოლოგიზმით მსჭვალავს მთელ ნანარმოებს, რაც შენიშნული აქვს ივანე ჯავახიშვილს.<sup>15</sup> მასში ვრცლად არის გადმოცემული სვეგამწარებული თაგინეს გოდება და ტირილი თავისი ძმის მიერ შვილების დახოცვის გამო. მან თავის სისხლისმელ ძმას გაახსენა, რომ ისინი ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ, ერთი დედის ძუძუ უნოვიათ და როგორ დაივიწყა თავისი ოჯახისშვილო-

<sup>13</sup> აბულაძე 1963, 188-189.

<sup>14</sup> ჯავახიშვილი 1998, 301.

<sup>15</sup> იქვე, 301.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიქანის საკითხავი“

ბა, საკუთარი დისწულები მოსაკლავად გაიმეტა და სიცოცხლე მოუსპო: „არღარა მოიტენება საშორი იგი მშობელისა შენისაღ და ჩემისაღ და ძუძუნი იგი, რომელთა განგუზარდეს შენ და მე? ყოლად მედგარო, რაისათვეს ესოდენითა ერითა გამოხუედ ნიყობად უძლურისა დედაკაცისათვეს და ნინველთა ყრმათა მისთათვეს? რად დამივსენ სანთელნი ესე ჩემნი, ჟ უშჯულოვო?“<sup>16</sup> მისმა სიტყვებმა იქ მყოფი ხალხი ააღელვა, სულიერად შეძრა და ააცრემლა, თევდოსის მიმართ უარყოფითად განაწყო, მისმა ულირსმა საქციელმა აღაშფოთა და რისხვით აღავსო. ცრემლი სულიერი განწმენდის სიმბოლოა, რაც თხზულების მომდევნო მონაკვეთში კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება, როგორც სინანულისა და განწმენდის სიმბოლური ნიშანი.

თაგინეს სიტყვებში ერთმანეთს შეპირისპირებულია უმანეო ნინველი ბავშვები, რომლებიც თხზულებაში ხასიათდებიან როგორც „ესე ყუავილნი შუენიერნი“, „ნერგნი სამოთხისანი მის ედემისანი“, „ნათელნი თუალთანი“, „კრავნი ესე ცხოვართა“, მწყემსნი, მართალნი, უბრალონი, და თევდოსი, მჭეცი უწყალო, მჭეცი ბოროტი, უღმრთო, ვეფხი, „სისხლისა მოყუარე“, „ყოლად მედგარი“ და უშჯულო. ურთიერთგამომრიცხავი ეპითეტებით ნაჩვენებია დაპირისპირებული სამყარო: ქრისტიანი მორწმუნე ბავშვები და მხეცქმნილი, ბოროტი, მატერიალურის მოხვეჭით გონებადაბნელებული წარმართი ბიძა ბავშვებისა. ავტორი ზესთასოფლურისა და სოფლის, მატერიალურისა და სულიერის ურთიერთდაპირისპირებით წარმოაჩნის მარადიულობაზე ორიენტაციას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომელსაც ადამიანის სული ღმერთისაკენ მიჰყავს. ავტორმა საგანგებოდ წარმოსახა წარმართობასთან დაპირისპირებული რელიგიური თვალთახედვა ქრისტიანობისა, როგორც ადამიანის სულიერების ჭეშმარიტებისაკენ მიმყვანებელი რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად.

თევდოსის ამ საზარელი საქციელის ჩადენის შემდეგ, უდანაშაულო ყრმების უსამართლოდ დახოცვის შემდეგ ღმერთმა სასტიკი სასჯელი მოუვლინა: იგი დაბრმავდა. მისი სიტყვები მოწმობს, თუ რა მკაცრი სასჯელი დაიმსახურა უღვთო საქციელის გამო; ავტორი, საზოგადოდ, აღნიშნავს, თუ რა მოელის ადამიანს უსჯულოებისა და სისასტიკისათვის, მატერიალურისათვის, ამქვეყნიური ინტერესებისათვის უპირატესობის საჩვენებლად.

<sup>16</sup> აბულაძე 1963/1964, 189.

## ნესტან სულავა

სობის მინიჭების გამო. ყოველივე ამის შემდეგ თავისი საქციელისაგან შეძრნუნებული, შეიძლება ითქვას, მონანული, მისგან შვილებდახოცილ დას შენდობას ევედრებოდა: „შ დაო ჩემო თაგინე, ჩემდა მოიქეც და იხილე, რამეთუ ესერა წუერსა ზედა მთისასა პნელმან დამფარა მე, ვითარცა ჭევთა შინა ღრმათა, ანუ მღვმესა შინა, უფსერულთა. ჩემ ზედა იქცევის ბნელი წყუდიადი, ხოლო შენ ნათელი გამოგიბრნყნდა მიუნდომელი ნათლისა მისგან წარუვალისა და ჭეშმარიტისა მისგან დაუსრულებელისა ნათლისა. ხოლო ან ჩემ ზედა უწყალოსა ამას და არაღირსსა წყალობაი! ნუ მომაგებ საქმეთა ჩემთაებრ, არამედ, ევედრე შენ წმიდათა მონამეთა, რათა ყონ ჩემთვს წყალობაი, რათა არაღირსი ესე ვიქმნე ღირს ბეჭედსა მას ქრისტის მოწყალისა ღმრთისასა, რომელი-იგი მოვიდა ცოდვილთათვს. მრნამს მე ჭეშმარიტი ღმერთი“.<sup>17</sup> თევდოსის მოქცევისათვის, მისთვის სულიერი თვალის ახელისათვის მისივე დისწულების, მცირენლოვანი ძმების დავითისა და ტირიქანის მკვლელობა გახდა აუცილებელი, რომლის მსგავსი მონათხრობი, საზოგადოდ, ჰა-გიოგრაფიის ისტორიაში არც დასტურდება. ფაქტობრივად, ბავშვების დახოცვა მსხვერპლშენირვა, თხზულების ავტორის სიტყვით, ამ მსხვერპლშენირვით „ზიარ-ჰყვენ იგინი ნაწილსა წმიდათა მონამეთასა... მოიღეს ზეცისა იგი გურგუნი დაუჭნობელი და ცხორებაი იგი წარუვალი. ამათი ესე სიჩროისა წამებაი, ღირს ყვენ ესენი მათ-თანა გურგუნსა, მათ თანა განკურნებასა ვნებულთასა“.<sup>18</sup> ბავშვების სისხლი იყო „მსხვერპლი იგი წამებისა მათისად“.<sup>19</sup>

თხზულებაში გადმოცემულია თაგინეს შინაგანი მდგომარეობის ამ-სახველი ეპიზოდი, რომელიც მისდევს ჰაგიოგრაფიულ კანონიკასა და სახისმეტყველებას, მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, ნაკლებ სარწმუნო ჩანს შვილებდახოცილი თაგინეს საქციელი, როდესაც ღმერთს დაბრმავებული ძმის განკურნებას ევედრება; მაგრამ აქ და-ძმის ურთიერთობა ჰავლე მოციქულისა და მისი დისწულის სტეფანე პირველდიაკონის, პირველწამებულის პიპოდიგმურ-პარადიგმური სტრუქტურითაა მოწოდებული და ამავე სახისმეტყველებითაა აღსაქმელი თევდოსის მიერ დისწულთა დახოცვის შემდეგ მისი განკურნება. ავტორი აღწერს, თუ როგორ აიღო თაგინემ დავითის სისხლით „შესუარული“ მიწა და თავისი

<sup>17</sup> აბულაძე 1963/1964, 190.

<sup>18</sup> იქვე, 190.

<sup>19</sup> იქვე, 190.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიჭანის საკითხავ“

შვილების მკვლელ დაბრმავებულ ქმას თვალებზე სცხო, რომელმაც „მყის აღიზილნა თუალნი მისნი“. საბა მეტრეველმა თევდოსის დაბრმავების ეპიზოდის ერთგვარ ჰიპოდიგმად თხოთის მთაზე მირიან მეფის წინაშე მზის დაბნელება და თვალების ასახელად წმ. ნინოს ღმერთისათვის, ქრისტესთვის მიმართვა მიჩნია,<sup>20</sup> მაგრამ ამ ორ თხზულებას შორის არ-სობრივი სიახლოვე არ ჩანს და, ვფიქრობ, არც ამ ეპიზოდთა ერთ განზო-მილებაში მოქცევა შეიძლება. თუმცა, ამ ეპიზოდთა გარეგნულ მსგავსე-ბას ლიტერატურული მნიშვნელობა მაინც აქვს, რადგან საფიქრებელია, „დავითისა და ტირიჭანის საკითხავში“ ასახული თევდოსის დაბრმავებისა და თვალის ახელის ეპიზოდი მირიან მეფის მოქცევის „მოქცევად ქარ-თლისადში“ აღწერილი სასწაულის გავლენის შედეგად იყოს შექმნილი.

თხზულებაში ყველაზე უფრო ძნელად დასაჯერებელი თაგინეს სიხა-რული ჩანს ძმის ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევის გამო. თუმცა, ჰაგიო-გრაფიის სპეციფიკა მოითხოვს მიმტევებელი ადამიანის სულიერი სა-მყაროს ჩვენებას და, რა ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, თაგინემაც მიუტევა თავის ძმას და მისი სინანულის შემდეგ მის სულიერ გადარ-ჩენაზე იზრუნა. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველო-ბისა და ევანგელიურ-აპოსტოლური თვალთახედვის საფუძველზე მავე-დრებელი ადამიანი მონანიების შემდეგ შენდობას უთუოდ მიიღებს, თუკი სინანული ჭეშმარიტია, თუნდაც მკვლელი იყოს იგი, რადგან ევანგელიური სწავლებით: „გიყუარდედ მტერნი თეუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელი გმძლავრობენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათე, 5: 44); აგრეთვე, გავიხსენოთ ევანგელიური მონათხრობი მაცხოვრის ჯვარც-მისას ავაზაკის მყისიერი მოქცევის შესახებ, რაც ადამიანის სულიერი გარდასახვის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ჩანს, თხზულება ქრისტიანთა მდევარ ადამიანებს მოქცევისაკენ მოუწოდებდა და ანუგეშებდა, რომ ცოდვათა გულწრფელად მონანიებისას ღმერთი მათ სულიერი გადარჩენის შესაძლებობასა და იმედს აძლევდა. მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული საკამათო დამოკიდებულებისა თხზულებაში აღწერილი ამბის მიმართ, კერძოდ, თევდოსის სულიერი გარდასახვისა და თაგინეს სიხარულისა ძმის მოქცევის გამო, თხზულება უაღრესად დატვირთულია სახისმეტყველებითი თვალსაზრისით. წამების შედეგად და შემდეგ დავითი და ტირიჭანი გახდნენ „ვითარცა მთიებნი,

<sup>20</sup> მეტრეველი 2008, 185.

## ნესტან სულავა

სუეტის სახედ ნათლისად, რომელთა თავი მისწუდებოდა ვიდრე ცადმდე, რომელსა ყოველნი ერნი ქუეყანისანი ჰქედვიდეს“.<sup>21</sup>

დავითისა და ტირიჭანის სულიერი სასწაულთქმედების ამბავი შეიტყო სომეხთა კათალიკოსმა ნერსესმა, რომელიც საკუთარი თვალით ხედავდა იშხაში „საკურველებასა და ბრწყინვალებასა მიუწდომელსა ნათლისასა“.<sup>22</sup> მან წმინდანთა გვამები თვითონ წაგრაგნა და დევრის ქვემოთ „ხევსა მას ნაღვარევისასა“ დააკრძალვინა. თხზულების მიხედვით, თევდოსი ნერსეს კათალიკოსს შეხვედრია და მისგანვე მონათლულა. ბავშვების დასაფლავების შემდეგ თევდოსის დავითის სახელზე ეკლესია აუშენებია, ხოლო ეკლესიას ყრმათა სახელზე მოსახსენებლები განუწესებიათ. თხზულების ამ მონაკვეთში რამდენიმე შეუსაბამობაა, კერძოდ, ერთგან ნახსენებია ბავშვების დაკრძალვა ნერსეს კათალიკოსის მიერ, ხოლო მეორეგან – დივრის მთავრის მიერ. შევნიშნავ, რომ ამ თხზულებასთან დაკავშირებული ეს და კიდევ სხვა რამდენიმე საკითხი კვლევას მოითხოვს.

ბავშვების დედა, თაგინე, საბოლოოდ დამკვიდრებულა სოფელში, რომელსაც ერქვა ტაძარანი, იქ გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ, მისი საფლავი კი სასწაულებრივ კურნებებს აღავლენდა. ცხადია, თხზულებაში ამ ეპიზოდზე ყურადღების გამახვილებით ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკური ნიშნები ვლინდება; ზემოთაც აღინიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის აზრით, თხზულება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაუჯერებელ ამბებს აღწერს. მან კითხვა სამართლიანად დასვა კითხვა: „თუ ბიძა თავის დისწულებს მამულის წართმევის შიშით სპობდა, მათი განარმართების ცდის ამბავს რაღა აზრი ჰქონდა, თანაც თუ მამულის დასაჩემებლად გამოასალმა ბავშვები წუთისოფელს, ეს რაღა მარტვილობაა? ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია აგრეთვე ის სიხარულიც, რომელსაც ასე სწრაფად მოუცვია შვილმოკლული დის გული მისი ძმის გაქრისტიანების გამო. ამიტომ ამ ძეგლს თითქოს არავითარი ისტორიული ღირებულება არა აქვს“.<sup>23</sup> კორნელი კეკელიძემ ეს შეხედულება სავსებით სამართლიანად არ გაიზიარა.<sup>24</sup>

<sup>21</sup> აბულაძე 1963/1964, 190.

<sup>22</sup> იქვე, 190.

<sup>23</sup> ჯავახიშვილი 1998, 301.

<sup>24</sup> კეკელიძე 1960, 518.

ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველება და „დავითისა და ტირიქანის საკითხავი“

დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის, მიერ გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად, თაგინეს დამოკიდებულება ძმისადმი იშვიათი ღმრთისმოყვარეობითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩევა, იგი საღვთო სწავლებითაა შთაგონებული, სწორედ მისმა ლოცვამ და დახოცილი შვილების სისხლით გასვარული მიწის თვალებზე წასმამ დაუბრუნა თვალსიჩინი ურჯულო, შემდეგში ქრისტეს რჯულზე მოქცეულ თევდოსის. ამიტომ თხზულება ნამდვილად ჰაგიოგრაფიულია, რადგან, მართალია, მასში ჰაგიოგრაფიისათვის უჩვეულო, მაგრამ მის წილში გამოყენებული სახისმეტყველებითი პრინციპებითა და გამომსახველობითი საშუალებებითაა გამოხატული ძირითადი სათქმელი.

ყოველივე ზემოთქმული იმას მონმობს, რომ „ნმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიქანისი საკითხავის“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მიჩნევისათვის ორი საფუძველი არსებობს: 1. მცირენლოვან ყრმათა ბიძის მიერ მოკვლა თვით თხზულებაშივეა წამებად აღქმული; 2. თევდოსის ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, როგორი დაუჯერებელი ფაქტებითაც უნდა იყოს მონიდებული, ჰაგიოგრაფიული უანრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული, რაც ბიბლიურევანგელიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას შეესაბამება. აუტორი თხზულებისა მხატვრული სიტყვის კარგი მცოდნეა, რომელიც სათქმელის გამოსახატავად სიტყვებს ზუსტად არჩევს, ხოლო პერსონაჟთა განწყობილებებს ჰაგიოგრაფიის თვალით წარმოაჩენს. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც მცირენლოვანი ბავშვები ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, მშობლებისა და ნათესავების სიყვარულით, სასორებითა და სულიერობით ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

## ბიბლიოგრაფია

### References

**კეცელიძე 1960:** კეცელიძე კ. 1960, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი

**მეტრეველი 2008:** მეტრეველი ს. 2008, ქართული აგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახისმეტყველება, თბილისი

**აბულაძე 1963/1964:** აბულაძე ილ. და სხვ. რედ., ძელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1963-1964, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიმვილმა, ნ. გოგუა-

ძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯლამაიამ, ილია აბულაძის  
ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი

**ჯავახიშვილი 1998:** ჯავახიშვილი ივ. 1998, ძველი სომხური საისტო-  
რიო მწერლობა, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. XI, თბილისი

### Nestan Sulava

#### The Symbols in Hagiography and Problem of Genres in "David and Taritchani Reading"

The main object of my study is to determine the essence of genre in the reading of "David and Taritchani" on the basis of hagiography aspects, as the killing of the children by the uncle from the social point of view was not regarded martyrdom, besides considering the issue of conversion of the character, Theodos as the basis of hagiography, was paid less attention. All the abovementioned can be explained after analyzing the symbols of the story. It seems the story has not been examined from the given point of view. Certain tasks need to be revised and subjected to study once again. It must be considered that in every epoch the readers try to make new discoveries in the story according to the principles of the literature of the period. Hagiography was based on the symbols and was highly sustainable, but even this particular genre can be explained according to the needs of other epoch if we take into consideration the idea that some marks could belong to the genre, considering also the wisdom, ideas and style of the other epoch.

Even the title of the story can be discussed.

The title indicates that it was meant for reading. In theological studies only the homiletic genre works were considered as reading, while the main objective of homiletic works lies in delivering oral story to the parishioners on the celebration days of the saints and the Mother of God, which means that the work had initially to be an oral narrative, a sermon delivered to the congregation, becoming a written source later, after being told orally. In the abovementioned story murdering the children by the uncle is considered martyrdom but it has not found reflection in the title of the work.

In hagiography, the background of the characters is given fully to show the essence of their life to the reader and to show them what is the tradition the family follows, How the children were brought up, what kind of life do

they lead and finally, how the characters' world perception is evaluated by the author. The main characters of "Davit and Taritchani Reading" are the children Davit and Taritchani, both of their parents belong to the nobility, both are Christians, and the children grew up in accordance with the Christian tradition. It was the reason of the result that the son was called as Davit which is the name of the David the Prophet, author of the psalm-book, and the younger son was given an Armenian name, Taritchani, named with a symbolic name, connected with Armenia.

Vardan and Tagine, as real Christian parents gave them the Christian names and educated them as Christians. They saw their duty in bringing them up and educating in accordance with the gospels and psalms. So the wisdom of the children: Davit and Taritchani, should be kind, full of faith, hope and love of God. They were young when the father died and the mother, a very gentle woman, assumed the responsibility of bringing them up, for which reason the author refers to her as worthy of God and blissful. As opposed to mother her brother was a despot and for this he is being called a tyrant by the author of the story. Charitable Tagine and pagan Teodos the children of the same parents are quite different.

The symbols in the story are hagiographic, but the motif of murdering the children can not be explained only by the faith and hagiography, if we consider the words stated by Ivane Javakhishvili, it happens to be a social problem as well. After Vardan's death, Tagine's pagan brother occupied the lands of the son in law. Being afraid of the nephews' revenge the evil uncle decided to kill the children. First he asked the sister and minor nephews to change the faith; he tried to ask the children change the faith secretly from their mother. He was refused. Tagine felt her children were endangered and left the country moving to Tao where the mother lived peacefully for some time with her children. The sons become shepherds and it acquires symbolic meaning. The author tries to point to the character of the boys.

Teodos finds the mother's hide out and commits crime. He murdered the nephews and it was the «holy blood» of David and Taritchani. The author regards the fact as the martyrdom of the children. Ivane Javakhishvili doubted that it was martyrdom, because the children were not killed for Christianity, the uncle killed them for ulterior reasons. The most important is the fact that the Apostle Paul is considered hypodigm of the uncle Teodos. It even bears the effect of suddenness. Teodos, alike the Apostle, repents and feels regret,

although his feelings are not convincing. The reader needs to be persuaded in his sincerity. It seems he's experiencing fear; but not the fear of God but of revenge of the people.

In her mourning, the mother uses different words for the description of the slain innocent children - "beautiful flowers", "light of the eyes", "seeds of paradise", and "lambs"; while the uncle is called "unfeeling animal, "devil", "tiger", "blood lusting", "unkind" and "lawless".

After committing crime, killing the innocent children Teodos is punished by the God and he turns blind. At the end of his life he begs forgiveness of his sister for his crimes. It seems the blood of the innocent children was needed for him to find truth and kindness. The author shows the miracle when Tagine takes the earth soaked with the blood of her son David and applies it to the eyes of her brother, the killer of her sons. After his blind eyes see the light, Tagine feels happy for her brother as he becomes a Christian. The hagiographical author needs to portray a forgiving person and really it is difficult to create such character but Tagine's feelings for her brother were strong and she took responsibility to save her brothers soul. In Christianity a repenting person should be forgiven, even for committing murder, and it is the main object of the story. We can find examples of this in the gospel.

To sum up the problem we have two main reasons why we consider "Davit and Taritchani Reading" hagiographical: 1. The fact of killing minors by uncle in the story referred to as martyrdom. 2. Conversion of Teodos, notwithstanding the unbelievable facts, is regarded hagiographical narrative, in which the children, through their strong faith and martyrdom, ascended the divine path.

ବ୍ୟକ୍ତିଗତ



## ზაზა ალექსიძე ლუვრი – ახტალა

1990, 1991 და 1992 წლებში სამჯერ ვიყავი საფრანგეთში. პირველად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სომხური ძეგლების მდგომარეობისა და დაცვის შესახებ სომეხთა საერთაშორისო კონფერნციაში (სტრასბურგი) მონაწილეობის მისაღებად და შემდეგ, ორჯერ, აპოკრიფების შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (დოლი) სხდომებზე. სამივე შემთხვევაში რამდენიმე დღე გავატარე პარიზში, ლუვრის საცავებში დაცული ქართული წარწერიანი ქვის შესასწავლად. ამის შესახებ უფრო ვრცლად არის მოთხოვობილი წარწერის ადრინდელ გამოცემებში და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათ მიმართოს.<sup>1</sup> ქვის ზომებია – სიგრძე 65 სმ, სიგანე – 29 სმ.

წარწერის დედანი და ჩემ მიერ მაშინ გაკეთებული ტრანსკრიპცია ასეთია (სურ. 1):



სურ. 1. ლუვრის საცავში დაცული ქართულწარწერიანი ქვა

<sup>1</sup> ალექსიძე 2000; ალექსიძე 2011, 13-25. იქვე იხ. წარწერის ტექნიკური აღწერილობა.

†: მაც იყიდეს [ ] თუ ფრთხია: ღრაც გრაც არა  
უნი: წერს ეს რა და რა და რა კავშირი არა  
პირობით იყო არა მას მყრად უციდა არა და უნი  
ს არა: არაც თუ ს ტერიტორია როგორ ცა

:ქ: მეცა ულიოსი [ ] და ფრიად ცოდნილი: ბიძხსა და ლირსისა ჩ(უენ)ისა  
| პ(ეტრ)ე წ(უერ)გაზრდილმ(ა)ნ, არათუ მ(ო)ქმ(ე)დობისა რ(ა)ხს(ა)მე შემ(დ)  
ლე, ა(რამე)დ | მცირეთა ოფლთა და მეცა ლირს მყავთ ლ(ო)ცვ(ა)თა თქ(უე)  
ნთა, ქ(რისტე)ს მ(იე)რ | ს(ა)ხ(იე)რნო, რ(ომელ)ნიცა დლეს(ა)სწ(აუ)ლობდეთ  
დლეს(ა)სწ(ა)ულსა ამ(ა)ს.

წარწერა გამოვაქვეყნე მისი ამოკითხვიდან შვიდი წლის შემდეგ.  
დაგვიანების მთავარი მიზეზი იყო მისი მეორე სტრიქონის სამი სიტყ-  
ვა: „პ(ეტრ)ე : წ გაზრდილმ(ა)ნ...“. გაუგებარი იყო წრფელობით ბრუნ-  
ვაში დასმული პ(ეტრ)ე განკვეთილობის ნიშნით გამოყოფილი მომდევნო  
დაქარაგმებული წ-სთან. ამასთან, წ-ს დაქარაგმება დამოუკიდებელ სი-  
ტყვაში არა გვხდება. კომპოზიტში შეიძლება შეგვხვდეს. ამიტომ დიდი  
ყოყმანისა და წყაროებში დადასტურების შემდეგ აღვადგინე შესიტყვება  
წუერგაზრდილმან. მსგავსი გამოთქმები გვაქვს დიდ სჯულის კანონში  
და ქართულ სამონასტრო ტიპიკონებში: წუერგამონი, წუერგამონბა,<sup>2</sup>  
წუერითა განსრულება<sup>3</sup>, უწუერელი<sup>4</sup>. ყველა ეს ტერმინი, ნიშნავს მონ-  
ასტერში მოლვანე ისეთ ახლგაზრდას, რომელიც ჯერ უწერულია და  
ბერად ვერ აღიავეცხა, ან უკავე წვერგაზრდილია და მისი ბერად კურთხ-  
ევა შესაძლებელია. ვფიქრობდი, რომ ასე თუ ისე ეს საკითხი მოგვარდა,  
მაგრამ გრამატიკული გაუმართაობა რჩებოდა.

მეორე საკითხი, რომელიც ჩემს გაკვირვებას იწვევდა, იყო წარწ-  
ერაში მისი ავტორის მოუხსენებლობა. ასეთი პრაქტიკა საერთოდ არ  
გვხვდება ეპიგრაფიკაში. წარწერის ავტორი თხოულობს მის მოხსენიე-  
ბას დლესასწაულისას და არ ასახელებს თავის თავს? მაში როგორ უნდა  
მოიხსენიონ წარწერის ავტორი თანადროულმა და განსაკუთრებით კი  
მომავალი თაობის მწირველებმა, ვისთვისაც წარწერა კეთდება, თუ მისი  
სახელი არ იციან?

<sup>2</sup> გაბიძაშვილი, გიუნაშვილი, დოლაქიძე, ნინუა 1975, 142, 5; 297, 23.

<sup>3</sup> შანიძე 1971, 116.

<sup>4</sup> მუსხელიშვილი 1939, 75-76.

ამ სიძნელის მოსახსნელად ჩავატარე შემდეგი ექსპერიმენტი: დაუშვი შესაძლებლობა, რომ გადამწერს შეცდომა მოუვიდა და მეორე სტრიქონში დასახელებული პეტრე ავიტანე პირველ სტრიქონში ფრიად ცოდვილის შემდეგ. მივიღე გამართული აზრი: მეცა ულიორსი და ფრიად ცოდვილი პეტრე, მაგრამ მომდევნო წინადადება გრამატიკულად კვლავ გაუმართავი დარჩა. მიუხედავად ამისა, მაინც იმ ვარიანტზე შევჩერდი, რომ წარწერა პეტრეს ეკუთვნის, რადგან სახელით მასში სხვა არავინ იყო მოხსენიებული.

გაკვირვებას იწვევს წარწერის პირველივე სიტყვაც: მეცა (მეცა ულიორსი). ასე არცერთი სხვა წარწერა არ იწყება. კორექტული დასაწყისია მე (მე ულიორსი). მეცა გულისხმობს, რომ მასთან ერთად არის სხვაც.

წარწერის მესამე სტრიქონმა კიდევ უფრო გააღრმავა ჩემი ინტერესი: „მეცა ღირს მყავთ ლოცვათა თქუენთა“. ვინ არის ის ანონიმი ავტორი, ვინც უნდა ღირს ჰყონ მწირველებმა ლოცვისას? ვინ არის კიდევ ის სხვა, ვისთან ერთადაც უნდა მოხსენიებულ იყოს წარწერის ავტორი ლოცვებში, არა ჩანს.

მეოთხე სტრიქონში კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდება. წარწერის ავტორი მიმართავს მწირველთ, „მეცა ღირს მყავთ ლოცვათა თქუენთა .... რომელნიცა დღესასწაულობდეთ დღესასწაულსა ამას“. რომელ დღესასწაულზე უნდა ილოცონ მწირველებმა იმ ადამიანზე, რომლის სახელიც არ იციან? დღესასწაული არსად ნახსენები არ არის და წარწერის ავტორი კი ითხოვს, ილოცეთ ჩემზე „დღესასწაულსა ამას“.

ამრიგად, ჩვენს ხელთაა საკმაოდ დიდი წარწერა გულუხვი ტექსტით, მაგრამ არ ვიცით, ვინ არის მისი ავტორი, ვინ უნდა მოიხსენიებოდეს მასთან ერთად და როდის უნდა მოიხსენიებოდეს, როდის და ვისზე უნდა ილოცონ მწირველებმა.

ერთი სიტყვით, სრული შთაბეჭდილებაა, რომ წარწერას თავშიც აკლია, შუაშიც და ბოლოშიც. მაგრამ ფორმალურად ასე არ არის. ლუვრის წარწერა იწყება ტრადიციული, ორწერტილებით შემოსაზღვრული ქან-ით (ქრისტე) და მთავრდება ასევე ტრადიციული ყვავისფრჩილოვანით, რაც მიუთითებს წარწერის დასაწყისსა და დასასრულზე. ამიტომ ეს უცნაური გაუგებრობები მე წარწერის ავტორს მივაწერე. ქვა მთლიანად ხელთ მქონდა და კიდევ რა, სად და რატომ უნდა მეძებნა? ამიტომ გამოვაქეყნე იგი ისე, როგორც დაცული იყო ლუვრის საცავში.

და ბოლოს, ლუვრის მუზეუმს არ აღმოაჩნდა ქართული წარწერის არა მარტო პასპორტი, არამედ არანაირი ჩანაწერი საცავში მისი მოხ-

ვედრის შესახებ. მე მგონია, ეს ერთ-ერთი არგუმენტია იმისა, რომ იგი ლუვრში მიტანილია ძალიან დღიდ ხნის წინ.

გავიდა კიდევ თოთხმეტი წელი და 2014 წლის 21 ოქტომბერს საღამოს საათებში მიკავშირდება საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების გამგე ქეთევან ასათიანი და მაცნობებს, რომ ეროვნული არქივის ფოტოსაცავში მან ნახა ვრცელი წარწერის ასლის ფოტო, რომელიც შესრულებულია ალექსანდრე როინაშვილის მიერ. ფოტოზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით, წარწერა უნდა იყოს ახალქალაქის რომელიდაც ეკლესიიდან. ქეთევანი ინტერნეტით მიგზავნის წარწერის ფოტოს და მეკითხება, ხომ არაფერი ვიცი მის შესახებ, რადგან „იგი ალბათ უკვე შესწავლილია“.

მივიღე თუ არა „ახალქალაქის“ წარწერა, თითქმის იდენტურმა პალეოგრაფიამ მაშინვე გამახსენა ლუვრის წარწერა. დავინუე კითხვა და პირველივე სტრიქონმა დამანახა, რომ ეს წარწერა უშუალოდ უკავშირდება მას შინაარსითაც და ზემოთ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხსაც იძლევა. დაახლოებით საათ-ნახევარში კვლავ დაგუკავშირდი ქეთევან ასათიანს, მოვუყევი ჩემი დაკვირვების შედეგები და თანდათან დაიბადა იდეა საქართველოს ეროვნულ არქივი ამ საკითხზე საჯარო ლექციის წაკითხვისა.

მაგრამ, პირველ რიგში, მაინც რჩებოდა გაურკვეველი ის, თუ სად უნდა გვეძებნა თვითონ ქვა, რომელზეც წარწერა იყო ამოკვეთილი და რომლის ასლის ფოტო ხელთა გვქონდა. ასლის ფოტოს ქვეშ გაკეთებული ბეჭდური წარწერა უეჭველად მიუთითებდა, რომ ეკლესია, რომლის გალავანშიც, ფოტოს მიხედვით, წარწერიანი ქვა იყო ჩასმული, უნდა გვეძებნა ქალაქ ახალქალაქი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის შემოგარენში.<sup>5</sup> ხოლო თუ ქვა უკვე ამოღებული იყო და დაკარგული არ იყო, იგი უნდა ყოფილიყო ახალციხის ან თბილისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სპეციალურ საცავში.

ხანმოკლე ძიებამ ცხადყო, რომ წარწერა არ უნდა იყოს ახალქალაქიდან, ვინაიდან სამწირველო აგებულია „პატრონ“ ავაგ ათაბაგის (მხარგრძელის) სახელზე, ხოლო ახალქალაქი და საერთოდ ჯავახეთი არაფრით არ არის დაკავშირებული მხარგრძელებთან. X საუკუნიდან ახალქალაქი საუფლისნულო ქალაქია.<sup>6</sup> ამიტომ წარწერა საძიებელია ლორე-ტაშირში, მეტი ალბათობით კი ახტალის მიდამოებში, სადაც იყო ივანე ათაბა-

<sup>5</sup> „Ахалкалакская церковь. Грузинская надпись в ограде на камне“.

<sup>6</sup> ქსე, 1977, 2, 96.

გისა და შემდეგ ავაგ ათაბაგის (მისი ძის) საძვალე. ასე მივადექი ე. თა-  
ყაიშვილის, ლ. მელიქსეთ-ბეგისა და პ. მურადიანის ნაშრომებს.

წარწერა, რომელზეც ვსაუბრობთ, განთავსებულია ახტალის დიდი  
ეკლესიის პირდაპირ, აღმოსავლეთის მხარეს, შემაღლებულ ადგილზე  
(გორაკზე), აღმართული სამლოცველოს დასავლეთიდან შესასვლელი  
კარის ბალავარის თავზე (სურ. 2).



სურ. 2. ახტალა. სამლოცველოს საერთო ხედი

წარწერა პირველად შეისწავლა და გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა, რომელსაც დეტალურად აქვს აღნერილი მისი შესწავლის ისტორია.

როგორც ე. თაყაიშვილის ნაშრომიდან ჩანს, ალექსანდრე ერიცოვს/ერიციანს (1841-1902) მისთვის „გასარევად“ (აკა რაზნორა) გადაუცია (როდის, აღნიშნული არ არის) „გამჭვირვალე ქალალდზე“ გადაღებული დიდი ქართული წარწერა. როგორც ე. თაყაიშვილი ხაზს უსვამს, ეს წარწერა „აღმოჩნდა ახტალის წარწერა“<sup>7</sup>

1894 წელს ე. თაყაიშვილი რამდენიმე საათს მუშაობდა ახტალის დიდ ტაძარში და მხოლოდ შებინდებისას მისულა იმ ეკლესიასთან, რომელმაც, „როგორც აღმოჩნდა“ (მისი სიტყვებია),<sup>8</sup> შემოინახა აღ. ერიცოვის მიერ გადმოღებული წარწერა. მაშინ ე. თაყაიშვილმა ადგილზე სულ ორი სტრიქონის ამოკითხვა შეძლო. ე. თაყაიშვილის ცოტა ბუნდოვანი ტექსტიდან კარგად არა ჩანს, 1894 წელს აღ. ერიცოვის მიერ გაკეთებული ასლი მას თანა ჰერნდა, თუ ახსოვდა მისი ტექსტი და მოხაზულობა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მხოლოდ ადგილზე მუშაობისას მიხვდა, რომ აღ. ერიცოვის ასლი ახტალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერა უნდა ყოფილიყო და იგი მას თან არ უნდა ჰერნოდა.

აღ. ერიცოვი ახტალაში მუშაობდა 1872 წლის წინა პერიოდში, მის ახლო ხანებში, რადგან თავისი ნაშრომი ახტალის მონასტრის შესახებ სწორედ ამ წელს გამოსცა.<sup>9</sup> სავარუდოა, რომ მან წმ. გიორგის სახელობის სამღლცველოს დასავლეთი კარების თავზე მოთავსებული ქართული წარწერის ასლიც სწორედ იმ დროს გააკეთა. შემდეგ, დროთა განმავლობაში, მას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, სად გააკეთა ეს ასლი და როდესაც ე. თაყაიშვილს გადასცა იგი შესასწავლად, ან სულ ვერ უთხრა, საიდან იყო წარწერა, ან შეცდომით უთხრა. მით უმეტეს, სწორი ინფორმაცია არ ექნებოდა ფოტოგრაფ აღ. როინაშვილს – შესაძლოა, ასე გაჩნდა ასლის ფოტოზე ბეჭდური წარწერა, რომ წარწერიანი ქვა არის ახალქალაქის ეკლესიის შემომზღვდულელი გალავნიდან.


დღეს უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება ფოტო აღ. ერიცოვის მიერ დამზადებული ასლიდან, რომელიც ავტორმა შესასწავლად ე. თაყაიშვილს გადასცა

<sup>7</sup> თაკაშვილი 1901, 138.

<sup>8</sup> იქვე, 139.

<sup>9</sup> მონასტერი ახტალა 1872, 1.

(სურ. 3).<sup>10</sup> თვითონ ასლი სად ინახება, ან საერთოდ შემორჩენილია თუ არა, ჩემთვის უცნობია.



სურ. 3. ალ. ერიცოვის მიერ დამზადებული წარწერის ასლის ფოტო

ასეა თუ ისე, ე. თაყაიშვილმა, მისივე ცნობით, ვეღარ შეძლო ახტა-ლაში დაბრუნება და წმ. გიორგის სახელობის (თავდაპირველად თორმეტ მოციქულთა სახელობის) სამლოცველოზე განთავსებული წარწერა ერი-

<sup>10</sup> როდესაც მეგონა, რომ მივაგენი ახტალის წარწერის ასლის ავტორს, ვნახე წიგნი, რომელშიც გამოცემული იყო ნანა კობალაძის მიერ რუ-სულიდან ქართულად თარგმნილი ე. თაყაიშვილის ნაშრომი, რომელსაც დართული ჰქონდა, სათანადო მითითებით, ალ. ერიცოვის მიერ გაკეთე-ბული ასლი და თვითონ წარწერის ფოტოც. იხ.: თაყაიშვილი 2014, 47-51. ნანა კობალაძემ ეს ფოტოები გადმომცა (რისთვისაც დიდ მადლო-ბას მოვახსენებ) და მაცნობა, რომ ისინი მისთვის გადაუცია გიორგი ოთხმეზურს. გ. ოთხმეზურმა გაიხსენა, რომ იგივე ფოტოები დიდი ხნის წინ მისთვის გადაუცია ან განსვენებულ ვალერი სილოგავას. მართლაც წარწერის მონახაზის ფოტოს უკანა მხარეს, სავრაუდოდ, ვ. სილოგავას ხელით, გაკეთებული აქვს მინაწერი: „ა. ერიცოვის მიერ დამზადებული და ექ. თაყაიშვილისთვის (წარწერის გამოსაცემად) გადაცემული მულა-ჟის ფოტო“ და უთითებს ე. თაყაიშვილის ნაშრომს, რომელიც ამ წერ-ილში ბევრჯერ არის დასახელებული. სამწუხაროდ, ფოტო გადაღებუ-ლი ან გამოქვეყნებულია სწორედ იმ მინაწერამდე, რომელიც წარწერის ადგილსამყოფელად ახალქალაქს მიუთითებს.

## ზაზა ალექსიძე

ცოვის ასლის მიხედვით წაიკითხა და გამოსცა რუსულ ენაზე თარგმანთან ერთად.<sup>11</sup>

აღ. ერიცოვის, თუ მისი დამხმარის, მიერ დამზადებული ასლი იმ დორისათვის კარგად არის გაკეთებული, მაგრამ რადგანაც მას აკეთებს ქართულის უცოდინარი პირი, ზოგი რამ ზუსტად არა არის ასახული, რაც ე. თაყაიშვილს მცირეოდენ შეცდომებს აშვებინებს. ზოგჯერ ექვთიმე თაყაიშვილი წარწერის ზოგიერთ ადგილს თითქმის სწორად კითხულობს და ეს სწორი წაკითხვა სქოლიოში ჩააქვს, რადგან არასწორად მიაჩინა.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო წარწერის ზომები. ამის მიზეზი ქვემოთ გამოჩნდება.

ე. თაყაიშვილს ზომები მოცემული აქვს სამლოცველოსთვისაც და წარწერისთვისაც. ბუნებრივია, ზომებს იგი იღებს მის დროს რუსეთში გამოყენებული საზომების მიხედვით (არშინი და ვერშოკი): სამლოცველოს კედლის სიგრძე – 11 არშინი და 4 ვერშოკი, ხოლო სიგანე – 7 არშინი და 11 ვერშოკი. დღევანდელი სისტემით, 1 არშინი უდრის 0,71 მეტრს, ხოლო ვერშოკი – 4,445 სანტიმეტრს. ასეთი გამოთვლით, თუ დავამრგვალებთ, სამლოცველოს კედლების სიგრძე იქნება დაახლოებით 8 მეტრი, ხოლო სიგანე – დაახლოებით 5 მეტრი.

რაც შეეხება წარწერის ზომებს, ე. თაყაიშვილის მიხედვით, ის არის სიგრძით – 2 არშინი (142 სმ) და სიგანით – 14 ვერშოკი (62,23 სმ).

საკვირველია, მაგრამ ე. თაყაიშვილს თავისი ნაშრომისთვის არ დაურთავს წარწერის თუნდაც აღ. ერიცოვის მონახაზი. ფოტო ხომ, რა თქმა უნდა, როგორც ნაშრომიდან ჩანს, არც გადაუღია.

1964 წელს ახტალის წარწერა სხვა წარწერებთან ერთად ხელახლა გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა.<sup>12</sup> მან, როგორც ჩანს, ადგილზე იმუშავა წარწერის ამოკითხვაზე და შესაძლებლობა მიეცა, ე. თაყაიშვილის რამდენიმე შეცდომა გაესწორებინა. ჰქონდა თუ არა ლ. მელიქსეთ-ბეგს ხელთ ა. ერიცოვის მონახაზი ან მისი ფოტო, ჩემთვის უცნობია.

1977 წელს პ. მურადიანმა გამოსცა წიგნი „ქართული წარწერები ახტალაში“.<sup>13</sup> ახტალას იგი ამ ტერიტორიის ძველ სახელს – პლნდაჟანს

<sup>11</sup> თაკაშვილი 1901, 139, 140-142.

<sup>12</sup> მელიქსეთ-ბეგი 1964, 311-312.

<sup>13</sup> უიტაუკი 1977, 219-221.


უწოდებს („სპილენძის საბადო“). პ. მურადიანს წიგნისთვის დაურთავს წარწერის ფოტო და მონახაზი, რომელიც აშკარად პროფესიონალი მხატვრის შესრულებულია, მაგრამ ფოტოდან. ფოტო არ არის ორდოგონალური და ქვევიდან არის გადაღებული ძლიერი ობიექტივით, რაც მთელი წარწერის გარკვეულ დეფორმაციას იწვევს (სურ. 4).

პ. მურადიანი, თავის მხრივ, ასწორებს ე. თაყაიშვილისა და ლ. მელიქეთ-ბეგის წაკითხვებს, მაგრამ ზოგ შეცდომას თვითონაც უშვებს, განსაკუთრებით დაქარაგმებების გახსნაში.

აქვე ვაქვეყნებ ახტალის წმ. გიორგის სამლოცველოს წარწერის ფოტოს, რომელიც გადაღებულია გ. გაგოშიძის მიერ 2013 წელს (სურ. 5).

ქვემოთ მოცემულია წმ. გიორგის სამლოცველოს ასომთავრული ტექსტი ჩემი წაკითხვით და მისი მხედრული ტრანსკრიპცია, სქელიონებში ე. თაყაიშვილის, ლ. მელიქეთ-ბეგისა და პ. მურადიანის წაკითხვათა იმ ვარიანტებით, რომელთაც მე არ ვიზიარებ.

1. ჭ: პ. ერისთავი: თბ სულამის: საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
2. თხ: საქართველოს მთავრობის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
3. გ. გაგოშიძის ასომთავრული ტრანსკრიპცია: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
4. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
5. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
6. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
7. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
8. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
9. გ. გაგოშიძის მინისტრი: გაგოშიძის მინისტრი საქართველოს მთავრობის უწყებელი მუნიციპალიტეტის მინისტრი
10. გ. გაგოშიძის მინისტრი:



სურ. 4. პ. მურადიანის მიერ წარწერისათვის დართული მონახაზი

:†: მე, ულიოსი და ს(უ)ლიოთა ს(ა)წყ(ა)ლ(ო)ბელი ნ(ინამძღვარი) პ(ეტრ) ე, ლირს ვიქემ(ე)ნ ალშენ(ე)ბ(ა)დ ეგ(ო)გო(რ)(ი)სა<sup>14</sup> | ამის, ს(ა)ხ(ე)ლსა ზედა ნ(მიდათ)ა მ(ო)ციქ(უ)ლთ(ა)სა, სადიდ(ე)ბ(ე)ლად<sup>15</sup> მ(ა)თდა და პ(ირვე)ლ პ(ა) ტრ(ო)ნთა<sup>16</sup> და გ(ა)მზრდ(ე)ლთა<sup>17</sup>, | ლ(მ)რთის(ს)ა<sup>18</sup> ჩ(უენ)თა<sup>19</sup> ს(ა)მლ(ო)ცვ(ე)ლ(ო)დ<sup>20</sup> და ს(უ)ლისა ჩე(მი)სა სალ(ო)ცვ(ე)ლ-საჭ(ენ)ებ(ე)ლ(ა)დ<sup>21</sup> და გ(ა)ნვ(ი) ჩინე<sup>22</sup> ათ(ო)რმ(ე)ტთა მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთა დლ(ე)ს(ა)სწ(აუ)ლის | მეორე დღე. ვინ- ცა ჩ(ემი)სა გუ(ა)რ(ი)სა კ(ა)ცი იყ(ო)ს, მისისა ძ(ა)ლისაეპრ ძმ(ა)თა გ(ა)მ(ი)

<sup>14</sup> ეგუტრისა – ე. თ.; ეგპტრისა – პ. მ.

<sup>15</sup> სადიდებლად – ე. თ., ლ. მ-ბ.

<sup>16</sup> ე. თაყაიმვილი რუსულად ტერმინ „პირველ პატრონთას“ შეცდომით თარგმნის: “сперва за патронов”. შეცდომა შემჩნეული აქვს პ. მურადი- ანს.

<sup>17</sup> გამზდელთა – ლ. მ-ბ.

<sup>18</sup> ლირსთა – ე. თ., სქოლიოში უჩვენებს, რომ წერია „ლ(მერ)თია“; თავთა ლ. მ.-ბ.; ლირსთათა პ. მ.

<sup>19</sup> ჩემთა – ე. თ., პ. მ.

<sup>20</sup> სამლოცველად – პ. მ.

<sup>21</sup> საჭ(ენ)ებლად – ე. თ., ლ. მ-ბ, პ. მ.

<sup>22</sup> განვაჩინე – პ. მ.

ს(ე)ნ(ე)ბდეს და იგი უამ(სა)<sup>23</sup> მინ(ი)რვ(ე)ბდ(ე)ს<sup>24</sup> და მე, თქ(უე)ნთა | ლ(ო)ცვ(ა) თა შ(ინ)ა მ(ო)მიჭ(ე)ნ(ე)ბდეთ. და უკ(უე)თუ<sup>25</sup> ჩ(ემ)თა<sup>26</sup> ც(ო)დვ(ა)თა მ(ი)ს(ა) გებელი<sup>27</sup>მ(ო)მ(ა)გ(ო)სლ(მერთმა)ნ და ჩ(ემის)ა გ(უა)რისა კ(ა)ცი აღარავინ იყოს, თ(ქუე)ნ, ქ(რისტე)ს<sup>28</sup> მ(ო)ყ(უა)რ(ე)ნო | და მზგ(ა)ვსნო მ(ამანო), წ(ი- ნამძლუარნო)<sup>29</sup> და ყ(ოველ)ნოვე<sup>30</sup> ძმ(ა)ნო, ვინცა პ(ა)ტრ(ო)ნისა ავ(ა)გ ათ(ა) ბაგისა სამწირვ(ე)ლ(ო)სა, ჩ(ე)მგნით აღშ(ე)ნ(ე)ბ(უ)ლსა ზ(ედ)ა ლირს-ყ(ო)ს<sup>31</sup> და აღირ|სოთ პ(ირვე)ლ პ(ა)ტრ(ო)ნთა და თქ(უე)ნ<sup>32</sup>, ჩ(ემი)ცა<sup>33</sup> ს(უ)ლი მ(ა) ნვე იურვოს. დაუკლ(ე)ბ(ე)ლ(ა)დ ჩ(ემი)თა ჭ(ე)ლითა და ძმისწ(უ)ლისა ჩ(ემ) ისა ილ(ა)რი(ო)ნისითა აგვშ(ე)ნ(ე)ბია და | არავინ<sup>34</sup> გუშმ(ა)რთლ(ე)ბის უჭს(ე) ნებლ(ო)ბ(ა)სა. ესე ჩ(ე)მგნით გ(ა)ნჩ(ე)ნ(ი)ლი ანუ ჩ(უე)ნისა<sup>35</sup> გუარისა კ(ა) ცმ(ა)ნ, ანუ ვინ სხ(უა)დ შ(ე)მ(ო)ვიდეს და დააკ|ლოს და შ(ე)ცვ(ა)ლოს, შ(ე)- მცა-იცვლ(ე)ბის შჯ(უ)ლის(ა)გ(ა)ნ ქ(რისტე)ნთამსა და ც(ო)დვ(ა)თა ჩ(ე)მთა პ(ა)ს(უ)ხი მ(ა)ნ | გასცეს<sup>36</sup> წ(ინაშ)ე ღ(მრთის)ა.

ახტალის წინამძღვრის, პეტრეს წარწერას ე. თაყაიშვილი ათარიღებს 1242-1250 წლებით, ვინაიდან დედოფალმა რუსუდანმა ავაგ მხარგრძელს (ივანე მხარგრძელის შვილს) ათაბაგობა უბოძა 1242 წელს, ხოლო ავა- გი გარდაიცვალა 1250 წელს.<sup>37</sup> ამ თარიღს წარწერის ყველა გამომცე- მელი იზიარებს. ჩემი აზრით, პეტრეს მიერ თავისი პატრონის სახელზე

<sup>23</sup> წესითა – ე. თ., ლ. მ. ბ., უამი – პ. მ.

<sup>24</sup> ნირვებოდეს – პ. მ.

<sup>25</sup> უკეთუ – ე. თ.

<sup>26</sup> ჩუენთა – ლ. მ-ბ.

<sup>27</sup> მისაგელი – ე. თ.

<sup>28</sup> ქრისტს – პ. მ.

<sup>29</sup> წმიდანო – ე. თ., ლ. მ-ბ., პ. მ.

<sup>30</sup> ყოველნო – ლ. მ-ბ.

<sup>31</sup> [ი]ყოს – ლ. მ-ბ., პ. მ.

<sup>32</sup> თქუენცა – ლ. მ-ბ.

<sup>33</sup> ჩემიცა -[ლ. მ-ბ.]

<sup>34</sup> არვინ – ლ. მ-ბ.

<sup>35</sup> ჩემისა – ე. თ., ლ. მ-ბ.

<sup>36</sup> აგოს – ე. თ.

<sup>37</sup> Такайშვილი 1901, 140.



სურ. 5. ახტალის წარწერა.  
გ. გაგოშიძის მიერ 2013 წელს გადაღებული ფოტო

სამნირველოს აგება დიდი მიზეზის გარეშე არ მოხდებოდა. ასეთი მიზეზი კი პეტრე წინამძლვრის პატრონის – ავაგ ათაბაგის გარდაცვალება უნდა იყოს. ამიტომ მგონია, სამნირველოს აგების თარიღის დაზუსტება შეიძლება და ეს უნდა იყოს 1250 წელი.

საინტერესო ჩვენთვის ის არის, რომ ამ წარწერაში წ~ პ~ ყველა გამომცემელს, სრულიად სამართლიანად, გახსნილი აქვს როგორც წ(ი-ნამძლვარი) პ(ეტრ)ე. პეტრე რომ ნამდვილად ახტალის წინამძლვარი იყო, ამას ადასტურებს ერთი ქვაჯვარის სომხური წარწერა ახტალის რეგიონის სოფელ აივორიდან:

Ի թվիս ՈՂԴ (694) կանգնեցաւ սուրբ տերունականս յարեւշատութիւն  
Աւագին եւ ծինամծդաւրութեան Պետրէի եւ հայրապետութեան  
Համազասպա եւ Թակոր երեց կանգնեցի զիսաչս ի հանգստարանի  
մերոյ զիս եւ զամուսին իմ յաղաւթս յիշեցէք.

694 (1245) წელს აღმართა ეს წმიდა საუფლო მზეგრძელობისათვის ავაგისა, პეტრეს წინამძლვრობისას (სომხური ასოებით – „წინამწლაკრუთეან“) და ჰამაზასპის მამათმთავრობისას. მე, იაკობ ხუ-

ცესმა, აღვმართე ეს ჯვარი განსასვენებელსა ჩემი და ჩემი მეუღლისა. ლოცვაში მოგვიხსენიეთ.<sup>38</sup>

ამრიგად, 1245 წელს ნამდვილად ყოფილა პეტრე ახტალის წინამძღვარი და ცალკე დაქარაგმებულ წ-სთან ერთად ახტალის წარწერაში სხვა-გვარად ვერ წავიკითხავთ, თუ არა ნ(ინამძღუარი) პეტრე. ასევე უცნაურად არის დაქარაგმებული მეექვსე სტრიქონში მ(ამანო) და კვლავ ნ(ინამძღუარნო). ყველა გამომცემელი ამ მეორე შემთხვევაში დაქარაგმებულ წ-ს უკვე სხვაგვარად ხსნის – ნ(მიდანო), რაც ნამდვილად არ არის სწორი. ჯერ ერთი, შეუძლებელია ერთ ტექსტში ერთნაირი დაქარაგმება სხვადასხვანაირად წაიკითხო და მეორეც, კონტექსტი გამორიცხავს წმიდანო-ს წაკითხვას, ვინაიდან წარწერაში ჩამოთვლილია მონასტრის შემადგენლობა: მამანო, წინამძღუარნო და ძმანო.

ამ ცოდნით, თუ გადავალთ ლუვრის წარწერაზე, ანალოგიური ადგილი სხვაგვარად არ წაიკითხება, თუ არა ასე: პ(ეტრ)ე ნ(ინამძღუარისა) გაზრდილმან, რაც მთელ ტექსტს აზრიანსა და გრამატიკულად გამართულს ხდის.

ახტალის წარწერის მეხუთე-მეშვიდე სტრიქონებში წარწერას შემოუნახავს სამლოცველოს მშენებლობისა და მშენებელთა შესახებ მნიშვნელოვანი ცნობა:

„პ(ა)ტრ(ო)ნისა ავ(ა)გ ათ(ა)ბაგისა სამწირვ(ე)ლ(ო)სა, ჩ(ე)მგნით [წინამძღვარ პეტრეს ზ.ა.] ალმ(ე)ნ(ე)ბ(უ)ლსა ... დაუკლ(ე)ბ(ე)ლ(ა)დ ჩ(ემი)თა ჭ(ე)ლითა და ძმისბ(უ)ლისა ჩ(ემ)ისა ლ(ა)რი(ო)ნისითა აგუშ(ე)ნ(ე)ბია.“

პირველი, რაც ლუვრის წარწერასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს, ეს არის ახტალის წინამძღვრის, პეტრეს, ძმისწულის დასახე-

<sup>38</sup> მელიქსეთ-ბეგი 1964, 313. ე. თაყაიშვილს სომხური წარწერის თარგმანი არასრულად და ზოგჯერ არასწორადაც მოაქვს (მელიქსეთ-ბეგი 1964, 142). მაგალითად: თარიღის ამოკითხვისას, გრაფემების მსგავსების გამო, დაშვებულია მცირე შეცდომა: სომხური გრაფემა უ “დ” (4) წაკითხული აქვს როგორც ყ “გ” (3) და თარიღსაც შესაბამისად მცდარს (1244) იღებს (იხ. Վիմაკან თარხები, ეთერა ძოლის მოწყვაბო არაუნადებელ სამართლებრივ სამსახურის მიერ 1913, 89; მელიქსეთ-ბეგი 1964, 312). არასწორად აქვს თარგმნილი არსებობის სახელი „ვი სპასენი“). სწორია ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანი – „დღეგრძელობისათვის“. ჩემი თარგმანი „მზეგრძელობისთვის“ სიტყვასიტყვითია, მაგრამ ქართულისათვის ბუნებრივია.

## ზაზა ალექსიძე

ლეპა და მისი სახელია ილარიონი. გავიხსენოთ, რომ ლუვრის წარწერაში მისი ანონიმი ავტორი პეტრეს თავის ბიძად მოიხსენიებს:

„მეცა ულირსი და ფრიად ცოდვილი, ბიძვა და ღირსისა ჩუენისა პეტრე წინამძღვრისა გაზრდილმან ...“

ცხადია, ლუვრის წარწერაში თუ მისი ავტორის სახელს თავის ადგილას ჩავსვამთ, იგი გაიმართება ისე, როგორც უნდა იწყებოდეს ყველა ეპიგრაფიკული ძეგლი:

„მეცა ულირსი და ფრიად ცოდვილი ილარიონ, ბიძვა და ღირსისა ჩუენისა პეტრე წინამძღვრისა გაზრდილმან ...“

მეორე საკითხი, რასაც ახტალის წარწერა აწესრიგებს ლუვრის წარწერაში, ეს არის ავაგ ათაბაგის სამწირველოს მშენებლობაში მისი უშუალო, ფიზიკური მონაწილეობა. ამით გასაგები ხდება ლუვრის წარწერის ის ადგილი, სადაც წარწერის ავტორი თავის ფიზიკური შრომის შესახებ ბუნდოვნად მსჯელობდა:

„არათუ მოქმედობისა რაღამე შემძლე, არამედ მცირეთა ოფლთა.“

თუ ამ გაუგებარ წინადადებას დავუმატებთ ახტალის წარწერიდან მიღებულ ინფორმაციას, მივიღებთ სრულიად ნათელ აზრს:

„არათუ მოქმედობისა რაღამე შემძლე, არამედ მცირეთა ოფლთა [ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა ალშენებისასა].“

ახტალის წარწერა ლუვრის წარწერის კიდევ ერთ საიდუმლოს ხსნის სრულიად იოლად. მკითხველმა უკვე იცის, რომ ლუვრის წარწერის ავტორი წამკითხველთ შესთხოვდა მოხსენიებას რომელიღაც დღესასწაულზე, მის დაუკონკრეტებლად:

„მეცა ღირს მყავთ ლოცვათა თქუენთა, ქრისტეს მიერ სახიერნო, რომელნიცა დღესასწაულობდეთ დღესასწაულსა ამას.“

ახტალის წარწერამ ცხადყო, რომ ილარიონის ბიძამ, პეტრე წინამძღვარმა, მისი სულის მოსახსენებლად გაიჩინა თორმეტი მოციქულის ხსენების მეორე დღე (14 ივლისი):

„სულისა ჩემისა სალოცველ-საჭირებელად გ(ა)ნვ(ი)ჩინე ათ(ო)რმ(ე) ტთა მ(ო)ც(ი)ქ(ე)ლთა დღ(ე)ს(ა)სწ(აუ)ლის მეორე დღე.“

სწორედ ამ დღეს გულისხმობს პეტრეს ძმისწული ილარიონი, როდესაც ამბობს:

„მეცა ღირს მყავთ ლოცვათა თქუენთა, ქრისტეს მიერ სახიერნო, რომელნიცა დღესასწაულობდეთ დღესასწაულსა ამას.“

ამრიგად, ახტალის წარწერის დახმარებით ჩვენ უკვე შეგვიძლია სრულად და გასაგებად აღვადგინოთ ლუვრის წარწერა:

:ქ: მეცა ულიოს[ი] და ფრ(ია)დ ც(ო)დვილი [ილარიონ]: ბიძხსა და ლირსისა ჩ(უენ)ისა

პ(ეტრ)ე: წ(ინამძღურისა) გაზრდილმ(ა)ნ, არათუ მ(ო)ქმ(ე)დობისა რ(ა) ხსამე შემ(ძ)ლე, ა(რამე)დ

მცირეთა ოფლთა [ავაგ ათაბაგისა სამწირველომსა აღშენებისას], და მეცა [ბიძისა ჩემისა თანა] ლირს მყავთ ლ(ო)ცვათა თქ(უ)ენთა, ქ(რისტე)ს მ(იე)რ

ს(ა)ხ(იე)რნო, რ(ომელ)ნიცა დღეს(ა)სწ(აუ)ლობდეთ დღეს(ასწ(აუ)ლსა ამ(ა)ს, [ათორმეტთა მოციქულთა მეორესა დღესა].

ძალიან კარგი, მაგრამ ლუვრის წარწერამ ხომ ჩვენამდე სრულად მოაღწია და, ფაქტობრივად, თუ არა ვირტუალურად, მასში ვერაფერს ვერ აღადგენ. ამ წარწერის გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე წარწერას ერთად წაიკითხავ, ან, უფრო ზუსტად, ერთმანეთის მიყოლებით: პეტრე წინამძღვრის წარწერას პირდაპირ მიაყოლებ მისი ძმისწულის წარწერას. ამიტომ წერს ილარიონი მეცა-ს ორგან ისე, რომ დარწმუნებულია, მკითხველი გაუგებს, რომ -ც- პეტრე წინამძღვარს გულისმობას. ცალ-ცალკე, თუნდაც ერთი სამლოცველოს სხვადასხვა კედელზე, სხვადასხვა ადგილას მკითხველი მათ, სპეციალური კვლევის გარეშე, ერთმანეთთან ვერ დააკავშირებს. ამიტომ მე ვაკეთებ, ჩემი აზრით, ერთადერთ შესაძლო დასკვნას:

ეს ორი წარწერა (ლუვრის და ახტალის) წმ. გიორგის სამწირველოს კედელზე მოთავსებული იყო ერთმანეთის გვერდზე – ჯერ პეტრეს წარწერა, ბალავრის თავზე, და შემდეგ ილარიონისა მის გასწვრივ; არ არის აუცილებელი სწორად, ლარში გამოყვანილად, არამედ როგორც მოირგებდა მოპირკეთება. კედელი ამისთვის საკმარისია. მისი სიგანე დაახლოებით 5 მ-ია, ხოლო წარწერებისა ერთად 2,11 მ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პეტრეს წარწერა აშკარად კედელზეა გაკეთებული, მოპირკეთებისას. ამას გვიჩვენებს დამწერის მიერ სხვა ფილების გათვალისწინება და წარწერის გადასვლა ბალავრის რეალის ქვებზე. ალბათ ასევე გაკეთდებოდა ილარიონის წარწერა, მაგრამ ის ორჯერ პატარა იყო და თავისუფლად დაეტეოდა ერთ, საშუალო ზომის, ფილაზე.

დაბილოს, პალეოგრაფია. წარწერების იდენტურობა ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს: ერთნაირია დაქარაგმების წესები (მაგალითად, სრულიად უნიკალური წ~), გრაფემათა შენიაღება და ლიგატურები (მაგალითად, და). აბსოლუტურად ერთნაირად არის დაწერილი წარწერათა

დასაწყისში „მეცა ულიორსი“ და „მე ულიორსი“, შესიტყვება წ~: პ~ე და პ~ე: წ~. მცირე განსხვავებას იძლევა დ-ონის დაწერილობა: პეტრეს წარწერაში თუ გვაქვს, როგორც წესი, მსხლისებური მუცელი, ილარიონთან რამდენ-განმე დ-ონის მუცელი წარწერის მუცელია. სამაგიეროდ, სრულიად იდენტუ-რია იმავე დ-ონის თავსახური – დაყირავებული რკალი.

ერთი სიტყვით, მე მგონია, რომ წარწერები შესრულებულია ერთი სიტატის მიერ თუ არა, ერთდღოულად მაინც. რადგან წინამძღვარი პე-ტრე და მისი ძმისწული ილარიონი სამლოცველოს თავისი ხელით აშენებ-დნენ, მოსალოდნელია, რომ თავ-თავისი წარწერებიც თვითონ გააკეთეს. ამასთანავე, ილარიონი ხომ წინამძღვარ პეტრეს არა მარტო ძმისწული, არამედ მისი აღზრდილიც იყო და ქართულ წერას (ქვაზე კვეთასაც) მი-სგან ისწავლიდა. ამიტომ არის, რომ პრინციპულად ერთმანეთის მსგავსი წარწერები მცირეოდენად მაინც განსხვავდება პალეოგრაფიულად.

მაგრამ, როდის გაქრა წმ. გიორგის სამლოცველოს კედლიდან ილა-რიონის წარწერა? 1872 წლის წინ და ახლოს, როდესაც ახტალაში ალ. ერიცოვი მუშაობდა, წარწერა უკვე აღარ იყო ადგილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მის მონახაზსაც დაამზადებდა პეტრე წინამძღვრის წარწერასთან ერთად და წასაკითხად გადასცემდა ე. თაყაიშვილს. თავის მხრივ, არც ე. თაყაიშვილს უნახავს ეს წარწერა, რადგან მას არსად არ იხსენიებს. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ სულ გვიან, 1872 წლიდან, ილარიონის წარწერა უკვე აღარ იყო ადგილზე და, შესაძლოა, ლუვრში ინახებოდა.

ილარიონის (ლუვრის) წარწერას აშკარად ეტყობა, რომ ის ჩამოვარდ-ნილია კედლიდან და ორ ადგილას გადატეხილია – ერთგან უფრო სე-რიოზულად, მეორეგან – ნაკლებ. იყო თუ არა ე. თაყაიშვილის დროს სამლოცველოს მოპირკეთება დაზიანებული, მხოლოდ შეგვიძლია ვარაუ-დი გამოვთქვათ, რადგან ნაგებობის იმდროინდელი ფოტო არა ჩანს. ე. თაყაიშვილი კი აღნიშნავს, სამლოცველო კარგად არის შემონახულიო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობს იგი კარგად შემონახულობაში. ხომ დაჭირდა სამლოცველოს XX საუკუნის მეორე ნახევარში მთლიანად ახლიდან მოპირკეთება!

6. კობალაძის მიერ გამოქვეყნებული ფოტო, რომელიც აშკარად უფრო ძველია, ვიდრე ქ. ასათიანისა და გ. გაგოშიძის მიერ გადაღებული ფოტოები (2012-2013 წწ.), აშკარად აჩვენებს, რომ იგი გადაღებულია მოპირკეთებისას ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებამდე: მასზე წარწერასა და მის გვერდით ფილებს შორის დიდი ღრიჭოა დაფიქსირე-



**სურ. 6.** 6. კობალაძის მიერ გამოქვეყნებული ფოტო

ბული. ეს ფოტო და პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ფოტო წარწერის ზუსტად ერთსა და იმავე მდგომარეობას ასახავს: ორივე მათგანზე ჯერ კიდევ არ არის დაფიქსირებული დიდი ამონატები წარწერის ქვედა სტრიქონზე ზუსტად მის შუაში (სურ. 6).

ქ. ასათიანისა და გ. გაგოშიძის ფოტოებზე კი ქვის ფილები ერთ-მანეთთან უკვე მჭიდროდ არის მიტანილი. არ ვიცი, მოსაპირკეთებელი სამუშაოების დროს არის ამოტებილი წარწერის რამდენიმე ადგილი, თუ ეს მერეა გაჩენილი რაღაც მიზეზით. ყოველ შემთხვევაში, პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ყველაზე დიდი ამონატები არ არის ასახული.

### ბიბლიოგრაფია

#### References

- ალექსიძე 2000:** ალექსიძე ზ. 2000, ლუვრი, სინას მთა, ნაზარეთი, მონუმენტური ერთეული, ეძღვნება ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნას, თბილისი
- ალექსიძე 2011:** ალექსიძე ზ. 2011, ქრისტიანული კავკასია, 2, თბილისი
- გაბიძაშვილი, გოუნაშვილი, დოლაქიძე, ნინუა 1975:** დიდი სკელისკანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძა-შვილმა, ე. გოუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი

**თაყაიშვილი 2014:** თაყაიშვილი ე. 2014, ახტალის ქართული წარნერები, წიგნში: დავიცვათ ქართული ეკლესიები, თბილისი

**მელიქეთ-ბეგი 1964:** მელიქეთ-ბეგი ლ. 1964, ოორუე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108

**მუსხელიშვილი 1939:** ვაჟანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფილისი

**ქსე 1977:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, თბილისი

**შანიძე 1971:** შანიძე ა. 1971, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბილისი

**Монастырь Ахтала 1871:** Монастырь Ахтала, Кавказская старина, 1872, 1

**Такайшвили 1901:** Такайшвили Е. 1901, Грузинские надписи Ахталы, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX

**Մուրադյան 1977:** Մուրադյան Պ. 1977, Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները, Երևան

**Պետերքուրգ, 1913:** Պետերքուրգ Ս. 1913, Վիմական տարեգիր ցուցակ ժողովածոյ արձանագրութեանց հայոց (այսուհետև՝ ... տարեգիր), կազմեաց Կ. Կոստանեանց

### Zaza Alexidze

#### Louvre – Akhtala

The Louvre Museum has preserved a stone with a Georgian inscription. I was given an opportunity to read this inscription. The reading was complicated not only due to odd abbreviations and ligatures, but also due to a strange content of the text. There is no reference to the author of the inscription, of a person who requests his commemoration or to the feast mentioned in the text; instead a certain Petre, the author's uncle, is mentioned but for an unknown reason. The author speaks of some heavy sweating but it is equally unknown what he means. The text uses abbreviations that are unknown to Georgian inscriptions or to the Georgian corpus in general.

Recently, at the National Archives of Georgia a photograph was discovered with a copy of an inscription from the Church of St George of the Akhtala

monastic complex, executed in the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> cc by A. Eritsov. The inscription was studied by E. Taqaishvili, L. Melikset-Beg and P. Muradian. The present article provides a critical study of the inscription with the readings of other scholars provided in the footnotes. My reading of the text is as follows:

*I, the unworthy and wretched abbot Petre, was deemed worthy of constructing this chapel for the holy apostles, for their glory and for the glory of the first patrons and nurturers, as a prayer to our God and as a prayer and commemoration of my own soul; and I have established [commemoration] on the second day of the feast of the twelve apostles. Whoever is their out of my family, may they remember me according to their power and celebrate a service for me, and commemorate me in your prayers and if God pays me for my sins and if no man is left of my family, then you, the lovers and imitators of Christ, abbots and all brethren, whoever is appointed at the Chapel of Avag Atabagi that has been built by me, and prays for the first patrons, may he also commemorate my soul. We have built [this chapel] with perfection through my hand and my nephew Ilarion and no one can blame me of not commemorating [someone]. And if someone, either born in my family, or me keen, enters here, or changes anything, he will avert from the Christian faith and he will answer to God for my sins.*

As demonstrated by the Akhtala inscription, the Louvre inscription entirely depends on it. They must have been placed next to each other on top of the entrance of St George's chapel in Akhtala, so that the visitor could have easily understood the context of the Louvre inscription. Illegible pieces could be restored in the following way:

*And I too, the unworthy and sinful [Ilarion] nurtured by our uncle and abbot Petre, not due to my own skills but rather through sweating was I deemed worthy of erecting [the chapel of Avag Atabagi]. Deem me worthy of your prayers together with my uncle, you, the merciful in Christ, who celebrate this feast [the day after the feast of the Twelve Apostles].*

The article argues that the chapel and inscription of Avag Atabagi (Mxargrdzeli) must be dated to 1250.

## ვასილ კაჭარავა

### რონალდ რეიგანის იდეოლოგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე

2006 წელს თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრმა ჩაატარა რონალდ რეიგანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციაზე, ერთი შეხედვით, პარადოქსული ვთარება შეიქმნა. ამერიკელები მკაცრად აკრიტიკებდნენ რეიგანს, ქართველები კი, პირიქით, თავგამოდებით იცავდნენ მას. მათგან ასეთ პატივისცემას, ალბათ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ინატრებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერს დამსახურება უნდა.

ქართველთა კეთილგანწყობა რეიგანის მიმართ შეიძლება ორი მიზიარი აიხსნას. ალბათ, პირველი, ეს იყო უდიდესი სიმპათიები რეიგანისადმი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის დასაწყისში და, მეორე, ქართველები ნაკლებად იცნობდნენ რეიგანის საშინაო პოლიტიკას და, თანაც, მის საგარეო საქმიანობასთან შედარებით, ნაკლებად ალელვებდათ მისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფითი მხარეები. ამ სტატიაში სწორედ პირველი მიზიარის განხილვას ვაპირებთ, უფრო სწორად, ამ ხანგრძლივი და მასშტაბური პროცესის ერთ-ერთი კომპონენტის შესახებ ვისაუბრებთ.

რეიგანის მკვეთრად ანტისაბჭოთა განწყობილებები მისი პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან იყო ცნობილი და როგორც კი პრეზიდენტი გახდა, მაშინვე დაიწყო საბჭოთა კავშირის მიმართ კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება და შექლებისდაგვარად სწრაფი გატარება ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ თავის საინაუგურაციო გამოსვლაში მან პირდაპირ განაცხადა, რომ აქტიურად დაუპირისპირდებოდა თავისუფლების მტრებს და რომ ამერიკელი ხალხის მთავარი სწრაფვა მშვიდობაა. „ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ამისთვის, მსხვერპლს გავიღებთ ამისთვის და არ დავნებდებით ამ ბრძოლაში არც ახლა და არც არასდროს“. მან ხაზგასმით მიუთითა ყველას, რომ ამერიკა ყველაფერს გააკეთებდა საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Boyer 1990, 33.

ამ მიზნების განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი, ამერიკის სამხედრო და პოლიტიკური ძლევამოსილების აღდგენასთან ერთად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური შეტევის წამოწყება იყო, რაც 1982 წლის პრეზიდენტის კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში აღნიშნა კიდეც – „ჩვენი საგარეო პოლიტიკა არის ძლიერების, სამართლიანობის და ბალანსის პოლიტიკა“. რეიგანმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ ამერიკის სამხედრო ძლიერების და მისდამი ნდობის აღდგენის შემდეგ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა და მშვიდობისა და პროგრესისთვის რეალური ბრძოლის გაგრძელება. ისიც განაცხადა, რომ ამერიკა გააგრძელებდა ბრძოლას პოლონეთში არსებული სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა კავშირი უმაგრებდა ზურგს და მთელ მსოფლიოს უნდა ენახა, რომ ასეთ ვითარებაში ამერიკა აღარ გააგრძელებდა ურთიერთობას ზენოლის ძალებთან ისე, თითქოს არაფერი ხდებოდა და საქმიანი ურთიერთობები „როგორც ჩვეულებრივ“ აღარ გაგრძელდებოდა. მან ჩერჩილის სიტყვებიც გაიხსენა, რომ საბჭოელები მხოლოდ ძალას სცემდენ პატივს და მხოლოდ მის საფუძველზე წყვეტდნენ თავიანთ პრობლემებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას – „ამიტომ ჩვენ ვაპირებთ ჩვენი ეროვნული თავდაცვის გაძლიერებას. ჩვენ ვაპირებთ მშვიდობის დაცვას და ასევე თავისუფლებასაც დავიცავთ“.<sup>2</sup>

როგორც ამერიკელი მკვლევარი პიტერ შვეიცერი თვლიდა, ძალზე ცოტა პრეზიდენტი, ხოლო მშვიდობიან წლებში არც ერთი, არ უთმობდა ეროვნულ უსაფრთხოებას ისეთ დიდ დროს, როგორც რეიგანი.<sup>3</sup> ხოლო, ამერიკული დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტი, რობერტ შულცინგერი დათბობის, განმუხტვის პერიოდად ცნობილ 1969-1976 წლებს „ცივი ომის არდადეგებად“ მიჩნევდა,<sup>4</sup> რომელიც 1980 წელს რეიგანმა დაასრულა. ამ წელს შულცინგერი ცივი ომისკენ დაბრუნების თარიღად ნათლაცა.<sup>5</sup>

თუმცა, ე.წ. დათბობის თუ განმუხტვის დასასრულის დასაწყისი, ალბათ, ჯერ კიდევ ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის ბოლო წელს დაემთხვა,

<sup>2</sup> Reagan 1982a.

<sup>3</sup> Schweizer 2002, 143.

<sup>4</sup> Schulzinger 2002, 289.

<sup>5</sup> იქვე, 331.

რაც, მნიშვნელოვანნილად, 1979 წლის 29 დეკემბერს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შექრამ განაპირობა. მას მოჰყვა 1980 წლის იანვარში კარტერის მიერ (Salt II - The Strategic Arms Limitation Talks) სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მოღაპარაკებების ხელშეკრულების სენატიდან გამოთხოვა, მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი, ემბარგო ამერიკული ხორბლის და ტექნოლოგიების საბჭოთა კავშირში გატანაზე. კარტერმა პირობა დადო, რომ მომავალი ხუთი წლის მანძილზე ყოველ წელს 5 პროცენტით გაზრდიდა სამხედრო ხარჯებს. ბრძანება გაიცა ახალგაზრდა მამაკაცთა სავარაუდო სამხედრო რეგისტრაციისთვის. ის, რაც კარტერის დოქტრინის სახელითაა ცნობილი, გულისხმობდა, რომ აშშ დაცავდა ამერიკის ეროვნულ ინტერესებს, თუ საბჭოთა კავშირი დაემუქრებოდა ნავთობის საბადოებს სპარსეთის ყურეში.<sup>6</sup>

მაგრამ ეს ტენდენცია ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ პრიორიტეტად რეიგანის ხელში იქცა. როგორც კონდოლიზა რაისი აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაწერილ სტატიაში, რეიგანს და მის ძირითადად მრჩევლებს მტკიცედ სწამდათ, რომ დათბობის პოლიტიკით სწორედ საბჭოთა კავშირმა ისარგებლა და ამერიკის თანამშრომლობის სურვილისა და მცდელობის სანაცვლოდ მას არაფერი დაუთმია.<sup>7</sup>

ამიტომაც რეიგანის გუნდს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადიკალურად შეცვალა ამერიკის ბოლო 15 წლის საგარეო პოლიტიკა. მას უნდოდა, რომ ამერიკა კვლავ უპირობო ლიდერი გამხდარიყო, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ანტისაბჭოთა ბრძოლაში.<sup>8</sup>

უკვე პრეზიდენტის რანგში, საბჭოთა კავშირზე ახალი იდეოლოგიური შეტევის დაწყებისას, ერთ-ერთ პირველივე პრესკონფერენციაზე, 1981 წლის 3 მარტს, რეიგანმა განაცხადა, რომ კრემლის ძირითადი მიზანი „მსოფლიო რევოლუციის ხელშეწყობა და ერთიანი მსოფლიო სოციალისტური თუ კომუნისტური სახელმწიფოს შექმნაა. ერთადერთი მორალი, რომელსაც ისინი ცნობენ, ის არის, რაც ხელს შეუწყობს მათი მიზნების განხორციელებას. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ისინი უფლე-

<sup>6</sup> იქვე, 332.

<sup>7</sup> Rice 1990, 73.

<sup>8</sup> Schulzinger 2002, 333.

ბას იტოვებენ, ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინონ, მოიტყუონ და ითალ-ლითონ ამ მიზნის მისაღწევად“.<sup>9</sup>

ასე კომუნიზმის შესახებ ცივი ომის პირველი დღეების შემდეგ არც ერთ ამერიკელ პრეზიდენტს არ ულაპარაკავა. რეიგანს უნდოდა ცივი ომის კლიმატის შეცვლა და არა ფუჭი საუბარი.<sup>10</sup> შვეიცერის აზრით, ცივი ომის დროს ამერიკელი პრეზიდენტები ძირითადად მხოლოდ რეაგირების პოლიტიკას ატარებდნენ საბჭოთა ზონდაჟისა და პროვოკაციების საპასუხოდ. რეიგანს კი უნდოდა ნაკლებად ყოფილიყო ორიენტირებული რეაქციაზე და ყოფილიყო უფრო აგრესიული, გამოეტაცა ინიციატივა მოსკოვის ხელიდან.<sup>11</sup>

ამას მოჰყვა ამერიკელ მფრინავთა გახშირებული ფრენები საბჭოთა ტერიტორიის და ბაზების სიახლოვეს, სხვადასხვა ტიპის პატარ-პატარა პროვოკაციული ნაბიჯები საბჭოთა სამხედრო გემების მახლობლად და, რაც მთავარია, ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები. 1981 წლის აგვისტო-სექტემბერში აშშ-ის, ბრიტანეთის, კანადისა და ნორვეგიის 83 გემისაგან შემდგარი საზღვაო არმადის მანევრები ჩატარდა. 1983 წლის აპრილსა და მაისში აშშ-მა გრანდიოზული საზღვაო მანევრები ჩატარა წყნარ ოკეანეში.<sup>12</sup> ამ ოპერაციებმა, რომლებიც ე.ნ. ფინერლოგიური ოპერაციის (PSYOP – US Psychological Warfare Operations) ნაწილი იყო, თავისი შედეგი გამოიღო, ბუნებრივია, რეიგანის განცხადებებთან და სხვადასხვა პოლიტიკურ ნაბიჯებთან ერთად. 1983 წლის მარტში კი ამერიკელი სამხედროები კუნძულ გრენადაზე შეიჭრნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, იური ანდროპოვმა, საბჭოთა კავშირის ელჩს ამერიკაში, დოპრინისა, უთხრა, რომ „რეიგანი სრულიად არაპროგნოზირებადია, მისგან ყველა-ფერს შეიძლება ელოდე“.<sup>13</sup>

და მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანის რიტორიკამ საკმაოდ დააშინა საბჭოთა ლიდერები, რომლებიც, ამავე დროს, ფართოდ აშუქებ-

<sup>9</sup> Schweizer 2002, 131.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე, 132.

<sup>12</sup> Fischer 1997a, 8.

<sup>13</sup> Schweizer 2002, 133.

დღენ მათ მიერ დანახულ საფრთხეს. საბჭოთა მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც დაჯერეს, რომ ამერიკას შეეძლო წყალბადის ომის დაწყება.

ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო მასალაა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი ანალიტიკოსის, ბობ ფიშერის, ნაშრომში. მისი მონაცემებით, 1981 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა 1980-იანი წლების პოლიტიკური განვითარების კომპიუტერული მოდელირება გააკეთა, მათ შორის, ცივი ომის განვითარების პერსპექტივაშიც. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირის გავლენის დაქვეითება და, პირიქით, ამერიკის გაძლიერება იყო მოსალოდნელი. რაც მთავარია, რეალობაც ამას ადასტურებდა. ეს შეფასება ძირეულად განსხვავდებოდა 1970-იანი წლების ოპტიმისტური სურათისგან, როდესაც საბჭოთა კავშირი დარწმუნებული იყო, რომ მასთან შეთანხმების გარეშე პლანეტაზე არაფერი მოხდებოდა.<sup>14</sup>

თავის მხრივ, რეიგანი გაოგნებული იყო იმ მოსაზრებით, რომ ამერიკას შეეძლო წყალბადის ომის დაწყება და ვერ წარმოედგინა, რომ ამერიკისთვის ვინმეს შეეძლო ომის დაწყების სურვილის დაბრალება. 1982 წელს უურნალისტებს მან განუცხადა: „მე არ წარმომიდგენია დასავლეთში ვინმე, ვინც თუნდაც ერთი წუთით დაიჯერებს ამას“. იმავეს იმეორებდა თავდაცვის მინისტრი კასპარ უაინბერგერი: „მათ (საბჭოელებმა) მშვენივრად იციან, რომ ჩვენ არასოდეს განვახორციელებთ პირველ დარტყმას. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლიათ მათ ამის დაჯერება“. სახელმწიფო მდივნის, შულცის, აზრითაც, „ასეთი ვარაუდი წარმოუდგენელია, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის“.<sup>15</sup> უფრო მეტიც, ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა აშკარა უპირატესობა ჰქონდა შეიარაღებაში და სწორედ ამერიკა იყო დაუცველი.<sup>16</sup> თუმცა, ცნობილია, რომ პოლიტიკოსების განცხადებებს, დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, საკმაო სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

ამერიკის მთავრობაში ორი მოსაზრება იყო საბჭოეთთან დამოკიდებულების მიმართ. პირველ ჯგუფს ე.ნ. ჰარდლაინერები ანუ მკაცრი კურსის მომხრეები განეკუთვნებოდნენ და მათ შორის იყვნენ თავდაცვის

<sup>14</sup> Fischer 1997b, 3.

<sup>15</sup> იქვე, 21.

<sup>16</sup> იქვე, 21.

მინისტრი უაინბერგერი, თეთრი სახლის აპარატის უფროსი ედ მიზი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი უილიამ კეისი. ისინი საბჭოთა კავშირს, პირველ რიგში, იდეოლოგიურ მტრად მიიჩნევდნენ, რომ ნებისმიერი დათმობა საბჭოთა კავშირისადმი დასავლეთის დასუსტებას ნიშნავდა. მეორე ჯგუფი შედარებით უფრო რბილი, პრაგმატული პოლიტიკის მომხრეებისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი (მას ეს დაუფარავად აქვს ასახული თავის მემუარებში)<sup>17</sup> და პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში მაკფარლეინი. ვიცე პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც უფრო მათკენ იხრებოდა.<sup>18</sup>

რეიგანი ძალზე რელიგიური ადამიანი იყო და კომუნიზმის, ალბათ, მთავარ დანაშაულად, მის „ულმერთობას“ ანუ ღმერთის არსებობის უარყოფას და აგრესიულ ათეიზმს მიიჩნევდა. 1980 წელს რეიგანი უყვებოდა რეპორტიორს, რომ, კომუნისტების აზრით, ადამიანი დაბადებიდანვე სახელმწიფოს ინტერესებისთვის ჩნდება და მისი ერთადერთი დანიშნულება სახელმწიფოსადმი სამსახურია და რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს და ადამიანები უბრალოდ ბუნებრივი პროცესების შედეგი არიან. შესაბამისად, ისინი არ სცემენ პატივს ადამიანის სიცოცხლესა და ლირსებას. კომუნისტურმა პარტიამ ღმერთი კარლ მარქსით შეცვალა.

რეიგანის მსგავს ადამიანებს მიაჩნდათ, რომ რწმენა სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო. რეიგანი ხშირად იხსენებდა, რომ 1960-იან წლებში ერთმა კაცმა უთხრა, რომ მას ორი ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც ყველაზე უფრო უყვარდა – „მაგრამ მე მირჩევნია, რომ ისინი დღესვე დაიხოცონ და სწამდეთ ღმერთი, ვიდრე კომუნიზმის გარემოში გაიზარდონ და ერთ დღეს ისე მოკვდნენ, რომ ღმერთის არ სწამდეთ“.<sup>19</sup>

რეიგანი თვლიდა, რომ დასავლური ცივილიზაციის კრიზისი იმ დონით განისაზღვრება, თუ რამდენად ინდიფერენტულია საზოგადოება რწმენის მიმართ.

1981 წლის 17 მაისს ნოტრ დამის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან ამერიკელთა სიდიადე და ღმერთისადმი რწმენა კომუნისტურ ტოტალი-

<sup>17</sup> Shultz 1993.

<sup>18</sup> Fischer 1997a, 83.

<sup>19</sup> Schweizer 2002,136.

ტარიზმსა და უღმერთოობას შეადარა და ახალგაზრდებს დაპირდა, რომ „ჩვენს ქვეყანას წინ თავისუფლებისა და ცივილიზაციის გავრცელების დიადი წლები ელის. დასავლეთი კი არ შეაკავებს კომუნიზმს, იგი გადააბიჯებს მას. იგი არ შეინუხებს თავს მისი დათხოვნით ანდა გაკიცხვით, იგი უბრალოდ მოიცილებს მას, როგორც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უცნაურ თავს, რომლის უკანასკნელი გვერდები უკვე ახლა იწერება.<sup>20</sup>

იდეოლოგიური შეტევა საბჭოეთზე რეიგანის თითქმის ყველა საგარეო ნაბიჯში გამოიხატა. განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, საპროგრამო გამოსვლა ჰქონდა პრიტანულ პარლამენტში 1982 წელს, სადაც მან ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად გეგმებზე ისაუბრა. მისთვის ჩვეული იუმორი ამ მეტად სერიოზულ გამოსვლაშიც არ დავიწყებია და ტოტალიტარიზმის დახასიათებისას გაიხსენა ხუმრობა, რომ საბჭოთა კავშირში ოპოზიციური პარტია რომ გაჩერილიყო, იგი მაინც ერთპარტიულ სისტემად დარჩებოდა, ვინაიდან ყველა იმ ოპოზიციურ პარტიაში გადავიდოდა. კომუნისტების აგრესიულობის დახასიათებისას აღნიშნა, რომ საბჭოეთს იმდენი ხანი რომ ჰქონოდა მონოპოლია ატომურ იარაღზე, როგორც ეს ამერიკას ჰქონდა, ევროპის რუკა სულ სხვანაირი იქნებოდა. იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე სწორედ მარქსისტული სამყარო იყო უდიდეს კრიზისში, საბჭოთა კავშირი კი ისტორიის განვითარების საპირისპიროდ მოძრაობდა, უარყოფდა რა საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებასა და ლირსებას. ისიც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი განახევრდა 1950-იან წლებთან შედარებით. თავისუფალი სამყაროს ეკონომიკური უპირატესობის მაგალითად მოჰყავდა განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის და მალაიზიასა და ვიეტნამს შორის. ისიც დასძინა, რომ მილიონობით ლტოლვილი სწორედ კომუნისტური ქვეყნებიდან გარბოდა და არა პირიქით. თავისებური იუმორით კვლავ დაამატა, რომ აღნიშნულ პერიოდში არა მარტო ნატო იცავდა თავს აღმოსავლეთისგან, არამედ საბჭოთა ძალებიც სწორედ აღმოსავლეთიდან იგერიებდნენ საკუთარი ხალხის მცდელობას, გაქცეულიყვნენ სამშობლოდან.

<sup>20</sup> Reagan 1981.

რეიგანმა გააკრიტიკა მოსაზრება, რომ დემოკრატიულ განვითარებას ხელი უნდა შეეწყოს მხოლოდ მემარჯვენე დიქტატურის ქვეყნებში და არა კომუნისტურ რეჟიმებში. აქედან ის გამომდინარეობდა, რომ თუ ქვეყანა წყალბადის იარაღს ფლობდა, მას შეუძლო შეუფერხებლად განეხორციელებინა ტერორი საკუთარ მოსახლეობაზე. საბოლოოდ რეიგანმა აღნიშნა, რომ მისი გრძელვადიანი გეგმა და იმდედი თავისუფლებისა და დემოკრატიის მარში იყო, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს, ისევე როგორც სხვა ტირანიებს, ისტორიის სანაგვეზე დატოვებდა. უსაფრთხოების ზრდის მიმართულებით მან აღნიშნა, რომ საშუალო რადიუსის რაკეტებზე ე.წ. ნულოვანი ინიციატივისა და სტრატეგიული ბალესტიკური რაკეტების ქობინების ერთი მესამედით შემცირების წინადადების განხილვასთან ერთად, კვლავ უნდა გაგრძელებულიყო ძალისხმევა ნატოს გასაძლიერებლად. მან უინსტონ ჩერჩილის სიტყვების პერიფრაზირებაც გააკეთა რკინის ფარდის თაობაზე, რომ ბალტიისპირეთის შტეტინიდან შავი ზღვის ვარნამდე ტოტალიტარული რეჟიმები 30 წელია თავის კანონიერებას აფუძნებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერ გარისკა თავისუფალი არჩევნების ჩატარება. რეჟიმებს, რომლებიც ხიშტების ძალაზე იყვნენ დაფუძნებული, ფესვები არ გააჩნდათ, ასკვნიდა იგი.<sup>21</sup>

როგორც რეიგანის ერთ-ერთი ბიოგრაფი, მისი ყოფილი სპეციალური თანამემწე და მისი დიდი თაყვანისმცემელი პეგი ნუნანი წერდა: „ეს იყო მშვენიერი მომენტი დასავლეთის ისტორიაში, ჭეშმარიტად ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი წინა საუკუნეში. მთელი გამოსვლა გამოხატავდა სიმამაცესა და სიმართლეს. ... ეს იყო დასავლური დემოკრატიების ხანგრძლივი მუხლმოდრეკილი თავდაცვიდან თავაწეული მართლისმთელი სტილისკენ მასობრივი შემობრუნების ნიშანი, რომელიც მთებს გადაატრიალებდა“.<sup>22</sup>

უფრო მეტიც, იგი თვლიდა, რომ რეიგანმა „შეწყვიტა ტყუილის თქმა და, მართალი სიტყვების მეშვეობით, მსოფლიოს უმახინჯესი დიქტატურის დაცემა დაიწყო“.<sup>23</sup>

ქალბატონი ნუნანი იმდენად აღმერთებს რეიგანს, რომ აშკარად აზვიადებს მის მიღწევებს, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვალი მის სიტყვებში

<sup>21</sup> Reagan 1982b.

<sup>22</sup> Noonan 2002, 209.

<sup>23</sup> იქვე, 214.

ნამდვილად არის და, ალბათ, რეიგანის ეს გამოსვლა მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მის საერთაშორისო პოლიტიკაში.

ბრიტანეთის პარლამენტში ბევრი ფრთხილობდა და არ ეთანხმებოდა რეიგანის ასეთ რადიკალურ პოზიციას, თუმცა, იმავე საღამოს, მის საპატიოცემულოდ მოწყობილ მიღებაზე მარგარეტ ტეტჩერმა სადღეგრძელო ასწია – „თავისუფლება შეტევაზე უნდა გადავიდეს და იქ უნდა იყოს, სადაც მას ეგების“.<sup>24</sup>

რეიგანის შემდგომი გამოსვლა გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე საბჭოთა საფრთხესთან დაკავშირებულ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს შეეხო. მან ნატოს ჯარების გაძლიერებაზე ისაუბრა და დაიქადნა, რომ ძალიან ცდებოდა ის, ვინც ფიქრობდა, რომ ამერიკა თავის მოკავშირეებს მიატოვებდა – „ჩვენ გერმანიის გვერდით ვდგავართ ... ევროპის ნაპირები – ეს ჩვენი ნაპირებია, ევროპის საზღვრები – ეს ჩვენი საზღვრებია“.

რეიგანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ევროპაში საბჭოთა სამხედრო ძალების რაოდენობა მკვეთრად აღემატებოდა კანონიერი თავდაცვის საჭიროებას და შეტევის ნამდვილ საფრთხეს შეიცავდა.<sup>25</sup>

გერმანულ პარლამენტში ბევრი უარყოფითად აფასებდა, მათი აზრით, რეიგანის მეტად რისკიან პოლიტიკას. როცა რეიგანმა გამოსვლა დაიწყო, ერთმა დეპუტატმა ხმამაღლა მიაძახა – ელ სალვადორზე რას იტყვითო, რეიგანმა რომ არ უპასუხა, მეორედ გაიმეორა იგივე. ამაზე რეიგანმა ლიმილით იკითხა: „ნუთუ აქ ექოა?“ დარბაზმა ეს სიცილით და აპლოდისმენტებით მიიღო და მან გააგრძელა სიტყვა. ბონიდან რეიგანი ბერლინში გადაფრინდა და ბერლინის კედელთანაც მივიდა, სადაც ერთმა უურნალისტმა ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა იგი ამ კედლის შესახებ? „ის ისეთივე მახინჯია, როგორც მის უკან მყოფი იდეები“, უპასუხა რეიგანმა.<sup>26</sup>

ალბათ, რეიგანის ანტიკომუნისტური როტორიკის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს მისი გამოსვლა 1983 წლის 8 მარტს ამერიკის ეროვნული ევანგელისტური ასოციაციის წევრების წინაშე. საკუთარი ღრმა რელიგიური გრძნობებიდან გამომდინარე, მან ბევრი ისაუბრა ამერიკის ქრისტიანულ-უიდეველურ ტრადიციასა და საბჭოთა კავშირის ათეისტურ

<sup>24</sup> Schweizer 2002, 185.

<sup>25</sup> Reagan 1982c.

<sup>26</sup> Schweizer 2002, 183.

და ტოტალიტარულ იდეოლოგიას შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებზე. ისიც დასძინა, რომ „კომუნისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენ არასოდეს ვულალატებთ ჩვენს პრინციპებსა და სტანდარტებს, არასოდეს დავთმობთ ჩვენს თავისუფლებას. არასოდეს მივატოვებთ ღმერთის რწმენას“.

მან მოუწოდა აუდიტორიას, ელოცა მათ გადასარჩენად, ვინც ტოტალიტარულ უკუნეთში ცხოვრობდა, ელოცა, რათა მათაც განეცადათ ღმერთთან ზიარების სიხარული. „მაგრამ სანამ ისინი ამას გააკეთებენ, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ისეთი სახელმწიფოს სიდიადეს აღიარებენ, რომელიც ქადაგებს თავის უპირატესობას პიროვნებაზე და წინასწარმეტყველებს თავის უპირატესობას მსოფლიოს ყველა ხალხებზე და შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ბოროტების კონცენტრირებულ განსახიერებას მსოფლიოში“.<sup>27</sup>

დიქტატორულ რეჟიმებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ „თუ ისტორია რაიმეს გვასწავლის, ეს ისაა, რომ აგრესორის დაშოშმინება ან სასურველის რეალობად აღქმა სისულელეა. ეს ჩვენი სულიერების ღალატია და ჩვენი თავისუფლების უგულებელყოფა“<sup>28</sup>. იგი აუდიტორიას მოუწოდებდა, „არ დაევიწყებინა ისტორიული ფაქტები და ბოროტების იმპერიის აგრესიული ქმედებანი“...

რეიგანის ამ გამოსვლას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა. კინოფილმ „ვარსკლავური ომებიდან“ ამოღებულმა ფრაზამ „ბოროტების იმპერიის“ შესახებ თითქოს ყველაფერს წერტილი დაუსვა და სისხლიანი ისტორიის რეჟიმს ყველასთვის გასაგებ ენაზე მართლაც ის სახელი მიანიჭა, რომელსაც იგი იმსახურებდა. ეს ჭეშმარიტად ხატოვანი გამოთქმა აღმოჩნდა და და თითქმის მთელ მსოფლიოს მოედო.

ჯერ არც ერთ ამერიკელ პრეზიდენტს ასე მკაცრად არ გაუკრიტიკებია კომუნისტური სისტემა. საბჭოთა კავშირზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ამერიკაშიც კი, ლიბერალების ნაწილი შეშფოთებული იყო. მაგალითად, დიდი ამერიკელი ისტორიკოსი ჰენრი სტილ კომაჯერი აღნიშნავდა, რომ „ეს იყო ყველაზე ცუდი საპრეზიდენტო სიტყვა ამერიკის ისტორიაში, მე კი ყველა მათგანი კარგად ვიცი“. <sup>28</sup> ცნობილი ლიბერალუ-

<sup>27</sup> Reagan 1983a.

<sup>28</sup> Hayard 2009, 288.

რო ჟურნალი „ნიუ რეპაბლიკი“ კი წერდა, რომ ამ გამოსვლამ „მტრებიც და მოყვარეებიც დაარნმუნა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი სალვოო ომს ამზადებდა“. „ნიუ-იორქ თაიმსი“ კი წერდა, რომ გამოსვლა საშინელი და პრიმიტიული იყო.<sup>29</sup>

დასავლეთ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიტი თვლიდა, რომ რეიგანმა წყალში გადაყარა საბჭოთან მოთმინებით აღსავსე დიპლომატიის 20 წლის შედეგები. ამაზე რეიგანმა უპასუხა: „რა მოგვცა ამ ოცი წლის მოთმინების დიპლომატია? მივიღეთ საბჭოთა კავშირის ექსპანსია და მის მიერ ხალხის დამონების პოლიტიკის შემდგომი გაგრძელება. ამან ჩვენ იმდენად დაუცველად დაგვტოვა, რომ ვერაფერი გავაკეთეთ როდესაც საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა.. დიდი ვერაფერი მიღწევებია“.<sup>30</sup>

მაგრამ რეიგანის მაღალფარდოვანი რიტორიკა შეიძლება კვლავ სიტყვებად დარჩენილიყო, რომ არა მის მიერ 1983 წლის 23 მარტს განცხადებული თავდაცვის სტრატეგიული ინიციატივა (Strategic Defense Initiative), რომელმაც ყოველივეს, მათ შორის, ბოროტების იმპერიასაც, თავისი ადგილი მიუჩინა და რეიგანის სიტყვებს ჭეშმარიტი ფასი შესძინა.

ეს იყო სამეცნიერო კვლევითი და გამოსაცდელი კონსტრუქტორული სამუშაოების გრძელვადიანი გეგმა, რომელსაც, საბოლოო ჯამში, პრინციპულად ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა უნდა შეექმნა. ამ სისტემის უდიდესი ნაწილი კოსმოსში უნდა განლაგებულიყო და თავისებური ქოლგა უნდა შეექმნა, რომელიც დაფარავდა ამერიკას და კოსმოსშივე გაანადგურებდა მისკენ წამოსულ ყველა ბალესტიკურ რაკეტას. ამ მიზნით უნდა გამოეყენებინათ სხივობრივ, ელექტრომაგნიტურ, კინეტიკურ და ზემაღლსიხშირულ საფუძველზე შექმნილი ახალი ტიპის იარაღი და ტრადიციული სარაკეტო იარაღის „დედამიწა – კოსმოსი“ და „ჰაერი – კოსმოს“ ახალი თაობის რაკეტებიც.

აღნერდა და ასაბუთებდა რა ამ სისტემის მოქმედების არეალს, რეიგანი იმასაც აყოლებდა, რომ იგი, საბოლოო ჯამში, „წყალბადის იარაღს ძლევამოსილებას ჩამოართმევდა და მას მოძველებულად და არასაჭიროდ აქცევდა“.

<sup>29</sup> Lewis 1983.

<sup>30</sup> Hayard 2009, 288.

გამოსვლის დასასრულს მან განაცხადა – „მე ვბრძანებ საყოველ-თაო და გრძელვადიანი ინტენსიური კვლევების დაწყებას და პროგრამის განვითარებას, რომლის უშუალო მიზანი სტრატეგიული წყალბადის რა-კეტების საშიშროების აღმოფხვრაა. ამას შეიძლება ამ სახის შეირაღების გაუქმებაც კი მოჰყვეს. ჩვენ არ ვეძებთ არც სამხედრო უპირატესობას და არც პოლიტიკურ მოგებას. ჩვენი ერთადერთი მიზანია, რომელსაც ყველა ადამიანი იზიარებს, წყალბადის ომის საფრთხის საშიშროების შემცირების გზების მოძიება. ჩემო თანამემამულებო, ამ საღამოს ჩვენ ვიწყებთ მოქ-მედებას, რომელიც კაცობრიობის ისტორიის შეცვლის შესაძლებლობას შექმნის. იქნება რისკები და შედეგებს დრო დასტირდება, მაგრამ მე მნამს, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება“.<sup>31</sup>

ორი დღის შემდეგ რეიგანმა გამოსცა დირექტივა ეროვნული უსა-ფრთხოების სფეროში № 85, რომელიც სტრატეგიული თავდაცვის ინი-ციატივის (სთი) ადმინისტრირებასა და დაფინანსებას განსაზღვრავდა. ამ იდეამ ამერიკელებში უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია, ვინაიდან 1957 წელს საბჭოთა თანამებუროს კოსმოსურ ორბიტაზე გაშვების შემდეგ დაკარგული უსაფრთხოების გარანტიის აღორძინების პერსპექ-ტივა გააჩინა.

სწორედ ამავე მიზეზით, საბჭოთა მთავრობა ამ ინიციატივას არა-თუ ნეგატიურად, არამედ ლამის ისტერიულად შეხვდა. რეიგანის გა-მოსვლიდან ოთხი დღის შემდეგ გამძვინვარებულმა იური ანდროპოვმა განაცხადა, რომ ამერიკა საბჭოთა კავშირზე პირველი დარტყმისთვის ემზადებოდა და რეიგანი ახალ გეგმებს აყალიბებდა წყალბადის ომში გასამარჯვებლად.<sup>32</sup>

ამერიკული დაზვერვის ექსპერტის, ბენ ფიშერის, აზრით, ანდრო-პოვის ეს განცხადება უპრეცედენტო იყო, ვინაიდან არღვევდა ძველ ტა-ბუს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მასმედიაში არ ახსენებდნენ ამე-რიკული წყალბადის არსენალის ფაქტობრივ მონაცემებს. 1953 წლის შემდეგ საბჭოთა ლიდერი პირველად აცნობდა საბჭოთა მოსახლეობას, რომ ქვეყანა წყალბადის იარაღით განადგურების უშუალო საშიშროების წინაშე იდგა.<sup>33</sup>

<sup>31</sup> Reagan 1983a.

<sup>32</sup> Fischer 2002, 17.

<sup>33</sup> იქვე.

ფაქტებიდან გამომდინარე, ვაშინგტონმა დაინახა, რომ საბჭო-ეთს ეშინოდა **სთი-ის**. საბჭოთა ლიდერები ხვდებოდნენ, რომ ეს ინიციატივა არღვევდა ასეთი ძალისხმევით ჩამოყალიბებულ ბიპოლარულ თანასწორობასა და სტაბილურობას. საბჭოთა ლიდერების აზრით, ეს პროგრამა შეარყევდა მსოფლიოში არსებულ სტრატეგიული სტაბილურობის საფუძვლებს.

რეიგანი კი დარწმუნებული იყო, რომ ეს პარიტეტული ძალთა ბალანსი ადრე თუ გვიან სისხლიანი კონფლიქტით დაირღვეოდა. ჯერ კიდევ 1980 წელს ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ შეიძლება ის თაობა ვიყოთ, რომელიც არმაგედონს იხილავს“.<sup>34</sup>

როგორც რეიგანის ერთ-ერთი ბიოგრაფი და ცნობილი უურნალისტი ლუ ქენონი წერდა, „რეიგანს უნდოდა მსოფლიო წყალბადის იარაღის გარეშე, მსოფლიო კედლებისა და რკინის ფარდების გარეშე. ამ ასპექტში იგი იმ ეპოქის კაცი იყო“.<sup>35</sup>

ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა 1983 წლის 1 სექტემბერს სახალინზე საბჭოთა ავიაციის მიერ სამხრეთკორეული სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებამ, რის შედეგადაც 269 უდანაშაულო მგზავრი დაიღუპა. 5 სექტემბერს რეიგანმა მკაფრად დაგმო ეს ფაქტი და მას კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული უწოდა, რომელსაც არასოდეს დაივიწყებდნენ.<sup>36</sup> როგორც ამერიკელმა მკვლევარმა, ჯონ მაკლაუგლინმა, აღნიშნა თავის სტატიაში, რეიგანმა არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბა ამ მიმართულებით. ამავე დროს, მან ამერიკის რადიკალი კონსერვატორებისგან შემოთავაზებული საბჭოთა კავშირის მიმართ განსაკუთრებით აგრესიული და რადიკალური ინიციატივებიც დააშოშმინა.<sup>37</sup>

1984 წლის 11 აგვისტოს რეიგანის, შეიძლება ითქვას, უკბილო ხუმრობა კარგად აღწერს არსებულ ვითარებას. ამერიკელებისადმი ტრადიციული შაბათის მიმართვის წინ, მიკროფონების შემოწმების მიზნით,

<sup>34</sup> Cannon 2000, 248.

<sup>35</sup> იქვე, 241.

<sup>36</sup> Reagan 1983b.

<sup>37</sup> Laughlin 1983, 53.

მას სთხოვეს, რაიმე ფრაზა ეთქვა. რეიგანმაც არ დააყოვნა და განაცხადა – „ძვირფასო თანამამემამულენო, მინდა გახაროთ, რომ დღეს ხელი მოვაწერე დადგენილებას რუსეთის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ სამუდამოდ და უკუნიდან უკუნისამდე. დაბომბვა დაიწყება ხუთი წუთის შემდეგ“. ეს ხუმრობა ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის და მას საბჭოთა კავშირის ალბათ სრულიად სამართლიანი მკვეთრი განცხადებაც მოჰყვა.

ამერიკელი მკვლევრები, სტივენ პუკი და ჯონ სპენიერი, სავსებით მართებულად ახასიათებენ რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის პოლიტიკას როგორც რეიგანის რიტორიკულ, ორატორულ შეტევას საბჭოთა კავშირზე. თუმცა იმასაც დასძნენ, რომ ეს ორატორული შეტევა არასოდეს გადაზრდილა რეალურ შეტაკებაში ან რეალურ კრიზისში. მიუხედავად მართოს რეპუტაციისა, პრეზიდენტს, როცა საჭირო იყო, არც სიფრთხილე აკლდაო.<sup>38</sup>

ჯერ კიდევ 1981 წლის 24 აპრილს რეიგანმა პირადად, საკუთარი ხელით მისწერა ლეონიდ ბრეუნევს პირადი შეხვედრის სურვილის შესახებ. ვითარებას საბჭოთა ლიდერების სწრაფი ცვლაც ართულებდა. სულ რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალნენ ბრეუნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო. როგორც რეიგანი იგონებდა, მას მუდამ უნდოდა საბჭოეთთან დიალოგი, მაგრამ მისი ლიდერები ზედიზედ იხოცებოდნენ.<sup>39</sup> რეიგანის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდიგარი, ჯორჯ შულცი, იმასაც იხსენებს, თუ როგორ შეხვდა რეიგანი მისი ხელშეწყობით საბჭოთა ელჩ ანატოლი დობრინის 1983 წლის 14 თებერვალს და ორ საათზე მეტსანს საკმაოდ თბილად ესაუბრა მას. შულცმა ისიც აღნიშნა, თუ როგორ არ მოეწონა ეს შეხვედრა მკაცრი პოლიტიკის მომხრე გარემოცვას, მათ შორის პრეზიდენტის მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში, ბილ კლარქს.<sup>40</sup> სხვათა შორის, ე.წ. ჰარდლაინერებისგან განსხვავებით, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საბჭოელებს მარტო ძალის ენა ესმოდათ, შულცი მათ უფრო პოზიტურად აფასებდა და თვლიდა, რომ „თუმც ისინი მკაცრი, ხისტი მომლაპარაკებლები არიან, მაგრამ მათთან შეიძლებოდა წარმატებული მო-

<sup>38</sup> Hook and Spanier 2007, 165 .

<sup>39</sup> Schweizer 2002, 221.

<sup>40</sup> Shultz 1993, 164-165.

ლაპარაკებების წარმოება,... შეთანხმების მიღწევა და ისინი შეთანხმებას შეასრულებდნენ“.<sup>41</sup>

ჰუკისა და სპენიერის აზრით, რეიგანმა ამერიკა-საბჭოეთის ურთიერთობაში ორი ახალი მახასიათებელი შემოტანა: უძლიერესი ანტიკომუნისტური ინსტინქტები და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის უდიდესი უნარი.<sup>42</sup> თითქოს ეს ამერიკას არც მანამდე აკლდა, თუნდაც ტრუმენის დროს, და არც სხვა პრეზიდენტები განიცდიდნენ ანტიკომუნიზმის ნაკლებობას, მაგრამ რეიგანმა ეს ორი ელემენტი იმდენად გააძლიერა, რომ ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა.

რეიგანი რომ არა მარტო სიტყვის, არამედ საქმის კაციც იყო, საბჭოთა ლიდერები ჯერ კიდევ 1981 წლის აგვისტოში, საავიაციო დისპეტჩერთა გაფიცვის დროს დარწმუნდნენ. აյ რეიგანმა ნამდვილად მტკიცე ხასიათი და პრინციპულობა გამოავლინა და სამსახურში აღარ დააბრუნა ის დისპეტჩერები, რომელთაც მის მიერ დათქმულ ვადაში არ განაახლეს თავისი საქმიანობა. როგორც პეგი ნუნანი აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წმინდა საშინაო პოლიტიკის საქმე იყო, რეიგანის მტკიცე მოქმედება ამ კრიზისულ ვითარებაში მთელმა მსოფლიომ კარგად დაინახა. მომავალში ამან გავლენა იქონია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე. „ეს ჯერ კიდევ რეიგანმაც არ იცოდა. მან მხოლოდ ის გააკეთა, რაც სწორად მიაჩნდა“.<sup>43</sup>

რეიგანზე შეყვარებული ნუნანისგან განსხვავებით, მისმა კრიტიკო-სებმა – კერძოდ კი „ვაშინგტონ პოსტის“ უურნალისტმა, ჰეინს ჯონსონმა, დაწერა, რომ სიმტკიცე კი სასურველი თვისებაა პრეზიდენტისთვის, მაგრამ ოპონენტის დამარცხების დაუცხრომელი სურვილი შეიძლება სასიფათო იყოს საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ძალისა და დიპლომატიის მეტად დელიკატურ და პროფესიულ კომბინაციას მოითხოვს.<sup>44</sup>

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში რეიგანმა აქტიურად ჩართო პარვარდის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის სპეციალისტი, რიჩარდ პაიპსი, რომელიც

<sup>41</sup> იქვე, 119.

<sup>42</sup> Hook and Spanier 2007, 165.

<sup>43</sup> Noonan 2002, 221.

<sup>44</sup> Hayard 2009, 174.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში მიიწვია სამუშაოდ. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მან 43-გვერდიანი დოკუმენტი მოამზადა, რომელიც თანხვდენაში მოდიოდა რეიგანის 20 წლის წინ შემუშავებულ და 1980-იან წლებამდე არსებულ მოსაზრებებთან.

პაიპსი ამერიკის მთავრობას სთავაზობდა თავდაცვითი პოლიტიკითან აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლას და აუცილებელად მიაჩნდა არა მარტო სამხედრო წარმოების ზრდა საბჭოთა ეკონომიკის დასუსტებისთვის, არამედ საბჭოთა კავშირისადმი დასავლური ტექნოლოგიების მიწოდების და, საერთოდ, საბჭოთა ეკონომიკის ნებისმიერი სუბსიდირების შემცირება.

გარდა ეკონომიკურისა, პაიპსი სთავაზობდა იდეოლოგიური ბრძოლის გააქტიურებასაც, რათა ყველა დაერწმუნებიათ თავისუფალი სამყაროს უპირატესობაში, აგრეთვე იმის ჩვენებას, რომ საბჭოთა ხალხსაც ჰქონდა დემოკრატიულად ცხოვრების უფლება. ამისთვის, სხვასთან ერთად, პაიპსი მოუწოდებდა ამ ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ელემენტების მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელებას.<sup>45</sup> შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად რეიგანი სწორედ პაიპსის მიერ 1982 წლის დეკემბერს შექმნილი დოკუმენტის მიხედვით მოქმედებდა. ცნობილი მეცნიერისა და პრეზიდენტის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად მიღებული დოკუმენტი, NSSDD 11-82, იქცა „რეიგანის ომის“ ძირითად გეგმად.

საბოლოოდ, ალბათ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რეიგანის ე.წ. ორატორულმა იდეოლოგიურმა შეტევამ მართლაც მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1980-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში:

1. როგორც თავად ამერიკაში, ასევე საერთოდ დანარჩენი თავისუფალი სამყაროს ქვეყნებში, გაიზარდა რწმენა ამერიკის ლიდერებისადმი. თუმცა, მრავალ ადამიანში რეიგანის ხისტმა რიტორიკამ შიშის გრძნობაც გამოიწვია – დაძაბულობა ორ სამყაროს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაზრდილიყო.

2. დიდი გავლენა მოახდინა ამ მოქმედებამ ე.წ. საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე, სადაც პროტესტის გრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ ისე-დაც დიდი იყო. რეიგანის შეტევამ გარკვეული იმედები გაუღვიძა მათ.

<sup>45</sup> Schweizer 2002, 159.

ეს რეიგანის პოლონეთის მიმართ განხორციელებულმა პოლიტიკამაც განაპირობა.

3. როგორც ვნახეთ, რეიგანის ქმედებებმა გარკვეული შიში თავად საბჭოთა ელიტაშიც გამოიწვია და იგი მძიმე დილემის წინაშე დააყენა.

4. რეიგანმა გარკვეული ოპტიმიზმი და იმედები გააღვივა აგრეთვე საბჭოთა დისიდენტების წრეში, რომელიც, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იკრებდა ძალას.

5. ამავე დროს, განსაკუთრებით კი კორეის თვითმფრინავთან დაკავშირებული ინცენდენტის შემდეგ, რეიგანმა მართლაც წამყვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შექმნაში და მას არა მარტო ამერიკის, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის ნეგატიური მუხტიც დაუმატა.

6. მიუხედავად ასეთი რადიკალური და აგრესიული რიტორიკისა, რეიგანს საკმაო საღი გონება და სიფრთხილეც აღმოაჩნდა, რომ კრიტიკულ ზღვარს არ გასცდენოდა და საბჭოეთთან ურთიერთობა უმართავ პროცესებში არ გადაზრდილიყო.

7. რეიგანმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ გავლენიან კომუნისტურ იდეოლოგიას. მართალია, ზოგჯერ მისი გამოსვლები საკმაოდ მარტივად უღებდა, მის სიტყვებში იმდენი სიმართლე და დამაჯერებლობა იყო, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა მათზე, ვინც ყოყინოდა, ან ვისაც კომუნისტების უშინოდა. რეიგანის რიტორიკა რეალური ქმედებებით იყო გამაგრებეული რაც ყველაზე კარგად სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაში გამოიხატა. ამ პოლიტიკის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოცდილი პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისგან შემდგარმა მრჩეველთა ჯგუფმაც.

8. გარკვეულნილად, ამერიკის ასეთმა შემტევმა პოლიტიკამ საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აიძულა, ახალი ლიდერის ძიებისას უფრო ახალგაზრდა, მოქნილი და ნაკლებად ორთოდოქსული კომუნისტი წამოეყენებინა ქვეყნის მეთაურად. ბუნებრივია, საბჭოთა ხელმძღვანელობის ასეთ მოქმედებაში თავად საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დაუძლურების ფენომენმაც უდიდესი როლი შეასრულა.

ალბათ, ისტორიული პროცესის უაღრესი გამარტივება იქნებოდა, რეიგანის იდეოლოგიური შეტევით აგვესნა ყოველივე ის, რამაც მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში რეიგანისა და გორბაჩოვის მოლაპარაკებები განაპირობა. მცირე სტატიაში ყველა ამ წინაპირობის ჩამოთვლაც

რონალდ რეიგანის იდეოლოგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე

კი ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ ალბათ, ისიც ფაქტია, რომ განხილული მოვლენების გარეშეც სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა იმ მიზნების მიღწევა, რამაც საბოლოოდ ცივი ომი დასასრულა.

### ბიბლიოგრაფია

#### References

- Lewis 1983:** Onward Christian Soldiers, *New York Times*, March 10, 1983
- Boyer 1990:** Boyer P. S. (ed.), 1990, *Reagan as President: Contemporary Views of the Man, His Politics, and His Policies*, Chicago
- Fischer 1997a:** Fischer Beth A. 1997, *The Reagan Reversal: Foreign Policy and the End of the Cold War*, Colombia , Missourry
- Fischer 1997b:** Fischer B. B. 1997, *A Cold War Conundrum: The 1983 Soviet War Scare, Intelligence Monograph*, Central Intelligence Agency
- Hayard 2009:** Hayard S. F. 2009, *The Age of Reagan, The Conservative Counterrevolution 1980-1989* , New York
- Noonan 2002:** Noonan P. 2002, *When Character was King, A Story of Ronald Reagan*, New York
- Reagan 1981:** Address at Commencement Exercises at the University of Notre Dame, May 17, 1981, <http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/1981/51781a.htm>
- Reagan 1982a:** Reagan Ronald 1982, Address Before a Joint Session of the Congress Reporting on the State of the Union ,January 26, 1982. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, *The American Presidency Project*. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=42687>
- Reagan 1982b:** Address to Members of the British Parliament, June 8, 1982 <http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/1982/60882a.htm>
- Reagan 1982c:** Address Before the Bundestag in Bonn, Federal Republic of Germany June 9, 1982 <http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/major.html>
- Reagan 1983a:** *Reagan's Star Wars Speech*, March 23, 1983. <http://www.onlineuniversity.net/history/reagans-star-wars-speech/>
- Reagan 1983b:** Address to the Nation on the Soviet Attack on a Korean

*Civilian Airliner* September 5, 1983 <http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/1983/90583a.htm>

**Rice 1990:** Rice Condoleezza 1990, *US – Soviet Relations*, In Larry Berman (ed.), *Looking Back on the Reagan Presidency*, Baltimore, London

**Schweizer 2002:** Schweizer P. 2002, *Reagan's War*, Doubleday, New York, London

**Schulzinger 2002:** Schulzinger R. D. 2002, *US Diplomacy Since 1900*, New York, Oxford

**Shultz 1993:** Shultz G. P. 1993, *Turmoil and Triumph, Diplomacy , Power, and the Victory of the American Ideal* , New York

### Vasil Kacharava

#### The Ideological Attack of Ronald Reagan on Soviet Union

This paper is an attempt to describe certain elements of the ideological attack of Ronald Reagan on Soviet Union, and the results of this attack

Reagan and his advisers were absolutely sure that it was USSR which used Detente for its advantage and that it was just one way street and that the USSR had not relinquished any of its political ambitions. Accordingly, they decided to change the American foreign policy fundamentally for the preceding 15 years and restore America's glorious leadership in anti-Soviet battle.

Reagan wanted to change the climate of the Cold War, and turn it into something more important than simple talk. During the Cold War, American presidents mainly just reacted to the Soviet provocations. Reagan wanted to change it and to be aggressive himself, depriving Moscow of the initiative.

As a highly religious man, Reagan believed that the principal crime of the Soviets was atheism, that they were ungodly people. He was sure that the crisis of Western society could be assessed by the level of society's indifference to the religion.

Ideological attack on Soviet Union was expressed in Reagan's almost every step in Foreign policy. Especially, in his program speeches in European Parliaments during his European tour in 1982.

The most important speech was held in British parliament, where he talked about main plans of American foreign policy. He made the next speech

in Germany, where he expressed his solidarity and support to Germany and talked about necessity of stronger NATO. One of the most impressive speeches was the famous one, the so called, *Evil Empire Speech* on March 8, 1983. These simple words from the famous movie became very popular synonym for the USSR

But certainly, plain words, no matter how impressive, could not have been enough. One of the main elements in the struggle against the USSR was Reagan's Strategic Defense Initiative which supposedly could defend America from Soviet missiles. This project became also known as a *Star Wars* initiative. Reagan was confident himself, and was assuring other people as well, that this system would make nuclear weapons useless. Americans liked this proposal extremely, as a renewed guarantee for their security. For this particular reason, the Soviets hated the idea and their attitude was almost hysterical. Due to the certain symptoms Americans discovered that the Soviets were seriously scared of the system. It became clear for the Soviet leaders that they were losing nuclear balance and stability.

In his anti-Soviet struggle Reagan actively involved a well known professor of Russian and Soviet History Richard Pipes, who in several months prepared important document about the relations with the Soviets coinciding in many ways with Reagan's ideas.

We can finally draw a conclusion that Reagan's ideological attack played truly important role in international politics:

1. In America, as well as other countries of Free World, the trust in American leadership grew considerably. At the same time many people were intimidated by Reagan's tough rhetoric, - fearing that the situation between the two superpowers could transform into a real military conflict

2. This policy affected the so called Soviet Block countries, which already had quite negative attitude to the USSR. Reagan's activity stirred their hopes. To certain extent it was a result of Reagan's policy toward Poland.

3. As it seemed Reagan's activity, in some way, scared even Soviet leaders and raised serious questions for them.

4. Reagan raised the hopes and optimism in the circle of Soviet dissidents as well, which was becoming more and more strong.

5. After the incident with Korean airplane, Reagan played a key role in spreading anti-Soviet feelings all around the world

6. In spite of similar aggressive rhetoric, Reagan had enough common sense not to cross the critical line in relations with Soviets and not to erase uncontrolled processes.

7. Reagan seriously damaged the Soviet ideology which still was quite influential. Though, sometimes his words sounded too simple, they were so full of truth, that they had an enormous effect on many people who still had any doubts, or were scared of communists. At the same time, his rhetoric was supported by real actions like NDI. The role of his scientific advisers was enormous in the success of his policy.

აღმოსავლეთმცოდნეობა



## გოჩა ჯაფარიძე

### ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი (1468-1496) და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში<sup>1</sup>

ალ-აშრაფ საიფ ად-დინ კა'ით ბაი ეგვიპტის ბურჯელ (ჩერქეზ) მამლუქთა მე-18 სულტანია (1468-1496).<sup>2</sup> ეთნიკურად ჩერქეზი, 20 წელზე მეტი ხნისა, უკვე შესანიშნავი მოისარი და მხედარი, მონად იქნა გაყიდული. მონათვაჭრმა ის კაიროში ჩაიყვანა, სადაც შეიძინა სულტანმა ბარსბაიმ (1422-1438), მონობიდან გაათავისუფლა და სასახლის გვარდიაში ჩარიცხა სულტანმა ჯაჟმაკმა (1438-1453); შემდეგ გახდა აღმასრულებელი მდივნის (დავადარ) თანაშემწე (დავადარ ას-საღირ) და ათისთავი სულტანინალის (1453-1461) დროს; სულტანმა ხუშკადამბა (1461-1467) ის დააწინაურა ათასისთავად (მუკადდამ ალფ). 1468 წ. სულტანმა თიმურ-ბულამ კა'ით ბაი დანიშნა მამლუქთა არმიის სარდლად – ათაბაგად. თიმურ-ბულა, ორთვიანი მმართველობის შემდეგ, 1468 წლის 30 იანვარს ტახტიდან ჩამოაგდეს და, სასახლის კარის სხვადასხვა ფრაქციასთან კომპრომისული შეთანხმებით, 31 იანვარს სულტნად იქნა არჩეული კა'ით ბაი.

კა'ით ბაის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. კა'ით ბაიმ მიაღწია შიდაპოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას. ის ინარჩუნებდა კონტროლს მამლუქთა სხვადასხვა დაჯგუფებაზე და ეგვიპტის ბედუინთა ტომებზე. მაშინ როცა მისი ბევრი წინამორბედი დაბრკოლებებს უქმნიდა იტალიელ ვაჭრებს ეგვიპტეში, სულტანმა მათ მისცა ახალი პრივილეგიები და არ უცდია დაემყარებინა მონოპოლია სანელებლებით ვაჭრობაზე. ამავე დროს, კა'ით ბაიმ მიიღო ზომები ადგილობრივი ვაჭრების ინტერესების დასაცავად. ეგვიპტეში ისევ დაიწყო აღმავლობა და კაირო კვლავ ლამაზი ქალაქი გახდა. კა'ით ბაის, რომელიც დარწმუნებული იყო თავის მყარ პოზიციებში, შეეძლო ხანგრძლივად და უშიშრად დაეტოვე-

<sup>1</sup> პუბლიკაცია განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი – FR/54/1-10/13).

<sup>2</sup> Sobbernheim, Ashtor 1979, 462-463; Petry 1979, 13-20, 42-44, 44-49, 51-53, 55-57; Petry 1993; Petry 1991, 101-111; Garsin 1998, 295-297; Зеленев 1999, 150.

ბინა დედაქალაქი და ჩაეტარებინა ინსპექცია ალექსანდრიაში, სირიისა და პალესტინის ქალაქებში.

კა'ით ბაი ისტორიაში შევიდა როგორც დაუცხრომელი მშენებელი გზების, ხიდების, მეჩეთების, სუფიური სავანების, სკოლების და ციხე-სიმაგრეებისა, არა მარტო ეგვიპტეში, არამედ სასულტნოს სხვა ნაწილებშიც: სირიაში, იერუსალიმსა და მექაში. მათგან ერთ-ერთი მთავარი ღირშესანიშნაობა იყო მძლავრი ფორტი ალექსანდრიის აღმოსავლეთ ნაწილში, დანგრეული ფაროსის შუქურის ადგილზე, ნავსადგურის დასაცავად. მან ასევე გაამაგრა სხვა ნავსადგურებიც და ებრძოდა მეკობრებს ხმელთაშუა ზღვაზე.

კა'ით ბაი ანარმოებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას და დაუპირისპირდა აღმავლობის გზაზე მდგარ ოსმალეთის იმპერიას. ორ სახელმწიფოს შორის იყო ბუფერული ზონა, რომელიც ეკავა კარამანიანთა, აკ კოიუნლუს, რამადანიანთა და ზუ ლ-კადრიანთა თურქმენულ სამფლობელოებს. ისინი მორიგეობით სარგებლობდნენ მამლუქთა და განსაკუთრებით, ოსმალთა მხარდაჭერით, რაც განაპირობებდა მამლუქებთან მათ სამხედრო დაპირისპირებას. 1485 წ. დაიწყო ოსმალეთის პირდაპირი აგრესია მამლუქთა წინააღმდეგ სასაზღვრო ზოლში – კილიკიაში, რაც 1486, 1488 და 1490 წლებში დასრულდა მამლუქთა ბრწყინვალე გამარჯვებით. საბოლოოდ, 1491 წ. ოსმალეთსა და მამლუქთა სასულტნოს შორის დაიდო ეგვიპტისთვის ხელსაყრელი ზავი, ოსმალებმა უარი თქვეს კილიკიასა და ალბისტანზე, რამაც გაზარდა კა'ით ბაის პრესტიჟი როგორც მამლუქთა სასულტნოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.<sup>3</sup>

კა'ით ბაის ზეობის ბოლო წლებში ეგვიპტეს მძიმე დარტყმა მიაყენა 1492 წ. დაწყებულმა შავმა ჭირმა, რომელსაც დიდძალი ეგვიპტელი და განსაკუთრებით, მამლუქი შეენირა. დაიწყო სხვა გართულებებიც. კა'ით ბეის სამხედრო აქტივობა ნოქავდა მის ფინანსურ რესურსებს. ის დიდი თანხებს უხდიდა საომარი ოპერაციებიდან უკან დაბრუნებულ ჯარებსაც. როცა სულტნის ხაზინა ცარიელდებოდა, კა'ით ბაი იძულებით შენირულობებს (მუსადარა) აკისრებდა თავის ქვეშვრდომებს – მდიდარ მოქალაქეებს, ვაჭრებს და არამუსლიმურ თემებს, აწესებდა გადასახადებს ვაჭრობის სხვადასხვა სფეროზე და უძრავი ქონების საკუთრებაზე. ეს ზომები სრულიადაც არ უწყობდა ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

<sup>3</sup> Perty 1993, 88-103.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

საერთო ჯამში, მიუხედავად მმართველობის უკანასკნელი წლების სიძნელეებისა, კა'ით ბაის მმართველობა განიხილება როგორც „ბედ-ნიერი კულმინაცია“ ბურჯელ მამლუქთა დინასტიისა. ეს იყო პე-რიოდი შეუდარებელი პოლიტიკური სტაბილურობისა და აყვავებისა. თანამედროვებს აღტაცებაში მოჰყავდა კა'ით ბეი, როგორც მამლუქთა ტრადიციული ღირებულებების დამცველი.<sup>4</sup>

**კა'ით ბაი და საქართველო.** სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია ტრიალებს ინფორმაცია ეგვიპტეში სულტან კა'ით ბაისთან მეფე კონსტანტინე II-ის კარის მოძღვარის, კირ ნილოსის, ელჩობის შესახებ. ის მომდინარეობს 1495 წლის 10 მარტით დათარიღებული ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი კონსტანტინე II-ის მიერ გაგზავნილი წერილიდან.<sup>5</sup> მკვლევართა აზრით, კირ ნილოსის ელჩობა მოხდა „1492 წ. შემდგომ –1496 წლამდე“ (ი. ჯავახიშვილი),<sup>6</sup> 1493–94 წლებში (ი. ცინცაძე),<sup>7</sup> 1494 წ. (ე. ხინთიძე),<sup>8</sup> 1492–1493 წლებს შორის, 1492 წლის მეორე ნახევარში, ან არაუგვიანეს 1493 წლის გაზაფხულისა (მ. პაპაშვილი).<sup>9</sup>

კაიორში კა'ით ბაის ნილოსი „დიდი სიხარულით მიუღია“<sup>10</sup> კონსტანტინეს წერილში არ ჩანს, რა მიზნით იმყოფებოდა ქართველი ელჩი ეგვიპტეში. ფიქრობენ, რომ ეს დაკავშირებული იყო ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის ცდასთან.<sup>11</sup> მათი მოლაპარაკება „სიტყვიერად მაღალ დონეზე“ ჩატარდა, მაგრამ შედეგი არ მოჰყვა.<sup>12</sup> ეს გასაკვირი არც არის. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ეგვიპტე-ოსმალე-თის მძიმე სამხედრო კონფრონტაციის შემდეგ, 1491 წ. კა'ით ბაი დაუზავდა ოსმალთის სულტანს ხელსაყრელი პირობებით. მაშინ როცა ირ სახელმწიფოს შორის რაიმე დაპირისპირება აღარ შეინიშნებოდა, კა'ით

<sup>4</sup> Garcin 1998, 295.

<sup>5</sup> წერილის გაგზავნის ისტორია, მისი რუსული და ქართული თარგმანების შესახებ იხ. ცინცაძე 1965, 3-10; 81-86; ინგლისური თარგმანი: Khintibidze 1991, 80.

<sup>6</sup> ჯავახიშვილი 1982, 452.

<sup>7</sup> ცინცაძე 1965, 11.

<sup>8</sup> Khintibidze 1991, 79.

<sup>9</sup> პაპაშვილი 2002, 72.

<sup>10</sup> ცინცაძე 1965, 12, 83; Khintibidze 1991, 80.

<sup>11</sup> ცინცაძე 1965, 12-13; Khintibidze 1991, 79; პაპაშვილი 2002, 70, 72.

<sup>12</sup> პაპაშვილი 2002, 70.

ბაისთვის მიუღებელი იქნებოდა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა. 1492 წლიდან კა'ით ბაის საშინაო პრობლემებიც აწუხებდა, თუნდაც საშინელი შავი ჭირი, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. არა მგონია, რომ ამ პირობებში სულტანი მოინდომებდა აერია ოსმალეთთან დალაგებული ურთიერთობა.<sup>13</sup>

კაიროდან კირ ნილოსი იერუსალიმს გაემგზავრა, სადაც შეხვდა ესპანეთის მეფის, ფერდინანდ II-ის, ელჩს და მისგან შეიტყო გრანადის სამიროდან ესპანელთა მიერ არაპების განდევნის შესახებ,<sup>14</sup> რაც მოხდა 1492 წ. 2 იანვარს. ნილოსის მომდევნო დიპლომატიური საქმიანობა წინამდებარე ნაშრომის ინტერესების სფეროში არ შედის.

**კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი.** კა'ით ბაის რელიგიური პოლიტიკა რაიმე განსაკუთრებული ცვლილებებით არ გამოირჩეოდა. ამ შემთხვევაში ჩემთვის მნიშვნელოვანია წმინდა მიწაზე ქართველი ქრისტიანების მდგომარეობა. ისინი აშკარად სარგებლობდნენ ეგვიპტელი სულტნების კეთილგანწყობით, რასაც ხელს უწყობდა ქართველი მეფე-მთავრების ტოლერანტული პოლიტიკა მუსლიმი ქვეშეცრდომებისადმი.

<sup>13</sup> შეიძლება ეს მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ არაბულ წყაროებში არ არის აღნიშნული 1491-1494 წლებში საქართველოდან რაიმე დიპლომატიური მისია ეგვიპტეში.

<sup>14</sup> პაპშვილი 2002,71; ე. მამისთვალიშვილი თავდაპირველად ვარაუდობდა, რომ კირ-ნილოსი ეგვიპტეში 1493-1494 წლებში ანტიოსმალური კავშირის დამყარების მიზნით გაიგზავნა (მამისთვალიშვილი 1981, 96; მამისთვალიშვილი 2009, 94). მან, ისევე როგორც სხვა მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მამლუქებსა და ოსმალებს შორის ამ დროს უკვე ზავი იყო დადებული. ახლახან მამისთვალიშვილმა შეიცვალა თვალსაზრისი: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ეგვიპტის სულთანთან გაგზავნის უმთავრესი მიზანი იერუსალიმში გოლგოთაზე ქართველთა ინტერესების დაცვაში სულთნის მხარდაჭერა იყო“. მკვლევარი იმონებს საკუთარ ნაშრომს (მამისთვალიშვილი 2009, 100-104), სადაც მსგავსი არაფერი წერია. ამასთან ის არ ასახელებს სათანადო ლიტერატურას გოლგოთის თხემის დაყოფის თაობაზეც. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე არცთუ დიდი ხნის წინათ ყურადღება მოკლედ გავამახვილე (იხ. ჯაფარიძე 2011, 109). 1491-1493 წლებში გოლგოთას გარშემო ფრანცისკელებთან დაპირისპირებაში, რასაც იერუსალიმში ჩატარებული შარიათის სასამართლო ოქმები იუწყება, ქართველი მეფის ჩარევა არ ჩანს.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

კა'ით ბაის არცთუ შორეული წინამორბედის – სულტან ინალის დროს იერუსალიმში არსებობდა 7 ქართული სავანე,<sup>15</sup> რომლებიც მოქმედებდნენ კა'ით ბაისა და მომდევნო მამლუქი სულტნების დროსაც. ქართული სამონასტრო თემის პოზიციები იყო მყარი, თუმცა 1491 და 1493 წლებში მას უნდა გოლგოთასთან დაკავშირებით, ცვალებადი წარმატებით, საკუთარი ინტერესების დაცვა კათოლიკე ფრანცისკელებთან დაპირისპირებაში,<sup>16</sup> რომელთაც მხარს უჭერდა კათოლიკური ევროპა. ურთიერთობა არ იყო იოლი იერუსალიმის ადგილობრივ მმართველებთანაც, რომლებიც ცდილობდნენ მის შევიწროებას. მსგავს შემთხვევევებში ქართული სამონასტრო თემის მეთაურები, ტრადიციულად, საჩივრით მიმართავდნენ ხოლმე სულტნებს კაიროში.

სულტნები თავიანთ ბრძანებულებებში მოუწოდებდნენ იერუსალიმის გამგებლებს, არ დაერღვიათ უკვე მყარად დამკვიდრებული ქართველი ქრისტიანების უფლებები. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებია დაცული კა'ით ბაის დროინდელ არაბულ დოკუმენტურ წყაროებშიც, რომლებიც დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში (ქვემოთ იბმსბ).<sup>17</sup>

ამჯერად მე წარმოვადგენ კა'ით ბაის სამ ბრძანებულებას საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან,<sup>18</sup> არაბულ ენაზე – თარგმანითურთ, რომლებიც შედგენილია იმდროინდელი დიპლომატიკური წესების საფუძველზე. კერძოდ, ესენია: ტურრა – სათაური რამდენიმე სტრიქონად (მხოლოდ პირველ დოკუმენტში),<sup>19</sup> ბასმალა (ფორმულა, რომლითაც იწყება ყურანის ყველა სურა, IX-ის გარდა: ბი-სმი-ლლაჰჰი-რ-რაჰმანი-რ-რაჰიმი – „სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისა“), ‘ალამა (სულტნის ხელ-

<sup>15</sup> ეს სავანეები დასახელებულია ინალის 1453 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებაში, იბმსბ, IV, A, 145.1, მე-16 სტრ. ჯაფარიძე 2012, 533.

<sup>16</sup> ჯაფარიძე 2011, 108 და შმდ.

<sup>17</sup> იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული არაბული დოკუმენტების მნიშვნელობა ქართული სამონასტრო თემის ისტორიის შესახებ იხ. ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009, 540-544.

<sup>18</sup> ეს დოკუმენტები მოპოვებულია ქართველი არაბისტის, დიპლომატ გოჩა ბუაჩიძის ძალისხმევით.

<sup>19</sup> იხ. Nielsen 1980, 288-92.

მოწერა, რომელსაც სულტანი სვამდა მთელი დოკუმენტის დასრულების შემდეგ, სტრიქონებს შორის საგანგებოდ დატოვებულ (ცარიელ სივრცეზე) და მისი ტიტული; შესავალი ნაწილის შემდეგ არის ბრძანებულება, რომელშიც შედის პეტიციის შინაარსი, განკარგულება, რომელიც მოითხოვს ბრძანებულების აღსრულებას და საბოლოოდ: გაცემის თარიღი, ფორმულა უფლებამოსილებისა (ჰასაბ აღ-მარსუმ აშ-შარიფ, „თანახმად სამეფო ბრძანებულებისა“), ჰამდალა – ხოტბა აღლაპისა (აღ-ჰამდუ ლი-ლლაპი ვაჰდაპუ, „დიდება აღლაპს ერთსა“), თასლია – ვედრება, რომ აღლაპის კურთხევა იყოს მოციქულზე, მის ოჯახსა და მიმდევრებზე (სალავათუპუ ‘ალა საღდინა მუჰამმად... „მისი (აღლაპის) ლოცვა-კურთხევა იყოს ჩვენს ბატონ მუჰამადზე..“) და ჰასბალა (ფორმულა: ჰასბუნა-ლ-ლაპუ ვა ნი ‘მა აღ-ვაქილ, „საკმარისია ჩვენთვის აღლაპი და ის უმჯობესი მფარველია“) – მხოლოდ ბოლო დოკუმენტში.

•

საპატრიარქოს ბიბლიოთეკის პირველი დოკუმენტი (№VII.B.2.34) გაცემულია 874 წ. 19 შა’ბანს/1470 წ. 21 თებერვალს. ბრძანებულება გვაცნობებს, რომ ჯვრის მონასტრის ბერებმა, რომელთაც ჰქონდათ ვაკეფი (სამონასტრო ქონება) ჯვრისა და კაკულის (არაბ. ქახულ) მონასტრებში, პეტიცია შეიტანეს სულტან კა’ით ბაისთან. ისინი იუნიებოდნენ, რომ წესად ჰქონდათ, აეღოთ ქართველი პილიგრიმებისგან კუმამას, ანუ აღდგომის ტაძრის კართან, შესვლის დროს თითო სულზე 3 ვერცხლი, არაბ. ფიდდა.

დოკუმენტთან მიბმულ ცალკე ფურცელზე სხვადასხვა მინაწერია ქართულ და ბერძნულ ენებზე, რომლებიც არაბულის არმცოდნებს მოკლედ აცნობდა მის შინაარსს. საყურადღებოა სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: „ქ.აღდგომის კარზედა ახლად მოსლ[ვ]ისა ქართველს სა/მი თეთრის მეტი არ ეთხოვობოდეს. ყველათ ი/ცოდეთ, ძმანო“.<sup>20</sup>

საერთოდ, პალესტინის საპორტო ქალაქებში: ზღვით და სახმელეთო გზით მოსული და გასული ქართველი პილიგრიმები არ უხდიდნენ მუსლიმ ხელისუფალთ გადასახადებს (მუჯიბ), ისევე როგორც გზაზე

<sup>20</sup> წაკითხვა დაგვიდასტურა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნებისა და დიპლომატიკის განყოფილების ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა მზია სურგულაძემ.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

ბადრაგს (ხაფარ) და გადასახადს იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში შესვლის დროს.<sup>21</sup> ამავე დროს, ახლა ირკვევა, ისინი უხდიდნენ განსაზღვრულ თანხას, სულზე 3 ვერცხლს/ფიდდა ჯვრის მონასტრის მესვეურებს, ქართული სამონასტრო თემის ხარჯების დასაფარად.

ბრძანებულებაში არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, აღდგომის ტაძრის კარებთან ჯვრის მონასტრის მესვეურების მიერ ქართველ პილიგრიმთა-გან აღნიშნული თანხის აკრეფა სადაცო გამხდარა იერუსალიმის საერო, სასულიერო და სასამართლო ხელისუფლთათვის. სწორედ ამის გამო, ქართველმა ბერებმა შეიტანეს ბეტიცია კა'ით ბაისთან. სულტანმა თავის განკარგულებაში (მე-14-18 სტრიქონები) მოითხოვა, მოქცეოდნენ ქართველ პილიგრიმებს თანახმად წესისა და ქართული სამონასტრო თემის ხელთ არსებული შარიათის დადგენილებებისა, რომელთა იურისდიქცია გრძელდებოდა მუდმივად და ეზრუნათ მათზე.

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რომელ მონეტას შეესაბამება დოკუმენტის არაბულ ტექსტში დასახელებული ვერცხლი/ფიდდა ან ქართული თეთრი.

ფიდდა ეგვიპტეში არ იყო ადგილობრივი არაბული ვერცხლის საფასის სახელწოდება. ვერცხლის მონეტებს, რომლებიც კა'ით ბაის დროს იქრებოდა სხვადასხვა ქალაქის ზარაფხანებში (კაირო, ჰალაბი), ნომინალის დასახელების გარეშე, ენოდებოდა დირჰამი.<sup>22</sup> მისი ფაქტობრივი წონა მნიშვნელოვნად მცირე იყო კანონიკურზე (2.97 გ.) და კა'ით ბაის დროს 1.50-დან – 1.42 გრამამდე დაეცა.<sup>23</sup>

ქართული მინანერის თეთრი ამ შემთხვევაში ასევე ვერცხლის მონეტა. ის ეგვიპტეში საქართველოდან უნდა იყოს შეტანილი, მაგრამ მისი

<sup>21</sup> ყველაზე ადრეული მითითება იმის შესახებ, რომ ქართველები იერუსალიმში შესვლისას, არ იხდიდნენ გადასახადებს, ეკუთვნის აკრას ლათინ ეპისკოპოსს (1217 წ.) უკვ დე ვიტრის. კა'ით ბაის მმართველობის მახლობელ ხააში იხ. სულტან კანსავჭ ალ-დავრის 1506, 1508 და 1513 წწ ბრძანებულებები ამასთან დაკავშირებით: Ernst 1960, 228-231 № LXV (86), 234-236 № XVII (23); Berchem 1922, 378-379, 380-384; ჯაფარიძე 2011, 124-127.

<sup>22</sup> Balog 1964, 350-351.

<sup>23</sup> Mujani 2006, 29-43. იხ. ინტერნეტრესურსი: <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.504.9515&rep=rep1&type=pdf> (პაგინა-ციის გარეშე).

იდენტიფიკაცია რთულია. კა’ით ბაის თანამედროვე ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466-1478) და იმავე წლებში მისი თანამეფე კონსტანტი-ნე II ჭრიდნენ ბილონის მონეტებს<sup>24</sup> და მათ გატანას პალესტინაში აზრი არ ჰქონდა. დაბალი წონის (0.33-0.66 გრ), მაგრამ მაღალი სინჯაღობის ვერცხლის საფასეს ჭრიდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498)<sup>25</sup> და არც ასეთი დაბალი წონის მონეტას გაიტანდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. გამოვთქვამ ფრთხილ ვარაუდს, რომ განსახილველი დოკუმენტის „თეთრი“ შეიძლება იყოს ტრაპიზონის ასპრების ადგილობრივი მინაბაძე-ბი, რომლებიც XV ს-ის ჩათვლით იყო მიმოქცევაში დასავლეთ საქართველოში.<sup>26</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, სახეზეა უნიკალური ცნობა, რომლის მსგავსიც ადრე არ შეგვხვედრია და რომელიც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას პალესტინის ქართული სამონასტრო თემის ცხოვრების შესახებ.



საპატრიარქოს ბიბლიოთეკის მეორე დოკუმენტი (№VII.B.2.29) იუნიება, რომ იერუსალიმის ნა’იბი, ანუ სულტნის ნაცვალი, სახელად ჰასაბ ალლაჰ ‘აბდ ან-ნასირ მუჰამმად იბნ აიუბი მიდიოდა ხოლმე მათთან, მონასტერში, ნებისმიერ დროს, ხან მთვრალი, ხანაც ფხიზელი, ამტვრევდა მონასტრის კარებს და ითხოვდა მათგან იმას, რისი შეძლებაც ბერებს არა ჰქონდათ. ნა’იბის, ასეთი მაღალი თანამდებობის პირის, ამგვარი საქციელი იმდენად აუტანელი იყო, რომ ქართველებმა სასარჩელო განცხადება წარადგინეს სულტნის კარზე.

კა’ით ბაის რეაქცია იყო მკაცრი. მან უბრძანა იერუსალიმის გამგებელს, ემოქმედა ხსენებულ თხოვნაზე და აეკრძალა ყველასთვის შენუხება ბერებისა ჯვრის მონასტერში და აგრეთვე სხვაგან – ქალაქ-ში, რომ არ შექმნოდათ მათ სიძნელეები, არ შეეწყვებინა ისინი უკანონოდ და მოითხოვა უსიტყვოდ და უყოფმანოდ ნერილობითი სამეფო ფიცი – კასამა აშ-შარიფა<sup>27</sup> ამის თაობაზე. ფიცის გატეხა კი, საერთოდ, განაპირობებდა ჯარიმას (ხშირად ფინანსურს).

<sup>24</sup> დუნდუა 2015, 150, 151-153.

<sup>25</sup> იქვე, 151.

<sup>26</sup> დუნდუა, ჯალაღანია 2009, 92.

<sup>27</sup> არაბ. კასამა აშ-შარიფა. იხ. Richards 1991b, 245-284, 248-249.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

ბრძანებულების გაცემის თარიღი – წელი, ვერ ამოვიკითხე. ნაწერის ხელი საკმაოდ ცუდია, მაგრამ იყითხება მუსლიმური კალენდრის მეოთხე თვე და რიცხვი – 27 რაბი<sup>28</sup>. ეს მინიშნება და თავად ნასირ ად-დინის იე-რუსალიმში ნა'იბობის ხანა თარიღის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

მუჯირ ად-დინ ალ-ჰანბალი წერს, რომ კა'ით ბაიმ 882 წლის მუსლიმური კალენდრის მეხუთე თვეში, 9 ჯუმადა II-ს/1477 წ. 18 სექტემბერს ნასირ ად-დინი ლაზას ნა'იბის თანამდებობიდან გადაიყვანა იერუსალიმის ნა'იბად, სადაც შეცვალა ნა'იბი ჯარ ალ-კუტალი. ნასირ ად-დინი წმინდა ქალაქში შევიდა იმავე თვის 10-ში, ე.ი. 20 სექტემბერს.<sup>29</sup>

მომდევნო 883 წლის ჯუმადა I-ის თვეში/1478 წ. 31.VII-29.VIII, რომელიც მოსდევს რაბი<sup>30</sup> II-ს, სულტანმა, მასთან შესული რაღაც საჩივრის გამო, ნასირ ად-დინი გამოიძახა კაიროში, მაგრამ ნა'იბობის ვადა გაუგრძელა და უკან დააბრუნა თავის სამფლობელოში.<sup>29</sup> მცირე ხნის შემდეგ, 884 წლის 14 ჯუმადა I-ს/1478 წლის 3 აგვისტოს იერუსალიმის ნა'იბად დაინიშნა ამირა სუნბატი ან-ნუჰეპასი. ნასირ ად-დინის მოღვაწეობა იერუსალიმში ამით არ დამთავრებულა. მუჯირ ად-დინ ალ-ჰანბალის სხვა ცნობით, ის ხელახლა დაინიშნა იერუსალიმის ნა'იბად 885 წლის 12 რაბი<sup>31</sup> II-ს/1480 წლის 21 ივნისს – 19 ზუ ლ-კა'დამდე/1481 წლის 20 იანვრამდე, როცა ის შეცვალა ამირა შიჰაბ ად-დინ აჰმად იბნ მუბარაქ შაჰმა. ნასირ ად-დინი სულტანმა დააპატიმრა<sup>32</sup> და ამის შემდეგ ის ქრება მუჯირ ად-დინის თვალსაწინიერიდან.

რაც შეეხება ბრძანებულებას, გაცემის თვის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ის შეიძლება დათარიღდეს ჰიჯრის 883 წლის ჯუმადა I-სა და 884 წლის ჯუმადა I-ს შუა, 884 წლის რაბი<sup>33</sup> II-ის 27-ით/1478 წლის 28 ივლისით.



ზემოთ აღინიშნა, რომ კა'ით ბეის სამხედრო აქტივობა ნთქავდა მის ფინანსურ რესურსებს, რის გამოც სულტანი აკისრებდა იძულებით შენირულობებს (მუსადარა) თავის ქვეშევრდომებს – მდიდარ მოქალაქეებს, ვაჭრებს და არამუსლიმურ თემებს. მსგავსი რამ ხდებოდა წმინდა მიწაზეც.

<sup>28</sup> ალ-ჰანბალი 1973, 318-319.

<sup>29</sup> იქვე, 320-321.

<sup>30</sup> იქვე, 322-323, 325.

ბერძნული საპატრიარქოს მესამე დოკუმენტიდან (№VII.B.2.26), რომლის თარიღია 888 წ. 18 ჯუმადა II-ს/ 1483 წლის 24 ივლისი, ირკვევა, რომ კა'ით ბაის კარს წარედგინა პეტიცია ქართველთა მეფის სახელით (ბი-ისმ მალიქ ალ-ქურჯ). მეფის საგანგებო ელჩობა ამ დროს კაიროში არ ჩანს. პეტიცია ალბათ წარადგინა ქართულმა სამონასტრო თემმა. მეფე, რომლის სახელი არ იხსენიება და უნდა იყოს კონსტანტინე II ქართლ-იმერეთის მეფე (1479-1484),<sup>31</sup> აცნობებდა სულტანს, რომ წმინდა იერუსალიმის ნა'იბი ითხოვდა იერუსალიმსა და ჯვრის მონასტერში მცხოვრებ ქართველთა კრებულისგან 60 დირჰამს სამხედრო ექსპედიციისთვის (ათ-თაჯრიდა) და ითვისებდა ამ თანხას. ამ დროს, 888 წ. 4 რაბი' II-დან/1483 წ. 12 მაისიდან, ეს ნა'იბი იყო ჯანიმ ალ-აშრაფი.<sup>32</sup>

საექსპედიციო თანხების აკრეფა, თანაც უკანონოდ, არ იყო ერთჯერადი. იერუსალიმის ნა'იბი ყოველთვის (ქულლუ ვაკათ.) ითხოვდა მას და ბუნებრივია, ვიფიქრო, რომ ამის თაობაზე ქართველი მეფე არაერთხელ იყო ინფორმირებული, მაგრამ მისი ჩარევა დაემთხვა იმ დროს, როცა საექსპედიციო თანხების აკრეფა კვლავ აუცილებელი გახდა. 888 წლის ჯუმადა II-ის თვეში, რომელიც დაიწყო 7 ივლისს, კაიროში მოვიდა ამბავი, რომ ოსმალთა წაქეზებით, ‘ალი დავლათი, ზუ ლ-კადრიანთა თურქმანული დინასტიიდან, 1483 წლის ივლის-აგვისტოში შემოეწყო ქ. მალატიას,<sup>33</sup> რომელიც ამ დროს მამლუქებს ეკუთვნოდა.

კა'ით ბაიმ დაუყოვნებლივ გაგზავნა სამხედრო ექსპედიცია მალატიისკენ. თუ ადრე არა, ამავე დროს ხელახლა უნდა დაწყებულიყო საექსპედიციო თანხების მოძიება-შეკრება. პეტიცია ქართველი მეფის სახელით იმის მაჩვენებელია, რომ საექსპედიციო თანხები ქრისტიანული სამონასტრო თემების, ყოველ შემთხვევაში, ქართველების გადასახდელი არ იყო და მეფეს ადვილად შეეძლო ეშუამდგომლა სულტნის წინაშე, გაუქმებულიყო უკანონო გადასახადი. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სხვა პირებიც უქმნიდნენ სიძნელეებს ქართველებს და სამეფო ბრძანებულებების საფუძველზე ცდილობდნენ, გამოეძალათ მათგან ქრთამი.

პეტიცია მეფის სახელით მამლუქთა სულტანმა ყურად იღო. მან უბრძანა იერუსალიმის ხელისუფალთ, მოქცეოდნენ ქართველებს ყურა-

<sup>31</sup> სურგულაძე 1995, 51.

<sup>32</sup> ალ-ჰანბალი 1973, 231.

<sup>33</sup> ალ-ჰანაფი 1404/1984, 202; Mujani 2012, 307.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

დღებით და დაბრკოლებების შექმნის გარეშე, თანახმად მათი წესისა; არ ყოფილიყო შეტანილი მათზე რაიმე სიახლე, არ განახლებულიყო მათი შევიწროება, მოქცეოდნენ მათ სამეფო მართლმსაჯულების შესაბამისად და თანახმად იმ სამეფო ბრძანებულებებისა, რომლებიც მათ ხელთ იყო, უსიტყვოდ, უყოყმანოდ, დათმობისა და უყურადლებობის გარეშე. უეჭველია, რომ იერუსალიმის ნა'იქს დაევალა, შეეჩერებინა საექსპედიციო თანხების აკრეფა.

•

სამივე ბრძანებულებაში სულტანმა კა'ით ბაიმ ქართველების პეტიცია მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. სხვა საკითხებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ყოველთვის ასე არ მომხდარიყო, მაგრამ ფაქტია, სამშობლო-სგან მოშორებით, ქართული სამონასტრო თემის მესვეურები ძალ-ლონეს არ იშურებდნენ, რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

## დანართები

I. იბმსბ, № VII.B. 2.34

874 წ. 19 შა'ბანი/21. II. 1470 წ.

- 1 სამეფო სახელი,
  - 2 გამოიცა განკარგულება სამეფო ბრძანებულებით,
  - 3 რომელიც ეხება ყველას: ნა'იქებს, მოსამართლეთა მოადგილეებს, ზედამხედველებს წმინდა იერუსალიმში, თანამდებობის პირებს – მაღალი ალლაჰიმც ხანგრძლივყოფს მათ სიმაღლეს – რომ იმოქმედონ იმის საფუძველზე, რასაც შეიცავს ეს
  - 4 სამეფო ბრძანებულება და განხორციელდეს ისე, როგორც განმარტებულია მის შესახებ.
  - 5 სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა მწყალობელისა,
  - 6 გამოიცა განკარგულება მაღალი, სამეფო ბრძანებულებით, ხელმწიფის,
- კა'ით ბაი**
- 7 სულტან ალ-მალიქ ალ-აშრაფ საიფ ად-დინისა –
  - 8 მაღალი ალლაჰიმც ალამაღლებს მას, პატივს მიაგებს, გაავრცელებს და აღასრულებს მას – რომ იქნეს დაწერილი

- 9 სამეფო ბრძანებულება, რომელიც ეხება ყველას: ნა'იბებს, მოსა-მართლეთა მოადგილებს, ზედამხედველებს წმინდა იერუსალიმში,
- 10 თანამდებობის პირებს იქ – ალლაჰიმც ხანგრძლივყოფს მათ სიმაღლეს – და ვაცნობებთ მათ, რომ ჩვენს სამეფო სადგომებში შემოვიდა პეტიცია
- 11 ჯვრის მონასტრის ქართველი ბერების თემიდან, რომელშიც გვაუნებეს, რომ მათ აქვთ ვაკები<sup>34</sup>
- 12 წმინდა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერსა და კაკულის (ქახულ) მონასტერში, თანახმად შარიათის დოკუმენტებისა, დამტკიცებული გადაწყვეტილებით,
- 13 რომლებიც მათ ხელთაა, სამუდამოდ, და [აგრეთვე] სამეფო ბრძანებულებები და მურაბბა'ათები<sup>35</sup> [აიღონ] პილიგრიმებზე
- 14 ქართველთა თემიდან, თითო სულზე 3 ვერცხლი (ფიდდა) კუმამას კარებთან. და ნაბრძანებია მოექცნენ ამის შესახებ
- 15 თანახმად მათი წესისა და შესაბამისად მათ ხელთა არსებული იურიდიული დოკუმენტების, სამეფო
- 16 ბრძანებულებების და სამეფო მურაბბა'ათებისა, რომელთა იურისდიქცია გრძელდება მუდმივად და იზრუნონ მათზე.
- 17 სამეფო ბრძანებულებები მათ მიმართ დასტურდებიან ამის შესახებ. და იცოდნენ ეს და აღასრულონ ის და მაღალი ალლაჰი მისცემს მათ წარმატებას,
- 18 თუ ისურვებს მაღალი ალლაჰი.
- 19 დაიწერა პატივცემული შა'ბანის 19-ში
- 20 874 წელს.
- 21 თანახმად სამეფო ბრძანებულებისა,
- 22 დიდება ალლაჰს ერთსა, მისი ლოცვა-კურთხევა და მისი მშვიდობა იყოს ჩვენ ბატონზე მუჰამადზე, მის ოჯახსა და მის მიმდევრებზე.
- 23 საკმარისია ჩვენთვის ალლაჰი და ის უმჯობესი მფარველია.

<sup>34</sup> აქ – სამონასტრო ქონება.

<sup>35</sup> ოთხუთხა ფორმის დადგენილება (Richards 1991a, 64-67), რომელიც განსხვავდებოდა პერგამენტის გრაგნილზე დაწერილი დადგენილებებისა და ბრძანებულებისგან.

## დოკუმენტის არაბული ტექსტი

1	الاسم الشريف
2	رسم بالأمر الشريف لكل واقف عليه من النواب والحكام والنظر بالقدس الشريف
3	والمبashرين والمتصرفين به ادام الله تعالى علوهم بان يتقدمو باعتماد ما تضمنه هذا
4	المرسوم الشريف و العمل به على ما شرح فيه
5	بسم الله الرحمن الرحيم
6	رسم بالأمر الشريف العالى المولوى

قابطباي	
7	السلطاني الملكي الاشرفي السيفي
8	اعلاه الله تعالى وشرفه وانفذه وصرفه ان يسطر هذا
9	المرسوم الشريف الي كل واقف عليه من النواب والحكام والنظر بالقدس الشريف
10	والمبashرين والمتصرفين به ادام الله تعالى علوهم نعلمهم ان قصه رفت لمواقفنا الشريفة
11	عن طافية الرهبان الكرج بدیر المصلبة بالقدس الشريف انهوا فيها ان الموقف
12	عليهم دير المصلبة ودير كحول بالقدس الشريف بمقتضى مكاتب شرعية ثابتة الحكم
13	بادبیهم الي اخر وقت وتواقيع ومرجعات شريفة ولمهم عادة على الزوار من
14	طافية الكرج علي كل نفر ثلاثة فصنة في باب القمامه فتقدموا باجرائهم في ذلك
15	علي جاري عادتهم وحملهم علي ما بادبیهم من المستندات الشرعية والتواقيع
16	والمراسيم الشريفة والمراسيم الشريفة المستمر حكمها الي اخر وقت والوصية بهم
17	والمراسيم الشريفة توکد عليهم في ذلك فيعلموا ذلك ويعتمدوه و الله تعالى يوفقهم
18	ان شا الله تعالى
19	كتب في تاسع عشر شعبان المكرم
20	سنة اربع وسبعين وثمانمائة
21	حسب المرسوم الشريف
22	الحمد لله وحده وصلواته علي سيدنا محمد وآلله وصحبه وسلمه
23	حسينا الله و نعم الوكيل

II. იბმსპ, №VII.B. 2.29

883 წ. 27 რაბი' II / 1478 წლის 28 ივლისი

- 1 1 მწყალობელითა და მწყალისა, მოწყალისა და მწყალობელისა  
2 2 ნერილი, რომელიც გაეგზავნა ამაღლებულ მდგლის<sup>36</sup> დაბა

<sup>36</sup> არაბ. მაჯლის, რომელსაც არ ვთარგმნი, სიტყვასიტყვით, საჯჯდომი ადგილი, მამლუქთა ეპოქის დიპლომატიკურ ძეგლებში მაღალი თანამ-

**მისი მშობელი კა'ით ბაი**

- 3 დიდ ამირას, მცოდნეს, სარწმუნოებისთვის მებრძოლს, მხარდაჭერილს [ალლაჰჰისგან], ქველს
- 4 წინამდლოლს, შემწეს, სარწმუნოების მახვილს, ისლამისა და მუსლიმთა დიდებას, სამყაროთა ამირების ღირსებას,
- 5 მეომრების და საღვთო ომისთვის მებრძოლთა ბურჯს, მეფეთა და სულტანთა შემწეს – მაღალი ალლაჰიმც გაახანგრძლივებს მის კეთილდღეობას
- 6 და განაახლებს მის სიხარულს – განუმარტავს მის ცოდნას, რომ, წმინდა იერუსალიმის
- 7 ჯვრის მონასტერში მცხოვრებმა ბერებმა წარუდგინეს პეტიცია ჩვენს სამეფო სადგომებს,
- 8 რომელშიც იტყობინებიან, რომ ერთი პიროვნება, სახელად ჰასაბ ალლაჰ ‘აბდ ან-ნასირ მუჰამმად იბნ აიუბი
- 9 წმინდა იერუსალიმის ნა’იბი, მოდის ხოლმე მათთან, ხსენებულ მონასტერში, ნებისმიერ დროს
- 10 ხან მთვრალი, ხანაც ფხიზელი, ამტვრევს ხოლმე მონასტრის კარებს
- 11 და ითხოვს მათგან იმას, რისი შეძლებაც არა აქვთ და ჩვენი ბრძანებულებაა ამაღლებული მაჯლისისადმი, რომ
- 12 იმოქმედოს ხსენებულ თხოვნაზე და აუკრძალოს ყველას შეწუხება ხსენებულთა,
- 13 ხსენებულ მონასტერში, აგრეთვე სხვაგან და ქალაქში და არ შეუქმნას სიძნელე ხსენებულ
- 14 ბერებს და არ შეაწუხოს უკანონოდ წერილობითი სამეფო ფიცის დადებით მასზე,
- 15 ამის თაობაზე, უსიტყვოდ და უყოფილოდ. და იცოდეს ეს კარგად. და მაღალი ალლაჰი იძლევა წარმატებას
- 16 თავის მადლით და გულუხვობით. თუ ისურვებს მაღალი ალლაჰი.
- 17 დაიწერა რაბი' II-ის თვის 27-ში
- 18 883/ 1478 წლის 28 ივლისს,
- 19 თანახმად სამეფო ბრძანებულებისა.
- 20 ფიდება ალლაჰს ერთს, ალლაჰიმც აკურთხებს ჩვენ ბატონს მუჰამმადს, მის ოჯახს და მიესალმება.

---

დებობის პირის ტიტულია. მის შესატყვისად ინგლისურენოვან თარგ-მანებში, ჩვეულებრივ, დასახელებულია “excellency” „ალმატებულება“.

## قۇزىمەنچىرىنىڭ ئەرىپەتلىك

1	بسم الله الرحمن الرحيم
2	صدرت هذه المكتبة إلى المجلس العالمي
	<b>والدە قىيىتى</b>
3	الاميرى الكبيرى العالمى المجاهدى المويدى الهمامى
4	المقدمي الظهيري السيفي مجد الاسلام وال المسلمين شرف الامرا المقدمين
5	ركن الغزاوة والمجاهدين ضد الملوك والسلطانين ادام الله تعالى نعمته
6	وجدد مسنته موضحة لعلمه ان الرهبان المقيمين بدير
7	المصلبة بالقدس الشريف رفعوا قصة لدى مواقفنا الشريفة
8	انهوا فيها ان شخصا مسمى حسب الله عبد ناصر الدين محمد بن ايوب
9	نائب القدس الشريف كان يحضر اليهم بالدير المذكور في كل وقت
10	وهو مخمور تارة وصاح اخرى ويكسر ابواب الدير المذكور
11	ويطلب منهم مالا قدرة لهم عليه فمرسومنا للمجلس العالمي
12	ان يتقم بطلب المذكور ومنعه من معارضته المذكورين في
13	الدير المذكور وفي غيره وفي المدينة ولا يشوش على الرهبان
14	المذكورين ولا يعارضهم بغير حق وكتابة قسامية شريفة عليه
15	بنذلك قولوا واحدا واما جازما فيحيط علمه بذلك والله تعالى الموفق
16	بمنه وكرمه ان شاء الله تعالى
17	كتب في سابع عشرین ربیع الآخر
18	سنة xxx
19	حسب المرسوم الشريف
20	والحمد لله وحده 4

III. گۆنەن، №VII.B. 2.26

888 6. 18 جۇمادىدا II / 24.VII. 1483 6.

- 1 ساداڭىلىنىڭ ئەرىپەتلىك مەلکەنداشقاڭىم
- 2 گەرمىنلىرىنىڭ گەرمىنلىرىنىڭ ئەرىپەتلىك، ۋەلەپ-نىڭىزىدا،  
قۇدا
- 3 ساپىلىنىڭ ئەرىپەتلىك مەلکەنداشقاڭىم
- 4 - مەلکەنداشقاڭىم ئەرىپەتلىك مەلکەنداشقاڭىم
- 5 ۋەلەپ-نىڭىزىدا، گەرمىنلىرىنىڭ ئەرىپەتلىك مەلکەنداشقاڭىم

## გორჩა ჯაფარიძე

- 6 ნა'იბები, ზედამხედველები, კადიები,<sup>37</sup> მოსამართლეთა მოადგილეები და [ისლამის] ხელისუფალნი –
- 7 ალლაჰიმც გააძლიერებს მათ – [რომლითაც] ვაცნობებთ მათ, რომ ჩვენ სამეფო კარს წარედგინა პეტიცია
- 8 ქართველთა მეფის სახელით. მასში ის იტყობინება, რომ წმინდა იერუსალიმის ნა'იბი
- 9 ყოველთვის მოითხოვს წმინდა იერუსალიმსა და ჯვრის მონასტერში მცხოვრებ
- 10 ქართველთა კრებულისგან და აკისრებს მათ 60 დირჰამს სამხედრო ექსპედიციისთვის (ათ-თაჯრიდა) და იღებს მათგან
- 11 თანხას თავისთვის და შემდეგ არის ისეთი, ვინც სიძნელეებს უქმნის მათ და მიაქვს მათთან ჩვენი სამეფო ბრძანებულებები,
- 12 რათა გამოძალოს და დასტყუოს მათ ქრთამი. ჩვენი ბრძანებულებაა მათთვის, რომ
- 13 დაწესდეს შემდეგი: მოექცნენ ხსენებულთ ყურადღებით და დაბრკოლების გარეშე,
- 14 თანახმად მათი წესისა; არ იქნეს შემოტანილი მათზე რაიმე სიახლე და არ განახლდეს მათზე
- 15 შევიწროება, მოექცნენ მათ სამეფო მართლმსაჯულებით და თანახმად იმ სამეფო ბრძანებულებებისა, რომლებიც მათ ხელთაა, უსიტყვოდ
- 16 და უყოყმანოდ, ამაში დათმობის და უყურადღებობის გარეშე.
- 17 და სამეფო ბრძანებულებები ამით დასტურდებიან სრულად. მაღალი ალლაჰი იძლევა წარმატებას,
- 18 თუ ისურვებს მაღალი ალლაჰი.
- 19 დაიწერა ჯუმადა II-ის 18-ში,
- 20 888 წელს,
- 21 თანახმად სამეფო ბრძანებულებისა.
- 22 დიდება ალლაჰს ერთსა და ალლაჰიმც აკურთხებს ჩვენ ბატონ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის მიმდევრებს და მიესალმება.

---

<sup>37</sup> ყადი, მუსლიმთა მოსამართლე.

قۇزۇمۇنىڭ قىدا ئادارەتچىلىق سا ئەملىقىدا

بسم الله الرحمن الرحيم

رسم بالامر الشريفي العالى المولوى

يابىتىياق

السلطانى الملكى الاشرفى السيفى

يعتمد يمثل المرسوم الشريف

اعلاه الله تعالى وشرفه وانفذه في الافق وصرفه

ان يسطر هذا المرسوم الشريف الي كل واقف عليه من

النواب والنظر والقضاة والحكام وولاة الامور بالقدس الشريف

اعزهم الله تعالى نعلمهم ان قصة رفت بابوابنا الشريفة باسما

ملك الكرج انهى فيها ان النايب بالقدس الشريف

كل وقت يطلب جماعة الكرج المقيمين بالقدس الشريف

ودير المصليلة ويكلفهم بستين درهم التحريدة وياخذ منهم

مبلغ له صورة وثم من يشوش عليهم ويحضر لهم مراسيم شريفة

لاجل قطع مصانعهم وبلاصهم ومرسومنا لهم بان

يتقدموا باجر المذكورين في الرعاية وعدم المعارضة على

جارى عادتهم وان لا يحدث عليهم حادث ولا يجدد عليهم

ظلمة ويعاملهم بالعدلة الشريفة علي حكم ما بيدهم من المراسيم الشريفة قوله

واحد وامر اجاز ما من غير رخصة ولا تهاون في ذلك

والمراسيم الشريفة توکد في ذلك غایة الناكيد والله الموفق

ان شاء الله تعالى

كتب في ثمان عشر جماد اخر

سنة ثمانية وثمانين وثمانمائة

حسب المرسوم الشريف

الحمد لله وحده [وصلى الله على سيدنا محمد واله وصحبه وسلم]

## პიბლიოგრაფია

### References

- დუნდუა, ჯალალანია 2009:** დუნდუა გ., ჯალალანია ირ. 2009, ქართული ნუმიზმატიკური ღეလსიკონი, თბილისი
- დუნდუა 2015:** დუნდუა თ., დუნდუა გ. 2015, ქართული ნუმიზმატიკის ადგილოვა, ნაწ. III, ოქროს ხანა და დაქვეითება, სამონეტო საქართველოში, მე და სამონეტო მიმოქცევა XI-XVI საუკუნეებისა საქართველოში, თბილისი

**მამისთვალიშვილი 1981:** მამისთვალიშვილი ე. 1981, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბილისი

**მამისთვალიშვილი 2009:** მამისთვალიშვილი ე. 2009, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბილისი

**პაპაშვილი 2002:** პაპაშვილი მ. 2002, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან, საისტორიო ვერტიკალები, 2, თბილისი

**სურგულაძე 1995:** სურგულაძე მ. 1995, პაგრატიონთა სამეფო სახლი, გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს მზია სურგულაძემ და მიხეილ ქავთარიამ, თბილისი

**ცინცაძე 1965:** ცინცაძე ი. 1965, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბილისი

**ჯავახიშვილი 1982:** ჯავახიშვილი ივ. 1982, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი

**ჯაფარიძე, ბუაჩიძე 2009:** ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ. 2009, წმინდა მიწაზე ქართული ეკლესის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის წიგნთსაცავებში, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 540-544

**ჯაფარიძე 2011:** ჯაფარიძე გ. 2011, ბეენა ჩოლობაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისთვის), საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბილისი, 83-138

**ჯაფარიძე 2012:** ჯაფარიძე გ. 2012, დერთუფა და დერტავი: ქართველ დედათა მონასტრები იერუსალიმში. კრ. კაგასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ისტორიულ-ფილოლოგიური ძებანი, მიძღვნილი ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავისადმი, თბილისი, 526-536

**ალ-ჰანაფი 1404/1984:** ალ-ჰანაფი იბნ იას. 1404/1984, პადა'ი' აზ-ზუკურ ფი ვაკა'ი' ად-დუკურ. მუჰამმად მუსტაფას რედ., ალ-კაპირა

**ალ-ჰანბალი 1973:** ალ-ჰანბალი მუჯირ ად-დინ. 1973, ალ-უნს ალ-ჯალილ ფი-თა'რის ალ-კუდს ვა ლ-ხალილ. II, ბაირუთ

- Balog 1964:** Balog P. 1964, *The Coinage of the Mamluk Sultans of Egypt, Numismatic Studies*, No. 12, New York
- Berchem 1922:** Berchem Max Van 1922, *Matériaux pour un Corpus Inscriptioonum Arabicarum. Deuxième partie. Syrie du Nord, Jérusalem "ville"*, Le Caire
- Garsin 1998:** Garsin J-CI. 1998, The Regime of the Circassian Mamluks, in: *The Cambridge History of Egypt*, vol. I, Islamic Egypt, 640-1517 ed. C. F. Petry, Cambridge
- Khintibidze 1991:** Khintibidze E. 1991, Negotiations between the Georgian and Spanish Kings at the End of the Fifteenth Century, *Mediterranean Historical Review*, vol. 6, №2 (December)
- Mujani 2006:** Mujani W. K. 2006, The Monetary System from Historical Perspectives (A special reference to the Kingdom of Mamluk from the Period (872-922 A.H./1468-1517 A.D. that utilises Islamic monetary system), *International Journal of Islamic Studies*, 28, 29-43
- Mujani 2012:** Mujani W. K. 2012, The Expences of Mamluk Army during the Burji Period, *Advances in Natural and Applied Sciences*, 6 (3), 303-309
- Nielsen 1980:** Nielsen J. 1980, A Note on the origin of the turra in early Mamluk Cancery practice, *Islam*, 57, 288-292
- Petry 1979:** Petry Carl F. 1979, *Protectors or Pretorians. The Last Mamluk Sultans and Egypt's Waning as a Great Power*, Albany
- Petry 1991:** Petry Carl F. 1991, Holy War, Unholy Peace? Relations between the Mamluk Sultanate and European States Prior to the Ottoman Conquest, in: *The Jihad and its Times Dedicated to Andrew Stefan Ehrenkreutz*, ed. by H. Dajani-Shakeel and R. A. Messier, Ann Arbor
- Petry 1993:** Petry Carl F. 1993, *Twilight of Majesty. The Reigns of the Mamluk Sultans Al-Ashraf Qaytbay and Qansuh al-Ghawri in Egypt*, Seattle and London
- Richards 1991a:** Richards D.S. 1991, A Mamluk Emir's Square Decree, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, LIV, 63-67
- Richards 1991b:** Richards D.S. 1991, The Qasama in Mamluk Society: Some Documents From the Haram Collection in Jerusalem, *Annales Islamologiques*, Tome XXV (À la memoire de Patrie Coussonnet), 1, 245-284

- Sobbernheim, Ashtor 1979:** Sobbernheim M., Ashtor E. 1979, Ka'it Bay, *The Encyclopaedia of Islam*, The New Edition, vol. IV, Leiden
- Зеленев 1999:** Зеленев Е. И. 1999, *Египет: Средние века. Новое время*, Санкт-Петербург

### Gotcha Djaparidze

#### **Mamluk Sultan of Egypt Ka'it Bay (1468-1496) And Georgian Monastic Community in Jerusalem**

In the Library of the Greek Orthodox Patriarchate in Jerusalem a number of Arabic documents are kept, which relate to the life of the Georgian monastic community in Palestine as well as to the rights of the Georgian monks and pilgrims and their relationships with the Mamluk sultans of Egypt, local Mamluk authorities and Christian communities of Jerusalem. They play a significant role in the process of exploration of the history of the Georgian monastic community and Georgian church in the Holy Land.

This article presents three decrees stored in the Library of the Greek Orthodox Patriarchate issued by Burji (Circassian) Mamluk Sultan Al-Ashraf Sayf al-Din Ka'it Bay (1468 - 1496) whose lengthy rule "has traditionally been seen as the happy culmination of the Burji Mamluk Dynasty" (Jean-Claude Garcin).

The first decree (N<sup>o</sup>VII.B.2.34) dated by Sha'ban 19, 874 AH, i.e. February 21, 1470, was issued as a response to the petition of the Georgian monks of the Holy Cross Monastery in Jerusalem. The monks who possessed *wakf* (monastic property) both in the Holy Cross Monastery in Jerusalem and in Khakhuli monastery, announced that they, as a rule, charged each Georgian pilgrim entering Kumama, i.e. Church of the Resurrection, gates 3 silver coins (in Arabic *fidda*). On a sheet of paper, attached to the document, there is a three-line Georgian inscription regarding the fact that no more than three *tetris* should be demanded from a Georgian, entering the Church of the Resurrection. In the kingdom of Georgia *tetri* ('white') was a generic term designating silver and, generally, money. In this particular case this word was used to denote a silver coin in circulation in Georgia of the period in question.

Georgian pilgrims entering or leaving Palestine either by sea, via port towns or by land, did not pay taxes (*mujib*) to the Muslim authorities. They did not pay to the convoy (*khafar*) either when entering the Church of the Resurrection in Jerusalem. However, as it turns out, they still paid a certain amount of money, specifically 3 silver coins (*tetris*) per person to the authorities of Holy Cross Monastery. Arguably, this money was used to cover the expenses of the monastic community which is absolutely new and unique information about the life of the Georgian monastic community in Palestine.

Though it is not obvious from the decree but it is clear otherwise that collection of the money from the Georgian pilgrims must have been seen as an issue by the Jerusalem authorities. Because of this situation, Georgian monks presented a petition to Ka'it Bay. As demanded in the decree issued by the Sultan, Jerusalem authorities were to treat Georgian pilgrims according to their custom, that is, following the ruling of the noble decrees in the hands of the Georgian monastic community whose jurisdiction was valid in perpetuity and to provide their execution.

The second document (№VII. B.2.29) dated, arguably, by Rabi' II, 27, 884 AH, i.e. July 23, 1478, reveals that Jerusalem *na'ib*, or deputy of the sultan Hasab Allah Muhammad ibn Ayyub would frequently visit Holy Cross Monastery either sober or drunk, he broke the monastery gates and demanded from the monks what they were not able to give. Such behaviors of *na'ib* became unbearable and the Georgians were left no choice but to file a petition to the Sultan Court. The reaction of the Sultan was strict. He ordered the ruler of Jerusalem to pay attention to the above mentioned petition and forbid everybody to disturb the monks not only in the Holy Cross monastery but, also everywhere else in the town. In addition, the Sultan demanded both a written Noble oath (*qasama al-sharifa*) and a unanimous and decisive fulfillment of the decree. Breaking of the promise usually meant financial penalties (in many cases).

The third document in the library of the Greek Orthodox Patriarchate (№VII.B.2.26) issued on Jumada II, 18, 888 AH i.e. July 24, 1483, reveals that the petition to Ka'it Bay's court was presented on behalf of the Georgian king. As a special diplomatic mission was not attested in Cairo at this time, the petition must have been presented to the Sultan by the Georgian monastic

community. The king whose name is not mentioned but who must have been Konstantine II, king of Kartli and Imereti (1479-1484) notified the Sultan that the Jerusalem *na'ib* demanded 60 dirhams from the Georgians living in Jerusalem and in the Holy Cross monastery for the military expedition (*tajrida*) and embezzled the money. At this time, Rabi' II, 4, 888 AH i.e. from May 12, 1483, the *na'ib* was Janim al-Ashrafi.

As is known, military activities of Ka'it Bay required big financial resources. The Sultan imposed compulsory donations, *musadara* on his subjects, wealthy citizens, merchants and non-Muslim communities. Collecting expedition sums, illegally, was not a one-off action. Jerusalem *na'ib* most frequently demanded this and the Georgian King must have been informed about this. However, his interference coincided with the time, when it was vital to collect expedition sums.

In Jumada II, 888 AH, which started on July 7, 1483, an information reached Cairo, according to which, by encouragement of the Ottomans, in July and August, 1483, 'Ali Dawlati' from the Turkman dynasty of Dhu l-kadrud had seized the city of Malatia which belonged to Mamluks at that time. Ka'it Bay sent a military expedition to Malatia immediately. If not earlier, at this time at least, it would be absolutely necessary to collect money for expedition expenses.

The petition submitted on behalf of the Georgian king indicates that Christian monastic communities, at any rate the Georgians, were not obliged to pay expedition fees and the King could easily recommend in front of the Sultan that the imposed illegal taxes were cancelled. At the same time, the decree makes it clear that other people also created difficulties for Georgians and relying on the regal decrees, they made attempts to extort money from them.

The Sultan heeded the petition submitted on behalf of the king. He ordered Jerusalem authorities to treat the Georgians with attention and caution and, without putting any obstacles in their way, handle them according to their custom, making no innovations and alteration whatsoever or wrongful innovations, not to oppress the community and treat them according to the noble justice and noble decrees in their possession, unanimously and decisively, without any laxity or oversight.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კა'ით ბაი და ქართული სამონასტრო თემი

All this is indicative of the fact that Jerusalem na'ib was ordered to stop collecting the expedition fees.

Thus all three decrees issued by Sultan Ka'it Bay granted the petition submitted by the Georgians. As for the other issues, although the leaders of the Georgian monastic communities might not always have been successful, they did put a lot of effort into the protection of their own interests.

## გოჩა ჯაფარიძე, ნანი გელოვანი

### მუჰამად ბეი კატამიში<sup>1</sup>

XVI საუკუნის შუა ხანებიდან ევროპელებმა აღმოჩინეს, რომ ოსმალთა ეგვიპტეში, მამლუქთა რიგებში გამოჩნდნენ ქართველები. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველები იყვნენ ა. თევე, ა. გეოფრეუსი და პ. პიცარო. ა. თევეს თანახმად, მამლუქები მოიყვანეს სომხეთიდან და სამეგრელოდან; გეოფრეუსი წერდა, რომ „ყველა მამლუქი [ადრე]იყო ქრისტიანი და მათი უმეტესობა – ქართველი (იბერიელი და კოლხი), ჩერქეზი, ალბანელი“ და სხვ. პეტრო პიცარო აღნიშნავდა, რომ „მამლუქების უმრავლესობა ლივერებისა (ასე უწოდებდნენ თურქები იბერიელებს) და ჩერქეზების-გან შედგება. თურქები ჩერქეზებს უწოდებდნენ კოლხებს, ქართველებს, ალბანელებს და სხვა ქრისტიანს – იაკობიტსა და ნესტორიანელს, რომ-ლებიც მდ. ფაზისის სანაპიროზე ცხოვრობენ“.<sup>2</sup> შემდეგ ამასვე წერდნენ მუსლიმი ავტორებიც. მაგალითად, გამოჩენილი ოსმალო მოგზაური ევლია ჩელები, რომელიც XVII ს-ის 70-იან წლებში ეწვია ეგვიპტეს, აღნიშნავდა: „მამლუქები გამოვიდნენ სხვადასხვა რეგიონიდან და ეთნიკური ჯგუფიდან. მართალია, ჩერქეზები წარმოადგენდნენ ყველაზე ცნობილ ელემენტს, მათ შორის იყვნენ აგრეთვე აბაზები, ქართველები, რუსები, იმერლები, მეგრელები და სხვები“.<sup>3</sup>

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დოკუმენტურ წყაროებს. ოსმალური ხელფასის უწყისები უჩვენებენ დიდ დინებას თავისუფალი ადამიანებისა ანატოლიიდან და კავკასიელი მონებისა, უმეტესად ქართველებისა ეგვიპტეში XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში.

XVIII ს-ის დამდეგიდან შესაძლებელია იდენტიფიკაცია არაერთი ქართველი მამლუქისა, რომლებიც აღზევდნენ ბეილიქათსა და იმ შვიდ სამხედრო კორპუსში (მამლუქთა, იგივე ჩერქეზთა, იანიჩართა, აზებანი,

<sup>1</sup> პუბლიკაცია განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი – FR/54/1-10/13).

<sup>2</sup> Thevet 1984, 172; Geoffreus 1574,12; Bizaro 1601, 280; ტაბალუა 1984, 119.

<sup>3</sup> Çelebi 1938, 159; დამოწმებულია: Winter 1992, 53.

მუთეფარრიკა, ჩავუშანი, გონულლუ/ჯამალიანი და ტუფკენჯი), რომლებიც ოსმალებმა საგანგებოდ შექმნეს ეგვიპტის მორჩილებაში მოსაყვანად. შესაძლებელი იყო თავისუფლად გადასვლა ერთი პოზიციიდან მეორეში. კორპუსების მეთაურები ხშირად ინიშნებოდნენ სანჯაკ-ბეიებად.

ქართველების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა იანიჩართა რიგებში 1675-1677 წლებიდან – 1737-1738 წლებამდე. ეგვიპტის იანიჩართა კორპუსის ხელფასის დავთრებში (Maliyeden Müdevver-ის კოლექციიდან), რომლებიც შეისწავლა ამერიკელმა მკვლევარმა, ჯეინ ჰასავეიმ, 1675-7 წლებში დაფიქსირებულია 9, ხოლო 1737-8 წლებში – 17 ქართველი<sup>4</sup> (ალბათ მაღალი რანგის მამლუქები), უფრო მეტი, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. XVIII ს-ის პირველი ათწლეულების უწყისები აგრეთვე უჩვენებენ, რომ გონულლუს/ჯამალიანის კორპუსი კაიროში შედგებოდა უმეტესად ქართული ოჯახების წევრებისგან.

ქართველი მამლუქების შესახებ ეგვიპტეში მოკლე ცნობები შემოგვინახეს XVIII ს-ის 30-იანი წლების დასავლეთის მოგზაურებმა: რიჩარდ პოკოკმა (1704-1765) – ბრიტანელმა მოგზაურმა, ანთოროპოლოგისტმა და სასულიერო მოღვაწემ, რომელმაც 1737-41 წლებში იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: ეგვიპტეში, პალესტინაში, ლიბანსა და სირიაში და მცირე აზიაში და ჩარლზ პერიმ (1698-1780), ბრიტანელმა ექიმმა, რომელმაც 1739-1742 წლებში იმოგზაურა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ეგვიპტეშიც.

რიჩარდ პოკოკი შესაძლებლად მიიჩნევდა ეთქვა, რომ „კაიროს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო მამლუქთა „რასის“, შთამომავლები მონებისა, რომლებიც უმეტესად იყვნენ საქართველოდან“. მოგზაური წერდა, რომ „გათავისუფლებული მონები, რომელთაც ეძლეოდათ უფლება, წვერი მოეშვათ, ხდებოდნენ სამხედრო კორპუსების წევრები და წინაურდებოდნენ. ეს მონები სრულიადაც არ არიან საზიზლრები, ისინი არიან უმშვენიერესი და ყველაზე იმედის მომცემი ქრისტიანი ბავშვები საქართველოდან, რომლებიც ხარკად მიიღეს და ჩამოიყვანეს აქ გასაყიდად“.<sup>5</sup> თითქმის იმავეს (იმავე წელს) იმეორებს ჩარლზ პერი. ის დამატებით აღნიშნავს, რომ მამლუქები მონებია, რომლებიც ახალგაზრდები ჩამოიყვანეს იმ ქვეყნიდან, რომელსაც დღეს ეწოდება სამეგრელო – შავ და კასპიის ზღვებს შორის და

<sup>4</sup> Hathaway 1997, 44.

<sup>5</sup> Pococke 1743, 315 შენ. 12.

იქვე მიუთითებს: „შენიშნულია, რომ ის იძლევა უმამაცეს მამაკაცებს და ულამაზეს ქალებს მთელს აღმოსავლეთის რეგიონში“.<sup>6</sup>

ამ ზოგადი მითითებების გარდა, გვაქვს ცნობები კონკრეტული პირების შესახებაც, ამჯერად არაბული ნარატიული წყაროებიდან. მაგალითად, ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-ჯაბართის თანახმად, XVIII ს-ის დამდეგის რამდენიმე ცნობილი მამლუქის ნისბა იყო ალ-ჯურჯი, ე.ი. ქართველი. ესენია: ‘ივაზ ბეი ალ-ჯურჯი, ხალილ ქამიფ ალ-ჯურჯი, მუსტაფა (ჩელები) ბეი აშ-შარიფ იბნ ‘ივაზ ბეი ალ-ჯურჯი.’<sup>7</sup> ნისბა ყოველთვის არ შეესაბამებოდა ეროვნებას. მაგრამ ალ-ჯაბართი აგრეთვე პირდაპირ ასახელებს ზოგიერთი მამლუქი ამირას ქართულ წარმომავლობასაც. მათ შორის იყვნენ:

- ჰუსაინ ბეი, ცნობილი როგორც აბუ იადაკი, მამაცი მხედარი, რომელიც გახდა სანჯაკ ბეი 1103/1691-1692 წლებში, ის აქტიურად იყო ჩაბმული იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოკლეს 1131/1718-19 წელს.<sup>8</sup>
- ‘ალი ბეი ალ-ჰინდი. მან თავი გამოიჩინა ბრძოლებში ბერძენთა წინააღმდეგ მორეაში 1127/1715 წ. მოკლეს 1727 წელს.<sup>9</sup>
- რიდვან აღა ალ-ფაკარი, ცნობილი და გავლენიანი ამირა. 1707 წელს დაინიშნა იანიჩართა (მუსთაჭფიზან) კორპუსის მთავარ აღად, შემდეგ გახდა ჩავუშთა კორპუსის ქათხუდა და 1120/1708-9 წლებში გონულლუს კორპუსის მთავარი აღა. გარდაიცვალა 1148/1735-36 წელს შავი ჭირით.<sup>10</sup>
- ამირა მუჰამად ბეი კიტასი, რომელიც კატამიშის სახელით იყო ცნობილი. მოკლეს 1149 წლის 11 რაჯაბს/1736 წლის 15 ნოემბერს.<sup>11</sup> დასახელებულ პირთაგან ყველაზე დიდი ფიგურაა მუჰამად ბეი კატამიში, რომელმაც შექმნა საკუთარი სახლი ეგვიპტეში.

რა იყო სახლი?

<sup>6</sup> Perry 1743, 156.

<sup>7</sup> al-Jabarti 1994, 60-61, 112-114, 207-208.

<sup>8</sup> იქვე, 182-183.

<sup>9</sup> იქვე, 213-217.

<sup>10</sup> იქვე, 274.

<sup>11</sup> აპმად შალაბი 1978, 619.

სახლი (ბათ მრ. ბუმუთ) ოსმალთა ხანის ეგვიპტის საზოგადოების ძირითადი ერთეულის და ეგვიპტის დამახასიათებელი ნიშანი იყო. მკვლევართა ნაწილი (პ. ჰოლტი, დ. კრესელიუსი) სახლების წარმომავლობას მამლუქთა დამოუკიდებელ სასულტნოს უკავშირებს. ჯ. ჰასავეი სახლებს ოსმალურ საზოგადოებაში ხედავს. ოსმალეთის სულტნის სახლი, მისი აზრით, იყო საერთოდ ოსმალეთის ელიტის სახლების პროტოტიპი.<sup>12</sup> ოსმალეთის პროვინციების გამგებლები ნაკლები მასშტაბით ბაძავდნენ სულტნის სახლს. ეგვიპტეში ფაშას სახლს მეტოქეობას უწევდნენ ადგილობრივი ელიტის – სანჯაკ-ბეიებისა და კორპუსთა მეთაურების სახლები.

სახლი არ იქმნებოდა მხოლოდ ნათესაობის საფუძველზე. რა თქმა უნდა, მასში იყვნენ სახლის პატრონის ოჯახის წევრები, მაგრამ უმთავრესად ის შედგებოდა იმ პირთაგან, რომლებიც სარგებლობდნენ პატრონის მფარველობით, იმისდა მიუხედავად, იყვნენ თუ არა ისინი პატრონის ნათესავები.

დ. კრესელიუსის დახასიათებით, სახლი იყო მისი პატრონისადმი (არაბ. უსთაზ, აბ, მავლა, საიდ) სხვადასხვა დონის ლოიალობის მქონე ძალების კავშირი. სახლის ბირთვს ქმნიდნენ პატრონის მამლუქები – ჯერ კიდევ მონები და გათავისუფლებულები, აგრეთვე ხუშდაშები ანუ იხვანები (ძმები) – ამხანაგები მონობასა და გათავისუფლების ჟამს. მათ ერთმანეთთან ჰქონდათ უმჭიდროესი კავშირი, საერთო ინტერესები და ყველა გარეშეს ისინი, ჩვეულებრივ, მტრულად უყურებდნენ. <sup>13</sup>

მამლუქი გადიოდა იერარქიის სხვადასხვა საფეხურს, ვიდრე ყველაზე გამორჩეულს პატრონი გაათავისუფლებდა და დააწინაურებდა რაიმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე მამლუქთა ან ოსმალთა რეჟიმში (კორპუსებში). უმაღლესი რანგი იყო ამირა/ბეი ანუ ბეგი.

პატრონის სიკვდილის შემდეგ სახლებში ხელმძღვანელობა იშვიათად გადადიოდა შვილზე. მემკვიდრეები ხდებოდნენ პატრონთან დაახლოებული პირები, თავისუფალი ანდა გათავისუფლებული მონები. XVIII ს-ში მოხდა სახლების სრული მამლუქიზაცია.

სახლები შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ფრაქციებად. მოკავშირე სახლების გაერთიანებებს წარმოადგენდა, მაგალითად, მამლუქთა და

<sup>12</sup> Hathaway 1997, 16-19; Hathaway 1999, 58.

<sup>13</sup> Crecelius, 1981, 30 და შმდ.

ბედუინთა ალ-ფაკარიას და ალ-კასიმიას ფრაქციები, რომლებიც ერთ-მანეთს ეპროდოდა ლიდერობისათვის ეგვიპტეში დაახლოებით 1640 წლიდან 1730 წლამდე. ფაკარიას და კასიმიას შინაბრძოლებმა გამოფიტა ამ ფრაქციების ადამიანთა რესურსები. XVII ს-ის მიწურულისთვის მამლუქი ბეიების ადგილს ეგვიპტის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში იკავებენ კორპუსთა მეთაურები.<sup>14</sup>

ქართველებს ვხედავთ აგრეთვე ერთმანეთთან დაპირისპირებულ ფრაქციებში. მათ შორის იყო მუჰამად ბეი კატამიში, ალ-ფაკარიას ფრაქციის წევრი, ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართველი მამლუქი ბეი, რომელმაც საკუთარი და მნიშვნელოვანი სახლი დააფუძნა ეგვიპტეში.

უცნობია, როდის მოხვდა ის ეგვიპტეში, სადაც შეიძინა წარმოშობით ქურთმა კიტას ბეიმ – ზუ ლ-ფაკარ ბეის ვაჟის, იბრაჰიმ ბეის მამლუქმა. XVIII ს-ის ეგვიპტელი მემატიანე აჰმად ად-დამურდაში მუჰამად ბეი კატამიშს პირველად იხსენიებს 1120/1708-9 წელს თავის ქრონიკაში, რომელიც მოიცავს 1688-1755 წლებს. კიტას ბეიმ მუჰამედისთვის კატამიშის (ტკბილულის) ზედნოდება ჰარავას ტომის ბედუინებისგან შეარჩია. მუჰამადი პატრონის სიცოცხლეშივე გახდა სანჯაკ ბეი. კიტას ბეიმ მისთვის ოსმალეთის სულტნისგან ითხოვა და მიიღო ამირ ალ-ჰაჯის თანამდებობა.<sup>15</sup>

1126/1714 წელს ეგვიპტის ოსმალო გამგებელმა აბიდი ფაშამ მოაკვლევინა მუჰამად ბეი კატამიშის პატრონი კიტას ბეი კაიროში. მუჰამად ბეი კატამიში აჯანყდა, გამაგრდა თავის სახლში და შეეცადა შური ეძია თავისი პატრონის მკვლელობისთვის, მაგრამ ვერ შეძლო და გაიქცა თურქეთში, საიდანაც დაბრუნდა მხოლოდ 1726 წელს ის აქტიურად ჩაერთო მოქიშპე ალ-კასიმიას ფრაქციასთან ბრძოლაში. მას მხარს უჭერდნენ ჯალფის და კაზდალლის სახლები. ამ უკანასკნელის უმრავლესობას ამ პერიოდში ქართული წარმოშობის მამლუქები შეადგენდნენ.

ეგვიპტეში მუჰამად ბეი კატამიშმა დაიკავა დაფთარდარის (ხაზინადარის) მნიშვნელოვანი თანამდებობა; 1731 წელს დაძლია ალ-კასიმიას ფრაქციის წინააღმდეგობა, რასაც მისი ხელმძღვანელის, მუჰამად ბეი ჩერქესის სიკვდილი მოჰყვა. ფრაქციის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, გა-

<sup>14</sup> სილაგაძე, ჯაფარიძე 2002, 22-23.

<sup>15</sup> al-Damurdashi 1991, 136-137; ქვემოთ, მუჰამად ბეი კატამიშის შესახებ, ად-დამურდაშის გარდა, გამოყენებულია: al-Jabarti 1994, 275; აჰმად შალაბი, 1978, 619; Hathaway 1997, 16-19; Смирнов 2009, 134-136; Илюшина 2009, 67-70.

ნადგურდა. ბაქირ ფაშას გადაყენების შემდეგ მუჰამად ბეი კატამიში გახდა კა'იმ ალ-მაკამი, რომელიც ქვეყანას განაგებდა ფაშას არყოფნის დროს.

ამიერიდან 1736 წლამდე მუჰამად ბეი კატამიშის სახლმა დაიკავა დომინირებული ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისმა ოთხმა წევრმა მიიღო ბეის ტიტული, რამდენიმე მიმდევარმა დაიკავა მაღალი პოსტები იანიჩართა კორპუსში, ხოლო თავად მუჰამად ბეი გახდა შაიხ ალ-ბალადი, რაც იყო უმაღლესი რანგი მამლუქთა ოლიგარქიაში. ალ-ჯაბართის თანახმად, ის იყო უდიდესი ეგვიპტის ამირათა შორის, ჰქონდა სრული ხელისუფლება და ძალაუფლება, გავლენა და პატივისცემა, თავის სანჯაკ ბეიებთან – ალი ბეისთან, იუსუფ ბეისთან, სალიჰ ბეისთან და იბრაჰიმ ბეისთან ერთად.

1736 წლის ნოემბერში ალ-კასიმიას ფრაქციის გადარჩენილი წევრები შეეცადნენ, შეეცვალათ სიტუაცია თავის სასარგებლოდ. მათ მიიღეს თანხმობა ეგვიპტის ოსმალო გამგებლისგან და 1149 წლის 11 რაჭაბს/1736 წლის 15 ნოემბერს მოაწყვეს შეთქმულება დაფთარდარის სახლში, სადაც შეიკრიბნენ ალ-ფაკარიას ლიდერები. საიდუმლო ნიშანზე რამდენიმე ათეული შეთქმული შეიქრა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სხდომა. ისინი შეეცადნენ მოეკლათ 13 დიდებული, რომლებიც წარმოადგენდნენ ბეილიქათის და ყველა 7 სამხედრო კორპუსის მეთაურებს. მაგრამ მათგან მოიკლა 10: მუჰამად ბეი კატამიში (რომელსაც მოხვდა პირველი ტყვია მუცელში), ალი ბეი კატამიში (ამირ ალ-ჰაჯი), სალიჰ ბეი კატამიში, ოსმან ქათხუდა ალ-კაზდალლი, მისი მოკავშირე აჰმედ ქათხუდა ალ-ჰარბუტლუ, იუსუფ ქათხუდა ალ-ბირკავი აზებანის კორპუსიდან, ხალილ ეფენდი ჩერქეზთა კორპუსიდან, გონულლუს აღა, სალიჰ და ჰამზა ჩორბაშები – თუფენკჯის კორპუსიდან. 1736 წლის ხელფასის ოსმალურ უწყისში ამ ამბავს ენოდება ვაკ'ათ-ი შურ-ანგიზ, ან მძვინვარე ინციდენტი.

თავის გადარჩენა მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეძლო. დახოცილებს თავები მოკვეთეს და სულტან ჰასანის მეჩეთში (იმ ქუჩაზე, რომელიც კაიროს ციტადელის ძირსაა) დააღავეს. როგორც ჯ. ჰასავეი აღნიშნავს, ეს ხოცვა-ჟლეტა იყო ტიპური სქემა ოსმალო ხელისუფლისა, გაენადგურებინა ეგვიპტის კოლექტიური ხელისუფლების (რიასა) მფლობელები და დაუფლებოდა მათ შემოსავლებს.<sup>16</sup>

---

<sup>16</sup> Hathaway 1997, 79.

მიუხედავად ამ ხოცვა-ულეტისა, კატამიშის სახლის რამდენიმე წევრი ცოცხალი დარჩა და, უკვე ახალი ოსმალო ფაშას დახმარებით, განაგრძობდნენ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეგვიპტეში და ბრძოლას ალ-კასიმიას ფრაქციის წინააღმდეგ, ვიდრე მათი ადგილი არ დაიკავა კაზდაღლის და ჯალფის სახლებმა. მათგან პირველი, ფაქტობრივად, გაქართველებული იყო.

მუჰამად ბეი კატამიშის ოჯახის წევრების, მისი პირდაპირი შთამო-მავლების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. თუმცა დღეს ეგვიპტეში მუჰამად ბეი კატამიშს თავის წინაპრად მიიჩნევს ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, შუა საუკუნეების მაკამას ლიტერატურული ჟანრის ამაღლობინებელი იასირ კატამიში.<sup>17</sup>

## ბიბლიოგრაფია

### References

**აპმად შალაბი 1978:** აპმად შალაბი ბ. ‘აბდ ალ-დანი ალ-ჰას-

რი 1978, ავდაჰ ალ-იშარათ ფი-მან თავალლა მისრ ალ-კაპირა  
მინ ალ-უზარა’ვა ლ-ბაშათ, ალ მულაკუაბ ბი ლ-თარიხ ალ-‘აინი,  
ალ-კაპირა (არაბულ ენაზე)

**დოლიძე 2003:** დოლიძე ნ. 2003, იასირ კატამიშის მაკამები, ალმოსავ-

ლეთი და კავკასია, 1, 122-127

**სილაგაძე, ჯაფარიძე 2002:** სილაგაძე ა., ჯაფარიძე გ. 2002, ახალი მა-

სალები XVIII საუკუნის ეგვიპტის ეპიგრაფიკისათვის, თბილისი

**ტაბალუა 1984:** ტაბალუა ი. 1984, საქართველო ევროპის არქივებსა და  
ნიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი

**Bizaro 1601:** Bizaro P. 1601, *Rerum Persicarum Historia, Initia Gentis, Mores, instituta, resque gestas ad hoc usque tempora complectens*, Francofurti

**Çelebi 1938:** Çelebi E. 1938, *Seyahatname*, X, Istanbul

<sup>17</sup> ქართულ ორიენტალისტურ ლიტერატურაში ეს პირველად აღნიშნა არა-ბისტმა ნინო დოლიძემ (დოლიძე 2003, 122-127). ამის შემდეგ მწერალს მისი ქართული ფესვების შესახებ (რაც მან არ იცოდა) აცნობა გოჩა ჯაფარიძემ.

- Crecelius 1981:** Crecelius D. 1998, *The Roots of Modern Egypt. A Study of the Regimes of 'Ali Bey al-Kabir and Muhammad Bey Abu al-Dhabab, 1760-1775*, Minneapolis & Chicago
- Al-Damurdashi 1991:** Al-Damurdashi's Chronicle of Egypt, 1688-1755.  
Al-Durra Al-Musana Fi Akhbar al-Kinana, Translated and Annotated by Daniel Crecelius and 'Abd al-Wahhab Bakr, Leiden-New York-København-Köln
- Geoffreus 1574:** Geoffreus A. 1574, *Hoffhaltung des türkischen Keysers und Othomannischen Reiche, beschreibung, etc.*, Basel
- Hathaway 1997:** Hathaway J. 1997, *The Politics of households in Ottoman Egypt*, Cambridge
- Hathaway 1999:** Hathaway J. 1999, The Household: An Alternative Framework for the Military Society of Eighteenth-Century Ottoman Egypt, *Oriente Moderno*, Nuova serie, Anno XVIII (LXXIX) Indice del vol. I
- al-Jabarti 1994:** 'Abd al-Rahman al-Jabarti's History of Egypt. 'Aja'ib al-Aثار fi 'l-Tarajim wa'l-Akhbar. ed. Thomas Phillip & Moshe Perlmann, Text, vol. I, Stuttgart
- Perry 1743:** Perry Ch. 1743, *View of the Levant, particularly of Constantinople, Syria, Egypt, and Greece*, London
- Pococke 1743:** Pococke R. 1743, *A Desription of the East and Some Other Countries*, vol. I, *Observations on Egypt*, London
- Thevet 1984:** Thevet A. 1984, Cosmographie du Levant, in Jean Chesneau-André Thevet, *Voyages en Égypte des années 1549-1552*, Paris
- Winter 1992:** Winter M. 1992, *Egyptian Society under Ottoman Rule, 1517-1798*, London and New York
- Илюшина 2009:** Илюшина М. Ю. 2009, *Мамлюкский политический режим в Египте в XVIII веке (1711-1798 гг.): Основные направления внутренней и внешней политики*, Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Санкт-Петербург
- Смирнов 2009:** Смирнов В. Е. 2009, *Роль военной организации в формировании и развитии социально-политической структуры османского государства (XVI-XVIII вв.)*, Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва

**Gotcha Djaparidze, Nani Gelovani**

**Muhammad Bey Katamish**

After conquering Egypt by Ottomans in 1517, Georgians emerged among the Mamluks of this country, along with other various ethnic groups. European and Ottoman travelers and Arabian authors wrote about this in the 16<sup>th</sup> -17<sup>th</sup> centuries. Ottoman pay registers indicate a large influx of Georgian slaves to Egypt in the second half of the 17<sup>th</sup> century and the first half of the 18<sup>th</sup> century. Georgians are also found within competing households or factions.

In the first half of the 18<sup>th</sup> century, the famous Egyptian historian al-Jabarti names several Mamluk grandes, who originated from Georgia. The most significant character among them was Muhammad Bey Katamish from al-Fakariyya faction, who confronted al-Kasimiyya faction. He was the first Georgian Bey to establish his own household in Egypt.

Muhammad Bey Qatamish was the Mamluk of Fakari chieftain Qitas Bey and was appointed *amir al-hajj* and *sancak bey* during his master's lifetime. After killing Kitas Bey by the order of Ottoman governor Abidi Pasha in 1126/1714, he fled to Turkey and returned to Cairo in 1138/1725-26, where he assumed the office of *daftardar*. According to al-Jabarti his importance and reputation grew. In 1143/1730 when the Ottoman governor was deposed, Muhammad bey Qatamish was appointed *qa'im maqam*. Than he became *shaykh al-balad* and the greatest of the Egyptian amirs, having full authority and power within his hand, in combination with his *sancak beys*. He remained as an amir of authority, influence and esteem until he was killed in Rajab 11, 1149/ November 15, 1736 in the plot approved by the Ottoman governor Bakir pasha at the house of the *daftardar*. 9 grands constituted leadership (*ri'asa*) of beylicate and seven regiments were killed with him.

Despite the massacre, some members of Katamish household survived and with the support of the new Ottoman governor continued vigorous political activities in Egypt and put up a struggle against al-Kasimiyya faction. It lasted until they were replaced by households of Kazdagli and Jalfi. The first of them has actually Georgianized.

There is no data about Muhammad Bey Katamish family members and his direct descendants. However, today a well-known writer and publicist in Egypt, a regenerator of the middle ages *makama* literary genre - Yasir Katamish considers himself a progeny of Muhammad Bey Katamish.

## თინათინ ქაროსანიძე

### „ახალი“ ტალღის ტერორისტები: ულიდერო ჯიჰადი

თანამედროვე პერიოდში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო რთულდება. ამას განაპირობებს ტერორისტული დაჯგუფებების სიმრავლე და ორგანიზაციების სტრუქტურული მრავალფეროვნება. თანამედროვე ტერორისტული დაჯგუფებები განსხვავდება „ძელი“ ტერორისტული დაჯგუფებებისგან სტრუქტურით და ლიდერობის პრინციპებით. სტრუქტურის ცვლილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა და როგორც აღმოჩნდა, ახალი სახის ტერორისტული დაჯგუფებები უფრო წარმატებული გახდა. სტატიაში განვიხილავთ „ახალი ტერორიზმის“ ორგანიზაციების სტრუქტურულ მოდელს და ახალი ტალღის ტერორისტებს.

ტერორისტული დაჯგუფებების სტრუქტურის ცოდნა ამ დაჯგუფებების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის აუცილებელია. ნებისმიერი ტერორისტული დაჯგუფების ლიდერთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება, სავარაუდოდ, ამ დაჯგუფებების დაშლას ან დასუსტებას გამოიწვევს. შესაბამისად, ასეთი სტრატეგია დაჯგუფების ტიპზეა დამოკიდებული, თუ როგორი სტრუქტურული მონიტორი აქვს და როგორ მოქმედებს. შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ორი ტერორისტული დაჯგუფება და ნათლად დავინახავთ სტრუქტურის განსხვავებას მათ შორის: იაპონური ტერორისტული დაჯგუფება აუმ შინრიკიო და ალ-კაიდა. აუმ შინრიკოს ლიდერის, მასამში ასაპარას<sup>1</sup> დაპატიმრების შემდეგ ორგანიზაციამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა. ალ-კაიდას შემთხვევაში კი უსამაბინ ლადენის მოკვლამ, მართალია, ორგანიზაცია შეასუსტა, მაგრამ ის მოქმედებას ისევ განაგრძობს. ალ-კაიდას ამჟამინდელი ლიდერი აიმან აზ-ზავაჰირი აცხადებს, რომ ორგანიზაცია ისევ განაგრძობს აქტიურად მოღვაწეობას. როგორც აღმოჩნდა, ბინ ლადენის მოკვლამ ორგანიზაცია ბოლომდე ვერ გაანადგურა, რადგან ალ-კაიდა არ არის დაფუძნებული

<sup>1</sup> 1995 წელს ტოკიოს მეტროში აუმ შინრიკოს დაჯგუფებამ ზარინის აირი გაუშვა, რასაც 12 ადამიანი ემსხვერპლა, 50 – დაზარალდა, 1000 ადამიანს კი მხედველობის პრობლემები დაეწყო.

ორგანიზაციულ მკაცრ იერარქიაზე, არამედ ჰორიზონტალური უჯრე-დოვანი სტრუქტურის მიხედვით მოქმედებს.

ტერორისტებთან მოლაპარაკებების პრაქტიკამ ასევე აჩვენა, რომ უფრო წარმატებულია მოლაპარაკება, თუ წარმოებს ისეთ ლიდერთან, რომელიც სრულად აკონტროლებს ორგანიზაციის წევრებს. დეცენტრალიზებული დაჯგუფებები კი საპირისპიროს ამჟღავნებენ და მათ-თან მოლაპარაკება ძალიან რთულია. რომელიმე ლიდერზე თავდასხმის შემთხვევაშიც კი ეს სტრატეგია არ ამართლებს, რადგან გავლენას დეცენტრალიზებული ორგანიზაციის საქმიანობაზე ვერ ახდენს.<sup>2</sup>

ტრადიციულად ტერორისტული დაჯგუფებები, კორპორაციების მსგავსად, მკაცრი იერარქიის მოდელის მიხედვით ყალიბდებოდა. ასეთი ორგანიზაციების მაგალითებიდან გამოვყოფთ პალესტინური მებრძოლი დაჯგუფებებიდან უძველეს გაერთიანებას – პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას, რომელსაც იასირ არაფათი ხელმძღვანელობდა. ასევე შეგვიძლია დავასახელოთ პალესტინის გათავისუფლების ფრონტი აბუ აბასის მეთაურობით და ა.შ. მკაცრი იერარქიის ტერორისტულ დაჯგუფებად ასახელებენ ჰეზბოლას (ლიბანი)<sup>3</sup>, რომელსაც პოლიტიკურ-რელიგიურ ლიდერთა მცირე დაჯგუფება – ულამა ადგილობრივად მართავს და ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას<sup>4</sup>, რომელსაც უწოდებენ „იერარქიულად ორგანიზებულ ავტორიტარულ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციულ და არაოპერაციულ ეფექტურობას“.<sup>5</sup> მკაცრი იერარქიული სტრუქტურა ჰქონდა ასევე შრი-ლანკის თამილელ ვეფხვებს, სადაც ორგანიზაციის ყველა წევრი ლიდერს, ველუპილაი პრაბ-ჰაკარანს, ემორჩილებოდა.

მკაცრი იერარქიის ტერორისტულ დაჯგუფებებში ტერაქტების დაგეგმვასა და ხშირად განხორციელებაშიც კი ლიდერები მონაწი-

<sup>2</sup> Rowlands , Kilberg 2011, 3.

<sup>3</sup> Henderson 2004, 47.

<sup>4</sup> Dishamn 2012, 335.

<sup>5</sup> Nacos 2008, 154; Henderson 2004, 35.

<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ თამილის ვეფხვების ორგანიზაციაში სუიციდური ტერაქტის შემსრულებლისთვის ჯილდოს ოპერაციის წინა საღამოს ორგანიზაციის ლიდერთან, ველუპილაი პრაბჰაკარანთან, სადილი წარმოადგენდა. სწორედ ასეთი ფაქტები მონმობს ლიდერის უპირობო მორჩილებას და მის დიდ ავტორიტეტს.

ლეობდნენ. გერმანიაში მოქმედი წითელი ბრიგადების დამფუძნებელ ლი-დერებს, ანდრეას ბაადერს და ულრიკე მაინცოფს, ბანკების ძარცვისა და დაწვის ბრალდებით სამი სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს; 2002 წელს პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის გენერალური მდივანი აპმად სა'დათი პალესტინის ხელისფლებამ ისრაელის მინისტრის, რეპა-ვამ ზევეის, მკვლელობაში ბრალდებით დააპატიმრა.<sup>7</sup>

სწორედ იმ მიზეზით, რომ ლიდერები დაპატიმრეს ან მოკლეს, მკაცრი იერარქიის სტრუქტურის ორგანიზაციებმა, რომლებიც ლიდერ-ზე დამოკიდებული იყვნენ, მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს. კვლევებმა აჩვენა, რომ გამოკვლეული 249 ტერორისტული ჯგუფიდან 1979-2007 წლებში 170-მა საქმიანობა შეწყვიტა. მიზეზი ძირითადად ორგანიზაციის ლიდერის მოკვლა, დაპატიმრება, გაქცევა ან ბუნებრივი სიკვდილი იყო.<sup>8</sup>

ბევრმა ასეთმა ულიდეროდ დარჩენილმა ტერორისტულმა ორ-განიზაციამ სტრუქტურა ვერ შეინარჩუნა და საწვრთნელი ბაზები და ფინანსური მხარდაჭერა დაკარგა. ამიტომ ზოგი ძულებული გახდა, უბრალოდ საქმიანობა შეეწყვიტა (თამილის ვეფხვების დაჯგუფებამ შრი-ლანკაში, ხელისუფლებასთან 2009 წლის შეთანხმებით, თავი დაშლი-ლად გამოაცხადა); ალ-კაიდა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების და მისი ლიდერის უსამა ბინ ლადენის მოკვლის შემდეგ იძულებული გახდა, საქმიანობა იატაკებები განეგრძო და მოქმედების არეალი პაკისტანში შემოეფარგლა.<sup>9</sup>

მკაცრი იერარქიის ტერორისტული დაჯგუფებების სტრუქტურული ცვლილებების ერთიანი მოდელი არ არსებობს. შემდგომი მოქმედების სამ მოდელს გამოყოფენ:

ნაკლებად კონტროლირებად თუ უკანონო რეგიონებში მოქმედება, როგორიცაა FATA - ფედერალურად ადმინისტრირებული ტომობრივი მხარეები; ცეცხლის შეწყვეტა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მო-ლაპარაკება, როგორც მოხდა ფილიპინებში მოროს ისლამური გათავისუ-ფლების ფრონტის შემთხვევაში; ადგილობრივი ხელისუფლებებისგან თუ სახელმწიფოებისგან მხარდაჭერა.<sup>10</sup>

<sup>7</sup> Enders, Jindapon 2010, 262-263.

<sup>8</sup> Rowlands, Kilberg 2011, 7.

<sup>9</sup> Migaux 2007, 328-329.

<sup>10</sup> Acharya, Marwa 2011, 4.

თანამედროვე პერიოდში ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ნელ-ნელა უარი განაცხადეს მკაცრ იერარქიულ სტრუქტურაზე და უფრო „ულიდერო წინააღმდეგობის“ მოდელს მიმართეს. ასეთი მოდელის იდეის მიხედვით, ორგანიზაციაში გაერთიანებული ყველა დაჯგუფება თუ უჯრედი ერთმანეთისგან და ცენტრალური ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

ტერორიზმის ისტორიაში დამოუკიდებლად მოქმედების ტაქტიკა მას შემდეგ გახშირდა, რაც ცალკეული მარტოხელა ტერორისტები გაჩნდნენ, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ტიმოთეი მაქვეი, რომლის სახელს 1993 წლის ოკლაპომას ტერაქტი უკავშირდება, ასეთი დამოუკიდებელი უჯრედის ნათელი მაგალითია. არ არსებობს დადასტურებული ფაქტები იმისა, რომ მაქვეი ვინმე ზემდგომისგან იღებდა დაფინანსებას, დახმარებას თუ ბრძანებებს ამ ტერაქტის განხორციელებისთვის. როგორც ცნობილია, ის მარტო მოქმედებდა.

ინდივიდუალურ ტერორისტებს ამერიკელი „მარტოხელა მგლებიც“ მიეკუთვნებიან. 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ მარტოხელა ტერორისტების მიერ ორგანიზებული ტერაქტები აშშ-ში გახშირდა. მაგალითად, 2009 წლის აპრილში რიჩარდ პოპლავსკიმ, ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ექსტრემისტულ საიტებზე რასისტული განცხადებებით გამოიჩინდა, პენსილვანიაში პოლიციის ოფიციელს ცეცხლი გაუხსნა და სამი მათგანი მოკლა.<sup>11</sup>

ასეთ „მარტოხელა მგლებს“ ანტიაბორტული მოძრაობის წევრებიც მიეკუთვნებიან, რომლებიც ტერაქტებს აბორტების აკრძალვის მოთხოვნით ახორციელებენ. ხშირად ეს ადამიანები რომელიმე ორგანიზაციის წევრები არ არიან და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებით კლავენ. მაგალითად, 2009 წელს ანტიაბორტული კამპანიის აქტივისტმა, სკოტ როდერმა, ექიმი მოკლა, რომელიც დაგვიანებულ აბორტებს აკეთებდა.<sup>12</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიაბორტული მოძრაობის წევრები ტერორისტულ აქტებს გასული საუკუნის 90-იან წლებშიც ახორციელებდნენ, მაგრამ აშშ-ში მათი ქმედება ტერორიზმად არ ფასდებოდა. 1996 წელს ერიკ რობერტ რუდოლფმა ოლიმპიური თამაშების დროს ატლანტაში პარკი ააფეთქა, სადაც აბორტების კლინიკა იყო განლაგებული;<sup>13</sup> 1998

<sup>11</sup> Hamill 2009.

<sup>12</sup> Slevin 2009.

<sup>13</sup> Michael 2012, 258.

წელს ანტიაბორული მოძრაობის აქტივისტმა, ჯეომს ჩარლზ კოპმა, ამერიკული ექიმი და აბორტების პროვაიდერი ბარნეთ სლეპიანი მოკლა. ამ ტერაქტზე კომენტარისას ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ეს შემთხვევა კრიმინალად შეაფასა.

2001 წლამდე მხოლოდ ერთადერთი „მარტოხელა მგელი“ – ტიმოთი მაქვე შეფასდა ტერორისტად და მისი ქმედება ტერორისტულ აქტად. 1993 წელს ოკლაპომაში შენობის აფეთქებას 186 ადამიანი ემსხვერპლა. ასეთი დიდი რაოდენობის მსხვერპლის გამო ამერიკის ხელისუფლება იძულებული გახდა, აქტი ტერორისტულ ქმედებად ჩაეთვალა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ კი ამერიკაში მიდგომა შეიცვალა და „მარტოხელა მგლები“ ტერორისტებად შერაცხეს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თანამედროვე ტერორისტული დაჯგუფებები უფრო ულიდერო ორგანიზაციულ სტრუქტურას იყენებს, ლიდერის გარეშე არც მკაცრად იერარქიული და არც დამოუკიდებელად მოქმედი უჯრედები იარსებებს. ლიდერი ორგანიზაციის ფილოსოფიას, იდეოლოგიას აყალიბებს, სხვებს არწმუნებს, ის აღასრულონ, რასაც ქადაგებენ. ორგანიზაციის სტრუქტურულ ცვლილებებს ხშირად თვითონ ხელმძღვანელობაც უარყოფითად უყურებს და ცდილობს, ყველა უჯრედი თუ დაჯგუფება კვლავ აკონტროლოს. ალ-კაიდას ლიდერი აიმან აზ-ზავაჰირი ასევე ცდილობდა, აბუ მუსაბ აზ-ზარქავის, ალ-კაიდას ორდანის ფილიალის მეთაურის, ქმედებებზე კონტროლი დაემყარებინა. ეს მის წერილშიც კარგად ჩანს, რომელიც 2005 წლის 9 ივლისს ამ უკანასკნელს გაუგზავნა. იმის მიუხედავად, რომ წერილში აზ-ზავაჰირი პატისმგებლობებს მომავალ ქმედებებზე აზ-ზარქავის აკისრებს, „მოქმედების სამუალების“ თავისუფლებასაც აძლევს. შედეგად 2005 წლის 9 ნოემბერს ამანში (იორდანია) აზ-ზარქავიმ სასტუმროები ააფეთქა, რასაც 60 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 100-მდე – კი დაზარალდა. ერთ-ერთ სასტუმროში საქორწინო ცერემონია მიმდინარეობდა, რასაც 900-მდე მუსლიმი ესწრებოდა. ამ ტერაქტს შედეგად აზ-ზარქავის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოჰყვა, სადაც სკანდირებდნენ: „ცეცხლში დაიწვი, აბუ მუსაბ აზ-ზარქავი“!<sup>14</sup>

<sup>14</sup> Enders, Jindapon 2010, 264.

უჯრედოვანი ჰორიზონტალური სტრუქტურის საუკეთესო მაგალითია ორგანიზაცია აღ-კაიდა.<sup>15</sup> ჰორიზონტალური უჯრედოვანი სტრუქტურის დანერგვა უსამა ბინ ლადენმა ჯერ კიდევ XXს-ის 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც მთელ მსოფლიოში გლობალური ქსელის შესაქმნელად ემისრები დააგზავნა. აღ-კაიდას დაჯგუფება სწორედ ასეთ პრინციპზე დაარსდა. მხოლოდ აღ-კაიდა ბინ ლადენის მიზნებისთვის საკმარისი ვერ იქნებოდა. ამიტომ 1998 წელს ბინ ლადენი ავღანეთში ეგვიპტური ისლამური ჯიპადის დაჯგუფების ლიდერს, აიმან აზ-ზავაჰირის და ბანგლადეშის ჯიპადის დაჯგუფების მეთაურს, ფაზულ რაჰმანს ხვდება და „ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ისლამურ ფრონტს“ აარსებს. ფრონტის მიზნები 1998 წელს გამოცემულ ფათვაში გახდა ცნობილი, რომელსაც ხელს აწერდნენ: უსამა ბინ ლადენი, აიმან აზ-ზავაჰირი, ფაზულ რაჰმანი, აჰმად რიფა'ი ტაჰა (ეგვიპტის აღ-გამაა აღ-ისლამიას ლიდერი) და მირ ჰამზა (პაკისტანის ისლამური ჯიპადის მეთაური). ამ ფრონტის მიზანი იყო მთელ მსოფლიოში ისლამის დომინირება და ისლამის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამურ ფრონტში დამოუკიდებელი ისლამისტური ორგანიზაციები გაერთიანდა: აღ-გამაა აღ-ისლამია (ეგვიპტე), პაკისტანის ისლამური დაჯგუფებები, ბანგლადეშის ისლამური ჯიპადი. ბინ ლადენის მიერ შეკრებილი ორგანიზაციები სწორედ ჰორიზონტალური სტრუქტურის მიხედვით მოქმედებდნენ: არ არსებობს ერთი, ცენტრალური მმართველობა, ერთიანი შტაბები. ამ ქსელურ გაერთიანებაში ერთი ლიდერი არ არსებობდა, რამდენიმე ლიდერი იყო (თითოეულ ორგანიზაციას თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა). ამ გაერთიანებაში ბინ ლადენი საბჭოს ხელმძღვანელი იყო, აიმან აზ-ზავაჰირი კი – მისი მარჯვენა ხელი, რომელიც აღმასრულებელი ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა. საბჭოს წევრები იყვნენ სხვადასხვა კომიტეტის მეთაურები. აღ-კაიდას მართვა ეფუძნება კომიტეტების სტრუქტურას. ორგანიზაციაში რამდენიმე კომიტეტი გამოიყოფა:

პოლიტიკური კომიტეტი ანუ შურა, რომლის ფუნქციას ფათვების გამოცემა და ისლამის კანონის საწინააღმდეგო ქმედების შესახებ ბრძანების გაცემა წარმოადგენს;

<sup>15</sup> Dishamn 2012, 337.

სამხედრო კომიტეტი, რომლის ფუნქციაც ალ-კაიდას საწვრთნელი ბანაკების მართვა და თავდასხმების დაგეგმვაა;

საფინანსო კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქცია ფონდების მოზიდვა და ალ-კაიდას ცხოვრების და ოპერაციების ფინანსების განერაა;

უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც დაზვერვაზე, ალ-კაიდას ლიდერების და ალ-ჯურვილობის დაცვაზეა პასუხისმგებელი;

საგარეო შესყიდვების კომიტეტი, რომლის ფუნქცია იარაღის, ალ-ჯურვილობის და ასაფეთქებლების შესყიდვაა.<sup>16</sup>

ალ-კაიდას საწვრთნელი ბანაკების მუშაობის პრინციპიც ასევე ჰორიზონტალურად შეიძლება ჩავთვალოთ. როგორც ყოფილი წევრების ჩვენებებიდან ირკვევა: ბანაკებში ერთიანდებიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მოჯაპედები, თითო ჯგუფში 30 მებრძოლია. თითო ჯგუფს ჰყავს საკუთარი ხელმძღვანელი, რომლის უშუალო დავალებებს ასრულებენ მებრძოლები. ჯგუფები დამოუკიდებელია და სხვა ჯგუფებისგან დამოუკიდებლად გადის წვრთნას.

საინტერესოა, რომ იატაკევეშა ტერორისტული დაჯგუფებების მოწყობის და სტრუქტურის შესახებ წერილობითი ინსტრუქციები არსებობს. „ჯიპადის ენციკლოპედიაში“ იატაკევეშა საქმიანობის უჯრედების შექმნის ინსტრუქციები, დაზვერვის, დაგეგმარების და მომზადების ერთეულებთან ერთად, დეტალურადაა მოცემული. ასეთი უჯრედები პრობლემებს უქმნის შესაბამის სამსახურებს, აღმოაჩინონ მსგავსი უჯრედები. მაგალითად, ერთ სტატიაში „ჯიპადის კულტურა“, რომელიც ინტერნეტში გამოჩინდა, საუდელი ისლამისტი წერდა, რომ ოპერაციების განხორციელებისთვის მას უსამა ბინ ლადენთან შეთანხმება არ სჭირდებოდა, ისევე როგორც ლოცვის აღვლენისას თუ „ეპრაელების და ჯვაროსნების“ მოსაკლავად ფიქრისას.<sup>17</sup>

გლობალური ჯიპადის რადიკალ ტერორისტებს შორის მეცნიერები (სეიჯმანი) სამ ტალღას გამოარჩევენ: პირველ ტალღაში შედიან ის ავღანელი არაბები პაკისტანიდან და ავღანეთიდან, რომლებიც გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდნენ. როგორც წესი, ავღანეთის მუჯაპედები განათლებული საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც 30 წლის ასაკში იარაღ

<sup>16</sup> Nacos 2008, 157.

<sup>17</sup> იქვე, 155.

აიღეს ხელში. მათი დიდი ნაწილი ალ-კაიდას ორგანიზაციაში წამყვან თანამდებობებს ფლობს, ნაწილი კი პაკისტანში საქმიანობს.

მეორე ტალლას ახლო აღმოსავლეთიდან გამოსული ელიტა შეადგენს, რომელმაც განათლება დასავლეთში მიიღო. სამშობლოდან და ოჯახიდან მოშორებამ ახალგაზრდების მარგინალიზაცია და რადიკალიზაცია გა-მოიწვია. შედეგად, ისინი ალ-კაიდას საწვრთნელ ბანაკებში აღმოჩნდნენ.

მესამე ტალლას პოტენციური ტერორისტები ქმნიან, რომლებიც ერაყში ამერიკის შექრამ გააღიზიანა და მათ „ჩაგრულების“ დაცვა მოხა-ლისებად ომში წასვლით თუ სხვა ქმედებებით გადაწყვიტეს.<sup>18</sup> ალ-კაი-დას ცენტრალურ დაჯგუფებაში მათ გაწევრიანების საშუალება არ აქვთ, რადგან 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ალ-კაიდა იძუ-ლებულია, განსაკუთრებული სიფრთხილით იატაკებები იმოქმედოს.<sup>19</sup> ამის გამო ტერორისტების მესამე ტალლის წარმომადგენლები კომუნიკაციი-სთვის ვირტუალურ სამყაროს – ინტერნეტს იყენებენ. სწორედ ასეთი რადიკალი ჯიპადისტები სოციალურ დეცენტრალიზებულ სტრუქტურას – ულიდერო ჯიპადს ქმნიან.<sup>20</sup>

ულიდერო ჯიპადი თვითრეკრუტირებულთა ჯიპადი გახდა. ზოგი მკვლევარი (აჩარია, მარვა) თვითგანვრთნილ ტერორისტებს „სახლში გაზრდილ ჯიპადისტებს“ უწოდებენ.<sup>21</sup> ამის ნათელი მაგალითებია ევრო-პაში 2000 წლის შემდეგ განხორციელებული ტერაქტები. 2004 წლის მარ-ტში მადრიდში მომხდარი აფეთქებები თვითრეკრუტირებული ჯიპადის აშკარა მაგალითია. აფეთქებაში მონაწილეები ახალგაზრდა ემიგრანტე-ბი იყვნენ მაროკოდან, რომლებიც ესპანეთში ნარკოტიკების სავაჭროდ ჩავიდნენ. მათი არაფორმალური ლიდერი ჯამალ აჰმიდანი, რომელიც კრიმინალურ საქმიანობაში იყო შემჩნეული, 2003 წელს მაროკოს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ (სავარაუდო მკვლელობის ბრალდებით სამი წელი მოიხადა), ერაყის ომით დაინტერესდა. ის წარმოშობით თუნისელ აბდელმაჯიდ ფახეთს დაუკავშირდა, რომელიც მადრიდში ეკონომიკაში დოქტორის ხარისხის მისაღებად ჩავიდა. ესპანეთში უცხოელ მუსლიმთა

<sup>18</sup> Sageman 2008a, 227.

<sup>19</sup> იქვე, 224.

<sup>20</sup> Sageman 2008b, 38-39.

<sup>21</sup> Acharya, Marwa 2011, 1.

ქსელს სწორედ ასეთი ადამიანები შეადგენდნენ. მათ მოგვიანებით მა-დრიდის აფეთქებები დაგეგმეს. ესპანეთის პოლიციამ მათ კვალს მალე-ვე მიაგნო, თუმცა ფახეთმა, აპმიდანმა და მისმა თანამოაზრებმა თავი აიფეთქეს, როდესაც პოლიციამ შეუტია.<sup>22</sup>

მადრიდის პოლიციამ ალ-კაიდასა და აფეთქებებს შორის კავშირი ვერ იპოვა. 2007 წლის სასამართლო პროცესი იმ დასკვნით დასრულდა, რომ ალ-კაიდა მადრიდის აფეთქებებში უშუალოდ არ მონანილეობდა, მაგრამ ამ ორგანიზაციამ შემსრულებლები წაახალისა.

ულიდერო ჯიპადისტების სამოქმედო არეალი მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლება. 2006 წლის ივნისში კანადის პოლიციამ ახალგაზრდების ჯგუფი დააკავა, რომელიც ტორონტოსა და ოტავაში ტერაქტებს გეგმავდა. დაკავებისას ჯგუფს ბომბებისთვის საჭირო საკმაო რაოდენობის მასალა აღმოუჩინეს. როგორც გაირკვა, ჯგუფის მთავარი წევრები ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან მეგობრობდნენ, როდესაც „რელიგიური ცნობიერების კლუბი“ დააარსეს. მათ ასევე ინტერნეტფორუმი შექმნეს, სადაც რელიგიურ, პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ მოსაზრებებს ერთ-მანეთს უცვლიდნენ. დაჯგუფების ქსელში მოზარდებს შორის შიდა ქორნინებებიც კი ხდებოდა. დაჯგუფების ქსელი ისე გაიზარდა, რომ მათ სხვადასხვა საიტის მეშვეობით რეკომენდაციების მიცემა დაიწყეს, თუ როგორ აეფეთქებინათ შენობები. ამ ფორუმში ბოსნიდან, დიდი ბრიტანეთიდან, დანიიდან, შვედეთიდან ბევრი რადიკალი გაერთიანდა და აფეთქებებს აქტივურად გეგმავდა. თუმცა, აქვე ისევ და ისევ უნდა აღინიშნოს, რომ ალ-კაიდასთან კონტაქტები არ დადასტურდა.

ინტერნეტის და სოციალური ქსელების გამოჩენამ ულიდერო ჯიპადის მოძრაობის უჯრედების გავრცელებას ხელი უფრო მეტად შეუწყო. ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ინტერნეტით კონტაქტებს მარტივად ამყარებენ ისე, რომ ერთმანეთს პირადად შეიძლება არც იცნობდნენ. სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაცია ინდივიდებზე, რომლებიც ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ინტერნეტით იპოვა და თავის ორგანიზაციაში გაერთიანა. ამის საინტერესო მაგალითია „ირპაბ 007“, მაგალითი, თუ როგორ მიიპყრო ახალგაზრდამ ინტერნეტზე ტერორისტული დაჯგუფებების ვიდეოების გავრცელებით ერთ-ერთი დაჯგუფების ყურადღება.<sup>23</sup>

<sup>22</sup> Sageman 2008ბ, 39.

<sup>23</sup> ირპაბ არაბული სიტყვაა და ქართულად ტერორიზმს ნიშნავს. ეს სახელი თვითონ დაირქვა.

ულიდერო ჯიპადისტების ახალი თაობა როგორც ტერორისტულ დაჯგუფებებს, ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურებს ბევრ თავსატეხს უჩენს. რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები იმ ტერორისტების მიმართ სოლიდარობას გამოხატავენ, რომლებსაც არც კი შესვედრიან. ისინი ცდილობენ, ინტერნეტის მეშვეობით უფრო დიდ ქსელებს დაუკავშირდნენ და ადგილობრივი ტერაქტები სწორედ ასეთი ინტერნეტფორმუმებისგან მიღებული რჩევების მიხედვით დაგეგმონ და განახორციელონ. ახალი თაობის ჯიპადისტების აღმოჩენა ძალიან რთულია, რადგან მათ ცნობილ ტერორისტებთან თუ ტერორისტულ დაჯგუფებთან კავშირები არ აქვთ, ანუ მათ არ ჰყავთ ლიდერი, რომელსაც ემორჩილებიან. მართალია, მათ საქმიანობას ზღუდავს მათი გამოუცდელობა და საბრძოლო მოუმზადებლობა, თუმცა ეს მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანი არ არის.

ისმის კითხვა: რატომ იბრძვიან ულიდერო ჯიპადისტები? რა განაპირობებს ჩვეულებრივი ადამიანების გადაქცევას ფანატიკოსებად?

ახალი თაობის ჯიპადისტების ქცევის ახსნას მათ ემოციებში პოულობენ. ისლამისტების გრძნობებს ის ომები იწვევდა, რაც მუსლიმების წინააღმდეგ მსოფლიოში მიმდინარეობდა. მაგალითად, XXს-ის 80-იან წლებში ავღანეთში საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული ომი ავღანელების წინააღმდეგ პირველი მნიშვნელოვანი კატალიზატორი აღმოჩნდა; ამას გასული საუკუნის 90-იან წლებში ომები ბოსნიაში, ჩეჩენეთსა და ქაშმირში მოჰყვა. 2003 წელს ერაყში შეჭრა მთელ მსოფლიოში მუსლიმთა მორალური აღშფოთების პიკი აღმოჩნდა. ასეთ ომებს აბუ ლრაიბის და გუანტანამოს ციხეებში პატიმრების წამების ფაქტები დაემატა. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლებების პროამერიკული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მუსლიმ მოსახლეობას მსხვერპლად ყოფნის შეგრძნებას უდვივებდა. ისინი თვლიდნენ, რომ საკუთარი ხელისუფლებების ხელში სათამაშოს წარმოადგენდნენ.

ასეთი ფაქტებით გამოწვეული მორალური აღშფოთება ექსტრემიზმში გადაიზარდა. ახალი თაობის ჯიპადისტები მას დასავლეთის ერთიან სტრატეგიად მიიჩნევენ, რომელსაც „ისლამის წინააღმდეგ ომს“ უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტთა ახალი ტალღის გამოჩენა სიღარიბის, გაუნათლებლობის, უმუშევრობის თუ ფსიქოლოგიური მიზეზებით კი არ არის გამოწვეული, არამედ სწორედ მორალურ აღშფოთებას უკავშირდება. ახალი თაობის ტერორისტები მუსლიმი მეცნიერები არ

არიან. მუსლიმი თეოლოგები მათ მოსაზრებას ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესახებ არ ემხრობიან, თუმცა მედია ყურადღებას ამახვილებს იმ თვითგამოცხადებულ იმამებზე, რომლებიც ძალადობისკენ მოუწოდებენ.<sup>24</sup> ახალი ტალღის ტერორისტები ერაყსა თუ სირიაში მოხალისეებად საომრად მიდიან არა თეოლოგიური მოსაზრებების გამო, არამედ საკუთარი საგმირო ფანტაზიების ხორცებისათვის. მათ სჯერათ, რომ განსაკუთრებულები არიან და საკუთარ თავს VII საუკუნის მუსლიმ მებრძოლ გმირებად მიიჩნევენ. მათი მიზანია უკეთესი მსოფლიოს აშენება და ეს მოციქულ მუჰამადის პერიოდს უკავშირდება, რომელიც მათთვის ისლამის ოქროს ხანაა.

ის, თუ როგორ უყურებენ ინდივიდები „ისლამის წინააღმდეგ ომს“, ქვეყნების მიხედვით იცვლება. ევროპასა და ამერიკაში ინდივიდების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ განსხვავდება. გამოკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ „ამერიკული ოცნების“ მუსლიმ ამერიკელთა 71% და ამერიკის მოსახლეობის მხოლოდ 64% სჯერა.<sup>25</sup> ევროპაში ეროვნული მითები უკავშირდება „პრიტანელობას“, „ფრანგობას“, „გერმანელობას“ და ა.შ. ასეთი მითები არაევროპელ მუსლიმ ემიგრანტებს ცალსახად გამორიცხავს იმის მიუხედავად, რომ მათ შესაძლოა კუთვნილების შეგრძნება ჰქონდეთ.<sup>26</sup>

ახალგაზრდა თაობის რადიკალიზაციას და მობილიზაციას სწორედ ის სოციალური მედია და ფორუმები უწყობს ხელს, რომელიც ბოლო პერიოდში ასე მრავლად ჩნდება. რამდენიმე წლის წინ ასეთი მობილიზაციებისთვის ისეთი დაჯგუფებები გამოიყენებოდა, როგორიცაა სტუდენტური კავშირები, ადგილობრივი ბანდები, პროფესიული კავშირები, მეჩეთებთან არსებული რადიკალური დაჯგუფებები. ასეთ დაჯგუფებებში გაერთიანებული ადამიანები გადაწყვეტილებებს ერთად და არა ინდივიდუალურად იღებდნენ. მათი შურისძიების თუ ბრძოლის მოტივაცია გამოწვეული იყო ხოლმე მათი მეგობრების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობით.

ბოლო წლებში ასეთი რადიკალიზაცია გადავიდა ონლაინრადიკალიზაციაში. ფორუმებზე მომხმარებლები ინფორმაციას და იდეებს

<sup>24</sup> Sageman 2008a, 224.

<sup>25</sup> Pew Research Centre 2007, 30.

<sup>26</sup> Sageman 2008b, 41.

თავისუფლად ცვლიან და ამისთვის პირადი ნაცნობობაც კი არ არის საჭირო. ასეთი ფორუმები თითქოს „უხილავ ხელს“ წარმოადგენს, რომელიც მთელ მსოფლიოში ტერორისტულ საქმიანობას არეგულირებს. აღ-კაიდას ცენტრალურ ორგანიზაციას არ შეუძლია, ერთი ლიდერის მეშვეობით აკონტროლოს ახალი მესამე ტალღის წევრები, რადგან მათ პირადად არც კი იცნობს. სეიჯმანი თვლის, რომ ასეთი კონტროლის გარეშე დამოუკიდებელი უჯრედები ქსელთან კავშირს განსყვეტენ, რადგან ქმედებებს საკუთარი მოსაზრებებით დაიწყებენ. აღ-კაიდას პირველი და მეორე ტალღის წევრთა დიდი ნაწილი მოკლეს, რჩება ახალი თაობის წევრები, რომლებიც დამოუკიდებელ უჯრედებში ერთიანდებიან და შესაბამისად ცენტრალური ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. მათ მხოლოდ საერთო იდეოლოგია აერთიანებთ, ბრძოლის არეალი და სტრატეგია კი შესაძლოა განსხვავდებოდეს.

ასეთი ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია მათი რადიკალიზაციის და ტრანსფორმაციის პროცესის გაგება. ამ პროცესს სეიჯმანი ოთხ ნაწილად ყოფს: მორალური აღშფოთების გრძნობა, მსოფლიოს სპეციფიკური ინტერპრეტირება, რეზონანსი პირად გამოცდილებებთან ერთად, ქსელის მეშვეობით მობილიზაცია. ეს ფაქტორები არ არის პროცესის ეტაპები, არამედ უბრალოდ დამოუკიდებელი ფაზებია ამ პროცესში. ამ პროცესში ახალგაზრდა ჯიპადისტები ენთუზიასტი მოხალისეები არიან, რომლებიც ცდილობენ, მეგობრები გააოცონ გმირობით და მსხვერპლშენირვით. სუიციდი ტერორისტები ანუ შაჰიდები (როგორც უწოდებენ საკუთარ თავებს) ახალგაზრდა მუსლიმებს შორის როკვარსკვლავები ხდებიან.<sup>27</sup>

ახალი ულიდერო ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას სწორედ ეს ზემოთ მოტანილი ფაქტორები ართულებს. საჭიროა სტრატეგიის ცვლილება და რაც შეიძლება სწრაფად, რადგან ახალი ტალღის ტერორისტთა ქმედებების წინასწარ განსაზღვრა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული და, სავარაუდოდ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან მსოფლიოს.

<sup>27</sup> Sageman 2008a, 225.

## ბიბლიოგრაფია

### References

- Acharya, Sonal: 2011:** Acharya A. Sonal M. 2011, Nizam, la Tanzim (System, not Organization): Do Organizations Matter in Terrorism Today? A study of the November 2008 Mumbai Attack, *Studies in Conflict & Terrorism*, Routledge, 34, 1-16
- Enders, Jindapon 2010:** Enders W. Jindapon P. 2010, Network Externalities and the Structure of Terror Networks, *The Journal of Conflict Resolution*, vol. 54, No. 2, Terorism and Policy, 262-280
- Hamill 2009:** Hamill D. S. 2009, Man Accused in Pittsburg Killings Voiced Racist View Online, *New York Times*, 7 April; [http://www.nytimes.com/2009/04/07/us/07pittsburgh.html?\\_r=0](http://www.nytimes.com/2009/04/07/us/07pittsburgh.html?_r=0)
- Henderson 2004:** Henderson H. 2004, *Global Terrorism, The Complete Reference Guide*, n.p.
- Michael 2012:** Michael G. 2012, Leaderless Resistance: The New Face of Terrorism, *Defense Studies*, vol. 12, No. 2, June, 257-282
- Migaux 2007:** Migaux P. 2007, Al-Qaeda, in: *History of Terrorism from Antiquity to Al Qaeda*, edited by Gerard Challand and Arnaud Blin, Berkley and Los Angeles, CA., 314-348.
- Nacos 2008:** Nacos Brigitte I. 2008, *Terrorism and counterterrorism, Undestanding threats and responses in the post-9/11 world*, New York
- Pew Research Centre 2007:** Pew Research Centre, 2007, *Muslim Americans: Middle class and mostly mainstream*, <http://www.pewresearch.org/files/old-assets/pdf/muslim-americans.pdf>;
- Rowlands, Kilberg 2011:** Rowlands D., Kllberg J. 2011, Organizational Strucure and the Effects of Targeting Terrorist Leadership, *Centre for Security and Defense Studies (CSDS) working papers*, Canada, [www.carleton.ca/csds/working\\_papers.htm](http://www.carleton.ca/csds/working_papers.htm);
- Sageman 2008a:** Sageman M. 2008, A Startegy for Fighting International Islamist Terrorists, *Annals of the American Academy of Political and Social Sciences*, vol. 618, Terrorism: What the Next Oresident Will Face, July, 223-231; <http://www.jstore.org/stable/40375787>
- Sageman 2008b:** Sageman M. 2008, The Next Generation of Terror, *Foreign Policy*, No. 165 (Mar.-Apr., 2008), 36-42; <http://www.jstore.org/stable/25462270>

**Slavin 2009:** Slevin P. 2009, Slaying Raises on Both Sides of Abortion Debate, *Washington Post*, 2, June, <http://www.prochoicecalifornia.org/media/news/20090602.shtml>

### **Tinatin Karosanidze**

#### **New Wave Terrorists: Leaderless Jihad**

In modern times, the fight against terrorism is becoming more difficult. This is due to a multitude of terrorist groups and organizations in the structural diversity. Modern terrorist groups differ from the “old” ones due to their structure and leadership principles. Several factors have led to a change in the structure and as it turned out, a new kind of terrorist groups have become more successful. The article discusses the structural model of “new terrorism” and the new wave of terrorists.

Knowledge of the structure of these groups in the effective fight against terrorism is necessary. Any action against the leaders of the terrorist group is expected to weaken or cause a collapse of these groups. Accordingly, such a strategy depends on the type of organization. We can compare two terrorist groups and we can clearly see the difference in structure between them: Japanese terrorist group Aum Shinrikyo and Al-Qaeda. After the arrest of the leader of Japanese organization Masaoyshi Asakhara, Aum Shinrikyo was dismantled. Al-Qaeda, despite the killing of Osama bin Laden it continues to operate, notwithstanding decline.

Traditionally terrorist groups have been founded on strict hierarchy model similar to international corporations. Palestinian militant groups are good examples of analogous organizations, namely, Palestine Liberation Organization, headed by Yasser Arafat and Palestine Liberation Front led by Abu Abbas. Hezbollah terrorist group (Lebanon) has also strict hierarchy as a small group of political and religious leaders locally supervise the organization. Irish Republican Army is called the “authoritarian structure hierarchically organized rule operating and non-operating effectiveness”.

Contemporary terrorist organizations refused step by step the strict hierarchy structure and adopted leaderless resurgence model. In this model all individuals and cells operate independently from their central leadership.

Leaderless resurgence model arouse with the emergence of lone wolves terrorists. American antiabortion movement encouraged young men to organize terrorist attacks against doctors performing abortions. In most cases these terrorists are not members of any terrorist organizations and operate on their own. American veteran Timothy McVeigh who organized an explosion in 1995 in Oklahoma is good example of lone wolf terrorism. There are no proofs that he was operating according to orders or had any connections with any of the terrorist organizations. He acted alone.

Leaderless Jihad became self-recruited jihad. Some scholars call such terrorists “home grown jihadists”. They have no direct connection with any terrorist organizations but they share ideology or express sympathy towards them. For example, 2004 Madrid terrorist attacks showed several important things: organizers were emigrants from Morocco having arrived to Madrid for hashish sale business. Their un-formal leader Jamal Ahmidan was released from prison in 2003 after three years of imprisonment for suspected murder. After release he contacted another Muslim person who came to Madrid to do his PhD in economy and they planned an attack. When police tracked them down , they blew themselves up as the police entered in.

Interestingly, the underground terrorist groups have written instructions about structure and arrangements. “Encyclopedia of Jihad” gives detailed instructions about intelligence, planning and preparation for underground cells. Such cells are problems for the security services to be detected.

As a new generation of jihadist led terrorist groups, they posed problems for security forces and even terrorist organizations as well. Young radicals express solidarity to the terrorists they've never met. They are trying to communicate through the Internet and local networks and contact the major terrorist organizations. They try to get ideas and advices via these Internet forums. The new generation of jihadists is very difficult to detect as they do not have connections with the well-known terrorists or terrorist groups, or they do not have a leader to obey. It is true, that they limit their activities due to fighting inexperience, but it is not important for the victim.

The new generation of jihadists' behavior is connected with their emotions. Islamist sees wars against the Muslims in the world. The first catalyst was Afghan war in the 1980s waged by the Soviet Union against Afghanistan; in the early 1990s wars in Bosnia, Chechnya and Kashmir followed. In 2003, US invasion in Iraq turned out to be the peak of moral indignation among

Muslims all over the world. In addition to wars, tortures in Guantanamo and Abu Ghraib prisons upset them. Also, Muslim population in the Middle East consider themselves puppets in the hands of their local governments supporting pro-American policy in the region.

These facts caused moral outrage that turned into extremism. The new generation of jihadists thinks that it is the joint strategy of the West and calls it the “war against Islam”. It should be noted that the appearance of a new wave of terrorism is not connected with poverty, illiteracy, unemployment or psychological reasons, but it is associated with moral indignation. A new generation of jihadists has nothing to do with Muslim scholars. Muslim theologians do not support the use of violent methods, but the media spreads the ideas of the self-proclaimed imams, who call for violence. The terrorists of the new wave went to Iraq and Syria to fight not for theological ideas, but realization of their heroic fantasies. They believe that they are special and they consider themselves to be like VII century Muslim warrior heroes. Their goal is to build a better world, and this period is related to Islam of golden age - the period of the rule of the Prophet Muhammad. Suicide bombers or Shahids, as they call themselves, are like rock stars among young Muslims.

Such radicalization in recent years has moved online. Users can exchange information and ideas via forums and even a personal encounter is not required. Forums are as the “invisible hand”, which regulate the terrorist activities throughout the world.

Al-Qaeda's central office cannot control the third wave of new members, because they do not even know organization leader personally. Marc Sageman believes that such lack of control will disconnect the network of cells, because the action will start with their opinions. The first and second wave of Al-Qaeda members are killed, the new generation of members, are united in small cells and act independently from the central leadership. They are united by a common ideology, but may differ in the scope and strategy.

## დარეჯან გარდავაძე

**წარსული – აწმყოსა და მომავლის ნაწილი. ზღვარზე მყოფი ხმა  
(თავუიკ ალ-ჰაქიმის რომანის „ჩიტი ალმოსავლეთიდან“ მიხედვით)**

„ხსოვნას, სიმბოლოებს, საგნებს  
ადამიანები სამართლიანად შეიძლება მიეჯაჭვონ“<sup>1</sup>

წარსულის ხსოვნა პოსტკოლონიურ ლიტერატურაში ძალიან ჰგავს ემი-  
გრანტულ ლიტერატურაში წარსულის როლს და ადგილს. „თუ წარსულს  
ხშირად არ ვიხსენებთ, მოგონებები ქრება. ემიგრანტები ერთსა და იმავეს  
იმეორებენ, რის გამოც ეს მოგონებები დაუკინარი ხდება“.<sup>2</sup> „ბერძნუ-  
ლად დაბრუნება არის *nostos*, ხოლო *algos* ტანჯვას ნიშნავს. ამგვარად,  
ნოსტალგია არის სევდა, რომლის მიზეზი დაბრუნების დაუკმაყოფილე-  
ბელი სურვილია. დაბრუნების მონატრებას და სევდას ყველა ადამიანი  
თავის თავში ატარებს, ამას უკავშირდება მეხსიერებიდან ამოტივტივე-  
ბული სურათები მშობლიური სახლისა, ბილიკების, რომლებზეც სამუ-  
დამოდაა აღბეჭდილი ბავშვობის ნაკვალევი... ეს სევდა კი ხშირად დაბ-  
რუნების შეუძლებლობის სევდაა... ესაა სურვილი იმისა, რაც არ არის –  
მონატრება წარსულის, დაკარგული ბავშვობის, პირველი სიყვარულის...  
ამ ნოსტალგიას ყველა ენასა და კულტურაში განსხვავებული სემანტი-  
კური ელფერი აქვს“.<sup>3</sup>

თუ ემიგრანტულ ლიტერატურაში დაბრუნების შეუძლებლობის  
სევდა ხშირად ფიზიკური დაბრუნების შეუძლებლობის ტანჯვას ერთ-  
ვის, კოლონიურ და პოსტკოლონიურ ლიტერატურაში წარსულის ხსოვნა  
სწორედ იმგვარი დაბრუნების შეუძლებლობის სევდაა, რომელზეც ჰერ-  
აკლიტე ეფესელი ამბობდა, რომ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ.  
ეს წარსული იმ კულტურულ გარემოს უკავშირდება, რომელიც განუ-  
წყვეტელ ცვალებადობაშია და რომლის იმავე სახით რეკონსტრუქცია  
შეუძლებელია კოლონიური და პოსტკოლონიური ჰერიოდის ინტელექტუ-

<sup>1</sup> მაალუფი 2007, 50.

<sup>2</sup> კუნძერა 2011, 39.

<sup>3</sup> იქვე, 7-9.

## დარეჯან გარდავაძე

ალისთვის, რომელიც თავისი აზროვნებით და მენტალობით, ნებით თუ უნებლიერ, უკვე ჰიბრიდული კულტურული სივრცის ნაწილია და მისი შინაგანი ხმა ხშირად უსვამს კითხვას: „ვინ ვარ მე?!”

კულტურათა დიალოგს შემოაქვს კულტურული იდენტობის ე.წ ჰიბრიდული სივრცე, რომლის არეალში მოქცეული ვერც ერთი ეთნიკური თუ კულტურული იდენტობისა და მენტალობის მატარებელი ინდივიდი ვერ ინარჩუნებს თავის პირველად, საწყის სახეს. ამ დიალოგის სივრცეში მოქცეულნი, ისინი იძენენ ისეთ ახალ ელემენტებს, რაც მათ საწყის იდენტობას აკარგვინებს და სძენს ახალ იდენტობას, უფრო ტევადს, არსობრივი განახლებისთვის მზაობაში მყოფს.<sup>4</sup>

წარსულის ხსოვნა, წარსულის მუდმივი რეკონსტრუქცია მოგონებებით, ერთგვარი ანამნეზისი ეხმარება ზღვარზე მყოფ გმირს საკუთარი თავის შეცნობაში, საწყისის ცოდნის აღდგენაში. წარსული გამოცდილების ხაზგასმული მნიშვნელობა პოსტკოლონიურ სცენარში ხშირად წინააღმდეგობის ესთეტიკის ნაწილიცაა – პოსტკოლონიური ლიტერატურის მწერალი მიზნად ისახავს თავისი ადგილის მოძებნას ამ სამყაროში და ტექსტის გადმოცემის სივრცის ზუსტად განსაზღვრისას, რაც ხშირად პოსტკოლონიური ნაწარმოებების დამახასიათებელ და განმეორებად ნიშანს წარმოადგენს,<sup>5</sup> ავტოქტონური სივრცის და გაბატონებული კულტურის სივრცის გამიჯვნისას და ერთმანეთისგან განცალკევებისას წარსული ყოველთვის დროსთან ერთად სივრცითაც არის ხოლმე მოხაზული ამ ნაწარმოებებში და ყოველთვის ავტოქტონურ კულტურულ სივრცეს უკავშირდება. პერსონაჟების ამ სივრცეთა ზღვარზე, ორ კულტურულ ნიადაგზე დგომა აღბეჭდილია მერყეობით, სულიერი კრიზისით და მათ მიერ ამ ორ სივრცეს შორის განვლილი რთული და წინააღმდეგობრივი გზებით.

ამ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ნარატივის ხაზი უწყვეტ კავშირშია წარსულთან, საკუთარ მემკვიდრეობასთან, რომელიც კოლექტიური მეხსიერების მეშვეობით ორიენტირად უნდა იქცეს გაუცხოებულ აწმყოში თუ თანამედროვეობის პრობლემატურ სიტუაციებში. კოლექტიური და ინდივიდუალური ისტორია გადაიქცევა თანამედროვე სიძნელეების და მათი სავარაუდო დაძლევის მეტაფორად.<sup>6</sup> მწვავედ დგება მეხსიერების

<sup>4</sup> მურა 2012, 195.

<sup>5</sup> იქვე, 165-166.

<sup>6</sup> იქვე, 171-172.

სელექციის, მეხსიერების რევიზიის პრობლემაც – რა უნდა შინარჩუნონ თავიანთი კულტურული წარსულიდან და რა უნდა შეიძინონ ახალ, მულტიკულტურულ გარემოში?! წარსულზე ორიენტაცია მთხოვობელს ანიჭებს განსაკუთრებულ სტატუსს. ის ერთსა და იმავე დროს არის ინდივიდიც და კულტურის სიმბოლოც.<sup>7</sup> წარატივში ჩანართები, შესაძლოა, იყოს ავტობიოგრაფიული, მაგრამ სინამდვილეში, ეს კოლექტიურის და პირადულის თანაგადმოცემის მცდელობაა, ეს წარსულის გადმოცემის „სიმბოლური ავტობიოგრაფია“, შეიძლება ითქვას, „ავტობიოგრაფია მრავლობითში“.<sup>8</sup>

რა ინახავს წარსულის ხსოვნას?

ეთოსი არის შემკვრელი, მთავარი კავშირი პოსტკოლონიურ ლიტერატურაში. ესაა ავტოქტონური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული კულტურული მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ შიდაკულტურული ელემენტების ურთიერთმიმართების პრინციპებს, არამედ მათ შინაარსსაც; ესაა წამყვანი იდეალების, ღირებულებების სისტემა, კულტურის კვინტესენცია. ეთოსი მართავს ამ ნაწარმოებებში საგანთა საკრალურობას, კავშირს ხილულსა და უხილავ სამყაროებს შორის, ცოცხლებსა და მიცვალებულებს შორის...<sup>9</sup> შიდაკულტურული ელემენტების უნიკალურ კონფიგურაციას სწორედ კულტურის ეთოსი ამთლიანებს. ეთოსი ამ ტიპის ნაწარმოებებში ხშირად რომელიმე ტიპობრივ პერსონაჟს, ხასიათს უკავშირდება, რაც კულტურული ღირებულებების სისტემის გარანტიად გვევლინება ტექსტში და ქმნის ლირიზმით გაუდენთილ გრძნობად ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ეთოსი ნაწარმოების ძირითადი ხმაა, რომელიც ხელშესახები დაპირისპირებით წარმოაჩნის ავტორის პოზიციას. მიუხედავად პოლიფონიურობისა, ნაწარმოების ლიტერატურულ კონტექსტში ავტორის ვინაობის და მისი სამყაროს განმსაზღვრელი ელემენტები შემოდის ლიტერატურულ არეალში და ესეც პოსტკოლონიური ლიტერატურის მყარი ნიშანია.<sup>10</sup> მწერლის შინაგანი „მე“ მხატვრულ ცნობიერებაში ასახული მისი მასაზრდოებელი კულტურის მაჩვენებელია.

<sup>7</sup> მურა 2012, 144.

<sup>8</sup> იქვე, 172.

<sup>9</sup> იქვე, 157.

<sup>10</sup> იქვე, 159.

## დარეჯან გარდავაძე

შინაგანი ხმის გადმოცემა ფორმისა და თემატიკის დიდი მრავალფეროვნებით არის აღმატებული. მკვლევართა ნაწილი წინააღმდეგობის მოძრაობის ნაწილად აღიქვამს კოლონიური და საწყისი პერიოდის პოსტკოლონიური ლიტერატურული ნანარმოებების სცენარების ე.წ. ანტაგონისტურ სტრუქტურას, როცა ორ ძალას შორის კონფლიქტის ნარმოჩენისას ერთი მათგანი გაიგივებულია სიკეთესთან, მეორე – ბოროტებასთან, მათი დაპირისპირება, რომელიც ეთიკისა და მორალის თვალსაზრისით თანასწორ პირობებში არ მიმდინარეობს, ხშირად მაღალფარდოვანი მტკიცებებით გამოირჩევა, განსაკუთრებით, ფასეულობათა სისტემასთან დაკავშირებით და ხანდახან ცოტა ნაძალადევი, ზოგჯერ კარიკატურული ნიშნებიც ახასიათებს. ეთოსი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ხოლმე ხელშესახებ დაპირისპირებებს.<sup>11</sup>

XX საუკუნის დასაწყისის არაბი მოდერნისტების თაობის ცნობილი პროზაიკოსისა და დრამატურგის ჰუსეინ თავფიკ ისმაილ ალ-ჰაქიმის მცირე ფორმატის რომანი<sup>12</sup> „ჩიტი აღმოსავლეთიდან“ ტიპური პოსტკოლონიური სცენარით დაწერილი ნანარმოებია, აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობების თემას რომ ეძღვნება (კონკრეტულად, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის)<sup>13</sup> და, როგორც არაბული ლიტერატურის კრიტიკოსები აღნიშნავენ, არაბულ ენაზე დაწერილ ერთ-ერთ პირველ მხატვრულ ნანარმოებად ითვლება (იგი 1938 წელს გამოქვეყნდა), რომელიც

<sup>11</sup> მურა 2012, 158-159.

<sup>12</sup> დასავლური ლიტერატურული მოდელებიდან გადმოღებული უანრები გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან ავტოქტონურ ლიტერატურებში. ფორმიდან ფორმაზე გადასვლა უანრების გარდაქმნას იწვევს პოსტკოლონიურ ლიტერატურაში. დასავლური ლიტერატურული უანრის გათავისება ხშირად მთავრდება უანრული გაურკვევლობით. მურა 2012, 173. ჩვენს შემთხვევაში თავფიკ ალ-ჰაქიმის ნანარმოები „ჩიტი აღმოსავლეთიდან“ ლიტერატურულ კრიტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება ხან როგორც მოთხრობა ან ნოველა, ხან მცირე ფორმატის რომანი და ხან კი როგორც ავტობიოგრაფიული, თვითგანვითარების უანრის ნანარმოები (Arabic Bildungsroman). Al-Mousa 1993, 223.

<sup>13</sup> აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობების თემა ეგვიპტელი მოდერნისტებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი საფრანგეთან მჭიდრო კულტურული და საგანმანათლებლო კავშირებით არის დაკავშირებული, ახალი და უცხო არაა, მაგალითისათვის, ტაჰა ჰასეინის 1935 წ. ამავე თემაზე დაწერილი რომანი „ადიბი“ და სხვ. Lamourette 1978, 255-257.

ევროპაში განათლებამიღებული არაბი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეხება. რომანი ზნეობრივი პათოსის მატარებელია და მასში მწვავედ დაისმის საკუთარი თავისა და ადგილის პოვნის პრობლემა.

ავტორი საკუთარი ბიოგრაფიული გზით ამ ორი კულტურის ზღვარზე გადის – ევროპული განათლება (საფრანგეთში, პარიზში), აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხშირი მონაცემების მის ცხოვრებაში, ბუნებრივია, მას კულტურული ზეგავლენის სივრცეში აქცევს, რაც აისახება კიდეც მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში.

„ჩიტი აღმოსავლეთიდან“ ავტობიოგრაფიული გამოცდილებით დაწერილი ნაწარმოებია და 1925 წ. პარიზში, იურისპუდენციაში სადოქტორო განათლების მისაღებად თავფიც ალ-ჰაჯიმის გამგზავრების რეალურ მოვლენებს აღნერს, როცა პარიზში ჩასული მწერალი იურისპრუდენციის ნაცვლად ლიტერატურის, მუსიკისა და ხელოვნების ტყვეობაში აღმოჩნდა.<sup>14</sup> ნაწარმოების მთავარი გმირი – პარიზში განათლების მისაღებად ჩასული ახალგაზრდა ეგვიპტელი მუჰამედის პროტოტიპი სწორედ თავად თავფიც ალ-ჰაჯიმია, მისი სასიყვარულო ისტორიაც პარიზის ოდეონის თეატრის მოლარე გოგოსთან ასევე მწერლის რეალური ცხოვრების ეპიზოდია, რომელიც მან ჯერ პიესად აქცია („სალაროს სარკმლის წინ“, ასე ერქვა პიესას, რომელიც 1926 წელს ფრანგულად დაწერა და მოგვიანებით, 1935 წელს, იგი არაბულად თარგმნა პუბლიცისტმა აჰმად ას-სავი მუჰამედმა).<sup>15</sup> პიესა იმითაა საინტერესო, რომ ის თავფიც ალ-ჰაჯიმის პირველი დრამატურგიული მცდელობაა), ხოლო შემდეგ ეს ისტორია ერთ-ერთ მთავარ სიუჟეტურ ხაზად დაუდო თავის მცირე ფორმატის რომანს „ჩიტი აღმოსავლეთიდან“.

აღმოსავლურ-დასავლური კულტურების დაპირისპირებაში თავფიც ალ-ჰაჯიმი განსაკუთრებულ აქცენტსა დასავლეთის მატერიალისტურ ბუნებასა და აღმოსავლეთის სულიერებაზე აკეთებს.<sup>16</sup> ამ თვალსაზრისით შედარებები და ურთიერთწინააღმდეგობრივი განსხვავებები თვალში საცემია, ერთი მხრივ, რომანის მთავარ გმირ მუჰამედისა და მის ფრანგ მეგობარ ანდრეის, მეორე მხრივ, მუჰამედისა და მის შეყვარებულ, ოდეონის თეატრის სალაროს მოლარე გოგო სუზის შორის ურთიერთობების ყოველ წვრილმანში.

<sup>14</sup> . 52، ناجي هم، 2011

<sup>15</sup> იქვე، 51.

<sup>16</sup> იქვე، 52.

## დარეჯან გარდავაძე

ამგვარი კონტრასტების წინ წამოსაწევად, მაგალითად, ძალიან სახ-ასიათოა პარიზში ჩასული მუჭსინის მღელვარება ეკლესიაში შესვლის მომენტში, რაც ანდრეისთვის, მისი ფრანგი მეგობრისთვის, სრულიად გაუგებარი და ცოტა კომიკურიც კია:

„მუჭსინი ეკლესიაში შევიდა. მანამდე ეკლესიაში არასდროს ყოფილა, არც რომელიმე ქრისტიანი მიცვალებულის პანაშვიდს დასწრებია. არ უნახავს, როგორი ლვთისმსახურება ტარდება ეკლესიაში, ან წირვას რა მოსდევს. მოწინება დაეუფლა. ეკლესიის ზღურბლზე გადაბიჯებით, მოეჩვენა, რომ მინას მოსწყდა და სხვა ატმოსფეროში ამაღლდა. იმ ატ-მოსფეროს თავისი სურნელი, თავისი შუქი ჰქონდა!.. აქაც ზუსტად იგივე კრძალვა და რიდი, იგივე გრძნობა ახლდა, რაც კაიროში, საიდა ზეინაბის მეჩეთში შესვლისას შეიძყრობდა ხოლმე... აქაც იგივე სიმშვიდე, კუთხე-ებში სიბნელე, მოციაგე მკრთალი შუქი ამ ადგილას ჰაერში მოფარფატე სულებს წააგავს... მართლაც, ლვთის სახლი ყველგან და ყოველთვის ლვთის სახლია!..“.<sup>17</sup>

ფრანგ ანდრეის არ ესმის, რატომ საყვედურობს მეგობარი და რა-ტომ სჭირდება მას ტაძარში შესვლისთვის წინასწარი შემზადება:

„- ო, შე აღმოსავლელო ჩიტო! თავს ეკლესიაში შესასვლელად ამზადებ? ეს რას ნიშნავს? რა, ჩვენ იქ სხვაგვარად შევდივართ?! განა კაფეშიც ისევე არ შედიხარ? რა განსხვავებაა?! ისიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია და ესეც!.. იქ არღანია და აქ ორკესტრი!..

მუჭსინს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე წაიჩურჩულა:

- კი მაგრამ, იქ ხომ ცაა!.. კაცისთვის ყოველ წამს ამაღლება განა ძნელი არაა?! ეს მართლა ძალისხმევას თხოულობს!

ფრანგს ეტყობოდა, რომ მუჭსინის არ ესმოდა, თუმცა შეკითხვით თავი აღარ დაუღლია“.<sup>18</sup>

მუჭსინისთვის ცხოვრების ულამაზესი წუთები სატრაფოს დანახვის მოლოდინში ოდეონის თეატრის სალაროს წინ დგომაა, თან იცის, რომ გოგო ისე ჩაუვლის, სიტყვასაც არ ეტყვის. მისი მეგობარი ფრანგისთვის კი ის რეალობას მოწყვეტილი, ფანტაზიორი კაცია და ეს მისი ხვედრია!... საჭიროზე მეტად მეოცნებეობა კი მისი წარუმატებლობის მიზეზია.<sup>19</sup> მუჭსინს წარსულიდან ხშირად ესახება თვალწინ ერთი სურათი:

<sup>17</sup> .11, 2004 الحکیم

<sup>18</sup> იქვე, 15.

<sup>19</sup> იქვე, 36.

„კაიროში, საიდა ზეინაბის უბანში მდებარე „ჰაჯ შეპათას“ ყავა-ხანა ნარმოუდგა თვალწინ. გაახსენდა ბიძამისის კაპიტან სელიმის სა-თობით ჯდომა ყავახანის შესასვლელში, თავისი სატრფოს სანეიას სახლს თვალმოუცილებლად რომ მისჩერებოდა იმ იმედით, იქნებ დარა-ბებს მიღმა მისი აბრეშუმის კაბის მწვანე ფერისთვის დაეკრა თვალი... მუჰამედი მაშინვე მიხვდა, რომ ახლა, ოდეონის თეატრის ნინ ქუჩაზე იმავეს აკეთებდა, რასაც სელიმი წლების ნინ სალამას ქუჩაზე... ნუთუ შემთხვევითი დამთხვევა? თუ სისხლში აქვთ რაღაც?.. არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ რაღაც ძალას გრძნობდა, სატრფოსთან ახლოს ჯდო-მას რომ აიძულებდა... და რომ მას თავად ეს სიახლოე უყვარდა...<sup>20</sup>

სელიმის აჩრდილი გონიერაში კიდევ ერთხელ ნარმოუდგა. ის ახლა მისი ერთ-ერთი ნათესავის ქმარია, ორი პატარა ვაჟის მამა. სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტში სამხედრო პოსტი დაუკავებია, ხორცისაგვე სხე-ული გახდომია და პატივცემული ღიპიც დაუდვია. მისი აპრეხილი ულ-ვაშები კი დროს ძირს დაუშვია. ამ კაცის ცხოვრებას ადამიანური მოდგ-მის მილიონობით სხვა ჭიანჭველის ცხოვრების ჩვეული კალაპოტი მი-ულია, საათობით ჯდომას „შეპათას“ ყავახანაში ისე ჩაუვლია, ხილული კვალი მის ცხოვრებაში არ დაუტოვებია. ნარსულის ოკუნებათა ნებალუხვი ტბიდან დრო გადმოლვრილა, სელიმის თავიდან სანეიას სურათი ნარხო-ცილა, თუმცა, გულის სიღრმეში, დღეს რომ მან თავისი ცხოვრების საუკეთესო საათები მოიძიოს, იმაზე ტკბილ და ნეტარ ნუთებს, იმედსა და უიმედობას შორის ხანგრძლივად ჯდომაში, სანეიას ფანჯრისთ-ვის თვალმოუცილებლად ყურებაში რომ გაფრენილან და ქარს გაჰყო-ლიან, ვერ აღმოაჩენს! ეს ტკბილ-მნარე მოლოდინი, – რაღაც ლამაზის მოლოდინი, რომელიც ეიმედება, რომ მოხდება და არკი ხდება, სელიმის გულს რომ დაუფლებოდა, ყველას გულს რომ იპყრობს ამქვეყნად, – უნმინდეს გრძნობათაგანია... და რაღა მნიშვნელობა აქვს ამის შემდეგ, შეყვარებულთა შორის შეხვედრას რა მოჰყვება?!..

ეს გულის ფანცქალი, სელიმის მთელ არსებას რომ მოიცავდა ხოლმე ყოველთვის, როცა კი დარაბებს მიღმა ქალის აჩრდილს მოჰკრავ-და თვალს, ეს უსაზღვრო მოთმინება ყავახანაში ამ ჩრდილის დანახვის მოლოდინში – ესაა სწორედ სიყვარულის სილამაზე!..<sup>21</sup>

<sup>20</sup> .44، 2004 الحکیم

<sup>21</sup> იქვე, 46.

## დარეჯან გარდავაძე

მუჭათისთვის ოდეონის თეატრის სალაროში მჯდარი სუზი „ათას ერთი ღამის“ კომპიდან მომზირალი მზეთუნახავია და ასეც აღუნერს მას ანდრეის.

„თავის სარკმელში ვხედავ, ხალხს გადმოსცექრის თავისი ფირუზ-ისფერი თვალებით. ისინი ჩაივლიან მის წინ ერთიმეორის მიყოლებით, ყველა ჯურის, ყველა ფენის... მათ შორის ჩემსავით ღატაკიც და მეფე-ბივით შეძლებულიც, ლამაზიც და უგვანოც, ხნიერიც და ახალგაზრდაც... მათ შორის ბედნიერნიც არიან და უბედურნიც, კეთილნიც და ბოროტნიც, მამაცნიც და ჯაბანნიც... გაბედულიც და მორცხვიც... დიახ! მის წინ ყოველდღე გადის ეს პროცესია, ის კი თავისი სარკმლიდან იღიმება დროდადრო... და არავინ უწყის მისი გულის საიდუმლო!...“<sup>22</sup>

ფრანგს კი მის მონაყოლზე მხოლოდ ელიმება, რადგან სიყვარულის ასეთი ხედვა მხოლოდ „აღმოსავლური ფილოსოფიაა“ მისთვის და „თავისი სამრეკლოდან“ პასუხობს:

„ის ისეთივე გოგოა, როგორც სხვა ყველა!.. იმას აკეთებს, რასაც ათასობით სხვა... და ეს ისაა, ვინც შე „ათას ერთი ღამის“ სასახლეში დაასახლე და იმ თვალუნვდენები სიმაღლიდან მისი ფანჯრის ქვეშ მიმწყდარი ხალხის პროცესიებისთვის ზემოდან გადმოახედე!.. ო, ჩემო მეგობარო!.. საქმე არც ისე სერიოზულადაა, შენ რომ წარმოგედგინა!.. ქალის მკლავებში მოქცევა იოლი საქმეა და ამდენ დროს, ოცნებასა და განსჯა-ჭვრეტას არ საჭიროებს!..“<sup>23</sup>

რეალობის პირისპირ დარჩენილი აღმოსავლელი იმედგაცრუებულია. ის თავს მინაზე დაშვებული ადამივით გრძნობს.

„მინას აქვს თავისი სიამენიც და ტკივილებიც!... როდესაც ადამი მინაზე დაეშვა, სრულიად სხვაგვარმა სიტკბოებამ და სატანჯველმა წალეკა...“<sup>24</sup>

„ახალგაზრდა კაცს მინაზე დანარცხების შეგრძნება დაეუფლა. საგანთა ფასეულობები მის თვალში ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, თითქოს ცხოვრებას საფარველი შემოეცალა და უბადრუები მასალი-სგან ჩამოსხმული შიშველი ქანდაკებასავით წარმოუდგა!.. მუჭათის

<sup>22</sup> .37, 2004 الحكيم

<sup>23</sup> იქვე, 93.

<sup>24</sup> იქვე, 94.

წარსული – აწმყოსა და მომავლის ნაწილი. ზღვარზე მყოფი ხმა

სულში ისეთი სიცარიელე იგრძნო, აღარ იცოდა, დღეის იქით ამას რა შეავსებდა...”<sup>25</sup>

აქ კი შემოდის ავტორის იმპერსონალური ხმა, რომელიც ერთი უწყინარი, ჩანართი ფრაზით ამჟღავნებს საკუთარ პოზიციას და დამოკიდებულებას რომანის პროტაგონისტისადმი.

„ოჰ, ეს სინამდვილის პირისპირ მოულოდნელად დარჩენილი მეოცნები!.. დიახ, სწორედ რომ მოულოდნელად, სანამ დრო მიეცემათ, რომ ეს სინამდვილე ოცნებათა მოქარეულ ხალათში კარგად გახვიონ! ისინი აღიქვამენ უცხო სხეულსა და შიშველ მატერიას და არ იციან, რა უყონ მას!.. სინამდვილე მართლაც ის ვალუტაა, ოცნებათა სამეფოში მიმოქცევაში რომ არ გამოიყენება!..”<sup>26</sup>

პარიზში ახლად მოხვედრილი მუჭსინისთვის მიუღებელია პარიზელი შეყვარებული გოგო-ბიჭების საჯაროდ ხვევნა-კოცნა ისე, როგორც ეს პარიზელებს სჩვევიათ – მაცქერალსა თუ გამკიცხველს რომ არად დაგიდევენ!.. ეგვიპტელი თავს იბრუნებს მათგან, რადგან წინააღმდეგია გრძნობების ქუჩებსა და შესახვევებში გამოფენისა და გათელვის, მიაჩნია, რომ შეყვარებულებს გრძნობათა გულში შენახვა მართებთ იმგვარად, როგორც ნიუარაში ინახება მარგალიტი...”<sup>27</sup> თუმცა სუზისთან რომანის გაბმის შემდეგ თავადაც უბნის კინოში დადის შეყვარებულთან ერთად მისი სამუშაო დღის შემდეგ, ერთმანეთს მიკრულნი სხედან და სიბნელეში ჰქოცნიან ერთმანეთს ზუსტად ისე, როგორც მათ გარშემო ხვევნა-კოცნა აქვთ გაჩაღებული სხვებს... მუჭსინს ახსენდება თავისი პირველი განცდები, პარიზის ქუჩაში შეყვარებულთა ხვევნა-კოცნის დანახვას რომ მოჰყვა და მაშინ მან ეს სიყვარულის სიწმინდის დამცირებად მიიჩნია. თავადაც გაკვირვებულია და საკუთარ თავს ეკითხება: რა შეიცვალა?!

„სიყვარულის გემო, აი რა შეიცვალა!.. ვაშლი ვაშლია, მაგრამ ახალი მინის ვაშლი... მიწიერი ვაშლი ტკბილია, თუმცა შიგნით მატლი ჰყავს!..”<sup>28</sup> „მან ახლა სწორედ ამ გოგოს წყალობით იცის ის, რაც მანამდე არ იცოდა!.. – მიწიური სამოთხე, რომლის გასაღებებიც ჩააბარა და რომლის მათრობელა ღვინოც აგემა!..”<sup>29</sup>

<sup>25</sup> იქვე, 93.

<sup>26</sup> იქვე, 92.

<sup>27</sup> იქვე, 42.

<sup>28</sup> იქვე, 95.

<sup>29</sup> იქვე, 105.

აღმოსავლურ-დასავლური რომანი ძალიან ხანმოკლე გამოდგა. ის, რაც მუჰსინს ცხოვრების არსი ეგონა, სუზისთვის მხოლოდ ხანმოკლე გართობა აღმოჩნდა. მუჰსინს ამ სიყვარულიდან, რომელიც ლამაზ, მინიურ სამოთხედ ესახებოდა, უბადრუკი, უხამსი კომედია შერჩა ხელთ. ის იმედგაცრუებულია, თუმცა საკუთარ თავს უფრო ადანაშაულებს მეოცნებეობისთვის, ვიდრე სუზის – რეალისტობისთვის.

„არ იფიქრო, თითქოს შენზე გაბრაზებული ვარ!.. პირიქით!.. შენი უფლებაა, გაგეკეთებინა ის, რაც გააკეთე!.. ცხოვრება შენთვის ტკბობის საგანია!.. მე მთელი გულით მინდა შენი სიამოვნება და პატივისცემის ნიშნად შენთვის მორთმეული ჩემი გული, – შენ რომ ბუხარში მოისროლე, – არ მენანება!.. ყველა შემთხვევაში, ის შენ გეეუთვის!.. ის შენ გქონდა და ის უყავი, რაც მოგესურვა!.. ახლა ტკივილს მხოლოდ ჩემი ცხოვრება მაყენებს ამ ყველაფრის შემდეგ!.. ზედმეტად გადავიჩეხე ოცნებებში და შენ მთელ ჩემს სამოთხედ დაგსახე!.. ამ წარმოსახვაში ვცხოვრობდი და იოლი არაა ჩემთვის ასე მაღლე გადავსახლდე სხვაგან!.. მე იმ ერეტიკოსს ვგავარ, ახლახან რომ გამოაძევეს რწმენის სამოთხიდან, მიუსაფრად დაეხეტება თავისი გულით და აღარ იცის, სად დაავანოს იგი... ის ჰერცოგის ამ ცხოვრების მანანწალას, დილა რომ გაუთხნდება, ფეხები იქით წაიღებს, საითაც თავში აზრად მოუვა, სანამ არ დაუღამდება და ამ თავისი გულიანად ისევ რწმენის კედლებს შეაფარებს თავს, ფრიზების ქვეშ მიეგდება...“<sup>30</sup>

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, საკუთარი წარსული და მისი ერთგვარი ანამნეზის მოგონებების სახით უცხოობაში აღმოჩენილი მუჰსინისთვის აწმყოს ორიენტირია. დაპირისპირებების სიმკვეთრისთვის ეს წარსული სივრცითაც არის შემოსაზღვრული – ის ეგვიპტეს, კაიროს, საიდა ზეინაბსა და მშობლიურ რწმენას, კულტურას, მის ლირებულებებსა და აურას უკავშირდება.<sup>31</sup> ეთოსი, რომელიც წარმართავს ამ წარმოებში საგანთა საკრალურობას, კრავს და ამთლიანებს მთავარი გმირის სული-

<sup>30</sup> იქვე, 110.

<sup>31</sup> როგორც ჩანს, საიდა ზეინაბის მეჩეთი ძეველი ისლამური კაიროს სულის მატარებელია თავფიც ალ-ჰაქიმის თაობის ბევრი მოდერნისტი ეგვიპტელი მწერლისთვის. იაჰია ჰაკემის ასევე აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთმიმართებების თემაზე დაწერილი ცნობილი რომანის „უმშ ჰაშიმის კანდელის“ ეთოსიც სწორედ მას უკავშირდება, ისევე როგორც ბევრი სხვა ცნობილი ეგვიპტელი რომანისტის მხატვრული წარმოებებისა. Vial 1969, 151-153.

ერი სამყაროს შემადგენელ ელემენტებს, ეხმარება და მხნეობას აძლევს მას სულიერი კრიზისის ჟამს, ეს საიდა ზეინაბის ხატებაა.<sup>32</sup>

„დიახ, მუჭსინი მართლაც ყოველთვის გრძნობდა, რომ მხოლოდ დედამინაზე როდი ცხოვრობდა, მისი ცხოვრება ზეცასაც სწვდებოდა! ზეცის მკვიდრთა შორის მას მეგობრები, საყვარელი ადამიანები და მფარველი წმინდანები ეგულებოდნენ!.. ის ვერ დაივიწყებდა განწმენდილ საიდა ზეინაბს და მის წყალობას განსაცდელების ჟამს... მას რეალური, ხორციელი არსებობა პქონდა ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში. რამდენიც კი გასაჭირში ჩავარდნილა, მაშინვე საიდა ზეინაბის აკლდა-მის მოოქროვილ ცხაურთან პოულობდა შვებას!.. ყოველი წარმატება, რაც კი ცხოვრებაში მოუპოვებია, მისი ხელიდან იყო გამოსული, ყოველი თანაგრძნობა – მის თვალთა მზერიდან, ბეჭის ყოველი გალიმება – მხოლოდ მის ბაგეთა ლიმილი იყო!.. მუჭსინს წარმოსახვაში წარმოდგენილი პქონდა მისი ხატება, მისი სახე, მისი ნაკვთები... სწამდა, რომ ის ზეცაში თეთრ ხალათში იყო გამოწყობილი, მუდამ დაპყურებდა, მფარველობდა მას და თავის საზრუნვად ექცია... თითქოს მის გარდა სხვა საქმე არც ჰქონიაო!..

თუმცა იყო საათები, როცა ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცეოდა ხოლმე და სასტიკი გარემოებანი არ ინდობდა. მაშინ თვლიდა, რომ საიდა ზეინაბმა დაივიწყა იგი და მაშინვე ხვდებოდა, იმნამსვე ახსენდებოდა, რომ ეს ის საათები იყო და ის გარემოებები, როცა თავად მას დაევიწყებინა საიდა ზეინაბი!.. დიახ, საიდა ზეინაბი მხოლოდ იმას ივიწყებდა, ვისაც თვითონ ავიწყდებოდა იგი!.. ჩვენ, მინის მკვიდრნი, ხანდახან დავკავდებით ხოლმე მოულოდნელად მოსული გამარჯვებით ან ამქვეყნიური სიამეებითა და სიტკბოებით და პატივმოყვარეობა თვალებს გვიხვევს... გვავიწყდება ჩვენი სულები, ზეცა და მისი მკვიდრნი... სწორედ ამ დროს ზეცაც მიგვატოვებს ხოლმე ჩვენს მინიერ უსუსურებასა და არარაობაში, ჩვენს ცივ მარტოობაში; ჩვენ კი მხოლოდ მაშინ გამოვიდვიძებთ ხოლმე და დავინახავთ, სადამდე მივსულვართ, როცა მურვალე ნუ-

<sup>32</sup> საიდა ზეინაბი – იგულისხმება ზეინაბ ბინთ ალის – მოციქულ მუჭამე-დის ქალიშვილის, ფატიმასა და მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა ალის (შიიტთა პირველი იმამის) ქალიშვილი, რომლის სახელზე აგებული მე-ჩეთი კაიროს ძველ უბანში ძველი კაიროს სახეა. ზეინაბი ცნობილია ასევე მეტსახელებით: უმ ალ-მასაქინ და უმ ალ-ყავაჯიზ – ლატაკთა, უპოვართა დედა.

## დარეჯან გარდავაძე

გეში და ზეციური თანაგრძნობა დაგვჭირდება!.. ახალგაზრდა კაცს ეს ყველაფერი გაახსენდა... საიდა ზეინაბის მეჩეთი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ის თავის დღეებს ატარებდა სწავლის დროს. საიდა ზეინაბი იყო ის, ვინც წიგნის ფურცლებს გადაუშლიდა ხოლმე, როგორც მას ეჩვენებოდა; ის იყო, ვინც ანუგეშებდა და მოთმინებას ასწავლიდა, სიმტკიცეს უნერგავდა; თავისი ნაზი, თხელი თითის წვერებით უმშრალებდა პირველი სიყვარულის ცრემლებს, უამებდა პირველ ტკივილებს... დიახ, ის მარტო არ იყო!.. აჲ, რა ძლიერია ადამიანი, როდესაც სწამს, რომ მას მეგობარი და შემწე ჰყავს ზეცის მკვიდრთა შორის!.. მუჰსინი საიდა ზეინაბს, როგორც პასუხისმგებლობა-მოვალეობათა თავის ხვედრს, ისე დაატარებდა... თუ სადმე წაიფორხილებდა, ეს იმის ბრალი იყო, რომ საიდა ზეინაბი არ იყო მასთან და ალბათ ეს წარუმატებლობაც საიდა ზეინაბს, მუჰსინმა რომარ იცოდა, რაღაც ისეთი სიბრძნისთვის უნდოდა... თუკი საკუთარ იმედებს რამეს დაუკავშირებდა, თავად უღონო და სუსტი, საიდა ზეინაბისკენ მიემურებოდა, რომ ის გვერდით დასდგომოდა და თავისი ჩურჩული მისი ჩურჩულისთვის, თავისი ხმა მისი ხმისთვის აეყოლებინა უფლისთვის მუდარისას!.. ეს მართლაც მშვენიერი განცდა და შვებისმომგვრელი რწმენა იყო!.. მუჰსინს ერთი წამით მაინც რომ ეგრძნო სრული მარტობა, ზეცის არარსებობა, იგი უნაყოფო, ხრიოკ ადგილად რომ წარმოედგონა და არა უზენაესი არსებებით დასახლებულ ადგილად, რომელთანაც ის თავისი სიცოცხლით იყო დაკავშირებული, მხოლოდ მიწის ანაბარად რომ დარჩენილიყო სამუდამოდ, ნამდვილად არ იცოდა, როგორ აიტანდა ცხოვრებას ერთი დღეც კი!<sup>33</sup>

უცხობაში, ორი განსხვავებული კულტურის ზღვარზე მყოფი და დაბნეული, მუჰსინი ნატრობს ზეცად მყოფი თავისი მფარველის დაშვებას მინაზე და მისი ხელის შეხებას მხარზე, მაშინ ალბათ ფეხი არ აერეოდა ამ ახალ, მისთვის უჩვეულო ცხოვრების რიტმში.

სისხლიანი სცენა წარსულიდან, სწორედ ის ჩანართია რომანში, რომელიც ავტობიოგრაფიული კი არის, მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, კოლექტიურის და პირადულის თანაგადმოცემის მცდელობაა, „ავტობიოგრაფია მრავლობითში“. კერძოდ, სცენა ეგვიპტის 1919 წლის რევოლუციისა.

„მაშინ მუჰსინს 20 წელი არ შესრულებოდა. მამამისს, იურისკონსულტს, შვილის ადვოკატობა უნდოდა, მაგრამ ხედავდა, რომ მას გული ხელოვნებისკენ, ლიტერატურისკენ მიუწევდა...“

<sup>33</sup>.80-78, 2004 კიბი

ამრიგად, მუჭსინის მისია რევოლუციის პერიოდში ეროვნული სიმ-ლერების წერა გახდა, რომელთაც თავადვე ასრულებდა და მისი მეგო-ბრები – კაიროს ახალგაზრდობა გაბედულად მღეროდა ციხის გისოსებს მიღმა. თავად მას ხელში იარაღი არასდროს სჭერია. მისი იარაღი გაბედ-ულება იყო, ხალხმრავალ გამოსვლებზე ანთებული გული და საგმირო ეროვნული სიმღერები...

ერთ დღეს კი ისეთი სანახაობა ნახა ახლოდან, რომლის კვალი მთე-ლი ცხოვრება გაჰყვა. მარტო მიმავალი ახალგაზრდა ბრიტანელი ჯარის-კაცი დაინახა, რომელიც აჯანყებულებმა შენიშნეს, გარს შემოერტყნენ და ცემა დაუწყეს – სათითაოდ ურტყამდნენ რკინის ჯოხებს თავში. თავი გაუხეთქეს და ბრიტანელი უსულოდ დაეცა... სახე სისხლით ჰქონდა მოს-ვრილი, იმ ადგილას ყველგან მისი ტვინი იყო დასხმული...

ახალგაზრდა მუჭსინს გული შეუწუხდა, თავბრუსხვევამ შეიძყრო, კინაღამგონება დაკარგა... ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ბრიტანუ-ლი ჯარის გამოჩენაზე აჯანყებულები ბნელ მოსახვევებში გაიფანტნენ. მუჭსინი დარჩა ზურგით კედელზე აკრული, თვალმოუცილებლად მის-ჩერებოდა ამ ყველაფერს... მხოლოდ შემთხვევის წყალობა იყო, ბრიტა-ნელმა ჯარისკაცებმა რომ ვერ შენიშნეს... გონს რომ მოეგო, კი არ გაი-ქცა, გაფრინდა, მიტოვებულ ქუჩებში მიცვალებულთა გვამებზე ფეხით გადავლით უშველა თავს...

სისხლში მოთხვრილი ახალგაზრდა ჯარისკაცის სახე არ ტოვებდა მის წარმოსახვას... აღარ ახსოვდა, რომ ის მისი მტერი იყო... მისი სამშობ-ლოს მტერი იყო!.. მხოლოდ ის სევდიანი სურათი ახსენდებოდა, იმ მხე-ცური სიკვდილის სცენა...<sup>34</sup>

წარსულის ამგვარი წარმოჩენით კარგად ჩანს თავთიკ ალ-ჰაქიმის, როგორც მწერლის ხმა, რომელიც რევოლუციურ პათოსს არაა აყო-ლილი, ეგვიპტელი ხალხის ბრძოლა ინგლისელი დამპყრობლების, ბრი-ტანული მმართველობის რეჟიმის წინააღმდეგ უპირობოდ სიწმინდის მარავანდედით არა აქვს შემოსილი, ჯალათისა და მსხვერპლის როლები წინასწარ არა აქვს განაწილებული, იდეოლოგიურ არჩევანს თავს არიდებს და კოლექტიური სისასტიკის სცენებში, სადაც, წესით, თითქოს კონკრე-ტული დამნაშავე არ იძებნება ხოლმე, ვისაც პასუხი მოეკითხება ამგვარ

<sup>34</sup> 14. 2004 წლის

## დარეჯან გარდავაძე

სიმხეცეზე, ის საკუთარ წილ შინაგან პასუხისმგებლობას გრძნობს, რაც მის ქვეცნობიერში გადადის და სიზმრისეულ კოშმარებად ევლინება, საკუთარ თავს მკვლელობაში ბრალდებულად ხედავს, ხელები სისხლში აქვს მოსვრილი და განწირული საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებას ცდილობს...

„სიზმრისეული მოვლენები ბუნებრივი იყო და ლოგიკური...

მუჟსინმა საკუთარი თავი მკვლელობაში ბრალდებული ნახა. ნახა თავისი მსხვერპლი – კაცი, რომლის არც გვარი იცოდა და არც სახელი...

რა იარაღი გამოიყენა დანაშაულისას?! ან რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი?.. არაფერი იცოდა გარდა იმისა, რომ ბრალდებული იყო, ხელები სისხლში ჰქონდა მოსვრილი და რკინის ხელბორკილით შეკრული... მერე ძილიდან გამოფხიზლებულმა აღმოაჩინა, რომ ყვიროდა: „მე უდანაშაულო ვარ, უდანაშაულო!“...

ჯერ ისევ დამე იყო. ადგა და შუქი აანთო, რომ საკუთარი ხელებისთვის დაეხედა... ნუთუ ეს სიზმარი არ იყო?! ნუთუ მართლა მკვლელია? შემდეგ რა მოხდება?... ნუთუ ძილის ნინ მწუხრის ლოცვა არ შეუსრულებია?!

სისხლის დანახვა მართლა აუტანელი იყო მისთვის...”<sup>35</sup>

ავტორის ასეთივე არაერთმნიშვნელოვანი და არაპათეტიკური პოზიცია ჩანს მთავარი გმირის, მუჟსინის სხვა მოგონებაშიც, რომელსაც პარიზის გარეუბანში ნაქირავებ სახლში ფრანგი ბებია-შვილიშვილის დიალოგი გამოიხმობს ნარსულიდან:

„- ახლა რა გავაკეთო?

- ბოშებს შეებრძოლე!

- მე მათ უკვე შევებრძოლე...

- მაშინ უამბე მუჟსინ მუჟსინს, როგორ სურდათ გერმანელებს პარიზის დანგრევა!.. გახსოვს, რა მოგიყევი ამის შესახებ?..

ბავშვი აჭიჭყინდა და განერვიულებულმა ნამოიტირა. შემდეგ ნელა გაემართა მუჟსინისკენ და შეაჩერდა, მერე პატარა ხელი მაგიდაზე გადაშლილი ნიგნისკენ გაიშვირა და სურათების ძებნაში ფურცლების გადაშლა დაიწყო. მუჟსინი არც განძრეულა, მისი გონება სხვაგან ქროდა, მზერა გაშეშებოდა, არაფრისკენ იყო მიპყრობილი, მხოლოდ საკუთარ თავს ეკითხებოდა გულში:

<sup>35</sup> იქვე, 13.

– ნეტავი ყველა დედა საფრანგეთში თავის შვილს გერმანელების სიძულვილს შთააგონებს?.. თუმცა ვინ იცის?.. იქნებ ყველა გერმანელი ქალი თავის პირმშოს ფრანგების სიძულვილით ზრდის?.. მიზეზი რაც არ უნდა იყოს, რა უფლებით შეუძლია დედას თავისი შვილი სიძულვილსა და მტრობაზე გაზარდოს?!..

თუმცა თვითონაც სიძულვილზე არ გაიზარდა?!.. ინგლისელთა სიძულვილზე... არასოდეს დაავინწყდება ფერწასული მამის სახე, ერთ საღამოს სახლში რომ შემოვიდა აღელვებული და არეული... მუჰსინს ესმოდა ღია კარიდან მამა, – მრჩეველი იურიდიულ საკითხებში, – როგორ ესაუბრებოდა საკუთარ მეუღლებს:

– ან თანამდებობაზე უნდა ვთქვა უარი, ან მოსამართლის სინდისზე... პურის ფულის შოვნა სახიფათო გახდა...

მუჰსინის დედა პრაქტიკული, ფრთხილი ქალი იყო... გრძნობდა რეზოლუციური გამოსვლების მოახლოებას და მისი ბუნება გაორებულიყო, ნინააღმდევობრივი და ცვალებადი გამხდარიყო... გაბედულიც იყო და თან, ამასთანავე, შიშსაც შეეპყრო... გულმოწყალეც იყო და სასტიკიც... ძლიერიც და სუსტიც... უსაზღვროდ უყვარდა მაღალი მდგომარეობა, მაგრამ ისეთი, მის პატრონს ბევრს რომ არაფერს ავალებს, მსხვერპლს რომ არ მოითხოვს, არა მხოლოდ სიცოცხლეს, არამედ თვით საარსებო საშუალებასაც კი რომ არ ემუქრება!..

მას ესმოდა ისეთი მუდერი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა სინდისი, განაჩენი, გაბედულება... როგორც კი მიხვდა, რომ მისი მოსამართლე ქმრის სინდისი ვიღაცის ხელში სათამაშო უნდა გამხდარიყო, არც კი შეყოყმანებულა, ხმამაღლა ეთქვა, რასაც ფიქრობდა... იმ წუთს აღარ ახსოვდა, რა მოსდევს ხოლმე მაღალი მდგომარეობის დაკარგვას... ქმარს თავისი აზრი ამ სიტყვებით განუცხადა: მოსამართლის სინდისი და ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას...

დედამ იცოდა ამ თემის გარშემო დატრიალებული ისტორია... ხალხი გაუთავებლად ლაპარაკობდა სასამართლოს ამ პროცესზე... ყველან ჩურჩულებდნენ, რომ ეს სასამართლო საქმე ინგლისელთა მორიგი შეთქმულება იყო დელტის რეგიონის ერთ-ერთი მმართველის ნინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ქედმაღლობა ედებოდა...

ეს მმართველი ზემო ეგვიპტის ერთ-ერთი მდიდარი ოჯახიშვილი იყო, განათლება ოქსფორდში ჰქონდა მიღებული და ინგლისშიც დიდხანს იყო ნაცხოვრები, საკუთარი ქვეყანასავით უყვარდა იგი, უყვარდა ყველაფერი ინგლისური... სამშობლოში რომ დაბრუნდა, თვეში ორჯერ

## დარეჯან გარდავაძე

საკუთარ ტანსაცმელს ინგლისში გზავნიდა დასარეცხ-დასაუთოებლად... ერთ მშვენიერ დღეს დელტის ერთ-ერთი პროვინციის მმართველად დაინიშნა და პირველად სწორედ მაშინ აღმოაჩინა ჭეშმარიტი ინგლისელის სახე...

ეს ის ჯენტლმენი როდი იყო, ინგლისიდან რომ იცნობდა – თავაზიანი და ლირსეული კაცი! ის სულ სხვა არსებად ქცეულიყო! ისეთად, რომლის მსგავს ინგლისელსაც თავის ქვეყანაში – ინგლისში – უპირისპირდებოდა... თვითნება მმართველად, საკუთარ ძალაუფლებას რომ ახვევს თავს და ბრძანებებს ასრულებინებს ეგვიპტის უზენაეს პირებს!.. წესად იყო შემოლებული, რომ პროვინციის მმართველი, – და ის კი საკმაოდ მაღალი რანგის პასუხისმგებელი პირი გახლდათ, – დახვდებოდა ხოლმე ყველა ინგლისელ პატარა ჩინოვნიკს, რომელიც კი ამ პროვინციას გაივლიდა...

დელტის ერთ-ერთი პროვინციის მმართველად დანიშნულმა ამ ინგლისელთა მეგობარმა ეს დამამცირებელი წესი კი იცოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ინგლისელი ოუკანტი ეგვიპტელის მეგობრობას არ უერთგულებდა... მის ლექსიკონში მხოლოდ ორი სიტყვა იყო: „ბატონი“ და „მონა“..

მმართველმა გადადგომა გადაწყვიტა, მაგრამ ინგლისელებმა ეს რომ გაიგეს, ბრალდება შეუთითხნეს... უსამართლოდ დააბრალეს, თითქოს ერთ-ერთ სასამართლო საქმეზე აღიარებითი ჩვენების მისაღებად ბრალდებულებს ანამებდა... ეს კი არაკანონიერი, ანტიპუმანური ქმედებაა კაცობრიობის ყველა სამართალში, სამოქალაქო სამართალში!..

ამ პროცესების გარეგნული მხარე ჰუმანურობა იყო, დაფარული არსი კი შურისძიება კაცზე, რომლის დამცირებაც გადაწყვიტათ... ისინი ჰუმანურობის სახელით უტევდნენ თავიანთ მტრებს და ასამართლებდნენ... ეს ინგლისელთა მეთოდი იყო, რომელშიც ძლიერ დახელოვნებულები იყვნენ...

ჩვენმა მმართველმა რეალურად არ იცოდა მთელი ეს მექანიზმი... როცა ბოროტმოქმედნი უდანაშაულოები გამოდიან და უდანაშაულონი ბოროტმოქმედებად ცხადდებიან... და ისინი ამისთვის არა საშუალებას არ ზოგავენ!..

მუშაინის მამას ამ სასამართლო საქმეზე განაჩენის გამოტანა ევალებოდა... მას მერე, რაც საქმე გულდასმით გამოიძია და დაზარალებულთა სხეულებზე ჭრილობებიც ნახა, მისთვის ცხადი გახდა საქმის ვითარება... შიშობდნენ, ვაი თუ ეს მისთვის გადამწყვეტი სამხილი არ ყოფილიყო და კაციც მიუგზანეს, რომელმაც ყურში ჩასჩურჩულა, რომ განაჩენი მმართველის გამამტყუნებელი უნდა ყოფილიყო, თუ არა და...

წარსული – აწმყოსა და მომავლის ნაწილი. ზღვარზე მყოფი ხმა

მოსამართლემ ცხადად იცოდა მმართველის უდანაშაულობა, ისევე როგორც საზოგადოებრივმა აზრმა უწყოდა ამის შესახებ...

მუქარას შეპირებები მოჰყვა, რომ იქნება ამას გაეჭრა... ზედ განაჩენის გამოტანის წინ მიანიშნებდნენ, რომ დაწინაურებას და ჩინ-მედლებით დაჯილდოებას უპირებდნენ...

რა უნდა ექნა?!..

სწორედ ამიტომ მუჳსინის დედამ სძლია თავის ხასიათს, ბუნებას და ქმარს უთხრა: ძვირფასო, განსაჯე, როგორც სინდისი გიკარნახებს და მოხდეს, რაც მოსახდენია!..

მოსამართლემ მიუკერძოებელი განაჩენი გამოიტანა... თუმცა ამას ოკუპანტებისთვის ხელი არ შეუძლია, ისეთი იურიდიული საფუძველი მოენახათ, რომლის დახმარებით საქმეს სხვა მოსამართლეს გადასცემდნენ, ისეთს, ვინც მათთან ითანამშრომლებდა მმართველის დამადანა-შაულებელი განაჩენის გამოტანაში. ეს მმართველი კი ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ ეგვიპტური რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი გახდა...<sup>36</sup>

თავფიკ ალ-ჰაქიმის თხრობის ლოგიკა დემონსტრაციულად ემსახურება პერსონაჟის ღიაობის წარმოჩენას. წარსულის ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ეს ორივე წარუშლელი მოგონება იმგვარი მანერითაა მონაყოლი და გადმოცემული, რომ მკითხველი გრძნობს, ეს მოგონებები ავტორსა და მის მთავარ გმირში მხოლოდ ტკივილს კი არა, კაცობრიობის მარადიულ ფასეულობათა ჭეშმარიტ მნიშვნელობებს ალ-ვიძებს, ამით მწერალი დაუფარავად იძლევა მუჳსინის აწმყოსა და მომავალში მისი ტოლერანტული ბუნების შესახებ მსჯელობის საშუალებას.

რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი (ალმოსავლურ-დასავლური რომანი, კულტურათა დიალოგი სიყვარულის გზით), ზემოთ მოტანილი ყველა ამონარიდი ტექსტიდან, მთავარი გმირის – ეგვიპტელი მუჳსინის ტრანსფორმაციისა და თვითგანვითარების გზა კარგად წარმოაჩენს თავფიკ ალ-ჰაქიმის მიერ ორი კულტურის თანაარსებობის სივრცის საზღვრების გაფართოების, მათი ერთმანეთისთვის მორგების, დიალოგური ფონის შექმნის მცდელობას, ამ დიალოგურ სივრცეში ინდივიდის განვითარების, მისი ჰიბრიდული იდენტობის ჩამოყალიბების სურათის ჩვენების სურვილს, თუმცა მხედველობაში აუცილებლად მისაღებია ისიც, რომ ქრონოლოგიურად ავტორი – თავფიკ ალ-ჰაქიმი (1898-1987) პოსტკოლონი-

<sup>36</sup> იქვე, 25-22.

## დარეჯან გარდავაძე

ური მწერლების პირველ თაობას მიეკუთვნება, სადაც ხსოვნა მძიმე წარსულისა ჯერ ისევ მძაფრია, სადაც გადამწყვეტი ფაქტორი მაინც ჯერ კიდევ ისაა, რომ დომინანტი კულტურა იყო თავსმოხვეული ავტოქტონური კულტურის მიმართ. მანერა, რომლითაც ეს ავტორები წარმართავენ თავიანთ ურთიერთობას გარემოსთან, არ არის თავისუფალი ნაციონალისტური იდეოლოგიისგან, რაც პოსტკოლონიური ლიტერატურის საწყის პერიოდს ახასიათებს და აგებულია ორი კულტურის კონფირონტაციულ დაპირისპირებაზე, ხშირად ავტორებისგან გაუცნობიერებლადაც კი<sup>37</sup> (იხ. ზემოთ პოსტკოლონიური სცენარების ანტაგონისტური სტრუქტურა).

ამ მხრივ სახასიათოა რომანის მეორე ხაზი – მუჰსინისა და მისი პარიზში შეძენილი მეგობრის, ასაკოვანი რუსი ემიგრანტის ივან ივანოვიჩის ურთიერთობა, მათი საუბრები იმ პერიოდის საჭირბოროტო სოციალ-პოლიტიკურ საკითხებზე ისტორიული წიაღსვლებით და კაცობრიობის ისტორიული განვითარების ივანოვიჩისეული ინტერპრეტაციებით:

„...აღმოსავლეთის წინასწარმეტყველები მიხვდნენ, რომ თანასწორობის დამყარება ამქვეყნად შეუძლებელია და მათ არ ძალუდთ ამქვეყნიური სამეფოს დაყოფა-დანანილება მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ამიტომაც ამ დაყოფაში ზეციური სამეფო შემოიტანეს და ხალხისთვის მიწისა და ზეცის დანანილების საფუძვლად აქციეს პრინციპი – ვისაც ამქვეყნიური სამოთხე არ ხვდებოდა წილად, მას ზეციურ სამოთხეში ენახებოდა უფლება!.. ეს მშენებია!.. ეს პრინციპი რომ გაგრძელებულიყო და ეს რჩება დღემდე შემონახულიყო, მთელი სამყარო ამ გავარვარებულ თონეში არ მოიხარმებოდა!.. მაგრამ დასავლეთმა მოინდომა, რომ მასაც ჰყოლოდა წინასწარმეტყველნი, ამ პრობლემას ახლებურ შუქჩე რომ გადაუჭრიდნენ. ეს შუქი კი ამჯერად მიწის სიღრმიდან აღმოცენდა და არა ზეციური სიმაღლეებიდან!.. ეს თანამედროვე მეცნიერების შუქია! მოვიდა ჩვენი წინასწარმეტყველი კარლ მარქსი, თავისი მიწიური ეგანგელე – „კაპიტალი“ მოგვიტანა და მოინდომა სამართლიანობის დამყარება ამქვეყნად, მხოლოდ მიწა გაუნანილა ხალხს და ზეცა დაივიწყა!..

მან მატერიალიზმის, სიძულვილის, სიხარბისა და რბოლის ბომბი ჩააგდო ხალხში, როცა გააგებინა მათ, რომ არაფერი არ არსებობს მიწის გარდა, როცა ზეცა სათვალავიდან გამოთიშა, რადგანაც თანამედროვე

<sup>37</sup> მურა 2012, 87.

ეკონომიკური მეცნიერება ზეცას არ ცნობს!.. აღმოსავლეთის წინასწარმეტყველებმა კი მოთმინებისა და იმედის ყვავილი ჩანერგეს სულებში, როცა ხალხს უთხრეს: „მიწას ნუ გამოეკიდებით, მიწა ყველაფერი როდია!.. არის სხვა რამ, მიწისგან განსხვავებული და ეს სხვა რამ დაგინანილდებათ თქვენ!.. ადამიანი არ ცოცხლობს მხოლოდ პურით და არც მხოლოდ პურისთვის ცხოვრობს!..“ ეჭ!.. აღმოსავლეთის წინასწარმეტყველნი ნამდვილი გენიოსები იყვნენ!..<sup>38</sup>

„მარქსიზმსა და ფაშიზმს გზები და მეთოდები აღმოსავლური რელიგიებიდან აქვთ აღებული; მათ კარგად ესმით, რომ წინასწარმეტყველთა ყოველი ტაქტიკური სვლა უკმაყოფილოთა, გულნაკლულთა და მომდურავთა, გაჭირვებულთა ლობირებაა, რომლებიც უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ!.. ასე მოიქცა იქსოც და მუჰამედიც!.. განა მათი პირველი მიმდევრები მონათა, ღატაკთა და უმწეოთა გარდა იყო ვინმე?!.. ეს იმიტომ, რომ შეძლებულებსა და ცხოვრებით კმაყოფილთ არ აქვთ საჭიროება, ვინმეს გაჰყვნენ... ამასთან ერთად, ისინი იშვიათ უმცირესობაში არიან ხალხის მასაში. სწორედ მასაა რელიგიის საყრდენი და ძალა წინასწარმეტყველის ხელში!.. ამას კარგად არიან მიმხვდარნი თანამედროვე ეპოქის ევროპის წინასწარმეტყველნი, მათ წინასწარმეტყველების ტექნიკა აღმოსავლელი მასწავლებლებისგან აქვთ შეთვისებული და ყველაფერი ერთ საფუძველზე აქვთ აშენებული – ესაა ხალხის მასები!.. მათ ერთმანეთისთვის კონკურენციის განევა დაინტერადამის მოდგმის დაჯგუფებებისა და მასების გულის მოგებაში დაპირებებით – რეალისტური, მოკლევადიანი დაპირებებით!.. აი, აქ არის სწორედ ამ „წინასწარმეტყველთა“ მთელი უგუნურება!..<sup>39</sup>

„– ყველა წარმოდგენა და ხატი იმქვეყნიური ცხოვრებისა ისე გაფუჭდა, როგორც ფოტოფირები ფუჭდება და გამოუსადეგარი ხდება, შუქმა თუ შეაღნია ჩაბნელებულ ოთახში... არ ვიცი ამის მიზეზი... ასე მგონია, თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია ხალხს მხოლოდ ერთ სამყაროში ცხოვრების უფლებას აძლევს... ძველი ცივილიზაციების დიდებულების საიდუმლო კი ისაა, რომ ისინი ხალხს ორ სამყაროში აცხოვებდნენ... იმ ცივილიზაციებს ჰქონდათ ცოდნაც და გამოყენებით მეცნიერებებსაც ფლობდნენ; ცივილიზაციას, რომელმაც პირამიდები ააგო,

<sup>38</sup> .65-66، 4002 الحکیم

<sup>39</sup> .67، 2004 الحکیم

შეუძლებელია, არ სცოდნოდა თეორიული და გამოყენებითი მეცნიერებანი და ამის მიუხედავად, ამცოდნას მათ თავებში იმქვეყნიური ცხოვრების ამსახველი ფოტოფირები არ გაუფუჭებია!.. მე იმ ცივილიზაციებს „სრულყოფილ ცივილიზაციებს“ უწნოდებდი!.. მაგრამ ისტორიის რაღაც მონაკვეთში აზია და აფრიკა ერთმანეთს ქორნინებით დაუკავშირდა და შევს ახალშობილი – ევროპად წოდებული ეს ქერა ქალიშვილი, ლამაზი, გრაციოზული, ნიჭიერი, მაგრამ სიცოცხლის მოტრფიალე და ეგოისტი, მხოლოდ საკუთარი თავი რომ აინტერესებს და სხვათა დამონება!..<sup>40</sup>

„... ეს ახალგაზრდა ქალი მთელ დიდებას მხოლოდ ერთ რამეში ხედავს: კაცობრიობას ფეხებზე ბორკიდები დაადოს!.. დაწყებით კი თავისი მშობლებით დაიწყო – აზითა და აფრიკით!.. უარი თქვა მათზე, გაემიჯნა და დაატყვევა ისინი... თვითონ კი ზღვარდაუდებ და აღვირასხსნილ ცხოვრებაში გადაეშვა, სანამ საბოლოოდ ერთ-ერთი ლამის კლუბით არ დაამთავრა, რომელსაც მენეჯერობს და შესცექერის იქ მთვრალების ჩხუბს, ჭიქებს და სკამებს რომ ლენავენ... მე მეშინია, რომ ევროპა წეიპზეა მისული, კაცობრიობას უფსკრულისკენ რომ უბიძგოს... ხანდახან გონის მოეგება ხოლმე, ხედავს რაც მოელის და სინდისის ქენჯნა ეძალება; ხანდახან სული იღვიძებს მასში და დაეჭვდება ხოლმე საკუთარ თავში, ეჩვენება, რომ მისი აღმაფრთოვანებელი კულტურა სხვა არაფერია, თუ არა გარეგნული მორთულობა და მთელი მისი თანამედროვე მეცნიერება კი, – რითაც მან სწორი გზიდან გადაიყვანა კაცობრიობა მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, – მეცნიერული ლირებულების თვალსაზრისით სხვა არაფერია, თუ არა თუნუქის, მინისა და მეტალის სათამაშოები, რამაც ხალხს ყოფით ცხოვრებაში კომფორტი მისცა, მაგრამ უკან დახია კაცობრიობა და ბუნებრიობა წაართვა, მისი პოეტურობა და სულის სინმინდე!.. რკინიგზებმა, თვითმფრინავებმა სისწრაფე მოგვცეს და დროის ეკონომია, მაგრამ რა სარგებელია ამაში?!.. რაში გვჭირდება სისწრაფე?.. რაში გვჭირდება დროის ეკონომია?.. თითქოს დემონები მოგვსხდომიან ზურგზე და მათრახს გვიტკაცუნებენო!.. ჩვენ ხომ მხოლოდ წყლის წვეთები ვართ ცხოვრების მდინარეში!.. მაშ, რა ხეირია ჩვენთვის დინების სისწრაფეში, ზღვაში მის გამალებით ჩადგათუნებაში?!.. ჩვენი უდიდესი ბედნიერება ხომ ამობიბინებული ბალახის გარშემო ზოზინია, კუნძულთა ნაპირებზე ჩამონალილი სიჩუმე, ნიავი რომ გვეთამაშება?!.. ვინ არის

<sup>40</sup> الحکیم، 2004، 130.

მოგებული ამ წყეული სისწრაფით ერთი მუჭა გაუმაძლართა გარდა, ხელში სიმდიდრე რომ მოუხვეჭავთ და მათ კაპიტალისტებს ეძახიან!.. მე, შენ და ადამის მოდგმის სხვა უბრალო ხალხი კი ნაგებაში ვართ, ჩვენ დავკარგეთ ის ხანგრძლივი მოგზაურობები ცხენებზე თუ აქლემებზე, როცა ჩამოვქვეითდებოდით ყოველ გასაჩერებელ ადგილას, ვტებე ბოდით ბუნების მრავალფეროვნებით სხვადასხვა სეზონში... დიახ, მოვი ხვეჭეთ სისწრაფე, მაგრამ დავკარგეთ სულიერი სიმდიდრე, რომელიც ბუნებასთან მის უშუალო კავშირში იზრდება... დღეს გვახარებს სიტყვა „სისწრაფე“ და გვავინყდება, რომ ის მხოლოდ თვლემაა მატარებლის ვაგონში, ჩაბნელებულ გვირაბში რომ მიგვაქროლებს და მცირე დროში მივყავართ სასურველ ადგილას, მაგრამ მერე აღარ ვიცით, რა ვუყოთ დარჩენილ დროს და სისულელეში და უაზრობაში ვფლანგავთ მას... ბუნება შურს იძიებს და დროს, რომელსაც მას ვპარავთ, სარფიანად ვერ ვიყენებთ, მხოლოდ ადამიანური ზნეობით ვაჭრობაში ვფლანგავთ...<sup>41</sup>

„– ...ცოდნა ორია – ხილული და უხილავი. ევროპა დღემდე პატარა ბავშვია, იმ უხილავი ცოდნის ფეხებთან თამაშით რომ ერთობა, რომლითაც აფრიკულმა და აზიურმა ცივილიზაციებმა მართლაც მიაღწიეს ადამიანური ცოდნის მწვერვალებს!... მხოლოდ ხილული ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა მოაზროვნე რობოტის შეზღუდული ენერგია, ხილული ცოდნის მთელი საშუალებები კი ჩვენი კიდურები და გარეგანი შეგრძნებებია, რომელთაც, – უმნიშვნელო გამოვლინებების გარდა, – არ აქვს ის სიზუსტე, რაც იჭერს ბუნებისა და სამყაროს მოვლენებს, როგორც არ უნდა ეხმარებოდეს მათ მანქანა-იარაღები და ლუპები და ლინზები!.. მთელი ეს თანამედროვე ცოდნა, რომელიც შენ თვალს გჭრის და გიბრმავებს, სინამდვილეში, მხოლოდ გზა და საშუალებაა!.. დიახ!.. სინამდვილეში, თანამედროვე ევროპული ცოდნის სიახლე ეს არის სისტემური აზროვნების მეთოდი და დაგეგმილი, ორგანიზებული, რაციონალური კელევის გზები, მაგრამ ამაზე მეტი – არა!.. ხოლო მხოლოდ ბუნების ზოგი თვისების ჩვენი შეგრძნებებით აღმოჩენას ადამიანური ცოდნის მწვერვალების დალაშქვრა რომ ვუწოდოთ, ეს იქნება უდიდესი ირონია!.. ადამიანური ცოდნის მწვერვალები იმ ფარული ცოდნის შეუცნობელი ჯუნგლებია, რომელშიც ევროპული გონი არ შესულა, რადგან მისი საშუალებები, როგორც გითხარი, მხოლოდ ცხოვრების ზედაპირულ მოვ-

<sup>41</sup> 132-131, 2004 წლის კანონი.

ლენათა გასაგებადაა შექმნილი! მკაცრი არ ვიქნები, თუ მის მიმართ გამოვიყენებ სიტყვა „ზედაპირულს“, რადგან ის სწორედ ასეთია!.. ევროპული ცოდნის თვალი ყოველთვის საგანთა ზედაპირზე ეცემა ისე, როგორც ყველა თვალი... ესაა ცივილიზაცია, რომელიც ვერ შეიცნობს და არ აღიარებს იმას, რასაც ვერ ხება, ვერ ხედავს და რაც მისი გონების ლოგიკას არ ემორჩილება. ის გრძნობად, აღქმად სამყაროზე დგას. მე და უინებით ვამტკიცებ, რომ ეს დიდი ცივილიზაცია არის მხოლოდ და მხოლოდ ნაკლოვანი, არასრულყოფილი ცივილიზაცია, რადგანაც მან სიცოცხლე მხოლოდ ერთ სამყაროში იცის!.. მინდა, გავიქცე იმ ქვეყნებში, სადაც ორ სამყაროში ცხოვრობენ, ქვეყნებში, სადაც ადამიანური განათლება ამაღლდა ორივე ცოდნის მწვერვალებამდე!..”<sup>42</sup>

არჩევანში, მუჭსინს კი არა, რუს ემიგრანტს მიანდოს აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობების შავ-თეთრ ფერებში და პათეტიკურ, მაღალ რეგისტრში გადმოცემა, ერთის ზეციურთან და მეორის კი ქვესკნელთან გაიგივება, კარგად ჩანს თავად ავტორის პოზიცია, რომლის ხმა ისმის ზღვარზე,<sup>43</sup> მეტიც, როცა ივანოვიჩი დასავლეთის დაღუპვას წინასწარმეტყველებს, რადგან ის სულიერებისგან და მორალისგან დაცლილია, დიდ დასავლურ ცივილიზაციას კი გაკოტრებულს უწოდებს:

---

<sup>42</sup>. 142، 2004، الحکیم

<sup>43</sup> თავფიც ალ-ჰაჰიმი არაბ მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის მხატვრული შემოქმედება საკმაოდ კარგად და მრავლად არის თარგმნილი ევროპულ ენებზე (ფრანგულად, ინგლისურად, ესპანურად). „ჩიტი აღმოსავლეთიდან“ კი თავფიც ალ-ჰაჰიმის იმ იშვიათ ნაწარმოებებს განეკუთვნება, რომლებიც არა მხოლოდ თარგმანებში, დედნის ენაზეც კი პირველი გამოცემიდან საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ გამოიცა განმეორებით (2004 წელს) და თუ ამ ახალ არაბულ გამოცემას 1946 წელს გამოცემულ ფრანგული თარგმანის ტექსტითან შეადარებს ვინმე (ფრანგული თარგმანი რომანის 1938 წლის გამოცემიდან შესრულდა), ეს შედარება მკითხველს აჩვენებს, რომ ზოგი ადგილი 2004 წლის ახალ არაბულ გამოცემაში ამოღებული და შემოკლებულია. შესაძლოა, იმიტომ, რომ მიუხედავად უაღრესად საინტერესო ფსიქოლოგიური პასაჟებისა, აღმოსავლურ-დასავლურ დაპირისპირებებს რომანში საკმაოდ მწვავე შეფასებები ეძლევა, მთავარი გმირის მუჭსინის ასაკოვანი სწეული მეგობრის, რუსი ემიგრანტის ზოგი განცხადება პირდაპირ გამოწვევასავთ უდერს.

„განსხვავება დასავლეთის სულიერ გენიალობასა და აღმოსავლეთის სულიერ გენიალობას შორის ისეთივეა, როგორიც თაღლით ილუზიო-ნისტსა და ქრისტეს შორის!..“<sup>44</sup>

მუჭასინი ინდობს ავადმყოფ მეგობარს, რომ თვალი აუხილოს და უთხრას მწარე სიმართლე, თუმცა მისი სათქმელი რომანის ფურცლებზე მაინც ნათქვამია:

„ნუ ოჩქარდები, მეგობარო, ნუ ოჩქარებ!.. ეს სათავე, რომლის ნახვაც გინდა, ის მდინარეები, რომელთა წყალიც გინდა დალიო, უკვე მთლიანად მოწამლულია!.. „ქერა ასულმა“ ერთ დღეს თეძოში მორფის მომწამვლელი ინექცია შეიშხაპუნა და არც თავისი მშობლები დაუტოვებია ჯანმრთელნი და უკენბლები!.. საქმე უკვე მოთავებულია! იქ აღარ დარჩა ნმინდა სათავე, ღვთისმოსაობა უკვე წასულია აღმოსავლეთიდან!.. თვით ღვთისმსახურთა ნაწილმაც კი მანქანები შეიძინა და ხელფასები დაინიშნა, ნეტარებისა და სიამოვნებისგან ლოყები აიღაუდაუა!.. აღმოსავლეთის მშენებირი, კეთილშობილი შესამოხელი დღეს ევროპული ტანსაცმლის უცნაური ნაზავია, მნახველს სიცილს რომ ჰგვრის, როგორც იმ მაიმუნის დანახვა იწვევს სიცილს, სხვადასხვა ჯურის ტურისტთა ტანსაცმელი რომ აურევია ერთმანეთში, მასში გამოწყობილი ხეზე ასულა და იქიდან ჰბაძავს ამ ტანსაცმლის პატრონთა მოძრაობებს!.. წერა-კითხვის საყველთაო სწავლება, ხმის მიცემის უფლება და პარლამენტი – ყველა ეს ევროპული იდეა დღეს აღმოსავლეთში მტკიცე, ურყევ პრინციპებად ქცეულა, მთელი გულით რომ ირწმუნეს და იწამეს აღმოსავლელებმა, თვით მათ რწმენაზე და რელიგიურ პრინციპებზე მეტადაც კი!.. დღეს უფრო იოლია, აღმოსავლელი დაარწმუნო იმაში, რომ მისი რელიგიაა ნამხდარი და მავნე, ვიდრე იმაში, რომ დიდი ინდუსტრია ეშმაკის ბორბალია, რომელიც კაცობრიობას ნგრევისკენ მიაქანებს!.. ანბანის ნიშნების ყველასთვის სწავლება სისულელე და მონაჩმახია!.. დღეს შეგიძლია აღმოსავლელის თავიდან სრულიად ამოძირკვო ზეციური ცხოვრების დიდებულება, მაგრამ ვერაფრით ამოძირკვაც „თანამედროვე ევროპული ცოდნის“ დიდებულებას!.. დღეს უფრო მარტივია, გააცამტვერო აღმოსავლელის თვალში წინასწარმეტყველთა წმ. წერილი, მაგრამ ვერაფრით გაუუფასურებ მას თანამედროვე მატერიალისტური ძალის ეპისტოლეს!.. მეტიც, საოცარია, მაგრამ ის იდეები და პრინციპები, რომლებისაც დღეს ზეგარდმოვლენილი აიებივით მტკიცედ სჯერათ აღმოსავლეთში,

<sup>44</sup>. 137, 2004 კიბი.

## დარეჯან გარდავაძე

შესაძლოა, თავად ევროპელთა მიერ დისკუსიის საგნად და კრიტიკის ობიექტად იქცეს, მაგრამ ჩვენთან, აღმოსავლეთში მაინც სრულად ინარჩუნებს თავის ძალას!.. ევროპაში შეიძლება ქვემეხი გავარდეს ზოგიერთი ამ იდეის წინააღმდეგ, მის ავარდნილ ალს კი დავინახავთ აღმოსავლეთში, მაგრამ ხმა არ მოაღწევს ჩვენს ყურებამდე!.. არა მანძილის სიშორის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ყურებს არ ესმით და გულები არ შეიმეცნებენ!.. ის ინექცია ძლიერმოქმედი იყო, ეფექტური... არავინ იცის, ევროპამ აღმოსავლეთს სუფთა ოპიუმი შეუშხაპუნა თუ მომაკვდინებელ შხამში გაზავებული, რომელიც დატრიალდა და დღემდე ტრიალებს აღმოსავლეთის არტერიებში და კლავს აღმოსავლური უმაღლესი იდეალების ყოველგვარ ჩანასახს სულებში... აღმოსავლეთის ახალგაზრდობა დღეს, როცა გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითის მიღება უნდა, განდისეკენ კი არ იყურება, არამედ მუსოლინისეკენ მიაპყრობს ჰიპნოზურ ძილში წასულ თვალებს... დღეს, როცა სურთ გადმოსცენ და გამოხატონ ამტანობა, სიმტკიცე და ვაჟკაცობა, შიშველ, ძლიერ სხეულებზე ხელით ნაკეთებ, ბამბის უბრალო ხალათს კი არ შემოიცვამენ, ევროპულ, ფერად პერანგებს იცვამენ!.. ამრიგად, თვით აღმოსავლეთის გმირებიც კი უკვე დაიხოცნენ აღმოსავლელთა გულებში!..

დიახ!.. დღეს აღარ არსებობს აღმოსავლეთი!.. ის მხოლოდ ტყეა, რომლის ხეებზეც მაიმუნები სხედან დასავლურ სამოსში გამოწყობილი!.. არც რეჟიმი, არც წყობა, არც გაგება და არც აღქმა მათ არა აქვთ!..<sup>45</sup>

ბუნებრივია, ეგვიპტელი მუჭათის (რომლის პროტოტიპი თავისი ალ-ჰაკიმია) და მისი ემიგრანტი რუსი მეგობრის დიალოგებში გაჟღერებულ დასავლეთის მატერიალისტურ მეცნიერებასა და აღმოსავლეთის აბსატრაქციონისტულ სულიერებას შორის გადაულახავ განსხვავებაზე გაკეთებულ აქცენტებში ავტორის ხმა ჩანს, მაგრამ აქ სავსებით გასაზიარებელია პოსტკოლონიური კვლევების ცნობილი წარმომადგენლის, პომი კ. ბაბას მიერ ჩატარებული „ჰიბრიდული ანალიზის“ დასკვნები, სადაც ჩანს, რომ თაობათა ცვლასთან ერთად პოსტკოლონიური საზოგადოებების ბუნება იმგვარად ფორმირდება, რომ კულტურათა ურთიერთებების ჰიბრიდული სივრცე იზრდება, ფართოვდება, ამ კულტურათა თანაარსებობა კი წელ-წელა თანაარსებობის მდგომარეობისადმი ხელშემწყობ გარემოს აყალიბებს.<sup>46</sup>

<sup>45</sup> .الحكيم، 2004، 144.

<sup>46</sup> მურა 2012, 64.

ნარსული – აწმყოსა და მომავლის ნაწილი. ზღვარზე მყოფი ხმა

ამ მხრივ სახასიათოა თავფიკ ალ-ჰაქიმის რომანის ამ ორი გმირის დიალოგის ერთი ფრაგმენტი – მომაკვდავი რუსი ემიგრანტის ბოლო თხოვნა მუჭსინისათვის:

„ყმარვილო, მოდი, ნავიდეთ აღმოსავლეთში!.. მინდა ვნახო ზეთი-სხილის მთა, ნილოსისა და ევფრატის წყალი დავლიო, ზამზამის წყაროს წყალი...“

და მუჭსინის პასუხი:

„და ეს ქვეყანა დავტოვოთ?!.. ეს კულტურა? დავტოვოთ ბეთჰოვენი?!.. მუსიო ივან, შეგიძლია, ყველაფერი თქვა დასავლეთზე და მე მოგისმენ, მაგრამ ბეთჰოვენი... ეს ნამდვილი ნინასნარმეტყველია!.. ეს არის მოციქული სიყვარულისა და მშვიდობისა, შექმნილი იმისთვის, რომ და-სავლეთის დიდება აამაღლოს უკუნითი უკუნისამდე... კაცობრიობა განნ-მინდოს და გულები გაანათოს!..“<sup>47</sup>

მუჭსინის, თანაარსებობის ამგვარი მდგომარეობისადმი ადაპტაციის მზადყოფნაში მყოფი პოსტკოლონიური საზოგადოების წრიდან გამო-სული ახალგაზრდა გმირის ერთადერთი მკეთრი განცხადება რომანში უკავშირდება არა ევროპასა და ევროპულ კულტურას, არამედ ამერიკე-ლებს და ესეც „უცხოსადმი“, „უცნობისა“ და „სხვისადმი“ შიშით და სი-ფრთხილით უნდა იყოს გამოწვეული, რაშიც ის ორიგინალური არაა და იმდროინდელ ევროპულ განწყობებს იმეორებას:<sup>48</sup>

„...მეჩვენება, რომ ეს ამერიკელები რეინაბეტონისგან შექმნილი ხალხია: არც სული აქვთ, არც გემოვნება, არც ნარსული! რომელიმე მათ-განს მკერდი რომ გადაუხსნა, გულის ადგილას დოლარი დაგხვდება! ისი-ნი ამ ძველ სამყაროში იმ ანგარიშით მოდიან, რომ ოქროთი თავიანთთვის გემოვნების ყიდვას შეძლებენ, თავისი ქვეყნისთვის კი – ნარსულის!“<sup>49</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რამდენადაც პოსტკოლონიუ-რი კრიტიკა ლიტერატურისა და თანამედროვე ისტორიის მიმართებებს სწავლობს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ ტიპის ლიტერა-ტურული ნანარმოებების შესწავლა, სადაც კარგად იკვეთება ლიტერა-

<sup>47</sup> .143، 2004 الحکیم

<sup>48</sup> თავფიკ ალ-ჰაქიმის პარიზში ცხოვრების წლები (1925-1928) დაემთხ-ვა ფრანგული ფრანგის უპრეცენდენტო გაუფასურებისა და საკალუტო კრიზისის პერიოდს (1925 წ.).

. 50 ، ناجي 2011 أدهم

<sup>49</sup> .16، 2004 الحکیم

## დარეჯან გარდავაძე

ტურის, როგორც სოციალური ფაქტორის, როლი და მნიშვნელობა კულტურული იდენტობის განსაზღვრის საკითხში. მხატვრული ლიტერატურა ფიქციაა, მაგრამ რეალური ყოფის ისეთი ნიუანსების ამსახველი, რასაც ვერც ერთი სხვა საშუალება ვერ მოიცავს, ამიტომაც ამ თვალსაზრისით ლიტერატურა შეიძლება უკეთაც კი ასახავდეს რეალობას, ხშირად უფრო ნამდვილი იყოს, ვიდრე მეცნიერული შეფასებები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სტერეოტიპულ იდეოლოგიურ წარმოდგენებს ეყრდნობა.

ბევრი ცნობილი კულტურის მკვლევარი ამტკიცებს, რომ კულტურულ შემოქმედებას, განსაკუთრებით კი ლიტერატურას, გარდაქმნის ძალა აქვს. შესაბამისად, პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესების ურთიერთმიმართების სურათით შესაძლებელია ამ პროცესებზე დაკვირვება – ერთის მხრივ, როგორ აისახება პოლიტიკური პროცესები ლიტერატურაზე და პირუკუ, – ლიტერატურულმა და ზოგადად კულტურულმა პროცესებმა რა ზეგავლენა იქონია საზოგადოებრივი აზრისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

ბუნებრივია, განზოგადებები ერთი და ორი ლიტერატურული წანარმოების საფუძველზე ვერ გაკეთდება, ამ ტიპის კვლევები მოიცავს მთელ კორპუსს საეტაპო წანარმოებებისა. ამ მწერლობის ლიტერატურული ანალიზი მიზანშეწონილია კულტუროლოგიური კვლევების მონაცემთა კონტექსტში. რამდენადაც ოქსიდენტალიზაციის პროცესი შეუქცევად ფორმებს იძენს, პოსტკოლონიური კრიტიკის შესწავლის ობიექტად ქცეული ლიტერატურები, რეალურად, მხოლოდ კოლონიური წარსულის კი არა, მომავლის ლიტერატურებია, რამდენადაც ისინი პასუხობენ პოსტმოდერნის მკვლევრის, ჩარლზ ნიუმენის, მიერ განსაზღვრულ ლიტერატურული შემოქმედების დანიშნულებას – ეს ლიტერატურები თანამედროვე ადამიანის ხელში ის მეთოდია, რომლის საშუალებით შეიძლება დავიწყებულ იქნეს ანტინომიები (წინააღმდეგობები). ეს არის პროცესი, რომელშიც დაპირისპირებები არ არის მოგვარებული და ტრანსცენდენტურ სივრცეში გადატანილი, მაგრამ ისინი ყოველმხრივ პასუხობენ ერთმანეთს.<sup>50</sup>

<sup>50</sup> მურა 2012, 199.

### ბიბლიოგრაფია

#### References

- კუნძერა 2011:** კუნძერა მილან, 2011, შეუცნობელი, თბილისი
- მაალიუფი 2007:** მაალიუფი ამინ, 2007, დამღუპველი იდენტობები, თბილისი
- მურა 2012:** მურა ყან-მარკ, 2012, ფრანკოფონული ლიტერატურები და პოსტკოლონიური თეორია, თბილისი
- Lamourette 1778:** Lamourette Ch. 1778, Aspects de la vie littéraire au Caire, *Annales Islamologiques*, t. XIV, 217-270
- Mousa 1999:** Al-Mousa Nedal M. 1999, The Arabic Bildungsroman: A Generic Appraisal, *International Journal of Middle East Studies*, vol. 25, No. 2, 223-240
- Vial 1969:** Vial C. 1969, Le Caire des romanciers égyptiens, *Annales Islamologiques*, t. VII, 151-165
- أدهم ، ناجي 2011: إسماعيل أدهم ، إبراهيم ناجي، 2011، توفيق الحكيم، الناشر كلمات عربية للترجمة والنشر ، القاهرة
- الحكيم 2004: توفيق الحكيم ، 2004، عصفور من الشرق ، دار الشروق، القاهرة

**Darejan Gardavadze**

#### **The Past – Part of the Present and Future. The Voice on the Verge (Based on the novel by Tawfiq Al-Hakim “A Bird from the East”)**

The memory of the past in the post-colonial literature is a kind of sadness over the impossibility to return of which Heraclites of Ephesus said that it is impossible to enter one and the same river twice. This past is related to the cultural environment that is constantly changing and it is impossible for an intellectual of the colonial and post-colonial period, who willy-nilly has become intellectually and mentally part of the hybrid cultural space, in order to reconstruct it in the same way.

The dialogue between cultures introduces the so called hybrid space of the cultural identity, and none of the individuals bearing this or that ethnic or cultural identity and mentality can retain his/her original, primary image. Once within the space of this dialogue, they acquire new elements which

make them lose their original identity and add a new identity, more spacious, ready for an essential renovation.<sup>51</sup>

The memory of the past, constant reconstruction of the past by means of reminiscences, a certain kind of anamnesis, helps the main character being on the verge realize his own self, reconstruct the awareness of his origin. The highlighted significance of the past experience in the post-colonial scenario is often a part of the aesthetics of the resistance.

The writer of the post-colonial literature aims at finding his place in this world while defining the space of the text precisely, which often represents a characteristic and recurring feature of the post-colonial literature.<sup>52</sup> In the process of drawing a line between the autochthonic and the dominant space, the past is always delimited with the time and space in these literary works and is always related to the autochthonic cultural space. Positioning the characters on the verge of these spaces, on two cultural grounds, is marked by a hesitation, spiritual crisis and by contrasting ways passed by them between these two spaces.

The narrative line of these literary works is in a continuous correlation with the past, with his/her own heritage which has to become a landmark in the alienated present or the problematic circumstances of the contemporaneity. The collective and individual history will turn into a metaphor<sup>53</sup> of contemporary problems and their probable solutions. The problem of memory selection, memory revision, becomes acute as well. What should be preserved from their cultural past and what has to be borrowed from a new, multicultural environment?! Being oriented on the past gives the narrator a peculiar status. He represents an individual and a cultural symbol at the same time.<sup>54</sup> Insertions in the narrative may be autobiographical, but in fact, it is an attempt to concurrently represent the collective and the personal. It is a "symbolic autobiography", the so called, "autobiography in plural."<sup>55</sup>

What keeps the memory of the past?

---

<sup>51</sup> Moura 2012, 195.

<sup>52</sup> Ibid, 165-166.

<sup>53</sup> Ibid, 171-172.

<sup>54</sup> Ibid, 144.

<sup>55</sup> Ibid, 172.

Ethos is the binding, the main link in the post-colonial literature. It is a special cultural feature characteristic for the autochthonic community, defining not only the principles of the inter-relation of solely the inner-cultural elements, but of their content as well; it is a system of key values, a cultural quintessence. In these literary works ethos governs the sacrality, the link between the visible and invisible worlds, between the living and the dead...<sup>56</sup>. It is ethos that unites the unique configuration of inner cultural elements. In such literary pieces ethos is related with one of the model actor, character, that represents the guarantee for the system of the cultural values in the text and creates an emotional psychological atmosphere imbued with lyricism. Ethos is the major voice of the creative literature reflecting the author's position by means of tangible contrasts. Despite its polyphonic character, the elements defining the author's world and identity come into the literary areal and this too, is a defining feature of the post-colonial literature.<sup>57</sup> The writer's inner "ego", portrayed in the artistic conscience is indicative of the culture feeding him/her.

Conveying the inner voice is imprinted by a wide diversity of themes. Some scholars regard the so called antagonistic structure of the scenarios of the colonial and the initial stage of the postcolonial literature as part of the movement of resistance, when while depicting a conflict between two powers, one of them is identified as goodness and the other – as the evil. Such opposition, which does not develop from the point of view of ethics and morals in equal conditions, is often marked by grandiloquent assertions, especially in connection with the system of values, and is sometimes characterized by somewhat forced, now and then constrained, or even grotesque signs. Ethos, in this case, is usually based on tangible contrasts.<sup>58</sup>

"A Bird from the East", a small novel<sup>59</sup> of the famous novelist and dram-

---

<sup>56</sup> Moura 2012, 157.

<sup>57</sup> Ibid, 159.

<sup>58</sup> Ibid, 158-159.

<sup>59</sup> The genres borrowed from the western literary models are subjected to a certain modification in autochthonic literatures. Moving from a form to form causes transformation of genres in the post-colonial literature. Assimilation of a western literary genre often ends with a genre uncertainty. Moura 2012, 173.

atist of the modernists' generation of the beginning of 20<sup>th</sup> century, Tawfiq Ismail Al -Hakim, is a novel based on a typically post-colonial scenario dedicated to the subject matter of the relations between the East and the West (i.e., the Near East and Europe)<sup>60</sup> and as the critics of the Arabian literature mention, is considered as one of the first literary pieces written in the Arabic language (it was published in 1938) describing the psychological problems of the Arab youth having acquired education in Europe. The novel bears moral pathos and raises urgent problems of finding one's own self and place.

The author himself, by his biography goes over the verge of these two cultures -- the European education (Paris, France), frequent change of the East and West in his life, which naturally, puts him within the cultural impact and this is reflected in his creative writing.

In the contrast of the oriental-western cultures Tawfiq Al-Hakim focuses on the materialistic nature of the West and the spirituality of the East.<sup>61</sup> In this sense, the comparisons and mutually contradicting discrepancies are evident between the main character Muhsin and his French friend, Andrei on the one hand, and on the other hand, in the petty details of everyday life of Muhsin and his beloved girl Suzy, a French cashier from the Odeon Theatre.

The Oriental-Western novel proved to be very short-lived. What Muhsin took for the essence of love turned out just a brief entertainment. Instead of a beautiful, earthly paradise of his imagination, Muhsin was left with an abject, obscene comedy. He is disappointed, though he blames more himself for being a dreamer, than Suzy for being realistic.

---

In our case Tawfiq Al-Hakim's novel "A Bird from the East" is mentioned in the literary critique and scholarly literature now as a story or a novel, now as a short novel and now as an autobiographical, a piece of self-developing genre literary work of (Arabic Bildungsroman). Al-Mousa 1993, 223.

<sup>60</sup> The theme of eastern-western relations is not new for the Egyptian modernists whose big part is connected with France by a strong cultural and educational relations, is not new and unfamiliar, for instance, Taha Hussein's novel on the same topic in 1935, Adib" and so on. Lamourette 1978, 255-257.

<sup>61</sup> .52 ، ناجي 2011 ، أدهم

Despite his young age, his own past and a kind of his anamnesis in a form of memories for Muhsin who finds himself abroad, is a benchmark of the present. To highlight the contrasts, this past is confined to a setting as well -- it is related to Egypt, Cairo, Sayeda Zeinab and his native religion, culture, his values and the aura.<sup>62</sup> The ethos, defining the sacrality of this novel, binding and uniting the elements of the spiritual world of the main character, helping and encouraging him during his spiritual crisis, is Saida Zeinab's image.<sup>63</sup>

Being abroad, on the verge of two different cultures, bewildered, Muhsin wishes his heavenly patron came down to earth and put his hand on his shoulder, as then he might find the strength to stop faltering in this new and unusual pace of life.

The bloody scene from the past is exactly that insertion in the novel which is not autobiographical, but as a matter of fact, is an attempt to convey the collective and the personal simultaneously, "a biography in plural", as I have already mentioned earlier. In particular, it is the scene of the Egyptian revolution of 1919, when the demonstrators attacked a young British soldier and brutally killed him.

Representing the past in such a way we can hear clearly Tawfiq Al-Hakim's voice, as the voice of a writer who does not share the revolutionary pathos and does not unconditionally halo the fight of the Egyptian people against the British invaders; he does never distribute the roles of the executioners and victims beforehand; he avoids ideological preferences and in the scenes of the collective brutality where as a rule, one cannot find a concrete culprit responsible for such atrocities, the author feels his share of responsibility which

---

<sup>62</sup> It seems, the mosque of Sayeda Zeinab bears the spirit of Ancient Islamic Cairo for many modernist Egyptian writers of Al-Hakim's generation. The ethos of Yahya Haqqi's popular novel "Umm Hashem's Lantern", also written on the issue of eastern-western interrelations is also related with it like many other literary works of other famous Egyptian novelists. Vial 1969, 151-153.

<sup>63</sup> Sayeda Zeinab –Zeinab Bint Ali – Prophet Mohamed's daughter Fatima's and 4th Khalifa Ali's (the first Shiit Imam) daughter. The mosque built after her in the old district of Cairo is the image of ancient Cairo. Zainab is known also by nicknames: *Um Al-Masakin* and *Um Al-Awagiz* – the mother of the poor and the destitute.

transfers into his subconscious and materializes in the form of nightmares. He sees himself guilty of homicides, his hands are blood stained and he desperately tries to prove his innocence...

The logic of Tawfiq Al-Hakim's narration demonstratively serves the purpose of revealing his character's openness. This unforgettable recollection of the past is conveyed and represented in such a manner that the reader feels that these recollections revive in the author and his main character not only the pain, but also the meaning of the eternal values of humanity. In this way the writer explicitly offers us an opportunity to judge and discuss Muhsin's tolerant nature in the present and in the past.

The main plot line of the novel (oriental-western novel, a cultural dialogue via love) – the course of the Egyptian Muhsin's transformation and self-development clearly represents Tawfiq Al-Hakim's attempt to expand the space of cohabitation of these two cultures, to adjust them to each-other, to create a background of a dialogue, the desire to depict the picture of an individual's development, his hybrid identity; however, we have to take account of the fact that the author – Tawfiq Al-Hakim (1898-1987) chronologically belongs to the first generation of the post-colonial writers, in whose works the recollection of the heavy past is still pungent, where the decisive factor is still the fact that the dominating culture had been imposed on the autochthonic culture. The manner by which these authors represent their relations with the environment is not devoid of the nationalistic ideology, which is characteristic for the initial stage of the post-colonial literature and is built upon the confrontational opposition of the two cultures, of which the authors are often unconscious themselves<sup>64</sup> (*see above*: the antagonistic structure of the post-colonial scenarios).

In this respect the second line – the relation between Muhsin and the elderly Russian emigrant Ivan Ivanovitch, who became his friend during his stay in Paris, their dialogues and historical excurses and Ivanovitch's interpretations on the historical development of humanity, is characteristic.

The author's choice to entrust portrayal of the eastern-western relations in black-and-white colours and in a pathetic, high pitched register, identification of one with the heavenly features and of the other -- with the infernal,

---

<sup>64</sup> Moura 2012, 87.

makes obvious the author's position, whose voice can be clearly heard on the verge<sup>65</sup>; moreover, when Ivanovitch predicts the decay of the West, as he is devoid of morale and calls the great western civilization bankrupt, Muhsin spares his sick friend and does not tell him the bitter truth, though the text of the novel does reveal to the reader his opinion that the idealized East exists only in his fantasy, while the reality has changed and the East has turned into a pitiable imitator and a devoted slave of the West.

Naturally, the voice of the author can be heard in the dialogues between Muhsin (Tawfiq Al-Hakim's prototype) and his Russian emigrant friend and sounds in the accents made on the insurmountable diversities between the materialistic science of the West and the abstractionist spirituality of the East, but here we fully share the conclusions made by the prominent representative of the post-colonial researchers, H. K. Bhabha, where we can see that along with the change of generations, the nature of the post-colonial community forms in such a way that the hybrid space of the mutual co-existence of the cultures extends, widens, while the coexistence of these cultures gradually establishes an environment encouraging the condition of co-existence.<sup>66</sup> Tawfiq Al-Hakim's Muhsin is a young hero emerging from a circle of the post-colonial community ready to adapt to exactly such condition.

Thus, we may conclude that as the post-colonial critique studies the interrelations of literature and contemporary history, particular attention should be drawn to the study of this type of literature, where the role and significance

---

<sup>65</sup> Tawfiq Al-Hakim belongs to the category of Arab writers whose creative Works are widely translated into European languages (French, English, Spanish). "A Bird from the East" belongs to Tawfiq Al-Hakim's rare works that were published with quite a big gap of time even after being first published in the original language and was published for the second time only in 2004, and if compared this new Arabian publication with its French text (the French translation was based on the 1938 publication) the reader will see that some parts in the new publication of 2004 were omitted and shortened in the Arabian publication. Maybe because despite the highly interesting psychological passages, the oppositions between the East and West is assessed rather bitterly and some of statements of Muhsin's friend, the elderly Russian emigrant sound as an open challenge.

<sup>66</sup> Moura 2012, 64.

of literature as of a social factor is clearly defined in terms of a cultural identity. Creative writing is fiction, but it depicts such nuances of real life that not any other means is capable to embrace, and that is why literature may depict the reality even better and even more truthfully than scientific estimations which are mostly based on stereotypic ideological conceptions.

Many famous researchers of culture assert that cultural art, literature in particular, possesses the power of reforms. Accordingly, we can observe these processes following the picture of interrelation of the political and literary processes – on the one hand, how the political processes are reflected in literature and vice-versa – what impact literary and generally, cultural processes have on the formation of the social thinking and consciousness.

Certainly, generalizations cannot be made based on a couple of literary pieces; this kind of studies should comprise an entire corpus of the significant creative writing. Literary analysis of such writing is advisable in the context of culturological data. As the process of occidentalization acquires irreversible forms, the literatures having become objects of the post-colonial critique, in fact, are the literatures not only of the colonial past, but of the future as well, as far as they co-ordinate with the function of the creative literature defined by Charles Newman – the researcher of the post modern: in the hands of the contemporary man these literatures represent a method which may render autonomies (oppositions) obsolete. It is a process where oppositions are not adjusted and transferred into the transcendental space, however they respond to each other in all respects.<sup>67</sup>

---

<sup>67</sup> Moura 2012, 199.

## გიორგი ლობჟანიძე

### ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი პიპერბოლის გააზრებისათვის

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ მეცნიერულ შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართულად თარგმნილი და დასტამბულია ამ პოემის არაერთი არაკი, თუმცა რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პოეტური შედარების ის ნიმუში, რომელსაც ჩვენ წინამდებარენერილში როგორც პიპერბოლას ისე განვიხილავთ, დღემდე სამამულო ირანისტიკაში სპეციალური მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ამას ასე ხაზგასმით თუ რატომ აღვინიშნავთ, ანდა ის, თუ რატომ გვგონია განსახილველი ნიმუში მაინცდამაინც პიპერბოლა, შევეცდებით ნერილში გავარკვიოთ, მანამდე კი ჯალალ ედ-დინ რუმის ამ პოემის შესახებ საჭიროა ძალზე მოკლედ აღინიშნოს შემდეგი:

ცნობილი ფაქტია, რომ ნაყშბანდიას სუფიური ორდენის ერთ-ერთ-მა მეთაურმა, დიდმა სპარსელმა პოეტმა, აბდ ორ-რაჰმან ჯამიმ (გარდ. 1492 წ.) რუმის ამ პოემას „სპარსული ყურანი“ უწოდა.<sup>1</sup>

ამ ეპითეტში ჩანს, ერთი მხრივ, თვითონ პოემის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის, თუ როგორი პატივისცემით იყო გარემოსილი მისი ავტორი აღმოსავლეთის სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროში.

ჯალალ ედ-დინ მოჰამმად ბ. ბაჰა' ედ-დინ მოჰამმად იბნ ბალხი (1207-1273), რომელიც ასევე ცნობილია ზედნოდებით „მოულანა“ („ჩვენი ბატონი“), გამოჩენილი სპარსელი მისტიკოსი და პოეტი, მოულავიას სუფიური საძმოს დამაარსებელ-ეპონიმი და არაფორმალური ხელმძღვანელი – დაიბადა ბალხში (ჩრდილოეთ ავღანეთში) და გარდაიცვალა კონიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე).

„მასნავი-ე მა'ნავი“ (როგორც ტრადიციულად ქართულ აღმოსავლეთ-მცოდნეობაში იყო მიღებული „ზნეობრივი მესნევი“, ჩვენი თარგმანით კი – „არსთა მესნევი“) პირველად გამოიცა ლონდონში, 1925-1940 წლებში, რვა ტომად. გამოცემას თან ახლდა პოემის ინგლისური თარგმანი და 25 632 ბეითს მოიცავდა.

<sup>1</sup> 72,1998/1362 زرین کوب،

## გიორგი ლობჟანიძე

ეს არის მისტიკურ-დიდაქტიკური პოემა 6 „დაფთარად“ (რვეულად) სანაისა (გარდ. 1131 წ.) და ფარიდ ად-დინ ათარის პოემათა ყაიდაზე. რუმი პოემას კარნახობდა ჰოსამ ედ-დინ ჰასან ჩალაბის, რომელიც ტექსტს მრავალი წლის განმავლობაში იწერდა. ბოლო საავტორო რედაქცია კი შესრულდა 1272 წელს. მადლიერების ნიშნად რუმიმ პოემა სწორედ ჰოსამ ედ-დინს მიუძღვნა და მოულავიას ორდენის ტრადიციაში მას „ჰოსამ-ნამეს“ („ჰოსამის წიგნსაც“) უწოდებენ.

„მესნევი“ – ლექსის ფორმით შექმნილი ნამდვილი ენციკლოპედია სუფიზმისა – რუმის შემოქმედების და საერთოდ სპარსული მისტიკური პოეზიის მწვერვალია. თვითონ რუმის მიაჩნდა, რომ პოემის მეშვეობით ის ყურანის დაფარულ საზრისს გადმოსცემდა. ტრადიციულად მიღებული თვალსაზრისით, პოემა იმპულსურად, წინასწარი გეგმის გარეშე იქმნებოდა და მას არც კომპოზიციური ჩარჩო და არც ერთიანი სიუჟეტური ხაზი არ გააჩნია.

ძირითად აზრობრივ დატვირთვას პოემაში ნამდვილად ატარებს იგავი, რომელიც რუმის უამრავი თეორიული გააზრებით არის შეფუთული, ასოციაციური და ზოგჯერ საგანგებოდ ვუალიზებული კავშირის საფუძველზე. მაგრამ ამასთანავე, პოემაში განვითარებულია მისტიკური ან თუნდაც მორალურ-ეთიკური მოცემულობის განმარტების ერთი და იგივე სქემა, რომელიც ძალზე დამახსასიათებელი იყო შუა საუკუნეების ღვთისმეტყველებისათვის: თეზისი (მისტიკური პოსტულატი) – დამტკიცება (აია ან ჰადისი) – ამ უკანასკნელის თარგმან-კომენტარი – საილუსტრაციო მაგალითი (დიდაქტიკური მოთხრობა, იგავი) – დასკვნა-სენტენცია. ანდა, ჰირიქით: იგავი ადგილს უცვლის კანონიკურ ბლოკს (აიას, ჰადისს) და მაშინ დადასტურების ფუნქციას სწორედ ეს უკანასკნელი იტვირთებს.

რუმის პოეტური სტილი რთული და არაერთგვაროვანია. თხრობისას მისი ენა სადაა და იმ ეპოქის სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოებული, თუმცა ეს სისადავე უცებ ქრება, როგორც კი ავტორი ფილოსოფიურ მსჯელობაზე ან, მით უფრო, მისტიკურ ჭეშმარიტებათა ახსნაზე გადადის.

ცნობილი ფაქტია, რომ სუფიზმის გაჩენისა და განვითარების პირველი ეტაპისთვის ირანელი მისტიკოსები თავიანთ პოეტურ ტექსტებში საგანგებოდ მიმართავდნენ ხალხურ მეტყველებას და საამისოდ, ძირითადად, რობაის გამოიყენებდნენ, რომელიც აღმოსავლურ სალექსო ფორმებში ყველაზე უფრო სხარტ და დემოკრატიულ ფორმად ითვლებოდა.

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი პიპერბოლის გააზრებისათვის

დროთა განმავლობაში მისტიკოსი ავტორების პოეტური სტილი სა-ვსებით შეიცვალა და ზოგჯერ ისეთი ღვლარქნილი გახდა, რომ მისი აღქმა არათუ ჩვეულებრივ ადამიანებს, საგანგებოდ მომზადებულ საზო-გადოებასაც კი გაუჭირდა. ეს ღვლარქნილობა ალაგ-ალაგ უონავს რუმის „მესნევიშიც“, თუმცა, ცხადია, მისი პოეტური ნიჭიერება და გემოვნება, საბოლოოდ, მაინც გადასძალავს და პოემა მთლიანობაში სიტყვიერების არაჩვეულებრივ ნიმუშად წარმოგვიდგება.

მეორე თავისებურება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის აღქმას, არის პოემის გარკვეული ბილინგვიზმი. „არსთა მესნევი“ ყუ-რანიდან, ჰადისებიდან თუ სხვა ტექსტებიდან მოხმობილ იმდენ არა-ბულ ციტატს შეიცავს, რომ მთლიანობაში მკითხველს და, მით უმეტეს, მთარგმნელს ამ ორივე ენის თანაბარი ცოდნა მოეთხოვება.

გარდა უბრალოდ მოხმობილი ციტატებისა, ტექსტი სავსეა შუა საუ-კუნების ყოფის, სულიერი თუ ინტელექტუალური ცხოვრების უამრავი რეალიით და ამ ეპისტემის ცოდნისა და გააზრების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ამა თუ იმ პასაჟის შინაარსი. შეიძლება ითქვას, რომ „არსთა მე-სნევი“ ყველაზე „ეპისტემური ტექსტია“ ამავე უანრისა და დანიშნულების სხვა ტექსტებთან შედარებით.

„არსთა მესნევის“ საილუსტრაციო ამბების ერთ რკალს სწორედ ყუ-რანის ნარატივი და ამ ნარატივის სუფისტური თა'ვილი (სიმბოლური დეკოდირება) წარმოადგენს. აღნიშნული ნარატივის ერთი სრულიად გა-მოკვეთილი ხაზი კი მოციქულ მუსასთან (ბიბლიურ მოსესთან) დაკავში-რებული სხვადასხვა ამბავია.

მაგალითად, „მესნევის“ მესამე დავთარში საქმაოდ ვრცლად არის მოთხოვნილი მუსას ჩასახვის, დაბადების, აღზრდისა და შემდგომ ფირფავნის (ფარაონის) მიერ მისთვის მოფიქრებული ხრიკის შესახებ, როცა ფარაონმა განიზრახა მუსას მოკველა, ამისათვის კი ასეთი ფან-დი მოიფიქრა: მას ორმოცდლიანი ვადა მისცა, რათა ამასობაში თვითონ თავისი სამეფოს ყველა ჯადოქარი შეეკრიბა და მუსას წინააღმდეგ გა-მოეყვანა. ხოლო თუ მუსა ამ ჯადოქართა გრძნების გამკლავებას ვერ შეძლებდა, თავისთავად საშინელი სიკვდილი ელოდა. მუსას ეს ისტორია, რომელიც, როგორც აღინიშნა, ყურანითა და ჰადისებით არის ნასაზრ-დოები, ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევიში“ იმის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი, რომ კაცის (თუნდაც იგი ამქვეყნიური ძალაუფლებით სრულად აღჭურვილი ადამიანიც იყოს) ყოველგვარი მცდელობა უძლუ-რია ღვთიური ნების, უფლის ჩანაფიქრისა და განზრახვის წინაშე და

ამ ნების წინააღმდეგ ნებისმიერი სახით გალაშქრება უსათუო მარცხით დამთავრდება.

აღნიშნული ამბები გადმოცემულია „არსთა მესნევის“ მესამე წიგნის 840-ე ბეითიდან შემდგომ. აქ საკმაოდ ბევრი საკითხია განხილული და ბევრი ისეთი დეტალია დამუშავებული, რომელთა ცალკე შესწავლაც სხვა ფორმატს საჭიროებს და არსებითად, ჩვენი წინამდებარე წერილის მიზანი არ არის.

ამ დეტალებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი, რომელიც განსაკუთრებულად აღაგზნებს ჯალალ ედ-დინ რუმის პოეტურ შთაგონებას, არის მუსას კვერთხი, როგორც ღვთისაგან მის მიერ მინიჭებული ძალაუფლების ნივთიერი, ხილული ნიშანი.

კერძოდ, პოემის 1100-1106 ბეითებში, როცა ფარაონისაგან ვა-დამიცემული მუსა თავის ნათესავებთან, შინ გამობრუნდება, საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ამ კვერთხის ზებუნებრივი თვისებები:

1100. ის მიდიოდა და გველეშაპი უკან მისდევდა,  
ვით მონადირის ძალლი, მცოდნე, მოსიყვარულე!
1101. ვით მონადირის ძალლი, კუდს ისე უქიცინებდა,  
ლოდებს კენჭებად კი აქცევდა თავის ფლოქვის ქვეშ.
1102. ლოდსა და რკინას კუდით ერთმანეთს მიახეთქებდა,  
აქუცმაცებდა რკინას თვალის დასანახავად.
1103. თავის თავს ჰაერში სწევდა, ზემოთ (ციური) ბურჯის,  
მისგან ძლეული გამორბოდა რუმი თუ გურჯი.
1104. ფურთხს მოისროდა ყბიდან ისე, როგორც აქლემი,  
ვისაც კი ერთ წვეთს მოარტყამდა, კეთროვნად ქმნიდა.
1105. გულს ფვნიდა მისი საზარელი კბილთა ღრჭიალი,  
შავ ლომებს გული საგულედან უვარდებოდათ.
1106. როს თავის ხალხთან მივიდა ის გამორჩეული,  
(ურჩხულს) ყელში სწვდა და კვლავ კვერთხად გადააქცია.

ამ ვრცელი პასაუიდან, რომელიც მთლიანად წარმოადგენს პოეტური მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 1103-ე ბეითი, რომლის სპარსულ დედანსაც აქვე დავიმოწმებთ:<sup>2</sup>

<sup>2</sup> .378, 1998 ვ. რიცხვი

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი ჰიპერბოლის გააზრებისათვის

در هوا می کرد خود بالای برج  
که هزیمت می شد از وی روم و گرج

ნიკოლსონის ინგლისურ თარგმანში ვკითხულობთ:

In the air it was making itself (ris) above thie zodiac,  
So that Greeks and Georgians would flee from it in panic.<sup>3</sup>

რუსულად ეს ბეითი ასეა თარგმნილი:

В воздух поднимался он выше башен,  
так что бежали от него прочь и румыйцы, и грузины.<sup>4</sup>

სავარაუდებელია, რომ რუსულ ლიტერატურულ ეპისტემაზე გაზრდილ მკითხველს ჯალალ ედ-დინ რუმის ამ სტრიქონების წაკითხვისას მასზე გაცილებით გვიანდელი რუსული პოემის ერთი სტრიქონი გაახსენდეს: "Бежали робкие грузины".<sup>5</sup>

ოღონდ თუკი 1837 წელს დაწერილ ლერმონტოვის ამ პოემაში ქართველების მიმართ გამოყენებული ეს ეპითეტი უპირობოდ დამამცირებელ კონფაციას შეიცავს, ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ჩვენთვის საინტერესო ბეითი სავსებით სხვა, შეიძლება ითქვას, პოლარულად სანინააღმდეგო შინაარსისაა.

საქმე ის არის, რომ შუა საუკუნეების სპარსელი ავტორის მიზანი ზემოთ დამოწმებულ პასაუებში არის ის, რომ მკითხველის ფანტაზიაში რაც შეიძლება შემზარავად დახატოს ურჩხული, რადაც იქცევა ხოლმე საჭიროების უამს მუსას კვერთხი. ამისათვის იგი სიტუაციის ჰიპერბოლიზაციას მიმართავს და ამ ჰიპერბოლიზაციის ორგანული ნაწილია აღნიშნულ კონტექსტში „გურჯების“ – ქართველების მოხსენიებაც.

ერთი შეხედვით, ამ პასაუში „ქართველის“ სსენება შესაძლოა, რითმის კაპრიზად, სარითმო წყვილით ნაკარნახევ გარდაუვალ აუცილებლობად მოგვეჩვენოს, რადგან ბეითში (ისევე როგორც ეს ქართულ თარგმანშია) „გორჯ“ ერთმება სიტყვას „ბორჯ“ და, ცხადია, სავსებით ბუნებრივად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს „ბორჯ“ რომ არა, ამ კონტექსტში ქართველის („გორჯის“) მაგივრად დასაშვებია ნებისმიერი სხვა ეროვნება ყოფილიყო.

<sup>3</sup> Nicholson 1930, III, 80.

<sup>4</sup> Ястребовой 2010, III, 80.

<sup>5</sup> Лермонтов 1935-1937, 107.

მაგრამ ჯალალ ედ-დინ რუმი, მიუხედავად „არსთა მესნევის“ ზოგადი ეკლექტურობისა და სიტყვამრავლობისა, არ იყო ის ავტორი, რომელიმე სიტყვა წინასწარმოუფიქრებლად, მით უმეტეს, რითმის კაპრიზისათვის გამოყენებინა.

ჩვენთვის საინტერესო ბეითშიც ქართველების მოხსენიება „რომაელებთან“ (ანუ აღმოსავლეთ რომაელებთან/ბერძნებთან) ერთად ორი ძირითადი გარემოებით უნდა იყოს შეპირობებული.

პირველი არის ის, რომ მუსას კვერთხი, როგორც ღვთიური ძალმოსილების სიმბოლო, უპირისპირდება „ქუფრს“ ანუ ურწმუნოებას, რასაც მუსლიმი ავტორისა და მკითხველისათვის განასახიერებს მუსლიმურ აღმოსავლეთთან დაპირისპირებული ორი, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის ხალხი – ბიზანტიურები და ქართველები. მეორე გარემოება კი სიტუაციის პოლარიზებისთვისაა გამოყენებული და ბეითში „რუმი“ და „გორჯი“ ჰიპერბოლურად გამოხატავს ყველაზე მამაცი და მეომარი ხალხიც კი ძრნის მუსას გველებაპად ქცეული კვერთხის წინაშე.

ცხადია, თუ დამონბებულ სტრიქონებს მხატვრული რეალობის გარეშე გავიაზრებთ, ამ კონტექსტში, მუსასთან დაკავშირებით, ქართველთა და რომაელთა მოხსენიება ჩვეულებრივი ისტორიული ანაქრონიზმია. თუმცა, ჩანს, რომ თვითონ ჯალალ ედ-დინ რუმი კარგად იცნობდა ქართველებს და ამის დასტურად, არა მხოლოდ მისი პოემის ზემოთ განხილული ბეითი, არამედ ამ ტექსტის კიდევ არაერთი პასაური გამოდგება.

## ბიბლიოგრაფია

### References

زرین کوب، عبدالحسین، نبیله جستجو در تصوف ایران، تهران، 1362 ش

متنی معنوی جلال الدین محمد مولوی (از روی نسخه 677 هـ) به کوشش دکتر توفیق هـ سبانی

سازمان چاپ و انتشارات وزارت ارشاد اسلامی تهران 1374

Nicholson 1930: The *Mathnawi* of Jalalu'ddin Rumi, Ed. by Reynold A.

Nicholson, vol. IV, containing the translation of the third and the fourth book, London

Ястребовой 2010: Руми Джалал Ад-Дин Мухаммад *Маснав-ийи Ма'нави* («Поэма о скрытом смысле»), Третий дафтар (байты 1-4810), Перевод с персидского, примечания и указатели О. М. Ястребовой, Под ред. А. А. Хисматулина, Санкт-Петербург

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი ჰიპერბოლის გააზრებისათვის

**Лермонтов 1935-1937:** Лермонтов М. Ю. 1935-1937, *Полное собрание сочинений*, Ред. текста, коммент. и предисл. Б. М. Эйхенбаума. Подгот. текстов Б. М. Эйхенбаума и К. И. Халабаева, Москва-Ленинград

**Giorgi Lobjanidze**

**About the concept of the hyperbole of *Masnavi-I Ma'navi*  
by Jalal al-Din Rumi**

The scientific study of *Masnavi-I Ma'navi* has long history in Georgia. A number of tales of the poem have already been translated and published, although as far I know the recent pattern of poetic comparison, discussed as hyperbole in this foregoing article, has never been the subject of special discussion within domestic Iranian Studies.

In recent article we will try to find out and clarify the question of why we underline especially this pattern and why we consider it as hyperbole, though beforehand the following few facts should be mentioned about the poem:

It is well known that the foregoing Rumi's poem was named as Persian Quran by Abd al-Rahman Jami (d. 1492), master of Naqshbandi Sunni spiritual order of Sufism. On one hand, this epithet illustrates the importance of the poem and on the other hand it reflects the kind of respect that Rumi embosomed among the spiritual intellectual world of the East.

Peculiarity that greatly complicates to perceive the text is the bilingualism of the poem. *Masnavi-I Ma'navi* includes so many quotations relying on Quran, Hadiths or other Arabic texts altogether that the reader, and moreover translator, should be equally well skilled in both languages.

Beside of the mentioned quotations, the texts are full of realias about medieval time, about the details of spiritual and intellectual life and without knowledge and comprehend of these episteme it would be impossible to understand the content of particular passages. It can be said that *Masnavi-I Ma'navi* could be referred to as most epistemic text in comparison with the other texts of the same genre and direction.

The one arc of *Masnavi-I Ma'navi* illustrative stories represents the narrative of Quran and Sufi Ta'vil (symbolic decoding) of this particular narra-

tive. The one of the completely outlined story of the mentioned narrative is related to the different stories of apostle Moussa (Biblical Moses).

For example, in the third book (daftar) of *Masnavi-I Ma'navi* the story of conceiving, birth and upbringing of Moussa is broadly narrated. Subsequently the story tells us about how Pir'awn (the Pharaoh) decided to kill Moussa and how he invented the special trick against Moussa while giving him the date of forty days when Pir'awn himself would manage to collect all the magicians from the all part of the country against Moussa. Whenever Moussa would not be capable to cope with all the magicians he would be given to the terrible death penalty.

Rumi's *Masnavi-I Ma'navi* brings above-mentioned, this particular story of Moussa, which is nourished with Quran and Hadith stories, to illustrate the following that every possible will and attempt of a man (even if he is fully equipped of worldly power) is powerless against divine will, plan and intention of the God and that any attack against this will would fail miserably.

The mentioned stories are narrated in Beit 840 of the third Book of *Masnavi-I Ma'navi*. Number of topics and a lot of details are discussed in this particular part of the book that needs separate study of specific formats and essentially, it is not the goal of our recent article.

Out of this extensive passage, which is a wonderful example of the poetic language and vocality, we were particularly interested in the Beit 1103, Persian original of which we refer below:

در هوا می کرد خود بالای بر ج  
که هزیمت می شد از وی روم و گرج

(Rumi 1362/1998, 378)

English translation by Nicholson tells:

*In the air it was making itself (ris) above thie zodiac,  
So that Greeks and Georgians would flee from it in panic.*

(Nicholson 1930, 80)

We see that the main goal of the medieval Persian author of those above-mentioned passages of narration is that to draw the monster, in which Moussa's wand is transforming in needed time, as eerily as possible in reader's imagination. For that purpose he hyperbolize the situation and the mentioning the "Gurjs"-Georgians in that contexts is organic part of the hyperbolization.

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი პიპერბოლის გააზრებისათვის

At the first glance, motioning of “Georgian” in that passage would possibly be the capricious need of the rhythm or dictated by inevitable necessity of the rhythmic couple, as the word “Gorj” rhymes with the word “Borj” in that Beit (it is identical in Georgian translation as well). It is evident and would be quite naturally to think that without “Borj” in that rhyme any other nationalities would find their place in that context instead of Georgians (“Gorj”).

Although, despite of the eclecticism and volubility of *Masnavi-I Ma'navi* by Jalal Ed Din Rumi, the author was not that person to use any word with no forethought, moreover to use the word because of the capricious need of the rhymes.

In that Beit interested by us, mentioning the Georgians together with “Romans” (i.e. Eastern Romans/Greeks) is due to two major circumstances.

The first is that Moussa's Wand, as a symbol of divine authority, confronts to “Quphr” i.e. want of faith, unbelief, which for Muslim author and the readers was embodied by two peoples, Byzantines and Georgians, those who had different religious belief and who was opposing the Muslim East.

Another circumstance is used for polarization the situation. “Rumi” and “Gorji” are hyperbolic expression of the brave and courageous warriors and that even those brave and warrior people tremble in front of the Monster transformed Moussa's wand.

It is obvious, whether we consider and comprehend the alluded lines without artistic actuality, mentioning of Georgians and Romans in connection with Moussa is nothing but historical anachronism. However, it seems that Jalal al-Din Rumi was acquainted with Georgians and not only this above-discussed Beit although many other passages can be used in evidence of this.

## ნინო სურმავა

### ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე: ლიტერატურული პარალელები (აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის თემა)<sup>1</sup>

„აღმოსავლურ-დასავლური“ საკითხის მიმართ ინტერესს ინტელექტუალური საზოგადოების პოლემიკის რამდენიმესაუკუნოვანი ისტორია აქვს, ძველი დროიდან მოყოლებული ჩვენს ეპოქამდე აღმოსავლური და დასავლური ტრადიციები უწყვეტ დიალოგში იმყოფება. ცნობილია, რომ ინტერესი ამ მრავალნახნაგოვანი საკითხის მიმართ განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გამძაფრდა. აღმოსავლურ-დასავლური პრობლემატიკა მრავალი სამეცნიერო ცენტრის შესწავლის საგანი გახდა. შეიქმნა მნიშვნელოვანი სოციალური და კულტუროლოგიური თეორიები. კოლონიალიზმის, გლობალიზაციისა და მზარდი მიგრაციების ფონზე წინ წამოიწია ცივილიზაციათა დიალოგის, კულტურათა ურთიერთზოარებისა და სინთეზის თემამ. დიალოგის შესაძლებლობა და საერთო ენის გამონახვა ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ აღმოსავლურ და დასავლურ რეგიონს შორის, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური აქტუალობით არის ნაკარნახევი, თუმცა სოციალურ მეცნიერებათა სფეროდან ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც გადაინაცვლა და ნაყოფიერი ასპარეზი იპოვა როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ლიტერატურაში. „დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?“ – ეს კითხვა ისტორიულად საქართველოშიც აქტუალურად გაფლერდა და ევროპული თუ აზიური ორიენტაციის საკითხი მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველ ინტელექტუალთა შორისაც ფართო დისკუსიის საგანი გახდა.<sup>2</sup>

წინამდებარე სტატიაში შევხებით არაბული და ქართული ლიტერატურის ორ გამოჩენილ ფიგურას – ამინ არ-რეიჰანის და გრიგოლ რობაქიძეს, განვიხილავთ აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის იდეას მწერალთა შემოქმედებაში. ამ ორ ავტორს ბიოგრაფიულადაც ბევრი რამ

<sup>1</sup> ჰუბლიკაცია განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი – DO/68/2-141/14).

<sup>2</sup> კვატაია 2009, 303.

ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე: ლიტერატურული პარალელები

აქვთ საერთო<sup>3</sup> და თავიანთ ლიტერატურულ დისკურსში აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის თემის წამოწევით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მე-20 საუკუნის არაბულ და ქართულ ლიტერატურებში.

ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე ორივე ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული მოღვაწეები არიან. მათი ცხოვრებისა და შემოქმედების პერიოდი თითქმის ერთმანეთს ემთხვევა: მე-19 საუკუნის მეორე და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი (ამინ არ-რეიჰანი: 1876-1940; გრიგოლ რობაქიძე: 1880-1962). ორივე მწერალმა განათლება დასავლეთში მიიღო, მათზე დიდი გავლენა იქნია დასავლურმა ლიტერატურულმა თუ ფილოსოფიურმა სკოლებმა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ორივე მწერლის ემიგრაცია და-სავლეთში გამოწვეული იყო ქვეყნის რთული პოლიტიკური ვითარებით, რეიჰანის შემთხვევაში ეს იყო ოსმალური იმპერიის დესპოტური რეჟიმი, ხოლო გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში – ბოლშევიკური რუსეთი. რეიჰანი 1888 წელს სულ რაღაც 12 წლის ასაკში ნიუ-იორქში გაემგზავრა. გრიგოლ რობაქიძე კი 1931 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური დევნილი გერმანიასა და შვეიცარიაში. ორივე მწერალი ორგანულად შეეთვისა მიმღები ქვეყნის კულტურულ და ლიტერატურულ გარემოს, ერთნაირი წარმატებით წერდნენ მშობლიურ და მიმღები ქვეყნის ენაზე, იყვნენ სხვადასხვა ლიტერატურული საზოგადოების წევრები. გლობალიზაციისა და კოლონიალიზმის ეპოქაში დასავლურ ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირმა დაანახა ორივე მწერალს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო პროცესებში თავიანთი სამშობლოს ადგილის განსაზღვრა, აღმოსავლურ-დასავლურ დიალოგში ჩართვა ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნებით. ალბათ, ამიტომ დასავლეთ-აღმოსავლეთის სინთეზის თემა ორივე მწერლის შემოქმედებაში მუდმივი ინტერესის საგანი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს გრიგოლ რობაქიძეზე გოეთეს („დასავლურ-აღმოსავლური დივანი“...) გავლენა. ზოგადად, ევროპელ მწერლებთან საკმაოდ გავრცელებული და მოდური იყო აღმოსავლური თემატიკით დაინტერესება.

აღმოსავლურ-დასავლური პრობლემატიკის გარშემო მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტუროლოგიური თეორიების, „ინტერკულტურულის“

<sup>3</sup> იხ. რეიჰანის და რობაქიძის ბიოგრაფიები <http://www.ameenrihani.org/index.php?page=biography>: <http://www.litinstituti.ge/emigrant/robaqize.html>.

გაგების სხვადასხვა კონცეპტის და მისი ჰერმენევტიკული მოდელების წარმოშობამდე გაცილებით ადრე, ერთი საუკუნის წინ. სწორედ ბიკულტურალიზმის, მულტიკულტურალიზმისა და ჰიბრიდულობის იდეას ქადაგებდა მაჰარანის (არაბული ემიგრანტული) ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი ამინ არ-რეიჰანი. საუკუნის წინანდელი რეიჰანის დისკურსი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი ინტერკულტურული და პოსტკოლონიური კვლევების წინამორბედად. დიდ მოაზროვნესა და მწერალს აღმოსავლეთ-დასავლეთის სულიერი სინთეზის იდეა საკუთარი შემოქმედების გზის დასაწყისშივე აფიქრებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამინ არ-რეიჰანი სამი კულტურის პირმშოა – ამერიკულის, ევროპულის და არაბულის. მეტიც, არაბულ კულტურამდე ის ევროპულ-ამერიკულიდან მივიდა და საკუთარ თავს მისია დააკისრა – აღმოსავლეთში დასავლეთის ცოდნა შეეტანა და დასავლეთში – აღმოსავლეთის ფილოსოფია და პოეზია.<sup>4</sup> „ევროპულ სმოკინგში გამოწყობილი არაბი“ – ასე უწოდებს მწერალს აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 1945 წელს უურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ მისივე თარგმანის წინასიტყვაობაში და დასძნეს: „ემინ რეიჰანი ორი მსოფლიოს მიერ წარმოშობილი ნაყოფია, აღმოსავლეთის და დასავლეთისა. იგი ხარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათს გაერთიანებას თავის არსებაში. ერთი მხრივ, აბუ ლ-ალა მაარრი, მუთანაბბი და იბნ-საპლი, მეორე მხრივ – ვოლტერი, გოეთე, ბალზაკი, კარლეილი, კიტსი, უოტ უიტმენი და სხვანი, სხვადასხვა სამყაროს ეს სხვადასხვა სიდიდეები როგორლაც თავსდებიან ერთად ემინ რეიჰანის პიროვნებაში“.<sup>5</sup>

ამინ არ-რეიჰანი კარგად აცნობიერებდა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ჰარმონიის მიღწევა ძალიან რთული იყო. მიუხედავად ამისა, თავის ლიტერატურულ დისკურსში ის ცდილობს, დაუპირისპირდეს კიპლინგისეულ ხაზს დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის შეუძლებლობის შესახებ და ქმნის ალტერნატიულ სამყაროს, რომელიც კულტურათა საუკეთესო ღირებულებების სინთეზს ეფუძნება. მწერლის ლიტერატურულ დისკურსში ჩანს იმ გმირის, წინასწარმეტყველის ძიების პროცესი, რომელიც შეძლებს აღმოსავლურ-დასავლური ლირებულებების სინთეზს და საკუთარ ქვეყანას სწორ გზაზე დააყენე-

<sup>4</sup> გარდავაძე 2007, 109.

<sup>5</sup> წერეთელი 1945, 76.

ბს. ასეთია, მაგალითად, ხალიდი – 1911 წელს გამოცემული რეიჰანის ცნობილი ინგლისურენოვანი რომანის („ხალიდის წიგნი“) გმირი, რომელიც ხმამაღლა ქადაგებს აღმოსავლური და დასავლური სამყაროების სინთეზის იდეას: „ო, დასავლეთის ძლიერო ერებო, მომეცით ცხოვრების მატერიალური კომფორტი და ჩემო აღმოსავლეთო, მომეცი ნება, ვისარგებლო შენი სულიერი მემკვიდრეობით. მომეცი შენი ხელი, ამერიკავ და შენც, აზიავ! შენ ხარ მინა სანყისისა, სადაც სინათლე და სული პირველად აღმოცენდა, არ უარყო ის ძლვენი, რომელსაც დასავლეთის ხალხი მოგართმევს და შენ, სიძლიერის და წესრიგის მინავ, სადაც მეცნიერება და თავისუფლება უზენაესია, არ განაგდო აისის გულუხვობა“.<sup>6</sup> მთავარი გმირის მიზანია, „ევროპისა და ამერიკის სიძლიერეს დაამყნოს აღმოსავლეთის სულიერება...“ და ეს იქნება „განთიადი ახალი ცხოვრებისა“.<sup>7</sup> ხალიდი აცხადებს, რომ ის ეკუთვნის აღმოსავლეთს და დასავლეთს, ასეთია მისთვის იდეალური სამყარო: „აღმოსავლეთი და დასავლეთი, მამრი და მდედრი ერთი სულისა, ორი დიადი ნაკადული, რომელიც აცოცხლებს, აძლიერებს, წმენდს ადამიანის სულსა და სხეულს – ორივეს ვუმღერ, ვადიდებ და ვუძღვი ჩემს სიცოცხლეს, მათ გამო ვიშრომებ, დავიტანჯები და მოვკვდები. ყველაზე განვითარებული ქმნილება არის არც ევროპელი და არც აღმოსავლელი, არამედ ის, ვინც იღებს საუკეთესო თვისებებს ორივესგან – ევროპელი გენიოსისა და აზიელი წინასწარმეტყველისგან“.<sup>8</sup> ამ იდეას ეწირება ხალიდი და უდაბნოში უჩინარდება, თუმცა მთავარი გმირის გაუჩინარებაში დევს მესიის, მაპდის იდეა, რომელიც დაბრუნდება ხალხის გადასარჩენად. სიმბოლური ჩანს სახელი ხალიდი, რომელიც არაბულად უკვდავს ნიშნავს და უფლის ეპითეტია.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის თემას სასიყვარულო ურთიერთობის მეტაფორით ავითარებს რეიჰანი მოგვიანებით გამოცემულ მოთხოვნაში „ჯიჰანი“. ეს ნაწარმოები ავტორმა 1917 წელს ინგლისურ ენაზე დაწერა, თუმცა ის არ დაბეჭდილა. იმავე წელს ითარგმნა არაბულად აბდულ მასიშ ჰადდადის მიერ სათაურით „ჰარემის გარეთ“ და ბეირუტში გამოიცა,<sup>9</sup> ინგლისური ხელნაწერი კი მხოლოდ 2011 წელს გა-

<sup>6</sup> Rihani 1911, 171.

<sup>7</sup> იქვე, 165-166.

<sup>8</sup> იქვე, 171.

<sup>9</sup> al-Maleh 2011, 135.

მოვიდა სტამბურად. საფიქრებელია, რომ სასიყვარულო ურთიერთობის მეტაფორა, რომელიც მე-20 საუკუნის არაბულ ლიტერატურაში ერთგვარ ნორმად იქცა აღმოსავლეთ-დასავლეთის თემატიკაზე შექმნილ რომანებში, სწორედ აღნიშნული ნანარმოებიდან იღებს სათავეს, თუმცა ეს ფაქტი, აღბათ, მოთხრობის ნაკლებად პოპულარიზაციის გამო, სამეცნიერო კრიტიკას ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. ამ მცირე რომანში რეიჰანი ხატავს თურქი ქალის – ჯიჰანის სახეს, რომელსაც სურს, მოდერნიზებული დასავლეთის ღირებულებები საკუთარ ხალხამდე მიიტანოს. ჯიჰანი, ისევე როგორც ხალიდი, „ახალი ნაციის“ შექმნის იდეას ენირება. ამ ორი გმირის ხასიათში ბევრი რამ დევს თავად ავტორის. საინტერესოა, რომ „ჯიჰანს“ ორი ფინალი აქვს: პირველ გამოცემაში ქალი კლავს გერმანელ სატრაფოს და თავს იკლავს, მოგვიანო გამოცემაში კი ავტორმა შეცვალა მოთხრობის დასასრული: ჯიჰანი არ მომკვდარა და ის ზრდის ქერათმიან ბიჭს თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეალებით. ამ ბავშვშია ჩადებული მთელი იმედი მისი ხალხის უკეთესი და ნათელი მომავლისა. ამ ბავშვმა უნდა შეძლოს აღმოსავლური და დასავლური ღირებულებების სინთეზი. მოთხრობის გაორებული ფინალი, ისევე როგორც „ხალიდის წიგნის“ დასასრული, ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთობლივობა დაახლოების გზები თავად ავტორისთვისაც, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია და კონფლიქტის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტას იგი ვერ სთავაზობს მეითხველს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის თვალსაზრისით დიდი მწერლისა და მოაზროვნის – ამინ რეიჰანის მსოფლმხედველობას, აღბათ, ყველაზე კარგად წარმოაჩენს მისივე სიტყვები ესედან – „ბრუკლინის ხიდიდან“: „ჩემი სული ლიბანშია, გული – პარიზში, ნიუ-იორკში კი ამჟამად სხეულია მხოლოდ ჩემი“.<sup>10</sup> აღნიშნულ ესეში მწერალი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას აღმოსავლური და დასავლური ღირებულებების სინთეზზე. ბრუკლინის ხიდიდან ავტორი მიმართავს თავისუფლების ქანდაკებას: „ო, თავისუფლებავ, როდის იქცევ პირს აღმოსავლეთის კენ?! როდის შეერევა შენი სინათლე ამ გასხივოსნებულ მთვარეს და იბრუნებს დედამიწის გარშემო, რათა გაანათოს ყოველი დაჩაგრული ერის სიბნელე?! დადგება მომავალში დღე, როცა თავისუფლების ქანდაკება აღიმართება პირამიდების გვერდით? გაჩნდება შენი ტოლი ხმელთაშუა ზღვაში? ო, თავისუფლებავ, შესაძლებელია, შენი დები დაიბადონ

<sup>10</sup> რეიჰანი 1910, 75 (არაბულიდან თარგმნა ნინო სურმავამ, ჟურნალი „ახალი საუნჯე“ 2014 №3(11), 26-27).

ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე: ლიტერატურული პარალელები

დარდანელის სრუტეში, ინდოეთის ზღვასა და ჩინეთის ყურეში?! როდის შემოუვლი დედამიწას მთვარესთან ერთად, შებორკილი ხალხების და და-მონებული ერების სიბნელე რომ გაანათო?“<sup>11</sup>

ამავე ესეში რეიჰანი ნიუ-იორკიდან აღმოსავლეთში მიმავალ და-ტვირთულ გემებს სთხოვს: „თან წაიღეთ ხმელთაშუა, წითელ, ინდოე-თის, ყვითელ ზღვებში ამ ტალღების მოქცევა, რომელიც თავისუფლების ქანდაკების კვარცხლბეჭეს რეცხავს! წაიღეთ ამ წმინდა წყლის თუნდაც ერთი პატარა ბოთლი და აპეურეთ ანატოლიის, სომხეთის, პალესტინის, სირიისა და ეგვიპტის სანაპიროებს!... წაიღეთ აღმოსავლეთში აქტიუ-რი დასავლეთი და უკან წამოიღეთ პასიური აღმოსავლეთი! წაიღეთ ინ-დოეთში ამერიკის პრაქტიკული სიბრძნის ერთი დასტა და უკან მოიტა-ნეთ ინდური ფილოსოფიის მარცვლების რამდენიმე ტომარა! ეგვიპტესა და სირიაში უხვად ჩამოტვირთეთ ტექნიკური მეცნიერების ნაყოფი და უკან დაუბრუნდით ამ ქვეყანას არაბულ ღირსებათა სიჭარბით!“<sup>12</sup> ავტორი თავის ლიტერატურულ დისკურსში ქმნის აღმოსავლეთის სულიერებასა და დასავლეთის მატერიალიზმზე აგებულ მესამე ჰიბრიდულ სივრცეს. ამინ არ-რეიჰანი ხშირად აკრიტიკებს დასავლური ცივილიზაციის ტე-ქნიკურ მიღწევებს, ის არაერთხელ აღნიშნავს, რომ დასავლეთი მუდმივ მოძრაობაშია, ის შორდება თანდათან ღმერთს და კარგავს სულიერებას.

მსგავსი თემატიკა და საინტერესო პარალელები იკვეთება გრიგოლ რობაქიძის მრავალ თხზულებაში. მკვლევარი კონსტანტინე ბრეგაძე რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ ცალკე გამოყოფს რომანის ნიცხანურ დისკურსს, რომელიც დასავლური ტექნიკური პროგრესის ფეტიშიზმისა და სულიერებას მოკლებული დასავლური ცივილიზაციის კრიტიკისკენაა მიმართული.<sup>13</sup> ორივე მწერალზე აშკარაა ნიცხეს გავლენა. მათვის და-სავლეთში ღმერთი მკვდარია. ამ დანაკლისის შევსებას კი ისინი აღმოსა-ვლეთიდან ცდილობენ და ორი სამყაროს ღირებულებების სითეზისკენ იხრებიან. აღმოსავლეთით აღფრთოვანება გრიგოლ რობაქიძეს არაერთ წერილსა თუ ესეში აღუბეჭდავს: „დიადია აღმოსავლეთი...საოცარია აღ-მოსავლეთი.... საქართველოც ხომ წატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ, უმჯობესი იქნება მათი

<sup>11</sup> რეიჰანი 1910, 73.

<sup>12</sup> იქვე, 74.

<sup>13</sup> ბრეგაძე 2010, 7.

ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ...და საქართველოც თითქო ამი-  
სათვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთე-  
ზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევანებული  
რენესანსის გაქანებისა“.<sup>14</sup> იმავე მოსაზრებას ავითარებს მწერალი წე-  
რილში „ქართველ მწერლებს“: „საქართველო საიდუმლო ულელტეხილია  
აღმოსავლეთისა და დასავლეთისა... ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქ-  
სი და გვანცვიფრებს პარიზის ქიმერა. ქართული ნადიმით ვიხდით აღ-  
მოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს“.<sup>15</sup> გრიგოლ რობაქიძე პოეტურ  
ფესვებს სწორედ აღმოსავლეთში პოულობს, თავის ავტობიოგრაფიულ  
თხზულებაში „ჩემი ცხოვრება“ ის წერს: „1916 წელს, როგორც სამხედრო  
მოხელე, სპარსეთში მოვხვდი. ეს ჩემი ცხოვრების შემობრუნების წერტი-  
ლი იყო, მესოპოტამიის ზღურბლამდე მივაღწიე და მქონდა შეგრძნება,  
რომ საუკუნეთა სვლაში დაკარგული სამშობლო ვიბოვე... ზოროასტრის  
ქვეყანაში ნიცშეს „ზარატუსტრა“ მქონდა თან. ფირდოუსის, ჰაფიზის,  
ომარ ხაიამის ქვეყანაში – გოეთეს „დივანი“. სრულიად შემთხვევით თან  
მქონდა მესამე წიგნიც: ნაწყვეტები ბაბილონური ეპოსის – „გილგამეში-  
სა“. ამან გადაწყვიტა ჩემი მწერლური ბედი... მთელი არსებით ვიგრძენი,  
რომ ჩემი პოეტური ფესვები აქ იყო...“<sup>16</sup> ერთ-ერთ წერილში გრიგოლ რო-  
ბაქიძე საქართველოს ყოფნას აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა  
გზაგასაყარზე გეოგრაფიის ტრაგედიას უწოდებს: „და ჩვენ შევჩერდით  
შუა გზაზე: აღმოსავალსაც მოვსცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ.  
მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფით“. მისი აზრით, „ინ-  
ტერნაციონალის“ ხმა არსად ისე სიხარულით არ გავარდნილა როგორაც  
ჩვენში“.<sup>17</sup> გრიგოლ რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“ მკვლევარი დ-  
კიზირია თვლის, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი არ არიან ანტაგონის-  
ტურად დაპირისპირებულნი და მათი შეხლის შესაძლებლობა მოხსნილია.  
სამყაროს მოპირდაპირე მხარეთა შეთავსების წერტილი აქ საქართველოს  
დედაქალაქია, რომელიც „დასავლეთის ქარმა მიაგდო აღმოსავლისაკენ,  
თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ – ტფილისმა არ იცის“.<sup>18</sup>

<sup>14</sup> რობაქიძე 2008, 144.

<sup>15</sup> იქვე, 146.

<sup>16</sup> იქვე, 195 (გერმანულიდან თარგმნა ლაშა ბაქრაძემ).

<sup>17</sup> იქვე, 157-158.

<sup>18</sup> კვატაია 2009, 306

აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული მახასიათებლების მხატვრულ კვლევას და მათი სინთეზის თემას ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ესე „სიცოცხლის განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“, რომელიც შეტანილია 1935 წელს იენაში დაბჭდილ მისსავე კრებულში „დემონი და მითოსი“. აღნიშნული კრებული 2012 წელს ქართულ ენაზე თარგმნა მანანა კვატაიამ. ესეში მწერალი ერთ-მანეთს ადარებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლანდშაფტს. მისი აზრით, აღმოსავლეთში დედამინა კოსმიური ყოფიერებაა, რომელშიც მითის სუნთქვა აღმოცენდება ხოლმე. წამი აქ თავის თავში მარადისობას ინახავს, როგორც ნიჟარა ხმაურს დიდი ხნის წინათ უკუქცეული ოკეანის ტალღებისას. ხოლო დასავლეთში დედამინა ხშირად მხოლოდ ნიადაგია, რომელსაც ამუშავებენ და უვლიან, ყველაფერი ხელშეხებულია, ხელშეუხებელი არაფერი რჩება. აქვე მწერალი შეგვახსენებს, რომ „ტერიტორიის რომელიმე ნაწილი დაუმუშავებელი უნდა დარჩეს, რათა დედამინა მისმა კოსმიურმა სუნთქვამ არ დატოვოს – ამ გაფრთხილებას დასავლეთში ყურადღებას ნაკლებად აქცევენ. ზოგჯერ გერვენება, თითქოს აქ ადამიანის ხელი ღმერთის ქმედებას ცვლის... წამი აქ... უბრალოდ წელთაღრიცხვის მონაკვეთია, თითქმის საათის მიხედვით გაზომილი. მას არ აქვს ხანგრძლივობა“.<sup>19</sup> გრიგოლ რობაქიძე აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის განსხვავებას ყველაზე ხელშესახებად ორივე სამყაროს ქმნილებებში ხედავს: „აღმოსავლეთმა, უსაზღვროებაში ჩაძირულმა, დასრულებული ნანარმოების შექმნა ვერ შეძლო, რადგან დასრულებული ნიშნავს: შემოსაზღვრულს. გოთური კათედრალები აღმოსავლეთში შეუძლებელია. დასავლეთს აქვს საზღვრის გრძნობა და ქმნის ნანარმოებს, ვითარცა სამყაროს საკუთარი თავისათვის დასრულებულობაში, როგორიცაა, მაგალითად, „ღვთაებრივი კომედია“. მაგრამ, ამის სანაცვლოდ, აღმოსავლეთი, უსასრულობაში ჩაბრუნებული, ფლობს რაღაცას, რაც დასავლეთს აკლია. აღმოსავლური ქმნილება უსასრულოს სუნთქვას ინახავს, როგორც, მაგალითად, ბაბილონური ეპოსი“.<sup>20</sup>

აღმოსავლეთი რობაქიძისთვის მითოსურ-მისტიკური ადგილია, სადაც ადამიანი ღმერთს დახუჭული თვალებით ხედავს. დასავლეთის ადამიანი კი ღმერთს გახელილი თვალებით უმზერს და თითქმის ცდილობს,

<sup>19</sup> რობაქიძე 2012, 42-43.

<sup>20</sup> იქვე, 46.

მას ხელით შეეხოს. აღმოსავლეთში ადამიანი შინაგან ჩაძირულობაში ცხოვრობს, დასავლეთში კი მუდმივ სწრაფვასა და განუწყვეტლივ მოძრაობაშია. აღმოსავლეთში თითქმის ყოველთვის აქვთ დრო. დასა-ვლეთში დრო არა აქვთ.<sup>21</sup> ესეში გრიგოლ რობაქიძე გვახსენებს ტექნიკის საპედისწერო არსს და გვაფრთხილებს – ადამიანმა, რომელიც რაიმეს ქმნის, არ უნდა დაივინყოს, რომ ის თავად შექმნილია და თავისი თავი ღმერთის ადგილას არ უნდა ნარმოიდგინოს. ტექნიკის საფრთხისგან კი მას თაურსაწყისის აღმოსავლური ძალები დაიცავენ.<sup>22</sup> დასავლეთი გრიგოლ რობაქიძისთვის სულიერ სიცარიელესთან ასოცირდება. ესეში მას მოჰყავს ნიუ-იორკელი საშუალო ამერიკელის მაგალითი, წლების განმავლობაში მიწას და ბუნებას მოწყვეტილი 77-ე სართულზე, პატა-რა გალიაში რომ ცხოვრობს, მასაც ემუქრება თაურშიში (პირველშიში, შიში სიკვდილისა) და სიკვდილ-სიცოცხლის გაყრის უამს ის საკუთარი „მე“-ს ანაბარა რჩება, უზარმაზარი სიცარიელე კი მას თანდათანობით არარაობად აქცევს. დგება უამი, როცა მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა ღმერთის სუნთქვაში უნდა ჩაიკარგოს და სწორედ ამ დროს ის პირველად შეიგრძნობს, რომ მასში თაურმცვნარე კარგა ხნის გამხმარია.<sup>23</sup> სწორედ დასავლეთის ამგვარ მატერიალიზმს, მუდმივ მოძრაობას და სულიერ სი-ცარიელეს გაურბის რეიპანიც და შვებას აღმოსავლეთში, წინასწარმეტყველთა მიწაზე, ბუნებაში, ღმერთთან ახლოს პოულობს. მისი აზრით, მხოლოდ სულიერებას შეუძლია ჩვენამდე მოიტანოს თანამედროვე ცი-ვილიზაციის ღირსებები.<sup>24</sup> 1912 წელს ბეირუთში წაკითხულ ლექციაზე რეიპანი ამბობს: „კარგი იქნება, თუ აღმოსავლელები და დასავლელები ერთმანეთისგან ისწავლიან იმას, რაც კარგი, ჯანსაღი, სწორი, ლამაზი, დიდებული და სამართლიანია მათ რელიგიებში, მრჩამსში, ჩვევებში, ადათ-წესებში, ხელოვნებაში, მმართველობასა თუ კანონებში, აღმოსა-ვლეთისა და დასავლეთის საუკეთესო ღირებულებების სინთეზი იქნება ჭეშმარიტად ერთადერთი წამალი ამ ეპოქის რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური სნეულებებისთვის და მაშინ დასავლელი ღმერთს დაუბრუნ-დება, აღმოსავლელი კიმას საკუთარ ტვირთს ჩამოაშორებს“.<sup>25</sup> ამგვარად,

<sup>21</sup> რობაქიძე 2012, 50-51.

<sup>22</sup> იქვე, 58-60.

<sup>23</sup> იქვე, 53-54.

<sup>24</sup> რეიპანი 2014, 180.

<sup>25</sup> რეიპანი 2014, 457.

ამინ არ-რეიჰანი და გრიგოლ რობაქიძე: ლიტერატურული პარალელები

რეიჰანი აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზში პოულობს შვებას, ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძე დაასკვნის თავის ესეში: „დასავლეთი და აღმოსავლეთი – ორი სამყარო, ან, უფრო სწორად, ყოფიერების ორი სახეა. რაც ერთს აკლია, ის მეორეს აქვს. ისინი საპირისპირონი არიან, თუმცა ერთმანეთს არ გამორიცხავენ. ისინი, კოსმიურად მოწესრიგებულნი, ორმხრივად მართლაც ავსებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს თვით განაპირობებენ. დასავლეთი აღმოსავლეთს რომანტიკულად ესწრაფვის და აღმოსავლეთი, მოლოდინით აღსავსე, დასავლეთს უმზერს. არაფერია უფრო საეჭვო, ვიდრე დიდად გავრცელებული შეხედულება, ყოველგვარი ბედნიერება აღმოსავლეთიდან მოდისო. დასავლური ყოფიერება ზუსტად ისევე უფლებამოსილია მეტაფიზიკურად, როგორც აღმოსავლური... თაურსაწყისის სუნთქვა აღმოსავლეთიდან მოდის, ამგვარად, დასავლეთი ამ სუნთქვას ფორმას აძლევს. ისინი მოწოდებულნი არიან, ეს ორი სამყარო ერთმანეთით გაანაყოფიერონ. ყოველი მათგანი თავის ცალმხრივობაში საფრთხეს ატარებს, რომელიც მეორის დახმარებით გადაილახება“.<sup>26</sup>

ამრიგად, აღმოსავლეთ-დასავლეთის თემატიკითა და კულტურათა სინთეზის იდეის თვალსაზრისით, საინტერესო ლიტერატურული პარალელები იკვეთება ამინ არ-რეიჰანისა და გრიგოლ რობაქიძის თხზულებებში. მე-20 საუკუნის დასაწყისში მწერალთა ლიტერატურულ დისკურსში დასმული პრობლემატიკა და კულტურათა შეხვედრის თემა დღესაც თანამედროვე და აქტუალურია. აღმოსავლურ და დასავლურ ფასეულობათა გონივრული სინთეზი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით ორივე მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი აქცენტია. ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, თუმცა მსგავსი ბიოგრაფიული შტრიხები, ისტორიული მიზეზები, ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ერთი და იგივე გზა, ერთი ეპოქა – არა მხოლოდ ეს მომენტები შეიძლება ხსნიდეს ამ ორ სხვადასხვა მწერალს შორის პარალელიზმების არსებობას, არამედ ის გარემოც, რომელშიც მათ მოუხდათ მოღვაწეობა, მათი მშობლიური კულტურული სივრცე აღმოსავლეთ-დასავლეთის დიალოგს საჭიროებდა ისტორიის ერთსა და იმავე პერიოდში და ისინი სწორედ თავიანთი საზოგადოების მოთხოვნილებას პასუხობდნენ, გრძნობდნენ ამ დიალოგის საჭიროებას. გრიგოლ რობაქიძე და ამინ არ-რეიჰანი განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ ერთმანეთთან აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული მახასიათებლების, მარკერების გამოკვეთისას.

<sup>26</sup> რობაქიძე 2012, 55.

მატერიალისტური დასავლეთი და სულიერი, პოეტური, მითოსურ-მისტიკური აღმოსავლეთი – ამგვარი დუალიზმი იკვეთება ორივე მწერლის ლიტერატურულ დისკურსში. ამინ არ-რეიჰანის და გრიგოლ რობაქიძეს იმ ეპოქაში უწევდათ მოღვაწეობა, როცა ორი სამყაროს შეხვედრის თემა განსაკუთრებით აქტუალური იყო. ამ გლობალურ პროცესებში მათ საკუთარი სამშობლოს ბედი ადარდებდათ. დასავლეთს მოიაზრებდნენ, როგორც მოწესრიგებულ პროგრესულ სივრცეს, თუმცა სულიერებისგან დაცლილს და ამ დანაკლისის შევსების წყარო მათთვის პოეტური აღმოსავლეთი იყო. ორივე მწერლის მსოფლმხედველობაში აღმოსავლეთი და დასავლეთი არ არიან ანტაგონისტურად დაპირისპირებული მხარეები, ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგომი ორივე მწერალი ცდილობს, კულტურათა შეთავსების წერტილი საკუთარ სამშობლოში აღმოაჩინოს.

### ბიბლიოგრაფია

#### References

- ბრეგაძე 2010:** ბრეგაძე კ. 2010, გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული“ როგორც ტოტალიტარული (საბჭოთა) სახელმწიფოს მითოსურ-დემონური არსისა და მოდერნისტული ეპოქის ჰერმენევტიკა, სემიოტიკა, 1-16. <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/15>
- გარდავაძე 2007:** გარდავაძე დ. 2007, აღმოსავლეთის და დასავლეთის შეხვედრა ახალ არაბულ მწერლობაში, ლიტერატურულ-თეორიული ჟურნალი სჯანი, №8, 106-112
- კვატია 2009:** კვატია მ. 2009, დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმატიკა და გრიგოლ რობაქიძე, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები), 303-313
- რეიჰანი 1910:** الریحانیات . بیروت امین الریحانی (1910).
- რეიჰანი 1911:** Rihani A. 1911, *The book of Khalid*, New York
- რეიჰანი 2014:** مؤسسة هنداوي للتعليم والثقافة. القاهرة. امين الریحانی (2014).
- რობაქიძე 2008:** გრიგოლ რობაქიძის კრებული, სიყვარული მესამე ნაპირზე, თბილისი
- რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. 2012, დემონი და მითოსი, გერმანული-დან თარგმნა მანანა კვატიამ, თბილისი

**წერეთელი 1945:** წერეთელი გ. 1945, ემინ რეიჰანი, მნათობი, №6, 75-77

**Al Maleh 2011:** Al Maleh, L. 2011, The Literature Parentage of The Book of Khalid: A Genealogical Study, in: *100 Years of Selected Writings on Ameen Rihani's The Book of Khalid*, Ed. Paul Jahshan, Washington, D.C., 95-135

### Nino Surmava

#### **Ameen Rihani and Grigol Robakidze: Literary Parallels (Issue of the Synthesis of the East and West)**

Interest to the “East-West” issue has a centuries’ long history of polemics in the intellectual society, from the ancient epoch to the current time the oriental and occidental traditions have led an uninterrupted dialogue. It is well known that the interest to this multi-aspect issue has particularly increased in the recent years. East-Western problems became the subject of researches of many scientific centers. Significant social and cultural studies and theories have been developed. Against the background of colonialism, globalization and increasing migration the issue of the dialogue between civilizations, mutual sharing of the cultures and their synthesis was brought forward. Possibility of dialogue and coming to understanding of these two dramatically different, eastern and western regions, first of all, is dictated by the political significance, though this moved from the area of social sciences to the humanities and found fertile soil in both, European and oriental literature. “West or East?” – the question is historically significant in Georgia and the issue of European or Asian orientation was subject to wide discussions in Georgian intellectual society in early 20<sup>th</sup> century. The article provides discussion of the issue of synthesis of east and west, in the works of two famous representatives of Arabic and Georgian literature – Ameen Rihani and Grigol Robakidze. These two authors have much in common in their biographies and they occupy special place in the Arabic and Georgian literature of the 20<sup>th</sup> century, by emphasizing the issue of synthesis of the east and west.

Both, Ameen Rihani and Grigol Robakidze are the outstanding representatives of immigrant writers. The periods of their live and work almost coincide: late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> centuries (Ameen Rihani: 1876-1940; Grigol Robakidze: 1880-1962). Both writers were educated in the western countries and were greatly influenced by western literary and philosophical schools. After

returning to their native countries they actively participated in the social-political and literary life. Emigration of both writers to the western countries was caused by the complicated political situation in their native countries. In case of Rihani it was despotic regime of Ottoman Empire and in case of Grigol Robakidze – Bolshevik Russia. In 1888, when he was as young as 12, Rihani left for New York. From 1931 to his death, Grigol Robakidze was in political exile in Germany and Switzerland. Both writers have organically acquired the cultural and literary environments of the host countries, both of them similarly successfully wrote in their native and host countries' languages, they were members of various literary societies. In the globalization and colonialism epoch, close ties with the western world showed to both writers the significance of identification of the places of their countries in the world processes and their involvement into the east-west dialogue and maintaining national and cultural identity. Perhaps, for this reasons the issue of synthesis of the west and east was subject of permanent interest in the works of both writers. AmeenRihani was very well aware that reaching harmony between the east and west would be extremely hard. And still, in his literary discourse he attempted to oppose the Kipling's line of impossibility of joining the west and the east and created his own alternative world based on the synthesis of the best values of the cultures. Similar issues and parallels can be found in many works by Grigol Robakidze. In this respect, his essay "Sense of Life in the East and in the West" is of particular interest. The work provides creative study of the cultural characteristics of two different worlds and their synthesis.

Independent of one another, despite similar biographical moments, historical causes, almost similar ways of life and work, the same epoch can explain presence of parallelisms between two writers. Grigol Robakidze and Ameen Rihani show particular similarities in describing the cultural characteristics, markers of the east and west. Materialist western world and spiritual, poetic, mythical and mystic east – this is the dualism in the literary discourse of both writers. Ameen Rihani and Grigol Robakidze worked in the epoch when the issue of connecting of two worlds bore particular significance. In these global processes they thought about the fate of their native countries. They saw the west as a well ordered progressive space though lacking spirituality and the source for filling of this gap was the poetical east. In the world view of both writers the east and west are not antagonistic parties, both writers, standing firmly on their national soil attempt to find the point of joining of the cultures in their own native lands.

პუბლიკაცია



## ელდარ ბუბულაშვილი

### რამდენიმე დოკუმენტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ (1921-1922 წწ.)

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელდა და-მოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ძალდატანებითი გა-საბჭოება. ჩრდილოებმა მეზობელმა, ქართველი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ, მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბოლშევიკებისა და კრემლში შექმნილი ე. წ. „ლორჯს მთავრობის“ ხელშეწყობით, წითელი არმიის მეშვეობით, მოახდინა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქარ-თველოს ოკუპაცია და ანექსია, რითაც, საერთაშორისო სამართლის გარდა, დაირღვა 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და დამოუკი-დებელ დემოკრატიულ საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც დე-იურედ ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს გასაბჭოება ქვეყ-ნის წინსვლისათვის წარმატებულ მოვლენად აღიქმებოდა და ამ საკითხ-ზე არაერთი ნაშრომი იქნა დაწერილი და გამოქვეყნებული. მართალია, საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული მოვლენის ობი-ექტური შეფასებისათვის არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა,<sup>1</sup> თუმცა, პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში აღნიშნული მოვლენისადმი კვლავ საბჭოთა ისტორიოგრაფიის გავლენა შეინიშნება. ეს განსაკუთრებით ეხება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, რომლის მიმართ მკვლევრები სხვადასხვაგვარ შეფასებას აკეთებენ.

ჩვენ მიერ ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები ცხად-ყოფს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია ქვეყნის ძალდატანებით გასაბჭოებას და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის შესახებ უკანასკნელ პერიოდში საინტერესო ნაშრომები გამო-ქვეყნდა, მაგრამ აღნიშნული საკითხი კვლავ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

<sup>1</sup> თოიძე 1990; თოიძე 1991; თოიძე 1999; შდრ. ცხოვრებაძე 1996.

## ელდარ ბუბულაშვილი

მით უმეტეს ქართული ემიგრანტული მთავრობის საარქივო მასალები, რომელიც XX საუკუნის ბოლოს იქნა ჩამოტანილი, ნაკლებად არის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში არსებულ მასალებს. არადა პროფ. გურამ შარაძის მიერ გამოცემული ქართული ემიგრანტული უურნალისტიკისადმი მიძღვნილი მრავალტომებული საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს შეიცავს.<sup>2</sup> ჩვენ მიერ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივში XX საუკუნის ბოლოს პროფ. გურამ შარაძის ინიციატივით ჩამოტანილ ემიგრანტ ქართული მთავრობის ე. წ. ჰარვარდის ფონდში მოძიებულ იქნა დოკუმენტური მასალა, რომელიც საინტერესოა ახლად გასაბჭოებულ საქართველოსადმი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განწყობილების შესასწავლად.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქართული ემიგრანტული მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში დაცულმა ერთმა მასალამ, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხის პეტიციას, „მთელი განათლებული“ ერებისადმი მიმართულს, რუსი ოკუპანტებისაგან გათავისუფლებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, რომელსაც ახლავს საქართველოს მოსახლეობის ხელის მომწერთა სია. საქმეში არის 347 ფურცელი. პირველი ექვსი გვერდი უკავია მიმართვის ფრანგულ ტექსტს. ქართული ტექსტი აკრეფილია საბეჭდ მანქანაზე (რემინგტონზე) და ორი ფურცლისაგან შედგება, მაგრამ ტექსტი დაბეჭდილია ფურცლის ორივე მხარეს და ოთხ გვერდს მოიცავს. ფრანგული ტექსტი, რომელიც მცირე ფორმატის ქაღალდზეა დაბეჭდილი, ქართული ტექსტის იდენტურია.<sup>3</sup> მე-10 გვერდი-დან იწყება ხელმოწერები და გრძელდება 347 გვერდის ჩათვლით. მიმართვის როგორც ქართული, ისე ფრანგული ტექსტი დათარიღებულია 1921 წლის 10 დეკემბრით. მსოფლიოს „განათლებული საზოგადოებისადმი“ მიმართული ქართველი ხალხის პეტიცია იმდენად საინტერესოა, რომ მის ქართულ ვარიანტს სრული სახით გთავაზობთ. სტილი უცვლელად დატოვებულია:

<sup>2</sup> შარაძე 2001-2005.

<sup>3</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1864, ანან. 2, საქმე №504, ფურც. 1-8.

### მთელი ქვეყნის განათლებულ ერებს

ორი ათას წელზე მეტია, რაც ჩვენ – ქართველნი სახელმწიფო ბრივად ვცხოვრობთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმ შემაერთებელ ხიდზე, რომელსაც კავკასია ეწოდება. ერთ მთლიან ტრაგედიას წარმოადგენს ჩვენი პატარა ერის ხანგრძლივი ისტორია. ჩვენს ეროვნებას და სახელმწიფოს, ჩვენს – კულტურასა და თვით არსებობას გამუდმებით ემუქრებოდა და ესხმოდა თავს ვეებერთელა ტლანჯი ისტორიული ძალები, მაგრამ ჩვენს მამა-პაპათა თავდადებული მრომისა და თავგანწირული ბრძოლის წყალობით შევინარჩუნეთ ფიზიკური არსებობა და ეროვნული მეობა, საკუთარი კულტურა და სახელმწიფო ბრივი ორგანიზაცია. მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში დავკარგეთ დროებით სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა – დიდმა რუსეთმა დაარღვია ჩვენს სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება და, ანექსია უყო საქართველოს სამეფოს. 117 წლის განმავლობაში ქართველი ერი მოკლებული იყო არა მარტო სახელმწიფო ბრივი სუვენერობას, არამედ უბრალო თვითმართველობასაც და განიცდიდა იგი უსასტიკეს ეროვნულ დევნასა და ჩაგვრას რუსეთის იმპერიის მიერ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს ბრძოლა მონობის წინააღმდეგ. ის თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა მუდამ.

1917-18 წლებში ბოლო მოედო რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა მონობას, გათავისუფლდნენ პოლონელნი, ფინები და სხვები. დიდის ბრძოლითა და მსხვერპლით გაინთავისუფლა თავი ამავე დროს საქართველომაც; ქართველმა ერმა აღადგინა თავისი სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობა. 1801 წელს რუსეთის მიერ ანექსია ქმნილი საქართველოს სამეფო 1918 წელს აღორძინდა, როგორც რესპუბლიკა, რომელმაც დაიჭირა თავის დემოკრატიული კონსტიტუცია. გამოაცხადა საუკუნო ნეიტრალიტეტი და თვით მყოფ ეროვნულ სახელმწიფო ბრივ აღმშენებლობას შეუდგა: ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო ევროპამ, ჯერ ფაქტიურად და შემდეგ კი იურიდიულად. რუსეთი კი ადვილად ვერ ურიგდებოდა ჩვენს სუვენერობას, სამი წლის განმავლობაში გამუდმებით, მაგრამ უშედეგოდ გვებრძოდა იარაღით ხელში რუსეთის მთავრობები, როგორც ბოლშევკიური, ისე არა ბოლშევკიური; მაგრამ ბოლოს რუსეთიც იძულებული იყო ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. 1920 წლის გაზაფხულზე სამხრეთ რუსეთის ყოფილმა მთავრობამ (გენერალ დენიკინის ანტიბოლ-

შევიკურმა მთავრობამ) იცნო ფაქტიურად საქართველოს რესპუბლიკა. იმავე გაზაფხულზე მოსკოვის ბოლშევიკურმა მთავრობამაც გვიცნო ჩვენ (იგულისხმება 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება – ე. ბ.), როგორც ფაქტიურად ისე იურიდიულად. ამ უკანასკნელ მთავრობასთან ჩვენმა სახელმწიფომ ზავისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულებაც დასდო. მიუხედავად ამისა, მოსკოვის მთავრობა ამის შემდეგაც განაგრძობდა დიდალი თანხებისა და ენერგიის ხარჯვას, რომ საქართველო დაეპყრო არაპირდაპირი, აშკარა ომის საშუალებით, არამედ შინაური გადატრიალების შემწეობით, კომუნისტური რევოლუციის სახით. მოსკოვის მთავრობამ ვერ შესძლო ჩვენი შიგნიდან გახრმნა და დაშლა, ვინაიდან ჩვენ ქართველი ამ ჩვენი არსებობის უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში წარმოვადგენთ ერთსხმულსა და განუკვეთელ სხეულს, რომელსაც ერთი სული ასულდგმულებს და ერთი სწრაფვა ამოქმედებს – აზრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის. მოსკოვის მთავრობა იძულებული შეიქმნა ისევ აშკარა თავდასხმა დაეწყო ჩვენს წინააღმდეგ. ერთი ამდაგვარი მისი ცდა გასული წლის (1920 წელი – ე.ბ.) გაზაფხულზე დამარცხებით დასრულდა; ეს იმ დროს როდესაც რუსეთი პოლონეთთანაც ანარმოებდა ომს, მაგრამ არც ამის შემდეგ აიღო რუსეთმა ხელი თავის დამპყრობელ განზრახვაზე ჩვენს წინააღმდეგ. რუსეთმა დაიკავა ჩვენი მეზობელი ქვეყნები. რესპუბლიკები მთიელთა, ადერბეიჯანისა (იგულისხმება აზერბაიჯანი – ე.ბ.) და სომხეთის, შეუთანხმდა ჩვენს წინააღმდეგ ანგორის მთავრობას და როდესაც ყველა სხვა ფრონტები მოილია ამა წლის თებერვალში (1921 წლის 14-25 თებერვალი – ე.ბ.) ყოველიმხრიდან შემოახვიეს საქართველოს მრავალრიცხოვანი არმიები. ერთად ამავე დროს რუსეთის ლაშქარი დაესხა პატარა საქართველოს სამხრეთიდან (სომხეთიდან); აღმოსავლეთიდან (ადერბეიჯანიდან); ჩრდილოეთიდან (ეს საკუთრივ რუსული საზღვრებიდან: სოჩი, მამისონი, როკი, ყაზბეგი). ბოლოს მოსკოვის მოკავშირე ანგორის ჯარებმაც შემოგვიტიეს სამხრეთ-დასავლეთიდან და ამ რიგად ჩვენს რესპუბლიკას ირგვლივ, გარდა ზღვის ნაპირისა, შემოარტყეს ცეცხლისა და სისხლის ალყა, თითქმის თვენახევრის განმავლობაში იცავდა თავგანწირვით ჩვენი ხალხი თავისი მშობელი მიწის თითოეულ ადლს, მაგრამ ბოლოს, რასაკვირველია, ძლეული ვიქენით ამ საარაკო უსწორო ბრძოლაში. მცირე ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა დაიჭირა ანგორის მთავრობამ და ოსმალეთს შეუერთა; ხოლო დანარჩენი საქართველო ცეცხლითა და მახვილით განვლეს კიდით კიდემდე რუსეთის არმიებმა. რესპუბლიკის მთა-

ვრობა იძულებული შეიქმნა დროებით უცხოეთში გახიზნულიყო, დამყარდა საოკუპაციო ხელისუფლება, რომელმაც რესპუბლიკის კონსტიტუცია გაუქმდებულად, ხოლო ერის უმაღლესი კანონმდებელი ორგანო გარეკოლად გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანო დამოუკიდებლობა ფორმალურად ჯერ არ გაუუქმდიათ ოკუპანტებს. მათ დააწესეს ჩვენში ეგრედ წოდებული რევკომთა ანუ საბჭოთა წყობილება და მოსკოვიდან გამოგზავნეს საქართველოს რევკომად წოდებული საოკუპაციო მთავრობა, რომელიც თან ჩამოჰყვა საქართველოში რუსეთის არმიებს. ნამდვილად ოკუპანტები ყოველდღიურად და სისტემატიურად აუქმდებდნენ ჩვენს სახელმწიფო ორგანობასა და არის იმის აშკარა ნიშანიც, რომ მალე ფორმალურადაც მოსპობენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ქართველი ერი უსასტიკეს რბევასა და ჩაგვრას განიცდის დღეს. საეჭვოა, რომ ამაზედ უფრო საშინელი წყობილება და მდგომარეობა ოდესებე ყოფილიყო ქართველი ერის ჭაღარა ისტორიაში. ჩვენ ვიჩაგრებით არა მარტო სახელმწიფო ორგანიზაციად, არამედ გვტანჯვავენ როგორც ერს, აფურთხებენ ჩვენს წმინდათა წმინდას, ჩვენს ენას, ჩვენს ეროვნულ კულტურას, ენე-ვიან ძალმომრეობით რუსიფიკაციას. ოკუპაციამ შექმნა ისეთი პირობები, რომ ქართველი ხალხის თვით ფიზიკურ არსებობას საშინელი არსებობა მოელის. ჩვენ გვფლობს ამ უამად ტლანქი უცხო ძალა – რუსეთის არმიები და მფლობელობს ბოლშევიკური დიქტატურის სახელით. ამიტომ ჩვენში გაუქმდებულია არა მარტო ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი, არამედ გასრესილია ფეხქვეშ აგრეთვე პატივი და მისი ლირსებაც. უკვე ათი თვეა, რაც ამ საშინელ ყოფაშია ქართველი ერი. უკვე ათი თვეა, რაც ის გმინავს რუსეთის ოკუპაციის უღელქვეშ. ჩვენთვის მიუღებელი და აუტანელია ამგვარი ყოფა. ქართველი ერი ასეთ მონურ სიცოცხლეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილს არჩევს, რომ ჯერ კიდევ არ ჰქონდეს იმის იმედი, რომ ამ საზიზღარ საერთაშორისო დანაშაულებას, რომელსაც რუსეთი იდენს, საქართველოს წინააღმდეგ მალე მოედება ბოლო საერთაშორისავე ძალების გავლენით. ჩვენ არავის არ ვთხოვთ ჩვენს ან სხვის შინაურ საქმეებში ჩარევას, მაგრამ უფლება გვაქვს მოგთხოვდ მთელ კულტურულ კაცობრიობას, ყველა დიდსა და პატარა ერებს, ძლიერსა და დიდ სახელმწიფოებს, რათა მათ აღიმაღლონ ხმა იმ საერთაშორისო დანაშაულებისა და ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც რუსეთი ჩადის საქართველოს მიმართ. დღეს, როდესაც დიდი მსოფლიო ომის შემდეგ (იგულისხმება 1914-1918 წნ. პირველი მსოფლიო ომი – ე.ბ.) მთელი კაცობრიობა და მათ შორის უძლიერესი სახელმწიფონიც იმსჯვა-

## ელდარ ბუბულაშვილი

ლებიან იმ აზრით, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში დაუმორჩილონ ძალა და როდესაც ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარებას იწყებენ ცხოვრებაში, ასეთ დროს თავის სრულ და უდაო უფლებად მიაჩნია საქართველოს მოთხოვნით მიმართოს მთელ კაცობრიობას, რათა მან მიიღოს მონაწილეობა მის ტრაგიკულ ბედში. აი, ამას ვითხოვთ ჩვენ ქვემორე ხელის მომწერი ქართველი მოქალაქენი, განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა, თქვენგან. ყველა ერთა და სახელმწიფოთა მოქალაქეთაგან, აგრეთვე განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა (ბოლშევიკური პარტიის გამოკლებით – ე.ბ.) და სოციალური მდგომარეობისა, რომ აღიმაღლონ ხმა ამა ძალმომრეობის ნინააღმდეგ. ჩვენ არ ვითხოვთ ვინმესგან მოწყალებას, ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, არის ჩვენი უფლება და თქვენი ვალი; ამას გაკისრებს თქვენ ცივილიზაცია და სამართლიანობა, ადამიანობა და სიმართლე, რომლის სახელით უნდა გამოესარჩლოთ საერთაშორისო ოჯახის იმ პატარა და ამიტომ სუსტ წევრს, რომელსაც თავს დაესხა უფრო დიდი და ძლიერი მეზობელი. თქვენ უნდა გადაჭრათ და მტკიცედ მოსთხოვოდ რუსეთის მთავრობას ერთი რამ – მოხსნას ჩვენში ოუბაცია, გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარები.

გაუწყებთ რა, ზემო აღნიშნულს მთელი ქვეყნის განათლებულ ერებს, ქართველი ერი, რუსეთის მიერ დაბყრობილი, ჩქარა მოელის მთელი თავისი უდაო უფლების აღდგენას: უცხოეთის ჯარებისაგან განთავისუფლებას, თავის სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამიტომაც ჩვენ, ქართველმა მოქალაქეებმა ერთხმად უარყავით დამპყრობელთა კონსტიტუცია: რუსეთის ჯარების და მათი აგენტების მიერ მოწყობილ ვითომდა „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები“. ჩვენ ამ არჩევანში მონაწილეობა არ მიგვიღია, ქართველი ერი ერთსულოვანი ბოიკოტით შეეგება მას.

10 დეკემბერი  
1921 წელი<sup>“4”</sup>

A tous les peuples civilisés

Depuis plus de deux mille ans, nous, géorgiens, existons, en formant un état souverain, sur ce pont naturel qui unit l'Orient et l'Occident et qui s'appelle le Caucase.

<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1864, ანან. 2, საქმე №504, ფურც. 7-8.

*La longue histoire de notre petit people fut une continue tragédie, notre existence nationale et notre culture étant constamment menacées par des forces extérieures brutales. Cependant, grâce au travail, au dévouement et à la lute acharnée de nos ancêtres, nous avons pu conserver notre existence physique, notre personnalité nationale, notre culture et l'organisme de notre Etat.*

*Ce fut seulement au commencement du siècle dernier que nous perdîmes notre indépendance nationale, notre voisine du Nord, la grande Russie, ayant alors annexé le royaume de Géorgie en violant le traité que ce dernier avait conclu avec elle. Pendant 117 ans, le peuple géorgien dépouillé de sa souveraineté, privé même de la plus simple autonomie, eut à supporter, de la part de la Russie, les affres de la persécution nationale et d'une oppression cruelle. Cependant la Géorgie ne cessa pas un seul instant de lutter contre cet asservissement et elle fut toujours au premier rang parmi les militants en faveur de la liberté.*

*En 1917-1918 prit fin l'esclavage des peuples soumis à la Russie; la Pologne, la Finlande et autres, reconquérirent alors la liberté et, en même temps, la Géorgie au prix de grands sacrifices recouvrira son indépendance: le peuple géorgien rétablit sa souveraineté. La Géorgie qui, en 1801 lors, de son annexion par la Russie, formait un royaume, renaquit en 1918 comme une république qui se donna une constitution démocratique, se déclare rester perpétuellement neutre et se mit à travailler à la consolidation de l'Etat et la reconstruction nationale.*

*Notre indépendance fut reconnue par l'Europe, d'abord de facto, puis de jure. Toutefois la Russie n'admettait pas l'indépendance de la Géorgie. Pendant trois ans les divers gouvernements russes, aussi bien bolchévistes qu'autres, nous combattirent. Cependant la Russie se trouva finalement obligée de reconnaître notre indépendance. Au printemps 1920, le gouvernement du sud de la Russie – gouvernement du général Dénikine – reconnut de facto le gouvernement de la République de Géorgie. A la même époque le gouvernement bolchéviste de Moscou nous reconnut non seulement de facto, mais aussi de jure et la République de Géorgie concluait alors un traité de paix et de bon voisinage avec ce dernier.*

*Néanmoins, le Gouvernement de Moscou continua à dépenser une grande activité et des sommes considérables pour soumettre la Géorgie, non pas au moyen d'une guerre ouverte, mais par des soulèvements intérieurs, par une révolution communiste. Le Gouvernement de Moscou échoua dans son plan de disloquer intérieurement l'organisme de la Géorgie: les géorgiens ne formaient, en ce moment historique, qu'un corps unique animé du désir ardent de maintenir la liberté et l'indépendance du pays. Le Gouvernement de Moscou se vit alors obligé d'avoir*

*recours à une attaque ouverte. Une pareille tentative échoua au printemps dernier alors que la Russie faisait la guerre à la Pologne. Cependant, la Russie ne renoua point, dans la suite, à son idée de reconquérir la Géorgie. Elle occupa les pays voisins. Les Républiques du Caucase du Nord, d'Azerbaïdjan et d'Arménie firent, avec Angora, des accords dirigés contre nous et, la Russie, après avoir liquidé les combats qu'elle menait sur les autres fronts, envahit la Géorgie avec une nombreuse armée. L'armée russe attaqua simultanément la Géorgie au sud (par l'Arménie), à l'est (par l'Azerbaïdjan), au nord (par les frontières russes Sotchi, Mamisson, Roki, Kasbek); enfin les armées du Gouvernement d'Angora, allié de Moscou, envahit notre territoire au sud-ouest. Notre République se trouvant ainsi encerclé par le feu et le sang, seule la frontière maritime restant libre, lutta sans épargner aucun sacrifice. Mais dans cette lutte inégale, nous fûmes vaincus, une petite partie du territoire géorgien fut occupé par l'armée turque; le reste fut envahi par l'armée Russe et le Gouvernement de la République dut se réfugier à l'étranger. Un pouvoir d'occupation fut établi lequel décréta l'annulation de la Constitution de la République et congédia l'organe législatif suprême.*

*L'indépendance de la Géorgie n'est pas encore formellement annulée par les occupants; ils ont établi dans le pays le système, des "Revkom", ou des Soviets et un gouvernement nommé Revkom, envoyé de Russie en Géorgie, y entra avec l'armée russe. En fait, les occupants annulent quotidiennement et systématiquement notre souveraineté et il y a des indices nets prouvant que sous peu l'indépendance de la Géorgie sera formellement annulée. La nation géorgienne est actuellement dévastée et subit une cruelle oppression. Il est douteux que des conditions aussi terrible trouvent des exemples dans le long passé historique de la Géorgie non seulement nous sommes opprimés, en tant qu'Etat, mais encore nous sommes torturés en tant que nation; nos sanctuaires, nos sentiments les plus sacrés, notre langue, notre culture sont outragés et on procède à notre russification forcée. L'occupation créa de telles conditions que l'existence physique même du people géorgien est menacée. Nous sommes actuellement dominés par la force brutale de l'armée russe qui exerce son pouvoir au nom de la dictature bolchéviste. Non seulement tous les droits de l'homme et du citoyen sont supprimés, mais encore l'honneur et la dignité sont foulés aux pieds.*

*Il y a dix mois que le people géorgien se trouve dans cette terrible situation, il y a dix mois qu'il gémit sous le joug de l'occupation. Une pareille existence est inacceptable pour nous; nous ne pouvons, en aucun cas, nous soumettre à la*

*dictature des occupants. Les people géorgien préférerait la mort à cet esclavage s'il n'avait pas l'espoir de voir bientôt, grâce à l'intervention de forces internationales, la fin de cet abominable crime.*

*Nous ne demandons à personne d'intervenir dans nos affaires intérieures. Mais nous avons le droit d'exiger de l'humanité civilisée, de tous les peuples grands et petits, de toutes les puissances fortes et faibles, qu'ils élèvent la voix contre cette violence, contre ce crime international commis par les russes envers la Géorgie. Maintenant, après la grande guerre, alors que les grandes Puissances sont imprégnées de l'idée de la prédominance du droit sur la force brutale et que le principe du droit des peuples de disposer librement d'eux-mêmes, est en voie de réalisation, nous considérons comme le droit incontestable de la Géorgie de s'adresser à toute l'humanité pour lui demander d'intervenir dans le sort tragique de son peuple.*

*Nous signataires de cet acte, citoyens Géorgiens sans distinction de religion ni de parti , vous prions, ainsi que tous les citoyens de tous les Etats, également sans distinction de foi politique ni de position sociale, nous vous prions d'élèver la voix contre cette violence. Ce n'est pas une grâce que nous demandons. C'est notre droit et c'est votre devoir. La justice et la vérité, la civilisation et l'humanité vous obligent de prendre la défense du faible membre de la civilisation envahi par un voisin grand et fort. Vous devez exiger catégoriquement du gouvernement russe l'évacuation de la Géorgie par l'armée russe.*

*En communiquant ce qui précède à l'humanité civilisée, le people géorgien garde l'espoir que son droit incontesté sera bientôt rétabli: libération du pays et possibilité de satisfaire à ses légitimes aspirations.*

*C'est pour cette raison que nous, citoyens géorgiens, avons, à l'unanimité, refusé d'adopter la constitution des occupants introduite par l'armée russe et ses agents soit disant au nom des soviets des ouvriers, des soldats et des paysans. Nous n'avons pas participé aux élections à ces Soviets, élections auquel le people géorgien a répondu par un boycott général .*

*Le 10 Décembre 1921.*

*(Suivent les signatures)*

ნარმოდგენილი დოკუმენტი, შინაარსობრივი თვალსაზრისის გარდა, ყურადღებას იქცევს მეცნიერული თვალთახედვითაც. აღნიშნული მასალა პირველად სრული სახით იბეჭდება. ჩვენამდე ამ დოკუმენტის არსებობის

## ელდარ ბუბულაშვილი

შესახებ პირველმა მიუთითა გ. ცხოვრებაძე<sup>5</sup> ემიგრაციაში მყოფმა ქართულმა მთავრობამ გამოაქვეყნა თუ არა ზემოთ მოტანილი დოკუმენტის ფრანგული ან ქართული ტექსტი, ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. საინტერესოა, რომ ემიგრაციაში წასული ქართული მთავრობა იქ გამომავალ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ აქვეყნებდა ასეთი ხასიათის მასალებს. დოკუმენტის შედგენის დროს (1921 წლის 10 დეკემბერი) გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ სტამბულში გამოდიოდა, ხოლო 1922 წლიდან – პარიზში.<sup>6</sup> აღნიშნული მასალა დასახელებულ გაზეთში არ არის დაბეჭდილი. იგი ასევე არ გამოქვეყნებულა სხვა ემიგრანტულ გამოცემებშიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პეტიციის ტექსტს თან ახლავს ხელმოწერები. მე-9 გვერდზე მითითებულია, რომ თბილისის მასშტაბით 1921 წლის დეკემბრისათვის 12 ათასი ხელმოწერა შეგროვებულა და ხელის მოწერის პროცესი კვლავ გაგრძელებულა. საინტერესოა, რომ ხელმოწერები გროვდებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. აღსანიშნავია, რომ ხელმომწერთა შორის უფრო მეტი აქტიურობა შეინიშნება დასავლეთ საქართველოში, თუმცა მითითებული არ არის გეოგრაფიული დასახელებები, მაგრამ გვარების დასახელებით ვრწმუნდებით, რომ განსაკუთრებით აქტიურობდა გურია (გურიის ხელმომწერთა რიცხვი 15 ათას შეადგენს) და იმერეთი. შედარებით ნაკლებ აქტიურობას იჩინდა სამეგრელო. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კახეთი, სადაც სოფლებისა და ქალაქების მითითებით (წინანდალი, ზემო ბოდბე, ახმეტა, მატანი, რუისპირი, ვაჩნაძიანი, ქისტაური, ურიათუბანი, იყალთო, შაშიანი, აკურა, ახალი გავაზი, ქალაქი თელავი) არის ხელმოწერები წარმოდგენილი. მართალია, ხელმოწერების დროს მითითებული არ არის ხელის მომწერთა სოციალური მდგომარეობა, მაგრამ წარმოდგენილი გვარებით დასტურდება, რომ ტექსტს ხელს აწერს თავადაზნაურთა, აზნაურთა, სასულიერო პირთა და გლეხთა წარმომადგენლები. ხელმომწერთა შორის არის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო რაზიკაშვილი, სერგი მაკალათია, პეტრე მი-

<sup>5</sup> ცხოვრებაძე 1996, 104.

<sup>6</sup> იქვე, 9.

რიანაშვილი, პავლე ინგოროვა და სხვა.<sup>7</sup> პეტიციას ქართველების გარდა ხელს აწერენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლები. მათი ხელმომწერები ზოგი ქართულ ენაზეა, ზოგი კი რუსულად აწერს ხელს. პეტიციის ხელმომწერთა შორისაა სომხები, აზერბაიჯანულები, რუსები, ოსები, იეზდები და სხვა. პეტიციის ხელმომწერთა შორის არიან ისეთები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ და სამ ჯვარს აკეთებდნენ საკუთარი გვარ-სახელის ნაცვლად. გარდა ამისა, მიმართვას თან ახლავს მინანერი: „...ცალკე თანდართული ხელის მომწერთა სია, რომელთაც წერა არ იცოდნენ, ხოლო ითხოვეს, რომ მათი გვარებიც სიაში შეტანილი ყოფილიყო... პეტიციის დასამოწმებლად“.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ ხელმომწერთა უმეტესი ნაწილი გარკვევით და მკაფიოდ აფიქსირებს თავის სახელსა და გვარს, ზოგიერთი მხოლოდ გვარის აღნიშვნით კმაყოფილდება, მცირე ნაწილი კი ხელგაკვრით და გაურკვევლად აფიქსირებს ხელმოწერას, როგორც ჩანს, გარკვეული სიფრთხილის გამო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პეტიციის ტექსტი დათარიღებულია 1921 წლის 10 დეკემბრით, თუმცა მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერა 1922 წლის აპრილშიც გრძელდებოდა. პეტიციის ტექსტს არ ატყვაი რომელიმე პარტიული (იგულისხმება ანტისაბჭოთა პარტიული გაერთიანებები) ჯგუფის გავლენა. ტექსტი შედგენილი უნდა იყოს გარკვეული ჯგუფის მიერ, მაგრამ მის შინაარსში ნათლად არ ჩანს რომელიმე პარტიული მიმდინარეობის გავლენა. ბუნებრივია, რომ ტექსტის შემდგენლები და ხელის მომწერნი შესაძლებელია რომელიმე პარტიული ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ხელის მოწერის დროს თავიანთ პარტიულ კუთხილებას არ აფიქსირებენ. ისინი ხელს აწერდნენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები. ასე რომ, პეტიციის ტექსტი შინაარსით ზეპარტიულია და ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრები არაქართველების გულისთქმას და დიდ წუხილს გამოხატავდა. უეჭველია, რომ ხელმოსაწერი პეტიციის ტექსტი საქართველოს მასშტაბით კონსპირაციულად ვრცელდებოდა, რომ იგი შეუმჩნეველი დარ-

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1864, ანა. 2, საქმე №504, ფურც. 252, 270.

<sup>8</sup> იქვე, ფურც. 299.

## ელდარ ბუბულაშვილი

ჩენილიყო რევოლუციური დაქვემდებარებული წითელი რაზმელების მიერ. ისინი ყოველგვარი ანტისაბჭოთა გამოვლენის წინააღმდეგ სასტიკ ტერორს მიმართავდნენ. ასეთ ფონზე დიდ გმირობად უნდა ჩაითვალოს პეტიციის ტექსტის შემდგენელთა და მათზე ხელმომწერთა ქმედება, რომლებმაც, დიდი ტერორისა და შიშის მიუხედავად, ხელი მოაწერეს აღნიშნულ პეტიციას, რითაც მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს დახმარებით ცდილობდნენ ქვეყნის ხსნას. ალსანიშნავია, რომ პეტიციის ავტორებს კონსპირაციული კავშირი ჰქონდათ პარიზში მყოფ ლეგიტიმურ მთავრობასთან, რომლის მითითებებს, როგორც ჩანს, ზედმინევნით ასრულებდნენ. ჩვენ არ ვიცით, ხელმოწერილი პეტიციის ტექსტი როდის და რა გზით გაეგზავნა ემიგრანტ ქართულ მთავრობას, მაგრამ ცხადია, რომ მისი არსებობა და მათზე ხელის მომზერთა ვინაობა უცნობი დარჩა საბჭოთა რეზიმისათვის, რითაც ხელის მომწერნი რეპრესიებს გადაურჩნენ. მართალია პეტიციაზე ჩვენ მიერ გამოვლენილი ხელმომწერთა ზოგიერთი პირი (მაგ. ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და სხვა.) საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეძლებომ იყო რეპრესირებული, მაგრამ არა ამ პეტიციაზე ხელმოწერის გამო.

ზემოგანხილული პეტიციის გარდა, ემიგრანტული ქართული მთავრობის საგარეო სამინისტროს ფონდში დაცულმა ერთმა დოკუმენტმა მიიჰყორ ჩვენი უურადღება. ეს გახლავთ „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის“ მიმართვა „ევროპის განათლებულ ერებს და კულტურის სფეროში მომუშავეთ“. აღნიშნულ მიმართვაში დაგმობილია საბჭოთა რუსეთის მიერ სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოზე თავსმოხვეული ძალადობრივი საბჭოთა რეზიმი, ნაჩვენებია ის სისასტიკე, რასაც ახალი ხელისუფლები მიმართავდნენ ქვეყნისა და ხალხის სანინააღმდეგოდ. აღნიშნული მიმართვის ტექსტს უცვლელი სახით ვაქვეყნებთ:

„ევროპის განათლებულ ერებს და კულტურის სფეროში მომუშავეთ

1921 წლის ოქტომბერის 11 საბჭოთა რუსეთის ჯარებმა გადალახეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და დაინტეს ომი საქართველოს წინააღმდეგ უეცრად და გამოუცხადებლად. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს არწმუნებდა, რომ რუსეთი საქართველოსთან კეთილგანწყობილებაშია იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ამ სახელ-

მნიშვნოთა შორის დაიდო 1920 წ.მაისის 8-ს (უნდა იყოს 7 მაისი – ე.ბ.); მიუხედავად ამგვარ რწმუნებისა საბჭოთა რუსეთის რეგულარული ჯარები სასტიკ შეტევას ანარმოებდა საქართველოს თითქმის ყველა საზღვრებზე. ამ უხეშ თავდასხმამ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც თავის ნარმომადგენელების პირით დამფუძნებელ კრებაში გადასწყვიტა თავისი ქვეყნის დაცვა მტრისაგან, და ეს გადაწყვეტილება მან დაამტკიცა უმეშველოდაც, როდესაც ქართულ ლაშქარს, მედგრად მებრძოლს საბჭოთა რუსეთის ჯარების ნინააღმდეგ, ყოველგვარ დახმარებას უნევდა. დიდი იყო ერთსულოვნება და სიმტკიცე ქართველი ხალხისა სამშობლოს დაცვის საქმეში. ჯარიც, როგორც ხალხის შვილი დიდად გამხნევებული და გააფთრებული ებრძოდა უხეშ ძალას, რომელიც უქადა მისი ტურფა ქვეყანას განადგურებას. საქართველოს დედაქალაქ ტფილისის გარშემო პოზიციებზე ქართველი ჯარის კაცები პირდაპირ გამგელებულები ებრძოდა საბჭოთა რუსეთის ჯარს, რომელსაც თანდათან ახალი მაშველი ჯარები მოსდიოდა იმ რუსეთიდან, რომელსაც ვითომ საქართველოს არ ეომებოდა საბჭოთა რუსეთის საგრეო კომისრის ჩიჩერინის ოფიციალური სიტყვით. ბოლოს თებერვლის 25-ს საბჭოთა რუსეთის ჯარები ტფილისში შეიქრნენ და ცეცხლითა და მახვილით მთელი საქართველო გადაიარეს. უამრავ უხეშ ძალას ვერ გაუძლო ქართველმა ხალხმა: რევოლუციისა და რუსეთის ანარქიის ცეცხლში ნარმოშობილმა საქართველოს რესპუბლიკამ ვერ შესძლო სამი წლის განმავლობაში თვისი არსებობის ყოველმხრივი უზრუნველყოფა: საქართველო დაპყრობილ იქმნა და საოკუპაციო რუსეთის ჯარების საშუალებით ტფილისში ახალი, ვითომდა ქართველებისგან შემდგარი, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

რაც რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე მოსკოვის ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს, ის ამიერ კავკასიაში საქართველოს დაპყრობით დაასრულეს, როგორც ოდესალაც მოსკოვის მწიგნობარნი – მეცნიერნი ფიქრობდნენ, რომ მოსკოვია მესამე რომი, მუდმივი, გადაუვალი, რომ მის მიერ მსოფლიოს განახლება და მსოფლიოზე მისი ბატონობა აუცილებელი, ასევე პატრიარქები მოსკოვის კომუნიზმისა ქმნიან მოსკოვის მესამე ინტერნაციონალს; ვითომდა კაცობრიობის ცხოვრების განახლებაზე, გარდაემნაზე ზრუნავენ, დამონავებულ ერთა განთავისუფლებას ვითომდა ემსახურებიან, არსებოთად კი მთელი მათი მოქმედება დიდი რუსეთის აღდგენა-განვითარებისკენ არის მიმართული. ამ ქვეყნად ოქროს საუკუნის დამყარების ინიციატორები ვერ განთავისუფლდნენ ძველ

რუსულ ტრადიციებიდან და რუსეთის ისტორიამ დაიპყრო თვით რუსეთის რევოლუცია, როდესაც უნდა დაერღვია მისი გადმოცემანი. ყველანა, სადაც კი ძევლი რუსეთის თავის ისტორიის სივრცეზე ბატონობას ეძებდა, სწორედ ყველგან იქ მოსკოვის კომუნისტები თავის თავის ისტორიის სივრცეზე ბატონობას ეძებდა, სწორედ ყველგან იქ მოსკოვის კომუნისტები თავის „სოვეტიზაციის სისტემით“ განჩდნენ, ვითომდა ახალ მოსაზრებით და საბუთებით და ლაპარაკობენ თავიანთ უფლებებზე ფილანდიაში, ბალტიის სახელმწიფოებში, პოლონეთში, ამიერ კავკასიაში, სპარსეთში, ახლო აღმოსავლეთში, შორეულ აღმოსავლეთში და სხ. მოსკოვის ფარისევლები ვითომდა მსოფლიო სოციალური რევულუციის ინტერესებით ხსნიან თავისუფალ ერთა საქმეში ჩარევას, გაიძახიან, რომ პროლეტარული ინტერესების გამარჯვება და მსოფლიო და ადგილობრივ ბურჟუაზიის დამარცხება მოითხოვს თავისუფალ სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებულ რუსეთის წითელ ჯარებით დაკავებას და აოხრებას. ამგვარ საერთაშორისო პოლიტიკის მსხვერპლად შეიქმნა საქართველო 11 თებერვლის 1921 წ. და შეიძლება ვსთქვათ, ამ ერთი წლის განმავლობაში ოკუპაცია დაპყრობად გადაიქცა. მართალია, დღესაც გრძელდება თამაში საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა; მაგრამ მოსკოვის კომუნიზმის ბელადები ამას სჩადიან იმისთვის, რომ განათლებულ ქვეყნების და სახელმწიფოთა საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანონ; სინამდვილეში კი საქართველოს სახელმწიფო არ არსებობს. იგი საბჭოთა რუსეთის უბრალო პროვინციას წარმოადგენს; საქართველოს არ აქვს სახელმწიფოებრივი საზღვრები. იგი მოსკოვმა მოსპო; საქართველოს სახელმწიფოს არ ჰყავს მთავრობა, ვინაიდგან, არსებული მთავრობა არის დაყენებული მოსკოვის მიერ და მთავრობის წევრები კი მოსკოვის მთავრობის მოხელეები; საქართველოს თავის საკუთრება არ აქვს, ვინაიდგან რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, მოსკოვის განკარგულებაშია, მისი აგენტების ხელშია; საქართველოს სახელმწიფოს არ ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალა; ეგრედწოდებული განსაკუთრებული კავკასიის რუსული ჯარი განაგებს ქვეყანას; საქართველოს სახელმწიფოში მობინადრე ხალხის შრომის ნაყოფიც მოსკოვის აგენტების განკარგულებაშია; ქართული ენა ვითომდა სოციალური რევოლუციის მსხვერპლად არის მიტანილი და ამის გამო თითქმის გაუქმდებულია საქართველოს სხვა და სხვა დაწესებულებებში; ყველა კულტურული, ეროვნული ქართული დაწესებულება მოსპობილია. სკოლა, როგორც დაბალი, ისე საშუალო და უმაღლესი სრულიად დაშლილია.

მოისპონ საქართველოში ყოველგვარი შემოქმედებითი ეროვნული მუშაობა, თავისუფალი სიტყვა, პრესა, აზროვნება. სრულიად განადგურებულია ქვეყანა; გაიზიდა ყველაფერი რუსეთში, რის გაზიდვაც კი მოხერხდებოდა. მთელი საქართველო გაივსო უცხო ელემენტებით და ბოლშევიკურ რუსეთის ცენტრალურ დაწესებულებათა ქვე განყოფილებებით. რუსეთის ჯარი და მოხელეთა მთელი ლაშქარი მოედო, როგორც კალია, მთელ ქვეყანას და ლამის არის სჩანათქავს იგი. ქართველი ხალხი დაჩაგრულია, უბრალო ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული; ქართველ მუშას, გლეხს, ქართველ ინტელიგენტს დღეს საქართველოში არ შეუძლია თავის მოყრა, თავის საჭიროებაზე მოლაპარაკება. გაბატონებულია ყველგან, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში საშინელი ძალმომრეობა, ეგრეთნოდებული პროლეტარიატის დიქტატურის სახით. საქართველოს ჩეკა ეს ახალი მოვლინებული ქვეყნის გადასაქმელად წმინდა მოსკოვის შემოქმედების ნაყოფი ფართოდ ავითარებს საზოგადოებრივ ძალების განადგურების საქმეს. ციხეები სავსეა დღეს ქართველ მუშებითა და გლეხებით, ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენლუბით. ატუსალებენ ყველას განურჩევლად მდომარეობისა და ასაკისა; არ დაინდეს მოსნავლე ახალგაზრდობაც და 13-14 წლის ყმაწილები ციხეებში ჰყავთ გამომწყვდეული. მრავალი მასნავლებელი, სამხედრო პირი, სტუდენტი იტანვება ციხეში, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლების წყალობით საქართველოში აუკრებელია.

ამ გვარად მოსკოვის კარნახით დღევანდელი ხელისუფლება აპარტაქებს საქართველოს ფიზიკურად და ეროვნულად ქართველი ხალხის მოსპობას ხელს უწყობს. ასეთი უსამართლობა ხდება სწორედ იმ ისტორიულ ჟამს, როცა ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, ბრძოლა უფლებებისათვის განათლებულ კაცობრიობისათვის პაროლად და ლოზუნგად გადაიქცა. ამ ლოზუნგის გარშემო შემოიკრიფა ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ ხალხების საზოგადოებრივი აზრი. ევროპის საზოგადოებრივი კლასებს კარგათ ესმის ბრძოლა უფლებებისათვის. ის ხალისი, რომლითაც ისინი აუკრებელ მსხვერპლს სხირავენ მის სამსხვერპლოს, მოწმობს იმას, რომ ყველა გამსჭვალულია უხეში ძალმომრეობის და ძალის ბრძოლით, და ამ ძალის დამორჩილების სურვილით, რათა განმტკიცდეს უფლებრივი დასაწყისი, რომელიც საფუძველია საერთაშორისო ცხოვრებისა. უფლების ბატონობის შეურყეველ საფუძველზე დამყარება – მოწინავე სახელმწიფოთა და ერთა მთავარი მიზანია, დიდი საშიროება, რომელიც დღეს კაცობრიობას ემუქრება, იმაში მდგომარეობს,

## ელდარ ბუბულაშვილი

რომ მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა ახალი მილიტარიზმი და იმპერიალიზმი, მოსკოვის ბოლშევიზმი. არ შეიძლება ამ უხეშ და ყოველ გვარ კულტურულ ღირებულებათა განმანადგურებელ ძალას არ მივაქციოთ ევროპის განათლებულ ერების და კულტურულ ორგანიზაციათა ყურადღება.

საქართველოს მასწავლებლობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით დარწმუნებულია, რომ მისი სულის კვეთებას და ღრმა აღმფოთებას მოსკოვის მიერ საქართველოს განადგურებით გამოწვეულს ჩაწერდებიან ევროპის განათლებული ერები და გაუწევენ ქართველ ერს დახმარებას იმ წარმოუდგენელ ძალადობის მოსპობის საქმეში, რომელიც დღეს გამეფებულია საქართველოში. ქართველ მასწავლებლობას და კულტურულ სფეროში მომუშავეთ ქართველ ერის გადასარჩენათ და მის კულტურულ განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ შემდეგი: 1.აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიბისა და მის დაცვა ადგილობრივი ძალებით; 2.დაუყონებლივი გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან უცხო საოცუპაციო რუსეთის ჯარების; 3.სახელმწიფო წეს-წყობილების დემოკრატიულ საფუძვლებზე აღდგენა; 4.საქართველოში ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, რომელიც შეესაბამება როგორც ადგილობრივ ისე საერთო ობიექტურ პირობებს და რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველი მხრის განვითარებას. ყველაფერი ეს იქნება არამარტო დახმარება პატარა ერისადმი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, – ეს იქნება უფლების ძალაზე გამარჯვება მშვიდობიანობის ომიანობაზე”<sup>9</sup>.

მიმართვა თარიღდება 1922 წლის 11 მარტით. მას ხელს აწერს „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე“ ალექსანდრე] მდივანი; წევრები: დავით პარკაძე, ალექსანდრე] წერეთელი, ნიკიფორე] იმნაიშვილი, კონსტანტინე] გაგუა; მდივანი ტორფიმე] ხუნდაძე. დარჩენილი ოთხი ხელმოწერის ზუსტი დადგენა გაგვიწირდა. თუმცა თანამედროვე ტექნიკური სამუალებებით მიახლოებითად შეგვიძლია აღვადგინოთ მათი სავარაუდო ვინაობა. წევრების სახელით ხელის მომწერთა შორის შეიძლება იყოს ა. მეგრელაძე, გ. ჭიჭინაძე, ნ. ძიძიგური და ნიკურაძე. დასახელებული პიროვნებებიდან ჩვენ მხოლოდ

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1864, ანან. 2, საქმე №504, ფურც. 252, 270.

ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა შევძელით, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწინა ხაშურის მუზეუმის დირექტორმა, ბ-მა თამაზ ლაცაბიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე“ ალექსანდრე მდივანი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ხაშურში, სადაც იგი 1914-1917 წლებში გიმნაზიის დირექტორი იყო.<sup>10</sup> კონსტანტინე გაგუა (1885-1947) 1911-1917 წლებში ხაშურის გიმნაზიაში პედაგოგად მუშაობდა. მიმართვის შედგენის დროს იგი იყო თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. პარალელულად მუშაობდა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ინსტიტუტში. ავტორია რამდენიმე მეთოდიკური სახელმძღვანელოსი.<sup>11</sup> ნიკიფორე იმნაიშვილი ხაშურის გიმნაზიის პედაგოგი იყო. ეს უკანასკნელი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობის დროს ხაშურის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ფუნქციასაც ასრულებდა.<sup>12</sup> სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის მდივნის სახელით მიმართვას ხელს აწერს პედაგოგიკის ისტორიის შემდგომ ცნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტროფიმე ირაკლის ძე ხუნდაძე (1889-1977), რომელიც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო და სახალხო განათლების შესახებ საინტერესო ნაშრომების ავტორია. ხელმომწერთა შორის არის ცნობილი პედაგოგი და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე იოსების ძე წერეთელი (1889-1967), რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული იყო. ხელმომწერთა შორის და-სახელებული დავით პარკაძე (1882-1951) გახლდათ მათემატიკოსი, პე-დაგოგი, რომელიც, საშუალო სკოლების გარდა, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელშიც ასწავლიდა. იგი იყო სახალხო განათლების მუზეუმის დამარსებელი და მისი დირექტორი. მიმართვაზე ხელის მოწერის დროს იგი მათემატიკას ასწავლიდა თბილისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში.<sup>13</sup> სამწუხაროდ, დანარჩენ ხელმომწერთა შესახებ ცნობები ვერ მოვიძიეთ.

<sup>10</sup> ლაცაბიძე 2014, 56, 62.

<sup>11</sup> სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები 1968, 280.

<sup>12</sup> ლაცაბიძე 2014, 63-64.

<sup>13</sup> სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები 1968, 261-62.

ზემოთ წარმოდგენილი მიმართვის შესახებ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ პირველად მის შესახებ მიუთითა გ. ცხოვრებაძემ, საიდანაც მცირე ამონაწერიც დაიმოწმა თავისი მოსაზრებების გასამყარებლად.<sup>14</sup> გამოქ-ვეყის ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე ზედმეტია რამის დამატება. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ გასაბჭოების დღიდანვე პედაგოგების დიდი ნაწილი აშკარად გამოვიდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. აღნიშნულის შესახებ საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული პარიზში გამომავალ ემიგრანტულ გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“.<sup>15</sup> ამ მასალებიდან ირკვევა, რომ 1922 წლის 30 იანვრიდან „საქართველოს განათლებისა და სოც. კულტურის კავშირის მუშაკები“, დიდი ზეწოლის მიუხედავად, ეწინააღმდეგებოდნენ ახალი რეჟიმის დამყარებას, რის გამოც ისინი რეპრესიებს განიცდიდნენ. გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებით, 1922 წლის 10-11 თებერვალს, პედაგოგთა ნაწილი დააპატიმრეს ან სამსახურიდან გაათავისუფლეს. სწორედ ამ ვითარების ფონზე დაიწერა ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მიმართვა.

საქართველოს ძალატანებით გასაბჭოებას და საბჭოთა რუსეთის მეშვეობით დამყარებულ საოცეპაციო რეჟიმს უარყოფითად შეხვდა სტუდენტი ახალგაზრდობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა. 1921 წლის თებერვალში კოჯორის მისადგომებთან აქტიურად იბრძოდა ქართველი სტუდენტობა. ბევრი მათგანი ამ ბრძოლას შეენირა. საოცეპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ. სტუდენტთა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდა ემიგრანტული ქართული პრესა, კერძოდ კი „თავისუფალი საქართველო“, რომელშიც რამდენიმე დოკუმენტი გამოქვეყნდა მათი ანტისაბჭოთა მოძრაობის შესახებ.<sup>15</sup> საოცეპაციო რეჟიმმა სტუდენტი ახალგაზრდობის გამოსვლებს რეპრესიებით უპასუხა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით აქტივისტი სტუდენტები დააპატიმრეს, რამაც მათი მოძრაობა კიდევ უფრო გაააქტიურა. აღნიშნულის დასტურად მიგვაჩნია ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდებისადმი 1922 წლის 30 მარტით დათარიღებული ქართველ სტუდენტთა მიმართვა. აღნიშნული მიმართვის მცირე ფრაგმენტი

<sup>14</sup> ცხოვრებაძე 1996, 105.

<sup>15</sup> დაწვრილებით იხილეთ გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ (პარიზი, 1922, №18), 22-23; შდრ. შარაძე 2001, 216-218.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ

პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა გ. ცხოვრებაძემ. ჩვენ კი სრულ ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ევროპის და ამერიკის ახალგაზრდობას.

მეგობრებო, უძველესი და კულტუროსანი ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებულის სიმკვეთრით აღიბეჭდა ორი თარიღი 26 მაისი და 26 იანვარი.

1918 წლის მაისის 26 დაიმსხვრა რუსეთის ერთი საუკუნის ეროვნული მონობის ხუნდები. ამ დღეს ქართველი ერის მტკიცე და თავისუფალმა ნებისყოფამ საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებლობის სახელმწიფოს აღორძინებას: 26 მაისს საქართველოს პარლამენტისგან აღდგენილი იქმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამავე წლის 26 იანვარს საქართველოს დედაქალაქ ტფილიში დაარსდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მთელი ქართველი ერი დიდიხნის განმავლობაში გრძნობდა რუსეთის მონარქიის პატონობით შენელებულ კულტურის აღორძინებისთვის – საკუთარი უნივერსიტეტის დაარსების საჭიროებას. მაგრამ, საქართველოს მრავალ თაობათა სანუკვარ იდეას ხორცი შეესხა მხოლოდ რუსეთის დესპოტიზმის დამსხვრევის შემდეგ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენამ კი უფრო მკვიდრ საფუძველზე დააყენა ქართველი ერის კულტურულ აღორძინების ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანი – სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 მაისმა კიდევ უფრო განამტკიცა 26 იანვარი.

სამი წლის განმავლობაში ქართული უნივერსიტეტი, ხუთი ათასი სტუდენტით ეწევა დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობას მშობლიურ ენაზე და სამშობლოს მტერნი და ორგულნიც კი დაარწმუნა ქართული კულტურის ცხოველმყოფელობაში. ქართული უნივერსიტეტი გადაიქცა ერის უკეთესი მომავლის იმედათ. მან უნდა გახადოს უძველესი კულტურისა და მრავალსაუკონივან ისტორიის ერი დასავლეთის კულტურისა და მეცნიერების თანაზიარი. ის უნდა შეიქმნას ევროპისა და აზიის ერების კულტურული თანამშრომლობის შემაერთებელ ცენტრად.

ესოდენ დიდი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულება დღეს დაღუპვის კარამდეა მისული.

1921 წლის თებერვალში ხანგრძლივი და თავგანწირული ომების შემდეგ, რომელსაც ერმა შესწირა თავისი საუკეთესო ძალები, დამოუკიდებელი საქართველო დაიკავა რუსეთის წითელმა ჯარებმა. მრავალრიცხვოან მტერს ვერ გაუმკლავდა სამშობლობლოსთვის თავდადებული მცირერიცხვანი ქართველი ხალხი. ის ფიზიკურად დამარცხდა. რუსე

თის ნითელმა ჯარებმა დაამყარა საოკუპაციო ხელისუფლება, რომელ-  
მაც სულ მოკლე დროში მოუსპო თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს  
დამოუკიდებელ სახელმწიფოს ყოველგვარი ნიშანწყალი: დააქუცმაცა  
ეროვნული ტერიტორია, მოსპო ყოველგვარი საზღვრები, განდევნა ქარ-  
თული ენა უმრავლეს სახელმწიფო დაწესებულებიდან, მოსპო ქართული  
ლაშქარი, გახრწნა. ქართული რკინის გზები შეუერთა რუსეთს და სხვა.  
ერთი წლის განმავლობაში საოკუპაციო ჯარების თარებმა გაანიავა  
ეროვნული ავლადიდება, არიგ-დარია ეკონომიკური ცხოვრება და ერი,  
კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინების გზაზე შემდგარი საშინელი  
შიმშილისა და ეკონომიკურ დაქვეითებამდე მიიყვანა. დღიდან საქართ-  
ველოს ოკუპაციისა ბოლშევიკური ხელისუფლება სცდილობდა საზო-  
გადოებრივი აზრის გაყალბებას და ისეთი ილუზიების შექმნას, თითქოს  
ქართველი ხალხი მას თანაუგრძნობს. მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი  
ცდისა და მთელი იძულებითი აპარატის ამოქმედებისა მან ეს ვერ შესძლო  
და როგორც ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ისე ქართველმა სტუდენ-  
ტობამ – ახალგაზრდობამ არაერთხელ აშკარად და მკაფიოდ გამოხატა  
სრული მტრული განწყობილება მოძალადე უცხოელი ძალის მიმართ.

ერთი წელია მთელი ქართველი ერი, მისი მუშათა კლასი განაგრძობს  
დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგე-  
ნისათვის ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ.

ოკუპანტების ხელისუფლება ვერ ითმენს ვერავითარ უკმაყოფი-  
ლებას და ერის მძლავრ და ერთსულოვან მოთხოვნილებებს უნახავი და  
დაუზოგველი რეპრესიებით უპასუხებს. მთელი ქართველი ერი ვეებერ-  
თელა ციხედ არის ქცეული. ტფილისისა და სხვა ქალაქების საპატიმრო-  
ში იტანჯება მთელი ქართველი ინტელიგენცია, სახელგანთქმული სა-  
ზოგადო მოღვაწეები, მუშათა კლასის უკეთესი წარმომადგენლები და  
მცირენლოვანი მოსწავლენი. საქართველოს მინა-წყალზე შემოჭრილმა  
უცხო ძალამ მოინადინა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. იგი  
სცდილობს მოშალოს ერის კულტურის აღორძინების უმძლავრესი ფა-  
ქტორი – სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიწყო სტუდენტების მასიური  
შევინწროება და ყველა მისი ორგანიზაციების დაშლა.

ერის თავგანწყორულ ბრძოლაში აქტიურ და პირდაპირ მონაწილე-  
ობას იღებს მთელი ქართველი სტუდენტობა. ის დარწმუნებულია, რომ  
ერის პოლიტიკურ დამოუკიდებულების გარეშე შეუძლებელია მშვიდი  
სამეცნიერო მუშაობა და ეროვნული კულტურის განვითარება.

არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მრავალჯერ გამარ-  
თულ საპროტესტო დემონსტრაციებისა და კრებებისათვის მას თავს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ

დაატყდა საოკუპაციო ხელისუფლების რისხვა. უნივერსიტეტში შეიქრა რუსული ჩექმა და ფიზიკურად შეურაცხვო ქართველი სტუდენტები. სროლით ალყა-შემორტყმულ უნივერსიტეტის კედლებში თოვის კონდახებით და ხელით სცემეს სტუდენტები ქალები და ვაჟები. პროტესტი-სათვის ასობით სტუდენტი დაატუსაღეს, საუკეთესო სტუდენტები და სამეცნიერო სამუშაოს მოაცილეს უკეთესი მუშაკნი.

ციხეების გარეთ დარჩენილი სტუდენტობის დიდი ნაწილი არალე-გალურად სცხოვრობს და ისიც მოკლებულია აქტიური საშუალებას განაგრძოს საყვარელი საქმე: მეცნიერული-სააკადემიო მუშაობა. თვით უნივერსიტეტი გადაქცეულია „ჩეკას“ სათარეშო მოედნათ. ჩახშულია ყოველგვარი თავისუფლება: კრების, სიტყვის, კავშირის.

მიუხედავათ ასეთი მძიმე მდგომარეობისა ქართველი სტუდენტობა მთელ ქართველ ერთან ერთად ქედმოუხრელად განაგრძობს ბრძოლას ოკუპანტების ნინაალმდევ და მოითხოვს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას.

დატუსაღებულები ციხეში უსაზიზღრეს რეჟიმს განიცდიან. თვეობით სხედან სისხლის-სამართლის დამნაშავებთან და მონამენი არიან სიკედილ მისჯილ ტუსაღთა სიცოცხლისათვის უკანასკნელი გაბრძოლებისა. მათ თვალწინა ათეული ტუსაღი გაყავთ დასახვრეტად. ამ ნიადაგზე ზოგნი სულიერად დაავადმყოფეს.

უკანასკნელ კაცამდევიბრძოლებთეროვნული თავისუფლებისათვის იმ იმედითა და ღრმა რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისგან ჩახშული სამეცნიერო მუშაობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძობა ჩვენს მხარეზე იქნება და ყოველგვარი საშუალებებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს, რითაც დაჩქარდება ევროპა-აზიის კულტურული თანამშრომლობა.

4500 ქართველი სტუდენტის დავალებით სტუდენტთა კავშირის საბჭო

ქ. ტფილისი,  
1922 მარტის 30<sup>16</sup>.

<sup>16</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,

## ელდარ ბუბულაშვილი

აღნიშნულ მიმართვას ხელს აწერენ დ. ლომთაძე, გ. კიკნაძე. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს შემდგომში პედაგოგიკის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გიორგი კიკნაძე. ხელმომწერთა შორის არის ვ. ზაალიშვილი, მიხეილ ჭანიშვილი და ვასილ გულისაშვილი – სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მეტყევე, აკადემიკოსი. მიმართვა სანდო პირების მეშვეობით გაეგზავნა პარიზში მყოფ ემიგრანტულ მთავრობას. მიმართვის ტექსტს ბოლოში ახლავს ფანქრით მინანერი: „ამხანაგებო! გეგზავნებათ სტუდენტების მიმართვა სათანადო მსვლელობის მისაცემად. „თავისუფალ საქართველოში“ ნუ დაიბეჭდება ან თუ კი – ხელმოუწერელად.“ ავტორის გვარი ძნელად იკითხება. ჩვენი აზრით, მინანერის ავტორი რ. გაბაშვილი უნდა იყოს.<sup>17</sup> ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო იქნა მიღებული, რომ მიმართვის ხელმომწერები საქართველოში იმყოფებოდნენ. მათი გვარების მითითების შემთხვევაში ისინი რეპრესიებს, რა თქმა უნდა, ვერ გადაურჩებოდნენ. ასეთი რეზოლუციის მიუხედავად, აღნიშნული მიმართვა ემიგრანტულ ქართულ პრესაში არ გამოქვეყნებულა.

შემდგომ წლებში (1923-1925 წე.) საქართველოდან და ემიგრაციაში მყოფი ლეგიტიმური ქართული მთავრობის წარმომადგენლებმა ანალოგიური ხასიათის წერილებით არაერთხელ მიმართეს მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციას თუ სახელმწიფოს დახმარებისათვის.<sup>18</sup>

ზემოთ წარმოდგენილი მიმართვების ფონზე, 1921-1922 წლებში სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მიმდინარეობდა ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლება, სადაც ადგილობრივი საბჭოთა მთავრობები დაამხვეს, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, მართალია მარცხით დამთავრდა, მოძრაობის კულმინაცია იყო.

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისას საგანგებოდ არ შევხებივართ 1922 წელს წმ. ამბროსი ალმისარებლის (ხელაია) მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმს, რომლის სრული წყაროთმცოდნეობითი პუბლიკაცია განახორციელა პროფ. ჯემალ გამახარიამ.<sup>19</sup> ზემოაღნიშნული მასალების გაცნობით დავრწმუნდით,

ფ.1864, ანან. 2, საქმე №504, ფურც. 252, 270.

<sup>17</sup> იქვე, ფურც. 270.

<sup>18</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.2124, ანან. 1, საქმე №23, ფურც. 6-7.

<sup>19</sup> გამახარია 2012, 305-331.

რომ წმ. ამბროსი აღმსარებლის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი, რომელიც ქართველი ხალხის გულისტქმას გამოხატავდა, ერთ-ერთი რგოლია იმ მიმართვებისა, რომელიც ამ დროისათვის სხვადასხვა ორგანიზაციას და სახელმწიფოს გაეგზავნა. როგორც ჩანს, ყურადღების მიქცევის მიზნით, წინასწარ დასახული კოორდინირებული გეგმით ხდებოდა საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა მიერ მიმართვის ტექსტის შედგენა. ჩვენს ამ მოსაზრებას ამყარებს მიმართვებისათვის დამახასიათებელი ერთნაირი სტილი. თითოეულ მიმართვას ახასიათებს ქართველი ხალხის უკმაყოფილება ძალადობის გზით დამყარებული საოკუპაციო რეჟიმის მიმართ და მისგან თავის დაღწევა.

მართალია, ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მაშინდელ მსოფლიო საზოგადოებას ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს საქართველოს დასახმარებლად, მაგრამ აღნიშნულმა დოკუმენტებმა თავის მიზანს მიაღწია. ცივილიზებულ სამყაროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ სრული წარმოდგენა პქონდა. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტები დიდად ეხმანება თანამედროვეობას, რის გამოც მისი გამოქვეყნება, სპეციალისტების გარდა, მკითხველთა ფართო წრისთვისაც საინტერესოა.

## ბიბლიოგრაფია

### References

- ბუბულაშვილი 2015:** ბუბულაშვილი ე. 2015, რაფიელ ივანიცკი-ინგილი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა დამცველი (ემიგრანტული მასალების მიხედვით, XX ს-ის 20-იანი წლები), რელიგია, №2
- გამახარია 2012:** გამახარია ჯ. 2012, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია): 150-ე წლისათვის, თბილისი
- თოიძე 1990:** თოიძე ლ. 1990, 25 თებერვლის შემდეგ, თბილისი
- თოიძე 1991:** თოიძე ლ. 1991, ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის, თბილისი
- თოიძე 1996:** თოიძე ლ. 1996, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბილისი
- ლაცაბიძე 2014:** ლაცაბიძე თ. 2014, ნარკვევები ხაშურის რაიონის სახალხო განათლების ისტორიიდან, წიგნი მესამე, ხაშურის პირველი საშუალო საჯარო სკოლა, ხაშური

## ელდარ ბუბულაშვილი

**სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები 1968:** სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული III, თბილისი

**შარაძე 2001:** შარაძე გ. 2001, ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბილისი, 216-218

**შარაძე 2001-2005:** შარაძე გ. 2001-2005, ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია, ტ. I-VIII, თბილისი

**ცხოვრებაძე 1996:** ცხოვრებაძე გ. 1996, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი

რეცენზიები



## ნინო დოლიძე

### ნაჯიბ მაჟუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

ჩვენში არაბულიდან ქართულად თარგმნის მნიშვნელოვანი ტრადიცია არსებობს. ბოლო დროს მთარგმნელობითი საქმიანობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა. კლასიკურ ნიმუშებთან ერთად სულ უფრო ხშირად ითარგმნება თანამედროვე ნაწარმოებები. 2014 წელს ეგვიპტელი ნობელიანტი მწერლის, ნაჯიბ მაჟუზის (1911-2006), რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ გამოვიდა. ი.ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, არაბისტ მაია ანდრონიკაშვილის მიერ ორიგინალიდან შესანიშნავად შესრულებული თარგმანი გიორგი ლობუანიძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამომცემლობა „სიესტამ“ გამოსცა. ეს წიგნი ჩვენი მწერლობის ნამდვილ შენაძენად იქცა.

სანამ უშუალოდ ნაწარმოებსა და მის თარგმანს შევეხებოდეთ, უნდა აღვითოთ მაჟუზის განსაკუთრებული როლი არა მარტო არაბული პროზის, კერძოდ კი, რომანის განვითარებაში, არამედ თანამედროვე არაბული მწერლობით მსოფლიოს დაინტერესების საქმეში. მართალია, 1988 წლამდეც, სანამ მაჟუზი წობელის პრემიას მიიღებდა, არაბული ლიტერატურა ითარგმნებოდა ევროპულ ენებზე, მაგრამ ამ ფაქტის შემდეგ სულ სხვა თვალით შეხედეს თანამედროვე არაბულ ფიქტიურ პროზას. უკვე აღარ იგრძნობოდა ინტერესი აღმოსავლეთისადმი, მხოლოდ როგორც რეგიონისადმი. უფრო მეტად შეფასდა და დაფასდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულება და, ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ მაჟუზის ქმნილებები ითარგმნა არაერთ ენაზე. ქართულად ცალკეული ნოველების თარგმანთა გვერდით მისი სამი რომანის („როდოპისი“, „მირამარი“ და „ჩვენი უბნის შვილები“) თარგმანი მოგვეპოვება, რასაც მ. ამდრონიკაშვილს უნდა ვუმადლოდეთ.

გ. ლობუანიძე თავის წინასიტყვაში „მეოთხე პირამიდა“ სამართლიანად შენიშნავს, რომ მაჟუზის წობელის პრემიის მიღებამდე უკვე ბევრი რამის გაკეთება მოესწრო და მისი არაერთი ნაწარმოების ეკრანიზაციის

წყალობით საკუთარ ქვეყანაშიც არ აკლდა აღიარება.<sup>1</sup> თუმცა 33 რომანის, ნოველათა 13 კრებულის, 50-ზე მეტი მოთხრობისა და 300-ზდე წერილის ავტორს ჰქონდა ერთი ნაწარმოები, რომელიც დაწერიდან პირველად მხოლოდ 8 წლის შემდეგ გამოიცა სრული სახით ბეირუთში, და მეორედ მხოლოდ 37 წლის შემდეგ – მის მშობლიურ კაიროში. 2006 წლის თებერვალში ეგვიპტეში ჩასულ გ. ლობუანიძეს დიდი წვალების შემდეგ ბუკინისტებთან მოუხდა ამ წიგნის შეძენა, რადგან, როგორც ჩანს, ეგვიპტურ საზოგადოებაში „აულად ჰარათინა“<sup>2</sup> კანონიკურად აღიარებული ჯერ კიდევ არ იყო. „მკრეხელური რომანის“ გარშემო 1959 წელს დაწყებული დავა 2006 წლის აგვისტოში დასრულდა. მწერლის მიმართ წაყენებული მთავარი პრეტენზია გახლდათ ის, რომ ისლამის მიერ აღიარებული წმინდანები მას ბრუტალურ, უხეშ პირებად ჰყავდა გამოყვანილი. ამ აზრის მომხრეთა მთავარი შეცდომა რომანის აღეგორიული ხასიათის გაუთვალისწინებლობა იყო.

„ჩვენი უბნის შვილები“ არ გახლავთ ტიპური ისტორიული რომანი, კონკრეტული ადამიანების ღვანლს რომ წარმოაჩენს. ეს უფრო კაცობრიობის სულიერი ისტორია, რომელშიც თითქოს ცნობილი რელიგიური პირების ტრანსპლანტაცია ხდება. მათთვის შერქმეული სახელებიც ალეგორიაა. წიგნი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან. ესენია: ადჰამი, ჯაბალი, რიფაყა, კასემი და არაფა. ადჰამი (არაბ. შავტუხა) ბიბლიური ადამია, ჯაბალი (არაბ. მთა) – მოსე, რიფაყა (არაბ. გულმოწყალება, სიკეთე) – იესო, კასემი (არაბ. ის, ვინც იფიცებს) – მუჰამადი. ამ გამორჩეული პიროვნებების მიმდევრები, შესაბამისად, იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის მიმდევრებს განასახიერებენ, ბოლო თავის გმირი არაფა (არაბ. ცოდნა) კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აღეგორიული სახეა. ყველაზე ვრცელი თავი კასემს (resp. მუჰამადს) ეთმობა. ხუთივე თავში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ამბავი მეორდება – ღვთისაგან მივიწყებულ ხალხში გმირი-მშველელი ჩნდება, რომელიც სამართლიანობის აღსადგენად სოციალურ თუ პოლიტიკურ ინსტიტუციებს უპირისპირდება. ერთ ნაწარმოებში თავმოყრილი, ერთმანეთისგან შინაარსის თვალსაზრისით დამოუკიდებელი ისტორიები ერთი დიდი ქაოსი იქნებოდა, რომ არა რომანის მკაცრი სტრუქტურა. შუა საუკუნეების ნაწარ-

<sup>1</sup> ნაჯიბ მაჰფუზი, ჩვენი უბნის შვილები (თბილისი, 2014), 16.

<sup>2</sup> რომანის „ჩვენი უბნის შვილები“ არაბული სახელწოდება.

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

მოებების მსგავსად, აქაც სიუჟეტის გამეორების ხერხია გამოყენებული. ერთი შეხედვით, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მასალა კონტროლს ექვემდებარება, გამეორების ეფექტი კი იმდენად ძლიერია, რომ მკითხველი ბოლო თავის გმირისგანაც იმავეს მოელის, რაც წინა თავების გმირებმა ჩაიდინეს, თუმცა არათა სულიერი მოღვაწეებივით ღრმა პიროვნება არ აღმოჩნდება... მსგავსი ამბების კითხვა ჩვენს ეპოქაში თითქოს მომაბეზრებელი რამ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დახელოვნებული მწერალი მონოგრაფიის საფრთხეს ისტატურად იცილებს თავიდან. თხრობა საოცრად დინამიკურია.

„ჩვენი უბნის შვილების“ პირველი ნაწყვეტი ყოველდღიურ გაზეთ „ალ-აჰრამში“ 1959 წლის 21 სექტემბერს გამოჩნდა, თუმცა იმავე წლის დეკემბერში ნაწარმოების ბეჭდვა შეწყდა. საზოგადოებამ ვერ მიიღო ალეგორიული სტილის რომანი, რაც ეგვიპტურ მწერლობაში სიახლე გახლდათ. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რეალიზმმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. მაჰფუზიც რეალისტურ ნაწარმოებებს ქმნიდა (გავიხსენოთ თუნდაც მისი ცნობილი ტრილოგია (1950). 1952 წლის რევოლუციისა და შვიდწლიანი პაუზის შემდეგ „ჩვენი უბნის შვილების“ გამოჩენა მიუთითებდა იმაზე, რომ რომანისტი, რომელიც ამ წნის განმავლობაში სცენარების წერით იყო დაკავებული, რომანის ჟანრს დაუბრუნდა, თან შეეცადა, მასში გარკვეული სიახლეც შეეტანა. შედეგად მივიღეთ საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოები, რომლის ინვაციურობაც არაერთგვაროვნად შეფასდა.

არის მოსაზრება, რომ მოქმედება რომანში XIX საუკუნის კაიროში ვითარდება.<sup>3</sup> მართალია, ტექსტში დრო არსად არის დაკონკრეტებული, მაგრამ რაყი ბოლო თავის გმირი – არათა მეცნიერების ეპოქის შვილია, ხოლო ავტორი ყავახანაში კანტიკუნტად შემორჩენილ მთემელთაგან მოსმენილ ამბებს იწერს, შეიძლება ასეც ვივარაუდოთ. შესავალში ის წერს: „ჩვენი ქუჩის ისტორიას გიამბობთ, უფრო სწორად მის ლეგენდებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მე თვითონ მხოლოდ უკანასკნელი დროის თვითმებილველი ვარ...“ (მაჰფუზი 2014, 27) რაც შეეხება მოქმედების ადგილს, ისიც რეალურად არსებულია – მუკატამის მთის მიდამოები, თუმცა კონკრეტულ დროსა და ადგილს რომანში მნიშვნელობა არ ენიჭება. „ჩვენს უბანში“ ზოგადად ამქვეყნიური სამყარო იგულისხმება და არა

<sup>3</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Children\\_of\\_Gebelawi](http://en.wikipedia.org/wiki/Children_of_Gebelawi)

მხოლოდ ეგვიპტე. მეორე მხრივ, ამგვარი უნივერსალობის მიუხედავად, იგრძნობა, რომ ნანარმოებში სწორედ ეგვიპტის მცხოვრებნი არიან აღწერილნი, ის ადგილობრივი ხალხი, რომელიც თითქოს არც იცვლება დროსთან ერთად. ამაში არის კიდეც „ჩვენი უბნის შვილების“ ერთგვარი ხიბლი – ის ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება, მაგრამ მაინც ძალიან ეგვიპტურია. თითქოს მაპფუზი კაიროს იმ ძელი უბნიდან აკვირდება სამყაროს, სადაც თვითონ დაიბადა და გაიზარდა.

ამბავი დიდ, განყენებულ, გალავანშემორტყმულ სახლში იწყება, რომელსაც მშვენიერი ბალი აკრავს. აქ კეთილსურნელება, სიმშვიდე და სილამაზე გამეფებულა. ეს ადგილი სამოთხის ალეგორიული სახეა, სახლის მკვიდრი ჯაბალავი კი – მამა ღმერთისა. თავად მაპფუზი უარყოფს ამ აზრს და აზუსტებს, რომ ჯაბალავი უფრო ღმერთის იდეის განსახიერებაა, რადგან არ შეიძლება ღმერთი რაიმე კონკრეტული სახით გამოხატო. ბუნებრივია, ავტორთან დაპირისპირებულმა ეგვიპტის რელიგიურ საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც რომანი „ღვთის ბუნების მიმართ მკრეხელობად“ შეაფასა, ვერ აღიქვა, რომ ჯაბალავის სახე მხოლოდ ალეგორიაა, რომ ღმერთს არ შეიძლება ცოლები ჰქონდეს და ა.შ.

ჯაბალავის სახლში იშვიათი წესრიგი სუფევს – ყველა მამას ემორჩილება. ასე გრძელდება მანამ, სანამ ამპარტავნების ცოდვა არ შეაღწევს სამოთხის მკვიდრთა ცნობიერებაში. პირველი, ვისაც ჯაბალავის სახლის დატოვება უხდება, ამპარტავნების ცოდვით ძლეული უფროსი ვაჟი იდრისია – პირველი დაცემული ანგელოზის – სატანის (არაბ. იბლისი) განსახიერება. მეორე არის ადჰამი, რომელიც მამამ განსაკუთრებით შეიყვარა. მან კი დიდი შეცდომა დაუშვა, როცა საიდუმლო წიგნში ჩახედვა მოინდომა. ამ საბედისწერო შეცდომის დაშვებაში ადჰამის ცოლ უმაიმასაც (არაბ. დედიკა) შეაქვს წვლილი. ის ბიბლიურ ევას განასახიერებს. მამის წიგნი კი არის არა წმ. წიგნის სიმბოლო, როგორც ზოგიერთები განმარტავენ,<sup>4</sup> არამედ აკრძალული ხილის ალეგორია. ადჰამმა და უმაიმამ ვერ შეძლეს მამის მიერ დაწესებული ერთადერთი აკრძალვა არ დაერღვიათ.

<sup>4</sup> M.E. Paniconi, Religious Discourse and literary innovation. Reading Awlad Haratina by Naguib Mahfouz as an Imitative Allegory, in: *Centre And Periphery within the Borders of Islam*, Proceedings of 23d Congress of L'Union Européenne des Arabisants et Islamisants [Orientalia Lovaniensia Analecta, 207], ed. by Giuseppe Contu (Leuven-Paris-Walpole), 2012. 268.

ნაჯიბ მაჰმადუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

მათ ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი ამ ერთი შეცდომის გამო დაკარგეს, რაშიც დიდი როლი იდრისმა (სატანამ) შეასრულა.

ედემის ბალში განმარტოებულ ადამიანს ფიქრის დრო აქვს, ყოველ-დღიურ საზრუნავში არ არის ჩაფლული. ადჰამი, რომელსაც სამოთხის დატოვება უწევს, სიმწრითა და ოფლისლვრით იწყებს ლუკმა-პურის შოვნას, თუმცა თავადაც ამპარტავანია. უნდა, ისევ ბატონკაცურად გრძნობდეს თავს. მამის სასჯელს სიმდაბლით ვერ ღებულობს. იმას კი არ ამბობს, ისე დავაშავე, უარესის ღირსი ვიყავიო, სულ ელოდება, რომ მამა მას სამოთხეში დააბრუნებს, თან წუნუნებს და ბუზლუნებს: „ლუკ-მა-პურისთვის შრომა წყევლაა. ბალში იყო ნამდვილი ცხოვრება – სხვა საქმე არ მქონდა სალამურზე დაკვრისა და ვარსკვლავების ჭვრეტის გარდა. დღეს მხოლოდ ცხოველი ვარ... დღიური ლუკმისთვის შრომა – ეს ხომ წყევლაზე უარესია“ (მაჰმადუზი 2014, 86). სიამაყე დაცემული, სა-მოთხიდან გამოდევნილი ადამიანის მთავარ ცოდვად რჩება. მთელი ცხოვრება ადჰამი დაკარგულ სამოთხეს მისტირის. ბოლოს მას ჯაბალავი გა-მოეცხადება და მხოლოდ სიკვდილის წინ შეიწყალებს. „ჩემს წინააღმდეგ იდრისს შეეკარი?!“ (მაჰმადუზი, 75) – მამის ეს საყვედური სულ ახსოვს ადჰამს, რომელსაც სამოთხიდან განდევნის შემდეგაც იდრისი მუდამ თან სდევს, არ ასვენებს. იდრისს სახეცვლილებაც შეუძლია ნამდვილი სატა-ნასავით. ყოველთვის ბოროტმოქმედის ან ლოთის სახით როდი ჩნდება?! ის შესანიშნავი ფსიქოლოგია. იცის კაცის სისუსტეები და ყველა ხერხს სმარობს მის შესაცდენად.

ადჰამის შვილები არიან კადრი (არაბ. رأوأدرى بنوكب، ზომა) ანუ კაენი და ჰუმამი (არაბ. ديدس علوي بن عاصي)، რომელიც ბიბლიურ აბელს განასახიე-რებს. კადრი პირველი კაცისმკვლელია, თუმცა მისი და ჰინდის (იდრისის ქალიშვილის) შთამომავლობა ისევე გააგრძელებს ამქვეყნად ცხოვრებას, როგორც ადჰამის სხვა უფრო ღირსეულ თუ ნაკლებად ცოდვილ შვილთა შვილები. ჰუმამი, ღვთისთვის სათნო ადამიანი, რომელსაც ჯაბალავი თავის სახლში, ედემის ბალში საცხოვრებლადაც კი ეპატიუება, ამქვეყნად პირველი უდანაშაულო მსხვერპლი ხდება. სამოთხიდან დევნილთა შორის უსამართლობაა გაბატონებული. თუმცა დროდადრო ჩნდებიან ადამია-ნები, რომლებიც ცდილობენ ქვეყნად ისეთივე მშვიდობა დაამყარონ, როგორიც პაპისეულ სახლში იყო. მათთვის ფიქრისა და ამქვეყნიური სიბინძურისგან განმარტოების ადგილი მუკატამის უდაბნოა, რომელიც „უბანს“ (სააქაო ყოფას) ესაზღვრება. იქ თითქოს ჰაერიც უფრო სუფთაა და გონებაც – უფრო გახსნილი. თუმცა სულიერი მოღვაწეების მცდელო-

ბა ყოველთვის დროებით ნაყოფს იღებს, რადგან ადამიანები სამოთხიდან ერთხელ და სამუდამოდ განიდევნენ და ყოველგვარი მცდელობა ამქვეყნად სამოთხის დამყარებისა მარცხით მთავრდება. მაინც რატომ გამოარჩია ღმერთმა ეს მოღვაწენი? მაინცდამაინც მათ რატომ გამოეცხადა? იქნებ მათში შესაბამისი მზაობა დაინახა...

ლვთის პირველი რჩეული არის ჯაბალი, რომელსაც არა მარტო ახსოვს დიდი პაპა, არამედ სიახლოესაც გრძნობს მასთან. რომანის თანახმად, ჯაბალი ამქვეყნად პირველია, ვინც ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყდა და ვისაც ჯაბალავისთან შეხვედრის პატივი ერგო. „ჯაბალი ხშირად ახსენებდა თავის საგვარეულოს ჯაბალავის მცნებას – გამოეჩინათ ძალა, სიმტკიცე და შეუპოვრობა განსაცდელის ჟამს“ (მაპფუზი 2014, 205). ჯაბალს აქვს გამორჩეული რწმენა და განუწყვეტლივ ახსენებს თავის ხალხს – ჰამდანებს, რომ ჯაბალავი მათ მხარეზეა (მაპფუზი 2014, 212). ის დარწმუნებულია წარმატებაში, რაც სხვა მებრძოლებზეც გავლენას ახდენს. ჯაბალს სწამს, რომ ლვთისთვის სათონ საქმეს აკეთებს და ამიტომ ჯაბალავი დაეხმარება. „წარმატებაში ეჭვი ნუ გეპარებათ“. – მიმართავს ის ხალხს (მაპფუზი 2014, 213). მართლაც მოხდება სასწაული, ყოვლად არალოგიკური რამ – ჯაბალი გაიმარჯვებს, რადგან მის წინააღმდეგ შემართულ ამა ქვეყნის ძლერთ ფეხქვეშ მიწა გამოეცლებათ. ღმერთი ჯაბალის, სიმართლის მხარეზეა და იქ, სადაც ჩაერევა ღმერთი, ადამიანი უძლურია, ამქვეყნიური ლოგიკა ალარ ქრის. ჯაბალის წარმატებაში მთავარი ის არის, რომ მას თავისთვის არ უნდა დიდება. გველების მომთვინიერებელი ჯაბალი ბევრი რამით ჰგავს თავის პროტოტიპს – წინასწარმეტყველ მოსეს. ისიც მიტოვებული ბავშვი იყო, რომელიც გამგებლის ცოლმა იბოვა და გაზარდა. ძველი აღთქმის ევგიპტეს გვაგონებს უბანს თავს დატეხილი უბედურება, როდესაც მას გველები და მწერები შეესევიან. „დაე, ჯაბალავის ნება აღსრულდეს!“ (მაპფუზი 2014, 217) – ამბობს ჯაბალი და მოსესავით აწესებს: „თვალი თვალისა წილ!“ (მაპფუზი 2014, 227). სულიერი კანონების მციდნე ჯაბალი, პირველ რიგში, თვითონაა კანონმორჩილი. მას გულწრფელად სურდა, ხალხი სამოთხეში დაებრუნებინა. მართალია, ეს უტოპიური ოცნებაა, მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული თითოეული ნაბიჯი დასაფასებელია. ღმერთთან მოსაუბრე ჯაბალი მართლაც ნიმუშად უნდა დარჩენილიყო კაცობრიობისთვის. „მაგრამ ჩვენი ქუჩის უბედურება გულმავინყობაა“ (მაპფუზი 2014, 229) – დაასკვნის გულდანყვეტილი მთხობელი.

ნაჯიბ მაჰაფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

რომანის თანახმად, ღვთის მეორე რჩეული რიფაყაა: „რიფაყა ძალიან ლამაზი იყო, მაღალი, ტანწერნეტა, სახეს თითქოს შინაგანი სხივი უნათებდა. თითქოს უცხო იყო იმ მიწაზე, რომელზედაც დააპიჯებდა“ (მაჰაფუზი 2014, 236). გარეგნულ მოხდენილობაზე მნიშვნელოვანია „შინაგანი სხივი“, რასაც ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ერთი პასაუით: რიფაყასთან შეხვედრისას ბრმა პოეტი ამბობს: „საოცარია, როგორ ჰგავს პაპა!“ (მაჰაფუზი 2014, 237). როგორ ხედავს მას ბრმა? ის, რითიც რიფაყა პაპას ჰგავს, უხილავია. ბრმა მასში ღვთიურ საწყისს „ხედავს“, რაღაც ფუნდამენტურს, მარადიულს და უსასრულოს. რიფაყა სვამს კითხვას: „ჯაბალმა გაიმარჯვა, მაგრამ რა სარგებლობა მოიტანა ამ გამარჯვებამ?“ (მაჰაფუზი 2014, 241) და თითქოს ერთი საფეხურით მაღლა ადის. თუ ჯაბალი მხოლოდ თავის გვარს (ჰამდანებს) უყურებს როგორც რჩეულს (შდრ. ებრაელები – რჩეული ერი) და სხვა უბნიდან მოსულებს დახმარებაზე უარს ეუბნება (მაჰაფუზი 2014, 222), რიფაყა სრულიად უცხო ხალხთან მიდის და ეხმარება მათ. ის მკურნალია, როგორც იქსო და სხვადასხვა დაავადებას კურნავს (მაჰაფუზი 2014, 284), თუმცა, პირველ რიგში, სულიერს. რიფაყას მეუფება არაამქეყნიურია: „ფული მას არ სჭირდება, მხოლოდ ოცნებობს, ქუჩა გაათავისუფლოს ბოროტებისგან“ (მაჰაფუზი 2014, 253). ცოლს კი ეუბნება, რომ მან ამპარტავნება უნდა დაძლიოს და ასე არ იამაყოს თავისი გვარით: „ჯაბალის გვარი ამ ქუჩაზე საუკეთესო სულაც არ არის. ყველას ის სჯობს, ვინც კეთილია“ (მაჰაფუზი 2014, 285) მოსეს ათი მცნების შემდეგ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. სამოთხიდან გამოგდებულმა და დაცემულმა ადამიანმა იცის, რა არის კარგი, თუმცა მიდრეკილია ცუდისკენ. ამიტომაც არის გახლებილი და დაავადებული. მას მკურნალობა სჭირდება. რიფაყა ყველას ათავისუფლებს ავი სულებისგან. შედეგად რომანში ჩანს „უბანი, სადაც რიფაყას წყალობით არც ერთი აგადმყოფი აღარ დარჩენილიყო“ (მაჰაფუზი 2014, 313). სრულიად უდანაშაულო რიფაყას ყოჩები – ამა ქვეყნის ძლიერნი კლავენ. ამის მიუხედავად, მან იმედი ჩაუსახა ადამიანებს. თუ ჯაბალის ამბავი იმით დასრულდა, რომ ის მისაბად მაგალითად იქცა, რიფაყამ იმედი გამოიღო ნაყოფად, მაგრამ ხალხის მთავარი ნაკლი ხომ გულმავიწყობაა (მაჰაფუზი 2014, 325).

ღვთის მესამე რჩეული კასემი ბავშვობიდან გამოირჩევა სხვა, სულიერი, არაამქეყნიური ინტერესით. პატარაობისას პაპის სახლში შეპარვასაც კი გაბედავს. თავისი წინამორბედების მსგავსად, ისიც იხიბლება სულიერი წარსულით და სოფლის მოხუცს ეკითხება ადჰამის, ჰუმამის, ჯაბა-

ლისა და რიფაციას შესახებ. ხედავს, რომ ასეთები ცოტანი არიან, ყოჩები კი – ბევრნი. ხედავს, რომ სწორედ სულიერი ხედვის მქონე ადამიანები ცვლიან რაღაცას უკეთესობისაკენ. თუ ჯაბალი ძალას ეყრდნობოდა, რიფაცია – სიყვარულსა და მოწყალებას, კასემი გრძნობს, რომ ახლა მის ქუჩას სისუფთავე და წესრიგი სჭირდება. ის მწყემსია, როგორც მისი პროტოტიპი მუჟამადი და მის მსგავსად, თავისზე დიდ ქალზე – კამარზე (არაპ. მთვარე) ქორწინდება. კასემისა ისევე არ ესმით, როგორც რიფაციასი. როდესაც გამგებელი ეკითხება, თუ რა სურს, ის პასუხობს: „პირადად ჩემთვის არაფერი“ (მაჰფუზი 2014, 387). ადამიანი, რომელიც პირად გამორჩენას არ ექცებს და ყველასთვის სიკეთე და სამართლიანობა უნდა, გიუად აღიქმება. ღამით უდაბნოში განმარტოებული კასემი ფიქრობს: „პაპა ძალიან მოხუცდა და ისეთი მოწინებით აღარ ექცევიან. აი, ამ მზეს დაემსგავსა, პორიზონტისკენ რომ გადახრილა. სადა ხარ? როგორ ხარ? და რატომ მეჩვენება, რომ შეიცვალე? ისინი, ვინც შენს ანდერძს არღვევენ, შენი სახლიდან რამდენიმე წყრთის მანძილზე ცხოვრობენ. მთაზე გახიზული ქალებისა და ბავშვების ბედი განა გულთან ახლოს არ უნდა მიგქონდეს? კუთვნილ ადგილს კვლავ დაიკავებ, როდესაც შენი მცნებები აღსრულდება...“ (მაჰფუზი 2014, 415). ამ სიტყვებში რწმენა ჩანს, რაც კასემს სოციალური სამართლიანობის დამყარებაში ეხმარება. როგორც სულიერად გამორჩეული ადამიანი, ის უკეთესი ცხოვრებისთვის აუცილებელ პირობას ღვთის მცნებების აღსრულებაში ხედავს.

თავიდანვე კეთილი სურვილი ამოძრავებს რომანის ბოლო თავის გმირს – არაფას, რომელსაც გულწრფელად სურს, საზრდო გაუჩინოს უბნის მკვიდრთ. ისიც ფიქრობს, რომ სამართლიანობა უნდა დამყარდეს, პაპის ანდერძი შესრულდეს და უმეტესობა მძიმე შრომისგან გათავისუფლდეს, თუმცა ამ „სამოთხის“ მისაღწევად დიდ პაპაზე მეტად ჯადოქრობის (მეცნიერების) იმედი აქვს (მაჰფუზი 2014, 487). არაფას აზრით, პაპა ისეა დაუძლურებული, რომ აღარ შეუძლია, ეს საქმე რომელიმე შვილიშვილს დაავალოს. ამიტომ თვითონ მიაკითხავს მას. თავის ცოლს უუბნება: „მუშაობამ მასწავლა, რომ მხოლოდ საკუთარი თვალით ნანას და საკუთარი ხელით გამოცდილს ვენდო“ (მაჰფუზი 2014, 490). – ეს მეცნიერის პოზიციაა. ჭეშმარიტების გასაგებად მას სჭირდება, საკუთარი თვალით ნახოს ყველაფერი, დიდი პაპაც კი. გამოდის, რომ არაფას რწმენა აკლია. უბნის პოეტებისგან დიდ წინაპრებზე გაგებულ ამბებსაც სკეპტიკურად უყურებს: „ასე ამბობს რებაბი, მაგრამ მალე გავიგებ ყოველივეს“ (მაჰფუზი 2014, 491). ასეთი აზროვნების შედეგია ის,

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

რომ არაფა, ნებსით თუ უნებლიერ, ჯაბალავის – დიდი პაპის ანუ თვით ღმერთის იდეის მკვლელი ხდება. არაფას არჩევანი გადამწყვეტ მომენტში არ ჰგავს მისი დიდი წინაპრების არჩევანს. ეს ურწმუნო ადამიანის არჩევანია, რომელსაც არ სჯერა, რომ ღმერთი მის მხარეზეა. გამგებელთან შეხვედრისას ის მხდალია, მსახურებაზეც ვერ ეუბნება უარს. არაფა ამბობს, რომ გამგებელს უნდა დამორჩილდეს. არადა, ბოლოს სწორედ მისი ხელით კვდება. ვერ გაიქცევა, ჩიხში მოექცევა, ცოლიც მიატოვებს. არაფა როგორც პიროვნება ყველაზე სუსტია. თუმცა როგორც ყოველი თავის ბოლოს, აქაც გამოსჭვივის იმედი, რომ არაფას ძმა იპოვის რვეულს, სადაც მისი ცდების შედეგებია ჩაწერილი და მეცნიერებას არა გამგებლის, არამედ ადამიანების, სიკეთის სამსახურში ჩააყენებს.

მართლაც, მთელი ეს ამბავი კაცობრიობის ისტორიაა, ამბავი იმაზე, თუ როგორ შორდება თვითონ ადამიანი უფალს, შემდეგ კი საყვედურით ამბობს: რატომ არ გვშველის ღმერთი, რომ გამოკეტილა თავისისვის? განა, ვერ ხედავს, რა დღეში ვართო? – ასეთი საყვედური ხშირად გვხვდება რომანში. მაგალითად, მარჩიელი ქალი უმ ბახატირა ამბობს: „მას ჩვენ არ ვენალვლებით. მოდი, ჩვენც ნუ გავიხსენებთ“ (მაჰფუზი 2014, 249). უბნის ერთ-ერთი მცხოვრები ზეითუნა (ბოროტი თვალებით რომ იყურება) ეუბნება რიფაყას (რომელიც თვლის, რომ არ შეიძლება ასეთი პაპა არ გაინტერესებდეს): „პაპას თავი დაანებე. რა იცი, რომ კიდევ ვახსოვართ?“ (მაჰფუზი 2014, 282). ადამიანები ვერ გრძნობენ საკუთარ ვალდებულებას ღვთის წინაშე, ივიწყებენ მის მცნებებს, მისგან კი დახმარებას ელიან: „სადაა ეს ჩვენი პაპა? გამოვიდეს ქუჩაში ან გამოიტანონ მსახურებმა და განახორციელოს პირობები ისე, როგორც სურს. ხომ არ გვინია, ჩვენს ქუჩაზე ყოვლისშემძლის ნათქვამს ერთი ადამიანი მაინც შეეწინაალმდეგება? და თუ ყოჩები გადაწყვეტენ, ამოგვხოცონ, თითს გაანძრევს ჩვენს დასაცავად, ან ჩვენი ხვედრი დაადარდიანებს?“ (მაჰფუზი 2014, 371). არადა, სინამდვილეში ღმერთი (ან, თუ გნებავთ, ღმერთის იდეა) კი არ იმალება, თვითონ ადამიანს აღარ აქვს რწმენა და, ამის მიუხედავად, სურს, „დიდი პაპა“ გამოეხმაუროს, მის ცხოვრებაში უშუალოდ ჩაერიოს. ღმერთი მხოლოდ იმათ ეცხადება, ვინც თავად ინტერესდება მისით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანებს თვითონ არ აინტერესებთ ღმერთი, მისგან კი გადამჭრელ ქმედებას ელიან. ასეთ მცდარ დამოკიდებულებას კაცობრიობა დალუპვისკენ მიჰყავს. ასეთი მცდარი ხედვის შედეგია ისიც, რომ მეუთე თავის გმირს – არაფას უკვე ეჭვი შეაქვს ჯაბალავის არსებობაში: „არასოდეს გამიგონია, კაცს ამდენ ხანს ეცოცხლოს!...“ და იქვე ამატებს: „ჯადოქრობასაც ბევრი რამ

შეუძლია...“ (მაპფუზი 2014, 486). სწორედ აქ მარცხდება ადამიანი, როცა ფიქრობს, რომ მას ღმერთის გარეშე რამე შეუძლია. ჯადოქარ ყარაფას სიცოცხლის გასახანგრძლივებელი აბების გამოგონებაც კი ვერაფერს შევლის. ის თითქოს ცდილობს, ნინამორბედებს მიბაძოს, თუმცა საყვე-დური დიდი პაპის მიმართ მაინც წამოსცდება: „მოკლეს რიფაყა, გააუპა-ტიურეს და სცემეს დედაჩვენი, პაპაჩემი კი არც განძრეულა“ (მაპფუზი 2014, 491). პაპისგან ყველა მოქმედებას მოითხოვს, ხოლო რწმენას სა-კუთარი თავისგან – არავინ.

რომანში წინა პლანზე მთავარი გმირები დგანან. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები შედარებით ბუნდოვნადაა დახატული. ერთ-ერთ პერსო-ნაჟად შეიძლება ჩაითვალოს ხალხის უსახური მასა, რომელიც სრულიად უმნეოა, ნაბიჯი გადადგას, თუ მას ლიდერი არ მოევლინება. ხალხის მასისგან გამოიყოფა გამგებელი, როგორც ხელისუფალის მარადიული სახე, და ყოჩებისა და პოეტების სოციალური ფენა. ყოჩი ძალაუფლებას განასახიერებს. ის ამქვეყნიური უსამართლობის ძალის სიმბოლოა: „ისი-ნი ყველგან არიან და ყველგან მბრძანებლობენ“ (მაპფუზი 2014, 235). ყოჩების ყველგანმყოფობა იმაზე მიუთითებს, რომ სანამ ეს ქვეყანა იარ-სებებს, ისინიც იარსებებენ. „ტრადიციებს იცავთ იმაში, რაც თქვენთვის სასარგებლოა, ხალხზე კი არ ფიქრობთ“. – მიმართავს რიფაყა ამა ქვეყნის ძლიერთ (მაპფუზი 2014, 512). თუმცა მმართველთა აზროვნე-ბის წესი ამქვეყნიურია, სულიერი ადამიანებისგან განსხვავებული. ეს რადიკალური განსხვავება გამგებელსა და სულიერ ლიდერს შორის გა-მართულ ყოველ დიალოგში იჩენს თავს. რომანში პოეტები მეცნიერებ-სა და მწერლებს განასახიერებენ, მედროვეები არიან, უბნის ცხოვრებას კეთილსინდისიერად არ ასახავენ, ზოგჯერ სინამდვილეს ამახინჯებენ, მას გამგებელთა ნეპა-სურვილის მიხედვით ცვლიან. მთავარია, პოეტის სიცრუე ყოჩის მოენონოს: „ყოველი პოეტი თავისი რებაბით<sup>5</sup> თავის უბნის ყოჩებს აქებდა...“ (მაპფუზი 2014, 521) პოეტი ზოგადად ხელისუფალთა სამსახურში ჩამდგარი ხელოვანის ალეგორიული სახეა. „ჩვენი ქუჩის ბი-ნადრებზე უფრო მატყუარებს ვერსად შეხვდები. მათ შორის კი ყველაზე დიდი ცრუპენტელები პოეტებია“ (მაპფუზი 2014, 245). – ეუბნებიან რი-ფაყას, რომელსაც მთემელთა ამბების მოსმენა აინტერესებს.

რომანს რეფრენად გასდევს პოეტთა მიერ წარმოთქმული, ზეპირი გზით გადმოცემული ისტორიები, რითაც თითქოს იმის ხაზგასმა ხდება,

<sup>5</sup> რებაბი – შვილდაკიანი ძალებიანი აღმოსავლური საკრავი.

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

რომ მთქმელთა ნაამბობი მთავარი წყაროა ავტორისათვის, რომელმაც კოლექტიური მახსოვრობის შეგროვება გადაწყვიტა, თუმცა ბოლომდე ასე არ არის. ეს უფრო ნაწარმოების ფორმის საკითხი გახლავთ. საქმე ისაა, რომ რომანის შესავალიც კი (მთხრობელისაგან), სადაც მნერალი კონკრეტულ ამოცანას გვამცობს (რომ მან ზეპირი გზით გადმოცემული ამბები უნდა ჩაიწეროს, გადამცემთა მიერ დამახინჯებული ადგილები კი დააზუსტოს), ალეგორიულია და არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. მომდევნო თავებში ხომ მთხრობელი აღარ ჩნდება როგორც პერსონაჟი და დაწერილ თუ დაუწერელ ამბებს თვითმხილველივთ გვიამბობს. პირდაპირ არ უნდა გავიგოთ ისიც, თითქოს მნერალს მთქმელთა მიერ მოყოლილი ამბების შეკრება სთხოვეს. შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი შესავალი, როცა ავტორს რაღაცის დაწერას ავალებენ, იმაზე მიუთითებს, რომ მაჰფუზი პაროდიას კი არ გვთავაზობს, როგორც ეს ბევრმა შეცდომით გაიგო, არამედ წმინდა წიგნების იმიტაციას, ამ წიგნთა სტილის გამეორებას.<sup>6</sup> ამასთან დაკავშირებით თელ ავივის უნივერსიტეტის პროფესორი სასონ სომეხი აღნიშნავს: „ეს აშკარაა არა მხოლოდ პერსონაჟების წმ. წიგნებიდან მოხმობის გამო, არამედ ტექსტის კომპოზიციის თვალსაზრისითაც“.<sup>7</sup> რომანის შესავალი გასაღებია იმისა, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ მთელი ტექსტი. ის გვეხმარება გავიგოთ ნაწარმოების არქიტექტონიკა, როდესაც ერთი ამბის თხრობისას მეორე ამბავი თითქოს უგულებელყოფილია. ეს ამბები ამა თუ იმ მთქმელისგან მოსმენილი დამოუკიდებელი ისტორიებია, ხოლო უბანი არის სივრცე, რომელიც თვითონ გვიამბობს საკუთარ თავზე.

ასეთი აშკარა მინიშნებების მიუხედავად, რომანის ალეგორიულობა სწორად ვერ აღიქვეს. „ჩვენი უბნის შვილები“ ზოგმა მკრეხელობად, ზოგმა კი სუსტ ნაწარმოებად შეაფასა – გარდა იმისა, რომ მოქმედ პირთა გალერეა ძირითადად შავ-თეთრადაა წარმოდგენილი და პორტრეტებიც სუსტადაა გამოკვეთილი, არის მოსაზრება, რომ მის ფორმასა და შინაარსს შორის გარკვეული დისპალანსი იგრძნობა. „მიზანი, რომელსაც მაჰფუზი ისახავდა – ალეგორიული რომანის დაწერა (ე.ი. რომანისა და

<sup>6</sup> სასონ სომეხი იყენებს ტერმინს *Pastiche*, რაც სტილის გამეორებას, მიბაძვასა და იმიტაციას ნიშნავს ყოველგვარი პაროდირების გარეშე.

<sup>7</sup> S. Somekh, *The sad Millenarian: an Examination of Awlad Haratina, Critical Perspectives on Naguib Mahfouz*, ed. by Trevor le Gassick (Washington D.C., 1991), 108.

ალეგორიის შერევა) წარმატებული არ აღმოჩნდა“, – წერს სასონ სომეხი. – „შედეგად ნაწარმოები უნდა აღვიქვათ როგორც სიმბოლოების სისტემა, რომელიც წარსულისა და აწმყოს მოვლენათა გარკვეულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ზედაპირზე ამოტივტივებული გმირები ეზოპეს იგავების პერსონაჟებისგან დიდად არ განსხვავდებიან, ისინი ორუელის „ცხოველთა ფერმის“ პერსონაჟებსაც გვაგონებენ“.<sup>8</sup> მკვლევარი არ უარყოფს, რომ სიახლისკენ სწრაფვამ დადებითი როლი შეასრულა მაპფუზის კარიერაში, მაგრამ, მისი აზრით, „ამ ახალი სტილის პროდუქტი ძალიან აბსტრაქტული და მეტად პროზაული გამოვიდა. და მანც, ეს რომანი (თუკი შეიძლება ამას რომანი ვუწოდოთ), ძირითადად მათ დააინტერებს, ვისაც უნდა, გაიგოს, თუ როგორ ხედავს მაპფუზი სამყაროს, როგორც მთლიანობას, სამყაროს, რომელშიც თავად მას სურს ცხოვრება. საერთოდ, ეს ნაწარმოები სევდიანია. არსად ყოფილა მაპფუზი ასეთი სევდიანი. ეს იმ კაცობრიობის ისტორიაა, რომელიც იშვიათი გამონაკლი-სების გარდა სულ სატანჯველშია“.<sup>9</sup>

ვფიქრობ, მკვლევარი ჯეროვნად ვერ აფასებს ალეგორიის ინოვაციურ როლს ნაწარმოებში, სადაც მთელი აქცენტი ამბის თხრობაზეა გადატანილი და ამიტომ მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები სუსტად ჩანს. იგივე საკითხი განხილული აქვს ვენეციულ მკვლევარს, პანიკონის: „ეს არ არის ნაწარმოების ნაკლი, არამედ ერთგვარი ნარატიული სტრატეგიაა ავტორისა, შექმნას ალეგორია. ეს სტრატეგია პერსონაჟთა ხასიათებზე მეტად გმირების ქმედებას ეყრდნობა, რაც ქმნის კიდეც რომანის ძირითად ქსოვილს. თუ „ჩვენი უბნის შვილებს“ წავიკითხავთ როგორც ალეგორიულ რომანს, დავინახავთ შინაგან სემანტიკურ დიალექტიმს, რითაც მის გარშემო გაჩენილი პოლარული აზრების შერიგება შესაძლებელი იქნება“.<sup>10</sup> „პოლარულ აზრებში“ მეცნიერი გულისხმობს, ერთი მხრივ, ზოგიერთი მუსლიმის („მკრეხელური რომანი“), ხოლო მეორე მხრივ, ზოგიერთი მკვლევრის („წარუმატებელი რომანი“) შეფასებას. თუ ნაწარმოებს წავიკითხავთ როგორც ალეგორიული ხასიათის თხზულებას, ის არც მკრეხელობად მოგვეჩვენება, არც ცუდ რომანად. და თუ მასში შუა საუკუნეების ნარაციის კვალსაც შევნიშნავთ,

<sup>8</sup> იქვე, 108.

<sup>9</sup> იქვე, 109.

<sup>10</sup> M.E. Panconi, *Religious Discourse and literary innovation*, 269.

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

აღარც ერთგვაროვანი ამბების გამეორება იქნება გასაკვირი. განა მწერლის საოცარი ოსტატობა არ არის ის, რომ ამდენი გამეორების მიუხედავად, თხრობა არსად არის მოსაწყენი და რომ, საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტი (560 გვ.) ერთი ამოსუნთქვით იკითხება?! ამას, ბუნებრივია, მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანიც უწყობს ხელს.

საგანგებოდ აღსანიშნავია მთარგმნელის, მ. ანდრონიკაშვილის დახვენილი ქართული, მისი ზომიერების გრძნობა, სტილის შეგრძნება. ენის სისადავე და ბუნებრიობა ბიბლიურ პერსონაჟებზე შექმნილი ნაწარმოების თხრობის მანერას შეესაბამება. „ჩვენი უბნის შვილებს“ არ მოუხდებოდა ჩახლართული სინტაქსი და რთული ლექსიკა. სათანადოდაა თარგმნილი ტექსტში ჩართული ლექსებიც, რომლის თარგმნაც თავისებურ სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან უმეტესად დიალექტზეა დაწერილი:

„ვნადირობდით მთებში სამნი,  
ორის ბედის ძაფი გაწყდა:  
ერთი სიყვარულმა მოკლა,  
ერთიც ძმათა მსხვერპლი გახდა“ (მაჰფუზი 2014, 132).

ზოგიერთი ამგვარი პოეტური ჩანართი მ. ანდრონიკაშვილის მიერ შესრულებული პწკარედული თარგმანის მიხედვით ლ. სილაგაძემ გალექსა:

„მოქიფევ, თუ მთვრალი ხარ – კარგი ხარ,  
ლუდთან ერთად ხამანნკებსაც სწყალობ;  
გამვლელებთან სალალობოდ ვარგიხარ,  
და არც ჯიბის ყაირათზე წვალობ“ (მაჰფუზი 2014, 199).

თუკი ზოგადად, არაბული სალიტერატურო ენის სირთულეს მივიღებთ მხედველობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაწარმოებში გამოყენებულ ეგვიპტურ დიალექტზე, ძნელი არ იქნება იმის წარმოდგენა, თუ რა შრომატევადი სამუშაო შესრულდა. საკმაოდ ვრცელი ტექსტის თარგმანში სულ რამდენიმე უზუსტობა შეგვხვდა, რასაც აქვე ჩამოვთვლით.

პირველი არის ანაქრონიზმი: ჯაბალის ცოლი შაფიკა გველების მომთვინიერებელ მამას სთხოვს, რომ მან ჯაბალს თავისი საქმე ასწავლოს და ეუბნება: „ასწავლე რა, მამა! მაგან მხოლოდ რბილ სკამზე ჯდომა იცის მამულის ოფისში“ (მაჰფუზი 2014, 188). სიტყვა „ოფისი“ ამ კონტექსტისთვის სრულიად შეუფერებელი და უადგილოა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დავუშვებთ, რომ მართალია, მოქმედება წინასწარმეტყველ მოსეს ეპოქაში ვითარდება, მაგრამ ამბის ჩანერა მთხრობელის მიერ მე-19 ს-ის ეგვიპტეში ხდება.

საყურადღებოა სიტყვა „ალაპის“ გამოყენებაც. „ალლაპ“ არაბულ ენაზე „ლმერთს“ ნიშნავს. ამ სიტყვას არა მარტო მუსლიმები, არამედ ეპრაელები და ქრისტიანი არაბებიც ხმარობენ მამა ლმერთის მნიშვნელობით. თუმცა სემიტური ენების არმცოდნე ქართველ მკითხველში „ალაპი“ უფრო ისლამთან ასოცირდება. ამიტომ ჯაბალის (პროტოტიპი მოსე) და რიფაყას (პროტოტიპი იესო) შესახებ წერისას, ჩემის აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა არაბული „ალაპის“ შესატყვისად ზოგადი სიტყვების – „ლმერთი“ ან „უფალი“ გამოყენება, რადგან ეს სიტყვები მკითხველისთვის არც ერთ კონკრეტულ რელიგიასთან არ არის დაკავშირებული. არაბუნებრივია, როცა მაგალითად, ჯაბალი (მოსე) ამბობს: „ალაპ ვფიცავ, შენნაირები სიკეთეს არ იმსახურებენ“ (მაჰფუზი, 225), ან რიფაყას დედა შაფეე (რომლის პროტოტიპი ღვთისმშობელი მარიამია) ამბობს: „ალაპმა უწყის!“ (მაჰფუზი, 233), ხოლო დურგალი, რომელიც ისესებ დაწინდველის ალეგორიული სახეა, ვაჟს მიმარავს: „ალაპის ნებას მიენდე და წადი!“ (მაჰფუზი, 242). თუმცა იგივე სიტყვა კასემის (პროტოტიპი მუჰამადი) თავში ბუნებრივად იკითხება. რასაკვირველია, ორიგინალში ყველგან „ალაპია“, მაგრამ ვფიქრობთ, ეს სიტყვა ქართველ მკითხველთა ფართო საზოგადობისთვის ისეთი ფართო მნიშვნელობით, როგორითაც ის ამ თუ იმ კონტექსტში ავტორს აქვს გამოყენებული, ძნელად აღიქმება. ამგვარად, ეს მთარგმნელის შეცდომა ან რაიმე უზუსტობა კი არ არის, უბრალოდ, უკეთესი იქნებოდა, თუ აღმქმელ აუდიტორიას მეტი ანგარიში გაეწეოდა.

საერთოდ, ანდაზის შესატყვისი ვარიანტის მიგნება მთარგმნელ ენაში ძალიან კარგია, მაგრამ ვფიქრობ, კონტექსტიც გასათვალისწინებელია. კასემს (რომელიც მუჰამადის ალეგორიული სახეა) ცოლის ბიძა უვეისი ეუბნება: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ (მაჰფუზი, 390), რაც ცოტა შეუსაბამოდ მიმართა. აქ ალბათ პირდაპირი თარგმანი აჯობებდა. სამაგიეროდ, მოხდენილად და თან ზუსტადაა ნათარგმნი არაერთი არაბული გამოთქმა, მათ შორის: „ყოველ წელს ასე კარგად მენახეო!“ (მაჰფუზი 2014, 377), რაც არაბული ფრაზის – کل عام وانت بخير ანთ ბუნებრივი თარგმანია.

რომანში არის ადგილი, სადაც კასემი ამბობს: „ვაპირებ, შარიათის მცოდნე ვექილს მოვეთათბირო“ (მაჰფუზი, 375). რამდენად ლოგიკურია ამ კონტექსტში სიტყვა „შარიათის“ გამოყენება? ორიგინალში არის ეს სიტყვა, რადგან „შარიათი“ ( შრیعე არაბ.) ზოგადად „სჯულდებულებას“, „კანონდებულებასაც“ აღნიშნავს და არა მხოლოდ „მუსლიმურ სამართალს“, მაგრამ უკეთესია, თუ ის გადმოითარგმნება უფრო ზოგადი სიტყვით „კანონი“ ან „სამართალი“ (აქ: „კანონების მცოდნე“ ან „სამართ-

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი „ჩვენი უბნის შვილები“ და მისი ქართული თარგმანი

ლის მცოდნე“), რადგან „შარიათი“, როგორც ტერმინი, ისლამთანაა და-კავშირებული, ქართულში „მუსლიმური სამართლის“ მნიშვნელობით გა-მოიყენება და მკითხველში მუჰამადის მოღვაწეობის შედეგად უფრო აღიქმება. გამოდის, რომ კასემს, რომელიც ჯერ თავისი გზის დასასყის-შია (და შესაბამისად, ისლამი ჩამოყალიბებული სახით არ არსებობს), „მუსლიმური სამართლის მცოდნე“ პირთან დაკავშირება სურს.

თარგმანში განმარტებულია საკუთარი სახელები ადჰამი – არაბ. „შავტუხა“ (მაჰფუზი, 35) და უმაიმა – არაბ. „დედიკუ“ (მაჰფუზი, 45)... თუმცა სხვა არც ერთი სახელის ქართული მნიშვნელობა არ არის დაფიქ-სირებული. ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რადგან „ჩვენი უბნის შვილებში“ თითქმის არც ერთ პერსონაჟს არა აქვს შემთხვევით სახელი, არაბული კი ყველა მკითხველმა არ იცის. ეს პრინციპულია სწორედ ასეთი ალეგო-რიული ხასიათის ნაწარმოების თარგმნის დროს. შესავალში გ. ლობჟა-ნიძის მიერ ნაწილობრივ მოცემულია მთავარი პერსონაჟების სახელე-ბის ალეგორიული დატვირთვა და მათი მნიშვნელობებიც. თუმცა აქაც ერთი პატარა შეცდომაა გაპარული: იდრისი სატანას განასახიერებს და არა კაენს (მუსლიმურ კაბილს) (მაჰფუზი, 19). რომანში ასევე არ არის სიტყვა „იფრითის“ (რომელიც არაერთხელ გვხვდება, – მაჰფუზი, 248) განმარტება მაშინ, როცა ჯინი (მაჰფუზი, 176) და მარიდი (მაჰფუზი, 54) სქოლიობია ჩამოტანილი. კარგი იქნებოდა არაბული სიტყვების მუალიმ (მაჰფუზი, 33,235,484...), თავი (მაჰფუზი, 373), რებაბი (მაჰფუზი, 452)... მნიშვნელობების ახსნაც, თუმცა კონტქესტიდან ეს რთული გასაგები არ არის.

უფრო კორექტურის ბრალი უნდა იყოს ის, რომ რომანში სიტყვა „შაითანი“ ორი ფორმით გვხვდება – ის ხან „შაიტანია“, ხან „შაითანი“. არაბულ სიტყვაში „ტ“ თანხმოვანია, „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ კი გვაქვს ფორმა „შაითანი“.<sup>11</sup> თუ მთარგმნელი თვლის, რომ „შაიტანი“ ჯობს და ამ ფორმის დამკვიდრება სურს (მით უფრო, რომ ასეთი შესანიშნავი თარგმანის მეშვეობით შესაძლებელია, იყოს მცდელობა ერთ-ერთი უფრო სწორად მიჩნეული ფორმის დამკვიდრებისა), მაშინ კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე ტექსტში ორი სხვადასხვა ფორმა არ შეგვხვდება.

მთარგმნელი ქართული ენის უბადლო მცოდნეა. ერთადერთი გა-პარული შეცდომა ზეპირი მეტყველების გავლენით უნდა იყოს გამოწ-

<sup>11</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა (თბილისი, 1989), 545.

## ნინო დოლიძე

ვეული. რომანში არის ადგილი, სადაც ყოჩი ემუქრება არაფას: „ამ ვე-ლურებთან რომ გაგიძახო და ვუთხრა: აი, საადალას მკვლელი-თქო?“<sup>12</sup> ეს შეცდომა, როცა პირველ პირში „მეთქის“ ნაცვლად „თქოს“ ამბობენ, ძალიან გახშირებულია ჩვენს ყოფაში.

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები ჩემი მოკრძალებული მოსაზრებები უფროა, ვიდრე რამის შესწორების მცდელობა. მცირე უზუსტობები კი არაფერია იმ დიდ შრომასთან შედარებით, რაც ამ რომანის თარგმნის პროცესშია განეული. მართლაც დიდი ფუფუნებაა, როცა შესაძლებლობა გვაქვს, ქართულად გავეცნოთ თანამედროვე არაბული მწერლობის ერთ შესანიშნავ ნიმუშს, რომელმაც არაბ თუ არაარაბ მეცნიერებსა და მკითხველებში აზრთა სხვაობა გამოიწვია. ახლა უკვე ქართველ მკითხველ-საც შეუძლია გამოთქვას მოსაზრება სამყაროს მაჰფუზისეულ ხედვასთან დაკავშირებით.

---

<sup>12</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, 513.

## მზია სურგულაძე

### მამუკა წურწუმია

საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტომი I.  
თბილისი, მხედარი, 2013, 531 გვ.

სარეცენზიო ნაშრომი, რომელშიც შესულია მამუკა წურწუმიას მიერ 1990-1992 და 2008-2013 წლებში შესრულებული გამოკვლევები, ეძღვნება ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებ დამუშავებულ პრობლემატიკას – სამხედრო ხელოვნების ისტორიას. ეს არის სფერო, რომელშიც თავს იყრის საკითხთა მთელი კომპლექსი, რომლებიც უკავშირდება ომის წარმოებას, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. იგი, საკუთრივ სამხედრო სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებთან ერთად, გულისხმობს საჯარისო კონტიგენტის სოციალური ბაზის შესწავლას, იარაღნარმოებისათვის საჭირო რესურსებისა და ტექნოლოგიების დადგენას, საფორტიფიკაციო და საკომუნიკაციო სისტემების კვლევას და სხვ. ამგვარად, სამხედრო საქმის ისტორიკოსის თვალსაწირებში ექცევა განვლილი ისტორიული ცხოვრების მატერიალური ასპექტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და განაპირობებდნენ მის უსაფრთხოებას თუ საერთაშორისო პრესტიჟს. ამავე დროს სამხედრო ისტორიის კვლევა მკაფიოდ წარმოაჩენს ყველა იმ გარემოებასაც, რომლებიც იწვევდნენ ქვეყნის ჩამორჩენას და სტაგნაციას. სწორედ ამიტომ სამხედრო ხელოვნების ისტორიკოსის პროფესიონალური საქმიანობა გულისხმობს ფართო სპექტრის ისტორიულ დისციპლინათა ზღვარზე კვლევას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისტორიული პრობლემატიკის კიდევ უფრო გამოკვეთას, ახალი კითხვების გაჩენას და კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწას.

ვფიქრობ, ამგვარი ტიპის გამოკვლევასთან გვაქვს საქმე მამუკა წურწუმიას სარეცენზიო ნაშრომის სახით. ქართული საბრძოლო ხელოვნების შესწავლას მუდამ აფერხებდა წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმწირე – შეუსაუკუნეების საქართველოში არ შექმნილა სამხედრო ტრაქტატები, ჩვენი მემატიანები საერთოდ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოვლენათა აღწერას, მათ შორის საბრძოლო ეპიზოდებისას. ამიტომ ქართული სამხედრო ისტორიის მკვლევართა უპირველესი ამოცანაა

წყაროთა მოძიება-მოზიდვა. ამ მხრივ სარეცენზიონ ნაშრომი სანიმუშოა. ავტორი ქართულთან ერთად თანაბრად იყენებს ბერძნულ-ბიზანტიურ, ლათინურ, არაბულ, სომხურ წერილობით წყაროებს — ნარატივსა თუ დოკუმენტურ მასალას, ჯვარ-ხატებს, ფრესკულ გამოსახულებებს, არქეოლოგიურ ნაშთებს და სხვ. ავტორი ასევე შესანიშნავად იცნობს სპეციალურ ლიტერატურას, უახლეს გამოკვლევებს მისთვის საინტერესო სფეროში, რაც მას საშუალებას აძლევს, დასაბუთებულად ილაპარაკოს ტექნოლოგიურ გამოცდილებათა გაცვლა-გაზიარებაზე ყველა იმ ხალხთან, რომლებთანაც საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურული კონტაქტი ჰქონია. ამიტომაც ავტორი დამაჯერებლად ახერხებს ქართული მასალის ინტერპრეტაციას – პოულობს პარალელებს უცხოურ მოდელებთან, ან პირიქით, ახსნას უძებნის განმასხვავებელ თავისებურებებს. მრავალფეროვანი ინფორმაციის (რომელიც ხშირად უშუალოდ და პირდაპირ არც ეხება კვლევის საგანს) ურთიერთშეჯერებით ავტორი ქმნის ისტორიულად და ლოგიკურად დამაჯერებელ სააზროვნო ველს, სადაც მკითხველი ავტორთან ერთად ადვილად იღებს ახალ ცოდნას.

ფართოა სარეცენზიონ კრებულის ქრონოლოგიური დიაპაზონი – შუა აუკუნეები და ახალი დრო. ამ საუკუნეთა მანძილზე ავტორი ინტერესით აკვირდება, როდის, რა გზებით და მასშტაბით აღწევს ქართულ სინამდვილეში ის სიახლეები სამხედრო აღჭურვილობასა და ტაქტიკაში, რომლებმაც ეპოქალური ცვლილებები გამოიწვიეს სამხედრო საქმეში. ასევე მრავალფეროვანია ნაშრომი თემატურად. ზოგიერთი ქვეთავი, ერთი შეხედვით, შეიძლება არც იყოს უშუალო კავშირში ნაშრომის ძირითად თემასთან, მაგრამ მთლიანობაში ისინი ემსახურებიან ერთი დიდი კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის წარმოჩენას, რომლის შექმნაში სხვა ხალხებთან ერთად ქართული ელემენტი თანაბრად მონაწილეობდა და საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა საერთაშორისო აღიარებას.

ავტორის განსაკუთრებული ინტერესის საგანია ქართველთა და ჯვაროსანთა კონტაქტები, მათი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ამ-სახველი მასალა წმინდა მიწაზე (სირია, პალესტინა-იერუსალიმი, სინა, გვ. 301-354, 357-398). მრავალრიცხვანი ლიტერატურის გამოყენებით ავტორი ვრცლად მსჯელობს იმ ისტორიულ გარემოებებზე, რასაც XIII-XIV საუკუნეებში ხელი უნდა შეეწყო ქართველ მხედართა როლის დაწინაურებაზე წმინდა მიწაზე. მიუხედავად იმისა, რამდენად დაადასტურებს მომავალი კვლევა ავტორისეულ დასკვნებს სინას წმ. ეკატერინეს ხატებზე გამოსახულ წმინდა მხედართა სამხედრო ატრიბუტიკის ქართულ

მამუკა წურნუმია. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები

წარმომავლობაზე (გვ. 301-348), ვფიქრობ, ავტორის საინტერესო დაკ-ვირვებები და ფაქტების ანალიზი სამომავლოდ ანგარიშგასაწევი იქნება ყველა მკვლევრისათვის.

მას შემდეგ, რაც ელენე მეტრეველმა იერუსალიმური წარმომავ-ლობის ორ ქართულ ხელნაწერში შეტანილი ჯვაროსანთა მოსახსენებლე-ბი გაშიფრა, შეიძლება ითქვას, კვლევის ახალ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი. არაერთ მეცნიერს უცდია უფრო ღრმად გამოეკვლია ქა-რთველებისა და ჯვაროსანების ურთიერთობის საფუძველი და მოეხდინა ქართულ მოსახსენებლებში დასახელებულ რაინდთა იდენტიფიკაცია. ამ თვალსაზრისით მცდელობა არ დაუკლია არც ბ-ნ წურნუმიას. მან სავსე-ბით საიმედო საბუთიანობით გააიგივა ჯვაროსანთა მოსახსენებლებში დამოწმებული რამდენიმე სახელი წყაროებითა და სპეციალური ლიტ-ერატურით კარგად ცნობილ ტამპლიერებთან. ამავე დროს გამოარკვია, რომ მოსახსენებლები მხოლოდ ტამპლიერებს არ ეძღვნება და რომ მათი ადრესატები შეიძლება ყოფილიყვნენ ჰოსპიტალიერებიც და ჯვაროსან-თა სხვა წარჩინებული ოჯახების წევრები (გვ. 364-386). ნაშრომის ეს მონაკვეთი უთუოდ ბევრ საინტერესო და ახალ ცნობას შეიცავს წმინდა მიწაზე ქართველთა და ჯვაროსანების ურთიერთობის შესახებ. აქვე ვეც-ნობით ავტორის წარკვეეს გოლგოთის სვინაქსარის წარმომავლობაზე, რამდენადაც მასში ჯვაროსანთა მოსახსენებლების არსებობა უშუალო-დაა დაკავშირებული ქართველთა მიერ გოლგოთის ფლობის საკითხთან. ნაშრომის ეს მონაკვეთი, შესაძლოა, ჭარბი პოლემიკური პათოსითაც კი გამოირჩევა, მაგრამ უაღრესად საინტერესოა მასში წარმოდგენილი ფაქ-ტობრივი და ანალიტიკური მასალით.

ავტორის გაბედული დასკვნები, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ბიძგის მიმცემი აღმოჩნდეს განსხვავებულ მოსაზრებათა მტკიცებისათ-ვის, რაც მხოლოდ ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად გამოდგება ავტორისეული მსჯელობა ძელი ცხოველის შესახებ, სადაც იგი, უფრო ადრეული მასალის სიმწირის პირობებში, ცდი-ლობს ქართველთა სამხედრო ექსპედიციებში ძელი ცხოვლის საწინამ-დვრო ჯვრის ტარების პრაქტიკა ახსნას ჯვაროსანთა ანალოგით.

სარეცენზიონ კრებულში წარმოდგენილი მ. წურნუმიას შრომები შეს-რულებულია მაღალი მეცნიერული სტანდარტით, იგი შეიცავს მრავალ სიახლეს და ახლებურად წარმოაჩენს სამხედრო საქმის სრულყოფილად შესწავლის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიული გზის სხვადასხვა მოსაბრუნზე.



ქრონიკა



## ქრონიკა – 2014

### სამეცნიერო კონფერენციები

**30 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „ქართველი მეცნიერი – პროფესიონალი გიორგი წიბახაშვილი“.

**30 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით** განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის („თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკანდინავისტიკის ცენტრის განვითარება და ნორვეგიულ/სკანდინავიურ სწავლებათა განხორციელება /განვითარება“) ფარგლებში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “Gender and Scandinavian Studies: Language, Literature, Social Relations”.

**1-3 მაისს** თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელ ცენტრში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „შექსპირი 450“.

**15-17 მაისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკი-სმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა ამერიკი-სმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში“.

**6 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა მოაწყო მასწავლებელთა II კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას – სკოლა უნივერსიტეტს“ (სწავლებისა და განათლების პრობლემები).

**16-18 ივნისს** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს, ევროკავშირის, ასოციაცია Georgia Proeuropa-სა და საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს ერთობლივი ინიციატივით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყო საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „ევროპული ლირებულებები და იდენტობა“.

**19-20 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა მე-8 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი.

**23 ივნისს** თსუ ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველოს ბაირონის საზოგადოებამ ერთობლივად ჩაატარეს ბაირონის პოეზიის კვლევისადმი მიძღვნილი მე-40 საერთაშორისო კონფერენცია „ბაირონი დედანსა და თარგმანში“. კონფერენცია დასრულდა გალა-კონცერტით.

**10 ივლისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და რუსისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა სლავური დამწერლობის შექმნიდან 1150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სლავისტიკის პრობლემები და თანამედროვე მსოფლიო“.

**8-10 სექტემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისრაელის ცენტრში ბარ-ილაინის უნივერსიტეტის (ისრაელი) მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს, კავკასიის და ცენტრალური აზიის ებრაელები“.

**18-19 სექტემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა პროფესორ გივი გაჩეჩილაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ერებისა და ლიტერატურების შეხვედრის ადგილი“. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ფოტოგამოფენა და ხსოვნის საღამო.

**23-27 სექტემბერს** თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია „ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“.

**3-4 ოქტომბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ანდრია აფაქიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“.

**13-14 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში იუნესკოს პროგრამის

ფარგლებში მოეწყო ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია „ფილოსოფია და დღევანდელობა“.

**13-14 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია „ფილოსოფია და თანამედროვეობა“.

**14-15 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მიჯნაზე: დრო და სივრცე“.

**27-28 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

**18-19 დეკემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესიონალ იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქართველურ ენათა კვლევის საკვანძო საკითხები და პერსპექტივები“.

**19 დეკემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგები თურქეთში: თურქეთის ქართველები — ეთნოკულტურული პროლემები“.

**25 დეკემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია.

### სტუდენტური კონფერენციები და პროექტები

**28 მარტს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემწავლელმა ცენტრმა და ბრიტანეთის საბჭომ ერთობლივად მოაწყო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ქართული შექსპირიანა“.

**10 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იაპონური ენისა და კულტურის ცენტრში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია „იაპონური გაზაფხული“ და იაპონური კულტურის ნიმუშების გამოფენა.

**11-14 აპრილს** არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყო სტუდენტ-არქეოლოგთა ვარძიის VI საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის, სტრატიგრაფიული მეთოდის ფუძემდებლის, პიტ რივერსის ხსოვნისადმი.

**14 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა ენის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ენა – ისტორია და თანამედროვეობა“ და სტუდენტური კონკურსი საუკეთესო ესსეს გამოსავლენად თემაზე: „ქართული ენა და კულტურა“.

**15 აპრილს** სტუდენტთა ქართველობიური კლუბისა და თსუ ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ერთობლივი ღონისძიებით გაიმართა შეხვედრა თემაზე: ჰერმენევტიკა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება.

**26 აპრილს** ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტთა სამეცნიერო წრის ერთობლივი ინიციატივით მოეწყო აშშ-ში სამოქალაქო უფლებების აქტის მიღების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა მეორე ყოველწლიური რეგიონალური კონფერენცია.

**29 აპრილს** ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა პროექტი „აშშ-ს დღეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელიც მოიცავდა სამ სემინარს – ამერიკის კულტურის თავისებურებების, ქალთა უფლებების – „ფემინიზმისა“ და ამერიკის პოლიტიკის თავისებურებების შესახებ.

**1-5 მაისს** ჰამბურგის უნივერსიტეტისა და გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის ხელშეწყობით (DAAD) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფები სახელწოდებებით: „იდენტობები სამუშაო ბაზარზე“ (1-5 მაისი) და „დიალოგის სპირალი“ (6-10 მაისი).

**12 ივნისს** თსუ თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა ქეთევან ბურჯანაძისადმი მიძღვნილი სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია „თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა აქტუალური პრობლემები“.

**13-14 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჰუმანი-

ტარულ და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის ფარგლებში მოეწყო მე-6 რეგიონთაშორისი კონფერენცია „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“.

**15 ოქტომბერს** კომიშანია „ჯეოსელისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“.

**21 ოქტომბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია.

**17-18 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში იუნისკოს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ფილოსოფიის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ფილოსოფია და რელიგია“.

### პრეზენტაციები, სემინარები და საჯარო ლექციები

**31 იანვარს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გერმანული ფილოლოგიის მიმართულების ინიციატივით აკადემიური პერსონალისათვის და ენების ცენტრის მასწავლებლებისათვის ჩატარდა სემინარი ქვეყანათმცოდნეობაში.

**15 თებერვალს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყო შეხვედრა-პრეზენტაცია აფროამერიკელთა ისტორიის თვესთან დაკავშირებით.

**24 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით** თსუ ბაზაზე არსებული საინიციატივო ჯგუფის „თსუ ლოგოსისა“ და „თსუ სასკოლო უნივერსიტეტის“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა 4-დღიანი ტრენინგებისი X-XII კლასის მოსწავლეებისათვის თემაზე: „ექსპრესიონიზმი/კ. გამსახურდა“.

**28 თებერვალს** მოეწყო ნათია ფიფიას წიგნის – „ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში – ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია)“ – პრეზენტაცია.

**12 მარტს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იუნის ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრში მოეწყო შეხვედრა ნობელის პრემიის ფლობელ მწერალ ორპან ფამუქთან.

**14 მარტს** გარემოს დაცვის დარგის მეცნიერმა, დოქტორ სიუზან კლოსტერპაუსმა თსუ ამერიკასმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: “Cradle to Cradle Certified: The Next Industrial Revolution”.

**19 მარტს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა ფსიქოლოგის დოქტორის, პროფესორ თეა გოგოტიშვილის ლექცია და დისკუსია „ამერიკული ჰუმანისტური ფსიქოლოგიური სკოლა: კარლ როჯერსი – პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა“.

**1 აპრილს** მოეწყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ნინო პოპიაშვილის სამეცნიერო კვლევის – „განმანათლებლობის ევროპული პრიზონტები“ – პრეზენტაცია.

**4 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისრაელის ცენტრში მოეწყო არიელის უნივერსიტეტის (ისრაელი) პროფესორის, რუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) წიგნის The Passover Haggadah in Judeo-Georgian (“პასექის ლეგენდის ტრადიციული ქართული თარგმანი ქართველ ებრაელთა წრეში”) პრეზენტაცია.

**8 აპრილს** იენის (გერმანია) ფრიდრიხ შილდერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორ კლაუს დიკემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „Patrons and Commemoration. The Case of Friedrich Schiller and ‘his’ University“.

**11 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“ – გამოქვეყნებული მასალების პრეზენტაცია.

**26 აპრილს** ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა ყოველწლიური რიგით მეორე კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლებების აქტის მიღების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ამერიკული მუსიკის საღამო.

**1 მაისს** თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და თბილისის კლასიკურმა გიმნაზიამ მოაწყო ქართულ-ბერძნული საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“.

**7 მაისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა 2013 წლის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშების პრეზენტაცია.

**7 მაისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ერთობლივი მოწვევით ცნობილმა ქართველმა დიპლომატმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა, ამირან კავაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია „საქართველოს საგარეო სამსახურის ინსტიტუციური განვითარება: პირადი მოგონებები და გამოცდილება“.

**16 მაისს** გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ნინო პოპიაშვილის წიგნის – „ომი ქალის მეხსიერებაში (ქართველი და ოსი ქალების ზეპირი ისტორიები)“ – პრეზენტაცია.

**16 მაისს** ჩატარდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საერთაშორისო უურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ (№2, 2012 წ.) და ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-ევროპული დიალოგი“ (FR/454/2-170/13) – პრეზენტაცია.

**1 ივნისს** მოეწყო უილიამ შექსპირის დაბადებიდან 450 წლის იუბილეს აღსანიშნავი საგანმანათლებლო-ინტელექტუალური და სახელოვნებო ლონისძიება „სტურუას შექსპირის სამყარო“.

**9 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კულტურული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტის (საქსონია, გიორლიცი) დირექტორმა, ციტაუს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა, მათიას თეოდორ ფოგტმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია და მისი ასახვა ეთნოკულტურულ სივრცეში“.

**12 ივნისს** თსუ პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორმა, ეთერ ღვინერიამ წაიკითხა საჯარო ლექცია პროექტისათვის „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ-5“.

**19 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იაპონური ენისა და კულტურის ცენტრში გაიმართა იაპონური კულტურის საღამო.

**23-27 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყო საზაფხულო სკოლა ფონოლოგიაში „ფონოლოგიის თანამედროვე

თეორიები“. ლექციების კურსს ხელმძღვანელობდა მასაჩუსეტსის ტე-ქნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი მარიამ ბუცხრიკიძე.

**10-21 აგვისტოს ბაკურიანში გაიმართა საზაფხულო სკოლა თემაზე: „რე-ლიგიის ფილოსოფია და რელიგიის კრიტიკა“.**

**22-29 სექტემბერს** „კურტ გიორგელის საზოგადოებისა“ და მისი გენერალური მდივნის, პროფესორ მათიას ბააზის ხელშეწყობით, ქართველი ლოგიკოსებისა და ლინგვისტების აქტიური მონაწილეობითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, მოეწყო მე-10 საიუბილეო საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ლოგიკასა და ენაში.

**7 ოქტომბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკი-სმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში თსუ ასისტენტ პროფესორმა, მიხეილ ბარნოვმა მოხსენება წაიკითხა „ინდეს ბილიკებით“ (20 დღე მესკალერო აპარების რეზერვაციაში). შეხვედრაზე მომხსენებელმა ისაუბრა მესკალერო აპარების რეზერვაციაზე, თანამედროვეობაზე, მათ კულტურაზე, ჯერონიმოზე, აპარებთან ურთიერთობაზე. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ფოტო-, ვიდეო- და აუდიომასალა აპარების ტომის ცხოვრების წესის შესახებ.

**16-23 ოქტომბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის, ბერნარ უტიეს ლექციების ციკლი.

**22 ოქტომბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკი-სმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში საქართველოში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენლობის დირექტორმა, ანდრეა ქერბაშა წაიკითხა საჯარო ლექცია: „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ისტორია და მისი საქმიანობა საქართველოში“.

**13 ნოემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკი-სმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა, ჯიმ თორსონმა წაიკითხა მოხსენება ნოდარ დუმბაძის შემოქმედების შესახებ: „ამერიკელი მკვლევრის თვალით დანახული ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული სამყარო“.

**15 დეკემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის *Georgian Christian Thought and Its Cultural Context*

(ISBN 3: 9789004263376, ISSN: 2213-0039) და საერთაშორისო ჟურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ მე-3 ნომრის პრეზენტაცია.

**16 დეკემბერს** გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფესორ გურამ კარტოზიას 80 წლის იუბილეს აღნიშვნის ღონისძიებათა ფარგლებში მოეწყო ჟურნალ „ქართველოლოგის“ საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია.

### **მეცნიერთა და საზოგადო მოლვანეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომები და საღამოები**

**8 იანვარს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტისა და არნოლდ ჩიქობაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა.

**9 იანვარს** მოეწყო ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის, ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

**4 თებერვალს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავალეთმცოდნეობის ინსტიტუტში გაიმართა ეპრაისტიკის კათედრის დამარსებლის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამო.

**26 თებერვალს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა.

**18 მარტს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მოეწყო პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა.

**18 მარტს** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა მიხეილ ქურდიანის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

**14 აპრილს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა დოცენტ ოთარ ურიდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა.

**29 აპრილს** თსუ თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ინიციატივით ჩატარდა აკა-

დემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 127-ე წლისათავისადმი მიძღვნილი ერთობლივი საჯარო სხდომა.

**28 მაისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინიციატივით მოეწყო ქართველი არმენოლოგის, ბიბლიის ტექსტის მკვლევრის, ელენე დოჩანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ბიბლია – ტექსტი და თარგმანი“.

**3 ივნისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრში გაიმართა თურქული ლიტერატურის, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწის, პოეტის, ნაზიმ ჰიქმეთის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო-სემინარი.

**16 დეკემბერს** მოეწყო გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფესორ გურამ კარტოზიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

## გამოფენები

**14 მარტს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრის ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „81 ილი 81 ფერი“.

**3 მაისს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელი ცენტრისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო გამოფენა „შექსპირის დადგმის ისტორია რუსთაველის თეატრში“.

**25 მაისს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი საგანმანათლებლო-ინტელექტუალური და სახელოვნებო პროექტის „სტურუას შექსპირის სამყაროს“ ფარგლებში მოეწყო გამოფენა „ჰამლეტი“.

**26 მაისს** მოეწყო თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტთა ერთობლივი გამოფენა „ახალთ საიმედოდ! საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ჟენევაში – 1914-1918“.

**27 მაისს** გაიმართა ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტის (თურქეთი) პროფესორ-მასწავლებელთა და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების მიმართულების პროფესორ-მას-ნავლებელთა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა-ვორქშოპი.

**13 სექტემბერს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და წმიდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების ერთობლივი ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის კურსდამთავრებულის (1918-1921 წლებში), წმიდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 115-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა მემორიალური დაფა.

**16 დეკემბერს** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფესორ გურამ კარტოზიას 80 წლის იუბილეს აღნიშვნის ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო მეცნიერის ცხოვრებისა და მოლვანეობის ამსახველი ფოტომასალის გამოფენა.

### დაჯილდოება

**10 ივნისს** ლატვიის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, ისტორიკოს ნიკოლოზ ჯავახიშვილის მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

**27 ივნისს** ცნობილ იტალიელ ქართველოლოგს, ლუიჯი მაგაროტოს მიენიჭა თსუ საპატიო დოქტორის წოდება.

### სამეცნიერო ექსპედიციები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2014 წელს მოეწყო 10 სამეცნიერო სასწავლო ექსპედიცია:

1. **საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** – სამეცნიერო ექსპედიცია ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანაში“ (2 ლექტორი, ბაკალავრიატის 7 სტუდენტი)
2. **არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** – არქეოლოგიური სასწავლო პრაქტიკა გრაკლიან გორაზე (1 ლექტორი, ბაკალავრიატის 10 სტუდენტი)
3. **კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი** – სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიცია აჭარაში (2 დოქტორანტი და ბაკალავრიატის 1 სტუდენტი)

## ქრონიკა

4. არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკა სვანეთში (1 ლექტორი, 1 დოქტორანტი, ბაკალავრიატის 10 სტუდენტი)
5. ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია ზემო იმერეთში (1 ლექტორი, 1 დოქტორანტი, 1 მაგისტრანტი, ბაკალავრიატის 6 სტუდენტი)
6. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – სასწავლო პრაქტიკა სვანეთში (1 ლექტორი, ბაკალავრიატის 11 სტუდენტი)
7. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – ექსპედიცია სამეგრელოში (1 ლექტორი, 1 მაგისტრანტი)
8. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – სამეცნიერო ექსპედიცია სვანეთში (1 ლექტორი, 1 დოქტორანტი, 3 მაგისტრანტი)
9. ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – ფოლკლორული ექსპედიცია იმერეთში (1 ლექტორი, ბაკალავრიატის 10 სტუდენტი)
10. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი – ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში (2 ლექტორი, ბაკალავრიატის 11 სტუდენტი)

**გამომცემლობის რედაქტორები:** ცირა ჯიშკარიანი  
მარინე ჭყონია  
**გარეკანის დიზაინი** თინათინ ჩირინაშვილი  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა** ნინო ვაჩეიშვილი

**TSU Press Editors:** Tsira Jishkariani

Marina Chkonia

**Cover Designer** Tinatin Chirinashvili

**Composer** Nino Vacheishvili

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 2 25 14 32

[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)